

ლიცენზიაციის თაღლია

რენა შალვა
ოსტიც უორავი

ლიტერატურის თაორია

რენე უილეპი
ოსტინ უორენი

* * *



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2010

ლიტერატურის თეორია. განახლებული გამოცემა.

რენე უელეკი, ოსტინ უორენი

Theory of Literature: New Revised Edition.

Rene Wellek, Austin Warren

კრიტიკის კლასიკა, რომელიც იყვლევს ლიტერატურის ბუნებას, ფუნქ-
ცის, ფორმასა და შინაარსს. „ჰელაზე მოწესრიგებული, მრავლისმომცვე-
ლი და მიზანდასახული მცდელობა... ლიტერატურის შესწავლა ერთდღოუ-
ლად საზრიანი და თავისუფალი გახადოს“ (ნიუ იორკ ტაიმსი)

ავტორებმა სცადეს დაეკავშირებინათ პოეზია (ლიტერატურული თეო-
რია) კრიტიკასთან (ლიტერატურის შეფასება), მეცნიერებასთან (კვლევა)
და ლიტერატურის თეორიასთან (ლიტერატურის თეორიის დინამიკა და
თეორიისა და კრიტიკის სტატისტიკურობა). ავტორთა მცდელობა წარმატე-
ბით დასრულდა და წიგნია მოულოდნელი პოპულარობა მოიპოვა, განსა-
კუთრებით, როგორც სტუდენტთა სახელმძღვანელომ. წიგნი მრავალჯერ
გამოიცა და მრავალ ენაზე ითარგმნა.

წიგნი საინტერესო იქნება ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუ-
დენტებისა და ფართო მკითხველისათვის.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და გა-
ნათლების სამინისტროს პროგრამით — „საუნივერსიტეტო სახელმძღ-
ვანელობის განვითარება“. წიგნი მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის მიერ.

ISBN 978-9941-9085-8-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლობაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

Ilia State University Press

3/5 K. Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

ნინასიტყვაობა პირველი გამოცემისთვის.....	5
ნინასიტყვაობა მეორე გამოცემისთვის	9
ნინასიტყვაობა მესამე გამოცემისთვის.....	10

ნაწილი პირველი

განმარტებანი და განსხვავებანი	11
1. ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა.....	13
2. ლიტერატურის პუნქტი.....	22
3. ლიტერატურის ფუნქცია.....	36
4. ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია	51
5.ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა.....	63

ნაწილი მეორე

მოსამზადებელი სტადიები	75
6. ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება.....	77

ნაწილი მესამე

ლიტერატურის შესწავლის გარეგანი მეთოდი.....	97
შესავალი.....	99
7. ლიტერატურა და ბიოგრაფია	102
8. ლიტერატურა და ფსიქოლოგია.....	111
9. ლიტერატურა და საზოგადოება.....	131
10. ლიტერატურა და იდეები.....	157
11. ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები	180

ნაწილი მეოთხე

ლიტერატურის შინაგანი შესწავლა.....	199
შესავალი	201
12. ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის ნესი.....	205

13. ევფონია, რიტმი და მეტრი	228
14. სტილი და სტილისტიკა	252
15. სახე, მეტაფორა, სიმბოლო, მითი	270
16. ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები.....	309
17. ლიტერატურული ჟანრები.....	329
18. შეფასება	347
19. ლიტერატურის ისტორია.....	367
შენიშვნა.....	393
შენიშვნა.....	395
პიგლიოგრაფია.....	453
ინდექსი.....	511

ნინასიტყვაობა პირველი გამოცემისთვის

*

ნინამდებარე ნაშრომისთვის სათაურის შერჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ისეთი ჯეროვანი „მოკლე სათაურიც“ კი, როგორიცაა „ლიტერატურის თეორია და ლიტერატურათმცოდნების მეთოდოლოგია“, აღბათ, მეტისმეტად ტლანქია. ეს წიგნი მეცხრამეტე საუკუნემდე რომ დაწერილიყო, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა, რადგან მაშინ ვრცელი, ანალიტიკური სათაური სატიტულო ფურცელს დაიკავებდა, ნიგნის ყუაზე კი, უბრალოდ, ნარჩერა „ლიტერატურა“ აღმოჩნდებოდა.

ჩვენ დავწერეთ წიგნი, რომელსაც, რამდენადაც ვიცით, უშუალო ანალოგი არ მოეძებნება. ეს წიგნი არ გახლავთ სახელმძღვანელო, რომელიც ახალგაზრდებს პირველ ბილიებს უკალავს ლიტერატურის გაგების გზაზე, და არც (მორიცის „მიზნებისა და მეთოდების“ მსგავსად) მეცნიერული კვლევის მეთოდების მიმოხილვას წარმოადგენს. შესაძლოა, ის მაინც ყველაზე მეტად ენათესავებოდეს „პოეტიკას“ და „რიტორიკას“ (არისტოტელედან მოყოლებული, ბლერის, კემპბელისა და კეიმის ჩათვლით), ანდა ბელეტრისტიკის უანრებისა და სტილისტიკის სისტემურ გამოკვლევებს, ანდა ისეთ წიგნებს, როგორიცაა „ლიტერატურული კრიტიკის პრინციპები“. შევეცადეთ, „პოეტიკა“ (ანუ ლიტერატურის თეორია) და „კრიტიკა“ (ლიტერატურის შეფასება) „მეცნიერებასთან“ (ანუ „კვლევასთან“) და „ლიტერატურის ისტორიასთან“ (ლიტერატურის „დინამიკა“ თეორიისა და კრიტიკის „სტატიკურობის“ საპირისპიროდ) დაგვეკავშირებია. ჩვენი წიგნი, გარკვეულ-წილად, უახლოვდება ზოგიერთ გერმანულ და რუსულ ნაშრომს, მაგალითად, ვალცელის „Gehalt und Gestalt“, იულიუს პეტერსენის „Die Wissenschaft von der Dichtung“, ან ტომაშევსკის „ლიტერატურის თეორიას“. თუმცა, გერმანელებისაგან განსხვავებით, მოვერიდეთ სხვათა თვალსაზრისების უბრალო რეპროდუქციას და, მიუხედავად იმისა, რომ ვითვალისწინებთ სხვათა ხედვასა და მეთოდებს, ნინამდებარე ნაშრომი მყარად დასაბუთებულ თვალ-

ნინასიტყვაობა პირველი გამოცემისთვის

საზრისს ეფუძნება. ტომაშვესკისაგან განსხვავებით, არ ვის-ნრაფვით, წარმოვადგინოთ ელემენტარული განმარტება ისეთი საკითხებისა, როგორიცაა პროსოდია. ჩვენ არც გერმანელებივით ეკლექტიკურები ვართ და არც რუსებივით დოგმატური.

შედარებით ადრეული პერიოდის ამერიკული მეცნიერების სტანდარტების მიხედვით, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ამოსავალ დებულებათა ფორმულირების ყოველი მცდელობა (ამგვარი კვლევისას კი უთუოდ უნდა გავცდეთ „ფაქტებს“), პრეტენზიული და „არამეცნიერულიც“ კია, ხოლო ამ მეტად სპეციალიზებული გამოკვლევების მიმოხილვა და შეფასება, გარკევულნილად, სხვა არაფერია, თუ არა კადნიერება. უდავოა, რომ ყოველ სპეციალისტს როდი დააკმაყოფილებს მისი სპეციალობის ჩვენეული შეფასება. მაგრამ ამომწურავ განხილვას მიზნად სულაც არ ვისახავდით: ჩვენ მიერ მოყვანილი ლიტერატურული მაგალითები ყოველთვის მხოლოდ მაგალითებს წარმოადგენს და არა რამეს „დასაბუთებას“; ბიბლიოგრაფიებიც „შერჩევითი“ ხასიათისაა. არც ის გვიცდია, ჩვენ მიერ დასმული ყველა კითხვისთვის გაგვეცა პასუხი. მიგვაჩნია, რომ ჩვენთვისაც და სხვისთვისაც ამოსავალი იყო ის, რომ ჩვენს კვლევებს ინტერნაციონალური ღირებულება ჰქონოდა, დაგვესვა სწორი კითხვები და შეგვემუშავებინა მეთოდთა გარკევული სისტემა.

ამ წიგნის ავტორებმა, რომლებიც პირველად 1939 წელს აიოვას უნივერსიტეტში შეხვდნენ ერთმანეთს, უმაღვე აღმოჩნდეს, რომ ლიტერატურის თეორიისა და მეთოდოლოგიის სფეროში თანამოაზრები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვაგვარი აღზრდა-განათლება ჰქონდათ მიღებული, ორივე მათგანმა განვითარების მსგავსი გზა განვლო, შეისწავლა ისტორიული გამოკვლევები და „იდეათა ისტორია“ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლიტერატურის შესწავლა მკაცრად ლიტერატურული უნდა იყოს. ორივე მინიჭდა, რომ „მეცნიერულობა“ და „კრიტიკა“ კორელაციური ცნებებია; ორივე მათგანისთვის მიუღებელი იყო „თანამედროვე“ და წარსული დროის ლიტერატურის გამიჯვენა.

1941 წელს მათ დაწერეს ორი თავი — „ისტორია“ და „კრიტიკა“ — საერთო წიგნისთვის „ლიტერატურული მეცნიერება“. მისი ინიციატორი და რედაქტორი იყო ნორმან ფორსტერი, რომ-

ნინასიტყვაობა პირველი გამოცემისთვის

ლის ნააზრევსა და თანადგომასაც ავტორები დიდად აფასებენ. სწორედ მას უძღვინან ავტორები ამ ნიგნს (თუმცა არ სურთ, რომ ამით მკითხველს მცდარი შთაბეჭდილება შეექმნას თავად ფორსტერის დოქტრინის შესახებ).

ნინამდებარე ნიგნის თავების დაწერა ამ საკითხებისადმი ამჟამად არსებულმა ინტერესმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა უელენემა უმთავრესად 1-2, 4-7, 9-14 და 19 თავებზე იმუშავა, ბატონმა უორენმა კი 3, 8 და 15-18 თავები დაწერა, ნიგნი ორ ავტორის მჭიდრო თანამშრომლობის და თვალსაზრისთა თანხვედრის ნამდვილ მაგალითს ნარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ეს ავტორები იყენებენ სხვადასხვაგვარ ტერმინოლოგიასა და სტილს, და განსხვავებულ საკითხებს იკვლევენ, მათი აზრით, ორი განსხვავებული მიდგომის არსებითი შეთანხმება ამის კომპენსირებას ახდენს.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ დოქტორ სტივენს და როკფელერის ფონდის ჰუმანიტარულ განყოფილებას, რომელთა დაუხმარებლად ამ ნიგნის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. მადლობას ვუხდით ასევე აირვას უნივერსიტეტის პრეზიდენტს, დეკანებს და დეპარტამენტის თავმჯდომარეს დახმარებისა და იმისათვის, რომ დრო არ დაიშურეს ჩვენთვის.; რ. პ. ბლექმურსა და ჯ. კ. რენსომს — თანადგომისთვის; უოლეს ფოულის, რომან იაკობსონს, ჯონ მაკვალიარდს, ჯონ ს. პოუს და რობერტ პენ უორენს, რომელებმაც ზოგიერთი თავი ნაიკითხეს; მისს ელისონ უაიტს, რომელმაც განსაკუთრებული დახმარება გაგვინა ამ ნიგნზე მუშაობის განმავლობაში.

ავტორებს სურთ, აგრეთვე, აღნიშნონ ზოგიერთი რედაქტორისა და გამომცემლის გულისხმიერება, რომელთაც ნება დაგვრთეს, ჩვენი ადრეული ნაშრომებიდან ზოგიერთი მონაკვეთი შეგვეტანა ნინამდებარე ნიგნში: დიდი მადლობა ლუიზიანას უნივერსიტეტის გამომცემლობას და კლინთ ბრუქსს, Southern Review-ს ყოფილ რედაქტორს („ლიტერატურული ნანარმოების არსებობის მოდუსის“ ამ ნიგნში ჩართვის გამო); ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გამომცემლობას (იმის გამო, რომ ნინამდებარე ნიგნში ჩავრთეთ მცირე ნანილი „ლიტერატურის ისტორიისა“ „ლიტერატურულ მეცნიერებაში“, რედ. ფორსტერი, 1941); კოლუმბის უნივერსიტეტის გამომცემლობას (რომელმაც

ნინასიტყვაობა პირველი გამოცემისთვის

ნება დაგვრთო ამ წიგნში შეგვეტანა მონაკვეთები ნაშრომებიდან „პერიოდები და მიმდინარეობები ლიტერატურის ისტორიაში“ და „პარალელები ლიტერატურასა და ხელოვნებას შორის“, რომელიც გამოქვეყნდა „ინგლისური ინსტიტუტის მატიანეში“ 1940 და 1941 წლებში); ფილოსოფიურ ბიბლიოთეკას (რომელმაც ნება დაგვრთო ამ წიგნში შეგვეტანა მონაკვეთები ნაშრომებიდან „ამბოხი პოზიტივიზმის წინააღმდეგ“ და „ლიტერატურა და საზოგადოება“, რომელიც თავის დროზე გამოქვეყნდა „მეოცე საუკუნის ინგლისურში“, რედ. კნიკერბოკერი, 1946).

ნიუ ჰეივენი, 1 მაისი, 1948 წელი

რენე უელეკი
ოსტინ უორენი

ნინასიტყვაობა მეორე გამოცემისთვის

*

მეორე გამოცემა, არსებითად, იმეორებს პირველს, თუმცა ტექსტში მცირეოდენი შესწორებები და განმარტებები შევიტანეთ. ამას გარდა, მოვიყვანეთ რამდენიმე დამატებითი არგუმენტი და მივანიშნეთ იმ ახალ მიმდინარეობებზე, რომლებიც ბოლო დროს გაჩნდა ლიტერატურის თეორიაში. ამასთან, გადავწყვიტეთ, ნიგ-ნიდან ამოგვეღო პირველი გამოცემის ბოლო თავი („ლიტერატურის შესწავლა ასპირანტურაში“), რადგან გამოცემიდან (1946) ათი წლის შემდეგ ის რამდენადმე მოძველდა — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამ თავში შემოთავაზებული რამდენიმე რეფორმა ბევრგან უკვე განხორციელდა. გარდა ამისა, განვაახლეთ ბიბლიოგრაფია — ნაკლებად მნიშვნელოვანი და ნაკლებად ხელმისაწვდომი ნაშ-რომების ნაცვლად მასში შევიტანეთ გარკვეული რაოდენობა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი იმ უამრავი გამოკვლევისა, რომლე-ბიც ბოლო რვა წლის განმავლობაში გამოქვეყნდა.

შობა, 1955

რენე უელეკი
ოსტინ უორენი

ნინასიტყვაობა მესამე გამოცემისთვის

*

სასიხარულოა, რომ წიგნმა უკვე მესამედ იხილა დღის სინათლე ამერიკასა და ინგლისში, აგრეთვე ის, რომ იგი უკვე ითარგმნა ესპანურად, იტალიურად, იაპონურად, კორეულად, გერმანულად, პორტუგალიურად, ებრაულად და გუჯარათის ენაზე. ჩვენ ამჯერადაც განვახლეთ ბიბლიოგრაფია. ტექსტში შევიტანეთ მცირეოდენი შენიშვნები და შესწორებები. თუმცადა, მესამე გამოცემა, მნიშვნელოვანნილად, მეორის ხელახალ გამოცემას წარმოადგენს. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით შევეცადე, ჩემი იდეები განმეხილა და განმევითარებინა იელის უნივერსიტეტის პრესის მიერ „პრიტიკის კონცეპტების“ სახელწოდებით 1963 წელს გამოცემულ გაზეთებში, რაც შენიშვნებშია მითითებული. ჩემი „თანამედროვე კრიტიკის ისტორია“ წარმოადგენს მცდელობას, გაამყაროს აქ ჩამოყალიბებული თეორიული პოზიცია, რომელიც, თავის მხრივ, „ლიტერატურის თეორიაში“ წამოყენებულ კრიტერიუმებსა და ლირებულებებს ეფუძნება.

ნიუ ჰეივენი, კონექტიკუტი, სექტემბერი, 1962 წელი

რენე უელევი

ნაწილი პირველი

**განმარტებანი
და განსხვავებანი**

თავი პირველი

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

*

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა. ეს ორი სხვადასხვა სფეროა: პირველი მათგანი შემოქმედებით საქმიანობას უკავშირდება, მეორე კი თუ მეცნიერებას (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) არა, შესწავლის ან შემეცნების ნაირსახეობას მაინც წარმოადგენს. რასაკვირველია, ისტორიის მანძილზე ბერჯერ სცადეს, ეს განსხვავებები გაექარნებლებინათ. მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია გაიგო ლიტერატურა, თუ თავად არ ქმნი მას, რომ პოუპს ვერაფერს გაუგებ, თუ თავად არ შეგითხავს ჰეროიკული ორტაეპედები, ვერც დედოფალი ელისაბედის დროინდელი დრამას გაიგებ, თუკი თავად არ შეეცდები დრამა თეთრი ლექსით დანერო*! თუმცალა, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ შემოქმედებით პროცესზე დაკვირვება მის შემსწავლელ მეცნიერს სასარგებლო გამოცდილებას სძენს, საკუთრივ ამ მეცნიერის ამოცანა მაინც სხვაგვარ აქტივობას გულისხმობს. მან თავისი ლიტერატურული გამოცდილება ინტელექტუალური ტერმინებით უნდა გადმოსცეს და თანამიმდევრულ სქემაში მოაქციოს, რომელიც აუცილებლად რაციონალური უნდა იყოს, რადგან ცოდნა გარდუვალად უკავშირდება რაციონალურობას. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მისი შესწავლის საგანი ირაციონალურია, ან ირაციონალურ ელემენტებს შეიცავს, მაგრამ, ამ თვალსაზრისით, ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერის მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება მხატვრობის ისტორიკოსის, მუსიკათმცოდნის, თუ გნებავთ, სოციოლოგის ან ანატომიის სპეციალისტის მდგომარეობისაგან.

*შენიშვნები იხ. გვ. 273-313

ლიტერატურის თეორია

რასაკევირველია, ამგვარი ურთიერთმიმართება რამდენიმე როულ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადასაჭრელად არა-ერთი თვალსაზრისი იქნა მოხმობილი. ზოგიერთი თეორეტიკოსი უბრალოდ უარყოფდა, რომ ლიტერატურათმცოდნეობა ცოდნის დარღვია და „კვლავშემოქმედების“ იდეას გვთავაზობდა, თუმცა თანამედროვე თეორეტიკოსების უმრავლესობა დღეს მიიჩნევს, რომ ამგვარმა თვალსაზრისმა მნიშვნელოვანი შედეგები ვერ მოგვცა. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ „მონა ლიზას“ პეიტერისეული დახასიათება, ან საიმონდისის თუ სიმონსის მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი პასაჟები. მსგავსი „შემოქმედებითი კრიტიკა“ ჩევულებრივ გულისხმობს ან უსარგებლო გამეორებას, ან ხელოვნების ერთი ნიმუშის მეორე, ბევრად უფრო მდარე ნაწარმოებად გარდაქმნას. როცა ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთისაგან გავმიჯონთ ლიტერატურა და მისი შესწავლა, ზოგიერთ თეორეტიკოსს ამის საფუძველზე სხვადასხვაგვარი სკეპტიკური დასკვნები გამოაქვს: მაგალითად, ისინი ამტკიცებენ, რომ ლიტერატურის „შესწავლა“ საერთოდ შეუძლებელია; რომ ჩვენ მხოლოდ მისი წაკითხვის, აღქმისა და მისით ტებობის უნარი შეგვწევს. სხვა დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ გარევეული ინფორმაცია შევაგროვოთ ლიტერატურის „შესახებ“. ამგვარი სკეპტიციონიზმი ბევრად უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. პრაქტიკაში ეს გულისხმობს აქცენტის გადატანას მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოს „ფაქტებზე“, რომელშიც ლიტერატურა არსებობს, და უგულებელყოფას ყველა მცდელობისა, გავცდეთ ამ ფაქტებს. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მკითხველის მიერ ნაწარმოების სათანადოდ აღქმა, გემოვნება და გულმოდგინება — ინდივიდუალური გემოვნების სფეროს განეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ მათი არსებობა გარდაუვალია, მათ არაფერი აქვთ საერთო მკაფრ მეცნიერულობასთან. მიუხედავად ამისა, დიქონომია — „მეცნიერულობა“ და „აღქმა“ — მთლიანად გამორიცხავს ლიტერატურის ჭეშმარიტი, ანუ ისეთი შესწავლის შესაძლებლობას, რომელიც ერთდროულად იქნება „ლიტერატურულიც“ და „სისტემატურიც“.

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

პრობლემა ისაა, თუ როგორ უნდა განვიხილოთ ინტელექტუალური მეთოდებით ხელოვნება, კერძოდ — ლიტერატურა. საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ეს? და თუ შესაძლებელია — როგორ? ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ამის განხორციელება შესაძლებელია მაშინ, თუკი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ შემუშავებული მეთოდები დაინერგება ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში. განასხვავებენ ამგვარი გადატანის რამდენიმე ტიპს. ერთ-ერთი მათგანი ემყარება ისეთ ზოგადმეცნიერულ იდეალებს, როგორებიცაა ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და სიცხადე, რაც, თავისთავად, ნეიტრალური ფაქტების შეგროვებას გულისხმობს. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ შემუშავებული მეთოდების იმიტირება მიზეზობრივი წანამძღვრებისა და პირველწყაროების შესწავლის გზით არის შესაძლებელი. პრაქტიკაში ეს „გენეტიკური მეთოდი“ გამოსადეგია ნებისმიერი ურთიერთიმიმართებს დადგენისას, თუკი ეს შესაძლებელია ქრონოლოგიური თვალსაზრისით. უფრო მკაცრი გაგებით, კაუზალურ მეთოდს მიმართავენ იმისათვის, რომ ლიტერატურული ფენომენები ახსნან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით. აქ, ისევ და ისევ, საქმე გვაქვს რაოდენობრივი მეთოდების შემოტანასთან, რომელთაც აქტიურად იყენებს ზოგიერთი მეცნიერება, მაგ., სტატისტიკაში, აგრეთვე, ცხრილებისა და გრაფიკების შედგენის დროს. დაბოლოს, ლიტერატურის განვითარების პროცესების შესწავლისას ცდილობენ გამოიყენონ ბიოლოგიური ცნებები.²

დღესდღეობით, საყოველთაო აღიარებით, ამგვარმა მიდგომამ არ გაამართლა თავდაპირველი მოლოდინი. მთელ რიგ შემთხვევებში მეცნიერული მეთოდების ნაყოფიერება გამოვლინდა მხოლოდ მკაცრად შეზღუდულ სფეროში ან მხოლოდ გარკვეული მეთოდის გამოყენებისას. მაგალითად, სტატისტიკას იყენებენ ტექსტის კრიტიკის ზოგიერთ სკოლაში ან მეტრიკის შესწავლისას. მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობაში ამგვარი მეცნიერული „შეჭრის“ მომხრეთა უმრავლესობა ან მარცხს აღიარებს და

ლიტერატურის თეორია

სკეპტიკურად განეწყობა ხოლმე, ან თავს იმით იმშვიდებს, რომ ამგვარი მეცნიერული მეთოდი მომავალში მაინც გაამართლებს. მაგალითად, ა. ე. რიჩარდსი (I. A. Richards) მიიჩნევდა, რომ მომავალი წარმატებები ნევროლოგის სფეროში განაპირობებდა ლიტერატურული პრობლემების გადაჭრასაც.³

ჩვენ დავუბრუნდებით იმ პრობლემების განხილვას, რომელთაც წარმოშობს ლიტერატურათმცოდნეობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების დანერგვის ფართოდ გავრცელებული ტენდენცია. აღნიშნული საკითხი გააზრებას საჭიროებს და, რასაკვირველია, ხშირ შემთხვევაში, ეს ორი მეთოდოლოგია ერთმანეთს უკავშირდება და კვეთს კიდეც. ისეთი ფუნდამენტური მეთოდები, როგორებიცაა ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი, სინთეზი და შედარება, საერთოა სისტემატური ცოდნის ყველა ტიპისთვის. მაგრამ აქ ანგარიში უნდა გავუნიოთ სხვა გარემოებასაც: ლიტერატურათმცოდნეობას საკუთარი მნიშვნელოვანი მეთოდები აქვს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისგან არ არის ნასესხები, მაინც ინტელექტუალურ მეთოდებს წარმოადგენს. ჭეშმარიტების მხოლოდ უკადურესად შეზღუდული გაგებისას შეიძლება უგულებელვყოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიერ ცოდნის სფეროში შეტანილი წვლილი. თანამედროვე მეცნიერების განვითარებამდებვრად ადრე ფილოსოფიამ, ისტორიამ, იურისპრუდენციამ, თეოლოგიამ და თვით ფილოლოგიამ შეიმუშავეს შემეცნების ნაყოფიერი მეთოდები. შესაძლოა, ამ მეცნიერებათა მიღწევები თანამედროვე ფიზიკური მეცნიერებების თეორიულმა და პრატიკულმა წარმატებებმა დაჩრდილა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს მეთოდები კვლავაც ინარჩუნებს ღირებულებას და ადვილი შესაძლებელია — მთელ რიგ შემთხვევებში გარკვეული ცვლილებებით — მათი გაცოცხლება და განახლება. მაგრამ საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდები და მიზნები.

ამ განსხვავებების განსაზღვრა რთული ამოცანაა. ჯერ კიდევ 1883 წელს ვილჰელმ დილთაიმ (Wilhelm Dilthey) ერთმა-

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა ნეთისაგან გამიჯნა საბუნებისმეტყველო და ისტორიულ მეცნიერებათა მეთოდები და აღნიშნა, რომ მათ შორის არსებობს განსხვავება განმარტებისა და გაგების თვალსაზრისით.⁴ დილთაი ამტკიცებდა, რომ მეცნიერი მიზეზობრივი პირველწყაროების გათვალისწინებით განმარტავს მოვლენებს, ისტორიკოსი კი ცდილობს, გაიგოს მათი მნიშვნელობა. გაგების ეს პროცესი ყოველთვის ინდივიდუალური და სუბიექტურიც კია. ერთი ნლის შემდეგ ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკოსი, ვილჰელმ ვინდელბანდი (Wilhelm Windelband) ასევე დაუპირისპირდა თვალსაზრისის, რომლის მიხედვითაც ისტორიულ მეცნიერებებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული.⁵ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ზოგადი კანონების დადგენას ცდილობენ, მაშინ, როცა ისტორიკოსებისთვის უფრო მნიშვნელოვანია უნიკალური და განუმერებელი ფაქტის აღმოჩენა. ეს თვალსაზრისი შემდგომ განავითარა ჰაინრიხ რიკერტმა (Heinrich Rickert), რომელმაც ერთმანეთისაგან განასხვავა არა იმდენად განზოგადებისა და ინდივიდუალიზაციის მეთოდები, რამდენადაც — საბუნებისმეტყველო და კულტურის შემსწავლელი მეცნიერებები.⁶ კულტურის შემსწავლელ მეცნიერებს, მისი მტკიცებით, კერძო და ინდივიდუალური ფაქტები აინტერესებთ, ინდივიდუალური შემთხვევები კი შეიძლება აღმოჩენილი და გაგებული იქნეს მხოლოდ გარკვეული ღირებულებების ფონზე, რაც, ისევ და ისევ, კულტურას უკავშირდება. საფრანგეთში A. D. ქსენოპოლი (A. D. Xenopol) ერთმანეთისაგან განასხვავებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რომლებიც „განმეორებად ფაქტებს“ შეისწავლიან და ისტორიას, რომელსაც „თანმიმდევრული ფაქტები“ ანტიერესებს. იტალიაში ბენედეტო კროჩემ (Benedetto Croce) მთელი თავისი ფილოსოფია დააფუძნა ისტორიულ მეთოდზე, რომელიც რადიკალურად განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდისაგან.⁷

ამ პრობლემების სრულფასოვანი განხილვა გულისხმობს ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მიემართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ისტორიის ფილოსოფიისა და შემე-

ლიტერატურის თეორია

ცნების თეორიის კლასიფიკაციის სფეროს.⁸ თუმცა, რამდენიმე კონკრეტულმა მაგალითმა შეიძლება ცხადყოს, რომ არსებობს ერთი რეალური პრობლემა, რომელსაც ლიტერატურის შემსწავლელი სტუდენტი აწყდება. რატომ შევისწავლით შექსპირს? ხომ აშკარაა, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს ის, თუ რა საერთო აქვს მას მთელ კაცობრიობასთან, რადგან ასეთ შემთხვევაში შეგვეძლო ნებისმიერი სხვა პიროვნება შეგვესწავლა; არც ის გვაინტერესებს, თუ რა საერთო აქვს მას თითოეულ ინგლისელთან, თუნდაც რენესანსის ეპოქის ან ელისაბედის მეფობის დროინდელ ადამიანებთან, ყველა პოეტთან, ყველა დრამატურგთან, ან თუნდაც ელისაბედის მეფობის დროინდელ ყველა დრამატურგთან, რადგან, ასეთ შემთხვევაში, შეგვეძლო დეკერი ან ჰეივუდი შეგვესწავლა. ჩვენ უფრო იმის გაგება გვსურს, რა არის შექსპირის უნიკალურობის მიზეზი, რა აქცევს მას შექსპირად, ეს კი უკვე ინდივიდუალურობისა და ლირებულების პრობლემაა. რომელიმე ერთი პერიოდის, მოძრაობის ან ეროვნულ ლიტერატურის შესწავლის დროსაც კი ლიტერატურათმცოდნეს აინტერესებს ის ინდივიდუალური, დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლითაც ეს პერიოდი თუ მოძრაობა სხვა მსგავსი მოვლენებისგან განსხვავდება.

ინდივიდუალობის საკითხი კიდევ ერთი არგუმენტით შეიძლება გავამყაროთ: ლიტერატურაში ზოგადი კანონების აღმოჩენის მცდელობებს არასოდეს გამოიულია ნაყოფი. ლუის კაზამიანის (Louis Cazamian) ე.ნ. ინგლისური ლიტერატურის კანონი, რომლის მიხედვითაც „ინგლისური ეროვნული გონების რიტმი მერყეობს“ ორ პოლუსს, განწყობასა და ინტელექტს შორის (ამ დებულებასთან ერთად, მითითებულია, რომ მსგავსი რყევების ტემპი მით უფრო ჩქარდება, რაც უფრო უვახლოვდებით თანამედროვე ეპოქას) ან ტრივიალურია, ან — მცდარი. ვიქტორიანულ პერიოდის ის საერთოდ ვერ ესადაგება.⁹ ამ „კანონთა“ უმრავლესობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი რეგულარული ფსიქოლოგიური მდგომარეობების გამოხატულებას, როგორებიცაა მოქმედება და რეაქცია, ან ტრადიცია და ამბოხი, რომლებიც, მაშინაც კი, როცა მათი არსებობა ეჭვს არ იწვევს, მნიშვნელოვანს ვერაფერს გვეუბნება ლიტერატურული პროცესების შესახებ. მაშინ, როდე-

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

საც ფიზიკაში ზოგადი თეორიის უმაღლეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ელექტრობისა და სითბოს, მიზიდულობისა და სინათლის გამოსახვა ფორმულების მეშვეობით, ლიტერატურათმცოდნეობის მიზნების მისაღწევად ვერ გამოვიყენებთ ვერც ერთ ზოგად კანონს: რაც უფრო ზოგადი იქნება ეს კანონი, მით უფრო აძსტრაქტული და ამდენად, უშინაარსო ალმოჩნდება ის; და მით უფრო გაგვიძნელდება ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის არსის წვდომა.

ამდენად, ჩვენი პრობლემის გადასაჭრელად ორი უკიდურესი გამოსავალი არსებობს. პირველი მათგანი, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრესტიჟის წყალობით, აღიარებს სამეცნიერო და ისტორიული მეთოდის იგივეობრიობას, როს შედეგადაც საჭირო ხდება ან, უბრალოდ, ფაქტების შეგროვება, ან მეტისმეტად განზოგადებული ისტორიული „კანონების“ დადგენა. მეორეს მიხედვით, ლიტერატურათმცოდნეობა საერთოდ არ არის მეცნიერება, ხოლო ლიტერატურის „გაგება“ სუბიექტური ხასიათისაა, თითოეულ ლიტერატურულ ნაწარმოებს კი „ინდივიდუალურობა“, უფრო მეტიც, „უნიკალურობა“ ახასიათებს. მაგრამ ანტიმეცნიერული მიდგომის ამ უკიდურეს გამოხატულებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. „ინტუიციამ“, შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ „აღქამდე“, ანუ სრულ სუბიექტურობამდე მიგვიყვანოს. ყოველი ნაწარმოების „ინდივიდუალურობის“ და თუნდაც „უნიკალურობის“ საგანგებო ხაზგასმა (რომელიც სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც მიმართულია ზედაპირულ განზოგადებათა ნინააღმდეგ) ნიშნავს იმ ფაქტის უგულებელყოფას, რომ ხელოვნების ვერც ერთი ნიმუში ვერ იქნება მთლიანად „უნიკალური“, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ის მთლიანად გაუგებარი იქნებოდა ჩვენთვის. რასაკვირველია, არსებობს მხოლოდ ერთი „ჰამლეტი“ და ჯონის კილმერის ერთადერთი „ხეები“. მაგრამ, ამავე ლოგიკით ხომ ნაგვის გროვაც უნიკალურობით ხასიათდება, რამდენადაც მისი პროპორციების, განლაგების და ქიმიური შემადგენლობის ზუსტი ასლი სამყაროში არ მოიპოვება. უფრო მეტიც, ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში ყველა სიტყვა თავისი არსით „ზოგადია“ და არა „კერძოობითი“.

ლიტერატურის თეორია

ლიტერატურაში „უნივერსალურისა“ და „კერძოს“ ურთიერთ-დაპირისპირება მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც არისტოტელემ თქვა, რომ პოეზია ისტორიასთან შედარებით მეტი უნივერსალურობით და, ამდენად, ფილოსოფიურობით ხასიათდება, ხოლო ისტორიას მხოლოდ კერძო დეტალები აინტერესებს, და, აგრეთვე, მას შემდეგ, რაც დოქტორმა ჯონსონმა (R. Johnson) განაცხადა, რომ პოეტი „არ უნდა ითვლიდეს, თუ რამდენი ძარღვია ტიტას ფურცელზე“. რომანტიკოსებისა და თანამედროვე კრიტიკოსთა უმრავლესობის მტკიცებით, პოეზია სპეციფიკური ბუნებით, „ფაქტურითა“ და კონკრეტულობით ხასიათდება.¹⁰ მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ერთდროულად ზოგადიცაა და კერძოც, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინდივიდუალურიცაა და ზოგადიც. ინდივიდუალურობა შეიძლება გავმიჯნოთ აბსოლუტური კერძოობითობისაგან და უნიკალურობისაგან.¹¹ როგორც ყოველი ადამიანი, ყოველი ლიტერატურული ნაწარმოებიც ინდივიდუალური თავისებურებებით გამოიჩევა; მაგრამ მას ასევე აერთიანებს ხელოვნების სხვა ნაწარმოებებთან ზოგადი თავისებურებები, სწორედ ისე, როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს აქვს ის თვისებები, რომლებიც საერთოა მთელი კაცობრიობის, მისი სქესის, ერის, კლასისა და პროფესიის ნაწმომადგენლებისთვის. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია განვაზოგადოთ ის, რაც ეხება ხელოვნების ნაწარმოებებს, ელისაბედის მეფობის დროინდელ დრამას, და, საერთოდ, მთელ დრამატურგიას, მთელ ლიტერატურას, მთელ ხელოვნებას. ლიტერატურის კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია ცდილობენ დაახასიათონ ის ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც ნიშანდობლივია მოცემული ნაწარმოების, ავტორის, პერიოდისა და ეროვნული ლიტერატურისთვის, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ უნივერსალური ტერმინების მეშვეობით, ლიტერატურის თეორიის საფუძველზე. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისთვის განსაკუთრებით აუცილებელია ლიტერატურის თეორია, როგორც მეცნიერულ მეთოდთა ერთობლიობა.

რასაკვირველია, ეს იდეალი არ აკნინებს ნაწარმოების „საკუთარი“ გაგებისა და აღქმის მნიშვნელობას, რაც ლიტერატურის

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

შესახებ ჩვენი ცოდნის და მისდამი ჩვენი მიმართების ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს. მაგრამ არ უნდა დაგვავინედეს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ წინაპირობაა. იმის თქმა, რომ ლიტერატურათმცოდნეობა მხოლოდ კითხვის ხელოვნებას ემსახურება, მცდარ წარმოადგენას შეგვიქმნის სისტემატიზებული ცოდნის იდეალზე, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის შემსწავლელთათვის. მიუხედავად იმისა, რომ „კითხვა“ ფართო გაგებით კრიტიკულ გაგებასა და შემეცნებას გულისხმობს, კითხვის ხელოვნება მაინც შეიძლება იდეალს წარმოადგენდეს მხოლოდ იმ ადამიანისთვის, რომელსაც სურს თავისი უნარების განვითარება. ეს იდეალი მეტად პოპულარულია და განვითარებული ლიტერატურული კულტურის საფუძველს წარმოადგენს. თუმცადა, იგი ვერ ჩაენაცვლება „ლიტერატურის კვლევას“, როგორც ზოგად ტრადიციას, რომელიც ცოდნის, ინტუიციით მიგნებული ჭეშმარიტებებისა და თვალსაზრისთა დაგროვებას გულისხმობს.

თავი მეორე ლიტერატურის პუნქტი

*

პირველი პრობლემა, რომელიც ჩვენ წინაშე წამოიჭრება, ლიტერატურათმცოდნების საგანს უკავშირდება. რა არის ლიტერატურა? რა არ არის ლიტერატურა? როგორია ლიტერატურის ბუნება? მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკითხვები ერთი შეხედვით შეიძლება მარტივად უდერდეს, მათზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი საქმეა.

შესაძლებელია, „ლიტერატურა“ ვუწოდოთ ყველაფერს, რასაც ბეჭდური სახე აქვს. მაშინ შევძლებთ შევისწავლოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა „მედიცინა მეთოთხმეტე საუკუნეში“, „ნაწარმოდგენა პლანეტების მოძრაობის შესახებ აღრეულ შუა საუკუნეებში“ ან „ჯადოქრობა ძველსა და ახალ ინგლისში“. როგორც ედვინ გრინლოუ (Edwin Greenlaw) ამტკიცებდა, „ყველაფერი, რაც ცივილიზაციის ისტორიას უკავშირდება, ჩვენი შემცნების სფეროში შედის“; „როდესაც რომელიმე ცალკეული პერიოდის ან ცივილიზაციის არსის წვდომას ვცდილობთ, ჩვენი მცდელობა სცილდება ბელეტრისტიკის, ან თუნდაც ნაბეჭდი ან ხელნაწერი მატიანების სფეროს“, „ჩვენი ნაწარმოები უნდა განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს მან კულტურის ისტორიაში“! გრინლოუს თეორიისა და ბევრი სხვა მეცნიერის ნაშრომების მიხედვით, ლიტერატურათმცოდნება არა მხოლოდ მჭიდროდ უკავშირდება ცივილიზაციის ისტორიას, არამედ ისინი იდენტურ მოვლენებადაც კი კი მიიჩნევიან. ამგვარი მიდგომა ლიტერატურულია მხოლოდ იმ აზრით, რომ მას საქმე აქვს დაბეჭდილ ან ხელნაწერ მასალასთან, რაც, საერთოდ, ისტორიის უმთავრეს წყაროს ნარმოადგენს. რასაკვირველია, ამგვარი თვალსაზრისის დაცვის მიზნით, შეიძლება იმისი მტკიცება, რომ ისტორიკოსები, უმთავრესად, დიპლომატიური, სამხედრო და ეკონომიკური ისტორიით არიან დაინტერესებული და ჩვეულებრივ, უგულებელყოფენ ხოლმე ამ პრობლემებს, ამდე-

ლიტერატურის ბუნება

ნად, ლიტერატურის მკვლევარს უფლება აქვს მომიჯნავე სფეროში შეიჩრას. ბუნებრივია, არავის უნდა აეკრძალოს ნებისმიერი სფეროს კვლევა და, რასაკვირველია, მხოლოდ მისასალმებელია, თუკი ცივილიზაციის ისტორიას ფართო პერსპექტივაში შესწავლიან. თუმცა, ამგვარი შესწავლა ლიტერატურული ველარ იქნება. იმის მტკიცება, თითქოს საქმე აქ მხოლოდ ტერმინოლოგიურ დავასთან გვაქვს, არადამაჯერებლად უდერს. ცივილიზაციის ისტორიის კომპლექსური შესწავლა ნამდვილად გამორიცხავს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ შესწავლას. აქ ყველანაირი განსხვავება ქრება; ლიტერატურაში უცხო კრიტერიუმები შემოდის, როს გამოც ლიტერატურა ლირებულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გარკვეულ ნაყოფს გამოიღებს ამ, ან მომიჯნავე დისციპლინისათვის. ლიტერატურის გაიგივება ცივილიზაციის ისტორიასთან ნიშავს ლიტერატურათმცოდნეობის სფეროსა და მეთოდების სპეციფიკურობის უგულებელყოფას.

ზოგიერთი განმარტების მიხედვით, ლიტერატურა არის მხოლოდ და მხოლოდ „დიადი“ ნაწარმოებები, რომლებიც, თემის მიუხედავად, გამოირჩევიან „მათი ლიტერატურული ფორმისა თუ გამოხატვის საშუალებების თვალსაზრისით“. აქ კრიტერიუმი ან მხოლოდ ესთეტიკური ლირებულებაა, ანდა ესთეტიკურ ლირებულებასთან შერწყმული ზოგადი ინტელექტუალური თვისებები. ლირიკულ პოეზიაში, დრამასა და მხატვრულ ლიტერატურაში დიად ნაწარმოებებს ესთეტიკური კრიტერიუმების მიხედვით გამოაჩივენ; სხვა შემთხვევაში წიგნებს არჩევენ იმის მიხედვით, თუ რა რეპუტაციით სარგებლობებს ისინი, ან რა ინტელექტუალური თვისებებით გამოირჩევიან ესთეტიკურ ლირებულებასთან (ვინწოდებით) ერთად: აქ, უპირატესად, გამოირჩევენ სტილს, კომპოზიციას და, ზოგადად, გადმოცემის მანერას. ტრადიციულად, სწორედ ამ კრიტერიუმების საფუძველზე საუბრობენ ხოლმე ლიტერატურის თაობაზე. როდესაც რომელიმე ლიტერატურის შესახებ ვამბობთ, რომ „ეს არ არის ლიტერატურა“, სწორედ ამგვარი ლირებულებები გვაქვს ხოლმე მხედველობაში; მსგავს მსჯელობას მივმართავთ მაშინაც, როდესაც ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, ან რომელიმე ბუნებისმეტყველის წიგნზე ვსაუბრობთ და მას „ლიტერატურას“ მივაკუთვნებთ.

ლიტერატურის თეორია

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები, ხშირ შემთხვევაში, გარკვეულ ადგილს უთმობენ ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, თეოლოგების, მორალისტების, პოლიტიკოსებისა და თვით ბუნებისმეტყველების რომელიმე სპეციალისტის შესახებ მსჯელობას. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისის ლიტერატურის ისტორია ბერქლისა (Berkeley) და იუმის (Hume), ეპისკოპოს ბატლერისა (Bishop Butler) და გიბონის (Gibbon), ბურკისა (Burke) და ადამ სმიტის (Adam Smith) ნააზრევთა განხილვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტორებს, პოეტებთან, დრამატურგებთან და რომანისტებთან შედარებით, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა, მათ შესახებ მსჯელობა იშვიათად დაიყვანება მათივე თხზულებების მხოლოდ ესთეტიკური ლირებულების განხილვაზე. პრაქტიკაში ამგვარი მსჯელობა მხოლოდ ზერელე და არაპროფესიული მიმოხილვით შემოიფარგლება და სათანადო ვერ ასახავს ამ ავტორთა მოღვაწეობას. მართლაც, ჰიუმიტნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ფილისოფოსი, გიბონი – როგორც ისტორიკოსი, ეპისკოპოსი ბატლერი – როგორც ქრისტიანობისა და ზნეობის დამცველი, ადამ სმიტი კი – როგორც მორალისტი და ეკონომისტი. მაგრამ ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ამ ავტორებს, ტრადიციულად, მხოლოდ ფრაგმენტულად და სათანადო კონტექსტის, მათი საგნის ისტორიის გარეშე განიხილავენ. აქედან გამომდინარე, არ ხორციელდება ფილისოფიის ისტორიის, ეთიკის, ისტორიოგრაფიის და ეკონომიკის თეორიის ნამდვილი გაგება. ლიტერატურის ისტორიკოსი ავტორმატურად როდი გარდაიქმნება ამ დისციპლინათა ისტორიკოსად. ის მხოლოდ და მხოლოდ თავდაჯერებული კომპილატორია, რომელიც უცხო სფეროში იქმნება.

ცალკეული „დიადი წიგნების“ შესწავლა, შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს პედაგოგიური მიზნებისთვის. ჩვენ ყველანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ სტუდენტები, განსაკუთრებით კი დამწყები სტუდენტები, დიად (ან ყოველ შემთხვევაში, კარგ) წიგნებს უნდა კითხულობდნენ და არა კომპილაციებს თუ უჩვეულო ისტორიულ მოვლენათა აღწერებს.² თუმცა, საეჭვოა, რომ ეს პრინციპი გამოსადეგი იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისტორიასა ან სხვა რომელიმე დისციპლი-

ნაში, რომელიც ემყარება ფაქტების შეგროვებას და ცნობილიდან უცნობისკენ მოძრაობას. მხატვრული ლიტერატურის ისტორიის ფარგლებში მხოლოდ დიდებული წაგნებით თუ შემოვიფარგლებით, გართულდება ლიტერატურული ტრადიციის თანმიმდევრობის, ლიტერატურულ უანრთა განვითარების და თავად ლიტერატურული პროცესების ბუნების გაგება. ამას გარდა, ბუნდოვანი გახდება თანმხელები სოციალური, ენობრივი, იდეოლოგიური და სხვა განმაპირობებელი გარემოებანი. ისტორიაში, ფილოსოფიასა და მსგავს საგნებში, ამ პრინციპს, უპირატესად, „ესთეტიკური“ თვალსაზრისი შემოაქვს. როდესაც ყველა ინგლისელ მეცნიერს შორის მხოლოდ თომას ჰაქსლის (Thomas Huxley) გამოვარჩევთ და ვიტყვით, რომ მისი ნაწარმოებების წაკითხვა ღირს, რასაკვირველია, ჩვენს არჩევანს მხოლოდ და მხოლოდ ნათელი „სტილი“ და კომპოზიცია განსაზღვრავს. თუ რამდენიმე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ეს კრიტერიუმი გვაიძულებს, უპირატესობა მივანიჭოთ მეცნიერულ აღმოჩენათა პოპულარიზაციონებს და არა მეცნიერებს, რომელთაც განახორციელეს ეს აღმოჩენები. აქედან გამომდინარე, ჰაქსლი უფრო მნიშვნელოვან მოღვაწედ ნარმოგვიდგება, ვიდრე დარვინი (Darwin), ბერგსონი (Bergson) და კანტი (Kant).

ტერმინ „ლიტერატურის“ არსი ყველაზე უკეთ მაშინ გამოიხატება, როდესაც ის მხოლოდ მხატვრულ სიტყვიერებას, ანუ მხატვრულ ლიტერატურას აღნიშნავს. თუმცა, ტერმინის ამგვარი გამოყენებით გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით; მაგრამ ინგლისურ ენაში მისი ისეთი შესაძლო ალტერნატივები, როგორიცაა „პროზა“ და „პოეზია“, ან ვაწრო მნიშვნელობისაა, ან კიდევ, „მხატვრული ლიტერატურისა“ და „ბელეტრისტიკის“ მსგავსად, ტლანქი და ბუნდოვანია. ისინი, ვინც ენინააღმდეგებიან ტერმინს „ლიტერატურა“ (რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან *litera*), საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებნ იმით, რომ ეს ტერმინი მხოლოდ და მხოლოდ წერილობით ან დაბეჭდილ ლიტერატურას ასახავს, მიუხედავად იმისა, რომ, საყოველთაო აღიარებით, ნებისმიერი თანმიმდევრული კონცეფცია ლიტერატურის შესახებ „ზეპირ-სიტყვიერებასაც“ უნდა გულისხმობდეს. ამ თვალსაზრისით, გერმანული ტერმინი Wortkunst და რუსული *slavesnost* უკეთე-

ლიტერატურის თეორია

სად გამოხატავს ლიტერატურის არსს, ვიდრე მათი ინგლისური შესატყვისი.

ეს პრობლემა ყველაზე მარტივად გადაწყდება მაშინ, თუ განვსაზღვრავთ, რა თავისებურებები ახასიათებს ენას ლიტერატურაში. ენა ლიტერატურის მასალაა, ისევე, როგორც ბრინჯაო — სკულპტურაში, საღებავები — მხატვრობაში ან ბგერები — მუსიკაში. მაგრამ საჭიროა იმის გაცნობიერებაც, რომ ენა, ქვის მსგავსად, მხოლოდ ინერტული მასალა კი არ არის, არამედ ადამიანის მიერაა შექმნილი და, ამდენად, რომელიღაც ენობრივი ჯგუფის კულტურული მექანიზრების მატარებელია.

საჭიროა, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ენის ლიტერატურული, ყოფითი და მეცნიერული გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ მართებულად მიგვაჩინა ომას კლარკ პოლოკის (Thomas Clark Pollock) მიერ ამ საკითხის განხილვა წიგნში „ლიტერატურის ბუნება“ (The Nature of Literature),³ ის მაინც არადამაკაყოფილებლად გვეჩვენება, განსაკუთრებით იქ, სადაც საუბარია ლიტერატურული ენისა და ყოფითი მეტყველების ურთიერთგანსხვავებულობის შესახებ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა და მისი გადაჭრა სულაც არ არის იოლი, რადგან ლიტერატურას, ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, კომუნიკაციის საკუთარი საშუალებები არ გაჩინია და უდავოა, რომ არსებობს ბევრი შერეული და გარდამავალი ფორმა. ლიტერატურული და სამეცნიერო ენის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძნელი როდია. თუმცა, აქ საკმარისი არ არის მხოლოდ „აზრსა“ და „ემოციას“ ან „გრძნობას“ შორის არსებული მარტივი კონტრასტის წარმოჩენა. ლიტერატურისთვის უცხო არაა აზრი, მეორე მხრივ კი ემოციური მეტყველების ელემენტები მხოლოდ ლიტერატურაში როდი გვხვდება: ამის საილუსტრაციოდ საკმარისია წარმოვიდგინოთ, როგორია შეყვარებულების საუბარი, ან ჩვეულებრივი კამათი. მაგრამ იდეალური სამეცნიერო ენა წმინდა „დენოტატური“ ხასიათისაა: მისი მიზანია მიაღწიოს მაქსიმალურად ზუსტ შესატყვისობას წიშანსა და აღსანიშნს შორის. წიშანი მთლიანად პირობითი ხასიათისაა და, ამდენად, შესაძლებელია მისი ჩანაცვლება ეკვივალენტური ნიშნებით. ამას გარდა, ნიშანი გამჭვირვალეა, ანუ ის უშუალოდ და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს რეფერენტზე.

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ენა უახლოვდება წიშანთა ისეთ სისტემებს, როგორებიცაა მათემატიკა ან სიმბოლური

ლიტერატურის ბუნება

ლოგიკა. მისი იდეალია *characteristica universalis*, ანუ ისეთი უნივერსალური ენის შექმნა, რომელზე მუშაობაც ლაიბნიცმა ნამოიწყო ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს. სამეცნიერო ენასთან შედარებით, ლიტერატურული ენა გარკვეულ-ნილად შეიძლება ნაკლოვანი ჩანდეს. მასში დიდია ბუნდოვანების ნილი; ბევრი ისტორიული ენის მსგავსად, მასში უამრავი ომონიმი, პირობითი ნიშანი ან ისეთი არალოგიური კატეგორიაა, როგორიცაა, მაგალითად, გრამატიკული სქესი; ლიტერატურულ ენაში ბევრი ისტორიული მოვლენა, მოვონება და ასოციაციაა შემონახული. ერთი სიტყვით, ლიტერატურული ენა უაღრესად „კონტატურია“. უფრო მეტიც, ლიტერატურული ენა არ ის ნიშანთა მარტოოდენ რეფერენციული სისტემა. მას ექსპრესიული მხარეც აქვს და მოსაუბრის ან ავტორის ინტონაციასა და დამოკიდებულებას გადმოცემს. ის, ამას გარდა, უბრალოდ კი არ ამბობს და გამოხატავს სათქმელს, არამედ მიისწრაფვის, ზეგავლენა მოახდინოს მკითხველის განწყობაზე, მის შეხედულებებზე და, საბოლოო ანგარიშში, გარდაქმნას ის. ლიტერატურულსა და სამეცნიერო ენას შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს: პირველ მათგანში ყურადღება თვით ნიშანზე, სიტყვის ბერით სიმბოლიზმზე გადატანილი. ამ მიზნით უამრავი ისეთი საშუალება იქნა გამოგონებული, როგორიცაა, მეტრი, ალიტერაცია და ბერნერა.

ლიტერატურული ენის განსხვავება სამეცნიერო ენისგან სხვადასხვა ხარისხით ვლინდება სხვადასხვა ტიპის ლიტერატურულ ნაწარმოებებში: მაგალითად, რომანებში ბერნერას გაცილებით უმნიშვნელო როლი განეკუთვნება, ვიდრე ლირიკული პოეზიის ზოგიერთი ქმნილებაში, რომელთა ადეკვატური თარგმნაც ძნელია. ექსპრესიული ელემენტი შედარებით იშვიათად გვხვდება „ობიექტურ რომანში“, სადაც შესაძლოა შეინიღბოს და სულაც არ გამოვლინდეს ავტორის დამოკიდებულება, ე.წ. „პიროვნულ“ ლირიკაში კი ყველაფერი პირიქით ხდება. პრაგმატული ელემენტი, რაც „ჭეშმარიტ“ პოეზიაში ოდნავ თუ შეინიშნება, რომანში ან სატირულსა და დიდაქტიკურ ნაწარმოებებში ფართოდაა გავრცელებული. უფრო მეტიც, ენის ინტელექტუალიზაციის ხარისხი სხვადასხვაგვარია, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე: არსებობს ფილოსოფიური,

ლიტერატურის თეორია

დიდაქტიკური პოემები და პრობლემური რომანები, რომელთა ენა ნაწილობრივ მაინც უახლოვდება მეცნიერულ ენას. როგორი შერეული მოდუსებიც უნდა წარმოაჩინოს რომელმე ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლამ, აშკარაა განსხვავება ენის ლიტერატურულ და სამეცნიერო გამოყენებას შორის: ლიტერატურული ენა ბევრად უფრო მეტად ასახავს ენის ისტორიულ სტრუქტურას; ის ხაზს უსვამს თვით ნიშნისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას და საკუთარი ექსპრესიული და პრაგმატული ასპექტები გააჩნია, სამეცნიერო ენა კი გამუდმებით ცდილობს ამ ელემენტების მინიმუმამდე დაყანას.

უფრო რთულია დავადგინოთ, როთ განსხვავდება ერთმანეთისაგან ლიტერატურული და ყოფითი ენა. ტერმინი „ყოფითი ენა“ ერთმნიშვნელოვანი ცნება როდია: მასში მოიაზრება ენის ისეთი მრავალფეროვანი ვარიანტები, როგორებიცაა სასაუბრო ენა, ვაჭრობისა და კომერციის ენა, ოფიციალური ენა, რელიგიის ენა, სტუდენტური ჟარგონი. მაგრამ საგულისხმოა, რომ ის, რაც ითქვა ლიტერატურული ენის შესახებ, ყოფითი ენის სახესხვაობების მიმართაც სამართლიანია; გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამეცნიერო ენა. ყოფით ენასაც აქვს ექსპრესიული ფუნქცია, თუმცა ის, შესაძლოა, სხვადასხვავარად ვლინდებოდეს — დაწყებული უფერული ოფიციალური განცხადების ენით, და დამთავრებული მგზნებარე მოწოდებებით ემოციური აღგზნების მომენტში. ყოფით ენაში მრავლად გვხვდება ისტორიული ენის ირაციონალური ელემენტები და მნიშვნელობის კონტექსტური ცვლილებები, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ის მიისწნაფვის მეცნიერული სიზუსტისადმი. ყოფით მეტყველებაში თვით ნიშნების გაცნობიერება იშვიათად ხდება. თუმცა, ამგვარი გაცნობიერება ზოგჯერ მაინც იჩენს თავს, მაგალითად, სახელებისა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვათა ბერით სიმბოლიზმში ან კალამბურებში. უდავოა, რომ ყოფითი ენა ყველაზე ხშირად ცდილობს მიაღწიოს გარკვეულ შედეგებს, გავლენა მოახდინოს გარკვეულ მოქმედებებსა და მიმართებებზე. მიუხედავად ამისა, სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს სალაპარაკო ენა მხოლოდ კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებდეს. თუ გავიხსენებთ, რომ ბავშვს სათობით შეუძლია ილაპარაკოს, როცა მსმენელი არ ჰყავს, სრულლოვანი ადამიანებისათვის კი სულაც არ არის

ლიტერატურის ბუნება

უცხო თითქმის უაზრო „ლაქლაქი“, ცხადი გახდება, რომ ხშირად ენის გამოყენება წმინდა კომუნიკაციურ მიზანს არ ემსახურება.

ამდენად, ლიტერატურული ენა უნდა გავმიჯნოთ ყოფითი ენის სახესხვაობებისგან, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით. ენის რესურსების გამოყენება ბევრად უფრო მიზანმიმართულად და სისტემურად ხდება. პოეტის „პიროვნება“ მის ქმნილებებში ბევრად უფრო თანამიმდევრულად და სრულად წარმოჩნდება, ვიდრე ის პიროვნებები, რომელთაც ყოველდღიურ სიტუაციებში ვხვდებით. ზოგიერთი ტიპის პოეზიაში გამიზნულად გამოიყენება პარადოქსი, ორაზროვნება, მნიშვნელობების კონტექსტური ცვლილებები, თვით გრამატიკული კატეგორიების ისეთ ირაციონალური ასოციაციებიც კი, როგორებიცაა სქესი ან დრო. პოეტური ენა აწესრიგებს ყოფითი ენის რესურსებს და ზოგჯერ ერთგვარ ძალადობასაც კი ახორციელებს მათზე, რათა ჩვენი ცნობიერება და ყურადღება მთლიანად ნანარმოებისა და სათქმელისაკენ მიმართოს. მწერალს მრავალი რესურსი უკვე ჩამოყალიბებული ხდება მისი წინამორბედი თაობების ჩუმი და ანონამური მუშაობის შედეგად. ზოგიერთ მეტად განვითარებულ ლიტერატურულში და, განსაკუთრებით ზოგიერთ ეპოქაში, პოეტი მხოლოდ და მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციას მისდევს: ასეთ შემთხვევაში შემოქმედებითი აქტივობა უფრო ენის ფუნქციაა, ვიდრე — თვით ხელოვანისა. მიუხედავად ამისა, ხელოვნების თითოეული ნანარმოები თავისებურად ახდენს მასალის მოწესრიგებას, ორგანიზებასა და გამთლიანებას. მთელ რიგ შემთხვევებში, მაგალითად ბევრ სკეტჩსა და სათავგადასავლო მოთხოვნაში, ეს არც ისე თვალში საცემია, მაგრამ ზოგიერთი პოეტური ნანარმოების სტრუქტურა იმდენად მყარია, რომ ერთი რომელიმე სიტყვის ან სიტყვის ადგილის შეცვლაც კი დააზიანებდა მთლიანობის ეფექტს.

ლიტერატურულ ენასა და ყოფით ენას შორის პრაგმატული განსხვავებების გამოკვეთა ბევრად უფრო იოლია. ყველა ნანარმოებს, რომელიც გარეგანი მოქმედებისკენ გვიბიძგებს, ჩვენ ან უსარგებლო „ლექსებად“, ან — ცარიელ რიტორიკად მივიჩნევთ. ჭეშმარიტი პოეზიის ზემოქმედება გაცილებით მეტი სიფაქიზით გამოირჩევა. ხელოვნება გარკვეულ ჩარჩოს გვთავაზობს, რომლის ფარგლებშიც რეალური სამყაროს განმსაზღვრელი ნიშნები აღარ მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს სემანტიკურ ანა-

ლიტერატურის თეორია

ლიზში ხელახლა უნდა შემოვიტანოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ესთეტიკური პრინციპი, მაგალითად, „განყენებული ჭვრეტა“, „ესთეტიკური დისტანცია“ და „ჩარჩო“. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიყიდეს, რომ განსხვავება ხელოვნებასა და არახელოვნებას, ლიტერატურასა და არალიტერატურულ ენობრივ გამონათქვამს შორის მეტად არამდგრადია და გამუდმებით განიცდის ცვლილებებს. შესაძლოა, ესთეტიკური ფუნქცია პქონდეს სხვადასხვა ტიპის ენობრივ გამონათქვამებსაც. მხოლოდ ლიტერატურის ცნების ვიწრო მნიშვნელობით გაგებისას არის შესაძლებელი მისი ფარგლებიდან პროპაგანდისტული ხელოვნების, ან კიდევ დიდაქტიკური და სატირული პოეზიის გამორიცხვა. არსებობს ისეთი გარდამავალი ფორმებიც, როგორიცაა ესე, ბიოგრაფია და, ხმირ შემთხვევაში, რიტორიკული ლიტერატურის დიდი ნაწილი. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ესთეტიკური ფუნქციის არეალი ხან ფართოვდება, ხან მცირდება: ერთხანს პირადი წერილი და ქადაგება მხატვრულ ფორმებად ითვლებოდა, დღეს კი, როდესაც დაუშვებლად მიიჩნევა უანრთა აღრევა, ესთეტიკური ფუნქციის სფერო შევიწროვდა და ხელოვნების სინმინდეზე გადაიტანეს აქცენტი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს რეაქციას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ესთეტიკისთვის დამახასიათებელი პანესთეტიზმის და მისი მოთხოვნების წინააღმდეგ. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ლიტერატურად მივიჩნევთ მხოლოდ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ესთეტიკური ფუნქცია წარმართველია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთ სრულიად განსხვავებული, არაესთეტიკური დანიშნულების მქონე ნაწარმოებებშიც კი, როგორებიცაა სამეცნიერო მრომები, ფილოსოფიური დისერტაციები, პოლიტიკური პამყლეტები და ქადაგებები, შესაძლოა მონაწილეობდეს ესთეტიკური ელემენტები, მაგალითად, სტილი და კომპოზიცია.

მაგრამ ლიტერატურის ბუნება ყველაზე უკეთ მიმართებითი ასპექტების ფონზე იკვეთება. ლიტერატურული ხელოვნების არსი ვლინდება ისეთ ტრადიციულ უანრებში, როგორებიცაა ლირიკული, ეპიკური და დრამატული ნაწარმოებები. ყოველი მათგანის წყაროს წარმოადგენს წარმოსახვა, გამონაგონი. რომანში, ლექსში ან დრამატულ ნაწარმოებში გამოთქმული აზრები სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, რადგან ისინი

ლიტერატურის ბუნება

არ შეესაბამება სიმართლეს — არ წარმოადგენს ლოგიკურ პრო-პოზიციებს. არსებობს ძირული განსხვავება იმ ორ შემთხვევას შორის, როდესაც რომელიმე ფაქტობრივ მოვლენას ვეცნობით, ერთი მხრივ, ისტორიულ ნანარმოებში ან ბალზაკის (Balzac) რო-მანში და, მეორე მხრივ, ისტორიის ან სოციოლოგიის სახელმძღვანელოში. სუბიექტურ ლირიკაშიც კი პოეტის „მე“ წარმოსახული, დრამატული „სუბიექტია“. რომანის გმირი განსხვავდება ისტორიული ფიგურისაგან ან რეალური ადამიანისგან. რომანის გმირის სახე წარმოგვიდება მხოლოდ იმ წინადადებების მეშვეობით, რომლებითაც ის ხასიათდება ნანარმოებში ან რომლებ-საც ავტორი ათქმევინებს მას. ამგვარ გმირს არც წარსული აქვს, არც მომავალი და ზოგჯერ არც მისი ცხოვრება წარმოგვიდება სრულად. ეს ელემენტარული დაკვირვება ცხადყოფს, რომ აზრს-მოკლებულია კრიტიკოსთა ის ნაშრომები, რომლებშიც საუბარია ვიტენბერგში ჰამლეტის ცხოვრების შესახებ, ჰამლეტზე მამის ზემოქმედების თაობაზე, აგროვე — გამხდარი და ახალგაზრდა ფალსტაფის, „შექსპირის გმირი ქალთა სიყმანვილის“ ან „ლედი მაკბეტის შვილების რაოდენობის შესახებ“.⁴ რომანის დრო და სივრცე არ ემთხვევა რეალური ცხოვრების დროსა და სივრცეს. თვით ყველაზე რეალისტური რომანი ან ნატურალისტური ნანარ-მოებიც კი, რომელიც თითქოსდა პირდაპირ ცხოვრებიდანაა გადმოლებული, გარკვეული მხატვრული ტრადიციების მიხედ-ვით აიგება. შორეული ისტორიული პერსპექტივიდან ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელი ხდება, თუ რამდენად ერთგვაროვანია ნატურალისტური რომანები თემების, პერსონაჟთა დახასიათების ხერხების, მოვლენათა შერჩევისა და დიალოგთა აგების საშუალებების მიხედვით. ზუსტად ასევე, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ყველაზე ნატურალისტური დრამის შემთხვევებშიც კი პირობითობა თავს იჩენს არა მხოლოდ სცენური ჩარჩოს გააზრებაში, არამედ იმაშიც, თუ როგორ არის შერჩეული და გადმოცემული სივრცე და დრო, თითქოსდა ყველაზე რეალისტური დიალოგები და პერ-სონაჟების გადაადგილება სცენაზე (რაც შეეხება რომანის დრო-სთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, იხ. ედვინ მუირის (Edwin Muir) ნიგნი “რომანის სტრუქტურა” (The Structure of the Novel”), ლონ-დონი, 1928. ბოლო პერიოდში (ნანილობრივ ეგზისტენციალური ფილოსოფიის გავლენით), მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა

ლიტერატურის თეორია

ლიტერატურაში დროის პრობლემას. იხ. ა. ა. მენდილოუს (A. A. Mendilow) წიგნი „დრო და რომანი (Time and the Novel), ლონდონი, 1952; ჰანს მეიერპოფის (Hans Meyerhoff) „დრო ლიტერატურაში“ (Time in Literature).⁵ რა მნიშვნელოვანი განსხვავებებიც უნდა იყოს შექსპირის „ქარიშხალსა“ (The Tempest) და იბსენის (Ibsen) „თოვჯინების სახლს“ (A Doll's House) შორის, მათ საერთო დრამატული ტრადიცია აკავშირებს.

თუკი „მხატვრულობას“, „გამოგონებას“, ან „წარმოსახვას“ ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებებად მივჩინევთ, მაშინ ლიტერატურას უნდა მივაკუთვნოთ ჰომეროსის (Homer), დანტეს (Dante), შექსპირის (Shakespeare), ბალზაკის, კიტსის (Keats) შემოქმედება და არა ციცერონის (Cicero), მონტენის (Montaigne), ბოსიუეს (Bossuet) ან ემერსონის (Emerson) ობზულებები. რასაკირველია, არსებობს „ზღვრული“ შემთხვევებიც (მაგალითად, პლატონის (Plato) „რესპუბლიკა“ (Republic), რომლებიც უდავოდ შეიცავს (ყოველ შემთხვევაში, როდესაც საუბარია დიდი მითების შესახებ) „გამონაგონის“ ან „მხატვრულობის“ ელემენტებს, მიუხედავად მისა, რომ ამგვარი ნაწარმოებები, უნინარესად, ფილოსოფიური ხასიათისაა. ლიტერატურის შესახებ ამგვარი თვალსაზრისი აღნერითია და არა შემფასებლური. თუ რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოების შესახებ ვიტყვით, რომ იგი რიტორიკული ან ფილოსოფიური ხასიათისაა ან პოლიტიკური პამფლეტის უანრს განეკუთვნება, ეს სულაც არ დააკნინებს მის ლირისებებს. მეორე მხრივ, აქ შესაძლოა ნამოიჭრას ესთეტიკური ანალიზის, სტილისტიკის და კომპოზიციის პრობლემები, რაც ლიტერატურის მიერ ნამოჭრილი პრობლემის მსგავსი ან იდენტურია, თუმცა ამ უანრების საფუძველს არ წარმოადგენს მხატვრულობის უმთავრესი თვისება — გამონაგონი. ამდენად, ჩვენი კონცეფციით, ლიტერატურა მოიცავს ყველა ტიპის მხატვრულ ნაწარმოებებს, მათ შორის, ყველაზე მდარე რომანებს, ლექსებს და დრამატულ ქმნილებებს. კლასიფიკაციის ხელოვნება უნდა გაიმიჯნოს შეფასებისაგან.

აქ თავიდან უნდა ავიცილოთ ერთი ტრადიციული გაუგებრობა. ხშირ შემთხვევაში „მხატვრული ლიტერატურა“ მხატვრულ სახეებს საერთოდ არ მიმართავს ხოლმე. პოეტური ენა მთლიანად ხატოვანია, დაწყებული უმარტივესი პოეტური ხერ-

ლიტერატურის ბუნება

ხებით და დამთავრებული ბლეიკისა (Blake) და იეტსის (Yeats) პოეზიისთვის ნიშანდობლივი მონოლითური და ყოვლისმომცველი მითოლოგიური სისტემებით. თუმცა, მხატვრული სახეები პროზის და, ამდენად, მთლიანად ლიტერატურის არსებითი თვისება არ არის. ბევრ კარგ ლექსში ერთ მხატვრულ სახესაც კი ვერ ნახავთ; უფრო მეტიც, არსებობს ე. წ. „განცხადების პოეზიაც“⁶

ამას გარდა, ხატოვანება უნდა გავმიჯნოთ უშუალო, გრძნობადი და ვიზუალური ხატებისაგან. ჰეგელის გავლენით, მეცხრამეტე საუკუნის ესთეტიკოსები, მაგალითად, ფიშერი (Vischer) და ედუარდ ფონ ჰარტმანი (Edward von Hartmann) ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი ხელოვნება „იდეის გრძნობად გამოვლენას“ წარმოადგენს, ხოლო მეორე სკოლა (ფიდლერი (Fiedler), ჰილდებრანდი (Hildebrand), რილი (Riehl)) მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი ხელოვნება „წმინდა მჭვრეტელობაა“. ⁷ მიუხედავად ამისა, დიდი ლიტერატურა გრძნობად სახეებს არ წარმოქმნის აღმქმელის ცნობიერებაში ან თუ წარმოქმნის, მხოლოდ შემთხვევით, დროდადრო და გაუცნობიერებლად.⁸ მხატვრული პერსონაჟებს ასახვისას კი მწერალმა, შესაძლოა, საერთოდ არ გამოიყენოს ვიზუალური ხატები. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობთ დოსტოევსკის ან ჰენრი ჯეიმსის პერსონაჟების სულიერ მდგომარეობას, მათ მოტივებს, შეფასებებს, დამოკიდებულებებსა და სურვილებს, გაგვიჭირდება მათი წარმოდგენა ვიზუალურად.

მწერალი უმეტესწილად გამოყოფს სქემატურ მონახაზს ან ერთადერთ ფიზიკურ ნიშანს – ამგვარ ტექნიკას ხშირად იყენებენ ტოლსტოი (Tolstoy) და თომას მანი (Thomas Mann). ის, რომ ხშირად არ გვსურს წიგნში ილუსტრაციების ხილვა, მაშინაც კი, როდესაც ისინი კარგი მხატვრების, ზოგჯერ კი თავად ავტორის მიერაა შექმნილი (მაგ., თეკერეი (Thackeray), ცხადყოფს, რომ ავტორი მხოლოდ სქემატურ მონახაზს გვთავაზობს და ის ბოლომდე არ უნდა იქნეს შევსებული დეტალებით.

პოეზიაში გამოიყენებული ყველა მეტაფორის ვიზუალიზაცია რომ მოგვეხდინა, სულ აგვებნეოდა თავგზა. არიან მეითხველები, რომლებიც ხშირად მიმართავენ ვიზუალიზაციას და ზოგიერთი ლიტერატურული პასაჟი ამას თავისთავად ითხოვს, მაგრამ ეს ფსიქოლოგიური საკითხია, რომელიც პოეტის მიერ შექმნილ მე-

ლიტერატურის თეორია

ტაფორათა ანალიზის ხერხებში არ უნდა ავურიოთ. ეს ხერხები მნიშვნელოვანნილად იმ გონებრივი პროცესების მონესრიგებას ისახავენ მიზნად, რომელიც ლიტერატურის ფარგლებს გარეთაც მიმდინარეობს. ამდენად, მეტაფორა ჩვენს ყოფით მეტყველებაში, უმეტესწილად, ფარული სახით მონაწილეობს, ჟარგონსა და ხალხურ ანდაზებში კი — აშკარად იჩენს თავს. მეტაფორული გადატანის გზით ფიზიკური ურთიერთმიმართებები ყველაზე აბსტრაქტული ცნებების (შემცნება, განსაზღვრა, გამორიცხვა, არსი, სუბიექტი/საგანი, ჰიპოთეზა) მეშვეობით გამოიხატება. პოეზია ენის ამ მეტაფორულ ბუნებას განახლებს და ხელშესახებს ხდის ჩვენთვის. ამას გარდა, პოეზია იყენებს ჩვენი ცივილიზაციის (მისი კლასიკური, ტევტონური, კელტური და ქრისტიანული პერიოდების) სიმბოლოებსა და მითებს.

ყველა ის განსხვავება ლიტერატურასა და არალიტერატურას შორის, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, — მასალის ორგანიზაცია, ექსპრესია, კომუნიკაციის საშუალებათა გაცნობიერება და გამოყენება, პრაქტიკული მიზნის არარსებობა და, რასაცირველია, გამონაგონი, — სემანტიკური ანალიზის ფარგლებში ისეთი უძველესი ესთეტიკური ტერმინების გამორჩევას წარმოადგენს, როგორებიცაა „ერთიანობა სიმრავლეში“, „განყენებული ჭრეტა“, „ესთეტიკური დისტანცია“, „ჩარჩო“ და „გამონაგონი“, „წარმოსახვა“ და „შემოქმედება“. თითოეული მათგანი ლიტერატურული წარმოების ერთ რომელიმე ასპექტს, მისი სემანტიკური სტრუქტურის ერთ რომელიმე მახასიათებელს ასახავს. არც ერთი მათგანი თავისითავად საკმარისი არ არის. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული წარმოები არის არა მარტივი, არამედ რთული, მრავალშრეობრივი, მაღალორგანიზებული ობიექტი, რომელიც მრავალი მნიშვნელობითა და მრავალი მიმართებით ხასიათდება. ტრადიციული ტერმინი „წარმოების ორგანიზმი“, გარკვეულწილად, დამაბნეველია, რადგან ის ხაზს უსვამს მხოლოდ ერთ ასპექტს, ანუ „ერთიანობას სიმრავლეში“, და მიმართავს უსარგებლო ბიოლოგიურ პარალელებს. დამაბნეველია, აგრეთვე, ტერმინი „შინაარსისა და ფორმის ერთიანობა“ (მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ფორმულირება ხელოვნების წარმოების შიგნით არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს), იმდენად, რამდენადაც მეტისმეტად ამარტივებს

ლიტერატურის ბუნება

საკითხს. ის ქმნის ილუზიას, თითქოს ნაწარმოების ნებისმიერი ელემენტის ანალიზი, იქნება ეს შინაარსი თუ ტექნიკა, ერთნაირად სასარგებლო შეიძლება იყოს და, ამდენად, გვათავისუფლებს იმის აუცილებლობისაგან, რომ ეს ნაწარმოები აღვიქვათ როგორც მთლიანობა. ტერმინები „შინაარსი“ და „ფორმა“ იმდენად ფართო მნიშვნელობით გამოიყენება, რომ შეუძლებელია მათი უბრალო შეპირისპირება ნაყოფიერი აღმოჩნდეს. და მართლაც, დეტალური განმარტების შემდეგაც კი, ეს ტერმინები მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოების მარტივ დიქონტომიას ასახავენ. ხელოვნების ნიმუშის თანამედროვე ანალიზი ისეთი რთული კითხვებით უნდა დაიწყოს, როგორიცაა მისი არსებობის მოდუსი და შინაგანი მრავალ-შრეობრივი სისტემა.⁹

თავი მესამე ლიტერატურის ფუნქცია

*

ლიტერატურის ბუნება და ფუნქცია ნებისმიერ ლოგიკურად გამართულ დისკურსში ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს. პოზიტივული ფუნქცია მისი ბუნებიდან გამომდინარეობს: ნებისმიერი საგანი ან საგანთა კლასი ყველაზე ეფექტიანად და გონივრულად სწორედ მაშინ გამოიყენება, როდესაც გათვალისწინებული მისი ბუნება ან ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება. დამატებით ფუნქციას ის მხოლოდ მაშინ იძენს, როცა პირველად ფუნქციას ყავლი გასძის: ძველი სართავი ჯარა ხშირად გამოიყენება დეკორატიული დანიშნულებით, ოთხუთხა პიანინო კი, რომელმაც ბეჭერების გამოცემის უნარი დაკარგა, შეიძლება სამუშაო მაგიდად იქცეს. სწორედ ასევე, საგნის ბუნებაც მისი დანიშნულების შესაბამისა: საგანი სწორედ ისაა, რისთვისაც ის განკუთვნილია. ადამიანის მიერ შექმნილი რაიმე ნივთი იქმნება გარკვეული ფუნქციის რეალიზებისთვის, აგრეთვე — დამატებითი ფუნქციებისთვის, რასაც თვით მასალის შესაძლებლობები და ინდივიდუალური გემოგნება განაპირობებს. ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეიძლება იყოს ბევრი ისეთი რამ, რაც მისი ლიტერატურული ფუნქციისთვის არ არის არსებითი, თუმცა საინტერესო და საგულისხმოა სხვა თვალსაზრისით.

შეიცვალა თუ არა თვალსაზრისი ლიტერატურის ბუნებისა და დანიშნულების შესახებ ისტორიის განმავლობაში? ეს არ გახდავთ მარტივი შეკითხვა. თუკი ისტორიას თვალს მივადევნებთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს; შეიძლება გავიხსენით უძველესი დრო, როცა ლიტერატურა, ფილოსოფია და რელიგია განუყოფელი იყო: ანტიკური ეპოქიდან შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ესქილე (Aeschylus) და ჰესიოდე (Hesiod). მაგრამ პლატონი უკვე საუბრობს პოეტებსა და ფილოსოფოსებს შორის არსებული უძველესი განხეთქილების შესახებ და ჩვენთვის დღეს უკვე გასაგებია, რისი თქმა სურს მას. გარდა ამისა,

ლიტერატურის ფუნქცია

გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, ერთი მხრივ, მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრებულ პოპულარულ დოქტრინას, რომლის მიხედვით, „ხელოვნება ხელოვნებისთვისაა“, მეორე მხრივ კი უფრო გვიანდელ, *poésie pure-is*, ანუ „ნმინდა პოეზიის“ თვალსაზრისს. ეფგარ პო “დიდაქტიკურ ერესს” უნოდებდა იმ თვალსაზრისს, რომ პოეზია შეგონების ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს თვალსაზრისი არ უნდა გვაკიციოთ ტრადიციულ რენესანსულ დოქტრინასთან, რომლის მიხედვითაც პოეზია ტკბობისა და შემეცნების წყაროა, ან ტკბობის მინიჭების გზით ცოდნას აწვდის მკითხველს.

საერთოდ, თუ გადავხედავთ ესთეტიკის ან პოეტიკის ისტორიას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ლიტერატურის ბუნება და ფუნქცია, თუ მათ სხვა ადამიანურ მოქმედებებთან და ღირებულებებთან შედარება-შეპირისპირების მიზნით ფართო კონცეპტუალური ტერმინებით გამოვხატავთ, არსებითად არ შეცვლილა.

ესთეტიკის ისტორია შეიძლება დავიყვანოთ დიალექტიკურ დაპირისპირებამდე, რომელშიც თეზისა და ანტითეზისს წარმოადგენს ჰორაციუსის (*Horace dulce* (საამური) და *utile* (სასარგებლო): პოეზია საამურიცაა და სასარგებლოც. უთუოდ შევცდებით, თუკი ჩავთვლით, რომ პოეზია უნდა იყოს მხოლოდ სასარგებლო ან მხოლოდ საამური. იქნებ, უფრო მარტივი იყოს, *dulce et utile* ერთმანეთს მივუსადაგოთ პოეზიის ფუნქციის და არა მისი ბუნების შესაბამისად. შეხედულება, რომლის თანახმად, პოეზია გვანიჭებს სიამოვნებას (რომელიც არ განსხვავდება ნებისმიერი სხვაგვარი სიამოვნებისგან), ისევე მცდარია, როგორც თვალსაზრისი, თითქოს პოეზია რაღაცას გვასწავლის (რითაც ის ნებისმიერ სახელმძღვანელოში არსებულ მითითებებს ენათესავება).¹ მოსაზრება, რომლის თანახმად, ყველანაირი პოეზია არის ან უნდა იყოს პროპაგანდა, ანალოგიურია თვალსაზრისისა, რომლის მიხედვით, პოეზია წარმოადგენს ან უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ხატოვანებას ან ბგერწერას, ანუ პირობით ფიგურას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ადამიანურ გრძნობებთან. ამ ორი საპირისპირო თეზისის ნიუანსები ყველაზე უკეთ აღბათ ისეთი თვალსაზრისებში ვლინდება, რომელთა მიხედვითაც ხელოვნება, ერთი მხრივ „თამაშია“, მეორე მხრივ — „შრომა“ (მხატვრული თხზვის

ლიტერატურის თეორია

„ხელობა“, ხელოვნების „ნაწარმოები“). ცალ-ცალკე განხილვისას, ამ თვალსაზრისთაგან არც ერთი არაა მისაღები. როცა ამ-ბობენ, რომ პოეზია „თამაში“, ერთგვარი სპონტანური გართობაა, ვგრძნობთ, რომ ამით აკინებენ ხელოვანის გულმოდგინებას, ოსტატობასა და ჩანაფიქრს, ისევე, როგორც თავად ლექსის ლი-რებულებასა და მნიშვნელობას; მაგრამ როცა გვეუბნებიან, რომ პოეზია „შრომა“ ან „ხელობაა“, ვგრძნობთ, რომ უგულებელყოფენ პოეზის თვისებას, სიხარული მიანიჭოს მკითხველს (ანუ იმას, რასაც კანტმა „უმიზნობა“ (purposelessness) უწოდა). ხელოვნების ფუნქციის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც მისთვის დამახასიათებელი დულცე, ისე *utile*.

დასაწყისისთვის, შესაძლოა, თავად ჰორაციუსის ფორმუ-ლამ გაგვიწიოს მნიშვნელოვანი სამსახური. თუ გავიხსენებთ, რომ კრიტიკული ტერმინების გამოყენებისას სიზუსტის დაცვა ბოლო-დროინდელი ტენდენციაა, შეგვიძლია იმდენად განვავრცოთ ჰორაციუსის ტერმინები, რომ მათ მოიცავან როგორც რომაული, ისე რენესანსის პერიოდის პოეტთა შემოქმედებითი პრაქტიკა. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ხელოვნების როგორც სასარგებლო საქმიანობის გაგება ენინააღმდეგება იმ ზნებრივ პრინციპს, რომელმაც, ლე ბოსიუს (Le Bossu) აზრით, ჰომეროსს „ილიადა“ (Iliad) დაანერინა, ან რომელიც ჰეგელმა (Hegel) თავის საყვარელ ტრაგედიაში — „ანტიგონეში“ — აღმოაჩინა. ტერმინი „სასარგებ-ლო“ მიუთითებს, რომ არ ხდება „დროის უქმად ფლანგვა“, „დროს ტარება“, ანუ აქ საუბარია ისეთ რამეზე, რაც სერიოზულ ყურად-ლებას იმსახურებს. ტერმინი „საამური“ კი აღნიშნავს „არამოსან-ყენს“, „არასავალდებულოს“, „იმას, რაც თავად წარმოადგენს სა-კუთარი თავის გამართლებას“.

აქ ჩნდება შემდეგი კითხვა: შეგვიძლია თუ არა, რომ ამ ორ-მაგი კრიტერიუმის საფუძველზე განვასაზღვროთ ლიტერატურა, თუ ეს უფრო მეტად დიადი ლიტერატურის კრიტერიუმია? ძველი დროის ესთეტიკურ პაექრობებში განსხვავება დიდებულ, კარგ და „მდარე“ ლიტერატურას შორის იშვიათად ვლინდება. საკამათო არაა, რომ მდარე ლიტერატურა (ანუ ე.ნ. იაფთასიანი ჟურნალები) არც „სასარგებლოა“ და არც „დიდაქტიკური“. ხშირად მიიჩნევენ, ამგვარი ლიტერატურა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის იქმ-ნება, რომ „მოწყვიტოს“ მკითხველი არასასურველ სინამდვილეს

ლიტერატურის ფუნქცია

ან „გაართოს“ის. მაგრამ ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა „კარგი ლიტერატურის“, არამედ მდარე ლიტერატურის მკითხველის თვალსაზრისიდან გამომდინარე. მორტიმერ ადლერის (Mortimer Adler) აზრით, თვით ყველაზე ნაკლებად ინტელექტუალური რომანის მკითხველს შემეცნების ჩანასახობრივი სურვილი მაინც ამოძრავებს. რაც შეეხება „გასართობ ლიტერატურას“, კენეტ ბერქმა (Kenneth Burke) შეგვახსენა, რომ ამგვარი განსაზღვრა შეიძლება სრულიად უსაფუძღლო აღმოჩნდეს. ამგვარი ლიტერატურის მეშვეობით მკითხველმა შეიძლება გაიცნობიეროს საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება თავისი გარემოცვის მიმართ. მაშინაც კი, როცა ხელოვანი მხოლოდ და მხოლოდ მოუწოდებს მკითხველს, გაატაროს დღე მდინარე მისისიბის ნაპირას, მან შეიძლება ბიძგი მისცეს ამგვარ პროცესებს.²

ალბათ ყველაზე მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ნებისმიერი ხელოვნება „საამურიცა“ და „სასარგებლოც“ იმათ-თვის, ვისაც მისი სათანადოდ გამოყენება შეუძლია. ის, რასაც ხელოვნება გამოხატავს, აღემატება ცალკეული მკითხველისა თუ მსმენელის ფიქრსა და ოცნებას; ხელოვნება ხელოვანის ოსტატობის წყალობით სიამოვნებას ანიჭებს რეციპიენტს იმით, რომ მისი ინდივიდუალური ფიქრისა და ოცნების მსგავს რეალობას ასახავს, რითაც შვებას ჰგვრის მას.

ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელიც სრულად შეესაბამება თავის ფუნქციას, სასიამოვნო და სასარგებლო უბრალოდ კი არ თანაარსებობენ, არამედ ერთმანეთს ერწყმიან. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურით მონიჭებული ტკბობა განსაკუთრებულ, „მაღალ ტკბობას“ ნარმოადგენს — მისი წყარო მაღალი ტიპის ქმედებაა, კერძოდ, ჭვრეტა, რომელიც არავითარ მატერიალურ სარგებელს არ უკავშირდება. რაც შეეხება ლიტერატურის გამოყენებით ასპექტს – სერიოზულობასა და დიდაქტიკურობას, აქაც ისეთ „საამურ“ სერიოზულობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ვალდებულებათაგან თავისუფალია და ესთეტიკური აღქმის სერიოზულობას ეფუძნება. ხელოვნებისადმი რელატივისტური მიდგომის მომხრეს, რომელსაც რთული თანამედროვე პოეზია მოსწონს, ყოველთვის შეუძლია ესთეტიკური თვალსაზრისი არაფრად ჩააგდოს და თავისი პოზიცია იმით დაასაბუთოს, რომ მისი არჩევანი პიროვნული გემოვნების საკითხია. განათლების

ლიტერატურის თეორია

სფეროში მოღვაწე ადამიანმა შეიძლება არასწორი დასკვნა გააკეთოს და ჩათვალის, რომ რომელიმე დიდი პოემა ან რომანი იმდენადაა სერიოზული, რამდენადაც ის მკითხველს რამე ლირებულ ისტორიულ ინფორმაციას ან ზნეობრივ გაკვეთილს აწვდის.

აქ უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: აქვს თუ არა ლიტერატურას ფუნქცია, ან ფუნქციები? ნიგნში „კრიტიკოსთა სახელმძღვანელო“ ბოესი (Boas) ირონიულად აცხადებს, რომ არსებობს ნაირგვარი ინტერესები და, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის კრიტიკა; ხოლო ელიოტი თავისი ნაშრომის — „პოეზიის დანიშნულება და კრიტიკის დანიშნულება“ — ბოლოს სევდიანად ასკვნის, რომ „პოეზია მრავალგვარია“ და სხვადასხვა ეპოქაში პოეზიის სხვადასხვა სახეობები ნაირგვარ მიზნებს ემსახურებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევებია. ლიტერატურისადმი სერიოზული მიდგომა გულისხმობს (ყოველ შემთხვევაში ტრადიციულად მაინც) იმის აღიარებას, რომ მას გარკვეული დანიშნულება აქვს. რაც შექება არნოლდის (Arnold) თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ პოეზია შეიძლება რელიგიასა და ფილოსოფიას ჩაენაცვლოს, ელიოტი წერს: „... არც ამქვეყნად და არც იმ ქვეყნად არაფერი არაფერს არ ენაცვლება“.³ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც ერთი კატეგორიის ლირებულებას არ გააჩნია ჭეშმარიტი ეკვივალენტი. შემცვლელები არ არსებობს. რეალურად, შესაძლოა, ლიტერატურა ბევრ რასმე შეენაცვლოს — მაგალითად, კითხვის დროს ჩვენ თითქოს ვმოგზაურობთ და უცხო ქვეყნებს ვეცნობით, განვიცდით იმას, რაც არ განგვიცდია, აღიქვამთ სხვა ადამიანის ცხოვრებას ისე, თითქოს ეს ჩვენი ცხოვრება იყოს. ამას გარდა, მთელ რიგ შემთხვევებში ისტორიკოსებისთვის ლიტერატურა სოციალურ დოკუმენტს წარმოადგენს. მაგრამ აქვს თუ არა ლიტერატურას საკუთარი — უნიკალური — დანიშნულება, თუ ის წარმოადგენს ფილოსოფიის, ისტორიის, მუსიკისა და მხატვრული ხერხების ნაერთს, რომელიც თანამედროვე პირობებში შეიძლება დაიშალოს შემადგენლ ნაწილებად? სწორედ ეს არის მთავარი საკითხი.

ლიტერატურის დამცველები იტყვიან, რომ ლიტერატურა ყოველთვის აუცილებელი იქნება და არ მიიჩნევენ მას უძველესი დროის გადმონაშთად. ეს თვალსაზრისი მისაღებია იმათთვისაც, ვინც არც პოეტია, არც სიტყვიერების მასწავლებელი. ლი-

ლიტერატურის ფუნქცია

ტერატურის უნიკალური ღირებულების აღიარება აუცილებელია ყველა იმ თეორიისთვის, რომელიც იკვლევს ღირებულების არსს. მსგავსი თეორიები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ ლიტერატურის ამ სპეციფიკურ მხარეს.

ერთ-ერთი თანამედროვე თვალსაზრისის მიხედვით, პოეზია სასარგებლო და სერიოზულია იმდენად, რამდენადაც ის გარკვეულ ცოდნას იძლევა. პოეზია ცოდნის ფორმა. არისტოტელე რაღაც ამგვარს ამტკიცებდა თავისი იმ ცნობილი გამონათქვამით, რომ პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია, რადგანაც ისტორია „მომხდარ მოვლენებს აღწერს, პოეზია კი მოგვითხრობს იმ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო“, ანუ — ზოგადზე და შესაძლებელზე. თუმცა ამჟამად, როდესაც ისტორია, ლიტერატურის მსგავსად, წარმოადგენს თავისუფალ დისკიპლინას, რომელშიც ვერ ნახავთ ზუსტ დეფინიციებს და რომლის მეტოქებს ახლა უკვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოადგენენ, გამოაშკარავდა, რომ პოეზია ყურადღებას ამახვილებს ისეთ დეტალებზე, რომლებიც ტრადიციულად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ფილოსოფიის ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე. თუ ნეოკლასიცისტ თეორეტიკოსებს, მაგალითად, დოქტორ ჯონსონს, ჯერ კიდევ შეეძლო ემსჯელა იმის შესახებ, რომ პოეზია „ზოგადის დიდებულებას“ წარმოადგენს, სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელი თანამედროვე თეორეტიკოსები (მაგალითად, ბერგსონი, გილბი (Gilby), რენსომი (Ransom) და სტეისი (Stace), ერთხმად აღნიშნავენ, რომ პოეზია ასახავს კერძოობითს. მაგალითად, სტეისი ამტკიცებს, რომ შექსპირის „ოტელოში“ (Othello) ასახულია არა ზოგადად ეჭვიანობა, არამედ ოტელოს ეჭვიანობა, ანუ ისეთი გრძნობა, რომელიც შეიძლებოდა გასჩენოდა მხოლოდ ვენეციელ ქალზე დაქორნინებულ მავრს.⁴

რა წარმოადგენს ლიტერატურის საგანს — ზოგადი თუ კერძოობითი? ლიტერატურის თეორია და მისი დამცველები, როგორც წესი, ან ერთ თვალსაზრისს ემსრობიან, ან მეორეს. შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა უფრო ზოგადია, ვიდრე ისტორია და ბიოგრაფია, მაგრამ უფრო კერძოობითი ხასიათისაა, ვიდრე ფსიქოლოგია ან სოციოლოგია. მაგრამ ლიტერატურულ თეორიის ცვალებად დებულებათა გარდა, არსებობს სხვა საგულისხმო ფაქტორებიც. ლიტერატურულ პრაქტიკაში ზოგადისა თუ კერძოს

ლიტერატურის თეორია

ურთიერთმიმართება ამა თუ იმ ნაწარმოებში ან ისტორიულ პერიოდში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, პილიგრიმი და ევრიმენი (Everyman) შეიძლება განასახიერებდნენ მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჯონსონის „ეპისინის“ (Epicoene) „იუმორისტი“ მოროუზი (Moroze) მეტად უჩვეულო და თავისებური ადამიანია. დახასიათების პრინციპი ლიტერატურაში ყოველთვის მოითხოვდა „ტიპიურის“ შერწყმას „ინდივიდუალურთან“ — ინდივიდში წარმოაჩენდა ტიპს, ტიპში კი — ინდივიდს. ამ პრინციპის ან მის საფუძველზე წარმოშობილი კანონების განმარტების მცდელობები უნაყოფო აღმოჩნდა. ლიტერატურული ტიპების კლასიფიკაცია მომდინარეობს პორაციუსის დოქტრინიდან „დეკორუმის“ შესახებ და რომაული კომედიის ტიპებიდან (მაგ., ტრაპახა ჯარისკაცი, ძუნი კაცი, მფლანგველი და შეყვარებული ვაჟიშვილი, სანდო მსახური). მეტივიდმეტე საუკუნის ქარაქტეროლოგიურ წიგნებსა და მოლიერის კომედიებში ასევე ვალყდებით ჩვეულ ტიპებს. მაგრამ შეიძლება თუ არა ტიპთა თეორიის ფართოდ გამოყენება? არის თუ არა ჯულიეტას გადია „რომეოსა და ჯულიეტაში“ (Romeo and Juliet) ტიპი? და თუ ასეა, რისი ტიპიზაცია ხდება ამ სახეში? წარმოადგენს თუ არა ჰამლეტი ტიპს? როგორც ჩანს ასეა, დოქტორი ტიმოთი ბრაიტის (Dr Timothy Bright) განმარტებით, დედოფალი ელისაბედის დროინდელი მაყურებლისათვის, ის მელანქოლიური ტიპია. მაგრამ მელანქოლიის გარდა, მას სხვა თვისებებიც ახასიათებს. ჰამლეტის მელანქოლია განსაკუთრებული მიზეზებიდან მომდინარეობს და განსაკუთრებულ პირობებში ვითარდება. გარკვეული თვალსაზრისით, ხასიათი, რომელიც ინდივიდუალური და, იმავდროულად, ტიპურიცაა, არაერთ ტიპს მოიცავს თავის თავში: ჰამლეტი არის მიჯნური, ან ყოფილი მიჯნური, სწავლული, დრამის ხელოვნებაში გათვითცნობიერებული ადამიანი და კარგი მოფარიკავე. ევრიმენი სხვადასხვაგვარ ტიპებს აერთიანებს თავის თავში. ე.ნ. სახასიათო ტიპები „ერთგანზომილებიან“ ტიპებად მიიჩნევა, ისევე, როგორც ჩვენ „ერთგანზომილებიან“ ადამიანებად მიიჩნევთ იმათ, ვისთანაც მხოლოდ ერთი გარკვეული სახის ურთიერთობა გვაკავშირებს; „მოცულობით“ ხასიათებს, რომლებიც სხვადასხვაგვარ თვალსაზრისებსა და ურთიერთობებს მოიცავენ, სხვა კონტექსტში გვიჩვენებენ, მაგ., საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში, უცხოეთში მოგზაურობისას.⁵

ლიტერატურის ფუნქცია

დრამასა და რომანებს, ყველაფერთან ერთად, შემეცნებითი ლირებულებაც აქვთ. საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, „რომანისტებს მეტი შეუძლიათ ასწავლონ ადამიანს ადამიანის ბუნების შესახებ, ვიდრე ფსიქოლოგებს“. ჰორნი (Horney) მიიჩნევს, რომ დოსტოევსკი, შექსპირი, იბსენი და ბალზაკი ცოდნის ამოუწურავ წყაროს წარმოადგენენ. ი. მ. ფორსტერი (E. M. Forster) („რომანის ასპექტები“ – „Aspects of the Novel“) საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ მხოლოდ იშვიათად თუ შეგვიძლია ჩავწვდეთ ადამიანთა შინაგან ცხოვრებასა და მოტივაციებს.⁶ ამდენად, მისი აზრით, სწორედ რომანის დიდი დამსახურებაა ის, რომ მისი მეობებით წარმოჩნდება პერსონაჟების ინტროსპექციული ცხოვრება. შესაძლოა, პერსონაჟების შინაგანი ცხოვრების აღნერა ემყარება ავტორის ფხიზელ თვითდაკვირვებას. შეიძლება მისი თქმაც, რომ დიდი რომანები ფსიქოლოგებისთვის ცოდნის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, რომანებში მოთხოვნილი ცალკეული შემთხვევები ლირებული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგრამ აյ უნდა დაეუბრუნდეთ იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგები რომანს მხოლოდ მასში გამოკვეთილი განზოგადებული ტიპური ლირებულების გამო კითხულობენ. მაგალითად, ფსიქოლოგი განიხილავს მამა გორიოს (Père Goriot) ხასიათს მოქმედების საერთო ადგილიდან (ვოკეს სახლიდან – the Maison Vauquer) და სხვა პერსონაჟებთან მისი დამოკიდებულებებიდან გამომდინარე.

მაქს ისტმენი (Max Eastman), რომელიც თავად პოეტი (თუმცა, არც ისე მნიშვნელოვანი) გახლდათ, თვლიდა, რომ მეცნიერების საუკუნეში „ლიტერატურულ ცნობიერებას“ ვეღარ ექნება ჭეშმარიტების აღმოჩენის პრეტენზია. „ლიტერატურული ცნობიერება“, უბრალოდ, არასპეციალისტის დილეტანტური ცნობიერებაა, რომელიც წინარემეცნიერული ეპოქის დონეს შეესატყვისება, თავის გადარჩენას ცდილობს და, ამდენად, სურს თავისი ენობრივი უნარის წყალბით შექმნას ისეთი მთაბეჭდილება, თითქოს ფრიად ლირებულ „ჭეშმარიტებებს“ დაღადებდეს. ჭეშმარიტება ლიტერატურაში ისეთივეა, როგორიც ჭეშმარიტება მის ფარგლებს მიღმა, ანუ — სისტემატური და საზოგადოდ დამოწმებული ცოდნა. რომანისტი ჯადოქარი არაა. მას არ შეუძლია მყინვარად მოიპოვოს სოციალური მეცნიერებების მიერ დაგროვე-

ლიტერატურის თეორია

ბული ცოდნა, რომლის მეშვეობითაც რომანისტის „სამყაროს“, მისი წარმოსახვითი სინამდვილის რეალურობა მონმდება. მაგრამ მეორე მხრივ, ისტმენის აზრით, დიდი ფანტაზიის მქონე მწერალი, განსაკუთრებით კი პოეტი, არასწორად შეაფასებს საჟუთარ თავს, თუკი ჩათვლის, რომ მისი უმთავრესი დანიშნულებაა ცოდნის აღმოჩენა და გადაცემა. სინამდვილეში მისი ფუნქციაა, დაგვეხმაროს უფრო ღრმად აღვიტვათ ის, რასაც ვხედავთ; წარმოიდგინოს ის, რაც ჩვენ, კონცეპტუალურად ან პრაქტიკულად, უკვე ვიცით.⁷

როულია, მკვეთრად გავმიჯონთ ორი თვალსაზრისი პოეზიის შესახებ, რომელთა მიხედვით, პოეზია ან უკვე ცნობილის ხელახალ ხორცეს ხმას წარმოადგენს, ან „მხატვრულ წვდომას“. ხელოვანი იმას გვახსენებს, რასაც ოდესძაც ვხედავდით და დღეს ვეღარ აღვიქვამთ, ან დაგვანახვებს იმას, რაც, გამუდმებით ჩვენ თვალწინ იყო, მაგრამ ვერ ვამჩნევდით. აქ უნებურად ის ძავ-თეთრი ნახატები გვახსენდება, რომლებზეც გამოსახულია წერტილებისა და ტეხილი ხაზებისაგან აგებული ფიგურები და სახეები: მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ ვგინახავს ეს ფიგურები და ხაზები, ჩვენ ვერ აღვიქვამდით მათ როგორც მთლიანობას, როგორც გარკვეულ ფორმებს. ნაწარმოებში „განზრახვანი“ (Intentions) უაილდი (Wilde) საუბრობს იმაზე, რომ უისტლერმა (Whistler) ნისლში აღმოაჩინა ესთეტიკური ღირებულება, პრერაფაელიტებმა (Pre-Raphaelites) კი სილამაზე ისეთი ტიპის ქალებში დაინახეს, რომლებიც იქამდე ლამაზებად არ ითვლებოდნენ. აქ ჩნდება კითხვა, რა ვლინდება მსგავს შემთხვევებში — „ცოდნა“ თუ „ჭეშმარიტება“. ამასთან დაკავშირებით არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი თვალსაზრისი. შეიძლება ასეთ შემთხვევაში ვიმსჯელოთ ახალი „აღქმითი ღირებულებების“, ახალი „ესთეტიკური თვისებების“ აღმოჩენის შესახებ.

გასაგებია, რატომაა ძნელი ესთეტიკოსებისთვის „ჭეშმარიტების“, როგორც ხელოვნების თვისებისა და კრიტერიუმის უგულებელყოფა:⁸ ნაწილობრივ, ეს საპატიო ტერმინია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ღრმა პატივისცემას გამოხატავს ხელოვნების მიმართ, იმას, რომ ხელოვნება ერთ-ერთ უმაღლეს ღირებულებაა. გარდა ამისა, ჩვენ უსაფუძვლოდ ვშიშობთ, რომ თუკი ხელოვნება „არაჭეშმარიტია“, მაშინ ის, როგორც პლატონი ფიქრობდა, ის „ტყუილი“ ყოფილა. მხატვრული ლიტერატუ-

ლიტერატურის ფუნქცია

რა არის „გამონაგონი“, „ცხოვრების მხატვრული, ვერბალური იმიტაციაა“. გამონაგონის საპირისპირო ცნება კი არის არა „ჭეშმარიტება“, არამედ „ფაქტი“, ანუ „არსებობა დროსა და სივრცეში“. „ფაქტი“ უფრო უჩვეულოა, ვიდრე ალბათობა, რასაც ლიტერატურა ასახავს.⁹

ხელოვნების სხვა დარგებს შორის ლიტერატურა, კერძოდ, პრეტენზიას აცხადებს „ჭეშმარიტებაზე“ იმ მსოფლალქმის (Weltanschauung) საფუძველზე, რომელიც თავს იჩენს ნებისმიერ მხატვრულად სრულყოფილ ნაწარმოებში. ფილოსოფოსმა ან კრიტიკოსმა შეიძლება ზოგიერთი ამ შეხედულებათაგანი უფრო „ჭეშმარიტად“ მიიჩნიოს, ვიდრე სხვა მოსაზრებები (მაგალითად, ელიოტს მიაჩნია, რომ დანტეს შეხედულებები უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე შელის (Shelley) ან თუნდაც შექსპირისა); მაგრამ ნებისმიერი ფილოსოფიური შეხედულება ცხოვრების შესახებ ან გარკვეულ ჭეშმარიტებას უნდა შეიცავდეს, ან ამის პრეტენზია მაინც ჰქონდეს. ლიტერატურის ჭეშმარიტება, ჩვენი გაგებით, წარმოადგენს ჭეშმარიტებას ლიტერატურაში – ეს არის ფილოსოფია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატური კონცეპტუალური ფორმით ლიტერატურის ფარგლებს გარეთ არსებობს, შესაძლოა ლიტერატურას მიესადაგებოდეს ან ვლინდებოდეს მასში. ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტება დანტეს ნაწარმოებები არის კათოლიკური ღვთისმეტყველება და სქოლასტიკური ფილოსოფია. პოეზიის ელიოტისეული ხედვა „ჭეშმარიტებასთან“ მიმართებით, არსებითად, ემთხვევა ჩვენსას. ჭეშმარიტება სისტემატური მოაზროვნების სფეროა; ხელოვანები კი ამგვარი ტიპის მოაზროვნები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათ სცადონ, ასეთებად იქცნენ იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოახერხებენ მათთვის ხელსაყრელი ფილოსოფიური კონცეფციების აღმოჩენასა და შევთისებას.¹⁰

ზოგადად რომ ვთქვათ, მთელი ეს წინააღმდეგობა მნიშვნელოვანნილად სემანტიკური ხასიათისაა. მაინც რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ „ცოდნის“, „ჭეშმარიტების“, „შემეცნების“, „სიპრძნის“ „შესახებ? თუ ნებისმიერი ჭეშმარიტება კონცეპტუალური და დამტკიცებადია, მაშინ ხელოვნება, თვით ლიტერატურული ხელოვნებაც კი, შეუძლებელია ჭეშმარიტების ფორმებს წარმოადგენდეს. არსებობს კიდევ ერთი გარემოება:

ლიტერატურის თეორია

თუ ისეთ მარტივ პოზიტივისტურ განმარტებებს დავეყრდნობით, რომელთა მიხედვით, ჭეშმარიტება არის ის, რისი შემოწმებაც ყოველ ჩვენგანს შეუძლია, მაშინ ხელოვნებას ვერ მივიჩნევთ ჭეშმარიტების იმგვარ ფორმად, რომელსაც ექსპერიმენტული გზით მოპოვებენ და ამონტებენ. პრობლემისადმი საპირისპირო მიდგომა გულისხმობს „შემეცნების მრავალგვარი გზების“ არსებობას და იმის აღიარებას რომ ჭეშმარიტების წვდომა შესაძლებელია ორი ან მრავალი ხერხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს ცოდნის ორი ძირითადი ტიპი, რომელთაგან თითოეული ნიშანთა საკუთარ ენობრივ სისტემას იყენებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი იყენებენ „დისკურსულ“ მოდუსს, ჰუმანიტარული მეცნიერებები კი — „რეპრეზენტაციულს“.¹¹ არის თუ არა ცოდნის ორივე ტიპი ჭეშმარიტება? პირველი მათგანი არის ის, რომელსაც ფილოსოფოსები ტრადიციულად ემყარებოდნენ, მეორე კი რელიგიურ „მითსა“ და პოეზიას ეფუძნება. ალბათ უფრო უპრიანი იქნება, თუ მეორე ტიპს „ჭეშმარიტს“ ვუწოდებთ და არა — „ჭეშმარიტებას“. ზედსართავი მიუთითებს იმას, რომ წონასწორობის ცენტრი უნდა გადავანაცვლოთ: ხელოვნება არსობრივად მშვენიერია და განსაზღვრების მიხედვით — ჭეშმარიტი (ე. ი. არ უპირისპირდება ჭეშმარიტებას). ნანარმოებში „არს პოეტიკა“ (Ars Poetica), მაკლეიში (MacLeish) ცდილობს, ერთმანეთს შეუთავსოს ლიტერატურული მშვენიერებისა და ფილოსოფიის მოთხოვნები ფორმულით, რომლის თანახმად, ლექსი „ჭეშმარიტების ტოლფასია და არა ჭეშმარიტი“: პოეზია ისეთივე სერიოზული და მნიშვნელოვანია, როგორც ფილოსოფია (მეცნიერება, ცოდნა, სიბრძნე), და ჭეშმარიტების ტოლფასი თვისებები აქვს, ანუ ის ჭეშმარიტების მსგავსია.

ქალბატონი ლანგერი (Mrs Langer) გამოყოფს ხელოვნების პლასტიკურ სახეობებს და კიდევ უფრო მეტად, მუსიკას, რომელთაც ლიტერატურაზე მაღლა აყენებს, როდესაც აცხადებს, რომ რეპრეზენტაციული სიმბოლიზმი ცოდნის ფორმაა. როგორც ჩანს, იგი მიიჩნევს, რომ ლიტერატურა, გარკვეულწილად, „დისკურსული“ და „პრეზენტაციული“ ელემენტების ნაზავს წარმოადგენს. მაგრამ, ქალბატონი ლანგერის თვალსაზრისით, რეპრეზენტაციული ელემენტი ლიტერატურის მითურ ელემენტს ან არქეტიპულ სახეებს შეესატყვისება.¹²

ლიტერატურის ფუნქცია

იმ ორ თვალსაზრისთან ერთად, რომელთა მიხედვით, ხელოვნება ან ჭეშმარიტების შემეცნება ან მისი წვდომაა, არსებობს მესამე შეხედულებაც. ამ უკანასკნელის თანახმად, ხელოვნება, კერძოდ კი ლიტერატურა, პროპაგანდას წარმოადგენს. ამგვარად, მნერალი ჭეშმარიტებას კი არ შეიმეცნებს, არამედ ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ მის მიერ გადმოცემული აზრები ჭეშმარიტებას შეესაბამება. ტერმინი „პროპაგანდა“ მეტისმეტად ზოგადია და განმარტებას საჭიროებს. ყოველდღიურ სიტუაციებში „პროპაგანდას“ უწოდებენ ყოველივე იმას, რაც საზოგადოებისთვის ზიანის მომტანია და რასაც საეჭვო ადამიანები ავრცელებენ. ეს სიტყვა გულისხმობს ანგარიშიანობას, გარკვეულ წინასწარ განზრახვას და, ძირითადად, კონკრეტულ, საკმაოდ შეზღუდულ დოქტრინებთან და პროგრამებთან დაკავშირებით გამოიყენება.¹³ ასერომ, თუ ამ სიტყვის მნიშვნელობას დავავინიროვებთ, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი (მდარე ხარისხის) ხელოვნება პროპაგანდაა, მაგრამ დადი ხელოვნება, ან კარგი ხელოვნება, ან უბრალოდ „ხელოვნება“ არ შეიძლება პროპაგანდა იყოს. თუმცა, თუ ამ ტერმინს განვაზოგადებთ და ვიგულისხმებთ, რომ ესაა „მკითხველზე გავლენის მოსახდენად გამიზნული გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მცდელობა“, რომლის შედეგად მეითხველმა უნდა გაიზიაროს გარკვეული ცხოვრებისეული პოზიცია“, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ყველა ხელოვანი არის ან უნდა იყოს პროპაგანდისტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ (თუ მთლიანად უგულებელყოფთ ზემოთქმულს), ყველა გულწრფელი ხელოვანი, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარი ნაწარმოებებისთვის, ზნეობრივად ვალდებულია, პროპაგანდისტი იყოს.

მონტგომერი ბელჯიონის (Montgomery Beligion) განმარტებით, მნერალი „უპასუხისმგებლო პროპაგანდისტია“. „ყველა მნერალი გარკვეულ ცხოვრებისეულ შეხედულებას ან თეორიას ითვისებს... ნაწარმოებს ყოველთვის ის დანიშნულება აქვს, რომ მკითხველმაც ირწმუნოს ეს შეხედულება თუ თეორია. მაგრამ ეს დარწმუნება ყოველთვის ფარულია, ანუ ავტორს მკითხველი ყოველთვის თანდათანობით მიჰყავს რაღაცის აღიარებამდე და ეს პროცესი პიპოზური ხასიათისაა – რეპრეზენტაციის ხელოვნება აცდუნებს მკითხველს...“.

ელიოტი, ბელჯიონის ამ აზრების ციტირებისას, ერთ-მანეთისაგან განასხვავებს „პოეტებს, რომელთაც ძალიან ძნელია პროპაგანდისტი უწოდო“, „უპასუხისმგებლო პროპაგანდისტებს“,

ლიტერატურის თეორია

და მესამე ჯგუფს, რომლებიც, ლუქრეციუსისა (უცრეტიუს) და დანტეს მსგავსად, „შეგნებულ პროპაგანდისტებს“ წარმოადგენენ; ელიოტის აზრით, პასუხისმგებლობა დამოკიდებულია როგორც ავტორის განზრახვაზე, ისე ისტორიულ ეფექტზე.¹⁴ ტერმინი „შეგნებული პროპაგანდისტები“ ბევრ ჩვენგანს ურთიერთშეუთავსებელი სიტყვების კომბინაციად მოეწვენება. სერიოზული ხელოვნება გულისხმობს ისეთ ცხოვრებისეულ მსოფლედას, რომელიც შეიძლება ფილოსოფიურ სისტემებს.¹⁵ მხატვრულ თანმიმდევრულობასა (რომელსაც ზოგჯერ „მხატვრულ ლოგიკას“ უწოდებენ) და ფილოსოფიურ თანამიმდევრულობას შორის გარკვეული შესაბამისობა არსებობს. შეგნებული ხელოვანი ერთმანეთში არ აურევს ემოციასა და აზრს, გრძნობიერებასა და ინტელექტუალურ შემეცნებას, გრძნობათა სიწრფელეს, და, მეორე მხრივ, გამოცდილებისა და აზროვნების შესატყვისობას. მსოფლებელ-ველობა, რომელსაც ამგვარი ხელოვანი თავისი ნანარმობით გამოხატავს, ისეთი მარტივი არაა, როგორც „პროპაგანდად“ მიჩნეული ზოგიერთი პოპულარული შეხედულება. მეორე მხრივ, ცხოვრების როტულმა ხედვამ არ უნდა გვიბიძგოს ნაჩქარევი ან გულუბრყვილო ქმედებისაკენ.

ახლა ისლა დაგვრჩენია, ლიტერატურის ფუნქციის ის კონცეფციები განვიხილოთ, რომლებიც სიტყვა „კათარსის“ უკავშირდება. ეს ტერმინი, რომელიც არისტოტელემ შემოიტანა თავის „პოეტიკაში“, ხანგრძლივი ისტორია აქვს. კათარსის არისტოტელესული გაგება ჯერ კიდევ იწვევს პოლემიკას. მაგრამ ამჯერად გვაინტერესებს არა ამ ცნების არისტოტელესული გააზრება, არამედ ის მნიშვნელობები, რომლებითაც აღიჭურვა კათარსის ცნება ანტიკური ეპოქის შემდგომ. ზოგიერთის აზრით, ლიტერატურის ფუნქცია არის ჩვენი — მწერლების ან მკითხველების — გათავისუფლება ემოციათა ზემოქმედებისგან. ემოციების გამოხატვა ნიშნავს იმას, რომ გავთავისუფლდეთ ამ ემოციებისაგან, ისევე, როგორც, გადმოცემის თანახმად, გოეთე გათავისუფლდა თავისი Weltschmerz-ისგან, როდესაც „ვერთერის ვნებანი“ (The Sorrows of Werther) დაწერა. ამბობენ, რომ ტრაგედიის მაყურებელი ან რომანის მკითხველიც ასევე განიცდის ამ გათავისუფლებასა და შვებას. ხდება მისი ემოციების ზუსტად გამოხატვა და ესთეტიკური განცდის შედეგად მაყურებელსა და მკითხველს „სულიერი სიმშვიდე“ ეუფლება.¹⁶

ლიტერატურის ფუნქცია

მაგრამ აქ უნდა დაისვას კითხვა – ლიტერატურა ემოციები-საგან გვათავისუფლებს თუ, პირიქით, ემოციებს იწვევს ჩვენში? პლატონის აზრით, ტრაგედია და კომედია „კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს ემოციებს, თუმცა უმჯობესი იქნებოდა მათი ჩახშობა“.¹⁷ მეორე მხრივ, როცა ლიტერატურა ემოციებისაგან გვათავისუფლებს, განა უმიზნოდ არ ხდება მათი გადმოღვრა პოეტურ ფანტაზიებში? წმიდა ავგუსტინე აღარებს, რომ ახალგაზრდობაში ის მომაკვდინებელ ცოდვაში ცხოვრობდა; მიუხედავად ამისა, „არ ვტიროდი ამის გამო, თუმცა დიდონას სიკედლის გამო ცრემლებს ვღვრიდი...“ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ზოგიერთი ტიპის ლიტერატურა პროპაგანდის-ტულია და ზოგი — კათარსისული, თუ უფრო მნიშვნელოვანია, ერთ-მანეთისაგან გავმიჯნოთ მყითხველთა ჯგუფები და მათი რეაქციის ბუნება?¹⁷ უნდა იყოს თუ არა ყველანაირი ლიტერატურა კათარსი-სული? ამ პრობლემებს უფრო დეტალურად განვხილავთ თავებში „ლიტერატურა და ფსიქოლოგია“ და „ლიტერატურა და საზოგადოება“; ამჟამად კი მხოლოდ ვასახელებთ მათ.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ საკითხს ლიტერატურის ფუნქციის შესახებ ხანგრძლივი ისტორია აქვს დასავლურ სამყაროში, პლატონიდან მოყოლებული დღემდე. ეს არ არის შეკითხვა, რომელიც პოეტს ან პოეზიის დამფასებელს შეიძლება უნებურად დაებადოს; ერთხელ ემერსონს წამოცდა: „სილამაზე საკუთარი თავის გამართლებას წარმოადგენს“. ამ საკითხს უფრო ხშირად წამოჭრიან ხოლმე უტილიტარისტები და მორალისტები ან სახელმწიფო მოხელეები და ფილოსოფოსები, ანუ ადამიანები, რომელთათვისაც უფრო ფასეულია არაესთეტიკური ლირებულებები. და მათ სურთ იცოდენ, მაინც რა არის პოეზიის დაინიშნულება? ამ პრობლემას არსებითი სოციალური და პუმანისტური მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, პოეტიც და პოეზიის მოყვარულიც, როგორც ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეები, იძულებული არიან, საზოგადოებას კარგად დასაბუთებული პასუხი გასცენ. სწორედ ასე იქცევიან ისინი მორიგი „პოეტიკის“ რომელიმე პასაუში. ისინი იცავენ ან ხოტბას ასხამენ პოეზიას: ესაა ლიტერატურული ანალოგია იმისა, რასაც თეოლოგიაში „აპოლოგია“ ეწოდება.¹⁸ დასახელებული მიზნიდან გამომდინარე და მყითხველის ტიპის შესაბამისად, ისინი, ბუნებრივია, უპირატესად საუბრობენ ლიტერატურის „დანიშნულებაზე“ და არა ამ ლიტერატურით „მონიქებულ ტებობაზე“; ამდენად, სემანტიკური თვალსაზრისით, დღესდღეობით იოლია ლიტერატურის „ფუნქციის“

ლიტერატურის თეორია

დაყვანა მის გარეშე ფუნქციებზე, თუმცა, რომანტიზმიდან მოყოლებული, ამ შეკითხვაზე პოეტი იძლეოდა სხვაგვარ პასუხს, რომელსაც ა.ს. ბრედლი (A. C. Bradley) უწოდებს „პოეზიას პოეზიისათვის“;¹⁹ თეორეტიკოსები კი მართებულად აღნიშნავენ, რომ ტერმინი „ლიტერატურის ფუნქცია“ იმდენად ფართოა, რომ აუცილებელი აღარაა ვეძებოთ გამართლება პოეზიის არსებობისთვის. ამდენად, როცა ამ ტერმინს ვიყენებთ, იგულისხმება, რომ პოეზიას ბევრი შესაძლო ფუნქცია აქვს. მისი მთავარი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ის არის, რომ არ უღალატოს თავის ბუნებას.

თავი მეოთხე

ლიტერატურის თეორია, პრიტჩა და ისტორია

*

რადგან ლიტერატურის შესწავლის მიზნის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ახლა განვიხილოთ ლიტერატურის სისტემატური და ინტეგრირებული შესწავლის შესაძლებლობა. ინგლისური ენა შესატყვის ტერმინს არ გვთავაზობს საამისოდ. ალბათ, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, გამოგვეყნებინა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ლიტერატურათმცოდნება“ და „ფილოლოგია“. ამ ტერმინთაგან პირველი საკამათოა მხოლოდ იმიტომ, რომ თითქოს გამორიცხავს „კრიტიკას“ და ხაზს უსვამს შესწავლის აკადემიურ ბუნებას. ეს ტერმინი, რასაკვირველია, მისაღები გახდება იმ შემთხვევაში, თუ სიტყვას „მკვლევარი“ ისე ფართოდ განვიხილავთ, როგორც ეს ემერსონმა გააკეთა. მეორე ტერმინმა — „ფილოლოგიამ“ — შესაძლოა, არა ერთი გაუგებრობა გამოიწვიოს. ისტორიულად ამ ტერმინში მოიაზრებოდა არა მხოლოდ ყველა სახის ლიტერატურული და ენათმეცნიერული სტუდიები, არამედ ადამიანის გონების მიერ შექმნილი ნებისმიერი პროდუქტის შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი ყველაზე მეტად იყო მოდაში მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაში, ის დღეს ჯერ კიდევ გახვდება ისეთი მიმოხილვების სათაურებში, როგორებიცაა *Modern Philology*, *Philological Quarterly* და *Studies in Philology*. ბეხმა (Boeckh), რომელმაც დაწერა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი „ფილოლოგიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია და მეთოდოლოგია“ (“Encyclopedie und Methodologie der Philologischen Wissenschaften”) (დაინქრა 1877 წელს, თუმცა, ნანილობრივ, 1809 წელს ჩატარებულ ლექციებს ეყრდნობა),¹ ფილოლოგია განმარტა, როგორც „ცნობილის ცოდნა“, რომელიც, ამდენად, მოიცავს ენისა და ლიტერატურების, რელიგიისა და სოციალური ტრადიციების შესწავლას. ბეხის ფილოლოგია, ფაქტობრივად, გრინლოუს „ლიტერატურის ისტორიის“ (Literary History) იდენ-

ლიტერატურის თეორია

ტურია, და, როგორც ჩანს, ითვალისწინებს საჭიროებებს კლასიკური ფილოლოგისა, რომლისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიისა და არქეოლოგის დახმარებას. ბებისთვის ლიტერატურათმცოდნება მხოლოდ ერთი დარგია ფილოლოგისა, რომელიც გაგებულია, როგორც მთლიანი მეცნიერება ცივილიზაციის შესახებ, კერძოდ კი ცივილიზაციის იმ ასაქეტის შესახებ, რომელსაც მან, გერმანელი რომანტიკოსების მსგავსად, „ეროვნული სული“ უწოდა. ამჟამად, ნაწილობრივ ამ სიტყვის ეტიმოლოგიდან გამომდინარე და თვით ამ სფეროს სპეციალისტთა მეცადინეობის შედეგად, ფილოლოგიად ხშირად მოიაზრებენ ენათმეცნიერებას, განსაკუთრებით კი ისტორიულ გრამატიკას და ენების განვითარების ადრეული ფორმების შესწავლას. რამდენადაც ამ ტერმინს მრავალი და სხვადასხვაგვარი მნიშვნელობები აქვს, უმჯობესი იქნება, თუ არ შევუდგებით მათ განხილვას.

არსებობს ლიტერატურათმცოდნის მუშაობის კიდევ ერთი ალტერნატიული სახელწოდება „კვლევა“. ეს სიტყვა განსაკუთრებით შეუსაბამოა, რადგან თითქოსდა ხაზს უსგაბს მხოლოდ მასალების წინასწარი მოძიების მნიშვნელობას და უმართებულოდ გულისხმობს, რომ არსებობს განსხვავება ადვილად მოსაძიებელ და ძნელად ხელმისაწვდომ მასალებს შორის. მაგალითად, როცა ადამიანი ბრიტანეთის მუზეუმში მიდის იმისათვის, რომ იშვიათი წიგნი წაიკითხოს, ის „კვლევას“ აწარმოებს. იმ შემთხვევაში კი, როცა ადამიანი საკუთარ სახლში, სავარძელში მოკალათებული კითხულობს იმავე წიგნის ასლს, მის გონებაში სულ სხვა გონებრივი პროცესი მიმდინარეობს. ტერმინი „კვლევა“ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ წინასწარ ოპერაციებს, რომელთა მასშტაბი და ბუნება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის პრობლემაა გადასაჭრელი. მაგრამ ლიტერატურათმცოდნები-სათვის, როდესაც განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა განმარტება, დახასიათება და შეფასება, ის არ არის საკმარისად ზუსტი.

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოვკვეთოთ განსხვავება ლიტერატურის თეორიას, კრიტიკასა და ისტორიას შორის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს განსხვავება ლიტერატურის ორგვარ ხედვას შორის. პირველი მათგა-

ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია

ნის მიხედვით, ლიტერატურა არის ნაწარმოებთა ერთდღროულად არსებული ერთობლიობა, მეორე თვალსაზრისით კი ლიტერატურა, უპირატესად, ნაწარმოებთა ქრონოლოგიური მიმდევრობაა და, ამდენად, ისტორიული პროცესის შემადგენელ ნაწილს ნაწარმოადგენს. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, შეიძლება ვისაუბროთ ლიტერატურის პრინციპებისა და კრიტერიუმების, მეორე მხრივ კი ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლის თაობაზე, კერძოდ — იმის შესახებ, იზოლირებულად მოხდება მათი შესწავლა, თუ ქრონოლოგიურად. უმჯობესი იქნება, თუ არსებული განსხვავებების განხილვისას გავითვალისწინებთ, რომ „ლიტერატურის თეორია“ ლიტერატურის პრინციპების, კატეგორიების, კრიტერიუმების და ა. შ. შესწავლას ნაწარმოადგენს. ამას გარდა, ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებების შესწავლას ან „ლიტერატურის კრიტიკა“ (რომელიც ძირითადად სტატიკურ მიდგომას ნაწარმოადგენს) უნდა ვუწოდოთ, ან — „ლიტერატურის ისტორია“. რასაკირველია, ხშირად, ტერმინი „ლიტერატურის კრიტიკა“ მთლიანად ლიტერატურის თეორიას მოიცავს, თუმცა ამ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას; არის სტოტელე თეორეტიკოსი იყო, სენტ-ბევი (Sainte-Beuve) კი უპირატესად — კრიტიკოსი. კენტ ბერეი, მნიშვნელოვანნილად, ლიტერატურული თეორეტიკოსია, ხოლო რ. პ. ბლექმური (R. P. Blackmur) — ლიტერატურის კრიტიკოსი. ტერმინმა „ლიტერატურის თეორია“ თავისუფლად შეიძლება მოიცავს (როგორც ეს ამ წიგნშია), „ლიტერატურის კრიტიკის თეორია“ და „ლიტერატურის ისტორიის თეორია“.

ეს განსხვავებები აშკარაა და ფართოდაა მიღებული. გაცილებით უფრო იშვიათად აღიარებენ, რომ არ შეიძლება ლიტერატურის კვლევის ზემოდასახელებული მეთოდების იზოლირებულად გამოყენება — მათი ურთიერთკავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ლიტერატურის თეორია ნაწარმოუდგენელია კრიტიკისა და ისტორიის გარეშე, კრიტიკა — თეორიისა და ისტორიის გარეშე, ხოლო ისტორია — თეორიისა და კრიტიკის გარეშე. აშკარაა, რომ ლიტერატურის თეორია არ არსებობს კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლის გარეშე. კრიტერიუმები, კატეგორიები და სქემები შეუძლებელია მიღებული იქნეს *in vacuo*. მეორე მხრივ, შეუძლებელია არსებობდეს კრი-

ლიტერატურის თეორია

ტიკა და ისტორია გარკვეული კითხვების, ცნებათა სისტემის, მიმართებებისა და განზოგადებების გარეშე. რასაკვირველია, აქ გადაუჭრელ დილექტის როდი ვაწყდებით: კითხვის დროს ჩვენ მუდამ გარკვეული პრინციპებით ვხელმძღვანელობთ და ეს პრინციპები განუწყვეტლივ იცვლება და ზუსტდება ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების გაცნობისას. ეს დიალექტიკური პროცესია: თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთგამშვალვა.

არაერთხელ უცდიათ ლიტერატურის ისტორიის გამიჯვნა თეორიისა და კრიტიკისაგან. მაგალითად, როგორც ფ. ვ. ბეიტსონი (F.W. Bateson)² ამტკიცებდა, ლიტერატურის ისტორია მხოლოდ გვიჩვენებს, რომ „ა“ მომდინარეობს „ბ“-სგან, მაშინ, როდესაც კრიტიკა ამტკიცებს, „ა“ „ბ“-ზე უკეთესიაო. პირველ შემთხვევაში დასკვნა ემყარება ისეთ ფაქტებს, რომელთა გადამოწმებაც შესაძლებელია, მეორეში კი — სუბიექტურ შეხედულებებსა და რწმენას ეფუძნება. მაგრამ ამგვარი გამიჯვნა მართლზომიერი არაა. ლიტერატურის ისტორიაში უბრალოდ არ არსებობს ისეთი მონაცემები, რომელთაც შეიძლება აბსოლუტურად ნეიტრალური „ფაქტები“ ვუწოდოთ. შემფასებლური თვალსაზრისები მასალის შერჩევაშიც კი მონაწილეობს — მაშინ, როდესაც ერთმანეთისაგან განვასხვავებთ, უბრალოდ, ბელეტრისტიკასა და, მეორე მხრივ, ლიტერატურას, ან როდესაც ამა თუ იმ ავტორს ვუთმობთ გვერდების გარკვეულ რაოდენობას. სათაურის ან თარიღის უბრალო დამიწმებაც კი წინასწარ გულისხმობს შემფასებლურ მიდგომას, რადგან ამ დროს ხდება ერთი რომელიმე წიგნისა თუ მოვლენის გამორჩევა მილიონობით სხვა წიგნისა და მოვლენისაგან. დავუშვათ, არსებობს შედარებით ნეიტრალური ფაქტები, მაგალითად, თარიღები, სათაურები, ბიოგრაფიული მონაცემები, მაგრამ მათი მეშვეობით შეიძლება მხოლოდ ლიტერატურული მატიანის შედგენა. ნებისმიერი უფრო რთული კითხვა, ისეთიც კი, რომელიც ტექსტის კრიტიკას, ან წყაროებსა და გავლენებს უკავშირდება, გამუდმებით მოითხოვს გარკვეულ შეფასებას. ისეთი განცხადებები, როგორიცაა, მაგალითად, „პოუპი დრაიდენის გავლენას განიცდის“, პირველად დონეზე, რასაკვირველია, გულისხმობს, რომ დრაიდენსა და პოუპს გამოვარჩევთ მათი ეპოქის ურიცხვი ვერსიფიკატორისგან. შემდგომ, აუცილებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა

ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია

ამ ავტორების ნაწარმოებები. ამის დასადგენად აუცილებელია, გამუდმებით მიმდინარეობდეს შედარებისა და შერჩევის პროცესი, რაც არსებითად კრიტიკულ საქმიანობას წარმოადგენს. თუ განვიხილავთ თანაავტორების — ბომნტისა და ფლეტჩერის საკითხს, ის გადაუჭრელი დარჩება, სანამ არ გავითავისებთ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის თანახმად, გარკვეული სტილისტური თვისებები (ან ხერხები) უკავშირდება ერთ-ერთს დასახელებულ მწერალთაგან, სხვა თვისებები კი — მეორეს. თუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ მოგვიხდება, უბრალოდ, ამ თანაავტორების პიესებში არსებული სტილისტური შეუსაბამობების მითითება მათი მიზეზის განმარტების გარეშე.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ლიტერატურის ისტორიის ლიტერატურის განცალკევება კრიტიკისაგან სხვა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება. არავინ უარყოფს, რომ ლიტერატურის კრიტიკოსმა და ისტორიკოსმა უნდა გამოიტანონ თავიანთი დასკვნები ნაწარმოებთა შესახებ, მაგრამ ხშირად იმასაც ამტკიცებენ, რომ ლიტერატურის ისტორიკოსს აქვს ისტორიის საკუთარი სტანდარტები და კრიტერიუმები. ამ მეთოდოლოგიის მომხრები ამტკიცებენ, რომ ლიტერატურის ისტორიის რეკონსტრუქცია მოითხოვს წარსული პერიოდების მსოფლადქმისა და მიმართებების გათავისებას, და, ამასთან, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი მსოფლადქმისა და მიმართებების უგულებელყოფას. ეს თვალსაზრისი, რომელიც „ისტორიზმის“ სახელითა ცნობილი, გერმანიაში მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა, თუმცა იქაც კი გააკრიტიკეს იგი ისტორიის ისეთმა გამოჩენილმა ოეორეტიკოსებმა, როგორიც იყო ერნსტ ტროლტში (Ernst Troeltsch).³ როგორც ჩანს, უკანასკნელ ხანებში ამ თვალსაზრისს, რომელმაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეალწია ინგლისა და შეერთებულ შტატებში, ბევრი ჩვენი „ლიტერატურის ისტორიკოსი“ იზიარებს. მაგალითად, ჰარდინ კრეიგი (Hardin Craig) ამბობდა, რომ თანამედროვე მეცნიერების უახლესი და საუკეთესო ტენდენცია არის „არაისტორიული აზროვნებისაგან გათავისუფლება“⁴. ი. ი. სტოლი (E. E. Stall), რომელიც დედოფალი ელისაბედის დროინდელი თეატრის ტრადიციებსა და მისი აუდიტორიის გემოვნებას სწავლობს, ამჟამად მუშაობს ისეთ თეორიაზე, რომლის მიხედვითაც, ლიტერატუ-

ლიტერატურის თეორია

რის ისტორიის მთავარი მიზანია ავტორის ჩანაფიქრის რეკონსტრუქცია.⁵ ამგვარი თეორია, გარკვეული ილად, საფუძვლად უდევს იმ უამრავ მცდელობას, რომელთა მიზანი იყო ელისაბედის დროინდელი ისეთი ფსიქოლოგიური თეორიების შესწავლა, როგორიცაა მაგალითად, ოუმორის დოქტრინა ან პოეტების მეცნიერული ან ფსევდომეცნიერული კონცეფციები.⁶ როზმონდ ტუვი (Rosemond Tuve) ცდილობდა მეტაფიზიკური მხატვრული სახეების წარმოშობა და მნიშვნელობა აქხსნა რამისტული ლოგიკის საფუძველზე, რომელიც დონისა და მის თანამედროვეთა მიერ იყო მიღებული.⁷

იმდენად, რამდენადაც ამგვარი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსხვავებულ პერიოდებში სხვადასხვა კრიტიკული თვალსაზრისი და ტრადიცია მოქმედებს, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ეპოქა ისეთ თვითმარ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც საკუთარი ტიპის პოეზიას ქმნის და ეს პოეზია სხვა რომელიმე ეპოქის პოეზიის საზღვრებში ვერ თავსდება. ამ თვალსაზრისს განსაკუთრებული გულმოდგინებით უქმრდა მხარს ფრედერიკ ა. პოტლი (Frederick A. Pottle).⁸ თავის წიგნში „პოეზიის ენა“ ის საკუთარ თვალსაზრისს „კრიტიკულ რელატივიზმს“ უწოდებს და „ადქმის სფეროში მომხდარ ღრმა ცვლილებაზე“, პოეზიის ისტორიაში „უწყვეტობის სრული დარღვევაზე“ საუბრობს. მისი თვალსაზრისი კიდევ უფრო ღირებული გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დარწმუნებულია ეთიკური და რელიგიური პოსტულატების ურყევობაში.

საუკეთესო შემთხვევაში, „ლიტერატურის ისტორიის“ ეს კონცეფცია მოითხოვს წარმოსახვის დაძაბვას, „ემპათიას“, წარსულთან და გარდასული ეპოქის გემოგნებასთან სიღრმისეულ ნათესაობას. იყო რამდენიმე წარმატებული ცდა მისა, რომ მომხდარიყო ცხოვრების, სხვადასხვაგვარი კონცეფციების, ადამიანის მამოძრავებელი მოტივების შესახებ იმ შეხედულებათა რეკონსტრუქცია, რომლებიც შემუშავებულ იქნა ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ჩვენ ბევრი რამ ვიცით, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ბერძნებს ღმერთების, მონებისა და ქალების მიმართ; შეგვიძლია დეტალურად დაგახსასიათოთ შუა საუკუნეების კოსმოლოგია; უნარი შეგვწევს, რომ აღვიძვათ ის მეტად განსხვავებული ხედვა ან, ყოველ შემთხვევაში, განსხვავებუ-

ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია

ლი მხატვრული ტრადიციები და წესები, რომლებიც ბიზანტიურ ან ჩინურ მხატვრობაში იყო გავრცელებული. გერმანიაში განხორციელებულ იქნა უამრავი კვლევა (მათ უმრავლესობაზეც შპენგლერმა (Spengler) მოახდინა გავლენა). ამ ნაშრომებში საუბარი იყო გოტიკის ან ბაროკოს ეპოქის ადამიანის შესახებ, ამასთან, ეს ეპოქები განიხილებოდა თანამედროვეობისგან მოწყვეტით, როგორც განსაკუთრებული, ჩაკეტილი სამყარო.

რაც შეეხება საკუთრივ ლიტერატურულ კვლევებს, აქ ისტორიული რეკონსტრუქციის მეთოდმა ხელი შეუწყო აქცენტის გადატანას ავტორის ჩანაფიქრზე, რომლის წვდომა, ამ მეთოდის ავტორთა თვალსაზრისით, შესაძლებელია ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურული გემოვნების ისტორიის შესწავლის გზით. ჩვეულებრივ, ითვლება, რომ თუ ამოვიცნობთ ავტორის ჩანაფიქრს და გამოვარკევთ იმასაც, რამდენად შეძლო მან ამ განზრახვის ხორცებს ხმა, ამით კრიტიკის პრობლემაც მოგვარდება. ავტორის მიზანი გასაგებია თანამედროვეთავის და არ არსებობს არც იმის აუცილებლობა და არც შესაძლებლობა, რომ მომავალში კიდევ ერთხელ გავაკრიტიკოთ მისი წიგნი. ამ მეთოდს შედეგად მოჰყვება ისეთი კრიტიკული სტანდარტის აღიარება, რომელსაც თანამედროვე მკითხველთა მიერ ნაწარმოების აღიარება ეწოდება. ამდენად, არსებობს არა მხოლოდ ერთი ან ორი, არამედ ასობით დამოუკიდებელი, მრავალფეროვანი და ურთიერთგამომრიცხავი კონცეფცია ლიტერატურის შესახებ, რომელთაგან თითოეული თავისებურად „მართებულია“. პოეზიის იდეალი ისეა დანაწევრებული, რომ მისგან ალარაფერი რჩება, ამას კი შედეგად მოსდევს ზოგადი ანარქია ან ყველა ღირებულების გაცამტვერება. ლიტერატურის ისტორიისგან ცალკეული და, საბოლოო ანგარიშით, გაუგებარი ფრაგმენტების გროვალა რჩება. უფრო ზომიერი ფორმულირებით, არსებობს პოლარულად იმდენად განსხვავებული პოეტური იდეალები, რომ მათ შორის საერთო თვისებების აღმოჩენა შეუძლებელია: კლასიციზმი და რომანტიზმი, პოუპისა და უორდსუორთის იდეალი, აშკარად გაცხადებული აზრის პოეზია და იმპლიკაციის პოეზია.

სავარაუდოდ, უმართებულოა თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ავტორის „ჩანაფიქრი“ ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საგანს წარმოადგენს. ხელოვნების ნაწარმოების მნიშ-

ლიტერატურის თეორია

ვნელობა ავტორის ჩანაფიქრით არ ამოიწურება და არც უტოლ-დება მას. ნანარმოები ფასეულობათა გარკვეული სისტემაა და დამოუკიდებლად არსებობს. მთლიანობაში, ხელოვნების ნანარ-მოების შინაარსი არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ იმით, თუ რას ნიშნავს იგი მისი ავტორისა და თანამედროვეთათვის. ეს, უფრო მეტად, ნანარმოების მნიშვნელობის გაფართოების, ანუ სხვადასხვა ეპოქის მკითხველთა მიერ მისი სხვადასხვაგვარი ალ-ქმის შედეგია. ალბათ, უსარგებლო და შეუძლებელიც კი იქნებოდა ისტორიის რეკონსტრუქციის მომხრეების მსგავსად იმისი თქმა, რომ ეს პროცესი უმნიშვნელოა და ჩვენ მხოლოდ მის დასაწყისს უნდა მივუბრუნდეთ. მაშინაც კი, როცა წარსულის მემკვიდრეობაზე ვმსჯელობთ, ჩვენ მეოცე საუკუნის ადამიანებად ვრჩებით და შეუძლებელია, სხვაგვარად იყოს: შეუძლებელია დავივინყოთ ჩვენი საკუთარი ენის ასოციაციები, ახლებური შეფასებები, წარ-სული საუკუნეების გავლენა და მნიშვნელობა. შეუძლებელია, დავემსგავსოთ ჰომეროსისა და ჩოსერის თანამედროვე მკითხვე-ლებს ან ათენში დიონისეს, ლონდონში კი „გლობუსის“ თეატრის მასიონებს ან მაყურებლებს. ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი განსხვავება წარმოსახვითი რეკონსტრუქციის აქტსა და რომე-ლიმე ისტორიული ეპოქის დროინდელ თვალსაზრისის რეალურ გაზიარებას შორის. შეუძლებელია, დიონისესი გვნამდეს და თან დავციონდეთ მას, როგორც ამას, შესაძლოა, ევრიპიდეს „Bacchae“-ს მაყურებელი აკეთებდა; ⁹ მხოლოდ ზოგიერთ ჩვენ-განს შეუძლია ურყევ ჭრმარიტებად მიიღოს დანტეს ჯოვანხეთის შრეები და განსაწმენდელის მთა. ნამდვილად რომ შეგვძლებოდა აღგვედგინა ის შინაარსი, რომელიც „ჰამლეტს“ ჰქონდა შე-ქსპირის თანამედროვე მაყურებლისთვის, ჩვენ მხოლოდ და მხ-ოლოდ გავაღარიბებდით მას, რადგანაც ამით დავაკრინებდით იმ არანაკლებ საინტერესო და ანგარიშგასანევ შინაარსებს, რომ-ლებიც „ჰამლეტში“ მომდევნო თაობებმა აღმოაჩინეს. ამით კი გამოვრიცხავდით ამ ნანარმოების ახლებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ეს არ გახლავთ ოვითნებური მოწოდება ნანარ-მოების სუბიექტური და არამართებული წაკითხვისკენ: „სწორი“ და „არასწორი“ წაკითხვის პრობლემა, ყველაფრის მიუხედავად, კვლავ დარჩება და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ახლებურად უნდა გადაიჭრას. ისტორიული პერიოდის მკვლევრისთვის არ

ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია

იქნება საქმარისი, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ ჩვენი დროის პერსპექტივიდან განიხილებოდეს – ეს კრიტიკოსის პრი-ვილეგიას წარმოადგენს, რადგან ამ უკანასკნელის მოვალეობაა, გადააფასოს წარსული თანამედროვე სტილისა თუ მიმდინარეობის საჭიროების საფუძველზე. მისთვის, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ხელოვნების ნაწარმოების განხილვა ე. ნ. მესამე დროის თვალსაზიერიდან, რომელიც არც მისი და არც მოცემული ავტორის რეალური დრო არ არის. კრიტიკოსისთვის არანაკლებ საინტერესო იქნება შესასწავლი ნაწარმოების შესახებ არსებული ინტერპრეტაციებისა და კრიტიკის სრულ ისტორიის გაცნობა, რისი მეშვეობითაც ის შეძლებს, სრულად ჩასწვდეს მის საზრისს.

რეალურად, რთული წარმოსადგენია ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისების ამგვარი ურთიერთგამიჯვნა. ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ როგორც ყალბ რელატივიზმის, ისე ყალბ აბსოლუტიზმს. ფასეულობათა დამკვიდრებას შეფასების ისტორიული პროცესი განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, აიოლებს ჩვენს აღქმას. ისტორიული რელატივიზმის პასუხი „უცვლელი ადამიანური ბუნებისა“ თუ „ხელოვნების უნივერსალურობის“ შესაბამისი დოქტრინერული აბსოლუტიზმი არ გახლავთ. ამის ნაცვლად უმჯობესია მივიღოთ ისეთი თვალსაზრისი, რომელსაც მიესადაგება ტერმინი „პერსპექტივიზმი“. უნდა შეგვეძლოს ხელოვნების ნაწარმოები მისივე დროისა და შემდგომი ეპოქების დირებულებებს მივუსადაგოთ. ხელოვნების ნაწარმოები, ერთი მხრივ, „მარადიული“ (ე. ი. ინარჩუნებს გარკვეულ თვითმყოფობას), მეორე მხრივ კი — „ისტორიული“ (ე. ი. შესამჩნევი განვითარების პროცესს გადის). რელატივიზმი აკნინებს ლიტერატურის ისტორიას და მას ცალკეული, ურთიერთმეუსაბამო ფრაგმენტების ნაკრებად აქცევს, მაშინ, როდესაც უმეტეს შემთხვევაში აპსოლუტიზმი ან მხოლოდ ამჟამინდელ წარმავალ სიტუაციას მიესადაგება, ან დამოკიდებულია (ახალი პუმანისტების, მარქსისტების და ნეოთომისტების სტანდარტების შემთხვევაში) ისეთ აპსტრაქტულ არალიტერატურულ იდეალზე, რომელიც ლიტერატურის ისტორიულ მრავალფეროვნებას არ ითვალისწინებს. „პერსპექტივიზმი“ გულისხმობს, რომ ვალიარებთ არსებობას ერთიანი პოეზიის და ერთიანი ლიტერატურისა, რომელიც ყველა საუკუნეში შედარებას ექვემდებარება, ვითარდება, იცვლება და უამრავ

ლიტერატურის თეორია

შესაძლებლობას მოიცავს. ლიტერატურა არც ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული ნაწარმოებების ნაკრებია, და არც ისეთი ნაწარმოებების წყება, რომლებიც რომანტიზმის ან კლასიციზმის, პოუპის და უორდსვორთის ეპოქების დროითი ციკლის ჩარჩოშია მოქცეული. ლიტერატურა, რასაკვირველია, არც იგივეობისა და უცვლელობის სამყაროა, რაც გვიანდელი კლასიციზმის იდეალს წარმოადგენდა. აბსოლუტიზმიცა და რელატივიზმიც ყალბია, მაგრამ დღესდღეობით, ყოველ შემთხვევაში ინგლისასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ისეთი რელატივიზმი, რომელიც ლირებულებათა ანარქიას ეფუძნება და კრიტიკის ამოცანას თავდაყირა აყენებს.

ლიტერატურის ისტორიის შედეგნისას, ავტორები ყოველთვის ითვალისწინებენ შერჩევის, დახარისხებისა და შეფასების პრინციპებს. ლიტერატურის ისტორიკოსები, რომლებიც კრიტიკის მნიშვნელობას უარყოფენ, თავადაც გაუცნობიერებლად იქცევიან ხოლმე კრიტიკოსებად (ჩვეულებრივ, ნაკლებად ანგარიშგასაწევ კრიტიკოსებად), რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციულ სტანდარტებსა და შეხედულებებს აღიარებენ. დღეს ისინი, ჩვეულებრივ, დაგვიანებული რომანტიკოსები არიან, რომლებიც უგულებელყოფენ ყველა სხვა ტიპის ხელოვნებას, განსაკუთრებით კი თანამედროვე ლიტერატურას. მიუხედავად ამისა, როგორც მართებულად აღნიშნა რ. გ. კოლინგვუდმა (R. G. Collingwood), ის, „ვისაც ჰგონა, რომ იცის, თუ რატომ არის შექსპირი პოეტი, გულის სილრმეში ფიქრობს, რომ იცის ისიც, არის თუ არა მის სტაინი (Miss Stein) პოეტი (და თუ არა, რატომ არ არის)“.¹⁰

ის, რომ პოლო პერიოდში შექმნილი ლიტერატურა აღარ წარმოადგენს სერიოზული შესწავლის საგანს, სწორედ ამ „მეცნიერული“ დამოკიდებულების უარყოფითი შედეგია. აკადემიური ტიპის მკვლევრები ტერმინს „თანამედროვე ლიტერატურა“ იმდენად ფართოდ განმარტავდნენ, რომ მილტონის შემდეგ, ფაქტობრივად, არც ერთი ნაწარმოები არ ითვლებოდა შესწავლის შესაფერის ობიექტად. იმ დროიდან მოყოლებული, ლიტერატურის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნე, ჩვეულებრივ, მიიჩნეოდა ყველაზე მყარი რეპუტაციის მქონე პერიოდად და მისი კვლევა მოდადაც კი იქცა, რადგანაც ეს საუკუნე თითქოსდა უფრო დახ-

ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია

ვენილი, სტაბილური და იერარქიულად მოწესრიგებულია. რომან-ტიკული პერიოდი და, მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნე ასევე თანდათანობით იპყრობენ მეცნიერთა ყურადღებას, რის შედეგა-დაც აკადემიური ორიენტაციის ყველაზე გაძედულმა მეცნიერებ-მა განაცხადეს თანამედროვე ლიტერატურის მეცნიერული შეს-ნავლის აუცილებლობის შესახებ და თვითონაც მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს.

ერთადერთი ანგარიშგასაწევი არგუმენტი თანამედროვე ავტორთა შემოქმედების შესწავლის ნინაალმდეგ არის თვალ-საზრისი, რომლის თანახმად, ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ შემოქმედების როგორც მთლიანობის შესახებ, რადგან ჯერ-ჯერობით არ ვიცნობთ მათ მიერ მოგვიანებით შექმნილ ნანარ-მოებებს, რომელთა მეშვეობით შევძლებდით უფრო ადრეული ქმ-ნილებების ფარული არსის წვდომას. თუმცა, უხერხულობა, რო-მელიც მხოლოდ თანამედროვე ავტორების ნანარმოებთა მიმართ შეიმჩნევა, უმნიშვნელოა იმ უპირატესობასთან შედარებით, რო-გორიცაა ავტორის ნანარმოებში ასახული მოქმედების ადგილისა და დროის ცოდნა, აგრეთვე — ავტორთან პირადი, ან მიმოწერი-თი ნაცნობობა, ეს კი მხოლოდ თანამედროვე მწერლების შემთხ-ვევაშია შესაძლებელი. თუკი წარსული პერიოდის ბევრი მეორე-ხარისხოვანი ან თუნდაც მეათეხარისხოვანი ავტორი შესწავლას იმსახურებს, იგივე უნდა ითქვას ჩვენი დროის პირველხარისხოვან ან მეორეხარისხოვან ავტორებზე. აკადემიურ მკვლევრებს არ შეუძლიათ სათანადოდ გაიაზრონ თანამედროვე მწერლების მემ-კვიდრეობა ან გაუბედაობა უშლით ხოლმე ხელს მის გააზრებაში. ისინი აცხადებენ, რომ „დროის განაჩენს“ ელოდებიან და ვერ აც-ნობიერებენ, რომ ეს სწორედ სხვა კრიტიკოსთა და მკითხველ-თა, მათ შორის სხვა პროფესორების განაჩენია. ლიტერატურის ისტორიკოსის ტრადიციული უყურადღებობა კრიტიკის მიმართ გაუმართლებელია ერთი უბრალო მიზეზის გამო: ხელოვნების ნებისმიერი ნანარმოები არსებობს ახლანდელ დროში; იგი უმუა-ლოდ ექვემდებარება დაკვირვებას და ნარმოადგენს გარკვეული მხატვრული პრობლემების გადაწყვეტას მიუხედავად იმისა, გუშინ შეიქმნა იგი თუ ათასი წლის წინათ. ნანარმოების ანალიზის, დახასიათების ან შეფასების დროს გამუდმებით უნდა ვემყარებო-დეთ გარკვეულ კრიტიკულ პრინციპებს. „ლიტერატურის ისტო-

ლიტერატურის თეორია

რიკონი კრიტიკონი უნდა იყოს თუნდაც იმისათვის, რომ ისტორიკონი იყოს“.¹¹

მეორე მხრივ, ლიტერატურის ისტორიას ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული კრიტიკისათვის, თუკი ეს უკანასკნელი გადალახავს პირადი სიმპათიისა და ანტიპათიის სუბიექტურ ფარგლებს. კრიტიკონი, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ არაფერი არ იცის ლიტერატურაში ისტორიულად ჩამოყალიბებული მიმართებების შესახებ, ხშირად გააკეთებს მცდარ დასკვნებს. მას გაუჭირდება ერთმანეთისაგან განასხვავოს ორიგინალური და მიმბაძველობითი ნაწარმოები; იმის გამო, რომ არ იცნობს ისტორიულ გარემოებებს, ის ვერ შეძლებს ადეკვატურად შეაფასოს ცალკეული ნაწარმოებები. კრიტიკონი, რომელიც საერთოდ არ იცნობს ისტორიას, ან ცუდად იცნობს მას, გამუდმებით აკეთებს ზედაპირულ დასკვნებს ან კმაყოფილდება „შედევრთა სამყაროში“ საკუთარი მოგზაურობის აღწერით, ცდილობს თავიდან აიცილოს შორეულ ნარსულში ქექვა; ნარსულის შესწავლას იგი ან ანტიკურობით გატაცებულ პირს გადააბარებს, ან „ფილოლოგს“.

საინტერესოა, აქ მიმოვიხილოთ შუა საუკუნეების ლიტერატურა, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურა, რომელსაც, შესაძლოა ჩილეერის გამოკლებით, იშვიათად თუ შეიძნავლიან რომელიმე ესთეტიკური ან კრიტიკული თვალსაზრისის საფუძველზე. თანამედროვე ესთეტიკური სტანდარტის საფუძველზე შესაძლებელია ანგლოსაქსურ პოეზიისა და შუა საუკუნეების მდიდარი ლირიკის ახლებური შეფასება; მეორე მხრივ, ისტორიული პერსპექტივის კვლევა და გენეტიკური პრობლემების სისტემატური შესწავლა ნათელს მოჰყენს თანამედროვე ლიტერატურას. ლიტერატურის კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის ტრადიციული გამიჯვნა ორივე მათგანისათვის საზიანო აღმოჩნდა.

თავი მეცნობე

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა

*

ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ თეორია, ისტორია და კრიტიკა. ახლა კი, დაყოფის სხვა პრინციპის საფუძველზე, შეგვიძლია წარმოვადგინოთ შეპირი-სპირებითი, ზოგადი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის სისტემატური განსაზღვრა. ტერმინი „შედარებითი“ ლიტერატუ-რათმცოდნეობა ძალზე ტლანქია, და, როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა აკადემიური მეცნიერების ნაკლები ინტერესი შედარ-ებითი კვლევების მიმართ. მეთიუ არნოლდმა, რომელმაც ამპერის (Ampere) “*histoire comparative*” (შედარებითი ისტორია) თარგმ-ნა, პირველად გამოიყენა ეს ტერმინი ინგლისურ ენაზე (1848). ფრანგები უპირატესობას ანიჭებდნენ ვილემენის (Villemain) მიერ უფრო ადრე გამოყენებულ ტერმინს, როდესაც იგი კიუვიეს (Cuvier) *Anatomie comparee*-ის (შედარებითი ანატომია) (1800) ანალო-გიით, *Litterature comparee*-ს („შედარებითი ლიტერატურათმცოდ-ნეობის“) თაობაზე საუბრობდა (1829). გერმანელები “*vergleichende Literaturgeschichte*”-ზე მსჯელობდნენ.¹ ამ ზედსართავთაგან ვერც ერთი ვერ აშექებსა ამ პრობლემას სრულად, რადგან შედარება ის მეთოდია, რომელსაც ყველა მეცნიერება და კრიტიკული თეორია იყენებს და რომელიც ადეკვატურად ვერ ასახავს ლიტერატურათ-მცოდნეობის თავისებურებებს. სხვადასხვა ლიტერატურის, თუნ-დაც ლიტერატურული მიმდინარეობების, ხერხებისა და ნაწარ-მოებების ფორმალური შედარება იშვიათად წარმოადგენს ლიტე-რატურის ისტორიის ცენტრალურ საგანს. ამასთან, ისეთი წიგნე-ბი, როგორიცაა, მაგალითად, ფ. ს. გრინის (F. C. Green) „*მეზუეტი*“², რომელშიც შედარებულია მეოვრამეტე საუკუნის ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს, რადგან მასში გამოვლენი-ლია არა მხოლოდ პარალელები და ნათესაობა, არამედ განსხვავე-ბებიც სხვადასხვა ერის ლიტერატურებს შორის.

ლიტერატურის თეორია

რეალურად, ტერმინი „შედარებითი“ ლიტერატურა ყოველთვის გულისხმობდა შესწავლის განსაზღვრულ სფეროებს და პრობლემათა ჯგუფებს. პირველ ყოვლისა, ის შესაძლოა მოიცავდეს ზეპირისიტყვიერი ლიტერატურის შესწავლას, განსაკუთრებით ფოლკლორულ თემებს და მათ მიგრაციას, იმას, თუ როგორ და როდის მიიჩნიეს ეს სფერო „მაღალ“, „მხატვრულ“ ლიტერატურად. ფოლკლორის პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივ ნარმოადგენს ესთეტიკურ პრობლემებს, ვინაიდან მეცნიერების ეს მნიშვნელოვანი სფერო მხოლოდ ნაწილობრივ არის დაინტერესებული ესთეტიკური ფაქტებთი; ფოლკლორისათვის უფრო მნიშვნელოვანია, შეისწავლის რომელიმე „ხალხის“ ცივილიზაცია, მისი ტრადიციული სამოსი და ტრადიციები, ცრურნები და იარაღები, ისევე, როგორც მისი ხელოვნება. თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ზეპირისიტყვიერი ლიტერატურის შესწავლა ლიტერატურული მეცნიერების განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან არ შეიძლება მისი გამიჯვნა წერილობითი ლიტერატურის შესწავლისაგან, რადგან ყოველთვის არსებობდა კავშირი ზეპირისიტყვიერ და წერილობით ლიტერატურებს შორის. სულაც არ არის საჭირო, ფოლკლორისტი ჰანს ნაუმანივით (Hans Naumann)³ (რომელსაც მიაჩნია, რომ გვიანი პერიოდის ზეპირისიტყვიერი ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში “gesunkenes Kulturgut”-ს ნარმოადგენს) უკიდურესობაში გადავვარდეთ და ვაღიაროთ, თუ რაოდენ დიდადადა დავალებული წერილობითი მაღალი ლიტერატურა ზეპირისიტყვიერი ლიტერატურისაგან. მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ ბევრი ძირითადი ლიტერატურული ჟანრი და თემა ფოლკლორული ნარმოშობისაა და, ამგვარად, ეჭვს არ იწვევს ფოლკლორული ლიტერატურის მზარდი საზოგადოებრივი როლი. და მაინც, უდავოა, რომ ფოლკლორი ბევრი რამით დაესესხა საგმირო-სარაინდო რომანსა და ტრუბადურთა ლირიკას. ეს თვალსაზრისი მიუღებელია რომანტიკოსებისთვის, რომელთა აზრით, ფოლკლორი შემოქმედებითი ბუნებისაა და ხალხური ხელოვნების ფესვები ანტიკურობაში უნდა ვეძიოთ. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ პოპულარული ბალადების, ჩვენთვის ნაცნობი ზღაპრებისა და ლეგენდების ნარმოშობა ხშირად უკავშირდება უფრო გვიანდელ პერიოდსა და საზოგადოების მაღალ კლასს. და მაინც, ზეპირისიტყვიერი ლიტერატურის შესწავლისთ-

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა ვის უნდა ზრუნავდეს ლიტერატურის ყველა ის მკვლევარი, ვისაც სურს ჩასწერდეს ლიტერატურული განვითარების პროცესებს, ლიტერატურული ჟანრებისა და ხერხების წარმოშობასა და განვითარებას. სამწუხაროდ, ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის კვლევა დღემდე მხოლოდ გარკვეული თემებისა და სხვადასხვა ქვეყანაში მათი გავრცელების, ე.ი. თანამედროვე ლიტერატურის „ნედლეულის“ შესწავლით შემოიფარგლებოდა.⁴ ამასთან, ბოლო დროს ფოლკლორის მკვლევრები სულ უფრო ხშირად მიაპყრობენ ყურადღებას სხვადასხვა მოდელის, ფორმისა და ხერხის შესწავლას, ლიტერატურული ფორმების მორფოლოგიას, მთხრობლის ან ნარატორის და ზღაპრის მსმენლების ფუნქციებს, რის წყალობითაც მათი კვლევა მჭიდროდ დაუკავშირდა ლიტერატურული კვლევის ზოგად კონცეფციას.⁵ თუმცა, ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის შესწავლისას ვანყდებით სპეციფიკურ — მაგალითად, გადაცემისა და სოციალური გარემოს⁶ — პრობლემებს, მაგრამ ისინი, რასაკვირველია, დიდად არ განსხვავდება წერილობით ლიტერატურაში არსებული პრობლემებისაგან; ყოველთვის არსებოდა ნათესაობა ზეპირსიტყვიერსა და წერილობით ლიტერატურებს შორის. თანამედროვე ევროპული ლიტერატურის მკვლევრები ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ, რამაც, საბოლოო ანგარიშით, მათვე შეუქმნა პრობლემები. მეორე მხრივ, სლავურ და სკანდინავიურ ქვეყნებში, სადაც ფოლკლორი ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ ცოცხალია, ლიტერატურის ისტორიული უფრო მჭიდრო კავშირს ინარჩუნებენ ამ კვლევებთან. მიუხედავად ამისა, ტერმინი „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ მაინცდამაინც ზუსტად ვერ გადმოცემს ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის შესწავლის შინაარსს.

„შედარებითი“ ლიტერატურათმცოდნეობის მეორე გაგება მხოლოდ ორ ან მეტ ლიტერატურას შორის არსებული ურთიერთმიმართებების შესწავლით შემოიფარგლება. ამგვარი გაგება დამკვიდრა ფრანგი „კომპარატისტების“ პოპულარულმა სკოლამ, რომელსაც ან გარდაცვლილი ფერნან ბალდენსბერგი (Fernand Baldensperger) ხელმძღვანელობდა და რომელიც „Revue de Littérature comparée“-ის ირგვლივ იყო შემოკრებილი.⁷ ამ სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა გოეთეს (Goethe) რეპუტაცია და მი-

ლიტერატურის თეორია

სი ნაწარმოებების გავრცელება, გავლენა და პოპულარობა საფრანგეთსა და ინგლისში, ოსიანის (Ossian), კარლაილის (Carlyle) და შილერის (Schiller) პოპულარობა საფრანგეთში. სკოლამ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც სცილდება ნაწარმოების მიმოხილვების, თარგმანებისა და გავლენის შესწავლას, დაინტერესდა ამა თუ იმ ავტორის რეპუტაციითა და კონცეფციით რომელიმე მოცემულ პერიოდში და ყურადღება მიაქცია ნაწარმოების გავრცელების ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა პერიოდული გამოცემები, მთარგმნელების მოღვაწეობა, სალონები და მოგზაურთა ჩანაწერები; ამას გარდა, გამოიკვეთა ე. წ. „ათვისების ფაქტორიც“, ესე იგი, განსაკუთრებული გარემო და ლიტერატურული სიტუაცია, რომელშიც უცხოელი ავტორის „გადანერგვა“ ხდება. საბოლოოდ, დაგროვდა დასავლეთევროპული ლიტერატურების მჭიდრო კავშირის დამადასტურებელი ბევრი საბუთი, რის შედეგადაც განუზომლად მეტი გავიგეთ ლიტერატურების „ექსპორტის“ შესახებ.

უნდა ვალიაროთ, რომ „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ ამგვარი გაგებაც წინააღმდეგობრივია, და როგორც ჩანს, მის საფუძველზე შეუძლებელია რამე დასრულებული სისტემის შექმნა.⁸ ერთი და იმავე მეთოდოლოგით შეისწავლიან „შექსპირს საფრანგეთში“, „შექსპირს მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში“, პოს ზეგავლენას ბოდლერზე (Baudelaire) და დრაიდენისას (Dryden) — პოუპზე. როდესაც არ ხდება, მთლიანად, ეროვნული ლიტერატურების შეპირისპირება, მაშინ ლიტერატურებს შორის შედარებები უმეტესწილად მხოლოდ ისეთი გარეგანი პრობლემებით შემოიფარგლება, როგორიცაა წყაროებისა და გავლენების, რეპუტაციისა და პოპულარობის საკითხები. ამგვარი კვლევები საშუალებას არ გვაძლევს, შევისწავლოთ და განვსაჯოთ რომელიმე ცალკეული ნაწარმოები ან მისი ნარმოშობის რთული საწყისი; ამის ნაცვლად მსგავსი ნაშრომები, ძირითადად, ან რომელიმე შედევრის თარგმანზე, ან მიპაძვაზე (ხშირად მეორეხარისხოვანი ავტორების მიერ) ამახვილებს ყურადღებას, ან შედევრის წინაისტორიას, მისი თემებისა და ფორმების მოძრაობასა და გავრცელებას შეისწავლის. ამდენად, „შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში“ აქცენტი გარეგან ფაქტორებზეა გადატანილი და მისი დაკინება ბოლო ათწლეულებში მეტყველებს

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა იმაზე, რომ დღეს კვლევა ვეღარ დაკმაყოფილდება, უბრალოდ, ფაქტების, წყაროებისა და გავლენების შესწავლით.

თუმცა, მესამე კონცეფცია გვერდს უვლის ყველა ამ კრიტიკას და „შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას“ აიგივებს მთლიანად ლიტერატურის, „მსოფლიო ლიტერატურის“, „ზოგადი“ ან „უნივერსალური“ ლიტერატურის შესწავლასთან,, მსგავსი გაიგივება, რასაკვირველია, გარკვეულ სირთულეებს ბადებს. ტერმინი „მსოფლიო ლიტერატურა“ გოეთეს Weltliteratur-ის თარგმანს წარმოადგენს. ? შესაძლოა, ეს მეტისმეტად ფართო ცნებაა და გულისხმობს იმას, რომ ლიტერატურას უნდა შეისწავლიდნენ ხუთივე კონტინენტზე, ახალი ზელანდიდან ისლანდიამდე. გოეთეს, ფაქტობრივად, ასეთი რამ არც უფიქრია. ტერმინით „მსოფლიო ლიტერატურა“ იგი იმ მომავალ დროზე მიანიშნებდა, როცა სხვადასხვა ხალხების ლიტერატურები ერთ ლიტერატურად იქცეოდა. ეს არის ყველა ლიტერატურის დიადი სინთეზის იდეალი, რომელშიც ყოველი ერი საკუთარ წვლილს შეიტანდა. მაგრამ თავად გოეთე ხვდებოდა, რომ ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა, რადგან არც ერთ ერს არ სურს უარი თქვას საკუთარ თვითმყოფობაზე. დღეს, ამგვარი გაერთიანების პერსპექტივა ალბათ კიდევ უფრო შორეულია და ალბათ, სერიოზულად არც კი მოვინდომებთ, რომ აღმოვფხვრათ არსებული განსხვავებები ეროვნულ ლიტერატურებს შორის. „მსოფლიო ლიტერატურის“ ცნებას ხშირად მესამე მნიშვნელობითაც იყენებენ. ამ ტერმინით, შესაძლოა, აღნიშნავენ კლასიკოსებს — ჰომეროსს, დანტეს, სერვანტესს, შექსპირსა და გოეთეს, რომელთა რეპუტაცია მთელ მსოფლიოში ურყოვია. ამდენად, ეს ტერმინი იქცა „შედევრის“ სინონიმად და ნიშანდობლივია ისეთი პროცესისთვის, რომლის შედევგადაც ხდება გარკვეული ნაწარმოების გამორჩევა გარკვეული კრიტიკული და პედაგოგიური თვალსაზრისით. თუმცა, მსგავსი სელექცია ვერ დააქმაყოფილებს იმ მკვლევარის ინტერესებს, რომელსაც უფრო ფართო სურათის დანახვა სურს, ისტორიული პროცესებსა და ცვლილებებს აკვირდება და, ამდენად, მხოლოდ შედევრების შესწავლით ვერ შემოიფარგლება.

შესაძლოა, უფრო მისაღებ ტერმინს — „ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა“ — სხვა უარყოფითი მხარეები ჰქონდეს. თავდაპირველად მასში იგულისხმებოდა პოეტიკა ან ლიტერატურის თეორია და პრინციპები; უკანასკნელ ათწლეულებში პოლ ვან

ლიტერატურის თეორია

ტიგემი (Paul van Tieghem)¹⁰ ცდილობდა ის ისეთი კონცეფციისთვის დაეპირისაპირებინა, როგორიცაა „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ მისი განმარტებით, „ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა“ შეისწავლის იმ მიმდინარეობებსა და ლიტერატურულ მოდას, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს სცილდება, მაშინ, როდესაც „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ შეისწავლის ურთიერთმიმართებებს ორ ან მეტ ლიტერატურას შორის. მაგრამ როგორ უნდა განვისაზღვროთ, მაგალითად, ოსიანიზმი „ზოგადი“ ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის საგანია თუ „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა?“ შეუძლებელია, ჯეროვნად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან უოლტერ სკოტის (Walter Scott) გავლენა უცხოეთში და ისტორიული რომანის საერთაშორისო პოპულარობა. ტერმინები „შედარებითი“ და „ზოგადი“ ლიტერატურათმცოდნეობა ერთმანეთს გადაკვეთს. შესაძლებელია, უფრო უპრიანი იყოს, ვილაპარაკოთ, უბრალოდ, „ლიტერატურათმცოდნეობის შესახებ“, რომელიც განიხილავს მთელ ლიტერატურას.

რა სირთულეებსაც უნდა წააწყდეს უნივერსალური ლიტერატურის ისტორიის კონცეფცია, ლიტერატურა უნდა მოვიაზროთ როგორც მთლიანობა და ლიტერატურის ზრდა-განვითარება განვიხილოთ ისე, რომ ყურადღება არ მივაქციოთ ენობრივ განსხვავებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი „შედარებითი“ ან „ზოგადი“ ლიტერატურათმცოდნეობის, ან უბრალოდ „ლიტერატურის“ სასარგებლოდ ააშკარავებს იმ მცდარ აზრს, თითქოს არსებობს თვითკმარი ეროვნული ლიტერატურა. ყოველ შემთხვევაში, დასავლური ლიტერატურა ერთ მთლიანობას წარმოადგენს. საკამათო არაა, რომ ლიტერატურა უწყვეტად ვითარდებოდა ბერძნული და რომაულ ლიტერატურებიდან შეასაუკუნების დასავლეთევროპული ლიტერატურებისკენ და, შემდეგ, ძირითადი თანამედროვე ლიტერატურებისკენ. და თუ სათანადოდ შევაფასებთ ალმოსავლური გავლენის, განსაკუთრებით კი ბიბლიის, მნიშვნელობას, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ მჭიდრო კავშირი აერთიანებს მთლიანად ევროპის, რუსეთის, შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ლიტერატურებს. ეს იდეალი ლიტერატურის ისტორიის შემქმნელებმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბეს (მათ ხელთ არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად): ასეთი მოღვაწეები

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა იყვნენ შლეგელი (Schlegel), ბოუტერვეკი (Bouterwek), სისმონდი (Sismondi) და ჰალამი (Hallam).¹¹ მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმის გაძლიერებამ, რასაც სპეციალიზაციის ზრდაც დაემატა, გამოიწვია ეროვნული ლიტერატურების სულ უფრო ვიწრო პროვინციული შესწავლის დამკვიდრება. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ევოლუციონიზმის გავლენით აღორძინდა ლიტერატურის უნივერსალური ისტორიის იდეალი. „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ პირველი პრაქტიკოსები ფოლკლორის მევლევრები და ეთნოგრაფები იყვნენ, რომლებიც, უპირატესად ჰერბერტ სპენსერის (Herbert Spencer) გავლენით, შეისწავლიდნენ ლიტერატურის ნარმომავლობას, იმას, თუ როგორ მოხდა მისი გამრავალფეროვნება ზეპირსიტყვიერი ლიტერატურული ფორმებით და როგორ იქცა ის ადრეულ ეპიკად, დრამად და ლირიკად.¹² თუმცა, ევოლუციონიზმმა მცირე კვალი დატოვა ახალი ლიტერატურების შესწავლაში და, როგორც ჩანს, მარცხი განიცადა ბიოლოგიურ ევოლუციასთან ლიტერატურის განვითარების დაკავშირების მცდელობამ, ისევე, როგორც უნივერსალური ლიტერატურის ისტორიის იდეალმა. საბედნიეროდ, ბოლო წლებში ბევრი რამ მიგვანიშნებს იმას, რომ ზოგადი ლიტერატურული ისტორიოგრაფიის იდეალი კვლავ აღმავლობას განიცდის. ერნსტ რობერტ კურტიუსი (Ernst Robert Curtius) თავის წიგნში „ევროპული ლიტერატურა და ლათინური შუა საუკუნეები“ (1948) გასაოცარი ერუდიციით ასახავს დასავლური ტრადიციისთვის ნიშანდობლივ ზოგად ნიშან-თვისებებს. ერიხ აუერბახის (Erich Auerbach) „მიმეზის“ (1946) ნარმოადგენს რეალიზმის ისტორიას პომეროსიდან მოყოლებული — ჯოისამდე და ცალკეული პასაუების ფაქიზ სტილისტურ ანალიზს ეფუძნება;¹³ ორივე ეს ნაშრომი მეცნიერების ისეთ მიღწევებს ნარმოადგენს, რომლებიც გადალახავს ნაციონალიზმის ჩარჩოებს და დამაჯერებელი არგუმენტებით ასახავს დასავლური ცივილიზაციის ერთიანობას, კლასიკური ანტიკურიბისა და შუა საუკუნეების ქრისტიანობის მემკვიდრეობის მნიშვნელობას.

ხელახლა უნდა დაინეროს ლიტერატურის ისტორია როგორც სინთეზი, ლიტერატურის ისტორია — ზეეროვნული კუთხით. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურათა შედარებითი შესწავლა მკვლევართაგან უდიდეს ენობრივ კომპეტენციას მოითხოვს.

ლიტერატურის თეორია

ამგვარი კვლევისთვის საჭიროა პერსპექტივის გაფართოება, კუთხური და პროექციული განწყობების დაძლევა, რაც, თავისთვად, რთულად მისაღწევი ამოცანაა. მიუხედავად ამისა, ლიტერატურა ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ისევე როგორც ხელოვნება და კაცობრიობა და სწორედ ამგვარი ხედვით იკვეთება ისტორიული ლიტერატურათმცოდნების მომავალი.

ამ უზარმაზარი სფეროს ფარგლებში, რაც, ფაქტობრივად, მთელი ლიტერატურის ისტორიას მოიცავს, რასაკევირველია, უნდა გავითვალისწინოთ ენობრივი ქვეჯგუფებიც. უნინარესად, არსებობს სამი უმთავრესი ევროპული ენობრივი ოჯახის ჯგუფი – გერმანული, რომანული და სლავური ლიტერატურები. რომანული ლიტერატურების ურთიერთკავშირს მკვლევრები განსაკუთრებით ხშირად შეისწავლიდნენ, დაწყებული ბოუტერვეკით ვიდრე ლეონარდო ოლშკიმდე (Leonardo Olschki),¹⁴ რომელიც შეეცადა დაენერა შუა საუკუნეების პერიოდის ყველა ამ ლიტერატურის ისტორია. რაც შეეხება გერმანულ ლიტერატურებს, მათი შესწავლა ხშირ შემთხვევებში იყარგლებოდა ადრეული შუა საუკუნეების პერიოდით, როდესაც განსაკუთრებული სიმბაფრით აღიქმებოდა მათი (საერთო ტევტონური ცივილიზაციით განპირობებული) ნათესაობა.¹⁵ მიუხედავად პოლონელი მეცნიერების ტრადიციული წინააღმდეგობისა, შეიძლება ითქვას, რომ სლავური ენების ნათესაობა იმ საერთო სახალხო ტრადიციების გათვალისწინებით, რომლებიც მეტრიკაშიც კი ვლინდება, საერთო სლავური ლიტერატურის საფუძველს წარმოადგენს.¹⁶

თემებისა და ფორმების, მხატვრული ხერხებისა და ჟანრების ისტორია რომ საერთაშორისო ისტორიას წარმოადგენს, უდავოა. მართალია, ჩვენი უანრების უმრავლესობა ბერძნული და რომაული ლიტერატურისაგან მომდინარეობს, მაგრამ შუა საუკუნეების განმავლობაში მათ მნიშვნელოვანი მოდიფიცირება განიცადეს და დაიხვეწნენ. თუმცა მეტრიკის ისტორია ცალკეულ ენიბრივ სისტემებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მაგრამ ის მაინც საერთაშორისო ფენომენს წარმოადგენს. უფრო მეტიც, თანამედროვე ევროპის არა ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული მიმდინარეობა და სტილი (რენესანსი, ბაროკო, ნეოკლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი) მნიშვნელოვნად სცილდება ერთი რომელიმე ერის საზღვრებს, მიუხედავად იმისა, რომ

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა არსებობს ანგარიშგასაწევი ეროვნული განსხვავებანი ამ მიმდინარეობათა ინდივიდუალურ გამოხატულებებს შორის.¹⁷ შეიძლება, განსხვავდებოდეს მათი გეოგრაფიული გავრცელების მასშტაბიც. რენესანსმა, მაგალითად, პოლონეთში შეაღნია, მაგრამ ვერ გავრცელდა რუსეთსა და ბოჰემიაში. ბაროკოს სტილი ფართოდ გავრცელდა მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის უკრაინაშიც, მაგრამ რუსეთს თითქმის არ შეხებია. შესაძლებელია, არსებობდეს ქრონოლოგიური განსხვავებები: ბაროკოს სტილი აღმოსავლეთ ევროპის ე. წ. „სამინათოებელო“ ცივილიზაციებში მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე შემორჩა, მაშინ როდესაც დასავლეთმა ამ პერიოდის განმავლობაში განვლონ განმანათლებლობა და ა. შ. საერთოდ კი, ენობრივი ბარიერების მნიშვნელობა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში უმართებულოდ იყო გაზვიადებული.

ეს იმით აიხსნება, რომ ლიტერატურის თანამედროვე სისტემატური ისტორია ჩაისახა რომანტიკულ (ძირითადად, ენობრივ) ნაციონალიზმთან მეტად მჭიდრო ურთიერთკავშირში. ამის შედეგები დღესაც შეიმჩნევა ისეთი პრატიკული ტენდენციების გავლენით, როგორიცა (განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში) ლიტერატურის შესწავლისა და ენის შესწავლის ფაქტობრივი გაიგივება. ამის შედეგად, შეერთებულ შტატებში ინგლისური, გერმანული და ფრანგული ლიტერატურის შემსწავლელთა შორის თითქმის არ არის კონტაქტი. ამ ჯგუფებს სხვადასხვაგვარი თავისებურებები ახასიათებს და თითოეული მათგანი განსხვავებულ მეთოდოლოგიებს იყენებს. ამ განსხვავებების არსებობა, რასაკვირველია, ნაწილობრივ გარდაუვალია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანების უმრავლესობა მხოლოდ ერთ ენობრივ გარემოში ცხოვრობს. მაგრამ გროტესკულ შედეგებს იძლევა ლიტერატურული პრობლემების განხილვა მხოლოდ ერთ რომელიმე ენაზე არსებულ ტექსტების ან დოკუმენტების საფუძველზე. თუმცა ლინგვისტური განსხვავებები ევროპულ ლიტერატურებს შორის თავს იჩინს მხატვრული სტილის, მეტრის, და თვით ჟანრის ზოგიერთ საკითხის განხილვისას, მაგრამ აშკარაა, რომ ხშირ შემთხვევაში იდეების (მათ შორის, ესთეტიკური იდეების) ისტორიის არაერთი პრობლემის გადაჭრისას ამგვარი განსხვავებანი არაარსებითია; მანამ, სანამ ჭარბ ყურადღებას დავუთმობთ ამ განსხვავებებს, ჩვენს ლიტერატურის ისტორიებში ხელოვნუ-

ლიტერატურის თეორია

რად იქნება გაერთიანებული ის მოვლენები, რომელთა ბუნებრივად გაერთიანება სავსებით შესაძლებელია, და იძულებულნი ვიქნებით შემოვიფარგლოთ იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთი გამოხმაურების მოხსენიებით, რომლებიც შემთხვევით იქნა აღნიშნული ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ლიტერატურაში. გადაჭარბებული ყურადღება რომელიმე ცალკეული ეროვნული ენის მიმართ განსაკუთრებით საზიანოა შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისას, რადგან შუა საუკუნეებში ლათინური იყო უმთავრესი სალიტერატურო ენა და ევროპა მჭიდრო ინტელექტუალურ ასპექტში ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის შესახებ დაწერილი ისტორია, რომელიც ხშირად გვერდს უვლის ლათინურსა და ანგლო-ნორმანულ ენებზე დაწერილ დიდი რაოდენობის ნაწარმოებებს, იმ პერიოდის ინგლისში არსებული ლიტერატურული და ზოგადად, კულტურული ვითარების მცდარ სურათს ქმნის.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ეს პრინციპი, რასაკვირველია, არ გულისხმობს, რომ უგულებელყოფილ უნდა იქნეს ეროვნული ლიტერატურების შესწავლა. მართლაც, აქ, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს სწორედ „ეროვნულობის“ საკითხთან, იმასთან, თუ რა წვლილი შეიტანეს ცალკეულმა ერებმა საერთო ლიტერატურულ პროცესში. იმის ნაცვლად რომ მომხდარიყო მისი თეორიული ექსპლიკაცია, პრობლემა ბუნდოვანი გახდა ნაციონალისტური განწყობებითა და რასისტული თეორიების წყალობით. თუეკუცდებით, გამოვევთოთ ინგლისური ლიტერატურის ზუსტი წვლილი ზოგად ლიტერატურაში, რაც თავისთვავად მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, შეიძლება პერსპექტივის შეცვლა მოგვიხდეს და განსხვავებულად შევაფასოთ მნიშვნელოვანი მწერლების წვლილიც კი. თითოეული ეროვნული ლიტერატურის ფარგლებში წამოიჭრება მსგავსი პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა წარმოდგნილი რეგონები და ქალაქები საერთო ლიტერატურის ფარგლებში. ოზეფ ნადლერმა (Josef Nadler)¹⁸ მეტად გაზიადებული თეორია წამოაყენა. ის აცხადებს, რომ უნარი შესწევს, ერთმანეთისაგან განასხვავოს თითოეული გერმანული ტომისა და რეგიონის ნიშან-თვისებები, და გამოავლინოს ამ ნიშან-თვისებათა ასახვა ლიტერატურაში. ამგვარმა თვალსაზრისმა ხელი არ უნდა

ზოგადი, შედარებითი და ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობა

შეგვიშალოს იმ პრობლემების განხილვაში, რომელთაც იშვიათად იკვლევენ ფაქტებისა და თანმიმდევრული მეთოდის გამოყენებით. ბევრი რამ დაწერა იმაზე, თუ რა როლი შეასრულა ახალმა ინ-გლისმა, შუა დასავლეთმა და სამხრეთმა ამერიკული ლიტე-რატურის ისტორიაში, მაგრამ რეგიონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ამგვარი ნაშრომების უმრავლესობა, საბოლოო ან-გარიშში, მხოლოდ და მხოლოდ დიდ იმედების, ადგილობრივი სია-მაყისა და ცენტრალიზაციის პროცესით გამოწვეული სიძულვი-ლის ნაზავია. ნებისმიერი ობიექტური ანალიზის დროს, საჭიროა ავტორთა რასობრივი წარმომავლობისა და სოციოლოგიური საკითხები გაიმიჯვნოს იმ საკითხებისაგან, რომლებიც ეხება ლანდშაფტის რეალურ გავლენას, აგრეთვე — ლიტერატურული ტრადიციისა და მოდის პრობლემებს.

„ეროვნულობის“ პრობლემები განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ერთ ენაზე შექმნილ სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურასთან, როგორიცაა, მაგალითად, ამერი-კული და თანამედროვე ირლანდიური ლიტერატურები. საჭიროა გაირკვეს რატომ მიეკუთვნებიან იეტსი და ჯონისი ირლანდიულ ლიტერატურას, ხოლო გოლდსმიტი, სტერნი და შერიდანი კი არა. არსებობს თუ არა ბელგიური, შევიცარიული, ავსტრიული თავისუ-ფალი ლიტერატურა? არ არის ადვილი იმის განსაზღვრა თუ რა-ტომ აღიძებოდა ამერიკაში შექმნილი ლიტერატურა „კოლონიურ ინგლისურად“ და როდის გახდა ის თავისუფალი, ეროვნული ლი-ტერატურა. იგულისხმება თუ არა მასში მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა? არის ეს მხოლოდ ეროვნული თემა და ხომ არ დაკრავს მას „იქაური ადგილობრივი ელფერი“? თუ ეს განსაზ-ღვრული ეროვნული ლიტერატურული სტილის აღმასვლაა?

მხოლოდ მაშინ როდესაც ეს პრობლემები გადაიქრება, ჩვენ შევძლებთ შევქმნათ და დავწეროთ ეროვნული ლიტერატუ-რის ისტორია, რომელიც არ იქნება მხოლოდ გეოგრაფიული და ლინგვისტური კატეგორიებით შემოფარგლული, მაშინ თუ შევძლებთ ანალიზს იმ გზებისა თუ მეთოდებისა რომელთა მეშ-ვეობით თითოეული ეროვნული ლიტერატურა გაიზიარებს ევროპულ ტრადიციებს. უნივერსალური და ეროვნული ლი-ტერატურები ერთმანეთს გულისხმობს. საყოველთაოდ გავრ-ცელებეული ევროპული პირობითობა თითოეულ ქვეყანაში სხვა-

ლიტერატურის თეორია

დასხვა სახით გვევლინება. არსებობს ასევე ე.წ. „გამოსხივების ცენტრები“ ყველა ქვეყანაში ანუ იგულისხმება ექსცენტრიული და განსაკუთრებულად დიდი ფიგურები რომლებიც ამკვიდრებენ ეროვნულ ტრადიციებს სხ ვა ტრადიციებიდან გამომდინარე. და იმისათვის რომ თითოეულის წვლილი განისაზღვროს, საჭიროა განისაზღვროს რისი ცოდნაა აუცილებელი მთელს ლიტერატურის ისტორიაში.

ნაწილი მეორე

მოსამზადებელი სტადიონი

თავი მეექვსე

ფაქტების ორგანიზება და დასაპუთიება

*

კვლევის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მასალის შეგროვება, დროის უარყოფითი ეფექტების აღმოფხვრა, ავტორობის, ავთენტურობისა და თარიღების საკითხის გადაჭრა. ამ პრობლემის მოგვარება განსაკუთრებულ ოსტატობასა და გულმოდგინებას საჭიროებს; ამასთან ერთად, ლიტერატურის შესწავლისას აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, რომ ესაა მხოლოდ საწყისი ეტაპი კვლევის საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ხშირად განუზომლად დიდია ამ საწყისი ნაბიჯების მნიშვნელობა, რადგან მათ გარეშე მეტად გართულდებოდა კრიტიკული ანალიზი და ისტორიული პერსპექტივის გააზრება. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ნახევრად დავინუყებულ ლიტერატურულ ტრადიციას, როგორიცაა ანგლოსაქსური ლიტერატურა; მიუხედავად ამისა, არ ღირს საწყისი სამუშაოების მნიშვნელობის გაზვიადება თანამედროვე ლიტერატურის შესწავლისას, რომლის მიზანს წარმოადგენს ნანარმოებთა საზრისის ინტერპრეტაცია. ამგვარი კვლევები, აუცილებელი პედაგიზმის გამო, ზოგჯერ დაცინვას იწვევს, ხან კი მათ განადიდებენ მოჩვენებითი ან ჭეშმარიტი მეცნიერული სიზუსტის გამო. აკურატულობა და გულმოდგინება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადაიჭრას ზოგიერთი პრობლემა, ყოველთვის იზიდავდა ისეთ მოაზროვნებს, რომელთაც ხიბლავთ თანმიმდევრული კვლევა, მასალის საგულდაგულო დამუშავება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ იმას, თუ საბოლოოდ როგორი სახე შეიძლება მიიღოს ამ კვლევებმა. მსგავსი კვლევების გაკრიტიკება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი გაუმართლებლად იკავებენ ანალიზის სხვა სახეობათა ადგილს და იქცევიან ნებისმიერი ლიტერატურათმცოდნისთვის სავალდებულო საქმედ. ხშირად ხდება ლიტერატურული ნანარმოებების ისეთი დეტალების რედაქტირება და იმგვარი პასაჟების შესწორება, რომლებიც სულაც არ იმსახურებს განხილვას ლიტერატურუ-

ლიტერატურის თეორია

ლი ან თუნდაც ისტორიული თვალსაზრისით. ხოლო როდესაც ეს დეტალები განხილვას იმსახურებს, მკვლევრები მხოლოდ მინი-მალურ ინტერესს იჩენენ მათ მიმართ. ადამიანის სხვა მოქმედებათა მსგავსად, ეს კვლევებიც ზოგჯერ თვითმიზნად გადაიქცევა ხოლმე.

ნინასწარ ეტაპებს შორის უნდა განვასხვავოთ ორი დონის ოპერაციები, როგორიც არის: (1) ტექსტის შეგროვება და მომზადება, აგრეთვე — (2) ქრონოლოგიის, ავთენტურობის, ავტორობის, თანამშრომლობის, რევიზიისა და სხვა მსგავსი საკითხები, რომელთაც ხშირად „უმაღლეს კრიტიკად“ მიიჩნევენ ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი, რომელიც ბიბლიისმცოდნეობის სფეროდან არის აღებული, ფრიად არაზუსტია.

აქედან აუცილებლად რამდენიმე ეტაპი უნდა გამოვყოთ. უნინარესად, ხდება ხელნაწერი თუ ნაბეჭდი მასალების ერთად თავმოყრა. ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ეს ამოცანა თითქმის ზედმინევნით შესრულდა, თუმცა ჩვენს საუკუნეში ინგლისური მისტიკური ბოეზის შესახებ ცოდნას დაემატა რამდენიმე ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი, როგორიცაა „მარჯერი კემპის წიგნი“ (*The Book of Margery Kempe*), მედუოლის (*Medwall*) „*Fulgens and Lucrece*“ და კრისტოფერ სმარტის (*Christopher Smart*) „*Rejoice in the Lamb*“.¹ მაგრამ, რასაკევირველია, ამას გარდა აღმოჩენილ იქნა უამრავი პირადი და იურიდიული დოკუმენტი, რომელთაც შესაძლოა ბევრი რამ გვითხრან ლიტერატურაზე ან, ყოველ შემთხვევაში, ინგლისელი მწერლების ცხოვრებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბოლო ათწლეულებში ლესლი ჰოტსონის (*Leslie Hotson*) მიერ აღმოჩენილი დოკუმენტები მარლოს შესახებ და ბოსუელის (*Boswell*) დოკუმენტების აღდგენის ფაქტი.² სხვა ეროვნულ ლიტერატურებში შესაძლოა აღმოჩენების მეტი აღბათობა არსებობდეს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც წერილობითი წყაროების დიდი ტრადიცია არ აქვთ.

ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის სფეროში მასალების შეგროვება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. იმისათვის, რომ ეს ლიტერატურა ჯეროვნად შეფასდეს, უნდა მოიძებნოს კომპეტენტური მომღერალი, ან მთხოვნებელი, მათ დასაყოლიებლად საჭიროა განსაკუთრებული ტაქტი და სიმარჯვე. გარდა ამისა, წაკითხული

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

და ნამღერი უნდა ჩაიწეროს ან გრამოფონზე, ან ფონეტიკური სიმბოლოების გამოყენებით და ა. შ. ხელნაწერი მასალების მოპოვების დროს ისეთ წმინდა პრაქტიკულ პრობლემებსაც ვაწყდებით, როგორიცაა პირადი ნაცნობობა მწერლის მემკვიდრეებთან, საკუთარი სოციალური პრესტიჟი, ფინანსური შეზღუდვები და ხშირად, ერთგვარი დეტექტიური უნარიც.³ ამგვარი ძიების დროს ხშირად სპეციფიკური ცოდნაა საჭირო. ლესლი პოტსონს, მაგალითად, თავგზა რომ არ აბნეოდა უამრავ საარქივო დოკუმენტზე მუშაობისას, ბევრი რამის შესწავლა დასჭირდა დედოფალი ელისაბედის დროინდელი სასამართლო პროცედურების შესახებ. რამდენადაც ლიტერატურათმცოდნებს წყაროების მოძიება ხშირად ბიბლიოთეკებში უხდებათ, მათთვის მეტად სასარგებლოა მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკებისა და მათ კატალოგების შესახებ ინფორმაციის ქონა.⁴

კატალოგების შედგენისა და ბიბლიოგრაფიული აღწერის ტექნიკური დეტალები ბიბლიოთეკარებსა და პროფესიონალ ბიბლიოგრაფებს მიენდოთ, მაგრამ ზოგჯერ წმინდა ბიბლიოგრაფიულ ფაქტებს შეიძლება ლიტერატურული მნიშვნელობა და ღირებულება ჰქონდეს. გამოცემების რაოდენობამ და ზომამ, შესაძლოა, ნათელი მოფინოს მწერლის წარმატებასა და რეპუტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოცემებს შორის არსებულმა განსხვავებებმა კი საშუალება მოგვცეს, დავადგინოთ ავტორის ხელახალი შესწავლის ეტაპები და, ამდენად, ხელოვნების ნაწარმოების ნარმოშობასა და ევოლუციასთან დაკავშირებული პრობლემები. ისეთი ოსტატურად რედაქტირებული ბიბლიოგრაფია, როგორიცაა, მაგალითად, „ინგლისური ლიტერატურის კემბრიჯის ბიბლიოგრაფია“ (Cambridge Bibliography of English Literature) კვლევის ფართო არეალს მოიცავს; ისეთი სპეციალიზებული ბიბლიოგრაფიები, როგორიცაა, მაგალითად, გრეგის (Greg) „ინგლისური დრამის ბიბლიოგრაფია“ (Bibliography of English Drama), ჯონსონის (Johnson) „სპენსერის ბიბლიოგრაფია“ (Spencer Bibliography), მაკდონალდის (Macdonald) „დრაიდენის ბიბლიოგრაფია“ (Dryden Bibliography), გრიფითის (Griffith) „პოუპის ბიბლიოგრაფია“ (Pope Bibliography),⁵ შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოდგეს ლიტერატურის ისტორიის არაერთ პრობლემაზე მსჯელობისას. ამგვარი ბიბლიოგრაფიების მეოხებით შესაძლოა აუცილებელი

ლიტერატურის თეორია

გახდეს გამომცემლობების საქმიანობის, წიგნის გამყიდველებისა და გამომცემელთა ისტორიების შესწავლა; ამ უკანასკნელთ კი სჭირდებათ საბეჭდი საშუალებებისა და აკინძვის ცოდნა. ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც თარიღის, გამოცემათა თანმიმდევრობის და სხვა თვალსაზრისით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ლიტერატურის ისტორიისთვის, ერთგვარი „ლიტერატურული მეცნიერულობა“ ან დიდი ერუდიციას საჭირო. ამდენად, „აღნერითი“ ტიპის ბიბლიოგრაფია, რომელიც წიგნის შიდა სტრუქტურას ეყყარება, უნდა განვასხვავოთ „აღმრიცხველი“ ბიბლიოგრაფიისაგან, რომლის მიზანია შედგენილი იქნეს წიგნების ნუსხა, სადაც მოცემული იქნება მარტივი იდენტიფიკაციისათვის საჭირო აღნერითი მონაცემები.⁶

როგორც კი მასალის მოგროვებისა და კატალოგების შედეგების პირველადი ეტაპი დასრულდება, იწყება რედაქტირების პროცესი. რედაქტირება ხშირად მეტად რთულ სამუშაოს გულისხმობს, რომელიც მოიცავს განმარტებასაც და ისტორიულ კვლევასაც. არსებობს გამოცემები, რომელთა შესავალი და შენიშვნები უკვე მნიშვნელოვან კრიტიკის შემცველია. რედაქტირებამ უმნიშვნელოვანების როლი შეასრულა ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში: ბოლოდროინდელი მაგალითი რომ გავიხსენოთ, ფ. ნ. რობინსონის (F. N. Robinson) მიერ ჩისერის ნანარმოებთა რედაქცია მნიშვნელოვან ცოდნას იძლევა ამ ავტორის შესახებ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რედაქტირების მთავრი მიზანი ნანარმოების ტექსტის დადგენაა, ამ პროცესის დროს გარკვეული პრობლემები ჩნდება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტექსტის კრიტიკა“, რამდენადაც ამ უკანასკნელს დახვეწილი მეთოდები და ხანგრძლივი ისტორია აქვს, განსაკუთრებით — კლასიკურ და ბიბლიურ კვლევებში.⁷

ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გავმიჯნოთ კლასიკური ან შუა საუკუნეების ხელნაწერების რედაქტირებისას წამოჭრილი პრობლემები და ნაბეჭდი მასალა. ხელნაწერი მასალები, პირველ ყოვლისა, პალეოგრაფიის, ანუ იმ მეცნიერების ცოდნას მოითხოვს, რომელმაც მეტად ფრთხილი კრიტერიუმები დაადგინა ხელნაწერთა დათარიღებასთან დაკავშირებით და აბრევიატურების გაშიფრვას მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები მიუძღვნა.⁸ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ დადგენილიყო,

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

ზუსტად რომელ პერიოდში შეიქმნა ხელნაწერი და რომელ მონასტერში. აქ შეიძლება ნამოიჭრას მეტად რთული საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ კერძოდ რა მიმართებები არსებობს ამ ხელნაწერებს შორის. კვლევის შედეგად უნდა მივიღოთ ხელნაწერთა ნარმომავლობის კლასიფიკაცია გრაფიკის სახით.⁹ ბოლო ათწლეულებში დომ ჰენრი ჟუენტინმა (Dom Henri Quentin) და უ. უ. გრეგმა¹⁰ შეიმუშავეს დეტალური ტექნიკა, რომელსაც, მათი აზრით, მეცნიერული სიზუსტე ახასიათებს, თუმცა, სხვა მეცნიერები, მაგალითად ბედიე (Bedier) და შეპარდი (Shepard)¹¹ ამტკიცებენ, რომ კლასიფიკაციების შემუშავების აბსოლუტურად ობიექტური მეთოდი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წიგნის ფარგლებში მსგავსი საკითხები ვერ გადაწყდება, უფრო მეორე თვალსაზრისისაკენ ვიხრებით. მიგვაჩნია, რომ უმეტეს შემთხვევებში უპრიანია, მოხდეს იმ ხელნაწერის რედაქტირება, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ავტორის ნაწარმოებს და აღარ ვეცადოთ, რომ აღვადგინოთ ჰიპოთეზური „ორიგინალი“. რედაქტირება, რასაკვირველია, შეჯერების შედეგებს დაემყარება და თავად ხელნაწერის არჩევა ხელნაწერთა მთელი ტრადიციის შესწავლის შედეგად მოხდება. იერს Plowman-ის ჩვენამდე მოღწეული სამოცი ხელნაწერისა და „კენტერბერიული მოთხოვების“ (Canterbury Tales)¹² ოთხმოცდასამი ხელნაწერის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ, სამწუხაროდ, ალბათ არ არსებობდა ის ავტორიზებული ვარიანტი ან არქეტიპი, რომელიც თანამედროვე ნაწარმოების საბოლოო რედაქციის ანალოგი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ნაწარმოების ხელახლა გადახედვა, ანუ ნაწარმოების ნარმომავლობის ან წყაროს აღდგენა უნდა განვასხვავოთ ტექსტის კრიტიკისა და შესწორებისაგან, რომელიც, რასაკვირველია, ამ კლასიფიკაციებს გაითვალისწინებს, მაგრამ, იმავდროულად, მხედველობაში მიიღებს იმ თვალსაზრისებსა და კრიტერიუმებსაც, რომლებიც ხელნაწერთა ტრადიციას არ უკავშირდება.¹³ ტექსტის შესწორება შესაძლოა „ავთენტურობის“ კრიტერიუმს დაეყრდნოს, რაც იმას გულისხმობს, რომ რომელიმე ცალკეული სიტყვა ან პასაჟი ყველაზე ძველი და საუკეთესო (ანუ ავტორიტეტული) ხელნაწერიდან აღვადგინოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელი გახდება „სიზუსტის“ ისეთი საზომების გამოყენება,

ლიტერატურის თეორია

როგორიცაა ლინგვისტური კრიტერიუმები, ისტორიული კრიტერიუმები და, ბოლოს, აუცილებელი ფსიქოლოგიური კრიტერიუმები. სხვა შემთხვევაში მეტად გაძნელდებოდა ისეთი „მექანიკური“ შეცდომების აღმოფხვრა, როგორებიცაა არასწორი წაკითხვა, ასოციაციები და თავად გადამწერთა მიერ გაუცნობიერებლად შეტანილი ცვლილებები. ბოლოს და ბოლოს, ბევრი რამ უნდა მივანდოთ კრიტიკოსის ვარაუდს, მის გემოვნებასა და ენობრივ ინტუიციას. თანამედროვე რედაქტორები, ჩვენი აზრით, სულ უფრო ერიდებიან ამგვარი სავარაუდო პროგნოზის გაკეთებას, მაგრამ როცა საქმე დიპლომატიურ ტექსტს ეხება, იმისი თქმაც კი შეიძლება, რომ რედაქტორი ახდენს თითოეული შემოკლების, გადამნერის მიერ დაშვებული შეცდომისა და თავდაპირველი პუნქტუაციის სრულ რეკონსტრუქციას. შესაძლოა, ზოგიერთი რედაქტორის ან ენათმეცნიერისათვის ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ლიტერატურის მკვლევრისთვის ეს მხოლოდ და მხოლოდ არაფრის მომტანი დაპრკოლებაა. ჩვენ ვითხოვთ არა მოდერნიზებულ, არამედ ისეთ ტექსტებს, რომელთა წაკითხვა შესაძლებელია. ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავირიდოთ უსარგებლო მარჩიელობა და ცვლილებები, აგრეთვე, დაგვეხმარება იმაში, რომ მინიმუმამდე დაიყიდვანოთ ტექსტის ის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ გადამწერთა მიღრეკილებებისა და ჩვევების შედეგია.

ჩვეულებრივ, დაბეჭდილი მასალის რედაქტირებისას ნაკლებ პრობლემებს ვაწყდებით, ვიდრე ხელნაწერთა რედაქტირებისას. არსებობს ერთი განსხვავება, რომელსაც წინათ ხშირად ვერ ამჩნევდნენ ხოლმე. კლასიკურ ხელნაწერთა შორის თითქმის ყოველთვის გვხვდება სხვადასხვა დროსა და ადგილას შექმნილი დოკუმენტები, რომელთა შექმნის შემდეგ საუკუნეებია გასული. ამიტომ შევგიძლია თავისუფლად გამოვიყენოთ ამ ხელნაწერთა უმრავლესობა, რომელთაგან თითოეული, შესაძლოა, რომელიმე უძველეს წყაროს ემყარება. თუმცა, წიგნების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი ან ორი გამოცემა სარგებლობს ხოლმე რომელიმე დამოუკიდებელი ავტორიტეტით. ჩვენი არჩევანი ძირითად გამოცემაზე უნდა შეჩერდეს, რომელიც ან პირველი გამოცემა იქნება, ან ავტორის მეთვალყურეობით შედგენილი ბოლო გამოცემა. ზოგჯერ, მაგალითად, უიტმენის

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

(Whitman) „ბალახის ფოთლების“ შემთხვევაში (Leaves of Grass), რომელიც არაერთხელ იქნა გამოცემული და შესწორებული, ან პოუპის „Dunciad“-ის კრიტიკული გამოცემისას, რომლის სულ მცირე, ორი, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ვერსია არსებობს, შესაძლოა საჭირო გახდეს, ორივე მათგანის ან ყველა ვერსიის დაბეჭდვა.¹⁴ მთლიანობაში, თანამედროვე რედაქტორებს ხშირად არ სურთ, გამოსცენ ეკლექტიკური ტექსტები, თუმცა საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ, მაგალითად, „პამლეტის“ თითქმის ყველა გამოცემა მეორე კვარტოსა და ფოლიოს ნაზავს წარმოადგენს. დედოფალი ელისაბედის დროინდელი პიესების შემთხვევაში შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ზოგჯერ არ არსებობდა ის საბოლოო ვერსია, რომლის აღდგნაც უნდა მოხდეს. იგივე შეიძლება ითქვას ზეპირსიტყვიერ პოეზიაზე (მაგ. ბალადებში), სადაც ერთი არქეტიპის ძიება უნაყოფო შრომაა. ბალადების რედაქტორები მხოლოდ გვიანლა მიხვდნენ ამას. პერსი (Percy) და სკოტი (Scott) თავისუფლად „ამახინჯებდნენ“ სხვადასხვა ვერსიებს (ზოგჯერ გადაწერდნენ კიდევაც), ხოლო პირველი მეცნიერული გამომცემლები, როგორიც იყო, მაგალითად, მაზერუელი (Motherwell), ერთ ვერსიას ირჩევდნენ, როგორც სხვებზე უპირატესა და ორიგინალურს. საბოლოოდ ჩაილდმა (Child) გადაწყვიტა დაებეჭდა ყველა ვერსია.¹⁵

რაც შეეხება დედოფალი ელისაბედის დროინდელ პიესებს, გარკვეულწილად უნიკალურ ტექსტობრივ პრობლემებს ვაწყდებით: ხშირად, ეს პიესები უფრო მეტად არის შეცვლილი, ვიდრე თანამედროვე წიგნების უმრავლესობა. ეს ხდებოდა ნაწილობრივ იმის გამო, რომ პიესებს დიდი ყურადღების ღირსად არ მიიჩნევდნენ და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ის ხელნაწერები, რომელთა მიხედვითაც ეს პიესები იბეჭდებოდა, ხშირად ავტორის ან ავტორების „შავი პირის“ მეტისმეტად გადამუშავებულ ვარიანტს ან ზოგჯერ საკარნახო ეგზემპლარს წარმოადგენდა, რომელშიც შესული იყო ასევე თეატრების მიერ შეტანილი შენიშვნები და შესწორებები. ამას გარდა, არსებობდა ცუდ „კვარტოთა“ განსაკუთრებული ტიპიც, რომელიც, როგორც ჩანს, იბეჭდებოდა ან მეხსიერებაში აღდგენის გზით ან მსახიობთა როლების ფრაგმენტების და, შესაძლოა, პრიმიტიული სტენოგრაფიული ვერსიის მიხედვით. ბოლო ათწლეულებში დიდი ყურადღება ეთმობა

ლიტერატურის თეორია

ამ პრობლემებს და პოლარდისა (Pollard) და გრეგის აღმოჩენების შემდეგ, შექსპირის კვარტოების რეკლასიფიცირება მოხდა.¹⁶ ასეთი წმინდა „საგამომცემლო“ ცოდნის საფუძველზე, პოლარდმა წარმოაჩინა, რომ შექსპირის პიესების ზოგიერთი კვარტო, თუმცა რეალურად 1619 წელს დაიბეჭდა და სავარაუდოდ მოგვიანებით ავტორის კრებულში უნდა შესულიყო, განზრახ იქნა უფრო ადრეული პერიოდით დათარიღებული.

დედოფალი ელისაბედის დროინდელი ხელნერის შესწავლას, რომელიც ნაწილობრივ იმ ვარაუდზე იყო დაფუძნებული, რომ პიესის „სერ თომას მორის“ (Sir Thomas More) გადარჩენილი ხელნაწერის სამი გვერდი თავად შექსპირის ხელნერითა შესრულებული,¹⁷ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ტექსტის კრიტიკის სფეროში, რისი მეოხებითაც შესაძლებელი გახდა ელისაბედის დროინდელი ასოთამწყობის მიერ დაშვებული შესაძლო შეცდომების დახარისხება, მაშინ, როდესაც სტამბათა საქმიანობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, თუ რა ტიპის შეცდომებია მოსალოდნელი. მაგრამ ზოგიერთი რედაქტორი ტექსტის შესწორების დროს ჯერ კიდევ გარკვეული თავისუფლებით სარგებლობს, რაც ცხადყოფს, რომ დღემდე არავის აღმოუჩენია ტექსტის კრიტიკის „ობიექტური“ მეთოდი. რასაკვირველად, დოვერ უილსონის (Dover Wilson) მიერ კემბრიჯის გამოცემაში შეტანილი ბევრი შესწორება ისეთსავე უცნაურ და უსაფუძვლო ვარაუდს წარმოადგენს, როგორც მეთვრამეტე საუკუნის რედაქტორების მარჩიელობა. მოუხედავად ამისა, საინტერესოა, რომ თეობალდის (Theobald) ბრწყინვალე მიგნება (რომლის მიხედვით, ფალსტაფის სიკვდილის მისის ქუიქლისეულ (Quickly) აღნერაში "a table of green fields"-ს ჩაენაცვლა „a babbled of green fields“) ემყარება ელისაბედის დროინდელი ხელნერისა და მართლწერის შესწავლას: „a babbled“ თავისუფლად შეიძლებოდა მოჩვენებოდათ „a table“-ად.

დამაჯერებელმა არგუმენტებმა იმასთან დაკავშირებით, რომ კვარტოები (რამდენიმე მდარე გამონაკლისის გარდა), სავარაუდოდ, ან ავტორის ხელნაწერიდან, მეტი ავტორიტეტულობა შესძინა ადრეულ გამოცემებს და რამდენადმე გაანელა ის პატივისცემა, რომელსაც დოქტორი ჯონსონის პერიოდიდან მოყოლებული, ფოლიოს (Folio) მიაკუთვნებდნენ. ტექსტის ინგლისელი მკვლევ-

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

რები, რომლებიც შეცდომით მიიჩნევენ საკუთარ თავს „ბიბლიოგრაფებად“ (McKerrow, Greg, Pollard, Dover Wilson და სხვები), ცდილობდნენ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაედასტურებინათ, რომელი ხელნაწერი შეიძლებოდა მიჩნეულიყო ავტორიტეტულად თითოეული კვარტოსათვის. მათ ის თეორიები გამოიყენეს, რომლებიც ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგად ნაწილობრივ იქნა შემუშავებული იმსათვის, რათა ჰიპოთეზები გამოითქვათ შექსპირის პიესების წარმოშობასთან, გადადამუშავებასთან, ცვლილებებთან და სხვა ავტორების მიერ შეტანილ წვლილთან დაკავშირებით. მათ მხოლოდ ნაწილობრივ აინტერესებთ ტექსტის კრიტიკა; დოუვერ უილსონის ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, მართებულად მიეკუთვნება „მაღალ კრიტიკას“.

უილსონი დიდ იმედებს ამყარებს ამ მეთოდზე: „შეგვიძლია ზოგჯერ „შევძვრეთ ასოთამწყობის კანში“ და მისი თვალით დავინახოთ, რომ შექსპირის სახელოსნოს კარი ღიაა.“¹⁸ ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ბიბლიოგრაფებმა“, გარკვეულწილად, ნათელი მოპფინეს ელისაბედის დროინდელი პიესების კომპოზიციას. მათ საჯაროდ განაცხადეს და, შესაძლოა, დაამტკიცეს კიდეც, რომ ხელახლი შესწავლა და ცვლილებების წარმოშობა ჩვეული ამბავი იყო. მაგრამ დოუვერ უილსონის უამრავ ჰიპოთეზას თითქოსდა ფანტაზიასთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე რეალობასთან, რადგან ამ ჰიპოთეზების დასამტკიცებლად არგუმენტები ან ძალზე მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს. ამდენად, დოუვერ უილსონმა მოახდინა „ქარიშხლის“ (The Tempest) წარმოშობის რეკონსტრუქცია. ის ამტკიცებს, რომ ექსპოზიციის ხანგრძლივი სცენა მეტყველებს ადრეული ვერსიის არსებობაზე, რომელშიც ფაბულის წინა ისტორია, „The Winter’s Tale“-ის მსგავსად, თავისუფალი სტილით დაწერილი დრამის ფორმით არის გადმოცემული. მაგრამ სტროფიკის მცირე შეუსაბამობებიც კი ვერ ამართლებს ეგზომარარეალისტურ და ფუჭ ფანტაზიას.¹⁹

დედოფალი ელისაბედის დროინდელი პიესების შემთხვევაში ტექსტის კრიტიკა მეტად ნარმატებული იყო, მაგრამ, იმავ-დროულად, ბუნდოვანიც; მაგრამ ის ასევე აუცილებელია იმ წიგნებისთვის, რომლებშიც ავტორობა უკეთაა დადასტურებული. პასკალმა (Pascal) და გოეთემ, ჯეინ ოსტინმა (Jane Austen) და თავად ტროლობმაც (Trollope) კი, დიდად ისარგებლეს თანამედროვე რედაქტორების დეტალებისადმი ერთგულებით,²⁰ მიუხედავად

ლიტერატურის თეორია

იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ნაშრომები მხოლოდ და მხოლოდ იმის ჩამონათვალს წარმოადგენს, თუ კერძოდ რა საქმიანობას ეწევიან სტამპები და ასოთამწყობნი.

გამოცემის მომზადების დროს გასათვალისწინებელია მისი დანიშნულება და შესაძლო მკითხველი. ტექსტის მკვლევართა აუდიტორიისთვის რედაქტირების სხვა სტანდარტი იქნება საჭირო, რადგან მკვლევრები, ძირითადად, დაინტერესებული არიან იმით, რომ სხვადასხვა ვერსიების უმცირესი დეტალებიც კი შეადარონ. რაც შეეხება მკითხველთა ფართო წრეებს, მათვის კი საჭირო იქნება განსხვავდებული სტანდარტი იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული საკითხებით ფართო მკითხველი ნაკლებადაა დაინტერესებული.

რედაქტირებისას ვაწყდებით უფრო რთულ პრობლემებს, ვიდრე სწორი ტექსტის დადგენაა.²¹ თავს იჩენს ნანარმოებთა კრებულში ტექსტი შეტანისა და ტექსტიდან ამოღების, განლაგების, ანოტაციისა თუ სხვა საკითხები, რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. შესაძლოა, მკვლევრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემა იყოს სრული გამოცემა, რომელიც მყაცრად იცავს ქრონოლოგიურ პრინციპს, მაგრამ ამგვარი იდეალის მიღწევა ან რთულია, ან საერთოდ შეუძლებელი. ქრონოლოგიური განლაგება შესაძლოა ან მხოლოდ ვარაუდს ემყარებოდეს, ან გააუქმოს ლექსების მხატვრული თვალსაზრისით განლაგება ერთი კრებულის ფარგლებში. ლიტერატურის მეთხველს არ მოეწონება დიდებულისა და ტრიგიალურის შეზავება, თუ ერთმანეთის გვერდით დავბეჭდავთ კიტსის ოდას და თანამედროვე წერილში ჩართულ სახუმარო ლექსს. შესაძლოა, ჩვენთვის მისაღები იყოს ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ (Fleurs du mal) ან კონრად ფერდინანდ მეიერის (Conrad Ferdinand Meyer) „ლექსების“ (Gedichte) მხატვრული განლაგება, მაგრამ სხვა საკითხია, ღირს თუ არა შევინარჩუნოთ უორდსუორთის (Wordsworth) მსატვრული კლასიფიკაციები. მეორე მხრივ, თუკი დავარღვევთ უორდსუორთის ლექსების ავტორისეულ განლაგებას და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავბეჭდავთ მათ, გაგვიჭირდება იმისი განსაზღვრა, კერძოდ რომელი ვერსია უნდა დაგვებეჭდა. შესაძლოა, უფრო სწორი იყოს არჩევანის შეჩერება პირველ ვერსიაზე, რადგან გვიანი, შესწორებული ვერსია რომ ადრინდელი

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

თარიღით დაგვეძეჭდა, უორდსუორთის მხატვრული განვითარების დამახინჯებულ სურათს მივიღებდით; მიუხედავად ამისა, ალბათ მართებული არ იქნებოდა, რომ მთლიანად უარგვეყო პოეტის სურვილი და ყურადღება აღარ მიგვექცია გვიანდელი ვერსიებისთვის, რომელიც ხშირ შემთხვევაში პირველის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამდენად, ერნესტ და სელინკურმა (Ernest de Selincourt) გადაწყვიტა, უორდსუორთის სრული პოემების გამოცემაში შეენარჩუნებინა ტრადიციული თანამიმდევრობა. არაერთი სრული გამოცემა (მაგალითად, შელის ნანარმობების კრებული) ყურადღებას არ აქცევს არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებას ხელოვნების დასრულებულ ნანარმობებსა და ამა თუ იმ ავტორის მიერ შესრულებულ მცირე ფრაგმენტს შორის, რომელიც ხშირად მხოლოდ ფრაგმენტადვე რჩება. ბევრი პოეტის ლიტერატურულ რეპუტაციას შესაძლოა ჩრდილიც კი მიადგეს, თუ რომელიმე თანამედროვე გამოცემაში ნანარმოდგენილი იქნება მათი ნანარმობების სრული კრებული, სადაც დასრულებულ ნანარმობებთან ერთად ყველაზე უმნიშვნელო, შემთხვევით ლექსიბიც კი შევა.

კომენტირების საკითხიც გამოცემის მიზანს უნდა დაექვემდებაროს:²² შექსპირის ყველაზე სრულ გამოცემაში კომენტარი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად აღმატებოდეს ტექსტს მოცულობის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუკი კომენტარში შევა ყველა იმ ადამიანის მოსაზრება, ვისაც კი ოდესმე დაუწერია რაიმე შექსპირის შესახებ. ეს მკვლევარს საგრძნობლად გაუიოლებს საქმეს, რადგან მას აღარ მოუწევს მისთვის საჭირო ინფორმაციის ძებნა უამრავ გამოქვეყნებულ მასალას შორის. ჩვეულებრივ მკითხველს ბევრად ნაკლები დასჭირდება: მისთვის საკმარისია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მას ნანარმობების აღქმაში დაეხმარება. რასაკვირველია, მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის საჭირო, შესაძლოა დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან: ზოგიერთი გამომცემელი მეითხველს უუბნება, რომ დედოფალი ელისაბედი პროტესტანტი იყო, უსხის, თუ ვინ იყო დევიდ გარიკი (David Garrick) და ამით თავიდან იცილებს შესაძლო გაუგებრობებს. რთულია, ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, ვრცელი უნდა იყოს თუ არა კომენტარი, თუკი გამომცემელი ბოლომდე არ გაერკვევა, კერძოდ რა ტიპის მკითხველისთვისა გათვლილი გამოცემა და რა მიზანს ემსახურება ის.

ლიტერატურის თეორია

კომენტარი, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, რომელიც ტექსტის განმარტებას წარმოადგენს (იქნება ეს ლინგვისტური, ისტორიული თუ ა. შ. კომენტარი), უნდა გავმიჯნოთ ზოგადი კომენტარისაგან, რომელმაც, შესაძლოა, უბრალოდ თავი მოუყაროს მასალას ლიტერატურის ან ენის ისტორიისთვის (მაგ., მიუთითოს წყაროები, პარალელები, სხვა მნერალთა მიბაძვის ფაქტები) და ასევე იმ კომენტარისაგან, რომელიც, შესაძლოა, ესთეტიკური ბუნებისა იყოს, შეიცავდეს მცირე ზომის სტატიებს გარკვეული პასაჟების შესახებ და ამდენად, ასრულებდეს ანთოლოგიის ფუნქციას. შესაძლოა, ყოველთვის იოლი არ იყოს, ამ სფეროების ურთიერთგამიჯნა, თუმცა ტექსტის კრიტიკის, ლიტერატურის ისტორიის (წყაროთშესწავლის სფეროში), ენობრივი და ისტორიული განმარტების და ესთეტიკური კომენტარის წაზავი ბევრ გამოცემაში საეჭვო ხასიათის ლიტერატურულ კვლევას უფრო ჰგავს, რომლის ძირითადი ლირსება მხოლოდ ისაა, რომ ერთ წიგნში თავმოყრილია ყველანაირი ინფორმაცია.

წერილების რედაქტირებისას განსაკუთრებული პრობლემების წინაშე ვდგებით. უნდა მოხდეს თუ არა მათი სრული სახით რედაქტირება მაშინაც კი, თუ ეს წერილები მხოლოდ ბანალური ხასიათის საქმიან მიმოწერას წარმოადგენს? ისეთი მწერლების რეპუტაციას, როგორებიცაა სტივენსონი (Stevenson), მერედიტი (Meredith), არჩოლდი და სვინბორნი (Swinburne), მნიშვნელოვანი არაფერი შემატებია მათი წერილების გამოქვეყნებით, რადგან ამ წერილებს ლიტერატურული ლირებულება არასოდეს ჰქონდა. სხვა საკითხია, უნდა დაიბეჭდოს თუ არა პასუხებიც, რომელთა გარეშეც, ხშირ შემთხვევაში, წარმოუდგენელია კორესპონდენცია. ამგვარად, ამა თუ იმ ავტორის წანარმოებებში ბევრი არაერთგვაროვანი მასალაა ჩართული. ეს პარაქტიკული საკითხებია, რომელთა გადაჭრაც გონივრულ მიდგომას, გარკვეულ თანამიმდევრულობას, გულმოდგინებას და მთელ რიგ შემთხვევებში, იღბალსაც საჭიროებს.

ტექსტის დადგენის გარდა, წინასწარი კვლევის დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორიცაა ქრონოლოგია, ავთენტურობა, ავტორობა და წანარმოების ხელახალი შესწავლა. ხშირ შემთხვევაში ქრონოლოგიის დადგენა ხდება წიგნის სატიტულო ფურცელზე თარიღის გამოქვეყნებით

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

ან პუბლიკაციის თანამედროვე დასაბუთებით. მაგრამ ეს წყაროები (მაგალითად, დედოფალი ელისაბედის დროინდელი პიესები და შუა საუკუნეების ხელნაწერები) ხშირად ხელმისაწვდომი არ არის. შესაძლოა, ელისაბედის დროინდელი პიესა დაიბეჭდოს მისი პირველი თეატრალური წარმოდგენიდან დიდი ხნის გავლის შემდეგ; შუა საუკუნეების ხელნაწერი, ხშირად წარმოადგენს ასლს, რომელიც წარმომების შექმნიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ შეიქმნა. მაშასადამე, გარეგანი ფაქტები ჩანაცვლებულ უნდა იქნეს თავად ტექსტიდან აღებული ისეთი ფაქტებით, როგორიცაა მინიშნება თანამედროვე მოვლენებზე და სხვა ისეთი წყაროები, რომელთა დათარიღებაც შესაძლებელია. ეს შინაგანი ფაქტები, რომლებიც გარეშე მოვლენაზე მიუთითებს, მხოლოდ იმ ამოსავალ თარიღზე მიანიშნებს, რომლის შემდგომაც დაინერა წიგნის ეს ნაწილი.

ავილოთ, მაგალითად, შინაგანი „მტკიცებულება“, რომელიც შეიძლება მეტრული სტატისტიკის შესწავლის შედეგად გამოჩნდეს საიმისოდ, რომ დადგინდეს შექსპირის პიესების თანამიმდევრობა. ამგვარი მტკიცებულებით მხოლოდ ფარდობითი ქრონოლოგიის დადგენა შეიძლება.²³ თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ შექსპირის პიესებში რითმების რაოდენობა მცირდება „Love's Labour Lost“-იდან (სადაც მათი რაოდენობა ყველაზე მეტია) „The Winter's Tale“-მდე (სადაც რითმები საერთოდ არ არის), მაგრამ დაბეჯვითებით ვერ ვიტყვით, რომ *The Winter's Tale* მანიცადამაინც „ქარიშხლის“ (*The Tempest*) (სადაც სულ ორი რითმა) შემდეგ დაინერა. რადგანაც ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა რითმების რაოდენობა, მდედრობითი დაბოლოებები და ა. შ. ყოველთვის ერთსა და იმავე შედევებს არ იძლევა, ამიტომ რთულია დადგინდეს მყარი და ცალსახა მიმართება ქრონოლოგიასა და მეტრულ ცხრილებს შორის. სხვა ტიპის მტკიცებულებისაგან განსხვავებით, ეს ცხრილები სხვაგვარად შეიძლება იყოს განმარტებული. მეთვრამეტე საუკუნის კრიტიკოსი ჯეიმს ჰარდისი (James Hurdis),²⁴ მაგალითად, მიიჩნევდა, რომ შექსპირმა „The Winter's Tale“-ის არასიმეტრიული ლექსიდან „the Comedy of Errors“-ის სიმეტრიულ ლექსზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, ყველა ამ ტიპის მტკიცებულების (გარეგანი, შიდა-გარეგანი და შიდა) ფრთხილი კომბინაციის შედევად მივიღეთ

ლიტერატურის თეორია

შექსპირის პიესების მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული ქრონოლოგია. სტატისტიკური მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ძირითადად იკვლევენ იმას, თუ რამდენად ხშირად ჩნდება ტექსტში ესა თუ ის სიტყვა, ლუის კემპბელმა (Lewis Campbell) და, განსაკუთრებით, ვინცენტი ლუტოსლავსკიმ (Wincenty Lutoslawski) (იგი საკუთარ მეთოდს „სტილომეტრიას“ უწოდებს) გამოიყენეს პლატონის დიალოგების მიახლოებითი ქრონოლოგიის დასადგენად.²⁵

თუ დაუთარილებელი ხელანერები უნდა განვიხილოთ, შესაძლოა უფრო მეტ, მთელ რიგ შემთხვევებში გადაუჭრელ ქრონოლოგიურ სირთულეებს ნავაწყდეთ. შეიძლება ავტორის ხელნერის განვითარების შესწავლა მოგვიხდეს. ზოგჯერ აუცილებელი ხდება მარკებისა და წერილების შესწავლაც, აგრეთვე - კალენდარზე დაკვირვება იმისათვის, რომ დადგინდეს ავტორის მოძრაობის მარშრუტი, რაც ნანარმოებთა ზუსტი დათარილებისას მნიშვნელოვნად დაგვეხმარება. ქრონოლოგიური საკითხები ხშირად ძალზე მნიშვნელოვანია ლიტერატურის ისტორიკოსისათვის: სანამ ეს საკითხები არ გადაიჭრება, ისტორიკოსი ვერ მოახერხებს, დაადგინოს შექსპირის ან ჩოსერის მხატვრული განვითარების გზა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მალოუნი (Malone) და ტირვიტი (Tyrwhitt) პიონერები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ დეტალებთან დაკავშირებული დავა არ შეწყვეტილა.

ავთენტურობისა და ატრიბუციის საკითხები შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს და მათ გადასაჭრელად საჭირო გახდეს რთული სტილისტური და ისტორიული კვლევების ნარმოება.²⁶ ჩვენ ზუსტად გვაქვს დადგენილი ზოგიერთი ნანარმოების ავტორობის საკითხი თანამედროვე ლიტერატურაში. თუმცა, არსებობს აგრეთვე დიდი რაოდენობით ფსევდონიმური და ანონიმური ლიტერატურა, რომელთა ავტორების გამხელა ზოგჯერ მაინც ხდება ხოლმე, მაშინაც კი, თუ ეს საიდუმლო სხვა არაფერია, თუ არ მხოლოდ არაფრისმთქმელი სახელი.

ხშირად ნარმოიჭრება ავტორის ნანარმოებთა ავთენტურობის საკითხი მეთვრამეტე საუკუნეში აღმოჩნდა, რომ დიდი ნაწილი იმისა, რაც ჩოსერის ნანარმოებების ბეჭდურ გამოცემებში იყო ჩართული (როგორიცაა, მაგ., *The Testament of Creseid da The Flower and the Leaf*), შეუძლებელია, ნამდვილად ჩოსერის ნანარმოებები იყოს. დღესაც კი შექსპირის ნანარმოებების ავთენ-

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება

ტურობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. როგორც ჩანს, ისარი მეორე უკიდურესობისაკენ გადაიხარა იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ავგუსტ ვილჰელმ შლეგელმა (August Wilhelm Schlegel) თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ყველა აპოკრიფი ნამდვილად შექსპირის ნაწარმოებს წარმოადგენს.²⁷ ბოლო დროს ჯ. მ. რობერტსონი (J. M. Robertson) თავგამოდებით უჭერდა მხარს „შექსპირის დეზინტეგრაციას“, ანუ იმ თვალსაზრისს, რომლის შედეგადაც შექსპირს ლამისაა ყველაზე პოპულარული პიესების ავტორობაც კი ჩამოართვეს. ამ შეხედულების მიხედვით, „იულიუს კეისარი“ (Julius Caesar) და „ვენეციელი ვაჭარიც“ კი (The Merchant of Venice) თითქოსდა მხოლოდ მარლოს, გრინის (Greene), პილის (Peele), კიდის (Kyd) და ამ ეპოქის სხვა რამდენიმე დრამატურგის ნაწარმოებთა პასაუების შეკონიქების შედეგად შეიქმნა.²⁸ რობერტსონის მეთოდი, ძირითადად, არსებული შეუსაბამობებისა და ლიტერატურული პარალელების აღმოჩენას ცდილობს. ეს მეთოდი მეტად ბუნდოვანი და სუბიექტურია. ის მცდარ თვალსაზრისს ეფუძნება და მანკიერი წრეში კეტავს მკვლევარს: თანამედროვე კვლევების მეოხებით, ჩვენ ვიცით, რომელია შექსპირის ნაწარმოებები (ის, რაც ფოლიოში და იმ დროინდელი საავტორო უფლებების დამცველი ორგანიზაციის ჩანაწერებშია მოხსენიებული); მაგრამ რობერტსონი, თვითნებური ესთეტიკური მსჯელობის საფუძველზე, მხოლოდ მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი ზოგიერთი პასაუის ავტორობას მიაწერს შექსპირს და ამტკიცებს, რომ შექსპირი მხოლოდ ამ მაღალი სტანდარტით წერდა და, ამდენად, მას არ შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო დაბალი დონის ნაწარმოებები ან ისეთი პიესები, რომელიც ენათესავება შექსპირის თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებებს. თუმცა, საფუძველი არ გვაქვს, ვამტკიცოთ, თითქოს შექსპირს არ შეეძლო დაეწერა სუსტი ან ნაკლებად ღრმა ნაწარმოები, ან საკუთარი თანამედროვეებისათვის მიებაძა და სხვადასხვა სტილის აღრევა მოეხდინა. მეორე მხრივ, სარწმუნო არაა ძველი თვალსაზრისიც, თითქოს ფოლიოში ყოველი სიტყვა შექსპირს ეკუთვნის.

ამ საკითხებთან დაკავშირებით რთულია საბოლოო პასუხის მიგნება, რადგან დედოფალი ელისაბედის დროინდელი დრამა მნიშვნელოვანნილად კოლექტიური ხელოვნება იყო და მჭიდრო თანამშრომლობა გავრცელებული პრაქტიკა გახლდათ. ხშირად

ლიტერატურის თეორია

მეტად რთული იყო სტილის მიხედვით ერთი ავტორის მეორისაგან გარჩევა. შეიძლება თავად ავტორებსაც გაძნელებოდათ ნაწარ-მოებში საკუთარი წვლილის ოდენობის ზუსტად განსაზღვრა.²⁹ თა-ნაავტორობის შესწავლა ლიტერატურის მკალევრისთვის ზოგჯერ ძალზე ძნელია. ბომბონტისა და ფლეტჩერის შემთხვევებშიც, როდესაც ზუსტად ვიცით, რომ საქმე გვაქვს ნაწარმოებთან, რო-მელიც ფლეტჩერმა ბომბონტის სიკედილის შემდეგ დაწერა, მათი ინდივიდუალური წვლილის საკითხი ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხ-ვაობას იწვევს. საქმე კიდევ უფრო გართულებულია *The Revenger's Tragedy*-ის შემთხვევაში, რომელიც ხან ვებსტერს (*Webster*) მია-ნერდნენ, ხან ტურნერს (*Tourneur*), ხან მიდლტონსა (*Middleton*) და ხან მარსტონს (*Marston*).³⁰

მსგავსი სირთულები წამოიჭრება მაშინ, როცა ვცდილობთ დავამტკიცოთ ავტორობის საკითხი იქ, სადაც გარეშე მონაცე-მების უქონლობის პირობებში განსაზღვრული ტრადიციული მანერა და ერთფეროვანი სტილი განუზომლად ართულებს ნაწარმოებთა ერთმანეთისაგან გამიჯნების პროცესს. ამისი მაგ-ალითები უამრავია ტრუბადურებთან ან მეთვრამეტე საუკუნის პამფლეტისტებთან (ძნელი დამტკიცდეს დეფოს ნაწარმოებთა ავთენტურობის საკითხი)³¹, რომ აღარაფერი ვთქვათ პერიოდუ-ლი გამოცემების ანონიმ ავტორებზე, თუმცა, ხშირ შემთხვევა-ში, შესაძლოა, ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიოთ. გამომცემლობების ჩანაწერების ან პერიოდული გამოცემების დამუშავებული ასლების შესწავლამ შეიძლება გამოააშკარავოს ახალი გარეშე ფაქტები; ამას გარდა, თუ საგულდაგულოდ შე-ვისწავლით იმას, როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული ამა თუ იმ ავტორის სტატიები (ისეთი ავტორები, როგორიცაა, მაგ-ალითად, გოლდსმიტი, ხშირად ახდენენ საკუთარი თავის ციტირე-ბას), შესაძლოა ფრიად ლირებული დასკვნები გავაკეთოთ.³² გ. ადნი უილმა (G. Udny Yule), რომელიც სტატიისტიკოსი გახლდათ, მეტად რთული მათემატიკური მეთოდები გამოიყენა ისეთი მწერ-ლების სიტყვათა მარაგის შესასწავლად, როგორიცაა თომა კემ-პიელი (Thomas a Kempis). მას სურდა დაედგინა, რომ რამდენიმე ხელნაწერი ერთი და იმავე ავტორის მიერ იყო შესრულებული.³³ სტილისტური მეთოდების თანმიმდევრული გამოყენების შემ-თხვევაში შესაძლებელია ისეთი ფაქტების მოძიება, რომლებიც,

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება
მიუხედავად გარევეული ნაკლოვანებისა, გაზრდის იდენტიფიკა-
ციის ალბათობას.

ლიტერატურის ისტორიაში ავთენტურობის და გაყალბების
საკითხმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მნიშვნელოვნად
განაპირობა შემდგომი კვლევების წარმოება. ამდენად, მაკფერ-
სონის (Macpherson) „ოსიანთან“ დაკავშირებულმა აზრთა სხვა-
დასხვაობამ ხელი შეუწყო შოტლანდიური ხალხური პოეზიის შეს-
ნავლას, ჩეტერტონთან (Chatterton) დაკავშირებულმა აზრთა სხ-
ვადასხვაობამ გამოიწვია შუა საუკუნეების ინგლისის ისტორიისა
და ლიტერატურის უფრო სიღრმისუელი შესწავლა, შექსპირის
პიესებისა და დოკუმენტების გაყალბებას კი მოჰყვა დისკუსიები
შექსპირზე და ელისაბედის დროინდელი თეატრის ისტორიაზე.³⁴
ჩეტერტონის, თომას უარტონის (Thomas Warton), თომას ტირვი-
ტის და ედმუნდ მალოუნის ნანარმოებთა განხილვამ წინა პლანზე
ნამონია ისტორიული და ლიტერატურული არგუმენტები იმის
დასამტკიცებლად, რომ როულის (Rowley) ლექსები მხოლოდ და
მხოლოდ თანამედროვე თაღლითობაა. ორი თაობის შემდეგ უ. უ.
სკიტმა (W. W. Skeat სისტემატურად შეისწავლა შუა პერიოდის ინ-
გლისური გრამატიკა და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დარ-
ღვეული იყო ელემენტარული გრამატიკული ტრადიციები, რაც
მისი აზრით, სწორედ გაყალბების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო.
ედმუნდ მალოუნმა მკაცრად გააკრიტიკა ახალგაზრდა ირლანდ-
იელი ავტორების უხეირო მცდელობა, სხვათათვის მიებაძათ,
თუმცა, ისინიც კი, ჩეტერტონისა და ოსიანის მსგავსად, იმ პირთა
(მაგალითად, ცნობილი მეცნიერის, ჩალმერსის (Chalmers), მნიშ-
ვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობდნენ, რომლებსაც მყარი
რეპუტაცია ჰქონდათ შექსპირის კვლევის ისტორიაში.

როდესაც გაჩნდა გაყალბების საშიშროება, მკვლევრები
იძულებული გახდნენ, დაეზუსტებინათ ტრადიციული დათა-
რილებისა და ამა თუ იმ ავტორისთვის მიკუთვნების არგუმენ-
ტები, რამაც ნაყოფიერი პოლემიკა გამოიწვია: საგულისხმოა,
მაგალითად, პროსვიტას შემთხვევა: მეათე საუკუნის გერმანელი
მონაზვის ნაწარმოებები, გადმოცემის თანახმად, მეთხუთმეტე
საუკუნის გერმანელმა პუმანისტმა, კონრად ცელტესმა (Conrad
Celtes) გააყალბა, რუსულ ‘Слово о полку Игореве’-ს ტრადიცი-
ულად მეთორმეტე საუკუნით ათარიღებდნენ, მაგრამ, როგორც

ლიტერატურის თეორია

აღმოჩნდა, ნაწარმოები მეთვრამეტე საუკუნის დამლევს იქნა გაყალბებული.³⁵ ჩეხეთში ორი (სავარაუდოდ შეუ საუკუნეების დროინდელი) ხელნაწერის — “Zelená hora” და “Kralove dvur”— გაყალბების საკითხი მნვავე პოლიტიკური დებატების საკითხი იყო 1880-იან წლებამდე; და ტომაშ მასარიკმა (Thomas Masaryk), რომელიც მოგვიანებით ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი გახდა, ფართო პოპულარობა ნაწილობრივ იმ დაპირისპირებებისა და დავის დროს მოიპოვა, რომელიც ლინგვისტური საკითხებით დაინტენდა და იმდენად გაფართოვდა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირა მეცნიერული სიზუსტე და რომანტიკული თვითმოტყუება.³⁶

ზოგჯერ ავთენტურობისა და ავტორობის საკითხში ჩართულია „მტკიცებულების“ რთული პრობლემები, რომლებიც ისეთ განსხვავებულ სფეროებს შეიძლება მოიცავდეს, როგორებიცაა პალეოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ლინგვისტიკა და ისტორია. ზოგიერთ ბოლოდროინდელ აღმოჩენებს შორის აღსანიშნავია ბიბლიოფილ ტ. ჯ. უაიზის (T. J. Wise) საქმე მეცხრამეტე საუკუნის 86 პამფლეტის გაყალბებასთან დაკავშირებით: კარტერისა და პოლარდის³⁷ მიერ ჩატარებული დეტექტიური კვლევები ისეთ ასპექტებს შეეხო, როგორიცაა წყლის ნიშნები, მელნის ხარისხი, ცალკეული ასლების მოხაზულობა შრიფტებში და ა.შ. (თუმცა, ეს საკითხები მხოლოდ მცირედ არის დაკავშირებული პირდაპირ ლიტერატურასთან).

არ უნდა დაგვავინტყდეს, რომ მაშინაც კი, როდესაც ავტორის ნაწარმოების თარიღის შეცვლა ხდება, კრიტიკული განხილვა თავის აქტუალურობას არ კარგავს. ჩეტერტონის ლექსებს არც არაფერი აკლდება და არც ემატება იმით, რომ ისინი მეთვრამეტე საუკუნეში დაინტერა. ამ გარემოებას ხშირად არ ითვალისწინებენ აღშფოთებული ლიტერატურათმცოდნები, რომლებიც უარყოფითად განეწყობიან ხოლმე ნაწარმოების მიმართ, თუკი დამტკიცდება, რომ მისი წარმოშობაც უფრო გვიანდელ პერიოდს უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მორიზის (Morize), რუდლერის (Rudler) და სანდერსის (Sanders)³⁸ მეთოდური სახელმძღვანელოები პრაქტიკულად მხოლოდ ამ თავში განხილულ საკითხებს ეხება. ამას გარდა, ეს ის მეთოდებია, რომელთაც ასწავლიან ამერიკის შეერთე-

ფაქტების ორგანიზება და დასაბუთება
ბული შტატების კოლეჯებში. მიუხედავად მათი მნიშვნელობისა,
უნდა ვალიაროთ, რომ კვლევის ეს ტიპები მხოლოდ ანალიზის, ინ-
ტერპრეტაციისა და ლიტერატურის მიზეზობრივი ახსნის საწყის
ეტაპს წარმოადგენს. იმას, თუ რამდენად გამართლებული იქნება
ამგვარი კვლევები, შედეგები გვიჩვენებს.

ნაწილი მესამე

**ლიტერატურის შესწავლის გარეგანი
მეთოდი**

შესავალი

*

ლიტერატურათმცოდნეობის ყველაზე უფრო გავრცელებული და წარმატებული მეთოდები მთავარ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ სად და როდის ხდება მოქმედება, რა გარემოში და ვითარებაში დაინტერა ნაწარმოები, ანუ იმაზე, რა-საც შეიძლება გარეგანი მიზეზები ვუწოდოთ. გარეგანი მეთოდები მარტო წარსულის შესწავლით არ შემოიფარგლება. მათ თანამედროვე ლიტერატურის შესასწავლადაც იყენებენ. ასე რომ, სწორად მოვიქცევით, თუ ტერმინს „ისტორიული“ გამოვიყენებთ ლიტერატურის იმგვარი შესწავლის მიმართ, რომელიც, პირველ ყოვლისა, განიხილავს ლიტერატურის ცვლილებას დროში, ანუ, ძირითადად, შეისწავლის ისტორიულ განვითარებას. კელევის „გარეგანმა“ მეთოდმა შეიძლება მიზნად დაისახოს ლიტერატურის ინტერპრეტაცია მხოლოდ მისივე სოციალური კონტექსტისა და მისივე წარსულის თვალსაზრისით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მიმართავს კაუზალურ (მიზეზობრივ) განმარტებებს, ცდილობს წათელი მოპფინის ყველა ლიტერატურულ საკითხს, ასენას ისინი და, საბოლოოდ, დაყვანონს ლიტერატურა მის პირველწყაროებამდე („გენეტიკური ცდომილება“). არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ლიტერატურის შესწავლას ეხმარება იმის ცოდნა, თუ რა ვითარებაში შეიქმნა ესა თუ ის მხატვრული ტექსტი. უდავოა, რომ ლიტერატურის ამგვარ შესწავლას ბევრი რამის ასენა შეუძლია. და მანიც, ისიც აშკარაა, რომ თუ მხატვრული ნაწარმოების შესწავლას მხოლოდ კაუზალური კუთხით მიუუდგებით, ვერასოდეს შევქლებთ ნაწარმოების ანალიზის, აღნერისა და შეფასების საკითხთა გადაჭრას. მიზეზი და შედეგი არათანაზომიერია, მათ ერთნაირი საზომებით ვერ განვიხილავთ, რადგან ამ გარეგანი მიზეზების კონკრეტული შედეგი — ჩვენს შემთხვევაში ხელოვნების ნიმუში — ყოველთვის არაპროგნოზირებადია.

ისტორია, გარეგანი ფაქტორები, რა თქმა უნდა, მოქმედებს ხელოვნების ნიმუშის შექმნაზე. ეს სადავოარ არის. მაგრამ ნამდვი-ლი თავსატეხი მაშინ იწყება, როცა ნაწარმოების განმსაზღვრელი

ლიტერატურის თეორია

დამოუკიდებელი ფაქტორების შეფასებას, შედარებასა და გამოყოფას ვახდენთ. მკვლევართა უმეტესობა ცდილობს ცალკე განიხილოს შემოქმედთა სულიერი მოღვაწეობა და მხოლოდ მას მიანეროს გადამწყვეტი გავლენა ლიტერატურის ნიმუშზე. ამდენად, მკვლევართა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ლიტერატურა ძირითადად ინდივიდუალური შემოქმედის ნაღვანია და, აქედან გამომდინარე, ასკვნის, რომ მხატვრული ნაწარმოები უნდა შევისწავლოთ ავტორის ბიოგრაფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე. მეორე ჯგუფი ლიტერატურული შემოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორებს ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებში — ეძიებს. არიან ისეთი მკვლევრებიც, რომლებიც ცდილობენ ლიტერატურის მიზეზობრივ ახსნას ადგილი გამოუძებნონ იმგვარ კოლექტიურ მოღვაწეობაში, როგორიცაა იდეათა, თეოლოგიის ან ხელოვნების სხვა დარგთა ისტორიები. ბოლოს, ჩვენთვის საინტერესოა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ლიტერატურის ინტერპრეტაციას ახდენს *Zeitgeist*-ს (გერმ. ეპოქის სული) ენაზე, ანუ შეისწავლის ამა თუ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ სულისკვეთებას, მოცემული პერიოდის აზროვნებისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ინტელექტუალურ ატმოსფეროს, „კლიმატს“, ერთგვარ ერთიან ძალას, რომლითაც ლიტერატურა დიდად გამოირჩევა ხელოვნების სხვა დარგთა დამახასიათებელი ნიშნებისგან.

გარეგან მეთოდთა მომხრეები მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, თუ რამდენად ზედმინებით და მყაფრად იყენებენ ლიტერატურის კვლევისას კაუზალურ დეტერმინისტულ მეთოდებს და იმითაც, თუ რამდენად დამაჯერებლად გვარნზენებენ თავიანთი კონკრეტული მეთოდის ნარმატებულობაში. მათგან ყველაზე დეტერმინისტულად ისინი არიან განწყობილნი, ვისაც სვერა, რომ მხატვრული ნაწარმოების ახსნა და შესწავლა სოციალურ მიზეზთა შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამგვარი რადიკალიზმი იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ისინი თავიანთი ფილოსოფიური მრნამსით თავს მე-19 ს-ის პოზიტივიზმისა და მეცნიერების მიმდევრებად მოიაზრებენ; თუმცა არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ *Geistesgeschichte*-ს (გერმ. ჰუმანიტარული სფეროს ისტორია) იდეალისტი მხარდამჭერები, რომლებიც თავიანთი ფილოსოფიური შეხედულებებით ახლოს

არიან ჰეგელიანიზმთან თუ რომანტიზმისთვის დამახასიათებელი აზროვნების სხვა ფორმებთან, ასევე გვეველინებიან უკიდურეს დეტერმინისტებად და ფატალისტებადაც კი.

იმ მკვლევართა შორის, ვინც ზემოთ ნახსენებ მეთოდებს იყენებს, ისეთებიც მრავლად არიან, რომელნიც უფრო მოკრძალებულ განაცხადს სჯერდებიან. მათ ისიც დაკმაყოფილებთ, მხოლოდ გარკვეულ კავშირს თუ გამონახავენ მხატვრულ ნაწარმოებსა და მისი შექმნის გარე ვითარებასა თუ ნინა პირობას შორის. ისინი იმასაც დაეთანხმებიან, რომ ასეთ კვლევას შეუძლია გარკვეული სინათლე მოჰყონოს კვლევის საგანს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ამ ურთიერთდამოკიდებულებათა კვლევამ ისე გაიტაცოს ისინი, რომ ნაწარმოებთა ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ნიშანი შეუმჩნეველი დარჩეთ. ეს შედარებით თავშეკავებული მეცნიერები უფრო გონივრულად იქცევიან, რადგან მხატვრული ტექსტის მიზეზობრივი ინტერპრეტაციის როლი, ცოტა არ იყოს, გაზიადებულია ლიტერატურათმცოდნებაში. ისიც აშკარაა, რომ ამ მეთოდით ვერ გადაიჭრება ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების პროცედურები. ყველა იმ განსხვავებულ მეთოდთა შორის, რომლებიც ლიტერატურული კვლევისას მიზეზთა შესწავლას ანიჭებენ პრიორიტეტს, აღბათ, უპირატესობა ეკუთვნის იმ მეთოდს, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებს იკვლევს იმდროინდელი ყოფისა და გარემოს ფართომასშტაბიანი შესწავლის საფუძველზე. სხვაგარად, აშკარად შეუძლებელია ლიტერატურული კვლევის დაყვანა მხოლოდ ერთი, რომელიმე ცალკეული მიზეზით გამოწვეული შედეგის კვლევაზე. ჩვენ მხარს არ ვიზიარებთ გერმანული Geistesgeschichte-ს კონკრეტულ კონცეფციებს, მაგრამ ვაღიარებთ, რომ ტექსტის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც გულისხმობს მხატვრული ტექსტის შექმნის ყველა მიზეზის კვლევას, დაცულია კრიტიკისგან, რომელსაც იმსახურებს დანარჩენი მეთოდები. შემდეგ თავებში შევეცადეთ აგვენონ-დაგვენონა ამ განსხვავებულ ფაქტორთა მნიშვნელობა და ასევე მთელი რიგი მეთოდების შეფასება; არის თუ არა მიზან-შენონილი მათი გამოყენება ისეთი კვლევისათვის, რომელსაც შეიძლება წმინდა ლიტერატურული ან „ეგოცენტრული“ ენოდოს.

თავი მეშვიდე

ლიტერატურა და პიონირაცია

*

მხატვრული ნაწარმოების შექმნის უპირველესი მიზეზი თვითონ მისი შექმნელი ავტორია. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული კვლევის უძველესი და ყველაზე კარგად დამკვიდრებული მეთოდი სწორედ მნერლის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესწავლაზეა დაფუძნებული.

ბიოგრაფია ჩვენთვის იმ კუთხითაა საინტერესო, თუ რამდენად მოჰყენს ის ნათელს მნერლის ნაღვანს და გაგვიადვილებს მის გაგებას. ბიოგრაფიის გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, კვალდაკვალ მიყყოლოდით გამორჩეული, გენიალური ნიჭის მქონე პიროვნების მორალური, ინტელექტუალური და ემოციური განვითარების გზას. ბოლოს, ბიოგრაფია შეიძლება იქცეს დამხმარე მასალად პოეტური შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიის შესასწავლად.

ეს სამი თვალსაზრისი კარგად უნდა გავმიჯნოთ ერთ-მანეთისაგან. „ლიტერატურული კვლევის“ ჩვენებულ კონცეფციას მხოლოდ პირველი თეზისი უპასუხებს. კერძოდ ის, რომ ბიოგრაფია ნათელს ჰავენს და გვიადვილებს მნერლის შემოქმედების გაგებას. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ყურადღების ცენტრში თვით მნერლის პიროვნება ექცევა. ხოლო მესამე შეხედულებას თუ დავუჯერებთ, მაშინ გამოდის, რომ ბიოგრაფია მეცნიერების-თვის მხოლოდ დამხმარე მასალა ყოფილა, თანაც უფრო მომავალი მეცნიერებისათვის, როგორიცაა მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგია.

ბიოგრაფია უძველესი ლიტერატურული ჟანრია. ქრონილოგიისა და ლოგიკის კუთხით თუ შევხედავთ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ისტორიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია. ბიოგრაფიულ კვლევაში არანაირი მეთოდოლოგიური განსხვავება არ არსებობს იმისა, თუ ვინ არის კვლევის ობიექტი — სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, არქიტექტორი, ვექილი თუ საზოგადოებრივი საქმიანობისაგან შორს მდგომი ადამიანი. ამის თაობაზე საყურადღებოა

ლიტერატურა და ბიოგრაფია

კოლრიჯის აზრი. იგი ამბობს, რომ არაფრით გამორჩეული ადამიანის ცხოვრების ისტორიაც კი საინტერესო გახდება მკითხველისთვის, თუ ის კარგად და დამაჯერებლად იქნება მოთხოვნილი (იხ. ს. ტ. კოლრიჯის წერილი თომას პულისადმი; S. T. Coleridge, Letters, London, 1895).¹ ბიოგრაფიისთვის პირები რიგითიადამიანია, რომლის მორალურითუინტელექტუალურიგანვითარებისგზა, საზოგადოებრივიგარემოცვა თუმციებიშეიძლება შეფასებულიქნეს ქცევის გარევეული ეთიკური სისტემის თუ კოდექსის საფუძველზე. მისი შემოქმედება შედგება ნაწარმოებების პუბლიკაციებისგან, ისევე, როგორც რომელიმე საზოგადო მოღვაწის ცხოვრება შედგება სხვადასხვაგვარი მოვლენებისგან. თუ საკითხს ამგვარად დავსვამთ, ბიოგრაფის სამუშაო ისტორიკოსისას უთანაბრდება. მან უნდა შეისწავლოს და ახსნას დოკუმენტები, წერილები, თვითმხილველთა მონათხოვი, მოგონებები და ავტობიოგრაფიული განცხადებები; გადაწყვიტოს, რამდენად სანდოა ეს წყაროები, რამდენად შეეფერება ისინი სინამდვილეს. თვით ბიოგრაფიის წერის პროცესში ავტორის ნინაშე უკვე სხვა ამოცანა დგას — როგორ განალაგოს მოვლენებიქონოლოგიურად, რომელიმათ განიიმსახურებს უფრომეტ ყურადღებას ან რამდენად გულახდილი თუ თავშეკავებული უნდა იყოს მოვლენათა გადმოცემისას. ეს საკითხები არ მიეკუთვნება სპეციფიკურ ლიტერატურულ პრობლემებს, მაგრამ მათ გადაწყვეტას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი, რომლებშიც განიხილება ბიოგრაფია, როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრი.²

ჩვენთვის ლიტერატურული ბიოგრაფიის კვლევის სფეროში ორი საკითხია გადამწყვეტი: გამართლებულია არა ბიოგრაფიის მოქმედება, როდესაც თავისი დებულებების დასადასტურებლად ის იყენებს მწერლის ნაწარმოებებს? გვეხმარება თუ არა ლიტერატურული ბიოგრაფიის დასკვნები თავად ნაწარმოების უკეთ გაგებაში? როგორც წესი, ორივე შეკითხვას დადებითად უპასუხებენ. სწორედ ასე უპასუხებს პირველ შეკითხვას თითქმის ყველა ბიოგრაფი, რომელთაც განსაკუთრებით პირეტთა ცხოვრება იზიდავთ. პირეტები ხომ მათ ზღვა მასალას სთავაზობენ თავიანთი პირადი ცხოვრების ადსაწერად, რასაც ვერ ვიტყვით შედარებით უფრო გავლენიან მრავალ ისტორიულ პიროვნებაზე, რომელთა შესახებაც მწირი ინფორმაცია გვაქვს ან, საერთოდ, არანაირი საბუთი არ მოგვეპოვება. მაგრამ გამართლებულია კი ბიოგრაფთა ამგვარი ოპტიმიზმი?

ლიტერატურის თეორია

კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში გამოიყოფა ორი ეპოქა და აქედან გამომდინარე, პრობლემის გადაჭრის ორი შესაძლო გზა. ადრეული ლიტერატურის შესახებ თითქმის არ გაგვაჩნია კერძო ხასიათის ჩანაწერები, რომელიც ბიოგრაფები ისარგებლებდნენ. ჩვენ ხელთ არის მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების დოკუმენტაცია, დაბადებისა და ქორნინების მოწმობები, იურიდიული ჩანაწერები და მსგავსი საბუთები. და კიდევ, რა თქმა უნდა, თვითონ ნაწარმოებები. მაგალითად, შექსპირის კვალს თუ გავყვებით, ბევრს ვერაფერს აღმოვაჩინთ, თუმცა, არსებობს გარკვეული ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ხელთ არ გვაქვს შექსპირის წერილები, დღიურები თუ მოგონებები, გარდა საეჭვო წარმომავლობის რამდენიმე სახუმარო ისტორიისა. ლიტერატურის სასარგებლოდ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მოგვეპოვება იმ მართლაცდა უზარმაზარი შრომის შედეგად, რომელიც შექსპირის ცხოვრების შესნავლისთვის განხულა. ის, რაც ვიცით, მეტნილად მისი ცხოვრების ქრონოლოგიური ფაქტებია და, აგრეთვე, მისი სოციალური სტატუსი და პროფესიული კავშირების ჩამონაცნობთა წრე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ორ ჯგუფად დაყორთ ისინი, ვისაც კი ოდესმე უცდია შექსპირის რეალისტური ბიოგრაფია დაეწერა, მისი ეთიკური და ემოციური განვითარების გზა ერვენებინა. პირველ ჯგუფში შევლენ ისინი, ვინც საქმეს მეცნიერულად მიუდგა და, კეროლაინ სპერჯენის (Caroline Spurgeon) მსგავსად, პოეტის მხატვრული სახეები, სახისმეტყველება შეისწავლა. ამ შრომის შედეგია მოვლენების უძრალო, არაფრისმთქმელი ჩამონათვალი. მეორე ჯგუფის მკვლევრებმა, რომელიც შექსპირის პიესებსა და სონეტები „ჩაეფლენ“, რომანტიკული ბიოგრაფიები შეთხეს. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან გეორგ ბრანდესი და ფრენკ ჰარისი.³

ყველა ეს მცდელობა ემყარება მცდარ პრინციპს (მას საფუძველი ჩაუყარეს ჰეზლიტმა და ჰეგელმა, ხოლო პირველად — საკმაოდ ფრთხილად — ის დაუდენმა ჩამოაყალიბა). მართებული არ არის, შეთხული ნაწარმოებიდან, მით უფრო პიესებიდან რაიმე საფუძვლიანი და მყარი განაცხადი გავაკეთოთ ავტორის რეალური ცხოვრების შესახებ. ძალზე საეჭვოა ის აღიარებული შეხედულებაც, რომ თითქოსდა შექსპირმა გადაიტანა დეპრესიის პერიოდი, რომლის დროსაც შექმნა ტრაგედიები და ტრაგიკომე-

ლიტერატურა და ბიოგრაფია

დიები, ხოლო გარკვეულ სიმშვიდეს „ქარიშხლის“ წერის დროს მიაღწია. კატეგორიულად ვერ ვიტყვით, რომ ტრაგედიების შესაქმნელად მწერალს ტრაგიკული განწყობა ესაჭიროება, ან რომ მხოლოდ ცხოვრებისაგან კმაყოფილი იწყებს კომედიების წერას. არ არსებობს არანაირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში შექსპირს სევდა დაეუფლა⁴ პოეტს პასუხს ვერ მოვთხოვთ მისი პერსონაჟების აზრებისათვის. უნდა გავმიჯნოთ შექსპირისა და მისი პერსონაჟების, მაგ. ტიმონისა და მაკბეტის შეხედულებები ცხოვრებაზე; ასევე, ვერ ვიტყვით, რომ შექსპირი ეთანხმება იაგოს ან დოლ ტერშიტის („პენრი მეოთხის“ პერსონაჟი, --მთარგმნელის შენიშვნა) აზრებს. ან რა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პროსპერ ავტორის მსგავსად მსჯელობს? მწერლებს არ უნდა მივაწეროთ მათ მიერ გამოგონილი გმირების იდეები, გრძნობები, შეხედულებები, ღირსებები თუ მანკიერებები. ეს თანაბრად ეხება როგორც დრამისა და რომანის პერსონაჟებს, ასევე — ლირიკული ლექსის გმირსაც, რომელიც ლირიკული „მე-ს“ მიღმა მოიაზრება. კავშირს პირად ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის ვერ დაგარქმევთ უბრალო მიზეზედეგობრივ ურთიერთობას.

თუმცა, ბიოგრაფიული მეთოდის მხარდამჭერები მაინც შეედავებიან ამ ჩვენს მტკიცებულებებს. იტყვიან, რომ ბევრი რამ შეიცვალა შექსპირის ეპოქის შემდეგ. უხვად დაგროვდა ბიოგრაფიული მასალა მრავალი პოეტის შესახებ. პოეტებმა (მაგ., მილტონმა, პოუპმა, გოეთემ, უორდსვორთმა თუ ბარონმა) იგრძნეს პასუხისმგებლობა შთამომავლობის წინაშე. მათ არ აკლდათ თანამედროვეთა ყურადღება და თვითონაც მრავალი ავტობიოგრაფიული ჩანაწერი დატოვეს. ბიოგრაფიული მიდგომა გამარტივდა, რადგან შეგვიძლია ცხოვრება და მოღვაწეობა ერთ-მანეთს შევადაროთ და შევუპირისპიროთ. უნდა ითქვას, რომ თვითონ პოეტის მხრიდანაც იგრძნობა ამგვარი მიდგომის სურვილი და მოთხოვნა. ეს, განსაკუთრებით, რომანტიკოს პოეტებს ეხებათ, რომლებიც არ ერიდებიან საკუთარი თავის შესახებ წერას და გულის სიღრმეშიც გვახედებენ, ან ბაირონის თქმისა არ იყოს, თავიანთ „სისხლმდინარე გულს მთელს ევროპას შემოატარებენ“. ეს პოეტები თავიანთ თავზე მარტო კერძო წერილებში, დღიურებსა და ავტობიოგრაფიებში კი არ გვიამბობენ, არამედ — ყველაზე

ლიტერატურის თეორია

ოფიციალურ და ფორმალურ განცხადებებშიც. უორდსუორთის „პრელუდია“ არის პოეტური მანიფესტის სახით მოთხოვდილი ავტოპიოგრაფია. ძნელია არ ენდო და არ დაუჯერო ამგვარ განცხადებებს, რომლებიც ზოგჯერ არა თუ შინაარსით, ტონითაც კი არ განსხვავდება ავტორთა კერძო მიმოწერიდან. ჩვენც მეტი რა დაგვრჩნია, გარდა იმისა, რომ პოეზიის ინტერეპრეტაცია თვითონ პოეტისავე თვალით განვახორციელოთ. გავიხსენოთ გოეთეს ცნობილი ნათქვამი, რომელშიც ის საკუთარ შემოქმედებას „დიდი აღსარების ფრაგმენტებად“ აღიქვამს.

არსებობს ორი სახის — ობიექტური და სუბიექტური — პოეტები. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან, მაგ., კიტსი და თ. ს. ელიოტი, რომლებიც ხაზს უსვამენ პოეტის „თვითუარყოფას“, ე.ი. მის ღიაობას სამყაროსადმი და საკუთარი ინდივიდუალობის უგულებელყოფას. მეორე ტიპის პოეტი, პირიქით, თავისი პიროვნების გამომზეურებას ცდილობს, ავტოპორტრეტის შექმნა სწადია და ამგვარად ცდილობს გამოხატოს საკუთარი თავი და გული გადაგვიშალოს⁵ ლიტერატურის ისტორიაში დიდი ხნის განმავლობაში გვხვდებოდა მხოლოდ პირველი სახის პოეტები. მათ ნანარმოებებში თითქმის მიჩქმალულია სუბიექტური აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკურად მათ ნაწერებს შეიძლება უდიდესი ღირებულება ჰქონდეთ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყენოთ იტალიური ნოველა, სარაინდო რომანები, აღორძინების ეპოქის სონეტები, ელისაბედის ხანის დრამა, ნატურალისტური რომანები, თითქმის მთელი ხალხური პოეზია.

მაგრამ სუბიექტური პოეტის შემთხვევაშიც კი განსხვავება ავტოპიოგრაფიული ბუნების პირად განაცხადსა და იგივე მოტივის ხელოვნების ნიმუში გამოყენებას შორის არ უნდა და არ შეიძლება წაიშალოს. ხელოვნების ნიმუში მთლიანობას წარმოადგენს სულ სხვა დონეზე, სულ სხვა კავშირში რეალობასთან, ვიდრე მემუარების წიგნი, დღიური ან წერილი. მხოლოდ ბიოგრაფიული მეთოდების დამახინჯვებით შეიძლება ავტორის ცხოვრების ყველაზე ინტიმური და ხშირად შემთხვევითი დოკუმენტები გახდეს მთავარი შესწავლის საგანი, მაშინ, როცა ნამდვილი პოემები განხილული იქნებოდა დოკუმენტებად და განლაგებული იქნებოდა პოემების კრიტიკული შეფასებისგან გამოყოფილი ან სრულიად საპირისპირო სკალით. ამგვარად, ბრანდე „მაკბეტ“-ს მიიჩ-

ლიტერატურა და ბიოგრაფია

ნევს უინტერესოდ, რადგან ის ყველაზე ნაკლებად უკავშირდება შექსპირის პიროვნების შესახებ მის წარმოდგენას; ამგვარად, კინგსმილი უკმაყოფილებას გამოთქვამს არნოლდის შოპრაპ ანდ ღუსტამ-თან დაკავშირებით.⁶

მაშინაც კი, როცა ხელოვნების ნიმუში მოიცავს აშკარა ბიოგრაფიულ ელემენტებს, ისინი ნამუშევარში ისეთი სახით იქნება შეცვლილი, რომ დაკარგავს სპეციფიკურ პირად მნიშვნელობას და იქცევა უბრალოდ ადამიანურ მასალად, ნამუშევრის განუყრელ ნაწილად. რამონ ფერნანდესი ამას დამაჯერებლად ასაბუთებს სტენდალთად კავშირში. მეიერმა აჩვენა რამდენად განსხვავდება აშკარად ავტობიოგრაფიული „პრელუდია“ ვორდს-ვორთის რეალური ცხოვრებისგან იმ პროცესის დროს, რომელსაც პოემა აღწერს.⁷

შეხედულება, რომ ხელოვნება წმინდა თვითგამოხატვაა, პირადი გრძნობების და გამოცდილების ასლი, აშკარად მცდარია. თუნდაც ახლო კავშირი იყოს ხელოვნების ნიმუშსა და ავტორის ცხოვრებას შორის, ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ ხელოვნების ნიმუში უბრალოდ ცხოვრების ასლია. ბიოგრაფიულ მიდგომას ავინც დება, რომ ხელოვნების ნიმუში უბრალოდ გამოცდილების განსხვაულება არ არის. ის ყველაზე ბოლოა ნამუშევართა სერიაში; ეს არის დრამა, რომანი, პოემა განსაზღვრული ლიტერატურული ტრადიციებითა და ჩვეულებებით. სინამდვილეში ბიძლიოგრაფიული მიდგომა ბუნდოვანს ხდის ლიტერატურული პროცესის სათანადო გაგებას. ის არღვევს ლიტერატურული ტრადიციის წესრიგს, რათა ჩაანაცვლოს პიროვნების სასიცოცხლო ციკლი. ბიძლიოგრაფიული მიდგომა, ასევე, იგნორირებას უკეთებს მარტივ ფსიქოლოგიურ ფაქტებს. ხელოვნების ნიმუში ანსხეულებს უფრო ავტორის „ოცნებას“, ვიდრე მისი ცხოვრების სტილს, ან წარმოადგენს „ნიღაბს“, „ანტი-მე“-ს, რომლის უკანაც მისი წამდვილი პიროვნება იმაღება, ან იმ ცხოვრების სურათია, რომელსაც უნდა გაექცეს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვანს შეუძლია ცხოვრება „განიცადოს“ სხვადასხვა სახით მისი ხელოვნებიდან გამომდინარე: რეალური გამოცდილებები დანახულია მათი ლიტერატურისადმი გამოსადევობის მხრიდან.⁸

უნდა დავასკვნათ, რომ ბიძლიოგრაფიული ინტერპრეტაცია და ხელოვნების ნიმუშების გამოყენება საჭიროებს ყურადღე-

ლიტერატურის თეორია

ბით შესწავლას თითოეულშემთხვევაში, რადგან ხელოვნების ნიმუში არ წარმოადგენს ბიოგრაფიულ დოკუმენტს. ჩვენ ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ გლედის ი. უელდის „ტრაპერნის ცხოვრება“, რომელიც მისი პოემის განაცხადებს ბიოგრაფიულ სიმართლედ აღიქვამს, ან ბრონტეების ცხოვრების შესახებ მრავალი წიგნი, რომელებშიც პირდაპირ გადმოტანილია ნაწყვეტები „ჯეინ ეარი“-დან ან „ვილეტი“-დან. არსებობს, ასევე, ვირჯინია მურის „ემილი ბრონტეს სიცოცხლე და მონადინებული სიკვდილი“, რომელიც თვლის, რომ ემილიმ ჰიტკლიფის ვნებები განიცადა; სხვები ასაბუთებენ, რომ ქალს არ შეეძლო დაეწერა „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ და რომ ნამდვილი ავტორი ძმა, პატრიკი უნდა ყოფილიყო.⁹ ამ ტიბის არგუმენტს მოყვა შემდეგი მოსაზრებები: შექსპირი ალბათ იტალიაში იყო ნამყოფი, ალბათ ადვოკატი იყო, ჯარისკაცი, მასწავლებელი, ფერმერი. ამ ყველაფერს ელენ ტერიმ გამანადგურებელი პასუხი გასცა და განაცხადა, რომ იგივე კრიტიკოუმით შექსპირი ქალი უნდა ყოფილიყო.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინაც კი, როცა შესწავლის საგანი სუბიექტური პოეტის შემოქმედებაა, აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ავტობიოგრაფიული ხასიათის კერძო განაცხადი და ზუსტად იგივე მოტივის გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში. მხატვრული ნაწარმოები სულ სხვა მიმართება-შია რეალობასთან და სულ სხვაგვარ მხატვრულ მთლიანობას ქმნის, მოგონებათა წიგნის, დღიურისა თუ წერილისაგან „მილტონური“ ან „კიტსიანური“ მაგრამ ეს ნიშან-თვისებები განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მათ ნაწარმოებებზე და არა ბიოგრაფიულ ფაქტებზე დაყრდნობით. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს „ვირგილიუსიანური“ ან „შექსპირული“, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი უდიდესი პოეტის შესახებ, ფაქტობრივად, სარწმუნო ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება.

და მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, პოეტის ცხოვრებასა და მის ქმნილებათა შორის მაინც არსებობს შემაკავშირებებული ხაზები, პარალელიზმები, ფარული მსგავსებები თუ მრუდე სარკეები. პოეტის შემოქმედება შეიძლება ჰგავდეს ერთგვარ ნიღლაბს, დრამატულ პირობითობაზე აგებულ ნარმოდგენას, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ძალიან ხშირად ეს სწორედ მისი საკუთარი გამოცდილებისა და საერთოდ ცხოვრების განზოგადებაა. თუ

ლიტერატურა და ბიოგრაფია

ამგვარად განვიხილავთ მოვლენებს, მათინ მწერლის შემოქმედების შესწავლას გარკვეული აზრი ეძღვევა. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ამას განმარტებითი ლირებულება აქვს: ბიოგრაფიის დახმარებით შეიძლება უამრავი ალუზია და სიტყვა გასაგები გახდეს ჩვენთვის. ბიოგრაფიული მიდგომა გვიადვილებს ლიტერატურის ისტორიის ანუ ავტორის შესაძლებლობების ზრდის, მომწიფების და ასევე სავარაუდო დაცნინების შესწავლას. ბიოგრაფია ლიტერატურულ კვლევას საჭირო მასალითაც უზრუნველყოფს, რომლის საფუძველზე პასუხი გაეცემა შემდეგ საკითხებს: რას კითხვულობდა, რამდენად ნაკითხი იყო პოეტი, რამდენად იცნობდა თავისი დროის სხვა მწერლებსა თუ ლიტერატორებს, სად უმოგზაურია, რა ადგილები უნახავს და სად უცხოვრია. პასუხები ამ კითხვებზე შეიძლება ძალზე სასარგებლო იყოს ლიტერატურის ისტორიისთვის, მაგ., იმის დასადგენად, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას შეიძლება მივაუთვინოთ ესა თუ ის მწერალი, რამ მოახდინა ზეგავლენა მისი, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბებაზე, რა სახის მასალით სარგებლობდა ან რა ნარმოადგენდა მისი შემოქმედების წყაროს.

როგორც ვნახეთ, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადასაჭრელად ბიოგრაფიის შესწავლას შეიძლება მართლაც მნიშვნელობა ჰქონდეს. და მაინც, რაც უნდა დიდი იყოს ეს მნიშვნელობა, არ უნდა მივაწეროთ მას ის როლი, რომელიც კრიტიკულ განსჯას აეკისრია. კვლევის პროცესში, ხშირად, უადგილოდ გამოყენებული „გულწრფელობის“ კრიტერიუმი თავიდან ბოლომდე მცდარია, თუ ის ცდილობს ნაწარმოებები განიხილოს ბიოგრაფიის უტყუარობის ნიშნით, ან სარწმუნოდ მიიჩნიოს ყველა არსებული საბუთი თუ მოგონება ავტორის განცდებისა თუ გრძნების შესახებ. ამგვარ „გულწრფელობასა“ და ნაწარმოების მხატვრულ ფასეულობას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. ამის კარგი საბუთია მოზარდების მიერ თითქოს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი სასიყვარულო პოეზია და ასევე ულიმდამო (თუნდაც მგზნებარედ განცდილი) რელიგიური პოეზია, რომლითაც სავსეა ბიბლიოთეკები. ბაირონის ლექსი „გემშვიდობები“-ს (are Thee Well) ლირსებას არც არაფერს მატებს და არც აკლებს ის, რომ მასში ასახულია პოეტის რეალური ურთიერთობა ცოლთან. ვერც პოლემერ მორს (Paul Elmer More) დავეთანხმებით, თითქოს „სამ-

ლიტერატურის თეორია

ნუხარო“ იყოს ის ფაქტი, რომ პოეტის ხელნაწერს არ ეტყობა იმ ცრემლთა კვალი, რომლებიც (თუ თომას მურის „ჩანაწერებს“ ვენდობით) ზედ უნდა დასცემოდა.¹⁰ მთავარია, რომ არსებობს ლექსი. ცრემლები — თუნდაც მართლა დაღვრილი — გამქრალია. გამქრალია პოეტის განცდებიც. მათ ვეღარ გავაცოცხლებთ და ეს არც არის საჭირო.

თავი მერვე

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

*

როდესაც „ლიტერატურის ფსიქოლოგიაზე“ ვიწყებთ საუბარს, მხედველობაში შეიძლება გვკონდეს შემდეგი: მწერლის, როგორც ფსიქოლოგიური ტიპისა და ინდივიდის ანალიზი; შემოქმედებითი პროცესის შესწავლა; ნანარმოებში ნარმოდგენილი ფსიქოლოგიური ტიპებისა და კანონზომიერების განხილვა, და ბოლოს, ლიტერატურის ზეგავლენა მკითხველზე (მკითხველთა ფსიქოლოგია). ამ უკანასკნელს განვიხილავთ ნაშრომის მომდევნო თავში „ლიტერატურა და საზოგადოება“. პირველი სამი საკითხის შესახებ კი აქვე ვიმსჯელებთ. ამათგან ლიტერატურათმცოდნებასთან ყველაზე ახლოს მექანიზმება, პირველი ორი კი ხელოვნების ფსიქოლოგის განმტოებას ნარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მათი როლი, როგორც პედაგოგიური მეთოდებისა, შეიძლება ლიტერატურათმცოდნებისათვის ზოგჯერ მეტად მომგებიანიც იყოს, მაინც ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ ლიტერატურული ნანარმოების შეფასებაზე მათი ნარმოშობისა და შექმნის თვალსაზრისით (ვგულისხმობთ გენეტიკურ ცდომილებას — “genetic fallacy”).

გენიალურ მწერალთა ნიჭიერების არსი ყოველთვის იწვევდა ინტერესს. ჯერ კიდევ ძეველი ბერძნები მას ერთგვარ „შეშლილობას“ უწოდებდნენ (იქიდან მოყოლებული, ეს შეფასება მერყეობს ნევროზსა და ფსიქოზს შორის). პოეტი „შეპყრობილი“ არსებაა: ის სხვებს არ ჰგავს, იგი ერთდროულად აღმატება კიდეც მათ და მათზე ნაკლებიც არის; მისი არაცნობიერი აღიქმება, როგორც უდაბლესი და, იმავდროულად, უმაღლესი დონის ცნობიერება.

მეორე — ოდინდელი და მყარი — შეხედულების თანახმად, პოეტს „ნიჭი“ რაიმე ნაკლისა თუ ხინჯის დასაფარავად ეძლევა. მაგ. „ოდისეას“ მიხედვით, მუზამ მართალია დემოდოკონს თვალისწინი ნაართვა, მაგრამ, სამაგიეროდ, „სიმღერის დიდებული ნიჭი უბოძა“; დაბრმავებულმა ტირესიას მაც ნი-

ლიტერატურის თეორია

ნასწარმეტყველების უნარი შეიძინა. მაგრამ, ნაკლი და ღვთივ ბოძებული ნიჭი ყოველთვის ასეთ მიმართებაში არ არის; სხეულება თუ ხინჯი შეიძლება ფსიქოლოგიური ან სოციალური ბუნებისა იყოს და არა ფიზიკური. პოუპი (Popé) კუზიანი და ჯუჯა კაცი იყო; ბაირონი (Byron) — კოჭლი; ნახევრად ებრაელი პრუსტი (Proust) ასტმური ნევროზით იტანჯებოდა. კიტსი ძალზე დაბალი ყოფილა, ტომას ვულფი (Thomas Wolfe) კი, პირიქით — მეტად მაღალი. ამ თეორიის ნაკლი მისივე თვალშისაცემი სიმარტივეა. ანუ, „როცა ურემი გადაბრუნდება“, მაშინ ძალიან ადვილია ავხსნათ ნებისმიერი წარმატება მისივე გამანონასნორებელი მოტივაციით, რადგან ყველა ადამიანს აქვს სუსტი წერტილი, რაც ხელოვანისთვის, საბოლოო ანგარიშით შეიძლება სტიმულად და ბიძგად იქცეს. რასაკვირველია, საეჭვოა ის ფართოდ გავრცელებული შეხედულებაც, რომლის თანახმად, ნევროზი და მისი ერთგვარი „კომპენსაცია“ ხელოვანთ განასხვავებს მეცნიერთაგან და სხვა „მჭვრეტელთაგან“. განსხვავება ის არის, რომ მწერლები თავიანთ პრობლემებზე ხშირად წერენ და საკუთარ სხეულებსა თავიანთი ნაწერების თემად აქცევენ ხოლმე.

მთავარი კითხვა კი შემდეგია: თუ მწერალს ნევროზი ტანჯავს, ეს სხეულება მისი შემოქმედების თემად იქცევა თუ მხოლოდ მისი შემოქმედების მიზეზად? თუ ის მიზეზია, მაშინ მწერალი არ უნდა გამოვარჩიოთ სხვა მჭვრეტელთაგან. ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: თუ მწერლის ნევროზი ნამდვილად განაპირობებს ნაწარმოებთა თემების შერჩევას (ამის უდავო მაგალითია კაფუა), მაშინ როგორ ხდება, რომ მისი შემოქმედება მკითხველისათვის გასაგებია? მწერალს იმაზე მეტის გაკეთება ევალება, ვიდრე, უბრალოდ, უჩვეულო ამბის ჩაწერაა. ის ამ პრობლემას ან არქეტიპული მოდელის კუთხით უნდა უდგებოდეს (როგორც ამას აკეთებს, მაგ., დოსტოევსკი რომანში „ძმები კარამაზოვები“) ან უნდა ირჩევდეს ჩვენს დროში ფართოდ გავრცელებულ „ნევროზული პიროვნების“ სქემას.

ფროიდის (Freud) შეხედულება მწერალის შესახებ მთლად ერთგვაროვანი არ არის. მრავალი თავისი ევროპელი კოლეგის, კერძოდ, იუნგის (Jung) და რანკის (Rank) მსგავსად, ფროიდიც დიდ კულტურას ნაზიარები ადამიანი გახლდათ. როგორც ეს განათლებულ ავსტრიელს შეეფერება, ისიც დიდ პატივს სცემდა კლასიკურ ხელოვნებასა და გერმანულ კლასიკურ ლიტერატურას. ფროიდი

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

მრავალ ღრმა აზრს ჩასწედა უფროვეინდელ ლიტერატურაშიც, როგორიცაა: დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, შექსპირის „ჰამლეტი“, დიდროს „რამოს ძმისნული“, გოთეს ნანარმოებები, რამაც შემდგომში მისი საკუთარი მიგნებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას შეუწყო ხელი. თუმცა, ამასთანავე, იგი მწერალს მიიჩნევდა ნევროზით შეპყრობილ ადამიანად, რომელიც საკუთარი შემოქმედების წყალობით თავს აღწევდა პიროვნულ განადგურებას, მაგრამ საშუალებასაც არ აძლევდა თავის თავს, სრულად განკურნებულიყო.

ხელოვანი, ამბობს ფრონდი, არის ადამიანი, რომელიც ზურგს აქცევს რეალობას, რადგან ვერ ურიგდება იმას, რომ იძულებულია უარი თქვას თავისი ინსტინქტების მყისიერ დაკმაყოფილებაზე, შემდეგ კი თავის ნარმოსახვასა თუ ფანტაზიებში სრულ თავისუფლებას აძლევს საკუთარ ეროტიკულ და გაბედულ სურვილებს. მაგრამ ის მაინც პოულობს გზას ამ ფანტაზიების სამყაროდან რეალობაში დასაპრუნებლად; განსაკუთრებული ნიჭის წყალობით ის თავის ფანტაზიებს სრულიად ახლებური რეალობის ყალიბში ათავსებს; ადამიანები კი თანახმა არიან, მათში რეალური ცხოვრების მეტად ლირებული და მნიშვნელოვანი ასახვა პოვონ. ამგვარად, გარკვეული გზის გავლით მწერალი იქცევა იმად, რაზეც ოცნებობდა — იგი ხდება ნამდვილი გმირი, მეფე, შემოქმედი, მიჯნური. მას აღარ სჭირდება გრძელი, შემოვლითი გზა, რათა შექმნას გარე, ობიექტური სამყაროს შეცვლილი რეალური სახე.

გამოდის, რომ პოეტი მეოცნებება, რომლის არსებობა სანქციონირებულია საზოგადოების მიერ. იმის ნაცვლად, რომ თავისი ბუნება შეცვალოს, იგი თავის ფანტაზიებს უკვდავყოფს და აქვეყნებს კიდეც.²

ამგვარი განმარტება გულისხმობს, რომ ხელოვანს არაფერი სცხია ფილოსოფოსისა და „ნმინდა წყლის მეცნიერისა“. მჭვრეტელობა პოზიტივისტურად, „დაიყვანება“ უბრალო დაკვირვებაზე და საგანთა სახელდებაზე. აქ გათვალისწინებული არაა მისი ირიბად მოქმედი ეფექტი — „გარე, ობიექტური სამყაროს შეცვლა“, რასაც განახორციელებუნ რომანებისა და ფილოსოფიური თხზულებების მკითხველები. ამავე დროს, არ ხდება მხატვრული შემოქმედების, როგორც ობიექტური სამყაროში შრომითი საქმიანობის გარკვეული სახეობის აღიარება; როდესაც მეოცნებე

ლიტერატურის თეორია

კმაყოფილდება იმით, რომ წერს თავისი ოცნებების შესახებ, ჭეშ-მარიტი შემოქმედი მიისწრაფვის გარეგნული თვითგამოვლინებისადმი და ცდილობს მოერგოს საზოგადოებას.

მწერალთა უმეტესობისთვის მიუღებელია ორთოდოქ-სული ფროიდიზმი და თუმცა ბევრმა მათგანმა დაიწყო ფსიქო-ანალიტიკური მკურნალობა, მაგრამ არ დაასრულა მკურნალობის კურსი. მათ უმეტესობას არ სურს „განჯურნება“ ან „საზოგადოებასთან მორგება“, რადგან შიშობენ, რომ ამის შედეგად წერას შეწყვეტენ ან შეგუება მოუწევთ ფილისტერულ თუ ბურუჟაზიული (მათი თქმით) „ნორმალურ“ ყოფასთან. ამასთან დაკავშირებით, ოდენმა (Auden) განაცხადა, რომ ხელოვანმა იმდენ ნევროზს უნდა გაუქლოს, რამდენსაც აიტანსო. ბევრი კი დაეთანხმა პორნის, ფრომის და კარდინერის (ფროიდიზმის რევიზიონისტი ფსიქოლო-გების) შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ფროიდისტული შეხე-დულებები ნევროზისა თუ ნორმალური მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მართებული იყო ვენისთვის XIX-XX საუკუნეთა მი-ჯნაზე, უნდა გადაიხედოს და შესწორდეს მარქსიზმისა და ანთრო-პოლოგიურ მოძღვრებათა მიხედვით.³

თეორია ხელოვნების როგორც ნევროზის შესახებ წამოჭრის წარმოსახვისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხს. შესა-ძლოა, რომანისტში უნდა დავინახოთ მხოლოდ რომანტიკული ყრმა, რომელიც „აბბებს მოგვითხრობს“, ანუ როგორც მოე-სურვება ისე აცოცხლებს და წარმოსახვეს საკუთარ თავგა-დასავალს. მეორე მხრივ, შეიძლება ის არის პალუციინაციებით დატანჯული ადამიანი, რომელიც ვერ განარჩევს რეალობას სა-კუთარი იმედებისა და შიშების ფანტასმაგორიული სამყაროსგან. ზოგ რომანისტს (მათ შორის, დიკენსს) უსაუბრია იმის შესახებ, რომ ცხადად ხედავდა და უსმენდა თავისი გმირებს, რომლებიც ხშირად თვითონ წარმართვდნენ თხრობას ისეთი დასასრუ-ლისკენ, რომელიც ავტორს არც კი მოსვლია აზრად. ფსიქოლო-გების მიერ მოყვანილ ვერც ერთ მაგალითს პალუციინაციეურს ვერ ვუწოდებთ; უბრალოდ, ზოგიერთ რომანისტს აქვს ბავშვებისათ-ვის დამახასიათებელი ფოტოგრაფიული მეხსიერების უნარი, რო-მელიც მოზრდილებში ძალიან იშვიათია (ის აღქმითი, სენსორული ხასიათისაა). ერთ იაენშის (Jaensch) აზრით, ეს უნარი მიგვანიშ-ნებს ხელოვანის გამორჩეულ თვისებაზე, გააერთიანოს პერცეფ-

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

ციული (ალქმითი) და კონცეფციური (გააზრებითი). ხელოვანი არა მარტო ინარჩუნებს, არამედ ავითარებს კიდეც ამ არქაულ ნიშანს: ის გრძნობს და ხედავს კიდეც თავის ფიქრებს.⁴

კიდევ ერთი უნარი, რასაც მწერალს, უფრო კონკრეტულად კი პოეტს მიაწერენ, არის სინესთეზი, ანუ გრძნობათა ორი მეტი ორგანოს სენსორული ალქმის დაკავშირება. ეს უმეტესად ეხება მხედველობითსა და სმენით შეგრძნებებს (მაგ., „ფერის ხმა“—audition colorée, როდესაც საყვირის ხმა აღიქმება, როგორც ალის-ფერი). როგორც ფსიქოლოგიური თვისება, ეს აშკარად ჰგავს წითელი და მწვანე ფერების განუსხვავებლობის უნარს, რაც ადრინ-დელი, შედარებით განუვითარებელი აღიქმის გადმონაშთია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უფრო ხშირად სინესთეზია ლიტერატურული ხერხია, მეტაფორული აზროვნების ერთგვარი ფორმა, რომელიც ცხოვრების მიმართ მეტაფიზიკურ-ესტეტიკური დამოკიდებულებას სტილიზებულად გადმოგვცემს. ისტორიას თუ გადავხედავთ, ამგვარი დამოკიდებულება და სტილი ბაროკოს და რომანტიზმის პერიოდებისათვის იყო დამახსასიათებელი და შესაბამისად, უფრო რაციონალისტურ პერიოდებში მას მეტად ამრეზით უყურებდნენ, რადგან მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იყო „აშკარა, გამოკვეთილ“ ფორმათა ძიება, ვიდრე „შესაბამისობების“, ანალოგიების და საერთო ნიშნების გამონახვის მცდელობა.⁵

ჯერ კიდევ თავის ადრეულ კრიტიკულ ნაწერებში ტ. ს. ელი-ოტი (T. S. Eliot) ხაზგასმით მიგვანიშნებდა პოეტის კრებსით სახეზე, რომელიც აჯამებს ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელუბლებლად ინახავს თავის კუთვნილ ადგილს კაცობრიობის ისტორიაში, იგი არ წყვეტს ღია კავშირს საკუთარ და ასევე პოეზიის საწყისებთან და ამავე დროს ახერხებს მომავალსაც მიაწვდინოს თვალი: „ხელოვანი,“ ნერდა ელიოტი 1918 წელს, „თავის თანამე-დროვეებთან შედარებით, გაცილებით უფრო პრიმიტიულიც არის და ასევე უფრო ცივილიზებულიც...“. 1932 წელს ის უბრუნდება ამ კონცეფციას, კერძოდ, „სმენითი ნარმოსახვის“ საკითხს და არა მარტო მას. ის მსჯელობს პოეტის ვიზუალურ ხატთა სამყაროს და განსაკუთრებით იმ მხატვრულ სახეების შესახებ, რომელთაც პოეტი კვლავ და კვლავ უბრუნდება. მათ „შეიძლება აქვთ კიდეც სიმბოლური ღირებულება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ მივხვდებით, რადგანაც ჩვენს წინაშე ისინი გრძნობათა მიუწვდომელი სილ-

ლიტერატურის თეორია

რმეებიდან წარმოდგებიან“⁶. შეჯამებისას, ელიოტი მოწონებით იმოწმებს კაიეს (Cailliet) და ბედეს (Bédé) ნაშრომებს, რომლებიც იკვლევენ სიმბოლისტური მიმდინარეობის მიმართებას პრიმიტიული სულის (psyche) მიმართ: „ცივილიზებულ ადამიანში წინარელოგიური მენტალიტეტი კიდევ არსებობს, მაგრამ მხოლოდ პოეტისთვის ან პოეტის მეშვეობით ხდება ის გასაგები და მისაწვდომი“⁶.

ძნელი არ არის, ამ ნათქვამში შევნიშნოთ კარლ იუნგის გავლენა და, ასევე, იუნგისეული თეზისის პარაფრაზაც იმასთან დაკავშირებით, რომ ინდივიდუალური „არაცნობიერის“ ანუ ჩვენი წარსულის — განსაკუთრებით, ყრმობისა და ბავშვობის — მიღმა არსებობს „კოლექტიური არაცნობიერი“, ჩვენი წარსულის(ჩვენი პირველყოფილი წარსულისაც კი) ავტონომიური მეხსიერება. იუნგის საქმაოდ რთული ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის მიხედვით, „ექსტრავერტი“ და „ინტრავერტი“ ოთხ არსებულ ტიპის (იმის მიხედვით გამორჩეულს, თუ რა სჭარბობს მათში: აზროვნება, გრძნობა, ინტუიცია თუ მერძნობელობა) კიდევ უფრო აკონკრეტებს. სწორი არაა, რომ იუნგი ყველა მწერალს ინტუიციური ინტრავერტის კატეგორიაში მიაკუთვნებს. იგი კი-დევ უფრო რთულად წარმოგვიდგენს სურათს, როცა აღნიშნავს, რომ ზოგი მწერალი თავისი შემოქმედებით ამჟღავნებს იმას, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება, ზოგი კი, პირიქით, შემოქმედებაში წარმოაჩენს თავის ანტიტიპს, ანუ იმას, რაც თვითონ აკლია, რაც თავად არ არის.⁷

უნდა ვალიაროთ, რომ *Homo scriptor* ანუ „მწერალი ადამიანი“ არ არის ერთგვაროვანი ტიპი. თუ რომანტიკოსი მწერლის ხატს შევვმნით კოლრიჯის, შელის, ბოდლერის და პოს (Poe) სახეებიდან, აქვე არ უნდა დავივინწყოთ რასინი (Racine), მილტონი (Milton), გოთე, ან ჯეინ ოსტინი და ენტონი ტროლოპი. შეიძლება ლირიკული და რომანტიკოსი პოეტების გამორჩევაც ა დრამატული და ეპიკური პოეტებისგან და მათთან ახლოს მდგომი რომანისტებისგან. ერთ-ერთი გერმანელი ტიპოლოგი კრეჩმერი (Kretschmer) გამოჰყოფს პოეტებს (*leptosomaturebs* — სუსტი, გამხდარი აგებულების მქონეთ, რომლებიც მიღრეკილნი არიან შიზოფრენისადმი) რომანისტებისგან (დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი აღნაგობის, მანიაკალურ-დეპრესიული ტემპერამენტის ანუ ცვა-

ა ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ პოლარულ და-პირისპირებაზე დაწერილა, არის აპოლონისა და დიონისეს ნიკ-შესეული დაპირისპირება მის „ტრაგედიის დაბადებაში“. პერ-ძნული პანთეონის ეს ღმერთები განასახიერებენ ხელოვნების სხვადასხვა დარგებს (ქანდაკებასა და მუსიკას) და, შესაბამის-ად, სხვადასხვაგვარ შემოქმედებით პრინციპებს — ოცნებას და ექსტაზურ თრობას. მათ შორის თითქმის ისეთივე მიმართებაა, როგორც კლასიკურ „ხელოვანსა“ და რომანთიკულ „შეპყრობ-ილს“, „შთაგონებულს“, ანუ poetae vates-ს შორის (ლათ. პოეტი, რო-მელიც ღმერთებმა ნინასნარმეტყველების ნიჭით დააჯილდოვეს — მთარგმნელის შენიშვნა).

ფრანგი ფსიქოლოგი რიბო (Ribot) დავალებული უნდა იყოს ნიცშესაგან, თუმცა თვითონ ამას მაინც არ აღიარებს. ეს აქვარაა, თუ განვიხილავთ მწერლების მისურულ დაყოფას წარმოსახვის უნარის მოვარი ტიპის მიხედვით. პირველი მათგანი, ე.წ. „პლასტიკური“, დამახასიათებელია ძლიერი წარმოსახვის მქონე შემოქმედისთვის, რომლისთვისაც წერის უპირველეს სტიმულს წარმოადგენს გარე სამყაროზე დაკვირვება, მისი გრძნობადი აღქმა. ხოლო ე. წ. „უფორმო“ (სმენითი და სიმბოლური) წარმოსახვა დამახასიათებელია სიმბოლისტი პოეტის ან რომანტიკოსის

ლიტერატურის თეორია

მწერლისთვის (ტიკი, ჰოფმანი, პო), რომელიც ასახავს თავის გამოცდილებას და გრძნობებს, რიტმითა და ხატებით შეავსებს მათ და აერთიანებს საკუთარი განწყობილებით (Stimmung). ეჭვს-გარეშეა, რომ ელიოტმა, დანტეს „ვიზუალური წარმოსახვისა „და მილტონის „სმენითი წარმოსახვის შეპირისპირებისას, გაითვალისწინა რიბოს შეხედულებები

თანამედროვე რუმინელი მკვლევარი ლ. რუსუ (Rusu) განასხვავებს ხელოვანის სამ ძირითად ტიპს: პირველი — „*type sympathique*“, „სიმპათიური ტიპი“ — მოიაზრება, როგორც მხიარული, სპონტანური, ლალი თავის შემოქმედებაში; მეორე — „*type demoniaque anarchique*“ — დემონური, ანარქიული ტიპი და მესამე — „*type demoniaque equilibre*“ — დემონური, განონასწორებული. რუსუს ზოგჯერ შეუსაბამო მაგალითები მოჰყავს, თუმცა ძირითადი აზრი წაყოფილია: თეზისის და ანტითეზისის, სიმპათიური და ან-არქიული ტიპების ურთიერთქმედებას აგვირგვინებს შემოქმედის უზენაესი ტიპის სინთეზი, როდესაც დემონთან ბრძოლა ტრიუმფით მთავრდება, ხოლო დაძაბულობას წონასწორობა ენაცვლება. რუსუს ამ ტიპის მაგალითად გოეთე მოჰყავს. თუმცა ეს თვისება არ უნდა დავუკარგოთ სხვა დიდ მწერლებსაც — დანტეს, შექს-პირს, ბალზაკს, დიკენსს, ტოლსტოისა და დოსტოევსკის.

„შემოქმედებითი პროცესში“ უნდა იგულისხმებოდეს ლიტერატურული წარმოების შექმნის მთელი პროცესი, დაწყებული არაცნობიერი იმპულსებით და დამთავრებული უკანასკნელი შესწორებებით, რომლებიც ზოგი მწერლისთვის მუშაობის ყველაზე შემოქმედებითი წანილია.

აუცილებელია, გავავლოთ გამყოფი ხაზი პოეტის მენტალურ წყობასა და ლექსის აგებულებას შორის, შთაბეჭდილებასა და გამოხატვას შორის. კროჩემ (Croce) ვერ მოიპოვა ვერც მწერალთა და ვერც კრიტიკოსთა მხარდაჭერა, როდესაც ორივე მათგანი ესთეტიკურ ინტუიციამდე დაიყვანა; კ. ს. ლუისი (Clive Staples Lewis) კი, პირიქით, დამაჯერებლად ამტკიცებს თითქმის სრულიად საპირისპიროს. მაგრამ „განცდილის“, „გადატანილის“ (Erlebnis) და „მოგონილის“ (Dichtung) შეპირისპირების წებისმიერი მცდელობა (დილთაის (Dilthey) მოდელის მსგავსად), დამაკმაყოფილებელ შედეგს არ იძლევა. მხატვარი ხედავს ისე, როგორც ეს მხატვარს შეეფერება; ნახატი მისი ხედვის თვალსაჩინო შედეგია.

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

პოეტი ქმნის ლექსებს, რომელთა შინაარსიც მის მიერ აღქმული გააზრებული ცხოვრებაა. ნებისმიერ ხელოვანს ყველანაირი შთაბეჭდილების ფორმას საკუთარი ხელოვნება კარნახობს; ის მისთვის უცხო, გაურკვეველი განცდების მადევარი არ არის.¹⁰

„შთაგონება“ — ტრადიციულად ასე ვუწოდებთ შემოქმედებითი პროცესის არაცნობიერ სტიმულს. ანტიკური დროიდანვე ის დაკავშირებულია მუზებთან, ზევსისა და მებსიერების ქალღმერთს ქალიშვილებთან — მუზებთან, ხოლო ქრისტიანულ სამყაროში — სულინმიდასთან. როგორც სახელი გვიჩვენებს, შთაგონებული მდგომარეობა შამანის, წინასწარმეტყველისა თუ პოეტისა განსხვავდება მისი ჩვეულებრივი მდგომარეობისგან. პრიმიტიულ საზოგადოებაში შამანი შეეძლო საკუთარი სურვილით თავი ტრანსში ჩაეგდო ან კიდევ პირიქით, თავისდა უნებურად ქცეულიყო „შეპყრობილად“ რომელიმე მეტყვიდრეობით გადმოსული თუ ტოტემური სპირიტული ძალის მიერ. თანამედროვე ეპოქაში, შთაგონების მთავარი ნიშნებია უცაბედობა, მოულოდნელობა (როგორც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა) და ავტორის სახის მიჩქმალვა: იგრძნობა, რომ ნანარმოები დაწერილია შთაგონებით და სულ ერთია ვის მიერ.¹¹

შეიძლება თუ არა, რომ შთაგონება ხელოვნურად გამოვიწოთ, მოვიხმოთ? ვერ უარვყოფთ, რომ შთაგონების „მოხმობაში“ დიდი მნიშვნელობა აქვს მნერალთა წერის ჩვევებს, ასევე — სტიმულატორებს და რიტუალებს. ალკოჰოლი, ოპიუმი და სხვა საშუალებები ადუნებენ გონების ცნობიერ ნაწილს, ამ მეტად კრიტიკულ ცენზორს და სწორედ მაშინ ინყებს არაცნობიერი თავისუფლად მოქმედებას. კოლრიჯმა და დე ქუინსიმ (De Quincey) კიდევ უფრო შთამბეჭდავი და პრეტენზიული განაცხადი გააკეთეს — თითქოს, ოპიუმის წყალობით, ლიტერატურული შემოქმედებისთვის შთაბეჭდილებებისა და განცდების მთელი ახალი სამყარო იშლება. მაგრამ თანამედროვე სამედიცინო გამოკვლევები გვარწმუნებს, რომ უჩვეულო, არაორდინარული ფრაგმენტები ასეთ პოეტთა შემოქმედებაში გამოწვეულია მათი ნევროზით დატანჯული სულიერი მდგომარეობით და არა ამა თუ იმ ნამლის მოქმედების შედეგად. ელიზაბეთ შნაიდერი დე ქუინსის შესახებ წერდა, რომ „მისი ოპიუმის ზმანებანი“, რამაც ძალზე დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ მწერლობაზე, სინამდვილეში ცოტათი თუ განსხვავდება

ლიტერატურის თეორია

1803 წლის მისივე დღიურის ჩანაწერებისგან, სანამ ის ოპიუმის მიღებას დაიწყებდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წერის სტილი უფრო ჩახლართული, დვლარჭნილი ხდება...“¹²

ძველთაგანვე გარკვეული მეთოდები არსებობდა შთაგონების მისაღწევად. პრიმიტიულ საზოგადოებაში წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდობულ პოეტებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა მიეყვანათ თავი ტრანსის მდგომარეობამდე. აღმოსავლეთის სულიერი დისციპლინის კანონების მიხედვით, რელიგიურ პოეტებს ურჩევენ, რომ ლოცვისათვის ერთი და იგივე დრო და ადგილი გამონახონ, და ასევე შეარჩიონ სპეციალური „შეძახილები“ თუ მანტრა (სანსკრ. სიტყვები ან მარცვლები, რომელთაც იყენებენ კონცენტრაციისათვის რელიგიური რიტუალის შესრულებისას). უფრო გვიანდელი ხანის მწერლები კი სწავლობენ ან ჰერონიათ, რომ სწავლობენ რიტუალებს შემოქმედებითი განწყობის მისაღწევად. მაგ., შილერი დამპალ ვაშლებს აწყობდა თავის სამუშაო მაგიდაზე, ბალზაკი კი ბერის მოსასხამში გახვეული წერდა. ეტყობა, ბევრი მწერალი „ჰორიზონტალურ მდგომარეობაში“ უფრო კარგად აზროვნებს და საწოლშიც კი წერს, მათ შორის ერთმანეთისაგან ისეთი განსხვავებულნიც კი, როგორებიც არიან პრუსტი და მარკ ტვენი. ზოგ მწერალს სიჩუმე და განმარტოება სჭირდება; ზოგსაც ოჯახურ გარემოში ან კაფეში ნაცნობებს შორის ურჩევნია წერა. არის უცნაური შემთხვევებიც: ზოგი მწერალი დღისით იძინებს და ლამით მუშაობს. ალბათ ეს ერთგულება ღამისადმი — როცა დგება ჟამი ფიქრისა, ოცნებისა და ქვეცნობიერისა — რომანტიკოსი პოეტების მიერ დანატოვარი მთავარი ტრადიცია; თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობდა კიდევ ერთი საპირისპირო რომანტიკული ტრადიცია — უორდსუორთისეული, რომელიც შეჰქარის და თაყვანს სცემს ადრეულ დილას, ბავშვობის სიმბოლოს. ზოგი ავტორი გვარნმუნებს, რომ წერა მხოლოდ წელიწადის გარკვეულ დროს შეუძლია. მაგ., მილტონი ამტკიცებდა, რომ მისი პოეტური ძარღვი მხოლოდ ზამთრის ბუნიობიდან ზაფხულის ბუნიობამდე ჩქეფდა სიხარულით. დროი ჯონსონი ყველა ასეთ თეორიას ამრეზით უყურებდა და სჯეროდა, რომ ადამიანს ნებისმიერ დროს შეეძლო წერა, თუ საკუთარ თავს ამას ჯიუტად მოსთხოვდა. თავად მას, როგორც აღიარებდა, მატერიალური გაჭირვება აიძულებდა წერას. თუმცა, შეიძლება

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

ვივარაუდოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ახირებულ რიტუალებს აქვს რაღაც საერთო, რაც — თუ ჩვევაში გადაიზარდა და ასო-ციაციურმა კავშირმაც იმოქმედა — ხელის შემწყობი აღმოჩნდება ხელოვანთა უწყვეტი შემოქმედებითი ნაყოფიერებისათვის.¹³

ახლა ვიკითხოთ: აქვს თუ არა ნააზრევის ფურცელზე გა-დატანის მანერას რაიმე ოვალსაჩინო გავლენა მნერლის ლიტე-რატურულ სტილზე? აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, პირველი (შავი) პირი კალმით ინერება თუ პირდაპირ საბეჭდ მანქანაზე იძეჭდება? ჰემინგუეის აზრით, მნერალს საბეჭდ მანქანის ბეჭდ-ვისას „ქალალზე გადააქვს უკვე საბოლოოდ გამზადებული ფრა-ზა“. აქედან გამომდინარე, ტექსტის გადაკეთება რთულდება, არადა, ეს წერის პროცესის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. სხ-ვები ვარაუდობენ, რომ საბეჭდი მანქანის წყალობით, მნერალთა სტილი ძალზე სიტყვამრავალი, ან თუ გნებავთ, უურნალისტურიც კი გახდა. ამ საკითხის თაობაზე არანაირი ემპირიული გამოკვ-ლევა არ ჩატარებულა. რაც შეეხება კარნახით წერას, მრავალ მნერალს გამოუყენებია ეს მეთოდი. უკვე გონიერაში შეთხზული „დაკარგული სამოთხე“ მილტონმა თავის მდივანს უკარნახა ჩა-სანერად. თუმცა, გაცილებით საინტერესოა სკოტის, გოეთეს და ჰენრი ჯეიმსის (James) გვიანდელი შემოქმედება. ნაწარმოების სტრუქტურა წინასწარ განისაზღვრებოდა, ხოლო სიტყვიერი მასალა კარნახისას შეირჩეოდა ხოლმე. ჯეიმსის შემთხვევაში, მაინც შესაძლებელი ჩანს, რომ მიზეზობრივი კავშირი ვიპოვოთ კარნახსა და მის ე.წ. „გვიანდელ მანერას“ (“later manner”) მორის, რომელიც, თავისი საკმაოდ რთული მჭევრმეტყველებით, ზეპირი, სასაუბრო ენის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს.¹⁴

ლიტერატურის თეორიაში არც ისე ბევრი ზოგადი დასკვ-ნა მოგვეპოვება შემოქმედებითი პროცესის შესახებ. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ავტორის გამონათქვამები, მაგრამ ეს შედარებით გვიანდელი ავტორებია, რომლებიც ბევრ დროს უთ-მობდნენ თავიანთ ხელოვნებაზე ფიქრსა და ანალიზს (ვგულისხ-მობთ გოეთეს და შილერს, ფლობერს (Flaubert), ჯეიმსს, ელიოტსა და ვალერის (Valéry). გარდა ამისა, არსებობს ფსიქოლოგთა ძალზე ზოგადი დასკვნები ორიგინალობის, გამომგონებლობის, ნარმო-სახვის შესახებ, მეცნიერული, ფილოსოფიური და ესთეტიკური შემოქმედების „გაერთმნიშვნელიანების“ მცდელები.

ლიტერატურის თეორია

შემოქმედებითი პროცესის ნებისმიერი თანამედროვე გამოკვლევა მთავარ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა წელი შეაქვს ამ პროცესში არაცნობიერსა და ცნობიერს. ადვილია ლიტერატურული პერიოდების ურთიერდაპირისპირებაც: რომანტიკული და ექსპრესიონისტული პერიოდების — (რომლებიც განადიდებენ არაცნობიერს) გამიჯვნა კლასიკური და რეალისტური პერიოდებისაგან (როდესაც მთავარი აქცენტი კეთდება გონივრულ მოქმედებაზე, საქმის გულდასმით გადასინჯვაზე, ურთიერთგაგების დამყარებაზე). ამ დაპირისპირების გამწვავებაც ძალიან ადვილად შეიძლება: კლასიციზმისა და რომანტიზმის თეორიები უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვიდრე მათი საუკეთესო წარმომადგენლების ქმნილებები.

ავტორები, რომელნიც დიდ დროს უთმობენ თავიანთი ხელოვნების განსჯას, ბუნებრივია, უფრო დიდი მონდომებით განიხილავენ ნერის პროცესის გაცნობიერებულ და ტექნიკურ მომენტებს, ვიდრე „გარედან“ თავსმოხვეულ, შეძენილ გამოცდილებას, რაც მათთვის მასალას, სარკესა თუ პრიზმას წარმოადგენს. ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ მსჯელობს ხელოვანი (რომელსაც სინამდვილეში საკუთარი ლიტერატურული მოწოდებისა სწამს) საკუთარი შემოქმედების უპირვენობის შესახებ; თითქოსდა, რედაქტორის დავალებამ ან ნაყოფიერმა ესთეტიკურმა პრობლემამ განაპირობა ნაწარმოების თემის შერჩევა. ამ საკითხზე დაწერილი ყველაზე ცნობილი ნაწრომი — პოს „კომპოზიციის ფილოსოფია“ (“Philosophy of Composition”) — ცდილობს განმარტოს, რომელი მეთოდოლოგიური სტრატეგიის შედეგად ან რომელი პირველადი ესთეტიკური აქსიომიდან გამომდინარე დაიწერა მისი „ყორანი“. როდესაც მისი „საშინელებათა ნოველები“ არაორიგინალურ ნაწარმოებებად გამოაცხადეს, შეურაცხოფილმა პომ უპასუხა, რომ ამ საშინელებების წყარო გერმანული თქმულებები კი არა, ადამიანის სული იყო; თუმცა, იმის აღიარება, რომ საშინელებები მისსავე სულში ბუდობდა, მან ვერ შეძლო. პო აცხადებდა, ლიტერატურული ინჟინერი ვარ, რომელიც სხვათა სულების მანიპულირებაში არის დაოსტატებულიო. პოსთან შემზარავი სრულყოფილებით არის მოცემული უფსკრული არაცნობიერსა და ცნობიერებას შორის. არაცნობიერიდან მოდის ბოდვის, წამებისა და სიკვდილის მოტივები, ხოლო ცნო-

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

ბიერება მხატვრულად ავითარებს და გადმოგვცემს ამ თემებს.¹⁵

ჩვენს მიზანს რომ წარმოადგენდეს ტესტების შედგენა ლიტერატურული ტალანტის გამოსავლენად, ისინი ორი სახისა იქნებოდა: 1. თანამედროვე პოეტებისთვის — სიტყვები და მათი კომბინაციები, ხატი და მეტაფორა, სემანტიკური და ფონეტიკური კავშირები (ე.ი. რითმა, ასონანსი, ალიტერაცია); 2. მწერლებისთვის (რომანისტებისა და დრამატურგებისთვის) ძირითადი ამოცანა იქნებოდა პერსონაჟების სახეთა შექმნა და სიუჟეტის აგება.

ლიტერატორის სპეციალობას წარმოადგენს ასოციაციური („საზრიანობა“) და დისოციაციური („განსჯა“) აზროვნება, ასევე — რეკომბინაცია (ახალი მთლიანობის შექმნა იმ ელემენტებისგან, რომლებიც გამოცდილებაში ცალ-ცალკეა მოცემული). სიტყვები მწერლისთვის გამოხატვის საშუალებაა. იგი შეიძლება ბავშვობიდანვე აგროვებდეს სიტყვებს ისე, როგორც მისი თანატოლები — თოჯინებს, მარკებს ან პატარა შინაურ ცხოველებს. პოეტისათვის სიტყვა, უპირველესად, „ნიშანი“ კი არ არის, არამედ — „სიმბოლო“, რომელიც თავისთავადაც ლირებულია, გარდა იმისა, რომ შეუძლია რაიმე ცნება წარმოადგინოს. სიტყვა შეიძლება იყოს „ობიექტი“ ან „საგანი“, რომელიც უღერადობის ანდა გარეგნული ნიშნის მიხედვითაა შემოქმედისთვის ძვირფასი. ზოგი მწერალი სიტყვებს იყენებს როგორც ნიშნებს (სკოტი), კუპერი (Cooper), დრაიზერი (Dreiser); ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება სხვა ენაზე იოლად ითარგმნონ, ან დაგვამახსოვრდნენ, როგორც მითური სტრუქტურები. პოეტები კი სიტყვებს უმეტესად „სიმბოლურად“ იყენებენ.¹⁶

ტრადიციული გამოთქმა „იდეათა ასოციაცია“ სიზუსტით არ გამოიჩინა. სიტყვათა ასოციაციური კავშირი (რაც ზოგიერთ პოეტთან შეინიშნება) გულისხმობს იმ საგანთა ასოციაციას, რომლებსაც ჩვენი გონების „იდეები“ მიემართება. ამგვარი ასოციაციების მთავარი კატეგორიებია დროისა და სივრცის უწყვეტობა და, ასევე, მსგავსებები ან განსხვავებები. რომანისტი ალბათ პირველი რიგის კატეგორიებით აზროვნებს, პოეტი კი — მეორე რიგის კატეგორიებით (მსგავსებისა და განსხვავების კატეგორიები შეიძლება მეტაფორას გავუთანაბროთ). ისიც არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ კონტრასტი ძალიან არ უნდა გავალრმავოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თანამედროვე ლიტერატურას ეხება.

ლიტერატურის თეორია

ჯონ ლ. ლოუისი თავის ნაშრომში „გზა ქსანადუსაკენ“. ბრწყინვალე დეტექტივისათვის შესაფერისი გამჭრიახობით აღადგენს იმ ასოციაციათა ჯაჭვს, რომელთაც უაღრესად ნაკითხი, ფართო განათლების მქონე კოლერიჯი ერთი ლიტერატურული ალუზიდან მეორისაკენ მიჰყავდა. რაც შეეხება თეორიას, აქ ავტორი მალე კმაყოფილდება: თითო-ოროლა წმინდა წყლის სტილისტური ტერმინით აღწერს შემოქმედებით პროცესს; გვესაუბრება „ურთიერთშეტიდებული ატომების“, ანუ (ჯეიმსის ფრაზას რომ დავესესხოთ) იმ ხატებისა და იდეების შესახებ, რომლებიც დროებით იძირებიან „არაცნობიერი აზროვნების ღრმა ჭაში“, რათა იქიდან, მკვლევართა საყვარელი გამოთქმისა არ იყოს, „ცვლილებების ზღვაში ამოვლებულნი“ ისევ ამოვლიდნენ ზედაპირზე. როდესაც კოლრიჯის იგავმიუნვდომელ ნაკითხობას კვლავ ვუბრუნდებით, შედეგად ზოგჯერ „ხეზე ინკრუსტაციას“ ან „მოზაიკას“ ვიღებთ, ზოგჯერ კი — „სასწაულს“. ლოუისი ფორმალურად მაინც აღიარებს, რომ „შემოქმედებითი ენერგია თავისი სიძლიერის ზენიტში ცნობიერიც არის და არაცნობიერიც... იგი ცნობიერ დონეზე აკონტროლებს მოზღვავებული ხატების ნაკადს, რომელთაც წყალსაცავში (არაცნობიერის „ჭაში“) არაცნობიერი მეტამორფოზა განიცადეს.“

მაგრამ ავტორი არ უთმობს საქმარის ყურადღებას იმის განსაზღვრას, თუ რა არის შემოქმედებითი პროცესის რეალური მიზნობრიობა და კონსტრუქციულობა.¹⁷

როცა საქმე გვაქვს პროზაიკოსთან, უპირველესად გვაინტერესებს, როგორ გამოიძრნა მან პერსონაჟები და რა ისტორიები „გამოიგონა“. რომანტიკული პერიოდიდან მოყოლებული, ეს ორივე ასპექტი მეტისმეტად მარტივად იყო გაგებული: ეს უნდა ყოფილიყო ან „ორიგინალური“ ნააზრევი, ან რეალური ადამიანების ასახვა (ეს შეეძლება უფრო ადრინდელ ლიტერატურაზეც ვრცელდება), ან კიდევ — პლაგიატი. და მაინც, დიკენსის მსგავს უაღრესად „ორიგინალურ“ ავტორთანაც კი ვნახავთ, რომ პერსონაჟთა ტიპები და თხრობის ტექნიკა ძირითადად ტრადიციულია და მომდინარეობს პროფესიული, აღიარებული ლიტერატურული მასალიდან.¹⁸

პერსონაჟთა შექმნის პროცესში ავტორი მეტ-ნაკლები დოზებით ასახავს ტრადიციულ ლიტერატურულ ტიპებსაც, რეალურ პიროვნებებსაც და საკუთარ თავსაც. თუ რეალისტ მწერალზე

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

ვიტყვით, რომ იგი ძირითადად ადამიანთა ქცევას აკვირდება ან „მათ ადგილას წარმოიდგენს თავს, რათა გაუგოს და თანაუგრძნოს მათ“, რომანტიკოსი მწერალი ყველაფერს საკუთარ თავში „გამოატარებს“. მაინც, ძნელი სათქმელია, რომ უბრალო დაკვირვების შედეგად შეიძლება დამაჯერებელი, ცხოვრებისეული სახე შეიქმნას. ერთი ფსიქოლოგის თქმით, გოეთეს პერსონაჟები: ფაუსტი, მეფისტოფელი, ვერთერი და ვილჰელმ მაისტერი „ავტორის ბუნების სხვადასხვა ასპექტების პროეცირებას, გადატანას ახდენენ ნაწარმოებებში“. რომანისტის საკუთარი ბუნების პოტენციური მრავალსახეობიდან — აქ იგულისხმება ყველაზე უარყოფითი თვისებებიც — იძადებიან მის მომავალი პერსონაჟები. „ერთი ადამიანის განწყობა მეორის ხასიათია“. დოსტოევსკის სულიერი თვისებები აისახა ოთხივე ძმის („ძმებ კარამაზოვებში“) ხასიათში. არც ის იქნება სწორი, თუ ვივარაუდებთ, რომ მამაკაცი რომანისტი რაიმეთი შეზღუდულია ქალი პერსონაჟების შექმნისას. „ქალბატონი ბოვარი მე ვარ“, აცხადებს ფლობერი. ავტორის მხოლოდ ის თვისებები „გაცოცხლდება“ მის გმირებში, რომლებიც პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი არიან.¹⁹

რა სახის ურთიერთობა არსებობს ამ „გაცოცხლებულ“ პერსონაჟებსა და მწერლის ნამდვილ ბუნებას შორის? რაც უფრო მრავალრიცხოვანი და ერთმანეთისაგან გამორჩეულია პერსონაჟები, თითქოს უფრო ნაკლებად განსაზღვრული უნდა იყოს თავად ავტორის „პიროვნება“. შექსპირის პიროვნება უჩინარდება მის პიესებში. ვერც მათი და ვერც ანეკდოტების საშუალებით ვერ წარმოვიდებთ პოეტის ისე მკვეთრად დახატულ, დამახასიათებელ სურათს, როგორიც შექმნა ბენ ჯონსონმა. როდესაც პოეტის ხასიათზე მსჯელობდა, კიტსმა ერთხელ დაწერა, პოეტს საკუთარი ბუნება არ გააჩნია: „მას აქვს ყველაფერი და არაფერი... იაგოს სახის შექმნაშიც იმდენივე სიამოვნება მიიღო, რამდენიც იმოჯენისა (შექსპირის პიესის „cymbeline“ (Cymbeline) პერსონაჟი)... პოეტი ყველაზე არაპოეტური არსებაა იმათგან, ვინც ოდესმე არსებულა, რადგან მას საკუთარი „მე“ არ გააჩნია — ის, სხვათა სხეულებში მოკალათებული, მარადჟამ სხვებზე მოგვითხრობს“.²⁰

ჩვენ მიერ განხილული ყველა თეორია მწერლის ფსიქოლოგიას განეკუთვნება. ფსიქოლოგებს შეუძლიათ თავიანთი მუდ-

ლიტერატურის თეორია

მივად მაძიებელი ცნობისმოყვარეობა ავტორის შემოქმედებითი პროცესის შესწავლით დაიკამაყოფილონ. ამ უფლებას მათ ვერავინ წაართმევს. მათ შეუძლიათ მოახდინონ პიეტების კლასიფიკაცია ფსიქოლოგიური ტიპების მიხედვით; შეუძლიათ აღწერონ მათი სულიერი აშლილობანი და მათი ქვეცნობიერი გონიერაც კი გამოიკვლიონ. ფსიქოლოგისთვის საკვლევ მასალას შეიძლება არალიტერატურული, არამხატვრული წყაროები წარმოადგენდეს ანდა შეიძლება მან თვით ნანარმოებებით ისარგებლოს. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია მათი ობიექტური ინტერპრტაცია დოკუმენტურ მასალასთან შეჯერების გზით.

სხვა საკითხია, შეიძლება თუ არა ფსიქოლოგის გამოყენება მხატვრული ნანარმოებების გასაანალიზებლად და შესაფასებლად? ეჭვსგარეშეა, რომ ფსიქოლოგიას შეუძლია ნათელი მოპფინოს შემოქმედებით პროცესს. როგორც უკვე ვნახეთ, ყურადღება იქნა გამახვილებული კომპოზიციის სხვადასხვა მეთოდზე, იმაზე, თუ რა შემოქმედებითი ჩვევები ახასიათებთ მწერლებს, როგორ ამჟავებენ და საბოლოო სახეს აძლევენ თავიანთი ნაწერებს. შევხეთ ნანარმოებების შექმნის ეტაპებსაც, კერძოდ, განვიხილეთ პირველი სტადია, პირველი მონახაზები, დაწუნებული მასალა. და მაინც, იმის თქმა, რომ ამ ინფორმაციის დიდ ნანილს — განსაკუთრებით, მრავალ ანეკდოტს მწერალთა ჩვევების შესახებ — მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული კრიტიკისათვის, ნამდვილად გადაჭარბებული იქნება. ლიტერატურისათვის შეიძლება უფრო სასარგებლო გამოდგეს ნანარმოებების შესწორებული, გადამუშავებული ვარიანტების ყურადღებით შესწავლა, რადგან მათი დახმარებით შევამჩნევთ ლიტერატურული კრიტიკისათვის გამოსადგევ რამე ზადს, შეუსაბამობებს, სხვა მიმართულებით შებრუნებას და ზოგადად, სიუჯეტის დამახინჯებას მხატვრულ ნანარმოებებში. პრუსტის რომანების ციკლის კომპოზიციის ანალიზისას, ფონერა ნათელს ჰყენს ბოლო რომანებს და ჩვენც საშუალება გვეძლევა ტექსტში რამდენიმე შრე განვასხვავოთ. ნანარმოების რამდენიმე ვარიანტის შესწავლით, შესაძლებლობა გვაქვს, მწერლის სახელოსნოში შევიხდოთ.²¹

და მაინც, თუ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით შევისწავლით ნანარმოებთა ძველ თუ ახალ ვარიანტებს, უარყოფილ ვერსიებსა

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

თუ ფრაგმენტებს, იმ დასკვნამდე მივაღთ, რომ საბოლოო ან-გარიშით, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვთ დასრულებული ნაწარმოების გასაგებად და მის შესაფასებლად თუ გასაანალიზებლად. ისინი შეიძლება მხოლოდ შესაძლო ალტერნატიულ ვერსიებად განვიხილოთ; ანუ მათ შეიძლება საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების პროცესი დაგვანახვონ. თუმცა იმავე მიზანს შეიძლება ჩვენი ნაწარმოსახვითაც მივაღწიოთ, ნაწარმოვიდგინოთ შესაძლო ვარიანტები, რაც შეიძლება თავად ავტორსაც მოსვლოდა გონებაში. კიტსის ლექსის — ფიქრობდა, მაგ. შემდეგს: „უმორნყალო“, ან „გემებისგან დაცარიელებული“. მაგრამ შემთხვევით შემორჩენილი ეს ორი ვარიანტი არსებითად არ განსხვავდება იმ ზედსართავებისგან, როგორიც არის, ვთქვათ: „საშიში, უკაცრიელი, უდაბური, სასტიკი“ და კიდევ მრავალი სხვა, რაც შეიძლება კრიტიკოსმა თავად მოიფიქროს. ეს სიტყვები ნაწარმოებში არ შევიდნენ, სამუდამოდ მის გარეთ დარჩნენ (პოეტი ხმარობს ზედსართავს „ფათერაკებიანი“, „Perilous seas“). მაგრამ ასეთი მსჯელობა არ გამოგვადგება ამა თუ იმ ნაწარმოების შესაფასებლად.²²

თავად „ფსიქოლოგიის“ თემა კვლავ აქტუალურია ნაწარმოებისთვის. პიესები იქნება, თუ რომანები, მათი პერსონაჟები იმით არიან საინტერესო, ფსიქოლოგიურად რამდენად დამაჯერებლად გამოიყურებიან. ამ კუთხით ხდება სიუჟეტისა და შინაარსის შეფასებაც. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ რომელიმე ფსიქოლოგიური თეორია, რომელსაც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მიჰყვება ავტორი, თითქოსდა ერგება პერსონაჟსა თუ სიტუაციას. ლილი კემპბელი (Lily Campbell) ჰამლეტს მიიჩნევდა „მელანქოლიით შეპყრობილი სანგვინიკი ადამიანის“ ტიპად, რომელიც იმ დროის ფსიქოლოგიური თეორიებიდან გამომდინარე, კარგად იყო ცნობილი ელისაბედის ხანის მაყურებლისთვის. ასევე, ოსკარ კემპბელი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ უკაი პიესიდან „როგორც გენებოთ“ (As You Like It) „არაბუნებრივი მელანქოლიით იტანჯება, რაც ფლეგმის მოზღვავებას გამოუწვევია“. იმისი დამტკიცებაც შეიძლება, რომ უოლტერ შენდი (ლორენს

ლიტერატურის თეორია

სტერნის რომანის „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ (The Life and Opinions of Tristram Shandy, Gentleman) პერსონაჟი, მთარგმნელის შენიშვნა) დაავადებულია ლოკის მიერ აღწერილი ლინგვისტური ასოციაციურობით. სტენდალის პერსონაჟს უულიენ სორელს დესტიუ დე ტრასის (Destutt de Tracy) ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით ხსნიან. ისიც აშკარაა, რომ რომანში აღწერილი განსხვავებული სასიყვარულო ურთიერთობები თავად სტენდალისავე წიგნის — „სიყვარულის შესახებ“ (De l'amour) ქარგაზეა გამოყრილი. როდიონ რასკოლნიკოვის მოტივაცია და განცდები ისეა გაანალიზებული, რომ კარგად ჩანს ავტორის განსხვავლულობა კლინიკურ ფსიქოლოგიაში. პრუსტს, უეჭველია, შემუშავებული აქვს მთელი ფსიქოლოგიური თეორია მეხსიერების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ნანარმოების ორგანიზაციისთვისაც კი. ფრონდისეულ ფსიქოანალიზს სრულიად შეგნებულად მიმართავენ რომანისტები, მაგალითად, კონრად აიკენი თუ უოლდო ფრენკი.²³

შეიძლება ვიკითხოთ: წარმატებით ახერხებს თუ არა რომანისტი ფსიქოლოგის გამოყენებას საკუთარი გმირებისა და მათი ურთიერთობების ასაღწერად? ფსიქოლოგიური თეორიების შესახებ უბრალო განაცხადები აქ არ ჩაითვლება. ისინი შეასრულებენ მხოლოდ „მასალის“ როლს, როგორც ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც ლიტერატურაში ვხვდებით, იქნება ეს ფაქტები ისტორიის, ასტრონომიისა თუ ნავიგაციის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, ნანარმოების თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიების დამოწმება შეიძლება საეჭვოც იყოს და სასურველია, ისინი მინიმუმამდე შემცირდეს. არ არის გამართლებული ჰამლეტის ან უაკის მორგება ელისაბედის დროინდელი რომელიმე ფსიქოლოგიური ჩარჩოსთვის, რადგან მაშინდელი მოძღვრებანი წინააღმდეგობრივი, დამაბნეველი და გაურკვეველი იყო. ხოლო ორივე პერსონაჟი იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ფსიქოლოგიური ტიპები. მართალია რასკოლნიკოვი და სორელი გარკვეულ ფსიქოლოგიურ თეორიებს ერგებიან კიდეც, მაგრამ ამას ძალიან არასრულყოფილი და წყვეტილი ხასიათი აქვს. სორელის საქციელი ზოგჯერ მეტად მელოდრამატულია. რასკოლნიკოვის თავდაპირველ დანაშაულს საკმარისი მოტივაცია აკლია. არ

ლიტერატურა და ფსიქოლოგია

უნდა დაგვაცინყდეს, რომ ეს წიგნები ფსიქოლოგიური დაკვირვებები ან თეორიების ექსპოზიცია კი არ არის, არამედ — დრამატული ან მელოდრამატული ნაწარმოებები, სადაც ეფექტური სიუჟეტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალისტური ფსიქოლოგიური მოტივაცია. თუ შევისწავლით „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას, მალევე აღმოვაჩენთ, რომ მათში გადმოცემული არაა სუბიექტის გონებაში მიმდინარე „რეალური“ პროცესები, ცნობიერების ნაკადი კი უფრო დრამატულ ხერხია, რომლის საშუალებით მეოთხეველი ხვდება, კონკრეტულად რას ნარმოადგენს ბენჯი, გონებასუსტი პერსონაჟი ფოლკსტერის რომანიდან „ხმაური და მძვინვარება“ (The Sound and the Fury) ან ჭ-ჭ-ჭუჭუ (ჯეიმს ჯონსის რომანის „ულისე“ (Ulysses) პერსონაჟი; მთარგმნელის შენიშვნა). თუმცა, ამ ხერხს ვერ ვუწოდებთ „მეცნიერულს“ ან თუნდაც „რეალისტურს“.²⁴

დავუშვათ, მწერალი ნარმატებით ძერნავს „ფსიქოლოგიურად დამაჯერებელ“ პერსონაჟებს. ამ შემთხვევაშიც კი საეჭვოა, აქვს თუ არა ამ „დამაჯერებლობას“ მხატვრული ღირებულება. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნების მრავალი ნიმუში ვერასდროს ვერ თავსდება ფსიქოლოგიის თანამედროვე თუ გვიანდელ სტანდარტებში. მათვის დამახსასათებელია დაუჯერებელი სიტუაციებისა და ფანტასტიკური მოტივების განვითარება. ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის მოთხოვნა (ისევე, როგორც სოციალური რეალიზმის მოთხოვნა) ნატურალისტური სტანდარტია, რომელიც საყოველთაოდ მისაღები ვერ იქნება. რასაკვირველია, ზოგ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ინტუიცია აძლიერებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას. ამ დროს იგი განამტკიცებს ნაწარმოების ისეთ მნიშვნელოვან მხატვრულ თვისებებს, როგორიცაა სირთულე და თანამიმდევრულობა. მაგრამ ასეთ ღრმა წვდომას შეიძლება ფსიქოლოგიის თეორიული ცოდნის გარეშეც მივაღწიოთ. ფსიქოლოგია, როგორც ცნობიერი და სისტემური მეცნიერება გონებისა და მისი მუშაობის შესახებ, ხელოვნებისათვის აუცილებელი არ არის და თავისთავად მხატვრული ღირებულებაც არ გააჩნია.²⁵

ზოგიერთ ხელოვანს, რომელიც გააზრებულ (და არა ქვეცნობიერ) შემოქმედებას ეწევა, ფსიქოლოგიამ შეიძლება რეალობის

ლიტერატურის თეორია

შეგრძნება უფრო გაუმძაფროს, დაკვირვების უნარი გაუმახვილოს და შემოქმედებითი ძალების გამოუენების ახალი სფეროები აღ-მოაჩენინოს. თუმცა, ფსიქოლოგია, თავისთავად, მხოლოდ მოსამზა-დებელი ეტაპია შემოქმედებით პროცესში. რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებში მის როლს, ფსიქოლოგიური სიმართლე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მხატვრულ ღირებულებად, თუ ის აძლიერებს თანამიმ-დევრულობასა და სირთულეს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ის თავადაც ხელოვნებას წარმოადგენს.

თავი მეცხრე

ლიტერატურა და საზოგადოება

*

ლიტერატურა სოციალური მოვლენაა, რომელშიც გამოსახვის საშუალებაა ენა — ასევე სოციალური ფენომენი. თავიანთი ბუნებით სოციალურია აგრეთვე ისეთი ტრადიციული ლიტერატურული აღნიშვნები, როგორიცაა სიმბოლიკა და ლექსის საზომი. ისინი ისეთ პირობითობასა და ნორმებს განეკუთვნებიან, რომლებიც მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლებოდა წარმოშობილიყო. უფრო მეტიც, ლიტერატურა „ასახავს, წარმოგვიდგენს“ „ცხოვრებას“; „ცხოვრება“ კი ფართო მასშტაბით აღებული სოციალურ რეალობაა, მიუხედავად იმისა, რომ ბუნება და ადამიანის შინაგანი ანუ სუბიექტური სამყაროც ლიტერატურული „იმიტაციის“ ობიექტებია. პოეტი თავადაც საზოგადოების ნევრია და კონკრეტული სოციალური სტატუსი აქვს: საზოგადოებისგან აღიარებასა და ჯილდოს იღებს; მისი შემოქმედება, თუნდაც წარმოსახვითი, მაინც საზოგადოებისთვისაა გამიზნული. ლიტერატურა ხომ ყოველთვის ახლო კავშირშია გარეულ სოციალურ ფენებთან; პრიმიტიულ საზოგადოებაში კი შეიძლება ვერც გავმიჯნოთ პოეზია რიტუალისგან, მაგისტრული შრომისაგან თუ თამაშისგან. ლიტერატურას სოციალური ფუნქციაც აკისრია, ანუ „სარგებლობა“ მოაქვს, რომელიც მთლიანად ინდივიდუალური ვერ იქნება. ასე რომ, შეკითხვების დიდი უმრავლესობა, რომელსაც სვამს ლიტერატურათმცოდნეობა, საბოლოო ანგარიშით თუ სანახევროდ, მაინც სოციალური ხასიათისაა. ისინი ეხება ტრადიციასა და პირობითობას, ნორმებსა და ჟანრებს, სიმბოლოებსა და მითებს. შეიძლება დავეთანხმოთ ტომარსს, რომლის აზრით, ესთეტიკური მოვლენები არ არის დაფუძნებული სოციალურ მოვლენებზე, მათი შემადგენელი ნაწილიც კი არ არის: ისინი სოციალური მოვლენების ერთ სახეობას წარმოადგენს და სხვა დანარჩენთანაც ძალინ ახლო, ძირეული კავშირი აქვთ.¹

ჩვეულებრივ, საკითხს „ლიტერატურა და საზოგადოება“ უფრო მცირე მასშტაბით და გარედან შეისწავლიან. ძირითადად

ლიტერატურის თეორია

აინტერესებთ, თუ რა სახის კავშირია ლიტერატურასა და მოცემულ სოციალურ სიტუაციას — ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებს — შორის. ასევე ცდილობენ აღწერონ და განსაზღვრონ საზოგადოების გავლენა ლიტერატურაზე და ასევე აღწერონ და განიხილონ ლიტერატურის სტატუსი საზოგადოებაში. ლიტერატურისადმი ამგვარ სოციალურ მიდგომას განსაკუთრებით ემხრობიანისინი, ვინც თავს გარეკული სოციალური ფილოსოფიის მიმდევრად თვლის. მარქსისტი კი რიტიკოსებიარა მხოლოდ შეისწავლიან ლიტერატურასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას, არა მედაჭვთსა კუთარი მკვეთრად გამოხატული და განსაზღვრული კონცეფცია მის სთაობაზე, თუროგორიუნდა იყოს სურთიერთობა ჩვენს ახლანდელ და ასევე მომავლის „უკლასო“ საზოგადოებაშიც. მათი შემთასებლური, „მიუკერძობელი“ კრიტიკა ემყარება არა ლიტერატურულ, არა მედპოლიტიკურ და ზნეობრივ კრიტიკულებს. ისინი გვამცნობენ არა მარტიო მას, თუროგორი იყო და არის სავტორის ნაწერის სოციალური კავშირები და შეფარული მინიშნებები, არა მედიმასაც, თუროგორი უნდა ყოფილიყო ანუნდა იყოს ისამყარად.² ისინი მარტო ლიტერატურას და საზოგადოებას კიარშეისწავლიან, არა მედ მომავლის ნინასნა რმეტყველებასაც ცდილობენ, მონიტორინგს და პროპაგანდასაც ეწევიან, და უჭირთ კიდეც ამ ორი ფუნქციის გამიჯვნა.

როდესაც ლიტერატურასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას განიხილავენ, საუბარს ჩვეულებრივ დე ბონალდის (De Bonald) ნათქვამით იწყებენ: ლიტერატურა საზოგადოების გამოხატულებაა. კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს აქსიომა? ის, რომ ლიტერატურა ნებისმიერ მოცემულ დროში სარკესავით „უშეცდომოდ“ აირეკლავს იმდროინდელ ვითარებას, მცდარი დებულებაა. მეტად ბანალური, დრომოქმული და გაურკვეველიც იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლიტერატურა ასახავს სოციალური რეალობის ზოგ ასპექტს.³ კიდევ უფრო დამაბნეველია იმის თქმა, რომ ლიტერატურა სარკესავით ასახავს და გადმოგვცემს ცხოვრებას. მწერალი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის საკუთარი გამოცდილებისა და ასევე ცხოვრებაზე მთელი თავისი შეხედულების გადმოცემას; მაგრამ ნამდვილად არასწორი იქნება, თუ ვიტყვით იმას, რომ იგი ცხოვრებას მთლიანად გამოხატავს, ან იმას, რომ სრულად და ამომზურავად გადმოგვცემს ერთი კონკრეტული პერიოდის ცხოვრებას. თუ ვიტყვით, რომ ავ-

ლიტერატურა და საზოგადოება

ტორმა თავისი დროის ცხოვრება სრულად უნდა გადმოსცეს, რომ ის თავისი ეპოქისა და საზოგადოების „ნარმომადგენელი“ უნდა იყოს, ეს ნათქვამი შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმად უნდა მივიღოთ. თანაც, ტერმინებს „სრულად“ და „ნარმომადგენელი“ საფუძვლიანი ახსნა სჭირდება: სოციალურ კრიტიკას თუ გადავხედავთ, ძალზე ხშირად ამ ტერმინების მიღმა იგულისხმება, რომ ავტორს უნდა ეს-მოდეს კონკრეტული სოციალური გარემოებები და გრძნობდეს მათ (მაგ., პროლეტარიატის მძიმე ხვედრი). გარდა ამისა, ავტორს უნდა ჰქონდეს კრიტიკოსის შესაფერისი კონკრეტული შეხედულებანი და იდეოლოგია.

ჰელენისა თუ ტერნის მოძღვრებათა მიხედვით, ისტორიული თუ სოციალური სიდიადე უტოლდება მხატვრულ სიდიადეს. თავისი ხელოვნების წყალობით, ხელოვანს ჩვენამდე მოაქვს ჭეშმარიტება და რა თქმა უნდა, ის ასევე გვაზიარებს ისტორიულ და სოციალურ ჭეშმარიტებას. ხელოვნების ქმნილებები ნარმოადგენს „დოკუ-მენტებს, რადგან მათ აქვს მარადიული ლირებულება“.⁴ ჰარმონიის არსებობა ენიონსა და ეპოქას შორის გარევეულ პოსტულატსაც ნარმოადგენს. „ნარმომადგენლობა“, „სოციალური ჭეშმარიტება“ კი არის შედეგიც და მიზეზიც მხატვრული ფასეულობისა. საშუალო დონის, არაფრით გამორჩეული ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც თანამედროვე სოციოლოგებს იწენებ უკეთეს საბუთებადაც კი მიაჩნიათ, ტერნის აზრით, არ არის ბევრის მომცემი და გამომხატველი, და, ამდენად, წარმომადგენლობითიც. ლიტერატურა ნამდვილად არ არის სოციალური პროცესის ასახვა, იგი მთელი ისტორიის არსის ასახვა, მთელი ისტორიის შემოკლებული და შეჯამებული სახით გადმოცემაა.

ჯერჯერობით კი, სჯობს, ცოტა ხნით გადავდოთ შეფასებითი კრიტიკის პრობლემებზე საუბარი, სანამ გავარკვევდეთ ლიტერატურასა და საზოგადოებას შორის სინამდვილეში რა დამოკიდებულება არსებობს. ამ თვალსაჩინო (ნორმატიულისგან განსხვავებით) მიმართებების კლასიფიკაცია საკმაოდ იოლია.

პირველ ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ მწერლის სოციო-ლოგია, ასევე ლიტერატურის არსი და ინსტიტუტი. შემდეგ, ლიტერატურული პროდუქციის ეკონომიკური საფუძვლის საკითხი მთლიანად, აგრეთვე მწერლის სოციალური ნარმოშობა და სტატუსი, მისი სოციალური იდეოლოგია, რომელიც შეიძლება

ლიტერატურის თეორია

აისახოს სამწერლო მოღვაწეობის გარდა, სხვა საქმიანობასა თუ განაცხადებში. ამას მოჰყვება სოციალური შინაარსის პრობლემა, კერძოდ, რას ნარმოადგენს თავად ლიტერატურული ტექსტების ფარული აზრი და მათი სოციალური მიზანი. გარდა ამისა, შესასწავლია ისეთი საკითხები, როგორებიცაა მკითხველი საზოგადოება და ლიტერატურის რეალური სოციალური ზეგავლენა. იმას, თუ რამდენად არის ლიტერატურა დამოკიდებული არსებულ სოციალურ ვითარებაზე, სოციალურ ცვლილებებსა და მოვლენებზე, განვიხილავთ ძირითადი საკითხის სამივე ასპექტის ანალიზისა. ეს ასპექტებია: მწერლის სოციოლოგია, თავად ნაწარმოებთა სოციალური კონტექსტი და ლიტერატურის გავლენა საზოგადოებაზე. ბოლოს, განვიხილავთ კულტურული ინტეგრაციის პროცესის და, სახელდობრ, იმას, თუ როგორ არის ინტეგრირებული ჩვენი საკუთარი კულტურა.

ყოველი მწერალი საზოგადოების წევრია. ასე რომ, იგი უნდა შევისწავლოთ, როგორც სოციალური პირი. მთავარი წყარო კვლევისათვის მისი ბიოგრაფია, მაგრამ ასევე ძალიან დაგვეხმარება, მთელი იმ გარემოს, საზოგადოების შესწავლა, რომელმაც იგი წარმოშვა და სადაც ცხოვრობდა. ამ გზით შესაძლებელი იქნება საკმარისი მასალის შექრება ავტორთა სოციალური ნაწარმოშობის, ოჯახისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ასევე შეგვიძლია დავადგინოთ, რამდენი მწერალია არისტოკრატიული, ბურჟუაზიული თუ პროლეტარული ოჯახიდან. ამერიკული ლიტერატურის მაგალითით შეგვიძლია ვაჩერიოთ, რომ ამერიკული ლიტერატურა, ძირითადად, შექმნა განათლებული და, ასევე, საქმოსანთა ფენებიდან გამოსულმა თაობამ.⁵ სტატიისტიკასაც თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ თანამედროვე ევროპაში ლიტერატურით ძირითადად დაკავებული იყვნენ საშუალო კლასის წარმომადგენლები, რადგან არისტოკრატია მთლიანად დიდებისა და გართობის ძიებაში იყო, ხოლო უფრო დაბალი ფენის ოჯახის შევილებს განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. ამგვარი განზოგადება ინგლისისათვის მთლიანად არ გამოგვადგება, რადგან ბევრი გამონაკლისის გათვალისწინება მოგვინევს. უფრო ადრეულ ინგლისურ ლიტერატურაში იშვიათად გვხვდებიან გლეხის ან მუშის ოჯახიდან გამოსული მწერლები. ბერნსისა (Burns) და კარლაილის (Carlyle) შემთხვევები გამონაკლისია და დემოკრატიული შოტლანდიური

ლიტერატურა და საზოგადოება

სასკოლო სისტემით აიხსნება. არისტოკრატიის როლი ინგლისურ ლიტერატურაში უჩვეულოდ დიდი იყო. ნაწილობრივ ეს მოწმობს იმას, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით (სადაც საერთოდ არ იყო ტრადიცია იმისა, რომ მშობლების ქონებაზე უფლება მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს პქონოდა), ინგლისის არისტოკრატია ნაკლებად იყო მოწყვეტილი განათლებულ ფენებს. რაც შეეხება რუსეთს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა თანამედროვე რუსი მნერალი ვიდრე გონჩაროვამდე და ჩეხოვამდე, არისტოკრატთა ფენას ეკუთვნოდნენ. საბუთების მიხედვით, დოსტოევსკიც კეთილშობილთა კლასს მიეკუთვნებოდა, თუმცა მამამისმა, მოსკოველმა ექმმა, რომელიც ღატაკთათვის დაარსებულ სააგადმყოფოში მუშაობდა, მინა და ყმები მხოლოდ გვიანდა შეიძინა.

ასეთი ინფორმაციის შეკრება ადვილია, მაგრამ ძნელია შემდგომ მათი ახსნა. განაპირობებს თუ არა სოციალური წარმომავლობა სოციალურ იდეოლოგიასა და რომელიმე მოძღვრებისადმი ლიონალურობას? შელის, კარლაილისა და ტოლსტოის ცხოვრებას თუ გადავხედავთ, ხელში შეგვრჩება აშკარა მაგალითები იმისა, თუ როგორ „უდალატეს“ მათ საკუთარ კლასს. სხვა ქვეყნებში, რუსეთისგან განსხვავებით, კომუნისტი მნერლების უმეტესობა წარმოშობით პროლეტარები არ არიან. საბჭოთა და სხვა მარქსისტმა კრიტიკოსებმა მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარეს, რათა დაეზუსტებინათ რუს მნერალთა სოციალური წარმომავლობა და ის, თუ რომელი სოციალური ფენის მიმართ იჩენენ ისანი ლიონალურობასა და ერთგულებას. ასე რომ, პ. 6. საკულინი ბოლოდროინდელი რუსული ლიტერატურის კვლევას იწყებს იმით, რომ განასხვავებს ლიტერატურას კლასებისა და საზოგადოებრივი ფენების მიხედვით, იქნება ეს გლეხთა, ნვრილი ბურჟუაზიის, დემოკრატიული ინტელიგენციის, დეკლასირებული ინტელიგენციის, ბურჟუაზიის, არისტოკრატიისა თუ რევოლუციური პროლეტარიატის ლიტერატურა.⁶ უფრო ადრინდელი ლიტერატურის შესწავლისას, რუსი მეცნიერები ცდილობენ, ძალიან მკვეთრად გამოკვეთონ სხვაობა რუსული არისტოკრატიის მრავალ ჯგუფსა და დაჯგუფებას შორის, რომლებსაც მეტკვიდრობით მიღებული ქონების წყალობითა თუ ადრინდელი კავშირებით, შეიძლება მივაკუთვნოთ პუშკინი და გოგოლი, ტურგენევი თუ ტოლსტოი.⁷ თუმცა, იმის მტკიცებაც ძნელია, თითქოს პუშკინი

ლიტერატურის თეორია

გაღატაკებული მემამულეების ინტერესთა დამცველი იყო, ხოლო გოგოლი — უკრაინელი წერილი მინათმფლობელებისა; ამგვარ დასკვნას ძალა ეკარგება მათი ნაწერების ზოგადი იდეოლოგიის და იმ დიდი გავლენის გათვალისწინებითაც, რითაც ისინი გასცდნენ თავიანთი ჯგუფის, კლასისა თუ დროის საზღვრებს.⁸

მწერლის სოციალური სტატუსის, სოციალური ლოიალურობისა და იდეოლოგიის შესწავლისას, მწერლის სოციალური ფესვების საკითხს მცირე ყურადღება ეთმობა. ხომ ცნობილია, რომ მწერლებს ხშირად უმსახურიათ სხვა კლასთა ინტერესების გამოსახატავად და დასაცავად. საკარო პოეტების უმეტესობა უფრო დაბალი ფენის ნარმომადგენლები იყვნენ, ვიდრე მათი ფეოდალი პატრონები, ვისი იდეოლოგიაც და გემოვნებაც პოეტებმა შეითვისეს და მიიღეს.

მწერლის შეხედულებები, იდეოლოგია და ის, თუ რომელი სოციალური მოძღვრების მიმდევრად თვლის თავს, შეიძლება შევიტყოთ არა მარტო მისი ნაწერებით, არამედ ხშირ შემთხვევაში ბიოგრაფიული ცნობებიდანაც. მწერლალიც ხომ ერთი რიგითი მოქალაქეა, რომელიც გამოთქვამს თავის შეხედულებებს პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე და მონაწილეობას იღებს მიმდნარე მოვლენებში.

კონკრეტული მწერლების პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებების შესასწავლად ბევრი შრომაა განეული; ბოლო დროს კი განსაკუთრებით დიდი ყურადღებით შეისწავლიან ამ შეხედულებების ეკონომიკურ ასპექტებსაც. მაგალითად, ლ. ს. ნაითსი (Knights) ამტკიცებს, რომ ბენ ჯონსონის ეკონომიკური შეხედულებანი ძირითადად შუა საუკუნეების დროინდელი იყო, გვიჩვენებს, თუ როგორი სატირით უმასპინძლდება იგი ზოგიერთი თავისი თანამედროვე დრამატურგის მსგავსად მევასშეების, მონოპოლისტების, გადამყიდველებისა და „მეწარმეების“ ახალალზევებულ კლასს.⁹ ბევრი მხატვრული ნაწარმოები, მაგ. შექსპირის „ისტორიული ქრონიკები“ და სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ (Gulliver's Travels) გადასინჯული იქნა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.¹⁰ მწერალთა ოფიციალური განცხადები, გადაწყვეტილებები და მოღვაწეობა არასოდეს არ უნდა ავურიოთ მათი ნაწერების რეალურ სოციალურ მნიშვნელობაში. ბალზაკი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ

ლიტერატურა და საზოგადოება

შეიძლება მოხდეს ამგვარი გამიჯვნა; თუმცა მისი გარევნული სიმპათიები ძველი პოლიტიკური წესრიგის, არისტოკრატიისა და ეკლესიის მხარეს იყო, მის შემოქმედებით ინსტინქტსა და ნარმოსახვას უფრო მეტად მომხვეჭელი ტიპი, გადამყიდველი, ბურჟუაზიის ახალი ძლიერი ადამიანი აინტერესებდა. ასე რომ, შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება თეორიასა და პრაქტიკას, რჩენის აღიარებასა და შემოქმედებით უნარს შორის.

თუ სისტემურად განვიხილავთ სოციალური წარმოშობის, რომელიმე მოძღვრებისადმი ერთგულებისა თუ იდეოლოგის საკითხებს, ეს ყველაფერი მიგვიყვანს მწერლის, როგორც კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებული ტიპის სოციოლოგიამდე. მწერლები შეიძლება განვასხვავოთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან სოციალურ პროცესში ინტეგრირებულნი. პოპულარულ ლიტერატურაში ეს განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ შეიძლება „სოციალური დისტანციის“ უკიდურეს ზღვარს მიაღწიოს ბოკემის წარმომადგენლებთან, როცა საქმე გვაქვს ენ roête maudit –თან (ფრანგ. „დაწყევლილი პოეტი“) და თავისუფალ შემოქმედებით გენიასთან. მთლიანობაში, თანამედროვე დასავლეთში მწერალთა შორის კლასობრივი განსხვავება შემცირდა. გარჩდა „ინტელიგენცია“ — პროფესიონალთა შედარებით დამზუკიდებელი შუალედური კლასი. ლიტერატურის სოციოლოგიამ უნდა განსაზღვროს ამ კლასის ზუსტი სოციალური სტატუსი, თუ რამდენად არის იგი დამოკიდებული მმართველ კლასზე, საიდან მოდის მისი მხარდაჭერის ზუსტი ეკონომიკური სათავე, და, ასევე, მწერლის პრესტიჟი თითოეულ საზოგადოებაში.

ამ ისტორიის ზოგადი კონტურები უკვე კარგად არის გამოკვეთილი. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შესაძლებელია მომღერლის ან სახალხო მთქმელის როლის შესწავლა, რომლის ბედიც მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია მსმენელის კეთილგანწყობაზე; სულ ერთია, ეს ანტიკური სამყაროს აედოსი იქნება, სკოპი უძველეს ტევტონურ ხანაში, თუ პროფესიონალი მეზღაპრე რუსეთსა და აღმოსავლეთში. ტრაგიკოსები და პინდარეს მსგავს მეხოტბები თუ პიმნების მთხველები ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში ქურუმებს უტოლდებოდნენ. თუ ევრიპიდეს შევადარებთ ესქილეს, გამოვლინდება ამ პროფესიის

ლიტერატურის თეორია

თანდათანობითი სეულარიზაცია. რომის იმპერიის საკარო პოეტები — ვირგილიუსი (Virgil), ჰორაციუსი (Ovid) — დამოკიდებულნი იყვნენ ავგუსტუსისა და მეცნიატის კეთილგანწყობასა და ხელგაშლილობაზე.

სხვა სურათია შუა საუკუნეებში. ბერი თავის საკანშია, ტრუბადური და მინეზინგერი — მეფის კარსა თუ ბარონის ციხე-კოშში, მოხეტიალე სწავლულები კი სხვადასხვა გზებზე მიმოფანტულან. იმდროინდელი მწერალი ან საეკლესიო პირია, ან სწავლული, ან მომღერალი — სახალხო გამრთობი, მენესტრელი. თუნდაც მოყვარულები, მაგრამ მანც პოეტები, უკვე მეფეთა შორისაც გვხვდებიან. მაგ., ჩეხეთის მეფე ვაცლავ მეორე ან შოტლანდიის მეფე ჯეიმს პირველი. გერმანულ „ოსტატის სიმღერაში“ (Meistersang) ხელოსნები გაერთიანებული არიან პოეტურ გილდიებად. ეს არიან ბიურგერები, რომლებიც ისე მისდევენ პოეზიას, როგორც ხელობას. აღორძინების ეპოქაში გამოჩნდა მწერალთა შედარებით დამოუკიდებელი ჯგუფი — ჰუმანისტები, რომლებიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ, ზოგჯერ სხვა ქვეყნებშიც, და თავინთ სამასახურს სხვადასხვა პატრონს სთავაზობდნენ. პეტრარკა (Petrarch) არის პირველი თანამედროვე პოეტი ლაურეატი (poeta laureatus), რომელიც თითქმის შეპყრობილია თავისი პოეტური მისიის სიდიადით, არეტინო (Aretino) კი პოტოტიპია იმ ლიტერატურული ჟურნალისტისა, რომელიც შანტაჟით ცხოვრობს; მისი უფრო ეშინიათ, ვიდრე აფასებენ და პატივს მიაგდენ.

უფრო მოგვიანებით მწერლების პატრონაჟი ითავეს უკვე თავად გამომცემლებმა, რომელნიც იცნობდნენ მკითხველთა გემოვნებას. თუმცა, უნდა არისტოკრატიული მფარველობის სისტემა ყველა სფეროს არ მოიცავდა. ეკლესია და სულ მალე თეატრიც ლიტერატურის განსაზღვრულ უანრთა მხარდამჭერებად მოგვევლინა. ინგლისში პატრონაჟის სისტემის აშკარა დაღმავლობა მე-18 ს-ის დასაწყისში შეიმჩნევა. გარევეული დროის განმავლობაში ლიტერატურას შემოეცალნენ ძველი კეთილისმყოფელები. ეკონომიკურად მას ცუდი დღე დაუდგა, რადგან ჯერ კიდევ არ შესწევდა უნარი, მთლიანად მკითხველთა ხარჯზე ეარსება. დრ. სამუელ ჯონსონის ადრეული ცხოვრება გრაბ სტრიტზე (Grub Street, ცნობილი ქუჩა ლონდონში, სადაც ძირითადად დარიბი მწერლები

ლიტერატურა და საზოგადოება

ცხოვრობდნენ. აქედან გამომდინარე, ამ სახელს მდარე ნაწარმოების აღსანიშნავადაც ხმარობენ. ეს ქუჩა ამჟამად მიღწეონის სახელს ატარებს. მთარგმნელის შენიშვნა) და მის მიერ ლორდ ჩესტერფილდის გამოწვევა ამ ცვლილებებს სიმბოლურად გამოხატავს. თუმცადა, ერთი თაობით ადრე პოუპმა მოახერხა დიდი ქონების დაგროვება — კეთილშობილი დიდგვაროვნები და განათლებული ადამიანები ფულს არ იშურებდა ჰომეროსის მისეული თარგმანის შესაძენად.

ნამდვილი ფინანსური წარმატება მწერლებმა მხოლოდ მე-19 საუკუნეში იგემეს. სკოტმა და ბაირონმა უზარმაზარი გავლენა მოახდინეს მკითხველი საზოგადოების გემოგნებასა და შეხედულებებზე. ვოლტერის და გოეთეს დამსახურება იყო, რომ კონტინენტზე უჩვეულოდ გაიზარდა მწერლის პრესტიჟი და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი. მკითხველთა რიცხვმა იმატა, დაარსდა ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდული მიმომხილველი გამოცემები, როგორებიცაა „ედინბურგი“ (Edinburgh) და „ქუორთერლი“ (Quarterly), რის შედეგადაც ლიტერატურამ თითქმის სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა, პროსპერ დე ბარანტი (Prosper de Barante) 1822 წელს წერდა, ასეთი ვითარება უკვე მე-18 საუკუნეში არსებობდათ.¹¹

როგორც ეშლი თორდნაიკი (Ashley Thordnike) ამტკიცებდა, მე-19 ს-ში გამოსული ბეჭდვითი პროდუქციის ყველაზე ოვალსაჩინო ნიშანია არა ვულგარულობა და უფერულება, არამედ — სპეციალიზაცია. ბეჭდური პროდუქცია ამიტოდნ აღარ არის გამიზნული ერთგვაროვანი მკითხველი საზოგადოებისათვის. ის უკვე იზიდავს სხვადასხვა ტიპის მკითხველებს და, შესაბამისად, ინტერესის მრავალ სფეროს, საკითხესა და მიზანს აკმაყოფილებს.¹²

ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებს ქ. დ. ლივისი თავის გამოკვლევაში „მწერლობა და მკითხველი საზოგადოება“:¹³ მე-18 ს-ის გლეხს, რომელმაც კითხვა ისნავლა, უკვე იმის წაკითხვა შეეძლო, რასაც თავადაზნაურობა და განათლებული საზოგადოება კითხულობდა; მეორე მხრივ, მე-19 ს-ის მკითხველ საზოგადოებას უკვე დამსახურებულად უწოდებდენ არა „მკითხველ საზოგადოებას“ არამედ „მკითხველ საზოგადოებებს“. ჩვენს დროში საგამომცემლო ანოტაციებში და უურნალების ყდებზე გამუდმებით ვკითხულობთ: „9-10 წლის ბავშვებისათვის“, „უფროსკლასელი

ლიტერატურის თეორია

ვაჟებისათვის“, „მარტოხელა ადამიანებისთვის“; გამოდის დარგობრივი შურნალები, ცალკეულ ფირმათა საკუთარი პერიოდული გამოცემები, საკვირაო სკოლის ყოველკვირეულები, ვესტერნები, სათავადასავლო რომანები. ასე რომ, სპეციალიზაცია მიმდინარეობს ყველა დონეზე; ეს ეხება გამომცემლობებსაც, შურნალისტებსაც და მწერლებსაც.

ამრიგად, ლიტერატურის ეკონომიკური ბაზისისა და მწერლის სოციალური სტატუსის შესწავლა განუყოფელია მკითხველი საზოგადოების შესწავლისგან. სწორედ მათ მიმართავს მწერალი თავისი ნაწერებით და მათზეა დამოკიდებული მისი ფინანსური ნარმატება (იხ. Alfred A. Harbage, *Shakespeare's Audience*, New York 1941).¹⁴ არისტოკრატი მფარველიც კი მკითხველი საზოგადოების ნაწილადა, ხმირად, მეტისმეტად მომთხოვნიც. მწერლისაგან იგი არა მარტო მისადმი ქედმოდრეკას მოითხოვს, არამედ კონფორმიზმსაც მისი კლასის პირობითობების მიმართ. კიდევ უფრო ადრინდელ საზოგადოებაში, ხალხური პოეზიის ეპოქაში, ავტორი მთლიანად დამოკიდებული იყო მკითხველისგან: მისი შემოქმედება ვერ დამკვიდრდებოდა, ვერ გავრცელდებოდა, თუ ის აუდიტორიისთვის თავიდანვე მაამებლური არ იქნება. ასეთივე საგრძნობია აუდიტორიის როლი თეატრში. რამდენიმე გამოკვლევაც კი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად იმოქმედა შექსპირის შემოქმედებითი პერიოდებისა და სტილის ცვლილებებმა მაყურებელთა შორის ცვლილებაზე; მაყურებელიც არ იყო ერთგვაროვანი: „გლობუსში“, ღია ცის ქვეშ, თითქმის ყველა ფენის ნარმომადგენელი დადიოდა, ხოლო „ბლექფრაიერს“-ის დახურულ დარბაზს უფრო მაღალი წრების ნარმომადგენლები სტუმრობდნენ. რაც უფრო იზრდება მკითხველთა რაოდენობა, რაც უფრო არაერთგვაროვანი ხდება იგი, ავტორსა და მკითხველს შორის ურთიერთობის გამოკვლევა ძნელდება. ამავე დროს იზრდება მათ შეუძლებელთა რიცხვი. შესაძლებელია იმის გაანალიზება, თუ რა სოციალური დატვირთვა და როლი პერიოდათ ლიტერატურულ სალონს, კაფეს, კლუბს, აკადემიასა თუ უნივერსიტეტს. ასევე შესაძლებელია, თვალი მივადევნოთ კრიტიკული გამოცემებისა და შურნალების, გამომცემლობების ისტორიას. კრიტიკოსი ხდება ანგარიშგასანევი შუამავალი; ლიტერატურის მოყვარულები, ბიბლიოფილები თუ კოლექციონერები შეიძლება ლიტერატურის

გარევეული უანრების მფარველებადაც მოვიაზროთ. მყითხველთა კიდევ ერთ განსაკუთრებულ ფენას ქმნის თვით ლიტერატორთა საზოგადოებებიც, რომელთა წევრებიც ისევ მომავალი თუ ხელ-მოცარული მნერლები არიან. ვებლენის (Veblen) თქმით, ამერიკაში მანდილოსნები ასრულებენ განსაკუთრებით აქტიურ როლს ლი-ტერატურული გემოვნების განსაზღვრა-დამკიდრებაში.

და მაინც, ჯერ კიდევ მოქმედებს ლიტერატურის გავრცელების ძველი მეთოდები. მეტ-ნაკლებად ყველა თანამედროვე მთავრობა მხარს უჭერს და მფარველობს ლიტერატურას. მფარველობაში, რასაც ვირველია კონტროლი და ზედამხედველობა იგულისხმება.¹⁵ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა ბოლო ათწლეულების ტოტალიტარული სახელმწიფოს გააზრებული გავლენის გადაჭარბებით შეფასება. ამას უარყოფითი შედეგიც ჰქონდა და დადებითიც. ცუდი ის იყო, რომ მნერალს დევნიდნენ, აიძულებდნენ არაფერი ენერა, უწვავდნენ წიგნებს, ცენზურა გასაქანს არ აძლევდა. კარგი ის იყო, რომ საბჭოთა „სოციალისტურ რეალიზმს“, „აგრეთვე — ე.ნ. „სისხლის და მინის“ რეგიონალიზმს მხარდაჭერა ჰქონდა. სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი იდეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისი ლიტერატურის შექმნა, რომელიც დიდი ხელოვნებად დარჩებოდა, მაგრამ ის მაინც ახერხებს ლიტერატურის მართვას, როდესაც მნერლები საკუთარი წებით თუ იძულებით ემორჩილებიან ოფიციალურ დირექტივებს. ასე რომ, საბჭოთა რუსეთში, თეორიულად მაინც, ლიტერატურა კვლავ იქცა საზოგადოებრივ ხელოვნებად, ხოლო ხელოვანი კვლავ საზოგადოებაში იქნა ინტეგრირებული.

წიგნის წარმატების ამსახველი დიაგრამა, მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა წიგნი, ან ხომ არ შეიძინა მან „მეორე სოცოცხლე“ გამოქვეყნებიდან გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, სოციალური მოვლენაა ისევე, როგორც მნერლის მიერ მოხვეჭილი სახელი და დიდება. ნანილობრივ, ის რასაკვირველია ეკუთვნის ლიტერატურის „ისტორია-საც“, რადგან სახელი და დიდება იზომება იმით, თუ რა არსებით გავლენას ახდენს ერთი მნერალი მეორეზე, ასევე — იმით, თუ რამდენად შესწევს ძალა კონკრეტულ მნერალს, ლიტერატურული ტრადიცია შეცვალოს და მას თავისი კვალი დააჩნიოს. მნერლის სახელი, მისი რეპუტაცია ნანილობრივ კრიტიკოსთა გამოხმაურების შედეგია: დღემდე ისე ხდებოდა, რომ მას ძირითადად ად-

ლიტერატურის თეორია

გენდნენ ამა თუ იმ პერიოდის ე. წ. „საშუალო მკითხველის“ მეტნაკლებად ოფიციალური განცხადებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა „გემოვნებათა კარუსელის“ საკითხი „სოციალურია“, მას შეიძლება გამოვუნახოთ უფრო თვალსაჩინო სოციოლოგიური საფუძველი: საგულდაგულო მუშაობის შედეგად შეიძლება გამოვიყვლიოთ, თუ რა რეალური შესაბამისობა არსებობს, ერთი მხრივ, ნაწარმოებსა და, მეორე მხრივ, მკითხველს შორის, რომელზეც დამოკიდებულია წიგნის ნარმატება. გამოვკლევაში დაგვეხმარება გაყიდულ ცალთა რაოდენობა, ასევე — გამოცემათა რიცხვი.

რამდენი ფენაც არსებობს თითოეულ საზოგადოებაში, იმდენივე ფენად შეიძლება დაიყოს ამ საზოგადოების გემოვნებაც. მაღალი კლასი, მიუხედავად თავისი აღმატებულებისა, ზოგჯერ დაბალი კლასის ხელოვნებითაც ინტერესდება. ამის ნიმუშია ინტერესი ფოლკლორისა და პრიმიტიული ხელოვნების მიმართ. პოლიტიკური და სოციალური წინსვლა ყოველთვის არ გულისხმობს ესთეტიკურ წინსვლასაც: ბურჟუაზიამ მანამდე იგდო ხელში ლიტერატურული ასპარეზი, სანამ პოლიტიკაში ნარმატებას მიაღწევდა. საზოგადოების ფენებად დაყოფას შეიძლება ხელი შეუშალოს ან სულაც უგულებელყოს გემოვნების საკითხზე კამათმა, როცა საქმე გვაქვს განსხვავებული ასაკის ან სქესის ჯგუფთან, ან გარკვეულ ჯგუფებთან თუ ასოციაციებთან. მოდაც ანგარიშგასაწევი ფაქტორია თანამედროვე ლიტერატურაში, რადგან მუდმივად ცვალებად, კონკურენტუნარიან საზოგადოებაში ძალიან სწრაფად ხდება მაღალი საზოგადოების ნორმების მიბაძვა და ამიტომ მათ მუდმივად „ახალი სისხლი“ სჭირდებათ. ცხადია, რომ ჩვენს დროში გემოვნების ამგვარი სწრაფი ცვლილებები ბოლო ათხლეულების სწრაფი სოციალური ცვლილებების და ასევე, ზოგადად, ხელოვანსა და საზოგადოებას შორის არამყარი ურთიერთობის ანარეკლი უნდა იყოს.

სოციოლოგიურ შესწავლას მოითხოვს თანამედროვე მწერლის საზოგადოებისაგან იზოლაციის პრობლემა. რუს სოციალისტ გიორგი პლეხანოვს სწამდა, რომ დოქტორინა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ყალიბდება მაშინ, როცა მწერლები გრძნობენ „გადაულახავ წინააღმდეგობას თავის მიზნებსა და იმ საზოგადოების მიზნებს შორის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მწერლები

ამ დროს მეტად მტრულად არიან განწყობილი საზოგადოების მიმართ და მისი შეცვლის იმედი არა აქვთ“.¹⁶

ლევინ ლ. შუკინგმა (Levin L. Schücking) თავის „ლიტერატურული გემოვნების სოციოლოგიაში“ გამოკვეთა რამდენიმე ამგვარი პრობლემა; სხვა გამოკვლევებში მას ძალიან დაწვრილებით აქვს შესწავლილი ოჯახისა და ქალის, როგორც მკითხველი საზოგადოების როლი მე-18 ს-ში.¹⁷

თუმცა ბევრი მასალა იქნა მოძიებული და შეგროვებული, მაგრამ კარგად დასაბუთებული დასკვნები იმის შესახებ, თუ ზუსტად რა დამოკიდებულება არსებობს ლიტერატურის შექმნასა და მის ეკონომიკურ საფუძვლებს მორის, ან რაში ვლინდება საზოგადოების ზეგავლენა მწერალზე, მაინც იშვიათად გვხვდება. ცხადია, ეს არაა პირდაპირი დამოკიდებულება და არც მფარველისა თუ მეითხველი საზოგადოების მიერ დადგენილი დირექტივები-სადმი პასიური მორჩილება. მწერლებმა შეიძლება მოახერხონ და შექმნან თავიანთი განსაკუთრებული მკითხველთა წრე, ეს იცოდა კოლრიჯმაც: ყოველმა ახალმა მწერალმა უნდა ჩამოაყალიბოს გე-მოვნება, რომელსაც იგი თავად დააგემაყოფილებს.

არა მარტო საზოგადოება ახდენს გავლენას მწერალზე, არა-მედ საპირისპირო პროცესიც შეინიშნება; ხელოვნება უბრალოდ კი არ ასახავს ცხოვრებას, არამედ აყალიბებს, ფორმას აძლევს მას. ადამიანებმა შეიძლება საკუთარი ცხოვრება წარმართონ ნაწარმოებთა გმირების მსგავსად — სასიყვარულო თავგადასავლები იქნება ეს თუ ბოროტმოქმედებები. თვითმევლელობაც კი ჩაუდენიათ წიგნში აღნერილის მსგავსად. ნიმუშად შეგვიძლია მოვიხმოთ დიუმას რომანები მუშკეტერებზე ან გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. მაგრამ წუთუ შესაძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ წიგნის გავლენა მკითხველზე? შევძლებთ კი ოდესმე სატირის გავლენის დადგენას? მართლაც შეძლო ადი-სონმა (Addison) თავისი საზოგადოების ქცევის შეცვლა? ან მოახდინა თუ არა დიკენსმა რაიმე გავლენა მევალეთა ციხეების, ვაჟთა სკოლებისა თუ ღატაკთა თავშესაფრების რეფორმებზე?¹⁸ მართლა იყო ჰარიეტ ბიჩერ სტოუ (Harriet Beecher Stowe) ის „პატარა ქალი, რომელმაც დიდი ომი ნამოინყო“? შეცვალა თუ არა რომანმა „ქარნალებულნი“ (Gone with the Wind) ჩრდილოეთის შტატების მკითხველის დამოკიდებულება ქ-ნ სტოუს ომის მიმართ? რო-

ლიტერატურის თეორია

გორი ზემოქმედება მოახდინეს ჰემინგუეიმ და ფოლკნერმა თავი-ანთ მკითხველზე? რამდენად დიდი იყო ლიტერატურის გავლენა თანამედროვე ნაციონალიზმის აღზევებაზე? უეჭველია, რომ თავიანთი რომანებით უოლტერ სკოტმა შოტლანდიაში, ჰენრიკ სენკევიჩმა (Henryk Sienkiewicz) პოლონეთში, ალოის ირასეკმა (Alouis Jirásek) ჩეხოსლოვაკიაში დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული სიამაყის გრძნობის გაძლიერებასა და ისტორიული მოვლენების საერთო მეხსიერების განვითარებაში.

სავარაუდოა, რომ ახალგაზრდა მკითხველზე ლიტერატურა გაცილებით უფრო უშუალო და ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე — ხანდაზმულზე. უდავოდ ისიც, რომ გამოუცდელი მკითხველი ლიტერატურას შედარებით გულუბრყვილოდ აღიქვამს; წიგნები მათვის უფრო ცხოვრების აღნერაა, ვიდრე მისი ინტერპრეტაცია. გარდა ამისა, ნაკლებად ნაკითხი ადამიანები წიგნებს გაცილებით უფრო სერიოზულად აღიქვამები, ვიდრე კარგად ნაკითხი, პროფესიონალი მკითხველები. შეგვიძლია ამ ვარაუდებს გაცდეთ და გზა გავაგრძელოთ? შესაძლებელია თუ არა, რომ დასახმარებლად მივმართოთ კითხვარებს ან სხვა სახის სოციო-ლოგიურ გამოკითხვებს? და მაშინაც კი ვერ მივიღებთ ზუსტ, ობიექტურ სურათს, რადგანაც ასეთი გამოკვლევები ემყარება გამოკითხულთა მეხსიერებასა და ანალიტიკური აზროვნების უნარს, ხოლო გამოკითხულთა პასუხების შესწავლისას და შეფასებისას გამორიცხული არ არის შეცდომის დაშვება. მაგრამ ჩვენი შეკითხვა, თუ რამდენად ახდენს ლიტერატურა ზეგავლენას მკითხველზე, ემპირიულია, რომელსაც პასუხი მხოლოდ ექსპერიმენტის შემდეგ გაეცემა; ჩვენ კი, რადგანაც ლიტერატურას და საზოგადოებას ყველაზე ფართო გაგებით აღვიქვამთ, უნდა დავეყრდნოთ არა მარტო სპეციალისტისა თუ პროფესიონალის, არამედ მთელი კაცობრიობის გამოცდილებას. ასეთი საკითხების შესწავლა კი ჩვენ ჯერ თითქმის არც დაგვიწყია.¹⁹

ლიტერატურისა და საზოგადოების ურთიერთობის დასადგენად ყველაზე მიღებული მეთოდი არის ის, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებს მივიჩნევთ საზოგადოებრივ დოკუმენტებად, როგორც სოციალური რეალობის დამადასტურებულ სურათებს; უეჭველია, რომ ლიტერატურიდან შეგვიძლია მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა სოციალური სინამდვილის შესა-

ლიტერატურა და საზოგადოება

ხებ ამა თუ იმ პერიოდში. უძველესი დროიდან სწორედ ამ მიზნით იყენებდნენ მკვლევრები ლიტერატურულ ტექსტებს. ტომას უორტონმა, რომელიც სამართლიანად ითვლება ინგლისური პოეზიის პირველ ნამდვილ ისტორიკოსად, დაამტკიცა, რომ ლიტერატურას აქვს „ამა თუ იმ ეპოქის ერთგული მემატიანეა, რომელიც ხატოვნად, ცოცხლად ნარმოგვიდგენს ადამიანთა მანერებს, მათ ქცევას.“²⁰ მისთვის და სიძველეებით დაინტერესებული მომდევნო თაობებისთვის, ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ნარმოადგენდა კოსტიუმებისა და ტრადიციების საცავს, ცივილიზაციის ისტორის, განსაკუთრებით, რაინდობის ეპოქისა და მისი დასასრულის ერთგვარ ჟამთააღმნერელს. რაც შეეხება თანამედროვე მკითხველს, ბევრი მათგანი უცხო ქვეყნების მოსახლეობას სწორედ მხატვრული ნანარმოების მეშვეობით ეცნობა, სინკლერ ლიუისის (Sinclair Lewis) რომანი იქნება ეს, გოლზუორთის, ბალზაკისა თუ ტურგენევის თხზულებები.

როგორც სოციალური დოკუმენტი, ლიტერატურა სასარგებლო უნდა გავხადოთ სოციალური ისტორიის თვალსაზრისითაც. ჩოსერი (Chaucer) და ლენგლენდი (Langland) მე-14 ს-ის ორგვარ სურათს გვთავაზობენ. ადრეულ წლებში მიიჩნეოდა, რომ „ეკნტერბერიული მოთხოვნების“ (Canterbury Tales) პროლოგი იმდროინდელი სოციალური ტიპების სრულყოფილ გალერეას გვთავაზობდა. შექსპირი თავისი „უინბორელი მხიარული ქალებით“ (Merry Wives of Windsor), ბენ ჯონსონი (Ben Jonson) რამდენიმე პიესითა და ტომას დელონი (Thomas Deloney) ნარმოდგენას გვიქმნიან ელისაბედის ხანის საზოგადოებრიობის საშუალო ფენაზე. ადისონი, ფილდინგი (Fielding) და სმოლეტი (Smollett) მე-18 ს-ის ახალ ბურჟუაზიას აღნიერენ; ჯეინ ოსტინი უმეტესად მე-19 ს-ის სოფლის თავადაზნაურობის და სამღვდელოების (ცხოვრებით ინტერესდება; ხოლო ტროლობი, თეკერეი (Thackeray) და დიკენსი — ვიქტორიანული ხანით. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე გოლზუორთი (Galsworthy) გვაცნობს ინგლისის საშუალო ფენის მაღალ საზოგადოებას, ხოლო უელსი (Wells) — იმავე საზოგადოების დაბალ ფენას; ბენეტი (Bennett) კი პროვინციის პატარა ქალაქებზე მოგვითხრობს.

მსგავსი სურათები შეიძლება მოვიძიოთ ამერიკული ცხოვრების შესახებაც, დაწყებული ჰარიეტ ბიჩერ სტოუს (Harriet Beecher Stowe) და ჰოუელსის (Howells) რომანებით, ვიდრე ფარელამდე

ლიტერატურის თეორია

(Farrell) და სტეინბეკეამდე (Steinbeck). რესტავრაციის შემდგომი პარიზი და საფრანგეთი სამუდამოდ შემოგვინახა ბალზაკის „ადა-მიანური კომედიის“ ასობით პერსონაჟმა. პრუსტმა კი, შეიძლება ითქვას, ამომზურავდა წარმოგვიდგინა დაკინების გზაზე დამ-დგარი ფრანგული არისტოკრატიის სოციალური ფენები. ტურ-გენევისა და ტოლსტოის რომანებში აღნერილია მე-19 ს-ის რუსი მემამულების ცხოვრება. ჩეხოვის მოთხრობებისა და პიესების წყალობით მაშინდელ ვაჭართა და ინტელექტუალთა ფენებს ვეც-ნობით, შოლოხოვი კი კოლექტიურ მეურნეობაში შესულ გლე-ხებზე გვიამბობს.

მაგალითები შეიძლება უსასრულოდ მოვიყავნოთ. შესა-ძლებელია თავი მოვუყაროთ და ვაჩვენოთ სხვადასხვა „სამყარო“, ისიც, თუ რა ადგილი უკავია იქ სიყვარულსა და ქორწინებას, ბიზ-ნესს, ამა თუ იმ ხელობასა თუ პროფესიას, სასულიერო წოდების დადებით თუ უარყოფით აღნერას; შესაძლებელია, ცალკე ჯგუ-ფად გამოვყოთ და შევისწავლოთ ჯეინ ოსტინის ის გმირები, რომლებიც საზღვაო სამსახურში იმყოფებიან, ასევე პრუსტის *arrivistes* („ფრ. „ახალგედები“, მთარგმნელის შენიშვნა), გათხო-ვილი ქალები პოუელის რომანებში. ამგვარი სახის დაყოფებით შეიძლება შემდეგი მონოგრაფიები შეგვრჩეს ხელში: „მემამ-ულესა და მოივარეს შორის ურთიერთობა მე-19 ს-ის ამერიკულ პროზაში“, „მეზღვაურის სახე ინგლისურ პროზასა და დრამაში“, „ირლანდიელ-ამერიკელთა სახეები მე-20 ს-ის მწერლობაში“.

მაგრამ ამგვარ გამოკვლევებს არა აქვთ დიდი მნიშვნელო-ბა, რადგან მათ თუ დავუჯერებთ, ლიტერატურა, უბრალოდ, ცხოვრების სარკეა, ცხოვრების ასლი და, ამდენად, რა თქმა უნდა, სოციალური დოკუმენტია. ასეთ გამოკვლევებს მხოლოდ მაშინ აქვთ ფასი, თუ ვიცით შესასწავლი მნერლის მხატვრული მეთო-დი და შეგვიძლია არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად გან-ვაცხადოთ, რამდენად შეესაბამება წიგნში აღნერილი სურათი სო-ციალურ რეალობას. აქვს თუ არა განზრახული მწერალს რეალის-ტური სურათის შექმნა? მიმართავს თუ არა ის ხანდახან სატირას, კარიკატურას ან რომანტიკულ იდეალიზაციას? კონ-ბრამსტეტი (Kohn-Bramstedt) თავის კარგად გააზრებულ მონოგრაფიაში „არისტოკრატია და საშუალო კლასები გერმანიაში“ სამარ-თლიანად გვაფრთხილებს: „მხოლოდ იმას, ვისაც საზოგადოე-

ბის სტრუქტურა არა წიგნებიდან, არამედ სხვა წყაროებიდან შეუსწავლია, შეუძლია დაადგინოს, არის თუ არა გადმოცემული ნაწარმოებში კონკრეტული ტიპები ან მათი საქციელი... უნდა გავარკვიოთ, სად იწყება და სად მთავრდება ავტორის წარმოსახვა, რეალისტური დაკვირვებანი ან სუბიექტური ფიქრები და სურვილები ნაწარმოებში.“²¹

იგივე მკვლევარი ემყარება მაქს ვებერის კონცეფციას იდეალური „სოციალური ტიპების“ შესახებ, როდესაც შეისწავლის ისეთ სოციალურ გამოვლინებებს, როგორიცაა კლასობრივი სიძულვილი, ახლად აღზევებული პიროვნების ქცევა, სწობიზმი, ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება. იგი ამტკიცებს, რომ მსგავსი გამოვლინებები იმდენად ობიექტური ფაქტები და ქცევის წესები კი არ არის, რამდენადაც — არაერთგვაროვანი პოზიციები და შეხედულებები და ისინი ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ პროზაშია ნაწარმოდგენილი. ლიტერატურული მასალა ძალიან გამოადგება იმათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს სოციალური შეხედულებებისა და მისწრაფებების შესახვლა, რა თქმა უნდა, თუ მათ ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია შეუძლიათ. უფრო ადრეული პერიოდების შესასწავლად, ფაქტობრივად, სხვა გზა არც აქვთ: რომელიმე ეპოქის დამასასიათებელი საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად მათ მოუწევთ მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება ან ნახევრად მხატვრულისა მაინც.

მხატვრული ნაწარმოებების გმირები — არამზადები და თავგადასავალთა მაძიებელნი, ქალებიც და მამაკაცებიც, საინტერესო მინიშნებებს გვთავაზობენ ამგვარ სოციალურ ურთიერთმიმართებებზე.²² მსგავს გამოკვლევებს ყოველთვის მივყავართ ეთიკური და რელიგიური იდეების ისტორიისკენ. ჩვენთვის ცნობილია, როგორი დამოკიდებულება იყო მოღალატის მიმართ შუა საუკუნეებში, ასევე — მევახშეობის მიმართაც, რამაც აღორძინების ეპოქამდეც გასტანა და მოგვცა შეილოკის სახე (შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ პერსონაჟი, მთარგმნელის შენიშვნა), მოგვიანებით კი მოლიერის „ძუნწი“ (L' Avare). გვაინტერესებს სხვა საკითხებიც: ძირითადად, რა ითვლება არამზადა პერსონაჟის „მომაკვდინებელ ცოდვად“ შემდეგი საუკუნეებში? რა თვალსაზრისით ხდება მისი არამზადობის შეფასება, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი მორალის გათვალისწინებით?

ლიტერატურის თეორია

ამ მხრივ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს რესტავრაციის პერიოდის ინგლისური კომედია. რომელ ავტორს დავუჯვეროთ? ლემს (Lamb), რომელიც თვლიდა, რომ ეს იყო უბრალოდ ცოლქმრული დალატისა და ფიქციური ქორნინებების ზღაპრული ქვეყანა, სადაც მეუღლეები მუდმივად დალატობენ ერთმანეთს, თუ როგორც მაკოლეი (Macaulay) გვარნმუნებს, ეს გახლდათ სურათი იმისა, თუ როგორი დაცემული, ფუქსსავატი და დაუნდობელი იყო იმდროინდელი არისტოკრატია?²³ იქნებ გვმართებს ორივე თვალსაზრისის უარვყოთ და ის ვეძიოთ, თუ კონკრეტულად რომელმა სოციალურმა ჯგუფმა შექმნა ეს ხელოვნება და რომელი საზოგადოებისათვის იყო ის გამიზნული? ასევე საჭიროა დავადგინოთ, ნატურალისტურ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე თუ სტილიზებულთან. მხედველობიდან არც სატირა და ირონია, ავტოირონია და ფანტაზია უნდა გამოვვრჩეს. როგორც საერთოდ ლიტერატურა, ისე ეს პიესებიც არ არის უბრალოდ იმდროინდელი დოკუმენტები; ჩვენს წინაშეა პიესები თავისით ტრადიციული პერსონაჟებით, ტრადიციული სიტუაციებით, გათამაშებული ქორნინებებითა და საქორწინო გარიგებების პირობებით. ე. ე. სტოლი ამგვარად აჯამებს თავის მსჯელობას ამ საკითხებზე: „აშკარაა, რომ ეს არ არის „რეალური საზოგადოება“, და არც „ფეშენებელური ცხოვრების“ ობიექტური ასახვა; აშკარაა, რომ ინგლისიც — თუნდაც სტიუარტების მეფობის დროინდელი — არ არის მოქმედების ადგილი, ეს არ არის რევოლუციამდელი ან დიდი აჯანყებისწინა და არც შემდგომი პერიოდი.“²⁴

მისასალმებელია, რომ სტოლი თავის ნაწერებში ხაზს უსვამს პირობითობასა და ტრადიციას, მაგრამ ეს მთლიანად მაინც ვერ წყვეტს ლიტერატურისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს. თვით ყველაზე ძნელად მისახვედრ ალეგორიას, ყველაზე არარეალურ პასტორალს თუ ყველაზე აღმაშფოთებელ ფარსსაც კი — თუ მას შესაფერისად შევისწავლით — შეუძლია გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდოს იმდროინდელ საზოგადოებაზე.

ლიტერატურა საზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს; ის საერთო კულტურის ნაწილია და ადამიანურ გარემოში იქმნება. ტენის (Taine) ცნობილმა ტრიადამ — რასა, გარემო და დრო (მომენტი) — იმის აუცილებლობა შექმნა, რომ ლიტერატურული გარემო ყველა კუთხით შეგვესწავლა. რასა, როგორც ასეთი,

ლიტერატურა და საზოგადოება

უცნობი უცვლელი ინტეგრალია, რომელსაც ტენი მეტად თავი-სუფლად იყენებს. ხშირად ის შეიძლება ინგლისურ „ეროვნულ ხასიათს“ ან ფრანგულ „სულს“ გულისხმობდეს. დრო შეიძლება გარემოს ცნებასთან ერთიანობაში განვიხილოთ. განსხვავებული დრო უბრალოდ განსხვავებულ ფონს, გარემოცვას ნიშნავს. თუმცა, ნამდვილი ანალიზის აუცილებლობა მაშინ იჩენს თავს, თუ ტერმინ „გარემო“-ს დანაწევრებას გადავწყვეტოთ. მაშინ მოგვიხდება იმის აღიარება, რომ ლიტერატურული ნაწარმოების უპირველესი ფონი მისი ლინგვისტური და ლიტერატურული ტრადიცია, ხოლო ამ ტრადიციას, თავის მხრივ, საერთო კულტურული „კლიმატი“ მოიცავს. რაც შეეხება კონკრეტულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას, ლიტერატურას შეიძლება მასთან მხოლოდ გაცილებით ნაკლები კავშირი ჰქონდეს. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ურთიერთდამოკიდებულება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს შორის. ბოლოს, შევგიძლია დავადგინოთ გარკვეული კავშირი ნარმოების პირობებსა და ლიტერატურას შორის, რადგანაც ეკონომიკურ სისტემას თავისთავად აქვს ძალაუფლების სისტემა და მან ერთგვარად უნდა გააკონტროლოს ოჯახური ცხოვრების ფორმებიც. ოჯახი კი თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სფეროში; უმეტეს შემთხვევაში ოჯახში იღებს მოზარდი პირველად ინფორმაციას სიყვარულისა და სექსუალური სფეროს შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ იცვლებოდა ან ვითარდებოდა ადამიანური გრძნობები ისტორიის განმავლობაში. ამგვარად, შესაძლებელი ხდება, აღმოვაჩინოთ კავშირი, ერთი მხრივ, ლირიკული პოეზიასა და, მეორე მხრივ, სიყვარულის ტრადიციულ გაგებას, რელიგიურ ცრურნმენტებსა და ბუნების აღქმას შორის. მაგრამ ეს მიმართებები შეიძლება დამაბნეველი და არაპირდაპირი აღმოჩნდეს.

მიუხედავად ამისა, ძნელია დავეთანხმოთ აზრს, თითქოს ადამიანის რომელიმე კონკრეტული საქმიანობა ყველა სხვა დანარჩენის პირველმიზეზი იყოს: მაგალითად, ტენი, ადამიანის შემოქმედებას კლიმატური, ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობით ხსნის; ჰეგელის და მისი მიმდევრების აზრით, „სული“ ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა ისტორიაში; ვერც მარქსისტებს დავეთანხმებით, რომლებიც ყველაფერს ნარმოების წესების საზოგადო საზღვრავენ. მრავალი საუკუნის

ლიტერატურის თეორია

მანძილზე, დაწყებული ადრეული შუა საუკუნეებიდან ვიდრე კაპიტალიზმის განვითარებამდე, არანაირი რადიკალური ტექ-ნოლოგიური ცვლილება არ მომხდარა, იმ დროს, როდესაც კულ-ტურულმა ცხოვრებამ და, კერძოდ, ლიტერატურამ მეტად ღრმა ცვლილებები განიცადა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეპოქის ტე-ქნოლოგიურ ძვრებს ყოველთვის არც ლიტერატურა ირეკლავს, მით უმეტეს — მაშინვე. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ინგლისურ რომანში მხოლოდ მე-19 ს-ის 40-იან წლებში შეაღნია ელისაბედ გასკელის (Elizabeth Gaskell), კინგსლისა (Kingsley) და შარლოტა ბრონტეს (Charlotte Bronte) რომანების საშუალებით, თუმცა მან დიდი ხნით ადრე დააჩნია აშკარა კვალი ეკონომისტთა და სოციო-ლოგთა ნააზრევს.

უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალური სიტუაცია განაპირობებს გარკვეული ესთეტიკური ფასეულობების რეალიზაციის შესაძლებლობას, მაგრამ არა თავად ფასეულობების არსებობას. ზოგადად, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მოცემულ საზოგადოებაში ხელიოვნების რომელ ფორმებს შეუძლიათ არსებობა და რომელს არა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვინინასწარმეტყველებთ, რეალურად გაჩნდება თუ არა ხელიოვნების ეს ფორმები კონკრეტულ საზოგადოებაში. მრავალი მარქსისტი და არა მხოლოდ მარქსისტი, ცდილობს, ბევრად უფრო ზერელედ და ნაჩეარევად გადავიდეს ეკონომიკიდან ლიტერატურაზე. მაგალითად, ჯონ მეინარდ კეინსმა (Keynes) – რომლისთვისაც ლიტერატურა ნამდვილად არაა უცხო ხილი — შექსპირის არსებობა მიაწერა იმ ფაქტს, რომ:

„ჩვენ ზუსტად ისეთი მატერიალური მდგომარეობა გვქონდა იმ დროს, რომ თავისუფლად შეგვეძლო შექსპირი გვყოლოდა. დიდი პოეტები იბადებოდნენ სიცოცხლისუნარიან, მხიარულ, ეკონომიკური შეჭირვებისაგან თავისუფალ ატმოსფეროში, რაც ესმოდა მმართველ კლასსაც“.²⁵

თუმცა, სხვაგან დიდი პოეტები არ დაბადებულან. გავიხსენით, მაგ., 20-იანი წლების სამრეწველო ბუმი აშშ-ში, და არც შექსპირის ოპტიმიზმით სავსე ხატია მაინც მაინცდამაინც და-მავერებელი. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრების საწინააღმდეგო ვერსიას, რომელსაც ერთ-ერთი რუსი მარქსისტი გვთავაზობს: „შექსპირის ტრაგიკული შეხედულება სამყაროზე გამომდინარეობდა იქიდან, რომ იგი თავად

ლიტერატურა და საზოგადოება

გახლდათ დრამატული სიმბოლო ფერდალური არისტოკრატიისა, რომელსაც ელისაბედის ხანაში ადრინდელი გაბატონებული მდგომარეობა უკვე დაკარგული ჰქონდა.²⁶

ბუნდოვანი კატეგორიები — ოპტიმიზმი და პესიმიზმინ — და მათთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები კონკრეტულად ბევრს ვერაფერს გვაუწყებს შექსპირის პიესების ჯერ სოციალურ შინაარსზე, დიდი დრამატურგის პოლიტიკურ შეხედულებებზე (რომლებიც აშკარად ვლინდება მის ისტორიულ პიესებში) და მისი, როგორც მწერლის სტატუსზე.

ამასთან, მსგავსი ციტატები ძირს სულაც არ ურღვევს ლიტერატურისადმი შესწავლისადმი ეკონომიკურ მიდგომას. თავად მარქესაც, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მეტად უცნაური მსჯელობა სჩვეოდა, ზოგადად ძალზე კარგად ესმოდა, რომ ლიტერატურასა და საზოგადოებას შორის არსებული დამოკიდებულება არაპირდაპირი ხასიათისაა. „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკის“ (The Critique of Political Economy) შესავალში ის აღიარებს: „ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხურები ზოგიერთ პერიოდში არანაირ კავშირში არ არის საზოგადოების ზოგად განვითარებასთან, მატერიალურ ბაზისთან და საზოგადოების შინაგან სტრუქტურასთან. ამას ადასტურებს ბერძნების მაგალითიც, თუ მათ თანამედროვე ერებს ან თუნდაც შექსპირს შევადარებთ.“²⁷

მარქესს, ასევე, კარგად ესმოდა, რომ შრომის თანამედროვე განაწილებას მივყავართ სამ ფაქტორს (ანუ „მომენტებს“, თუ ჩვენც, მის მსგავსად, ჰეგელის ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ) შორის არსებულ გარკვეულ ნინააღმდეგობამდე. ესენია: „სანარმოო ძალები“, „სოციალური ურთიერთობები“ და „ცნობიერება“. ის მოელოდა (და მის მოლოდინს აშკარად უტოპიური ელფერი დაჰკრავს), რომ მომავლის უკლასო საზოგადოებაში შრომის ამგვარი განაწილება კვლავ გაქრებოდა და რომ ხელოვანი კვლავ ინტეგრირებული გახდებოდა საზოგადოებაში. მარქესი ფიქრობდა, რომ ყველას შეეძლო ყოფილიყო ბრწყინვალე, თვითმყოფადი მხატვარი. „კომუნისტურ საზოგადოებაში უბრალოდ მხატვრები კი არ იქნებიან, არამედ, უმეტესად, ისეთი ადამიანები, რომელთაც სხვა უნარების გარდა, ხატვის უნარიც ექნებათ“.²⁸

„გულგარული მარქესისტების“ აზრით, ბურჟუად ჩაითვლება

ლიტერატურის თეორია

ის მწერალი, რომელმაც გააქციული ან პროგრესული იდები ეკლესიისა თუ სახელმწიფოს შესახებ. საკვირველი დაპირისპირება შეიმჩნევა ამ აღიარებულ დეტერმინიზმსა (რომლის თანახმად, „ყოფიერება“ განსაზღვრავს „ცნობიერებას“ და, მაშასადამე, „ბურჟუას უბრალოდ არ ძალუძს არ იყოს ბურჟუა“) და ჩვეულებრივ ეთიკურ მსჯელობას შორის (რომელიც ბურჟუას მისი იდების გამო ამხელს და კიცხავს). რუსეთში შემდეგი ტენდენცია შეინიშნებოდა — ბურჟუაზიული წარმოშობის მწერლებს, რომლებიც პროლეტარიატის რიგებში ერთიანდებოდნენ, მუდმივად ეჭვის თვალით და უნდობლად უყურებდნენ, არ სჯეროდათ მათი გულწრფელობის და მათ ნებისმიერ შემოქმედებით თუ საზოგადოებრივ მარცხს მათსავე კლასობრივ წარმოშობას უკავშირებდნენ. და მაინც, თუ მარქსისტებს დავუჯერებთ და ვირწმუნებთ, რომ პროგრესს ფეოდალიზმიდან ბურჟუაზიული კაპიტალიზმის გავლით პირდაპირ „პროლეტარიატის დიქტატურისკენ“ მივყავართ, მაშინ ნებისმიერი მარქსისტის ლოგიკური და თანამიმდევრული საქციელი უნდა ყოფილიყო ხოტბის შესხმა ამ გზის პროგრესული ეტაპებისთვის. ასე რომ, წესით, მან ქება არ უნდა დაიშუროს იმ ბურჟუასთვის, რომელიც კაპიტალიზმის ადრეულ პერიოდში ფეოდალიზმის ნაშთებს ებრძოდა. თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ მარქსისტები მწერლებს XX ს-ის თვალსაწილებად აკრიტიკებენ ან კიდევ (სმირნოვისა და გრიბის მსგავსად, რომლებიც „ვულგარული სოციოლოგიის“ მიმართ ძალზე კრიტიკულად არიან განწყობილნი) ინდობენ ბურჟუაზიულ მწერალს, რადგან მასაც კაცობრიობის ნაწილად აღიარებენ. ამგვარად, სმირნოვი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შექსპირი ყოფილა „ბურჟუაზიის ჰუმანისტი იდეოლოგი, ამ კლასის იდებისა და პროგრამის გამოხატველი იმ დროს, როცა კაცობრიობამ ჰუმანიზმის სახელით პირველად შეიტანა ეჭვი ფეოდალურ წყობაში.“²⁹ მაგრამ ხელოვნების ჰუმანიზმის, მისი უნივერსალურობის კონცეფცია ექვემდებარება მარქსიზმის ცენტრალურ დოქტრინას, რომელიც თავისი არსით რელატივისტური ხასიათისაა.

მარქსისტული კრიტიკა საუკეთესოდ ავლენს საკუთარ არსს, როცა ის ააშეარავებს ნაწარმოებში ჩადებულ, ხშირად შეფარულ მინიშნებებს. ამ კუთხით თუ მივუდგებით, დავინახავთ, რომ ეს გახლავთ ტექსტის ინტერპრეტაციის ტექნიკა, რომელიც

ანალოგიურია იმ მეთოდისა, რომელიც ეყრდნობა ფროიდის, ნიც-შესა თუ პარეტოს (Pareto) მიგნებებს, ან შელერ-მანჰაიმის (Scheler-Mannheim) „ცოდნის სოციოლოგიას“. ყველა ზემოთ ნახსენები ინტელექტუალი უნდობლად ეკიდება ინტელექტს, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დოქტრინას, არსებით აზრს. ძირითადი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ნიცშე და ფროიდი ფსიქოლოგიური მეთოდებით სარგებლობენ, ხოლო პარეტოსეული „ნარჩენებისა“ და „ნარმონაქმნების“, აგრეთვე — შელერ-მანჰაიმის „იდეოლოგიის“ ანალიზის ტექნიკა სოციოლოგიური ხასიათისაა.

„ცოდნის სოციოლოგია“, თუ დავიმოწმებთ მაქს შელერის, მაქს ვებერისა და კარლ მანჰაიმის ნაწერებს, დეტალურად იქ ნა შემუშავებული და თავის კონკურენტებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს.³⁰ ის მკითხველის ყურადღებას ამახვილებს არა მარტო კონკრეტული იდეოლოგიური თვალსაზრისის ნინაპირობებსა და მინიშნებებზე, არამედ ხაზს უსვამს თავად მკვლევრის ფარულ ვარაუდებსა და მიკერძოებულ მსჯელობას, იმდენად, რომ მისი თვითკრიტიკა და თვითკონტროლი თითქმის არაჯანსაღ იერს იძენს. გარდა ამისა, „ცოდნის სოციოლოგიაში“, მარქსიზმთან და ფსიქოანალიზთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად გვხვდება ტენდენცია იმისა, რომ ცვლილებათა განმაპირობებლად ერთი რომელიმე ფაქტორი მივიჩნიოთ. მაქს ვებერის გამოკვლევის უდავო ხარვეზი ის არის, რომ იგი ამ როლს რელიგიურ ფაქტორს მიაწერს, მაგრამ მისი ნაშრომი რელიგიის სოციოლოგიაში მაინც მეტად ღირებულია, რადგან ავტორი ცდილობს ასახოს იდეოლოგიური ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ქცევასა და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე; არადა, მანამდე მთელი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ, რომ შეესნავლათ, რა გავლენას ახდენდა ეკონომიკა იდეოლოგიაზე.³¹ მეტად დროული და მისასალმებელი იქნებოდა მსგავსი გამოკვლევის ჩატარება იმის დასადგენად, თუ როგორია ლიტერატურის გავლენა სოციალურ ცვლილებებზე, თუმცა იქაც ანალოგიურ სირთულებს წავანებდებოდით. ლიტერატურული ფაქტორის გამოყოფა ისეთივე რთული საქმეა, როგორც რელიგიურისა, და ძალზე ძნელია პასუხის გაცემა შეკითხვაზე: არის თუ არა ეს გავლენა გამოწვეული თვითონ ამ კონკრეტული ფაქტორით, თუ ამ პროცესში სხვა ძალებიც არიან ჩართული და თავად ეს ფაქტორი მხოლოდ „არხის“ ანუ შემაკავშირებლის როლს ასრულებს?³²

ლიტერატურის თეორია

„ცოდნის სოციოლოგიას“ ძალზე აზარალებს მისი გადამეტებული ისტორიზმი; იმ თეზისის მიუხედავად, რომ „ობიექტურობას“ შეიძლება სინთეზირების გზით მივაღწიოთ და, ამდენად, მოვახდინოთ კონფლიქტური შეხედულებების ნეიტრალიზაციაც, მაინც საქმე გვაქვს უკიდურესად სკეპტიკურ დასკვნებთან. „ცოდნის სოციოლოგია“ ასევე ზარალდება ლიტერატურასთან მიმართებით, რადგანაც ვერ ახერხებს „შინაარსის“ დაკავშირებას „ფორმასთან“. მარქსიზმის მსგავსად, რომელიც საჭიროზე მეტ ყურადღებას უთმობს ირაციონალურ ახსნა-განმარტებებს, „ცოდნის სოციოლოგიაც“ ვერ გვთავაზიობს რაციონალურ საფუძველს ესთეტიკისათვის და აქედან გამომდინარე, ვერც კრიტიკისა და შეფასებისათვის. ცხადია, ეს შეეხება ლიტერატურულ ნაწარმოებს კაუზალური (მიზეზობრივი) კუთხით შევისწავლით, ჯეროვნად ვერ მოვახდენთ ტექსტის ანალიზს, აღწერასა და შეფასებას.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საკითხი „ლიტერატურა და საზოგადოება“ შეიძლება სხვაგარადაც განვიხილოთ, მათ შორის — სიმბოლური, მრავალმნიშვნელოვანი ტერმინების მეშვეობით. მაგ.: თანმიმდევრულობა, ჰარმონია, სიმწყობრე, შესაბამისობა, სტრუქტურული იდენტურობა, სტილისტური ანალოგია ან სხვა რომელიმე ტერმინი, რითაც გვინდა აღვნიშნოთ კულტურისა და ადამიანის სხვადასხვა მოღვაწეობას შორის დამოკიდებულების ინტეგრაცია. სორიკინმა (Sorokin) გაანალიზა შესაძლო ვარიანტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინტეგრაციის ხარისხი სხვადასხვაგვარია საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.³³

მარქსიზმის მოძღვრებაში ვერ ვიპოვით პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად არის დამოკიდებული ლიტერატურა საზოგადოებისგან. ასე რომ, მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლა ჯერ დაწყებულიც არ არის. ხანდახან შეიძლება მოგვეჩენოს, რომ უანრები სოციალურადაა განპირობებული, მაგ., როდესაც საუბარია რომანის ბურჟუაზიული წარმომავლობის შესახებ, ან კიდევ — უანრების ფორმებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. ამის ნიმუშია ე. ბ. ბერგამის (Burgum) არცთუ დამაჯერებელი შეხედულება, თითქოს ტრაგიკომედია „იმ გავლენის შედეგია, რომელიც საშუალო კლასის

სერიოზულობამ მოახდინა არისტოკრატიის ფუქსავატობაზე.“ (იხ. Edwin Berry Burgum, ‘Literary Form: Social Forces and Innovations’, The Novel and the World’s Dilemma, New York 1947).³⁴ არსებობს კი კონკრეტული სოციალური ნინაპირობები ისეთი ფართო ლიტერატურული სტილისა, როგორიც რომანტიზმია? თუმცა იგი ბურჟუაზიასთან ასოცირდებოდა, მაგრამ თავიდანვე ანტი-ბურჟუაზიული იყო, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში მაინც.³⁵ აშეარაა, რომ ლიტერატურული იდეოლოგიები და თემები გარკვეული სახით დამკიდებულია სოციალურ გარემოებებზე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჯეროვნად იყოს დადგენილი ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფორმებისა და სტილის, უანრებისა და რეალურ ლიტერატურულ ნორმათა სოციალური საწყისები.

ამგვარი კვლევის მცდელობის ყველაზე კონკრეტული შედეგი ლიტერატურის სოციალური საწყისების შესწავლამ მოგვცა. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ბიუჰერის (Bücher) ცალმხრივი თეორია, რომლის თანახმად, პოეზია ნარმოშვა შრომის სიმღერებიდან, ასევე, ანთროპოლოგების მრავალი გამოკვლევა ადრეული ხელოვნების მაგიური როლის შესახებ; ჯორჯ ტომსონის (George Thomson) მეტად აკადემიური მცდელობა, გამოენახა კონკრეტული კავშირი, ერთი მხრივ, ბერძნულ ტრაგედიასა და, მეორე მხრივ, კულტსა და რიტუალებსა და დემოკრატიულ სოციალურ რევოლუციას შორის ესქილეს ეპოქაში; საკმაოდ გულუბრყვილო ქრისტოფერ კოდუელის (Christopher Caudwell) მცდელობა, პოეზის საწყისები დაექცენა პირველყოფილი თემის ემოციებსა და ბურჟუაზიის ინდნებიდუალური თავისუფლების „ილუზიაში“.³⁶

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდავოდ დამტკიცდება ლიტერატურული ნორმების განპირობებულობა სოციალური ფაქტორებით, შევძლებთ დავსგათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ სოციალური დამკიდებულებები იქცეს ხელოვნების ნაწარმოების „შემადგენელ ნაწილად“ და კეთილისმყოფელი როლი შესარულოს მისი მხატვრული ფასეულობის განმტკიცებაშიც? შეიძლება შემოგვედავონ და იმის მტკიცება დაინყონ, რომ, მართალია, „სოციალური ჭეშმარიტება“, როგორც ასეთი, არ ნაწარმოადგენს მხატვრულ ლირებულებას, მაგრამ მაინც განამტკიცებს ისეთ მხატვრულ ლირებულებებს, როგორებიცაა სირთულე და სიმწყობრე. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საჭირო. არსებობს მართლაც დიდე-

ლიტერატურის თეორია

ბული ლიტერატურა, რომელსაც აქვს უმნიშვნელო სოციალური დატვირთვა ან საერთოდ არავითარი სოციალური დატვირთვა არა აქვს. სოციალური ლიტერატურა ლიტერატურის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა და არც ლიტერატურის თეორიაში უკავია გადამწყვეტი ადგილი, თუ, რა თქმა უნდა, არ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა ცხოვრების, კერძოდ კი, სოციალური ცხოვრების „იმიტაციაა“ (როგორც არის კიდეც სინამდვილეში). მაგრამ ლიტერატურით ხომ ვერც სოციო-ლოგიას ჩავანაცვლებთ და ვერც პოლიტიკას. მას საკუთარი დანიშნულება და მიზანი აქვს.

თავი მეათე

ლიტერატურა და იდეოპი

*

ლიტერატურისა და იდეების ურთიერთმიმართებას შეიძლება რამდენიმე მკვეთრად განსხვავებული ახსნა მოეძებნოს. ხშირად ლიტერატურას მიზნევენ ფილოსოფიის ერთ-ერთ ფორმად, ანუ ფორმაში „შეფუთულ“ იდეებად და მისი ანალიზის მიზანია „მონინავე იდეების“ გამოვლენა. ლიტერატურათმცოდნეებიც სწორედ ამგვარად განაზოგადებენ და აჯამებენ ნაწარმოებებს. ეს მეთოდი აბსურდულ უკიდურესობამდე მიიყვანა მკვლევართა გაცილებით ადრეულმა სკოლამ. ამის კარგი მაგალითია შექსპირის გერმანული მკვლევარი ულრიცი (Ulrichi), რომელმაც „ვენეციული ვაჭრის“ (The Merchant of Venice) ცენტრალური იდეა შემდეგ გამონათქვამდე დაიყვანა: *summum jus summa injuria*¹ (ლათ. უპირობოდ აღსრულებული სამართალი (ზოგჯერ) უდიდესი უსამართლობის ტოლფასია, მთარგმნელის შენიშვნა);

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ჩვენი თანამედროვე მკვლევარებისა სიფრთხილით ეკიდება ამგვარ მეტისმეტი ინტელექტუალიზაციას, მაინც შემორჩია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ლიტერატურული ნაწარმოები ფილოსოფიურ ტრაქტატად უნდა მივიჩნიოთ.

ამის საპირისპირო შეხედულება ლიტერატურას ათავისუფლებს ყოველგვარი ფილოსოფიური დატვირთვისაგან. თავის მოხსენებაში „ფილოსოფია და პოეზია“, ჯორჯ ბოასი პირდაპირ აცხადებს:

„პოეზიაში გამოხატული იდეები, ჩვეულებისამებრ, მოძველებულია და არცთუ იშვიათად — მცდარიც. 16 წელს გადაცილებული არც ერთი ადამიანი არ დახარჯავს დროს მხოლოდ იმის გასაგებად, თუ რა აზრია მასში ჩადებული.“²

თუ დავუჯერებთ ტ. ს. ელიოტს, „შექსპირი და დანტე დიდი მოაზროვნები როდი გახლდნენ.“³ შეიძლება დავეთანხმოთ ბოესსაც, რომლის აზრით, თითქმის მთელი პოეზიის ინტელექ-

ლიტერატურის თეორია

ტუალური შინაარსი (ბოესი კი ძირითადად ლირიკულ პოეზიას გულისხმობს), როგორც წესი, ძალზე გაზვიადებულია. თუ გავანალიზებთ ბევრ ცნობილ ლექსს, რომლებსაც სწორედ თავიანთი ღრმა ფილოსოფიური აზრისთვის აქებენ, ხშირად ხელში შეგვრჩება ადამიანის ცხოვრების ნარმავლობაზე ან ბედისწერის თემაზე შექმნილი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ნანარმოები. თუ ყურადღებით ნავიკითხავთ ვეტორიანული ეპოქის ლამის მისნად შერაცხული პოეტის, ბრაუნინგის გამონათქვამებს, ხშირ შემთხვევაში ვნახავთ, რომ ისინი სხვა არაფრია, თუ არა მოარულ ჭეშმარიტებათა გამარტივებული ვერსიები.⁴ მაშინაც კი, თუ მოვგონხ ისეთი ზოგადი დებულება, როგორიცაა კიტსის „სილამაზეა ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კი — სილამაზე“ (ფრაგმენტი კიტსის ლექსიდან „ოდა ბერძნულ ურნას“, Ode to a Grecian Urn, მთარგმნელის შენიშვნა), მაინც მოვგინევს ბევრი ფიტრი იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს ურთიერთშექცევადი დებულებები, სანამ არ გავაზრჩებთ მათ, როგორც ლექსის შემჯამებელ ფრაზას ხელოვნების მარადიულობისა, ბუნების სილამაზისა და ადამიანური განცდებისა და ნარმავლობის შესახებ. როდესაც მხატვრული ნანარმოები დაგვყავს უბრალო დოგმატურ განაცხადამდე, ან იზოლირებულად განვიხილავთ ნანარმოების ნაწყვეტებს, ამით ისპობა ნანარმოების უნიკალურობას, ირლვევა მისი სტრუქტურა და შეფასებისთვის გამოიყენება სრულიად შეუსაბამო კრიტერიუმები.

უეჭველია, რომ ლიტერატურა ერთგვარ საბუთს ნარმოადგენს იდებისა და ფილოსოფიის ისტორიაში, რადგან ლიტერატურული ისტორია ინტელექტუალური ისტორიის პარალელურად მიმდინარეობს და ირკვლავს კიდეც მას. პოეტის მიერ გაკეთებული პირდაპირი განაცხადებები თუ მინაშენებები ხშირად იმის მაჩვენებელია, რომ ის იზიარებდა, კარგად იცნობდა, ან ზოგადი ნარმოდგენა ჰქონდა ამა თუ იმ კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის შეხედულებებზე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამერიკელი სწავლულების მთელმა ჯგუფმა ამ საკითხების შესწავლას თავდაუზოგავიშრომა შეალია. თავიანთმეთოდს მათ უნიდეს „იდეათა ისტორია“, ცოტა არ იყოს დამაბნეველი ტერმინი ისეთი კონკრეტული და განსაზღვრული მეთოდისათვის, რომელიც განავითარა ა. ო. ლავჯონმ (A. O. Lovejoy) და ხელიც შეუწყო მის გავრცელე-

ბას.⁵ მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა ამ მეთოდის ეფექტიანობა თავის წიგნში „ყოფიერების დიადი ჯაჭვი“ (The Great Chain of Being). ლავჯოი შეისწავლის ბუნების გრადაციის იდეას პლატონიდან შელინგამდე (Schelling) და განიხილავს მას აზროვნების ყველა სისტემაში, როგორიცაა ფილოსოფია ყველაზე ზუსტი გავებით, სამეცნიერო სწავლება, თეოლოგია და თავად ლიტერატურა. ეს მეთოდი ფილოსოფიის ისტორიისგან ორი ასპექტით განსხვავდება. ლავჯოი ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას დიდი მოაზროვნებით ითვარგლება და საკუთარ „იდეათა ისტორიაში“ აერთიანებს უფრო მცირე მასშტაბის მოაზროვნეთ, მათ შორის — პოეტებსაც, რომლებიც, მისი შეხედულებით, მოაზროვნეთა კლასიდან წარმოსდგებიან. ლავჯოი კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს განსხვავებას, როდესაც აცხადებს, რომ ფილოსოფიის ისტორია დიდ სისტემებს შეისწავლის, იდეათა ისტორია კი ცალკეულ იდეებს, ანუ იგი ანანევრებს ფილოსოფიურ სისტემებს და შეისწავლის ინდივიდუალურ მოტივებს.

ლავჯოის მიერ შემოთავაზებული საზღვრები, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად შესაფერისი საფუძველია ისეთი კერძო გამოკვლევისათვის, როგორიცაა „ყოფიერების დიადი ჯაჭვი“, განზოგადებული სახით დამაჯერებლად არ გამოიყურება. ფილოსოფიურ ცნებათა ისტორია სამართლიანად ეკუთვნის ფილოსოფიის ისტორიას და დიდი ხნის წინათ ჰეგელიც და ვინდელბანდიც მას ასე მოიაზრებდნენ. რა თქმა უნდა, ცალმხრივი იქნებოდა ერთეული იდეების შესწავლა და სისტემების გამორიცხვა. ეს იგივეა, რომ ლიტერატურის შესწავლისას მხოლოდ ვერსიფიკაციის, დიქტიისა თუ სახისმეტყველების ისტორიით შემოვიყარგლოთ, უარი ვთქვათ მხატვრული ნაწარმოებების მთლიანობაში შესწავლაზე და არ ვცნოთ მათი მთლიანობა. „იდეათა ისტორია“ აზროვნების ზოგადი ისტორიის შესწავლის მხოლოდ ერთი კონკრეტული მეთოდია, რომელიც ლიტერატურას იყენებს მხოლოდ როგორც საპუთსა და განმარტებას. ეს თვალსაზრისი ნათლად ჩანს, როდესაც ლავჯოი სერიოზულ, ღრმააზროვან ლიტერატურაში გაშლილ იდეათა უმრავლესობას მოიხსენიებს, როგორც „ფილოსოფიურ იდეებს განზავებულ მდგომარეობაში“.⁶

მიუხედავად ამისა, „იდეათა ისტორიას“ მაინც კეთილმოსურნედ უნდა მოეკიდონ ლიტერატურის მკვლევარნი, და არა

ლიტერატურის თეორია

მარტო იმიტომ, რომ ფილოსოფიის ისტორიის უკეთ გააზრება ლიტერატურას მხოლოდ და მხოლოდ გამოადგება. ლავჯონის მეთოდი მიმართულია აზროვნების ისტორიის მკვლევართა უმრავლესობის ჭარბი ინტელექტუალიზაციის წინააღმდეგ. იგი აღიარებს იმ ფაქტს, რომ აზროვნება ან, ყოველ შემთხვევაში, აზროვნების სისტემებს შორის გაკეთებული არჩევანი ხშირად განპირობებულია სხვადასხვა შეხედულებით და ვარაუდებით, მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებელი მენტალური ჩვევებითა თუ ქცევით. ეს მეთოდი ასევე ეთანხმება იმ აზრს, რომ, როდესაც ადამიანები რაიმე იდეის მიმდევარნი ხდებიან, ამაში დიდ როლს ასრულებს მათი მიღრეკილება მეტაფიზიკური პათოსის სხვადასხვა ფორმების მიმართ და ისიც, რომ იდეები, ხშირად, განსაკუთრებული დატვირთვის მქონე სიტყვები, ხელშეუხებელი ფრაზებია, რომლებიც სემანტიკურად არის შესწავლილი. ლეო შპიცერმა (Leo Spitzer), რომელმაც ლავჯონის „იდეათა ისტორიას“ მრავალი ნაკლი გამოუნახა, თავად შემოგვთავაზა საუცხოო მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა შევუხამოთ ერთმანეთს ინტელექტუალური და სემანტიკური ისტორია ისეთი სიტყვების კვლევისას, როგორებიცაა „milieu“ (გარემო), „ambience“ (გარემოცვა) და „Stimmung“ (გერმ. განწყობა, ატმოსფერო), ენის ისტორიაში მათი ყველა ასოციაციისა და ცვლილებათა გათვალისწინებით.⁷ ბოლოს, ლავჯონის სქემას აქვს ერთი მეტად მიმზიდველი თვისება. იგი აშკარად არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ლიტერატურული და ისტორიული კვლევები დაიყოს ეროვნებისა და ენების მიხედვით.

პოეტური ტექსტის ინტერპრეტაციისათვის ფილოსოფიისა და ზოგადად, აზროვნების ისტორიის კოდნა ნამდვილად არ არის ზედმეტი. ამას რომ თავი დავანებოთ, ლიტერატურის ისტორიას მუდმივად უხდება აზროვნების ისტორიის პრობლემების განხილვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს ისეთ მწერლებთან, როგორიც არის პასკალი, ემერსონი, ნიცშე. მართლაც, კრიტიკის ისტორია, უბრალოდ, ერთ-ერთი ნაწილია ესთეტიკური აზროვნების ისტორიისა, ყოველ შემთხვევაში თუ მას ცალკე, განყენებულად განვიხილავთ და არა მის თანამედროვე მხატვრულ ნიმუშებთან ერთად.

ეჭვი არავის შეეპარება იმაში, რომ თავისუფლად შეგვიძლია ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახა ინგლისურ ლიტერატურაში ფილოსოფია. ელისაბედის ხანის პოეზია გამსჭვალულია აღორ-

ლიტერატურა და იდეები

ძინების დროინდელი პლატონიზმის იდეებით: სპენსერმა (Spenser) დაწერა ოთხი ჰიმნი, რომლებშიც აღნერილია აღმასვლა მატერიიდან დათიურ სილამაზემდე ნეოპლატონიზმის მოძღვრების გათვალისწინებით. ხოლო თავის „ფერიათა დედოფალში“ (Faerie Queene) პოეტი ცვალებადობასა და ბუნებას შორის კამათს მარადიული, უცვლელი წესრიგის სასარგებლოდ წყვეტს. მარლოსთან იმდროინდელი იტალიური ათეიზმისა და სკეპტიციზმის გამძახილს ვხვდებით. რენესანსული პლატონიზმის მრავალ ნიშანს შექსპირთანაც კი წავაწყდებით. მაგ., „ტროილუსში“ (Troilus), ულისეს ცნობილ სიტყვაში, სადაც მონტენის აზრების ექოც ისმის და სტოკოსთა გაცვეთილი ფრაზებიც. დონის (Donne) პოეზიაში ჩანს, რომ მას შესწავლილი ჰქონდა ნმინდა მამათა და სქოლასტიკოსთა ნაწერები, და რომ მასზე გავლენა მოახდინა ახალმა მეცნიერებამ. მილტონმა თავად შექმნა მეტად დამოუკიდებელი საკუთარი თეოლოგია და კოსმოგონია, რომელიც, ერთი ინტერ-პრეტაციის მიხედვით, თავის თავში აერთიანებს მატერიალისტურ და პლატონისტურ ელემენტებს და, ამასთან ერთად, კავშირი აქვს როგორც აღმოსავლურ აზროვნებასთან, ისე მაშინდელ სექტებთან, მაგ., მორტალისტებთან.

დრაიდენმა დაგვიტოვა ფილოსოფიური პოეზია, რომელიც იმდროინდელ თეოლოგიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებს გადმოგვცემს და გვიდასტურებს, რომ ავტორი იცნობდა ფიდეიზმს, თანამედროვე მეცნიერებას, სკეპტიციზმსა და დეიზმს. რაც შეეხება ტომსონს (Thomson), მან აღნერა სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია ნიუტონიანიზმი და შაფტსბერის (Shaftesbury) იდეები. პოუპის „ესე ადამიანზე“ საგვეა ექოებით მრავალი ფილოსოფიური თეორიიდან; რაც შეეხება გრესის, მან ლათინური ჰეგიამეტრებით წარმოგვიდგინა ლოკის თეორიები. ლორენს სტერნიც ლოკის მხურვალე თაყვანისმცემელი გახლდათ და მისი იდეები ასოციაციებისა და ხანგრძლივობის შესახებ, უხვად გამოიყენა (ხშირად კომიკური ეფექტისათვის) „ტრისტრამ შენდიში“.

დიდ რომანტიკოს პოეტებს თუ გადავხედავთ, კოლრიჯი (Coleridge) თავად გახლდათ საკმაო გაქანების და რეპუტაციის მქონე ნასწავლი ფილოსოფოსი. მან დაწვრილებით შეისწავლა კანტი და შელინგი და გადმოგვცა მათი შეხედულებები, თუმცა

ლიტერატურის თეორია

ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის კრიტიკულად კოლრიჯის პოეზია, ცოტა არ იყოს, დააზარალა მისმა მუდმივმა ჩაძირვამ ფილოსოფიაში, მაგრამ, სწორედ მისი წყალობით შეაღნია ინგლისურ პოეზიაში მრავალმა გერმანულმა, უფრო ზოგადად კი ნეოპლატონურმა ფილოსოფიურმა იდეამ. ზოგი მათგანი მანამდეც არ-სებობდა ინგლისური პოეზიის ტრადიციაში, მაგრამ კოლრიჯმა უფრო აქტუალური გახდა. კანტის კვალი ატყვია უორდსურ-თის პოეზიას. ისიც თქმულა, რომ იგი ძალიან კარგად იცნობდა ჰარტლის (Hartley) ფსიქოლოგიურ თეორიებს. თავდაპირველად შელიმ მე-18 ს.-ის ფრანგი ფილოსოფოსებისა და, ასევე, მათი ინ-გლისელი მონაფის, გოდვინის დიდი გავლენა განიცადა; თუმცა, მოგვიანებით იგი უფრო მეტად სპინოზას, ბერკლისა და პლატონის მიმდევარი გახდა.

ვიქტორიანული ხანის ნინააღმდეგობა მეცნიერებასა და რე-ლიგიას შორის კარგად აისახა ტენისონისა (Tennyson) და ბრაუნინ-გის (Browning) პოეზიაში. სუინბერნი (Swinburne) და ჰარდი (Hardy) ასახავენ თავიანთი დროის პესიმისტურ ათეზმს. ჰოფინგისა (Hof-figenis) კი გვიჩვენებს, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე დანს სკოტუსის (Duns Scotus) იდეებმა. ჯორჯ ელიოტმა (George Eliot) თარგმნა ფოიერბახი (Feuerbach) და შტრაუსი (Strauss), შოუ (Shaw) კი კარ-გად იცნობდა სემუელ ბატლერისა (Samuel Butler) და ნიცშეს ნაშ-რომებს. თანამედროვე პოეტების უმეტესობას ნაკითხული აქვთ ფრონდის შრომები ან მასზე დაწერილი წიგნები და გამოკვლევები. ჯოისი (Joyce) კარგად იყო განსწავლული არა მარტო ფრონდისა და იუნგის მოძღვრებებში, არამედ ასევე კარგად იცნობდა ვიკოს (Vico), ჯორდანო ბრუნოსა (Giordano Bruno) და, რა თქმა უნდა, თომა აქვინელის (Thomas Aquinas) ნააზრევს; იეიტსი ღრმად გაიტა-ცა თეოსოფიამ, მისტიციზმად და ბერკლიმაც კი.

სხვა ქვეყნების ლიტერატურასაც თუ მიმოვიხილავთ, ამგვარ მაგალითებს კიდევ უფრო უხვად ვნახავთ. არსებობს დანტეს თეოლოგიის ურიცხვი ინტერპრეტაცია. საფრანგეთში ე-შილსონმა (Gilson) თავისი განსწავლულობა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში გამოიყენა რაბლესა (Rabelais) და პასკალის (Pascal) ტექსტების გასარჩევად.⁸ პოლ აზარმა (Paul Hazard) დიდი პროფესიონალიზმით დაწერა „ევროპული აზროვნების კრიზისი“ მე-17 ს.-ის ბოლოსკენ (*Crise de la conscience europeenne*), სადაც ის აღ-

წერს განმანათლებლობის იდეების გავრცელებას და უფრო გვი-ანდელ ნაშრომში — ამ იდეათა დამკვიდრებას მთელს ევროპაში.⁹ გერმანიაში არსებობს უამრავი გამოკვლევა, რომლებიც შეისწავლიან შილერს, როგორც კანტის იდეების მიმდევარს, გოეთეს კავშირს პლოტინთან და სპინოზასთან, კლაისტისას — კანტთან, ჰებელისას — ჰეგელთან და მსგავს საკითხებს. გერმანიაში, ფილოსოფოსებსა და პოეტებს, ხშირად, მართლაც უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდათ, განსაკუთრებით — რომანტიზმის პერიოდში, როდესაც ფიჩტე, შელინგი და ჰეგელი პოეტებთან ცხოვრობდნენ და მაშინ, როცა ჰოლდერლინისთანა წმინდა წყლის პოეტიც კი თავს ერთგვარად მოვალედ თვლიდა, რომ სისტემატურად ეფიქრა გნოსეოლოგიისა და მეტაფიზიკის საკითხებზე. თუ რუსეთს გადავხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დოსტოევსკის და ტოლსტოის ძალზე ხშირად ისე მოიხსენიებენ, როგორც მხოლოდ ფილოსოფოსებსა და რელიგიურ მათრიცნებს; პუშკინთანაც კი ეძებენ რაღაც, ცოტა არ იყოს, ძნელად მოსახელთებელ სიბრძნეს.¹⁰ სიმბოლისტური მოძრაობის პერიოდში, რუსეთში ასპარეზზე „მეტაფიზიკური კრიტიკოსების“ მთელი სკოლა გამოჩნდა, რომლებიც ლიტერატურას თავიანთი საკუთარი ფილოსოფიური მრჩამსის მიხედვით აანალიზებდნენ. ისინი ყველანი — როზანოვი, მერეჟკოვსკი, შესტოვი, ბერდიაევი და ვაჩიჩელავი ივანოვი — წერდნენ დოსტოევსკიზე და დოსტოევსკის შესახებ.¹¹ ზოგჯერ მას იყენებდნენ როგორც უბრალოდ ტექსტს, რათა ექადაგათ საკუთარი დოქტრინები. ხდებოდა, როსდესაც მწერალს რაღაც ფილოსოფიურ სისტემის ჩარჩოებში აქცევდნენ და მხოლოდ ძალიან იშვიათად ახსენდებოდათ, რომ მასში ტრაგიკოსი რომანისტი დაენახათ.

ამგვარი შრომების ბოლოს, ან უმჯობესია თავიდანვე, უნდა დავხსვათ რამდენიმე კითხვა, რომლებსაც, როგორც წესი, ყოველთვის გასაგებად არ უპასუხებენ. რამდენად შესაძლებელია, რომ ფილოსოფოსთა ნააზრევის უბრალო გამოძახილმა პოეტის შემოქმედებაში განსაზღვროს ავტორის მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით კი ისეთი დრამატული ავტორისა, როგორიც შექსპირია? იყვნენ კი პოეტები და საერთოდ მწერლები აშკარად გამოხატული და სისტემატური მიმდევრები ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრებისა? განა დღეს გამართლებულია იმის მტკიცება, რომ გასულ საუკუნეებში მწერალს უნდა ჰქონდა საკუთარი

ლიტერატურის თეორია

ფილოსოფია, ამის მოთხოვნილებაც კი უნდა ეგრძნო ან ისეთი ხალხის გარემოცვაში უნდა ეცხოვრა, რომელიც უბიძებდნენ დამოუკიდებელი აზროვნების სისტემის შექმნისაკენ, ან გნებავთ, დაინტერესებული იქნებოდნენ ამით? განა ხშირად მეტისმეტად გადაჭარბებულად არ წარმოგვიდგენენ ლიტერატურის ისტორიკოსები მწერალთა (ეს თანამედროვე ავტორებსაც ეხებათ) ფილოსოფიური მრჩამსის ერთიანობას, სიცხადესა თუ მასშტაბს?

მაშინაც კი, თუ საუბარია განვითარებული თვითცნობიერების მქონე მწერლებზე, ზოგჯერ კი — ფილოსოფოსებზე, რომლებსაც მჭვრტყელობისადმი მიღრეულება ახასიათებთ და თვითონაც ქმნიან „ფილოსოფიურ“ პოეზიას, მაინც მოგვიწევს შემდეგი კითხვების დასმა: არის თუ არა პოეზია მით უკეთესი, რაც უფრო ფილოსოფიურია იგი? შეგვიძლია თუ არა პოეზია შევაფასოთ იმ ფილოსოფიის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც მასმია გადმოცემული ან იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად და ლრმად არის გაგებული იმ ფილოსოფიური მოძღვრების არსა, რომელსაც ის პოეტურად გამოხატავს? ან იქნებ იმ კუთხით უნდა შევაფასოთ პოეზია, თუ რამდენად ახალი, ორიგინალური სახით გვაწვდის ტრადიციულ, უკვე არსებულ ნააზრევს? ცნობილია, რომ ტ. ს. ელიოტი დანტეს შექსპირზე მაღლა აყენებდა, რადგან დანტეს ფილოსოფია უფრო ჯანსაღად და ლოგიკურად მიაჩნდა. გერმანელი ფილოსოფოსი ჰერმან გლოცნერი (Hermann Glockner) ამტკიცებს, რომ პოეზია და ფილოსოფია არასოდეს ისე დაშორებული არ ყოფილა ერთმანეთისაგან, როგორც დანტეს შემოქმედებაში, რადგანაც მისი აზრით, დანტემ უკვე არსებული, დასრულებული ფილოსოფიური სისტემა ჩაიბარა და ახალი არა მიუმატა რა.¹² იდეათა ნამდვილი ურთიერთგაზიარება ფილოსოფიასა და პოეზიას შორის მოხდა მოაზროვნე პოეტთა ხანაში. ასეთები იყვნენ — ემპედოკლე (Empedocles) სოკრატემდელ საბერძნეთში, აღორძინების ეპოქაში ფიჩინო (Ficino) და ჯორდანო ბრუნო, რომლებიც პოეზიასაც ქმნიდნენ და ფილოსოფიასაც, ანუ პოეტურ ფილოსოფიას და ფილოსოფიურ პოეზიას. მოგვიანებით იყო გოეთე გერმანიაში, რომელიც პოეტიც გახლდათ და თვითმყოფი ფილოსოფოსიც.

საკითხავი ისაა, შევაფასებთ კი ამგვარი ფილოსოფიური სტანდარტებით ლიტერატურულ ნაწარმოებებს? იმის გამო ხომ

ლიტერატურა და იდეები

არ უნდა დავიწუნოთ პოუპის „ესე ადამიანზე“, რომ პოეტმა მრავალი განსხვავებული წყარო გამოიყენა და, მთლიანობაში, ტექსტის ერთიანობა დარღვეულია? შელიმ თავისი ცხოვრების ერთ ეტაპზე ზურგი აქცია გოდვინის ჩამოუყალიბებელ მატერიალიზმს და პლატონის იდეალიზმს მიაპყრო თვალი. ეს თავისთავად პროგრესული ნაბიჯი შელის კარგი პოეტობის მაჩვენებელია თუ ცუდის? რამდენად აქცს ამას კავშირი შელის პოეზიასთან? თანამედროვე მეითხველთა თაობაში არსებობს შეხედულება, რომ შელის პოეზია ბუნდოვანი, მონოტონური და მოსაწყენია. შესაძლებელია თუ არა, უარყოფის ეს აზრი, თუ დავამტკიცებთ, რომ შელის ფილოსოფიას თავის დროზე გარკვეული ღირებულება პქონდა და ესა თუ ის ადგილი მის ნანარმობებში ბუნდოვანი და უაზრო კი არაა, არამედ იმდროინდელ მეცნიერულ თუ ფსევდომეცნიერულ იდეებზე მიგვანიშნებს.¹³ ყველა ეს კრიტერიუმი უეჭველად დაფუძნებულია ინტელექტუალისტურ გაუგებრობაზე, რადგანაც ფილოსოფიისა და ხელოვნების ფუნქციები არასწორად არის გაგებული. ისიც არასწორად არის გაგებული, თუ როგორ შეაღნევს სინამდვილები იდეები ლიტერატურაში.

ლიტერატურის ფილოსოფიური კუთხით შესწავლას, რომ აღვნიშნეთ, გადამეტებული ინტელექტუალიზმი ახასიათებს. ამ ფაქტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოვლინდა ზოგიერთ მეთოდში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი გერმანიაში შეიმუშავეს. რუდოლფ უნგერმა (Unger) — დილითას იდეების დახმარებით — მტკიცედ დაუჭირა მხარი იმ მეთოდს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია კი პქონდა, მაგრამ სისტემატურად არ გამოიყენებოდა.¹⁴ ის სამართლიანად აცხადებს, რომ ლიტერატურა არ არის ლექსთნუბითა და მხატვრული სახეებით გადმოცემული ფილოსოფიური იდეები, არამედ გამოხატავს ცხოვრებისადმი ზოგად დამოკიდებულებას; პოეტები ჩვეულებისამებრ პასუხს უძებნიან, იქნებ არასისტემურადაც, იმ შეკითხვებს, რომლებიც შინაარსით შეიძლება ფილოსოფიურიც იყოს, მაგრამ მათი პოეტური რეაქცია ამგვარი შეკითხვებზე სხვადასხვაგვარია დროისა და ვითარების (ცვალებადობის მიხედვით). უნგერი ამ „საკითხების“, ცოტა არ იყოს, თვითნებურ კლასიფიკაციას გვთავაზობს, ესენია: ბედისნერის საკითხი, რომლის მიღმაც იგი თავისუფლებისა და გარდუვალობის, სულისა

ლიტერატურის თეორია

და ბუნების ურთიერთობას გულისხმობს; რელიგიური „საკითხი“, რომელიც მოიცავს ქრისტეს სახის ინტერპრეტაციას, ასევე დამოკიდებულებას ცოდვისა და ხსნის, გადარჩენის მიმართ; ბუნების საკითხი, რომელიც არა მარტო ბუნებისადმი დამოკიდებულებაა, არამედ მოიცავს მითოსისა და მაგის საკითხებს. პრობლემათა სხვა ჯგუფს უნგერი ადამიანის პრობლემებს უწოდებს: რა არის ადამიანი? როგორია მისი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ? როგორ ესმის სიყვარული? ბოლო ჯგუფში კი შედის საზოგადოების, ოჯახისა და სახელმწიფოს პრობლემები. უნგერის მიხედვით, მწერალთა შეხედულებები უნდა შესწავლილ იქნეს ამ საკითხებთან კავშირში. ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ გამოვიდა ნიგნები, რომლებიც ცდილობენ ამ პრობლემათა ისტორიის შესწავლას მათვის დამახასიათებელი განვითარების თვალსაზრისით მიდგომოდნენ. ვალტერ რემმა (Walther Rehm) დაწერა მოზრდილი ნიგნი, რომელიც გერმანულ პოეზიაში სიკვდილის პრობლემას იკვლევს. პაულ კლუქჰონმა (Paul Kluckhohn) კი გამოიკვლია, თუ როგორ აისახა სიყვარულის თემა მე-18 ს.-ისა და რომანტიზმის ეპოქაში.¹⁵

მსგავსი შრომები სხვა ენებზეც შეიქმნა. მარიო პრაცის (Mario Praz) „რომანტიკულ აგონიას“ (Romantic Agony) შეიძლება ვუნიდოთ გამოკვლევას სექსისა და სიკვდილის თემაზე, როგორც ამას მისი იტალიური სახელწოდებაც მიგვანიშნება: „სხეული, სიკვდილი და ემბაკი რომანტიკულ ლიტერატურაში“¹⁶ კ. ს. ლუისის „სიყვარულის ალეგორია“ (Allegory of Love), გარდა იმისა, რომ ალეგორიის ჟანრის ისტორიას ნარმობადგენს, ასევე ბევრს მოგვითხრობს, თუ როგორ შეიცვალა და იცვლება დამოკიდებულებები სიყვარულისა და ქორნინების მიმართ. თეოდორ სპენსერს (Theodore Spencer) ეკუთვნის წიგნი „სიკვდილის თემა ელისაბედის ხანის ტრაგედიაში“ (Death and Elizabethan Tragedy), რომელიც შესავალ ნაწილში ერთმანეთს უპირისპირებს სიკვდილისადმი დამოკიდებულებას შუა საუკუნეებსა და ალორძინების ეპოქაში.¹⁷ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: შუა საუკუნეებში ადამიანს ყველაზე მეტად უეცარი სიკვდილისა ეშინოდა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა ერთგვარ მომზადებასა და ცოდვათა მონანიებაში. მონტენი კი ფიქრობს, რომ უეცარი სიკვდილი ყველაზე ადვილია. მას უკვე აღარ სჯერა იმ ქრისტიანული შეხედულებისა, რომლის მიხედვით, სიცოცხლე სიკვდილისათვის მზადებაა. ჰ. ფეარჩაილდმა გამოიკვლია რე-

ლიგიური თემები მე-18-19 ს. ინგლისურ პოეზიაში და მწერლები დააჯვეუფა მათი რელიგიური განცდების სიცხოველის მიხედვით¹⁸ საფრანგეთში გამოცემული აბატ ბრემონის (Abbé Bremond) დიდი მოცულობის „ფრანგული რელიგიური გრძნობის ისტორია მე-17 საუკუნეში“ (History of French Religious Sentiment in the Seventeenth Century) მეტწილად მხატვრულ ლიტერატურას ემყარება; მონგლონმა (Monglond) და ტრარმა (Trahard) დაგვიტოვეს მშვენიერი გამოკვლევები, რომლებიც ეხება სენტიმენტალიზმს, რომანტიზმის ეპოქამდელ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ და, ასევე, ფრანგი რევოლუციონერების მიერ გამომჟღავნებულ უჩვეულო მერძნობიარობას.¹⁹

უნგერის სიაში ჩამოთვლილი ზოგი პრობლემა წმინდა ფილოსოფიური, იდეოლოგიური ხასიათისაა და თუ სიდნის (Sidney) ციტატას მოვიშველიებთ, პოეტი მათ მიმართ მხოლოდ და მხოლოდ „უბრალოდ, პოპულარული ფილოსოფოსის“ როლს ასრულებდა. დანარჩენი პრობლემები უფრო მგრძნობიარობისა და გრძნობის ისტორიას განეკუთვნებიან, ვიდრე აზროვნების ისტორიისას. ხანდახან ისეც ხდება, რომ საზღვარი იდეოლოგიურსა და ემოციურ პრობლემას შორის ძნელად გასავლებია. ადამიანის დამოკიდებულებას ბუნების მიმართ ძალიან ღრმა კვალს აჩნევს კოსმოლოგიური და რელიგიური მოსაზრებები, მაგრამ მასზე, ასევე, უშუალო ზეგავლენას ახდენს ესთეტიკური შეხედულებები, ლიტერატურული პირობითობები და, შესაძლოა, ისეთი ფიზიოლოგიური მომენტიც, როგორიცაა მისი მხედველობის უნარის ცვლილება, მაგ., მხედველობის დაქვეითება.²⁰ იმას, თუ როგორ შევიგრძნობთ პეიზაჟს, გარკვეულნილად განსაზღვრავენ არა მარტო მოგზაურები, მხატვრები და ბალის დიზაინერები, არა-მედ ისეთი პოეტები და მწერლები, როგორებიც არიან მილტონი, ტომსონი, შატობრიანი (Chateaubriand) და რესკინი (Ruskin).

გრძნობის ისტორიის კვლევა გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება: გრძნობა წარმავალია, მოუხელთებელი და იმავდროულად მუდმივი, უცვლელი. რა თქმა უნდა, გერმანელმა მკვლევარებმა გაზვიადებული ფორმით წარმოგვიდგინეს ის ცვლილებანი, რომლებიც ადამიანთა შეხედულებებმა განიცადა და სქემატურადაც წარმოგვიდგინეს მათი განვითარების სტადიები, რომელთა მოწესრიგებულობა, ცოტა არ იყოს, ეჭვს იწვევს. და მაინც, სადა-

ლიტერატურის თეორია

ვო ადარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გრძნობები იცვლება; ყოველ შემთხვევაში, შეიცვალა მათი გამოხატვის ხერხები და ფორმები. ბალზაკი ხუმრობანარევი კილოთი აღნიშნავს, თუ როგორ განსხვავდება სიყვარულის მიმართ ბ-ნი იულის (Hulot) მე-18 საუკუნისათვის დამახასიათებელი ფუქსავატური დამოკიდებულება ქ-ნი მარნეფის დამოკიდებულებისაგან, რომელიც რესტავრაციის პერიოდის ტიპურ სუსტ ქალს — „მოწყალების დას“ წარმოადგენს.²¹

ლიტერატურის ისტორიისთვის უჩვეულო არ არის ცრემლის ნიაღვრები, რაშიც ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ XVIII ს-ის მკითხველიცა და მწერალიც. გელერტმა (Gellert), ინტელექტუალურმა და მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე გერმანელმა პოეტმა, იმდენი იტირა გრანდისონისა და კლემენტინას განშორების სცენის კითხვისას (იგულისხმება სამუელ რიჩარდ-სონის (Samuel Richardson) რომანი „სერ ჩარლზ გრანდისონის ისტორია“ – The History of Sir Charles Grandison; მთარგმნელის შენიშვნა), სანამ თავისი ცხვირსახოცი, წიგნი, მაგიდა და თვით იატაკიც კი ცრემლით არ დასველა. ამ ფაქტით ის თავსაც კი ინწონებდა ერთ-ერთ წერილში;²² დრ-ი ჯონსონიც კი, რომელიც მაინცდამაინც არ იყო ცნობილი თავისი გულჩვილობით, თავს უფლებას აძლევდა, გაცილებით უფრო დაურიდებლად ეფრქვია ცრემლებიცა და ემოციებიც, განსხვავებით ჩვენი თანამედროვეებისგან, ყოველ შემთხვევაში, იმათვან ვინც ინტელექტუალთა შორის მოიაზრება.²³

უნგრის თვალსაზრისს, რომელიც არ გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური დონით, უპირატესობა აქვს კონკრეტული მწერლის კვლევის დროსაც, რადგანაც ის ცდილობს არცთუ ისე გასაგებად და ნათლად ჩამოყალიბებული შეხედულებებისა და იდეების განსაზღვრას. ამდენად, იმის საშიშროებაც ნაკლებია, რომ მხატვრული ნაწარმოების შემადგენელი ნაწილები იზოლირებულად განვიხილოთ და უბრალო პროზაული განაცხადის თუ ფორმულის მნიშვნელობა ვაკმართო.

ამ შეხედულებების შესწავლამ ზოგიერთი გერმანელი ფილოსოფოსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო მათი დაყვანა რამდენიმე სახის მსოფლმხედველობამდე (Weltanschauung). ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება და მოიცავს როგორც ფილოსოფიურ იდეებს, ისე დამოკიდებულებებს, რომლებიც ემო-

ლიტერატურა და იდეები

ციურ სფეროს განექუთვნება. ყველაზე მეტად ცნობილია მცდელობა დილთაისა, რომელიც თავის ნაშრომებში, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, ყოველთვის ხაზს უსვამდა განსხვავებას იდეასა და განცდას (Erlebnis) შორის. აზროვნების ისტორიაში ავტორი სამ ძირითად ტიპს გამოჰყოფა:²⁴ პირველია პოზიტივიზმი, რომლის წარმოშობაც დაკავშირებულია დემოკრიტეს და ლუკრეციუსის სახელებთან და აერთიანებს ჰობსს, ფრანგ ენციკლოპედისტებს, თანამედროვე მატერიალისტებსა და პოზიტივისტებს; შემდეგ — ობიექტური იდეალიზმი, რომელიც, დილთაის აზრით, მოიცავს ჰერაკლიტეს, სპინოზას, ლაიბნიცს, შელინგსა და ჰეგელს, და, ბოლოს დუალისტური იდეალიზმი ანუ „თავისუფლების იდეალიზმი“, რომელსაც მიეკუთვნებიან პლატონი, ქრისტიანი თეოლოგები, კანტი და ფიხტე. პირველი ჯგუფის მოაზროვნენი სულიერ სამყაროს ფიზიკური სამყაროთი ხსნიან; მეორენი რეალობას აღიქვამებ როგორც შინაგანი რეალობის გამოხატულებას და თვლიან, რომ არ არსებობს კონფლიქტი ყოფიერებასა და სარგებლიანობას შორის; მესამენი კი ამტკიცებენ, რომ სული ბუნებისგან დამოუკიდებლად არსებობსო. შემდეგ დილთაი კონკრეტულ ავტორებს აზროვნების ამ სამ ტიპთან აკავშირებს. მაგ., ბალზაკი და სტენდალი პირველ ჯგუფში შეკყავს, გოეთი — მეორეში, შილერი — მესამეში. ეს კლასიფიკაცია არ ემყარება, უბრალოდ, მწერალთა მიერ გაკეთებულ განაცხადებს, ანუ იმას, თუ რომელი ფილოსოფიური მოძღვრებაა მათთვის ყველაზე მეტად მისაღები. იგულისხმება, რომ ის შეიძლება იყო თვით ყველაზე არაინტელექტუალური ხელოვნების ანალიზის შედეგი. ხსენებული სამი ძირითადი ტიპი, ასევე, ასოცირდება ზოგად ფსიქოლოგიურ მიდრეკილებებთან: მაგალითად, რეალიზმი ჭარბობს ინტელექტი, ობიექტურ რეალიზმი — გრძნობა, ხოლო დუალისტური იდეალიზმის მთავარი ნიშანია ნება, ნებისყოფა.

ჰერმან ნოლი (Herman Nohl) შეეცადა ეჩვენებინა მსგავსი კავშირი მხატვრობასა და მუსიკასთან მიმართებაშიც.²⁵ რემბრანტი და რუბენსი მან მიაკუთვნა ობიექტურ იდეალისტებს, პანთეისტებს; ველასკესი და ჰალსი — რეალისტებს; მიქელანჯელო კი — სუბიექტურ იდეალისტად მიიჩნია. რაც შეეხება მუსიკოსებს, ბერლინზი მოაზროვნეთა პირველ ტიპს მიეკუთვნება, შუბერტი — მეორეს, ბეთჰოვენი — მესამეს. მხატვრობასთან და მუსიკასთან დაკავშირე-

ლიტერატურის თეორია

ბული ეს არგუმენტი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგულისხმება, რომ ამ ტიპების არსებობა შესაძლებელია ლიტერატურაშიც, თუნდაც მას მკვეთრად გამოხატული ინტელექტუალური შინაარსი არც გააჩნდეს. უნგერმა იმის დამტკიცებაც სცადა, რომ განსხვავებები აზროვნების ამ სამ ტიპს შორის ეწვენებინა მცირე მოცულობის ნაწარმოებებშიც კი. მაგ., მორიკეს (Mörike), ს. ფ. მაიერის, ლილიენ-კრონის ლექსებში;²⁶ მან და ნოლმა იმის ჩვენებაც სცადეს, რომ ავტორის მსოფლმხედველობა (Weltanschauung) შეიძლება აღმოვაჩინოთ ნაწარმოების სტილშიც ან რომანის ისეთ სცენებშიც, რომელთაც არანაირი პირდაპირი ინტელექტუალური დატვირთვა არ გააჩნიათ. აქ უკვე ეს თეორია გადადის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ სტილთა თეორიაში. ვალცელი (Walzel) შეეცადა ეს უკანასკნელი თეორია დაეკავშირებინა ვოლფლინის „ხელოვნების ისტორიის პრიციპებთან“ და ასევე მსგავს ტიპოლოგიებთან.²⁷

ასეთი ვარაუდები დიდ ინტერესს იწვევს. გერმანიაში ჩვენ მიერ განხილული თეორიის მრავალი ვარიაცია შეიქმნა. ისინი ლიტერატურის ისტორიის შესასწავლადაც გამოიყენება. მაგ. ვალცელმა მე-19 ს-ის გერმანულ და საერთოდ ევროპულ ლიტერატურაში შეამჩნია ძალიან მყაფიო ევოლუცია, რომელიც აზროვნების მეორე ტიპიდან (გოეთესა და რომანტიკოსთა ობიექტური იდეალიზმი) პირველ ტიპის (რეალიზმი) გავლით — რომელიც თავის მხრივ იმპრესიონიზმის საშუალებით თანდათანბით აცნობიერებს სამყაროს ფენომენალურობას — გადაიზრდება მესამე ტიპში, რომელიც წარმოდგენილია ექსპრესიონიზმით გამოხატული სუბიექტური, დუალისტური იდეალიზმით. ვალცელის სქემა უბრალოდ იმას კი არ აცხადებს, რომ ასეთ ცვლილება მართლაც ხდებოდა, არამედ იმასაც, რომ ეს ცვლილება რამდენადმე ერთი მეორისგან გამომდინარეა და ლოგიკური. განვითარების გარკვეულ ეტაპზე პანთეიზმი გადადის ნატურალიზმში, ნატურალიზმი კი, თავის მხრივ, იმპრესიონიზმში, ხოლო იმპრესიონიზმის სუბიექტიურობა საბოლოოდ ერწყმება ახალ იდეალიზმს. ეს სქემა დიალექტურია და საბოლოო ანგარიშით — ჰეგელიანური.

ფხიზელ თვალს ამ სქემების მოწესრიგებულობა და სიზუსტე ეჭვის საფუძველს გაუჩენს. არადამაჯერებლად მოე-

ჩვენება მესამე ტიპის ხელშეუხებლობა თუ გამორჩეულობა. უნგერი თვითონაც ობიექტური რეალიზმის ორ ტიპს განასხვავებს: ჰარმონიულს, რომლის წარმომადგენლადაც გოეთეს მიიჩნევს და დიალექტიკურს — ბოემეს (Boehme), შელინგისა და ჰეგელის სახით; კრიტიკას იმსახურებს „პოზიტივიზმიც“, რომლებიც, თითქოსდა, მრავალ (უმეტეს შემთხვევაში ძალიან განსხვავებულ) შეხედულებას მოიცავს. თუმცა, ამ კლასიფიკაციის დეტალების დაწუნებაზე უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება მთელი ამ მსჯელობის მიღმა.

ამგვარ ტიპოლოგიის შედეგია მთელი ლიტერატურის ძალზე მიახლოებითი დახარისხება სამ (ან არ უმეტეს ხუთ-ექვს) დაჯგუფებად. თუ ამ გზას გავყვებით, პოეტთა გამოკვეთილი ინდივიდუალობა მინიმუმადე იქნება შემცირებული ან სულაც უარყოფილი. ლიტერატურის კუთხით თუ მივუდებით, ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, თუ ისეთ განსხვავებულ პოეტებს, როგორებიც ბლეიკი, უორდსუორთი და შელი არიან, ერთ ჯგუფში მოვაქცევთ და „ობიექტურ იდეალისტებს“ ვუწოდებთ. არც ისაა მიზანშეწონილი, თუ პოეზიის ისტორიას მსოფლმხედველობის (Weltanschauung) სამი ან მეტი ტიპის მოდიფიკაციით შემოვფარგლავთ. და, ბოლოს, ამგვარი დამოკიდებულება გულისხმობს რადიკალურ და გადაჭარბებულ რელატივიზმს. ამით ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ ამ სამივე ტიპს თანასწორი ლირებულება აქვთ და პოეტს ისღა დარჩენია, ამიორჩიოს ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მის ტემპერამენტს ან რაიმე ღრმად ირაციონალურ, წინასწარ მოცემულ დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ. იგულისხმება, რომ არსებობს ტიპების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა და ყოველი პოეტი ერთი რომელიმე მათგანის გამომხატველია. რა თქმა უნდა, მთელი ეს თეორია დამყარებულია ისტორიის ზოგად ფილოსოფიაზე, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის არსებობს ძალზე მჭიდრო და აუცილებელი ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ ასევე გარკვეულ პერიოდში და ზოგადად, ისტორიაში. მსგავს მსჯელობას ჰუმანიტარული სფეროს ისტორიის (Geistesgeschichte) ჰიპოთეზების განხილვის კენ მივყავართ.

Geistesgeschichte შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ, როგორც ალტერნატიული ტერმინი ინტელექტუალური ისტორიის,

ლიტერატურის თეორია

იდეათა ისტორიის აღსანიშნავად, ისე, როგორც ეს ლავჯოის ესმოდა; მას ის უპირატესობაც აქვს, რომ გერმანულ ენაზე, ინგლისურთან შედარებით, ნაკლებად ინტელექტუალურად ჟღერს. ეისტ — („სული“) ბევრის მომცველი ტერმინია, რომელიც მოიცავს გრძნობის ისტორიის პრობლემებს. Geist-ს არცთუ სასურველი ასოციაციები აქვს „ობიექტური სულის“ ცნებასთან. თუმცა, გერმანიში Geistesgeschichte, როგორც წესი, კიდევ უფრო სპეციფიკურ მნიშვნელობას იძეს, რომლის მიხედვითაც ყოველ პერიოდს თავისი „ეპოქის სული, სულისკვეთება“ აქვს და მისი მიზანია, აღადგინოს ეპოქის სული ამ უკანასკნელის სხვადასხვაგვარი ობიექტივაციების საფუძველზე, დაწყებული რელიგიით და დამთავრებული იმდროინდელი სამოსით. ჩვენ ვეძიებთ სიმრთელეს, მთლიანობას ცალკეული საგნების მიღმა და ყველა ფაქტის ახსნას ეპოქის სულით, სულისკვეთებით ვცდილობთ.²⁸

ზემოხსენებული ტერმინი გულისხმობს ადამიანის საქმიანობის ყველა (კულტურული ან, საერთოდ, ნებისმიერი) სფეროს მეტად მჭიდრო ურთიერთშეთანხმებულობას, ანუ ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების სრულ პარალელიზმს. ეს მეთოდი კვლავ გვაძრუნებს შლეგელების მიერ შემოთავაზებულ ვარაუდებთან. მის ყველაზე საუკეთესო და, ასევე, ყველაზე უცნაურ მიმდევრად კი შპენგლერი გვევლინება. თუმცა ამ მეთოდს აკადემიური მიმდევრებიც ჰყავს ლიტერატურის ისტორიკოსების სახით, რომლებიც ამ მეთოდს აქტიურად იყენებდნენ ლიტერატურული კვლევების დროს. მას იყენებდნენ ისეთი საქმაოდ ზომიერი დიალექტიკოსები, როგორიც არის კორფი (Korff), (რომელმაც შეისწავლა 1750-1830 წლების გერმანული ლიტერატურის ისტორია და აჩვენა ლიტერატურის დიალექტიკური გადასვლა რაციონალურობიდან ირაციონალურობამდე, შემდეგ კი სინთეზამდე, ჰეგელიანური გაგებით), აგრეთვე ცისარჟი (Cysarz), დორჩბაინი (Deutschbein), შტეფანსკი (Stefansky) და მაისნერი (Meissner) თავიანთ ფანტასტიკურ, სიტყვათა თამაშე აგებულ, ფსევდომისტიკურ ნაწერებში.²⁹ ეს მეთოდი მნიშვნელოვანნილად ნარმოადგენს ანალოგიის მეთოდს, როგორიც არის ნეგატიური ანალოგია, რამდენადაც, როგორც წესი, ის ხაზს უსვამს განსხვავებებს რომელიმე კონკრეტულ ეპოქაში და უგულებელყოფს მსგავსებებს, და ასევე პოზიტიური ანალოგია, რამდენადაც, აქაც, როგორც წესი,

ლიტერატურა და იდეები

ის ხაზს უსვამს კონკრეტული პერიოდში მომხდარი მოვლენების თუ შექმნილი ნაწარმოებების მსგავსებას და ივინყებს სხვაობებს. რომანტიზმისა და ბაროკოს პერიოდები განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი აღმოჩნდა იდეათა გამომგონებლობაში სავარჯიშოდ.

ამის მშენებელ მაგალითს წარმოადგენს მაისნერის ნაშრომი „ინგლისური ბაროკოს პერიოდის ლიტერატურის ჰუმანიტარული საფუძვლები“ (Die geisteswissenschaftlichen Grundlagen des englischen Literaturbarocks“) (1934), რომელიც ერთმანეთისადმი სრულიად დაპირისპირებულ ტენდენციებს შორის კონფლიქტს ეპოქის სულად ნათლავს და შეუპოვრად, დაუცხრომლად განიხილავს ამ ფორმულას ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში — ტექნოლოგია იქნება ეს თუ გამოკვლევები, მოგზაურობა თუ რელიგია. მთელი მასალა ძალიან მონესრიგებულად და საგულდაგულოდ არის დახარისხებული შემდეგ კატეგორიებად: ექსპანსია და კონკურტრაცია, მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი, ცოდვა და ხსნა, რწმენა და გონება, აბსოლუტიზმი და დემოკრატია, „ატექტონიკა“ და „ტექტონიკა“. ამგვარი უნივერსალური ანალოგიების წარმოდგენის შემდეგ, მაისნერი გამოაქვს საზეიმო დასკვნა, რომ ბაროკო, ნებისმიერი ფორმით გამოვლინებისას, კონფლიქტის, წინააღმდეგობისა და დაძაბულობის მაჩვენებელი იყო. თავისი კოლეგების მსგავსად, მაისნერი არასოდეს სვამს არსებით კითხვას: განა არ შეიძლება, რომ დაპირისპირებათა იგივე სქემა თითქმის ნებისმიერი სხვა ეპოქიდანაც მივიღოთ? აფტორი არც იმას კითხულობს, შესაძლებელია თუ არა, რომ დაპირისპირებათა სრულიად სხვა სქემა გამოყენებით XVII ს-სთვის, თუნდაც იმავე ციტატების საფუძველზე, რომლებიც მოყვანილია მის მიერ წაკითხული უამრავი წიგნიდან.

ზუსტად იგივენაირად, კორფის სქელტანიან წიგნებს ყველა და ყველაფერი დაჲყავთ „რაციონალიზმის“ თეზისამდე, „ირაციონალიზმის“ ანტიოზამდე და „რომანტიზმში“ მათ სინთეზამდე. კორფთან რაციონალიზმი ხშირად იძენს „კლასიციზმის“ ფორმალურ მნიშვნელობასაც, ხოლო ირაციონალიზმი — „ქარისხლისა და შეტევის“ გაურკვეველ ფორმას, გერმანულ რომანტიზმს კი სინთეზის როლი ეკისრება. გერმანულ ენაზე დაინერა ბევრი წიგნი, რომლებიც ამ დაპირისპირებას იკვლევენ.

ლიტერატურის თეორია

მაგ. კასირერის ბევრად უფრო საღი „თავისუფლება და ფორმა“ (Freiheit und Form), ცისარქის ბუნდოვანი ნაშრომი „გამოც-დილება და იდეა“ (Erfahrung und Idee).³⁰ ზოგ გერმანელ მწე-რალთან ეს იდეური ტიპები ან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან ან უბრალოდ გადაიზრდებიან რასობრივ ტიპებად: გერმანელი (ყოველ შემთხვევაში, ჭეშმარიტი ტევტონი) გრძნობის კარნასით მოქმედებს, ხოლო ლათინური რასის წარმომადგენელი გონების თვალით ჭვრეტს; ტიპები შეიძლება, ძირითადად, ფსიქოლოგიური ნიშით განსხვავდებოდნენ, ისევე, როგორც არსებობს ტრადი-ციული კონტრასტული ტიპები: დემონური და რაციონალური. და, ბოლოს, ითვლება, რომ იდეოლოგიურ ტიპებს სტილისტური ცნებების დატვირთვა ეძლევათ; ისინი ერწყმიან კლასიციზმსა და რომანტიზმს, ბაროკოსა და გოტიკას, რამაც სათავე დაუდო უზარმაზარ ლიტერატურას, სადაც ეთნოლოგია, ფსიქოლოგია, იდეოლოგია და ხელოვნების ისტორია ერთმანეთში ისეა გადახ-ლართული, რომ ადამიანს თავგზა აებნევა.

შეხედულება დროის, რასის, ხელოვნების ნაწარმოებისა სრული ინტეგრაციის შესახებ მეტად საეჭვოა. თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ხელოვნების ფორმები პარალელურად ვი-თარდება, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია მისაღები. კიდევ უფრო საეჭვოა პარალელიზმი ფილოსოფიასა და პოეზიას შორის. მაგალითისთვის მხოლოდ ინგლისური რომანტიკული პოეზიაც კი გვეყოფა, რომელმაც აყვავებას იმ დროს მიაღწია, როცა ინგლისურ და შოტლანდიურ ფილოსოფიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ე. ნ. „ჯანსალი აზრის“ ფილოსოფიას (common-sense philosophy) და უტილიტარიზმს. მაშინაც კი, როცა ფილოსოფიას თითქოსდა ერთი შეხედვით ახლო კავშირი აქვს ლიტერატურასთან, მათი რეალური ინტეგრაცია გაცილებით ნაკლებად სარწმუნოა, ვიდრე ამას გერმანული ჰუმანიტარული სფეროს ისტორია (Geistesgeschichte) ვარაუდობს. რომანტიზმს გერმანულ ლიტერატურაში უმეტესად შეისწავლიან იმ ფილო-სოფიის ფონზე, რომელიც განავითარეს და ჩამოაყალიბეს პრო-ფესიონალმა ფილოსოფოსებმა — ფიხტემ და შელინგმა, ასევე, მწერლებმა — შლეგელმა, ნოვალისმა და სხვებმა, რომელთაც გერმანულ ლიტერატურაში ცენტრალურ ადგილს ნამდვილად ვერ მივუჩინთ: მათმა ნაწარმოებებმა დიდი კვალი ვერ დატოვეს

ლიტერატურა და იდეები

და ვერც მხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან. გერმანული რომანტიზმის უდიდეს პოეტებსა და დრამატურგებს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო ურთიერთობა ჰქონდათ იმდროინდელ ფილოსოფიასთან (მაგ. ე. თ. ა. ჰიფმანი და აიხენდორფი (Eichendorff), რომელიც ტრადიციული კათოლიკე გახლდათ), ან ავითარებდნენ ისეთ ფილოსოფიურ თვალსაზრისს, რომელიც განსაკუთრებით მიუღებელი, სადაც იყო რომანტიზმის ფილოსოფოსებისთვის. გავიხსენოთ თუნდაც ჟან-პოლ რიხტერი (Jean Paul Richter), რომელიც გამუდმებით თავს ესხმოდა ფიხტეს, ან კლაისტი, რომელიც კანტის იდეების ზეგავლენას განიცდიდა. თვით გერმანული რომანტიზმის პერიოდშიც კი ფილოსოფიისა და ლიტერატურის მტკიცე კავშირს მხოლოდ მაშინ დავასაბუთებთ, თუ გამოვიკვლევთ ფიხტეს აღიარებული მოწაფეების, ნოვალისისა და ფრიდრიხ შლეგელის ფრაგმენტებს და თეორიულ ნაშრომებს. მათ მოსაზრებებს კი, რომელთაც ისინი იძვიათად აქვეყნებდნენ, კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ძალიან ცოტა რამ ჰქონდათ საერთო.

შეხედულებას იმის შესახებ, რომ ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ხშირად შეცდომაში შევყავართ. ამ კავშირის დამადასტურებელი არგუმენტები გაზვიადებულია, რადგან ისინი ემყარება ლიტერატურის იდეოლოგიის, სხვადასხვა მრნამისისა და თვალსაზრისის შესწავლას და, ასევე, ისეთ პროგრამებსაც, რომლებიც, როგორც ჩანს, საზრდოობენ არსებული, მზა ესთეტიკური ფორმულირებებით და რეალურ მხატვრულ პრაქტიკასთან მხოლოდ მცირედი შეხება აქვთ. თუმცა, ასეთი სკეპტიციზმი ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის არსებულ მჭიდრო ინტეგრაციის მიმართ, რასაკვირველია, არ გამორიცხავს მათ შორის გარკვეულ ურთიერთობას. ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ ზოგიერთ ეპოქაში პარალელურად ვითარდებოდა ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობები, რასაც, ალბათ, მეტნილად ხელს უწყობდა თავად ეპოქათა სოციალური ფონი, სხვადასხვა მოვლენა, რომლებიც ლიტერატურაშიც და ფილოსოფიაშიც გარკვეულ კვალს ტოვებდნენ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, ბოლომდე არ უნდა დავეყრდნოთ ზემოთ აღნიშნულ საერთო, სოციალურ ფონს. ფილოსოფიის ესათუ ის მიმდინარეობა ხშირად ნარმოიშობოდა და ვითარდებოდა

ლიტერატურის თეორია

საზოგადოების იმ გარკვეულ კლასში, რომელიც შეიძლება ძალიან განსხვავებული ყოფილიყო პოეზიის შემქმნელთაგან, არა მარტო საზოგადოებრივი კავშირებით, არამედ სოციალური წარმომავლობითაც. ლიტერატურასთან შედარებით, ფილოსოფია თავისი არსით კიდევ უფრო მეტად არის დაკავშირებული ეკლესიასთან და აკადემიურ სწავლებასთან. ისევე, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ყველა სხვა სფეროს, მასაც აქვს საკუთარი ისტორია, საკუთარი დიალექტიკა: მის ქვეჯუფებსა და მიმდინარეობებს, ჩვენი აზრით, არა აქვთ იმდენი საერთო ლიტერატურულ მიმდინარეობებთან, როგორც ამას ჰუმანიტარული სფეროს ისტორიის (Geistesgeschichte) მრავალი მევლევარი მიიჩნევს.

ლიტერატურული ცვლილებების ახსნა „ეპოქის სულის“ მეშვეობით ნამდვილად ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად გვეჩვენება მაშინ, როცა ეს სული გადაიქცევა რაღაც მითურ ინტეგრალად და აბსოლუტად. არადა, ყველაზე დიდი ფუნქცია, რაც მას აკისრია, არის ის, რომ მიგანიშნებს რთულ და მიჩქმალულ პრობლემაზე. გერმანული Geistesgeschichte აქამდე, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ ერთი რიგის (ხელოვნების ან ფილოსოფიის) კრიტერიუმებს ავრცელებდა მთელი კულტურული შემოქმედების სფეროზე. შემდეგ ეპოქასაც და ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებსაც ახასიათებდა ისეთი გაურკვეველი და საპირისპირ ცნებების საშუალებით, როგორებიცაა: კლასიციზმი და რომანტიზმი, რაციონალიზმი და ირაციონალიზმი. „ეპოქის სულის“ იდეას ხშირად დამლუპველი შედეგი მოუტანია დასავლური ცივილიზაციის უწყვეტობის იდეისთვის: მიიჩნეოდა, რომ ყოველი ეპოქა იმდენად თავისებური და იზოლირებულია, ხოლო მათ მიერ ასახული ცვლილებები იმდენად რადიკალურია, რომ Geisteswissenschaftler საბოლოოდ სრულდებოდა არა მარტო სრულ ისტორიული რელატივიზმით (ყველა ეპოქა თავისებურად კარგია), არამედ ინდივიდუალობისა და ორიგინალობის მცდარი კონცეფციოთაც, რომელიც უგულებელყოფს ადამიანური ბუნების, ცივილიზაციისა თუ ხელოვნების ფუნდამენტურ, ყველა დროისათვის დამახასიათებელ, მარადიულ ღირებულებებს. შპენგლერის აზრით, არსებობს ჩაკეტილი კულტურული ცივლები, რომელთა წარმოშობა თითქოს ფატალური მოვლენაა. ესაა თავის თავში ჩაკეტილი, მაგრამ მაინც აუხსნელად პარალელური პერიო-

ლიტერატურა და იდეები

დები. გამოდის, რომ ანტიკურობა არ გრძელდება შუა საუკუნეებში, ხოლო დასავლური ცივილიზაციის უწყვეტობა მთლიანად უარყოფილია ან მივიწყებული.

ამ ფანტასტიკურმა მოსაზრებებმა, რა თქმა უნდა, არ უნდა მიჩქმალოს კაცობრიობის ზოგადი ისტორიის პრობლემა, ყოველ შემთხვევაში, დასავლური ცივილიზაციის პრობლემა მაინც. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ გამოსავალი, რასაც ტრადიციული **Geistesgeschichte** გვთავაზობს, ნაჩქარევი და მოუმნიშვნელია; ის მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონტრასტებსა და ანალოგიებს; სტილთა და აზროვნების ფორმათა ცვალებადობას კრიტიკის გარეშე ტოვებს და მტკაცედ სწამს ადამიანის ყველა სახის მოღვაწეობის სრული ინტეგრაციისა.

ლიტერატურის მკვლევარმა თავი უნდა დაანებოს ისეთ მასშტაბურ პრობლემებზე ფიქრს, როგორიცაა ისტორიის ფილოსოფია და ცივილიზაციის უმთავრესი ინტეგრალი და ყურადღება უნდა მიაქციოს იმ საკითხს, რომელიც არათუ არაა გადაწყვეტილი, არამედ ჯერ წესიერად არც კი განხილულა. ეს გახლავთ შემდეგი: მაინც როგორ ხდება იდეების შეღწევა ლიტერატურაში? რათქმა უნდა, ეს არ ეხება იდეებს რომელთაც ტექსტში მხოლოდ, ასე ვთქვათ, „საშენი მასალის“ ინფორმაციის ფუნქცია აკისრია. ჩვენ მხოლოდ ის შემთხვევები გვაინტერესებს, როცა ეს იდეები ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იქცევა ტექსტის ქსოვილის ნაწილად, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უბრალოდ იდეები კი აღარ არიან ჩვეულებრივი გაგებით, არამედ სიმბოლოდ, მითადაც კი გადაიქცევიან. არსებობს დიდაქტიკური პოეზიის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელშიც იდეები, უბრალოდ, გადმოცემულია და ვერსიფიკაციის, მეტაფორის ან ალეგორიის საშუალებით არის გაფორმებული. არსებობს იდეათა რომანებიც, მაგ. უორჯ სანდის და ჯორჯ ელიოტის, სადაც მსჯელობები სოციალურ, მორალურ თუ ფილოსოფიურ „პრობლემებზე“. ინტეგრაცია უფრო მაღალ საფეხურს აღწევს ისეთ რომანში, როგორიცაა მელვილის „მობი დიკი“ (*Moby Dick*), რომლის მთელი შინაარსსაც მითური დატვირთვა აქვს. ან ავილოთ რობერტ ბრიჯესის (*Bridges*) „სილამაზის ანდერძი“ (*Testament of Beauty*), რომლის იდეაც გადმოცემულია ერთი ფილოსოფიური მეტაფორით. და, რა თქმა უნდა, არსებობს დოსტოევსკიც, რომლის რომანებშიც იდეათა დრამა თამაშდება კონკრეტულ პერსონაჟთა და მოვლენათა

ლიტერატურის თეორია

ენაზე, მათი საშუალებით. რომანში „ძმები კარამაზოვები“ ოთხივე ძმა სიმბოლურად განასახიერებს იდეოლოგიურ კამათს, რომელიც იმავდროულად პიროვნული დრამაც არის. კამათის იდეოლოგიური დასკვნა მთავარი გმირების პირადი უბედურების განუყოფელი ნაწილია.

საკითხავი ის არის, ჩაითვლება თუ არა ხელოვნების დიად ნიმუშებად ეს ფილოსოფიური რომანები და პოემები — ვთქვათ, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ თუ გოეთეს „ფაუსტი“ — მხოლოდ თავიანთი ფილოსოფიური შინაარსის გამო? ხომ არ სჯობს, შევთანხმდეთ იმაზე, რომ „ფილოსოფიურ სიმართლეს“, როგორც ასეთს, არ გააჩინა მხატვრული ღირებულება, ზუსტად ისევე, როგორც ვეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ არც ფსიქოლოგიურ და არც სოციალურ სიმართლეს არა აქვს არანაირი მხატვრული ღირებულება? ფილოსოფია, იდეოლოგიური შინაარსი, თუ ის გადმოცემულია შესაფერის კონტექსტით, უფრო მკვეთრად ნარმოაჩენს ნანარმოების მხატვრულ ღირებულებას, რადგანაც იგი აძლიერებს რამდენიმე მნიშვნელოვან მხატვრულ თვისებას: სირთულეს და სიმწყობრეს. თეორიული ცოდნა ხელოვანს ეხმარება, უფრო მეტ სიღრმეებსა და მასშტაბებს შეეჭიდოს. მაგრამ ეს სულაც არაა აუცილებელი. ხელოვანს ხელს შეუშლის ზომაგადასული იდეოლოგია, თუ იგი ბუნებრივად არ გაიშლება ნანარმოების ქსოვილში, თუ ის მისი ერთიანი ნაწილი არ გახდება. კროჩე ამტკიცებს, რომ „დეთაებრივ კომედიაში“ პოეზიის სტროფებს ენაცვლება გარითმული თეოლოგიისა და ფსევდომეცნიერების სტროფები.³¹ აშკარაა, რომ „ფაუსტის“ მეორე ნაწილი ძალზე დააზარალა ზედმეტმა ინტელექტუალიზმა და იგი მუდმივად დაუფარავი ალეგორიის ზღვარზე იმყოფება; დოსტოევსკისთან კი ხშირად იგრძნობა შეუთანხმებლობა მხატვრულ ოსტატობასა და აზრის სიმიმეს შორის. ზოსიმე, რომელიც დოსტოევსკის აზრებს გადმოვცემს, ივან კარამაზოვთან შედარებით ნაკლებად დამაჯერებელი სახეა. იმავე ნინააღმდეგობას, ოღონდ უფრო დაბალი რეგისტრით, გამოხატავს თომას მანის „ჯადოსნური მთა“: პირველი თავები, სადაც გაცოცხლებულია სანატორიუმის სამყარო, მხატვრული ოსტატობით ბევრად აღემატება მომდევნო თავებს, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ვრცელი ფილოსოფიური მსჯელობა. ლიტერატურის ისტორიას ისეთი იშვიათი შემთხვევებიც ახსოებს, როდესაც მოქ-

მედი პირები და თვით მოქმედებაც უბრალოდ კი არ წარმოადგენს იდეებს, არამედ თავად ხდებიან ხორცშესხმული იდეები; როდესაც ხდება ფილოსოფიისა და ხელოვნების გარკვეული ინტეგრაცია. ხატი იქცევა იდეად და იდეა იქცევა ხატად. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ხელოვნება თავის მწვერვალს აღწევს, როგორც მიიჩნევს მრავალი ფილოსოფიურად განწყობილი კრიტიკოსი? ალბათ, მართალია კროჩეს თვალსაზრისი „ფაუსტის“ მეორე ნაწილის შესახებ: „როდესაც პოეზია იმგვარად აღმატებული ხდება, რომ თავის თავსაც კი აღემატება, ის კარგავს თავის რაობას და ალბათ არასრულფასოვნადაც უნდა მივიჩნიოთ, რადგან, რაც მას აკლია, ეს სწორედ პოეზია“.³² ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უდავოდ უნდა ვალიაროთ, რომ ფილოსოფიური პოეზია, რაც უნდა ინტეგრირებული იყოს, ის მაინც პოეზიის მხოლოდ ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს და არც ლიტერატურაში უკავია მთავარი ადგილი, თუ, რა თქმა უნდა, იმ აზრს არ ვიზიარებთ, რომ პოეზია თავისი არსით მისტიკური, გამოცხადების მსგავსი უნდა იყოს. ფილოსოფიის ჩანაცვლება პოეზიით არ მოხდება; პოეზიას თავისი დანიშნულება და მიზანი აქვს. იდეათა პოეზია კი პოეზიის ერთ-ერთი სახეობაა და ფასდება არა იმით, თუ რა იდეებისგან შედგება, არამედ ტექსტში მათი ინტეგრაციის ხარისხისა და მხატვრული ოსტატობის სიძლიერის მიხედვით.

თავი მეორეობები

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

*

ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგების ურ-
თიერთმიმართება (ნატიფი ხელოვნება, მუსიკა) მეტად მრა-
ვალფეროვანი და რთულია. პოეტებს თავიანთი შთაგონების წყა-
რო ზოგჯერ მხატვრობაში, ქანდაკებასა და მუსიკაში უპოვიათ.
ადამიანებისა და ბუნების სხვა ცოცხალ შვილთა გარდა, პოეზიის
თემად შეიძლება ხელოვნების ნიმუშებიც იქცეს. ლიტერატურის
თეორიას არანაირ პრობლემას არ უქმნის ის ფაქტი, რომ პოე-
ტებს ხშირად აღუნერიათ ქანდაკებები, მხატვრული ტილოები,
მუსიკალური ნანარმოებები. ზოგი კრიტიკოსი ვარაუდობს, რომ
სპენსერმა ისარგებლა ზოგიერთ გობელენზე გამოსახული თუ
მოძრავ სცენებზე წარმოდგენილი ისტორიის ამსახველი ცოც-
ხალი სურათებით და ისინი თავის ლექსებით გამოიყენა. კლოდ
ლორენისა (Claude Lorrain) და სალვატორე როსას (Salvatore Rosa)
ფერწერულმა ტილოებმა გავლენა მოახდინეს მე-18 ს-ის ლანდ-
შაფტურ პოეზიაზე; კიტსმა კლოდ ლორენის ერთ-ერთი სურათი
გამოიყენა თავისი ლექსებთვის „ოდა ბერძნულ ურნას“.¹ სტივენ ა.
ლარაბი განიხილავს ალუზიებს ბერძნულ სკულპტურაზე და ამავე
რიგის მოტივებს ინგლისურ პოეზიაში.² ალბერ ტიბოდემ (Thibaudet)
დაასაბუთა, რომ მალარმეს „ფავნის შუადლის“ შექმნა შთა-
აგონა ლონდონის ეროვნულ გალერეაში ნანახმა ბუშეს (Boucher)
ტილომ.³ მრავალმა პოეტმა, განსაკუთრებით, მე-18 ს-ის ისეთმა
პოეტებმა, როგორებიც არიან ჰიუგო, გოტიე, პარნასელები და
ტიკი, შექმნეს ლექსები ამა თუ იმ მხატვრული ტილოს შესახებ.
პოეტებს, რა თქმა უნდა, თავიანთი თეორიები აქვთ ფერწერის
თაობაზე და საყვარელი მხატვრებიც ჰყავთ. საჭიროა ამ საკითხის
შესწავლა იმის დასასაბუთებლად, რომ ზემოხსენებული თეო-
რიები გარკვეულნილად, უკავშირდება პოეტების შეხედულებებს
ლიტერატურის შესახებ და მათ ლიტერატურულ გემოვნებას. ეს

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები
ნამდვილად დიდი, თითქმის შეუსწავლელი სფეროა, რომელთა კვ-
ლევა მხოლოდ ბოლო ათწლეულებში დაიწყო.⁴

თავის მხრივ, რასაკვირველია, ლიტერატურაც შეიძლება
იქცეს ნახატის ან მუსიკალური ნანარმოების თემად, განსა-
კუთრებით ვიკალური და პროგრამული მუსიკისა. ლიტერატურა,
ყველაზე მეტად კი ლირიკული პოეზია და დრამა ძალზე მჭიდროდ
თანამშრომლობდნენ მუსიკასთან. სულ უფრო მატულობს იმ
გამოკვლევათა რიცხვი, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ შეა-
საუკუნეების ჰიმნებისა და ელისაბედის ხანის ლირიკული პოე-
ზიის ახლო კავშირზე მუსიკასთან — თითქოსდა ისინა მუსიკისთ-
ვის არის დაწერილი.⁵ ხელოვნების ისტორიის სფეროში გამოჩნდა
მთელი რიგი სწავლულებისა (ერვინ პანოფსკი, ფრიც საქსლი და
სხვები), რომლებიც შეისწავლიან ხელოვნების ნიმუშთა კონცეფ-
ციურ და სიმბოლურ მნიშვნელობას („იკონოლოგიას“) და, ამასთან
ერთად, ხშირად იკვლევენ მათ კავშირს ლიტერატურასთან, იმას,
თუ რა იქცა მათი აგტორების შთაგონების წყაროდ.⁶

წყაროებისა და ურთიერთზეგავლენის, თანამშრომლობისა
და შთაგონების საკითხებთან ერთად, ნამოიჭრება გაცილებით
უფრო რთული პრობლემა. კერძოდ, ლიტერატურის ისტორიას
ახსოვს ისეთი შემთხვევები, როცა ლიტერატურულმა ნანარმოებ-
მა სცადა მიერნია ფერნერული ან მუსიკალური ეფექტისათვის და
ქცეულიყო სიტყვებში გაცოცხლებულ ნახატად ან მუსიკად. ისეთი
შემთხვევებიც გახსოვს, როცა პოეზიამ სცადა ქანდაკების განცდა
აღეძრა მკითხველში. კრიტიკოსისგან არ უნდა გაგვიკირდეს, თუ
ის მკაცრად დაგმობს ჟანრთა ასეთ აღრევას. ასეც მოიქცა ლესინგი
თავის „ლაოკონში“ (Laokoön) და ირვინგ ბერიტი (Irving Babbitt)
„ახალ ლაოკონში“ (The New Laokoön), მაგრამ ვერვინ უარყოფს,
რომ ხელოვნების დარგები ერთმანეთს დასხესხებიან მათვის
დამახასიათებელ ეფექტებს და შედეგიც ნარმატებული ყოფილა.
რასაკვირველია, არავინ აპირებს იმის მტკიცებას, რომ შესაძლე-
ბელია მეტამორფოზა პირდაპირი გაგებით: პოეზიის გადაქცევა
ქანდაკებად, მუსიკად ან ფერნერულ ტილოდ. როდესაც ტერმინს
„სკულპტურული“ ვიყენებთ პოეზიის მიმართ, თუნდაც ეს ლანდო-
რის (Landor), გოტიეს (Gautier) ან ჰერედიას (Heredia) პოეზია იყოს,
ეს მხოლოდ და მხოლოდ არაზუსტი მეტაფორაა, რომელიც გულისხ-
მობს, რომ კონკრეტული პოეტური ნანარმოები გარკვეულწილად

ლიტერატურის თეორია

ბერძნული ქანდაკების მსგავს შეგრძნებას გვიტოვებს, იქნება ეს თეთრი მარმარილოსთან თუ თაბაშირთან დაკავშირებული სიგრილის შეგრძნება, ან გარინდების, სიჩუმის განცდა, სიცხადე, მკვეთრი კონტურები. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ სიგრილის განცდა პოეზიაში სრულიად განსხვავდება იმ განცდისაგან, რასაც მარმარილო აღძრავს ჩვენში. ეს ეხება თეთრი ფერის წარმოსახვით განცდასაც; გარინდების შეგრძნება პოეზიაში სრულიად განსხვავდება ქანდაკებისეული გარინდებისაგან. როდესაც უილიამ კოლინზის ნანარმოებს „ოდა საღამოსადმი“ (*Ode to Evening*) უწოდებენ „სკულპტურულ ლექსს“, ამით იმისი თქმა როდი უნდათ, რომ მას რამამ კავშირი აქვს ქანდაკებასთან.⁷ ერთადერთი, რისი გაანალიზებაც ობიექტურად შეიძლება, ეს არის ნელი, საზემო მეტრი და პოეტური ენა, რომელიც იმდენად უჩვეულოა, რომ იძულებული ვხდებით მთელი ყურადღება ცალკეულ სიტყვებს მივაპყროთ და ეს კიდევ უფრო ანელებს კითხვის ტემპს.

მაგრამ იმაზე მანც ვერ დავხუჭავთ თვალს, თუ როგორი წარმატებით სარგებლობს ჰორაციუსის ფორმულა *ut pictura poesis* (ლათ. სიტყვა-სიტყვით „რაც მხატვრობაა, ისაა პოეზიაც“; როგორც მხატვრულ ტილოს სჭირდება ყოველი კუთხიდან შესწავლა, ისე სჭირდება პოეტურ ნანარმოებსაც. — მთარგმნელის შენიშვნა).⁸ ალბათ, კითხვის პროცესში მკითხველის გონებაში ნამდვილად არ ხდება სცენებისა თუ სურათების წარმოდგენა იმ ინტენსიურობით, როგორც ამას ამტკიცებენ. მაგრამ ხომ არსებობდნენ პოეტებიცა და ეპოქებიც, რომლებიც მკითხველს გონების თვალს უხელდნენ და თავიანთ პოეზიას მხატვრული ტილოსავით უშლიდნენ. შეიძლება, ლესინგი სამართლიანად აკრიტიკებდა არიოსატოს იმის გამო რომ ეს უკანასკნელი ჩამოთვლიდა ქალის სილამაზის ატრიბუტებს, რაც მკითხველის გონებაში ვერ წარმოქმნიდა წაკითხულის შთამბეჭდავ ვიზუალურ ხატს (თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არიოსატოს სტრიქონები პოეტურობის კუთხითაც მოიკოჭლებს). მიუხედავად ამისა, მე-18 ს-ის ხატოვანი წერის იდეით შეპყრობილთ, ასე, ერთი ხელის მოსმით, ვერ უარვყოფთ. თანამედროვე ლიტერატურაში, შატობრიანიდან მოყოლებული ვიდრე პრუსტამდე, მრავლად ვნახავთ ისეთ სცენას, რომელთა ეფექტი ფერწერული ტილოს ეფექტს უტოლდება და მკითხველს ძალაუნებურად იმდროინდელი მხატვრობის ნიმუშები

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

წარმოუდგება თვალწინიშვნის მიზანით. წარმოვიდგინოთ ისეთი მკითხველი, რომელიც საერთოდ ვერ ერკვევა მხატვრობაში. ასეთი მკითხველის შემთხვევაში უკვე საეჭვოა, შეძლებს თუ არა პოეტი, რომ თავისი პოეზიით ფერწერულ ეფექტს მიაღწიოს. და მანც, უნდა ვაღიაროთ, რომ კულტურის ისტორიის განმავლობაში მნერლებმა მართლაც მოახერხეს ის, რომ მათ ნანარმოებთა კითხვისას მკითხველის გონიერაში ცოცხლდება ერთგვარი ფერწერული სიმბოლო, მიმანიშვებელი მე-18 ს-ის ლანდშაფტური ფერწერისა თუ იმ იმპრესიონისტული მხატვრობის ეფექტისა, რომლითაც ცნობილია ჯეიმს უისტლერი, თუ მისი მსგავსი სხვა მხატვრები.

შესწევეს თუ არა პოეზიას იმის უნარი, რომ მოახდინოს ჩვენზე ისეთივე ზემოქმედება, როგორსაც ახდენს მუსიკა? ეს უფრო საეჭვოდ გვერცვენება, თუმცა ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ პოეზიას ეს ძალუძალის თუ გულდასმით გავაანალიზებთ იმას, თუ რას ვგულისხმობთ ლექსის „მუსიკალურობაში“, აღმოჩნდება, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს მუსიკის „მელოდიასთან“; „მუსიკალურობა“ გულისხმობს ფონეტიკური ერთეულების განლაგებას, თავის არიდებას თანხმოვანთა დაჯგუფებისათვის ან, უბრალოდ, გარკვეული რიტმული ეფექტის არსებობას. ისეთი რომანტიკოსი პოეტები, როგორიცაა ტიკი, მოგვიანებით კი ვერლენი, მუსიკალური ეფექტის შექმნის მიზნით უგულებელყოფდნენ ლექსის აზრობრივ სიმწყობრესა და ლოგიკურ კონსტრუქციებს, და ყურადღებას დენოტაციაზე მეტად კონოტაციაზე ამახვილებდნენ. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ არამაკაფიო კონტურები, აზრის ბუნდოვანება და ალოგიკურობა, პირდაპირი გაგებით, სულაც არ გახლავთ „მუსიკალური“ ხელოვნების ნიშან-თვისება. მუსიკის სტრუქტურის ლიტერატურული იმიტაციები, მაგალითად, ლაიტმოტივი, სონატა ან სიმფონია უფრო კონკრეტულ სურათს წარმოგვიდგენს. მაგრამ რატომ არ შეიძლება, მუსიკის გამომსახველობით საშუალებებად აღიარებულ განმეორებად მოტივებში, ან განწყობათა კონტრასტულობასა თუ ჰარმონიაში ამოვეიცნოთ ისეთი ნაცნობი ლიტერატურული სტილისტური ხერხები, როგორებიცაა განმეორებადობა, კონტრასტი და სხვ., რომლებიც დამახასიათებელია ხელოვნების ყველა დარგისთვის.⁹ იმ შედარებით იშვიათი შემთხვევების განხილვისას, როდესაც პოეზია მართლაც მოგვაგონებს გარკვეულ მუსიკალურ

ლიტერატურის თეორია

ბგერებს, მაგ., ვერლენის „ქვითინი გრძელი ვიოლინოთა“ ('Les sangles longs des violons') ან პოს „ზარები“ ('Bells'), უნდა ვაღიაროთ, რომ მუსიკალური ინსტრუმენტის ტემპრის თუ ზარების მეტად განზოგადებული ხმების ეფექტი მიღწეულია სხვა არაფრის, თუ არა ბგერათმიბაძების ხარჯზე.

ლექსები იწერებოდა, რა თქმა უნდა, მუსიკალური ნაწარმოებებისთვისაც. ნიმუშად შეიძლება მოყიყანოთ ელსაბედის ხანის სიმღერები და ყველა საოპერო ლიბრეტო. ისტორიას ახსოვს ისეთი იშვიათი შემთხვევებიც, როცა პოეტიცა და კომპოზიტორიც ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა; თუმცა, გაგვიჭირდება იმის დამტკიცება, რომ მუსიკისა და ლექსის შექმნა ოდესმე სინკრონულ პროცესს წარმოადგენდა. ზოგჯერ ვაგნერიც კი თავის „დრამებს“ მრავალი წლით უფრო ადრე ქმნიდა, ვიდრე მათ სასურველ მუსიკას მოარგებდა; ისიც ცნობლია, რომ მრავალი ლექსი უკვე მზა მელოდიისთვის დაუწერიათ. და მაინც, ურთიერთდამოკიდებულება მუსიკასა და მართლაც დიდებულ პოეზიას შერის საკამაოდ უმნიშვნელო ჩანს, თუ თვალს გადავავლებთ იმ მცირერიცხვან წარმატებულ შემთხვევებასაც, როდესაც კარგი მუსიკა და ასევე კარგი ტექსტი ერთმანეთს ჰარმონიულად ესადაგება. კომპოზიციურად და იდეურად სრულყოფილი, კარგად შეკრული ლექსები ადვილად არ ემორჩილებიან მუსიკის ენას, იმ დროს, როცა არაფრით გამორჩეულ თუ უხეირო პოეზიაზე (მაგ. ჰაინც თუ ვილჰელმ მიულერის მრავალი ადრეული ლექსი) შუბერტისა თუ შუმანის უმშვენიერესი სიმღერები შეიქმნა. თუ საქმე მართლაც მაღალმხატვრულ პოეზიასთან გვაქვს, მუსიკის ენაზე მის თარგმნას ხშირად ზიანი მოაქვს მისთვის. რადგანაც, ამ დროს ხშირია პოეტური ნაწილის დამახინჯება ან სულაც მიჩქმალვა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მუსიკა თავისთავად მართლაც ლირებულია. ამისთვის ბევრი მაგალითის მოყვანა არც არის საჭირო. გავიხსენოთ თუნდაც ვერდის მუსიკით გადმოცემული შექსპირის „ოტელო“. ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს ასევე მუსიკა, რომელიც დაინერა გოეთეს მრავალი ლექსისთვის და ფსალმუნისთვის. მტეიცება აღარ სჭირდება იმას, რომ მუსიკა და პოეზია ურთიერთმოქმედებენ, მაგრამ პოეზიის საუკეთესო ნიმუშები მუსიკისადმი დიდი მიღრევილებით არ გამოირჩევა, ზუსტად ისევე, როგორც ყველაზე დიდებულ მუსიკას ნამდვილად არ სჭირდება სიტყვები.

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

როდესაც მსჯელობენ ნატიფ ხელოვნებასა და ლიტერატურას შორის არსებული პარალელების შესახებ, ხშირად გავიგონებთ ასეთ ფრაზას: მავანი სურათი და მავანი ლექსი ერთსა და იმავე განწყობას იწვევს; მაგ., მხიარულად და უზრუნველად ვგრძნობ თავს, როდესაც მოცარტის მენუეტს ვუსმენ, ვატოს პეიზაჟს ვუმზერ ან ანაკრეონულ ლექსს ვკითხულობო. ჩვენი მიზანი კი ზუსტი ანალიზია, რომელსაც ამგვარი სახის პარალელიზმები დიდად ვერ ნაადგება: მუსიკალური ნაწარმოებით მოგვრილი სიხარული განსხვავდება, ზოგადად, სიხარულისგან და მას ვერც რაიმე კონკრეტული მიზეზით აღძრულ სიხარულს შევადარებთ, თუმცა, ეს მაინც მუსიკით გამოწვეული ემოციაა და მისი აღქმა კონკრეტული მუსიკის შინაარსთან არის დაკავშირებული. მუსიკით გამოწვეულ და ცხოვრებისეულ ემოციებს მხოლოდ საერთობუნება აკავშირებთ. თუ ჩვენ მაინც ვეცდებით და შეძლებისდაგვარად განვსაზღვრავთ ამ ემოციებს, მაინც სრულიად დაშორებული აღმოვჩნდებით იმ კონკრეტული საგნისგან, რომელმაც ეს შეგრძნება გამოიწვია. პარალელები ხელოვნების ორ რომელიმე დარგს შორის, სანამ ისინი ემყარება მხოლოდ მკითხველისა თუ მაყურებლის ინდივიდუალურ რეაქციების, აგრეთვე — ხელოვნების ამ ორი დარგის მსგავსი აღქმის აღნერას, არასდროს დაექვემდებარება შემოწმებასა და დაზუსტებას და, ამდენად, ამ ორი დარგის ჩვენეული გაგებაც თანაზომიერად არ განვითარდება.

ხელოვნების სხვადასხვა დარგების მიმართ კიდევ ერთი საერთო მიდგომა გულისხმობს ხელოვანთა ჩანაფიქრისა და მათი თეორიების შესწავლას. ცხადია, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგს მიღმა არსებულ თეორიებსა და ფორმულებს, ასევე — კლასიციზმისა თუ რომანტიზმის მიმდნარეობებს, გარკვეული მსგავსება აკავშირებს. სხვადასხვა დარგის ხელოვანთა განცხადებებშიც მრავალი რამ შეიძლება მსგავსად და იდენტურად მოგვეჩვენოს. თუმცალა, „კლასიციზმი“ მუსიკაში ლიტერატურული „კლასიციზმისაგან“ განსხვავებით სულ სხვა რამეს უნდა ნიშნავდეს უბრალო მიზეზის გამო: თუ არ ჩავთვლით მცირერიცხვან ფრაგმენტებს, ნამდვილად არაფერი ვიცით ანტიკური მუსიკის შესახებ, რომელიც ისევე დაუდებდა სათავეს მუსიკის განვითარებას, როგორც ჩამოაყალიბა და გა-

ლიტერატურის თეორია

ნავითარა ლიტერატურა ანტიკური ხანის ნიმუშებმა და მხატვრულმა ნორმებმა. იგივე შეიძლება ითქვას მხატვრობის შესახებ. პომპიისა და პერკულანუმის ფრესკების აღმოჩენამდე სახით ხელოვნებაზე დიდ გავლენას როდი ახდენდა კლასიკური მხატვრობა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან მიმართებაში ხშირად ახსენებდნენ კლასიკურ თეორიებსა და ბერძენ მხატვრებს, მაგალითად, აპელესს, ასევე — უძველეს ფერწერულ ტრადიციებს, რომელთაც ანტიკური ხანიდან ჩვენამდე შუა საუკუნეების გავლით უნდა მოყენია. თუმცა, ქანდაკებისა და არქიტექტურისთვის კლასიკური მოდელები და გაცილებით უფრო ღირებული იყო, ვიდრე ხელოვნების სხვა რომელიმე დარგისთვის (ლიტერატურის ჩათვლით). გამოდის, რომ თეორიები და გააზრებული ჩანაფიქრები სხვადასხვაგვარია ხელოვნების სხვადასხვა დარგში და, საბოლოო ანგარიშში. ძალიან ცოტას, ან საერთოდ არაფერს გვაუყებს ხელოვანის შემოქმედების რეალური შედეგების, ანუ მისი ქმნილებისა და ამ ქმნილების კონკრეტული შინაარსისა და ფორმის შესახებ.

ავტორის ჩანაფიქრის ცოდნა დიდად ვერ გვეხმარება კონკრეტული ტექსტის განმარტებაში. ამაში ის მცირერიცხოვანი შემთხვევები დაგვარწმუნებს, როდესაც მხატვარიც და პოეტიც ერთი და იგივე პიროვნებაა. მაგ., თუ შევადარებთ უილიამ ბლეიკის პოეზიას მისსავე მხატვრობას ან იმავეს მოვიმოქმედებთ დანტე გაბრიელ როსეტის (Rossetti) მიმართ, დავინახავთ, რომ მათი მხატვრობა და პოეზია ბუნება ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხშირად კი ურთიერთსაპირისპირი ხასიათისაა, თანაც არა მარტო ტექნიკური თვალსაზრისით. ბლეიკი ხატავს გროტესკულ პატარა ცხოველს და ესაა ილუსტრაცია მისი ცნობილი ლექსისთვის: „ვეფხვო, უღრანში დაძრნი ეული, / ნისლად გეხვევა ღამე გრძნეული, / დაუოკებელ ძალად ქცეული / ვინ გამოძერნა შენი სხეული?“ (ლექსის თარგმანი ეკუთვნის მასა ჯიჯეიშვილს –მთარგმნელის შენიშვნა). თეკერეიმ თვითონ დაასურათა საკუთარი „ამაოების ბაზარი“ (Vanity Fair), მაგრამ მისეულ თავმომწონედ, სულელურად მომღიმარი ბეკი შარპის კარიკატურულ სახეს საერთო არაფერი აქვს რომანის რთულ პერსონაჟთან. მიქელანჯელოს „სონეტებსა“ და მის ქანდაკებებსა თუ ნახატებს შორის მცირეოდენი მსგავსება შეინიშნება

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

სტრუქტურისა და ხარისხის თვალსაზრისით, თუმცა, მისი ყველა ქმნილებაში იგრძნობა ნეოპლატონური იდეების ზეგავლენა და ერთგვარი ფსიქოლოგიური მსგავსება.¹⁰ ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხელოვნების ნაწარმოების „მედიუმი“ (შეუფერებელი, ცუდად შერჩეული ტერმინი, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს), მხოლოდ ხელოვანის მიერ გადასალახავი ტექნიკური დაბრკოლება როდია, იგი ტრადიციების შედეგად წინასწარ ჩამოყალიბებული ფაქტორიცა და თავისი მძლავრი განმსაზღვრელი ბუნებით ინდივიდუალური ხელოვანის დამოკიდებულებასა და გამოხატვის საშუალებებს აყალიბებს და ფორმას უცვლის. ხელოვანი აზროვნებს კონკრეტული მასალიდან გამომდინარე და არ მიმართავს ზოგად იდეებს. კონკრეტულ მედიუმს კი თავისი საკუთარი ისტორია აქვს და, ხშირ შემთხვევაში, ძალიან განსხვავდება სხვა მედიუმის ისტორიისგან.

უფრო ნაყოფიერი შედეგის მისაღებად სასარგებლოა ხელოვნების დარგების შედარება (ხელოვანთა ჩანაფიქრებისა და თეორიების შედარების ნაცვლად) მათი საერთო სოციალური და კულტურული ფონის საფუძველზე. რასაკვირველია, შეიძლება აღვწეროთ ხელოვნებისა და ლიტერატურის მასაზრდობელი ნიადაგი: დროის, ადგილისა და სოციალური ვითარების საერთო ფონი და ამით მივანიშნოთ იმ მთელ რიგ საერთო გავლენებზე, რომლებიც მათ განიცადეს. ხელოვნების დარგებს შორის მრავალი პარალელის გავლება მხოლოდ იმიტომ შეიძლება, რომ მკვლევრები არ ითვალისწინებენ სრულიად განსხვავებულ სოციალურ ფონს, რომელმაც განსაზღვრა ხელოვნების კონკრეტული ნაწარმოების ხასიათი ან მისი შემოქმედის ამოცანა. სოციალური კლასები, რომლებიც ხელოვნების გარკვეული ტიპის შემქმნელებად მოიაზრებიან ან თავად აქვთ მასზე მოთხოვნილება, შესაძლებელია სრულიად განსხვავდებოდნენ ერთ რომელიმე მოცემულ დროსა და სივრცეში. გოტიკური ტაძრების აგება და, მეორე მხრივ, ფრანგული ეპოსის შექმნა განაპირობა სხვადასხვაგვარმა სოციალურმა მოთხოვნილებებმა; ქანდაკებისა და რომანის შემფასებლები (და მათი მყიდველები), როგორც წესი, საზოგადოების ურთიერთგანსხვავებულ წრეებს განეკუთვნებიან. შეხედულება, თითქოს გარკვეულ დროსა და სივრცეში ხელოვნების დარგებს საერთო სოციალური ფონი აქვთ, ისეთივე

ლიტერატურის თეორია

მცდარია, როგორც მეორე აღიარებული შეხედულება, რომლის თანახმად, ინტელექტუალური გარემო, ფონი ხელოვნების ყველა დარგისთვის აუცილებლად იდენტური და ქმედითია. მეტად სახი-ფათოა მხატვრობის ინტერპრეტაცია იმდროინდელი ფილოსო-ფიის კუთხით. ჩარლზ დე ტოლნეის.¹¹ მაგალითიც საკმარისია: მან პანთეისტური მონიზმის გამოვლინებად მიიჩნია უფროსი ბრეიგე-ლის შემოქმედება, რომელიც ნიკოლაუს კუზანელისა (Cusanus) და პარაცელსის (Paracelsus) მოღვაწეობას გაუთანაბრა, და სპინზასა და გოეთეს მოღვაწეობის წანამძღვრად აღიარა. კიდევ უფრო სახი-ფათოა ხელოვნების დარგების „ახსნა“ „ეპოქის სულის კვეთების“ მეშვეობით, რასაც გერმანული Geistesgeschichte-ს სკოლა მიმართავს. ეს ტენდენცია ჩვენ ზემოთ გავაკრიტიკეთ.¹²

ჭეშმარიტი პარალელიზმები, რომლებიც მომდინარეობს იდენტური ან მსგავსი სოციალური თუ ინტელექტუალური ფონიდან, თითქმის არასოდეს არ ყოფილა კონკრეტული ტერმინოლოგით გაანალიზებული. ჩვენს ხელთ არ არის გამოკვლევები, რომლებიც კონკრეტულად გვიჩვენებენ, მაგ., იმას, თუ როგორ ხდება, რომ მოცემულ დროსა და ვითარებაში ხელოვნების ყველა დარგი აფართოებს ან პირიქით ამცირებს თავიანთ სფეროებს, როცა საქმე „ბუნების“ მოვლენებს ეხება; როგორ უკავშირდება ხელოვნების ნორმები კონკრეტული სოციალური კლასების მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, რამდენად ექვემდებარებიან ეს ნორმები ერთგვაროვან ცვლილებებს; როგორ იცვლება ესთეტიკური ლირებულებები სოციალური რევოლუციების ზეგავლენით. ყველაფერი ეს გახლავთ კარგა მოზრდილი აუთვისებელი სივრცე, რომლის შესწავლა თითქმის არც დაწყებულა, მაგრამ დამაჯერებელ შედეგებს მოგვცემს ხელოვნების დარგთა შედარებითი კვლევისას. რასაკვირველია, ამ მეთოდით შეგვიძლია გამოვალინოთ მხოლოდ ერთგვაროვანი ზეგავლენა, რომელსაც განიცდის ხელოვნების სხვადასხვა დარგი და არა ამ დარგების აუცილებელი სიახლოვე.

აშკარაა, რომ ხელოვნების დარგთა შედარების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი ეფუძნება ხელოვნების კონკრეტული ნიმუშების და მათი სტრუქტურული ურთიერთმიმართებების ანალიზს. ხელოვნების ჭეშმარიტი ისტორია (რომ არაფერი ვთქვათ ხელოვნების დარგთა შედარებით ისტორიაზე) ვერასოდეს შეიქმ-

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

ნება, თუ მთელ ჩვენს ყურადღებას არ მივაპყრობთ თავად ნაწარ-მოებთა ანალიზს და უკანა პლანზე არ გადავწევთ გამოკვლევებს, რომლებიც შეისწავლიან მკითხველისა თუ მაყურებლის, ან ავ-ტორისა თუ ხელოვანის ფსიქოლოგიას. ასევე უნდა მოვექცეთ იმ გამოკვლევებს, რომლებიც ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარ-მოებთა კულტურულ და სოციალურ გარემოს შეისწავლიან; ასე უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გვეჩვენება, რომ თავი-ანთი კუთხიდან მათ შეუძლიათ ნათელი მოპირობის ჩვენი კვლევის საგანს. სამწუხაროდ, დღემდე თითქმის არ გაგვაჩნდა შესაფერისი საშუალებანი ხელოვნების დარგთა ამგვარი შედარებისთვის. აქ კი ერთი მეტად რთული შეკითხვა იძალება: რა შეიძლება მივიჩნიოთ ხელოვნების დარგთა საერთო და შესადარებელ საფუძვლებად? რას უნდა ემყარებოდეს ხელოვნების დარგთა შორის საერთოს, მსგავსების პოვნა? ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგვცემს კროჩეს, ან რომელიმე სხვა მსგავსი თეორია, რომელიც ყველა ესთეტიკური პრობლემის გადაჭრას ინტუიციის უნარს აკისრებს და, ჩვენთვის აუხსნელი მიზნით, მას გამომხატველობასთან აიგივებს. კროჩე ამტკიცებს, გამოხატვის ფორმები არ არსებობსო, „ხელოვნების დარგთა ესთეტიკური კლასიფიკაციის ნებისმიერ მცდელობას აბსურდულად“ მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, უწინარეს ყოვლისა, არ ცნობს არანაირ განსხვავებას ხელოვნების უანრებსა თუ ტიპებს შორის.¹³ ჩვენს პრობლემას მაინცდამაინც ვერც ჯონ დიუი (Dewey) ემარება თავისი ნაშრომით „ხელოვნება, როგორც გამოცდილება“ (1934). ის ამტკიცებს, რომ ხელოვნების დარგებს უდავოდ აქვთ საერთო საფუძველი, რადგანაც არის ისეთი „ზოგადი გარემოებანი, რომელთა გარეშეც გამოცდილება ვერ იარსებებდა“.¹⁴ უეჭველია, რომ არის რაღაც საერთო, რაც ახასიათებს ნებისმიერი მხატვრული შემოქმედების აქტს, ადამიანის ყველანაირი მოღვაწეობასა და გამოცდილებას, მაგრამ ეს დასკვნა ხელოვნების დარგების შესადარებლად არ გამოგადგება. თეოდორ მეიერ გრი-ნი (Meyer Greene) უფრო კონკრეტულად აყალიბებს თავის შეხედულებას და აცხადებს, რომ ხელოვნების დარგების შედარების საფუძვლად კომპლექსურობა, ინტეგრაცია და რიტმი უნდა იქცეს და, როგორც ჯონ დიუი მანამდე, მეიერ გრინიც მჭერმეტყველურად ამტკიცებს, რომ პლასტიკური ხელოვნების დასახასიათებლად მეტად მართებულია ტერმინ „რიტმის გამოყენება“.¹⁵ თუმცალა,

ლიტერატურის თეორია

შეუძლებლად მიგვაჩნია იმ აბსოლუტური სხვაობის დაძლევა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მუსიკალური ნაწარმოების რიტმსა და მეორე მხრივ, კოლონადის რიტმს შორის; უკანასკნელ შემთხვევაში ქმნილების სტრუქტურა არ განსაზღვრავს ამ ქმნილების ნაწილთა წყობასა და მათი ურთიერთმონაცვლეობის ტემპს. კომპლექსურობა და ინტეგრაცია უბრალოდ სხვა ტერმინებია „მრავალფეროვნებისა“ და „ერთიანობის“ აღსანიშნად და ამდენად, მათ ფართო მასშტაბით ვერ გამოვიყენებთ. ხელოვნების დარგთა კონკრეტული ურთიერთშესაბამისი ელემენტების დადგენის მცდელობები (ამ დარგთა სტრუქტურიდან გამომდინარე), იშვიათი გამონაკლისების გარდა, არასაიმედო შედეგებს იძლევა. ჰარვარდის უნივერსიტეტის მათემატიკოსმა ჯორჯ დევიდ ბირკჰოფმა (Birkhoff) თავის ნაშრომში „ესთეტიკური საზომი“ (The Esthetic Measure)¹⁶ ნარმატებით გამონახა ხელოვნების მარტივი ფორმებისათვის და მუსიკისათვის საერთო მათემატიკური საფუძველი. ხსენებულ ნაშრომში მან, აგრეთვე, გამოიკვლია ლექსის „მუსიკალურობა“, რომელიც ასევე განსაზღვრულია მათემატიკური განტოლებებისა და კოეფიციენტების საშუალებით. მაგრამ კეთილხმოვანების პრობლემა პოზიაში ვერ გადაწყდება, თუ მას აზრისგან იზოლირებულად განვიხილავთ. ის ფაქტიც, რომ ბირკჰოფი ედგარ ალან პოს ლექსებს მაღალ შეფასებას აძლევს, ამ შეხედულების დასტურია. თუ ბირკჰოფის მახვილგონივრულ ცდებს დააფასებენ, მაშინ მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება ნაპრალი პოეზიის პრინციპულად „ლიტერატურულ“ თვისებებსა და ხელოვნების სხვა დარგებს შორის, რომლებსაც ლიტერატურასთან შედარებით, გაცილებით უფრო მეტად მიესადაგება „ესთეტიკური საზომი“.

დიდი ხანია, რაც ნარმოდენამ ხელოვნების დარგების პარალელიზმის შესახებ განაპირობა ხელოვნებათმცოდნეობის მიერ შემუშავებული სტილთა კონცეფციების მეშვეობით ლიტერატურის კვლევის ტენდენცია. მე-18 ს-ში ბოლო არ უჩანდა უთვალავ შედარებას სპენსერის „ფერიათა დედოფალსა“ და გოტიკური სტილის ტაძრის დიდებულ ქაოსურობას შორის.¹⁷ შპენგლერი თავის „დასავლეთის მზის ჩასვენებაში“ ანალოგიებს ეძებს კულტურის ყველა სფეროში და საუბრობს თითქოსდა „ხილული კამერული მუსიკის“ შესახებ, რომელსაც ის შეიგრძნობს „მე-18

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

ს. ღვლარქნილ ავეჯში, სარკეებიან ოთახებში, პასტორალებსა და ფაიფურის ფიგურებში¹⁸. იგი, აგრეთვე, მიგვანიშნებს „მადრიგალის ტიციანისებურ ბუნებაზე“, „ფრანც პალსის ნახატების ცოცხალ და ვან დეიკის ზომიერ, დინჯ ტემპზე“. ¹⁹ ხელოვნების დარგთა ამგვარი ინტერპრეტაციის შედეგად გერმანიაში უამრავი გამოკვლევა დაიწერა გოტიკური ხანის ადამიანზე და ბაროკოს ეპოქის ატმოსფეროზე. ამან კი იქამდე მიგვიყვანა, რომ ტერმინებს „როკოკოს“ და „ბიდერმაიერს“ უკვე ლიტერატურაშიც მოუძებნეს ადგილი. ხელოვნების დარგების მკვეთრად გამოკვეთილმა მიმდინარეობებმა, როგორიცაა გოტიკა, რენესანსი, ბაროკო, როკოკო, რომანტიზმი, ბიდერმაიერი, რეალიზმი, იმპერსიონიზმი, ექსპრესიონიზმი, გულგრილი არც ლიტერატურის ისტორიკოსები დატოვა, და ლიტერატურის პერიოდიზაციის დროს მათ ეს ცნებები თავიანთ დარგშიც შემოიტანეს. ეს მიმდინარეობები ორ მთავარ ჯგუფად ნაწილდება და გამოხატავს მარადიულ, ფუნდამენტურ კონტრასტს კლასიკურსა და რომანტიკულს შორის; გოტიკა, ბაროკო, რომანტიზმი, ექსპრესიონიზმი ერთ მხარეს აღმოჩნდნენ, რენესანსი, ნეოკლასიციზმი, რეალიზმი — მეორე მხარეს. როკოკო და ბიდერმაიერი შეიძლება გავიგოთ, როგორც მათი წინამორბედი მიმდინარეობების — შესაბამისად, ბაროკოს და რომანტიზმის — გვიანი, დეკადენტური, გადატვირთული ვარიაციები. ხშირად ასეთი პარალელიზმები, ცოტა არ იყოს, არასახარბიელოდ და ნაძალადევგად გამოიყურება და ბევრ უაზრო გამონათქვამსაც ვანყდებით იმ (თვით ყველაზე პატივსაცემ) სწავლულთა ნაწერებშიც, რომლებიც, როგორც ჩანს, მეტად გატაცებული უნდა იყვნენ ამ მეთოდით.¹⁹

ლიტერატურისათვის ხელოვნების ისტორიის კატეგორიების მორგება ყველაზე კონკრეტულად სცადა ოსკარ ვალცელმა, რომელმაც საამისოდ ველფლინის (Wölfflin) კრიტერიუმები გამოიყენა. ველფლინმა თავის „ხელოვნების ისტორიის პრინციპებში“ (Principles of Art History)²⁰ რენესანსულ და ბაროკოს ხელოვნებებს შორის ზღვარი წმინდა სტრუქტურულ საფუძველზე გაავლო. მან შექმნა დაპირისპირებათა სქემა, რომელსაც მოარგებდა მოცემული პერიოდის ნებისმიერი სახის ფერწერულ ქმნილებას, ქანდაკებას თუ არქიტექტურულ ნიმუშს. ის ამტკიცებდა, რომ რენესანსული ხელოვნება არის „ხაზოვანი“, ხოლო ბარო-

ლიტერატურის თეორია

კოსი — „ხატოვანი“. ტერმინი „ხაზოვანი“ იმის მაჩვენებელია, რომ ფიგურათა და საგანთა ფორმები მკვეთრად არის გამოკვეთილი, ხოლო „ხატოვანი“ გულისხმობს, რომ სინათლე და ფერი, რაც საგანთა კონტურებს სიმკვეთებს უკარგავს, თავად არის კომპოზიციის საფუძველი. რენესანსული მხატვრობა და ქანდაკება იყენებს „დახურულ“ ფორმას, ფიგურათა სიმეტრიულ, განიხნას-ნორებულ განლაგებას, ბაროკო კი უპირატესობას ანიჭებს „ლია“ ფორმას, ასევე — ასიმეტრიულ კომპოზიციას, რომელიც აქცენტს ნახატის კუთხეზე უფრო აკეთებს, ვიდრე მის ცენტრალურ ნაწილზე და შეიძლება მაყურებლის ყურადღება ჩარჩოს მიღმაც კი გადაიტანოს. რენესანსული ნახატები „ბრტყელია“, ან ყოველ შემთხვევაში, შესრულებულია სხვადასხვა სიბრტყეზე, რომლებიც თითქოსდა უკან იხევნ, იყარებიან. ბაროკოს პერიოდის სურათები კი „დრმაა“ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენს მზერას შორეული და გაურკვეველი ფონისაკენ ნარმართავენ. რენესანსული ნახატები „მრავალპლანიანია“, იმ გაგებით, რომ რამდენიმე აშკარად გამოკვეთილი ნანილისაგან შედგება; ბაროკოს სტილი კი უფრო „ერთიანია“, ინტეგრირებული და შეკრული. რენესანსული ხელოვნების ნიმუშები „გასაგებია“ ბაროკოს ნიმუშებთან შედარებით, რომლებიც „გაუგებარი“, ბუნდოვანი, არამკაფიონა.

ველფლინმა თავისი დასკვნები ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშთა უჩვეულოდ ფაქტიზი ანალიზის საფუძველზე გამოიტანა და მიგვითითა, თუ რამდენად გარდაუვალი იყო ნინსვლა რენესანსიდან ბაროკოსკენ. რასაკვირველია, მათი თანამიმდევრობის შეცვლა შეუძლებელია. ველფლინი არ გვთავაზობს ამ პროცესის მიზეზობრივ ახსნას, იგი მხოლოდ ვარაუდობს, რომ „ხედვის სტილი“ უნდა შეცვლილიყო, რასაც ნამდვილად ვერ ჩავთვლით წმინდა წყლის ფიზიოლოგიურ მოვლენად. ეს შეხედულება, რომელიც აქცენტს „ხედვის სტილის“ შეცვლაზე აკეთებს, ანუ ხაზს უსვამს წმინდა სტრუქტურულ, კომპოზიციურ ცვლილებებს, მომდინარეობს ფიდლერისა და ჰილდებრანდის თეორიებიდან, სათავეს კი იღებს ციმერმანიდან (Zimmermann), რომელიც ჰერბერტის (Herbert) მიმდევარი ესთეტიკოსი გახლდათ.²¹ თუმცა, ველფლინი (განსაკუთრებით კი გვიანდელ განცხადებებში) თავად აღიარებდა ამ მეთოდის ნაკლოვანებებს და ნამდვილად არ მიაჩნდა, რომ

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

მისმა ფორმათა ისტორიამ ხელოვნების ისტორიის ყველა პრობლემა ამონურა.²² იგი ადრეც არ უარყოფდა „პერსონალურ“ და „ლოკალურ“ სტილთა არსებობას და ესმოდა, რომ მისეული ტიპები შეიძლებოდა ყველგან შეგვევედროდა და არა მარტო მე-16 და მე-17 საუკუნეებში, თუმცალა — უფრო ნაკლებად გამოკვეთილი ფორმით.

1916 წელს ვალცელმა, ახლად წაკითხული „ხელოვნების ისტორიის პრინციპების“ ზეგავლენით, სცადა ველფლინისეული კატეგორიები ლიტერატურისთვისაც მოერგო.²³ შექსპირის პიესების შესნავლის შედეგად მან დაასკვნა, რომ შექსპირი ბაროკოს პერიოდს ეკუთვნის. რადგანაც მისი პიესები არ არის აგებული იმ სიმეტრიული წყობით, რომელიც, ველფლინის აზრით, რენესანსის სურათებს ახასიათებს. ყველა დანარჩენი დამახასიათებელი თვისება შექსპირის პიესებისა: მეორესარისხოვან პერსონაჟთა რაოდენობა, მათი ასიმეტრიული დაჯგუფება, აქცენტის განაწილება პიესის სხვადასხვა აქტზე მარტივებელია იმისა, რომ ავტორის ტექნიკა ბაროკოს ტექნიკას ენათესავება, ხოლო კორნელი და რასინი, რომლებიც თავიანთ ტრაგედიებს ერთი ცენტრალური ფიგურის გარშემო აგებდნენ და აქცენტსაც აქტებს შორის ტრადიციული არისტოტელურეული მოდელის მიხედვით ანანილებდნენ, რენესანსულ ტიპს განასახიერებენ. ჯერ ერთ პატარა წიგნში და შემდეგ უკვე მრავალ გვიანდელ ნაწერში²⁴ ვალცელი განმარტავდა და ასაბუთებდა იმას, თუ რატომ მოარგო ველფლინის კრიტერიუმები ლიტერატურას. თავდაპირველად ამ მტკიცებებს საკმაოდ მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი უფრო და უფრო შეუფერებელი და პრეტენზიული ტონი მიეცა.

ველფლინის ზოგიერთი კატეგორია შეიძლება საკმაოდ ადვილად და ცხადად ჩამოვაყალიბოთ ლიტერატურის ენაზე. აშკარაა, რომ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ისეთ ხელოვნებას შორის, რომელიც თავისი არსის გამოსახატავად მკვეთრ კონტურებსა და გამოკვეთილ ნაწილებს ამჯობინებს და მეორე მხრივ, ისეთ ხელოვნებას შორის, რომელიც უპირატესობას კომპოზიციის უფრო თავისუფალ ფორმასა და გაურკვეველ კონტურებს ანიჭებს. ფრანც შტრიჩი (Strich) შეეცადა გერმანულ კლასიციზმსა და რომანტიზმს შორის არსებული განსხვავება აღენერა იმ ველფლინისეული კატეგორიების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებული იყო რენესანსისა და

ლიტერატურის თეორია

ბაროკოს პერიოდებისთვის. ამ კატეგორიათა თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგად შტრიხმა ახლებურად გააშუქა ძველი დაპირისპირება კლასიციზმის ხანის სრულყოფილ ლექსისა და დაუსრულებელ, ფრაგმენტულ თუ გაუგებარ რომანტიკულ პოეზიას შორის.²⁵ მაგრამ ხელთ შეგვრჩა დაპირისპირებათა ერთადერთი მოდელი ლიტერატურის მთელი ისტორიისთვის. ველფლინის კატეგორიები თუნდაც წმინდა ლიტერატურულ ენზე რომ ჩამოვაყალიბოთ, ისინი მაინც მხოლოდ იმაში დაგვეხმარებიან, რომ შევძლებთ მხატვრული ნანარმოებები ორი კატეგორიის მიხედვით დავაჯდუფოთ, და თუ ამასაც დეტალურად განვიხილავთ, მივალთ ისევ ძველ დაყოფამდე მყაცრსა და თავისუფალ სტილებს, კლასიკურსა და რომანტიკულ, პლასტიკურსა და ფერწერულ ხელოვნებას შორის, ანუ იმ დუალიზმამდე, რომელსაც შლეგელებიც, შელინგიც და კოლრიჯიც იცნობდნენ და რომლის შეცნობაშიც მათ იდეოლოგიური და ლიტერატურული პაქტრიბა დაეხმარა. ველფლინისეულ დაპირისპირებათა მოდელი საშუალებას იძლევა, ერთ ჯგუფში გაერთიანდეს მთელი კლასიკური და ფსევდოკლასიკური ხელოვნება, მეორე ჯგუფში კი — ისეთი ძალზე განსხვავებული მიმდინარეობები, როგორებიცაა: გოტიკა, ბაროკო და რომანტიზმი. ამ თეორიას თუ მივყვებით, დაიჩრდილება უდავო და უაღრესად მნიშვნელოვანი უნივერტი კავშირი რენესანსსა და ბაროკოს შორის. ხოლო როდესაც შტრიხი იყენებს მას გერმანულ ლიტერატურის მიმართ, წარმოიქმნება ხელოვნური კონტრასტი შილერისა და გოეთეს განვითარების ფსევდოკლასიკურ პერიოდსა და მე-19 ს. დასაწყისის რომანტიკულ მიმდინარეობას შორის, ხოლო „ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობა საერთოდ აუსახელი და გაუგებარი რჩება. სინამდვილეში მე-18 და მე-19 საუკუნეება მიჯნაზე გერმანული ლიტერატურას აქვს გამორჩეულად ერთიანი სახე და შეუძლებელია მისი დაყვანა შეუთავსებელ ანტითეზამდე. ამდენად, ველფლინის თეორია შეიძლება დაგვეხმაროს მხატვრულ ნანარმოებთა კლასიფიკაციაში და ჩამოვაყალიბოს, ან უფრო სწორად, დაადასტუროს დუალისტური განვითარების სქემის უკვე არსებული, ძველი აქცია-რეაქცია, ტრადიცია-ამბოხი ან აინონა-დაინონა ბუნება, მაგრამ, როდესაც მას უპირისპირდება ლიტერატურის კომპლექსური განვითარების რეალობა, იგი ველარ ახერხებს გაუმკლავდეს ლიტერატურის ჭეშმარიტი განვითარების მთელ მრავალფეროვნებას.

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

ლიტერატურისათვის ველფლინის კონცეფციების მორგების შედეგად გადაუქრელი რჩება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სრულიად პრობლემა. ვერანაირად ვერ ავხსნით იმ უეჭველ ფაქტს, თუ რატომ ვითარდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგი ერთსა და იმავე დროით მონაკვეთში სხვადასხვა ტემპით. ხანდახან ისე ჩანს, თითქოს ლიტერატურა ჩამორჩება ხელოვნების სხვა დარგებს. მაგ., განა არსებობდა ინგლისური ლიტერატურა იმ პერიოდში, როდესაც დიდებული ინგლისური ტაძრები შენდებოდა? ზოგჯერ მუსიკა ჩამორჩებოდა ლიტერატურას და ხელოვნების სხვა დარგებს. მაგ., 1800 წლამდე „რომანტიკულ“ მუსიკაზე სათქმელი არაფერია, თუმცა რომანტიკული პოეზიის დიდი ნაწილი შექმნილი იყო ამ თარიღამდეც. ძნელია იმ ფაქტის ახსნა, თუ როგორ მოხდა, რომ „ფერწერული“ პოეზია, სულ მცირე, სამოც წელს ითვლიდა, სანამ ფერწერულობა (ხატოვანება) არქიტექტურის სფეროს²⁶ დაიპყრობდა. ან რითი ავხსნათ ბურკჰადტის.²⁷ მიერ ნახსენები შემთხვევა, რომ ლორენცო მაგნიფიკოს (Lorenzo il Magnifico, ლორენცო ბრწყინვალე, იგვივე ლორენცო და მედიჩი, ფლორენციის რესპუბლიკის მმართველი რენესანსის დროს; მთარგმნელის შენიშვნა) ლექსი „ნენჩა“ (Nencia), სადაც მწყემსთა ცხოვრების სცენაა ასახული, ოთხმოციოდე წლით უსწრებდა ჯაკოპო ბასანოს (Jacopo Bassano) და მისი სკოლის პირველ უანრულ სურათებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მაგალითები არასწორად იქნა შერჩეული და შეიძლება მათზე უარის თქმა მოგვიწიოს, მაინც ჩნდება კითხვა, რომელზეც პასუხს ვერ გავცემთ ამ გადამეტებულად მარტივი თეორიით, ისევე, როგორც ვერ ვუპასუხებთ კითხვას, რატომაა, რომ მუსიკა პოეზიას ყოველთვის მთელი ერთი თაობით ჩამორჩება.²⁸ აშკარაა, რომ უნდა დავადგინოთ ურთიერთმიმართება სოციალურ ფაქტორებთან, ეს ფაქტორები კი განსხვავებული იქნება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

ბოლოს, აშკარაა გარკვეული ერებისა თუ პერიოდების განსაკუთრებული წარმატებულობა ხელოვნების ერთ, თუ გნებავთ, ორ დარგში, იმ დროს, როცა დანარჩენ დარგებში ან სრულიად არავითარი მიღწევა არ შეინიშნებოდა, ან ფონს უბრალოდ მიბაძვით და არსებულის ოდნავ შეცვლის გზით გადიოდნენ. ამისი თვალსაჩინო მაგალითია დედოფალ ელისაბედის დროინდელი ლიტერატურის აყვავება, როცა განვითარებით მას ნამდვილად

ლიტერატურის თეორია

ვერ შეედრებოდნენ ნატიფი ხელოვნების სხვა დარგები. არც იმის ვარაუდი შეიძლება, თითქოს მთელმა „ეროვნულმა“ როგორლაც ხელოვნების მხოლოდ ერთ დარგში მოიყარა თავი. ან კიდევ, როგორც ემილ ლეგუის (Emile Legouis) იტყოდა თავის „ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში“: „სპეციალისტი დაბადებულიყო, ან ტიციანი იქნებოდა ან ვერონეზე, ხოლო თუ ნიდერლანდში გაჩინდებოდა, ნამდვილად რემბრანდტის ან რუბენსის დიდებას მიაღწევდა“.²⁹ ინგლისური ლიტერატურის შემთხვევაში ადვილია იმის განცხადება, რომ პურიტანიზმის გამო მოხდა ნატიფი ხელოვნების უგულებელყოფა, მაგრამ ამ გზით ბოლომდე ვერ ავხსნით, თუ ერთი და იმავე დროის მონაკვეთში როგორ და რატომ არსებობდა უაღრესად ნაყოფიერი საერო ლიტერატურის გვერდით თითქმის სრულიად ულიმლამზ მხატვრობა. თუმცა, ამ ყველაფერს თუ გავყევით, ჩვენს ძირითად სათქმელს გადაუხმოვთ და მოგვინევს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებათა გათვალისწინება.

ხელოვნების სხვადასხვა დარგს, სულ ერთია, პლასტიკური (ანუ გამომსახველობითი, ვიზუალური — მხატვრობა, ქანდაკება, კინო) ხელოვნება იქნება ეს, ლიტერატურა თუ მუსიკა, განვითარების საკუთარი გზა აქვს, ინდივიდუალური ტემპითა და ინდივიდუალური შინაგანი სტრუქტურით. მათ შორის არსებული მუდმივი კავშირი უეჭველი ფაქტია, მაგრამ ის არ უნდა აღვიქვათ, როგორც ზეგავლენა, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან მომდინარეობს და განაპირობებს ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას; ჩვენ გვმართებს მათი განხილვა, როგორც დიალექტიკური ურთიერთობის რთული სისტემისა, რომელის მოქმედებაც ორმხრივია: ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეზე, და პირიქით — მეორიდან პირველზე. არ საქმე არ დაიყვანება „ეპოქის სულზე“, რომელიც განაპირობებს და მსჯვალავს ხელოვნების თითოეულ დარგს. ადამიანის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა მოვიაზროთ, როგორც ერთიანი სისტემა, რომელიც სხვადასხვა საფეხურისგან შედგება და თვითგანვითარებადია. თითოეულ საფეხურს თავისი საკუთარი ნორმათა კრებული აქვს და სრულიადაც არ არის საჭირო, რომ ისინი მომიჯნავე საფეხურის მსგავსი იყოს. ყველაზე ფართო გაგებით, ხელოვნების — (ასევე — ლიტერატურის და მუსიკის) ისტორიკოსის ამოცანაა, შეიმუშავოს აღნერითი ტერმი-

ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები

ნების შესაბამისი სისტემა ხელოვნების თითოეული დარგისთვის, რომელიც გაითვალისწინებს ხელოვნების ამ დარგის კონკრეტულ ნიშან-თვისებებს. ამდენად, დღეს პოეზიას ესაჭიროება ახალი პოეტიკა, ანალიზის ისეთი საშუალება, რომელსაც ვერ მოვიპოვებთ პოეზიაში ნატიფი ხელოვნების ტერმინების უბრალო გადმოტანის გზით. შემთხვევაში ლიტერატურული პერიოდების საზღვრების დადგენას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ არ განვიხილავთ როგორც მეტაფიზიკურ რაობებს, რომლებზეც „ეპოქის სული“ მბრძანებლობს, როდესაც შევიმუშავებთ ტერმინების ვარგისან და ქმედით სისტემას ლიტერატურული ნაწარმოებების გასაანალიზებლად. თუ ლიტერატურის განვითარების გზას ამგვარი სქემის მიხედვით დავადგენთ, შემდეგ უკვე შევძლებთ ასეთი კითხვის დასმას: ლიტერატურის ევოლუცია რაიმე ნიშნით ხომ არ წააგავს ხელოვნების სხვა დარგების ასეთივე სქემით დადგენილ ევოლუციას? აშკარაა, რომ პასუხი ერთმნიშვნელოვანი „კი“ ან „არა“ ვერ იქნება. პასუხის გაცემისას დავინახავთ, რომ საქმე გვექნება მეტად როგორც სურათთან; ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების გზების შედარებისას აღმოვაჩენთ ბევრ დამთხვევას და ბევრ გადახვევას; სავარაუდოა ისიც, რომ ევოლუციის პარალელური ხაზების რაოდენობა ძალზე უმ-ნიშვნელო იქნება.

ნაწილი მეოთხე

ლიტერატურის იდრმისაული შესწავლა

შესავალი

*

ლიტერატურათმცოდნის მუშაობის საწყის ეტაპად და, ამას-თანავე, გამართლებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ თავად ლიტერატურული პროდუქციის ინტერპრეტაცია და ანალიზი. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ამ ნანარმოებებით არის გამართლებული ჩვენი ინტერესი ავტორის ცხოვრებისადმი – ვგულისხმობთ მწერლის საზოგადოებრივ გარემოცვას და მთლიანად ლიტერატურულ პროცესს. მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი მომენტი: ლიტერატურის ისტორია იმდენ ადგილს უთმობს მხატვრული ნაწარმოებების შექმნის პირობების შესწავლას, რომ თვით ნაწარმოებთა ანალიზის მცდელობები ვერ შეეძრება უზარმაზარ ძალისხმევას, რომელიც მოხმარდა ნაწარმოებთა შექმნის თანმხლები ვითარების გარკვევას. დიდხანს არ დაგვჭირდება იმ მიზეზთა ძებნა, რომლებმაც განაპირობეს განმსაზღვრელ პირობებისადმი ასეთი გადამეტებული ყურადღება – გაცილებით მეტი, ვიდრე გამოიჩინეს თვით ნაწარმოებთა შესწავლისადმი. თანამედროვე ლიტერატურის ისტორია ჩაისახა მჭიდრო კავშირში რომანტიზმის მიმდინარეობასთან, რომელსაც შეეძლო დაეპირისპირებინა ნეოკლასიციზმის კრიტიკული სისტემისათვის მხოლოდ ის რელატივისტური არგუმენტი, რომ სხვადასხვა ეპოქა სხვადასხვაგარ სტანდარტებს მოითხოვს. შედეგად, აქცენტმა ლიტერატურიდან გადაინაცვლა ისტორიულ ფონზე. ამის მეშვეობით ცდილობდნენ გაემართლებინათ ძველი ლიტერატურისადმი ისეთი მიდგომა, რომლის მიზანს ნარმოადგენდა ამ უკანასკნელში ახალი ფასეულობების აღმოჩენა. ამიტომაც XIX საუკუნეში ლამის ლოზუნგად გამოაცხადეს კაუზალურობის პრინციპის გამოყენება, რაც განაპირობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებისადმი მიბაძვის ტენდენციამ. ამასთან ერთად, ძველი ყაიდის პოეტიკის რღვევამ, რაც დაემთხვა მკითხველს ინდივიდუალურ გემოვნებაზე ინტერესის გადანაცვლებას, განამტკეიცა რწმენა, რომ ვინაიდან ხელოვნება ირაციონალურია თავისი არსით, ამიტომ მისი განმარტება „შეფასებით“ უნდა შემოიფარგლოს. თავის საინაუგურაციო ლექციაში სერ სიდნი ლიმ ჩამოაყალიბა აკადე-

ლიტერატურის თეორია

მიური მიმართულების ლიტერატურათმცოდნეთა უმრავლესობის თვალსაზრისი: „ლიტერატურის ისტორიაში უცდილობთ გამოვავლინოთ გარეგანი — პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური — პირობები, რომლებშიც იქმნებოდა ლიტერატურა.“¹ იმის გამო, რომ პოეტიკის პრობლემები დაუმუშავებელი იყო, მკვლევრები საოცრად უსუსურნი აღმოჩნდნენ მხატვრული ნაწარმოების წინაშე, რომელიც უნდა გაეანალიზებინათ და შეეფასებინათ.

ბოლო წლებში აშკარად გამოიკვეთა ძალზე სალი რეაქცია, რომელიც ცხადყოფს, რომ ლიტერატურის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, უფრო მეტად უნდა იყოს კონცენტრირებული უშუალოდ მხატვრულ ნაწარმოებებზე. რაც შეეხება კლასიკური რიტორიკის მეთოდებს, ასევე — პოეტიკას ან მეტრიკას, საჭიროა მათი გადახედვა და გადამოწმება თანამედროვე კონცეფციების შესაბამისად. და აკი ხდება კიდეც ასე: ინერგება ახალი მეთოდები, რომლებიც ეფუძნება თანამედროვე ლიტერატურის ფორმათა უფრო ფართო სპექტრის შეფასებას. საფრანგეთში მხატვრული ნაწარმოების კვლევას ახალი სტიმული მისცა ტექსტის ექსპლიკაციის მეთოდმა,² გერმანიაში — ოსკარ ვალცელის მიერ დამკვიდრებულმა ფორმალისტურმა ანალიზმა, რომელიც ემყარება სახვით ხელოვნებასთან პარალელებს;³ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსი ფორმალისტების, აგრეთვე — მათი ჩეხი და პოლონელი მიმდევრების⁴ ბრწყინვალე გამოკვლევები. ჩევნ კი მხოლოდ ახლა ვეუფლებით ლიტერატურული ნაწარმოების სათანადო გაგებისა და შესატყვიისა ანალიზის მეთოდებს. ინგლისში ა. რიჩარდსას ზოგიერთმა მიმდევარმა საგანგებო ყურადღება დაუთმო პოეტური ტექსტის ანალიზს;⁵ ასევე, კრიტიკოსთა ჯგუფი შეერთებულ შტატებში იკვლევს თვით მხატვრულ ქმნილებებს.⁶ ამავე მიმართულებას ეხმანება დრამის რამდენიმე გამოკვლევა,⁷ რომლებშიც აქცენტი გადატანილია ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის არსებულ სხვაობაზე და ხაზგასმულია დრამატული და ემპირიული რეალობის აღრევის დაუშვებლობა. შესაბამისად, რომანის პრობლემებისადმი მიძღვნილ მრავალ ნაშრომში⁸ გაანალიზებულია არა მარტო რომანისა და მასში აღწერილი საზოგადოებრივი პირობების ურთიერთმიმართებები, არამედ — გამოყენებული მხატვრული ხერხებიც: თვალსაზრისები, თხრობის ნარმართვის მეთოდები.

რუსი ფორმალისტები ძალზე ენერგიულად ეწინააღმდეგებოდნენ „შინაარსისა და ფორმის“ ძველისძველ დიქოტომიას, რომელიც ანაწევრებს ხელოვნების ნიმუშს: ერთ ნახევარს შეადგენს ნედლი შინაარსი, ხოლო მეორე ნახევარს — მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული ფორმა.⁹ ცხადია, ხელოვნების ნიმუშის ეს-თეტიკური ეფექტი არ განისაზღვრება იმით, რასაც, ჩვეულებრივ, „შინაარსს“ უწოდებენ. საერთოდ, ხელოვნების ნიმუშთა უმეტესობა სასაცილო ან უაზრო ჩანს მარტოოდენ მათში გადმოცემული ამბის თხრობისას (რაც შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური მიზნებით);¹⁰ მაგრამ გადაულახავ სიძნელებს წარმოქმნის წარმოდგენა ფორმის, როგორც ესთეტიკურად აქტიური ელემენტის, ხოლო მეორე მხრივ, შინაარსის, როგორც ესთეტიკურად ინდიფერენტული ელემენტის შესახებ. ერთი შეხედვით, მათი ურთიერთგამიჯვენა ძალზე ადვილია. თუ შინაარსის ცნებაში ვგულისხმობთ რომელიმე ლიტერატურულ ნანარმოებში წარმოჩენილ იდეებს ან ემოციებს, მაშინ ფორმა უნდა გულისხმობდეს ყველა იმ ლინგვისტურ ელემენტს, რომლითაც გამოიხატება შინაარსი. მაგრამ, თუ უფრო კარგად დავაკვირდებით ამ სხვაობას, ვნახავთ, რომ შინაარს მოიცავს ფორმის ზოგიერთ ელემენტს: ასე, მაგალითად, რომანში აღწერილი მოვლენები წარმოადგენს ამ რომანის შინაარსს, ხოლო ამ მოვლენების „სიუჟეტური“ წყობა შეადგენს ფორმას. თავისთავად, ეს მოვლენები არ ხასიათდება არანაირი მხატვრული თვისებებით. ამიტომ გერმანელებმა დანერგეს ტერმინი „შინაგანი ფორმა“ (რომლის სათავეები პლოტინთან და შეფრისბერისთან უნდა ვეძიოთ), მაგრამ ეს ცნება უფრო ართულებს ვითარებას, რადგან შინაგან და გარეგან ფორმას შორის არსებული გამყოფი ხაზი კვლავ სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანი რჩება. თუ ტრადიციული განსაზღვრებით შემოვიფარგლებით, პრობლემას ვერ გადავჭრით და იძულებული ვიქებით ვალიაროთ, რომ თვით ენაც, რომელიც, როგორც წესი, ფორმის ელემენტებს განეუთვინება, კლასიფიკაციას საჭიროებს: სიტყვები, თავისთავად, ესთეტიკურად ინდიფერენტულია, ხოლო ხერხი, რომლის მეშვეობითაც ცალკეული სიტყვები წარმოქმნიან ბგერით და ესთეტიკურ ჯგუფებს, ესთეტიკური ლირებულებისაა. ალბათ, უმჯობესი იქნება, „მასალად“ მოვიხსენიოთ ესთეტიკური თვალსაზრისით ინდიფერენტული

ლიტერატურის თეორია

ელემენტები, ხოლო იმ ხერხს, რომლითაც ისინი იძენენ ესთეტიკურ ღირებულებას, „სტრუქტურა“ დავარქვათ. ცხადია, ჩვენ არ ვცდილობთ, ახალი სახელი შევარქვათ ძველთაგანვე ცნობილ შინაარსისა და ფორმის წყვილს, არამედ მიზნად ვისახავთ ძველი გამყოფი ხაზების რღვევას. „მასალა“ მოიცავს ელემენტებს, რომლებსაც ადრე შინაარსს ან ფორმას მიაკუთვნებდნენ. რაც შეეხება „სტრუქტურას“, ეს ცნება მოიცავს როგორც შინაარსს, ისე ფორმასაც, თუ მათი ორგანიზაცია ესთეტიკურ მიზნებს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ხელოვნების პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ ნიშანთა სისტემა ანდა ნიშანთა სტრუქტურა, რომელიც ემსახურება სპეციფიკურ ესთეტიკურ მიზანს.

თავი მეთორმეტე

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

*

სანამ შევუდგებოდეთ ხელოვნების ნიმუშის სხვადასხვა ასპექტის ანალიზს, განვიხილოთ უაღრესად როული ეპისტემო-ლოგიური საკითხი, რომელიც ეხბა ლიტერატურული ხელოვნების ნიმუშის (შემდეგში სჯობს, თუ მას უფრო მოკლე სახელს – „ლექსს“ უწნოდებთ) „არსებობის წესს“, ანუ მის „ონტოლოგიურ არეს“. რას ნარმოადგენს „ჭეშმარიტი“ ლექსი, სად უნდა ვეძიოთ და როგორ მყოფობს ის? ამ კითხვებზე სწორად გაცემული პასუხი რამდენიმე კრიტიკულ პრობლემას გადაწყვეტს და გზას გაუხსნის ლიტერატურული ნანარმოების სათანადო ანალიზს.

რამდენიმე ტრადიციული პასუხი გაეცა კითხვას, თუ რას ნარმოადგენს ლექსი ან სად უნდა ვიგულოთ იგი (და, საერთოდ — ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში); ამიტომ, სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, ჯერ უკვე არსებული პასუხები უნდა გავაკრიტიკოთ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძველი პასუხი უკავშირდება იმ თვალსაზრისს, რომ ლექსი ნარმოადგენს „არტიფიციტს“, ანუ ისეთივე საგანს, როგორიც არის ქანდაკება ან ფერწერული ტილო. ამ ლოგიკით, ხელოვნების ნიმუში გაიგივებულია თეორ ქაღალდზე ან გრაგნილზე შავი მელნით გამოსახულ კლავნილებთან და ხაზებთან, ანდა, თუ ვიგულისხმებთ ბაბილონის კულტურის დროინდელ პოემას — თიხის ფირფიტებზე ამოკვეთილ დარებთან. ცხადია, ასეთი პასუხი ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არსებობს უზარმაზარი ოდენობის ზეპირ-სიტყვიერი „ლიტერატურა“. არსებობს ლექსები და ამბები, რომ-ლებიც დღემდე არ დადასტურებულა წერილობით, მაგრამ, ამის მიუხედავად, კვლავაც არსებობს. აქედან გამომდინარე, შავი მელნით გამოსახული კლავნილი ხაზები მხოლოდ და მხოლოდ ლექსის ჩანაწერის მეთოდია და არა თვით ლექსი. ხელნაწერი ან თუნდაც დაბეჭდილი წიგნის ყველა ეგზემპლარი რომ გავანადგუროთ, მაინც

ლიტერატურის თეორია

ვერ მოგსპობთ ლექსს, რომელიც შეიძლება შემონახულ იქნას ზეპირსიტყვიერებაში ანდა ისეთი ადამიანის მეხსიერებაში, როგორიც იყო მაკოლეი — ამ უკანასკნელს თავი მოჰქონდა იმით, რომ ზეპირად ახსოვდა „დაკარგული სამოთხე“ და „საგალი გზა პილი-გრიმისა“. მეორე მხრივ, თუ დავხევთ ტილოს, გავანადგურებთ ქანდაკებას ან რაიმე ნაგებობას, ამით ჩვენ მას მთლიანად მოვსპობთ, თუმცა შეიძლება შემონახულ იქნეს აღწერა ან დახასიათება, რომლის მიხედვით შევძლებთ მის აღდგენას. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ჩვენ შევქმნით ხელოვნების განსხვავებულ ნიმუშს (რაოდენ მსგავსიც უნდა იყოს ის ორიგინალისა), მაშინ, როდესაც ერთი წიგნის ან მისი ყველა ეგზემპლარის მოსპობა საერთოდ ვერაფერს ავნებს ხელოვნების ნანარმოებს.

ის, რომ ლექსის ჩანაწერი ქაღალდზე არ არის „ჭეშმარიტი“ მხატვრული ნაწარმოები, შეიძლება სხვა არგუმენტითაც დავასაბუთოთ. ნაბეჭდი გვერდი შეიცავს უამრავ ისეთ ელემენტს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ლექსთან, იქნება ეს შრიფტის ზომა ან ტიპი (გამართული, დამრეცი), გვერდის ზომა თუ კიდევ მრავალი სხვა ფაქტორი. თუ გავითვალისწინებთ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, პოემა არტყეფაქტს ნარმოადგენს, მაშინ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ წიგნის ყოველი ეგზემპლარი ანდა განსხვავებულად დაბეჭდილი გამოცემა ნარმოადგენს ხელოვნების ცალკეულ, საგანგებო ნაწარმოებს. აღარ იქნება არანაირი აპრიორული საფუძველი იმისა, რომ სხვადასხვა გამოცემის ეგზემპლარები ვალიაროთ ერთი და იმავე წიგნის ეგზემპლარებად. გარდა ამისა, ჩვენ, მკითხველებს, არ მიგვაჩნია, რომ ყოველი გამოცემა ნარმოადგენს პოემის სწორ და მართებულ გამოცემას. თვით ის ფაქტი, რომ შეგვიძლია ჩავასწოროთ ტიპოგრაფიული შეცდომები (თუმცა ტექსტს პირველად ვეცნობით) ან, ზოგჯერ, აღვადგინოთ კიდეც ტექსტის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ადასტურებს, რომ ნაბეჭდ სტრიქონებს არ მივიჩნევთ ჭეშმარიტ პოემად. ამრიგად, დავასაბუთეთ, რომ ლექსი (ანდა ნებისმიერი სხვა ლიტერატურული ნაწარმოები) შეიძლება არსებობდეს მისი დაბეჭდილი ვერსიისგან დამოუკიდებლად, და რომ დაბეჭდილი ტექსტი შეიცავს მრავალ ისეთ ელემენტს, რომელთაც, ჩვენი აზრით, არ შეიცავდა ჭეშმარიტი ლექსი.

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

და მაინც, ასეთი წევატიური დასკვნის მიუხედავად, თვალი არ უნდა დაგხუჭოთ იმაზე, რომ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წერის და ბეჭდის გამოვლებას, ანუ პოეზიის ჩანერის ჩვენეულ მეთოდებს. ეჭვგარეშეა, რომ ლიტერატურის დიდი ნაწილი დაიკარგა, რადგან გაქრა მისი ჩანაწერები და არ გაამართლა ზეპირსიტყვიერი ტრადიციის თეორიულად შესაძლებელმა საშუალებამ, რომელიც დაირღვა ან შეწყდა. დამწერლობამ, და განსაკუთრებით ბეჭდამ, განაპირობა ლიტერატურული ტრადიციის უწყვეტობა და დიდი წვლილი შეიტანა ხელოვნების ნაწარმოების ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, გრაფიკული ელემენტი იქცა ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების ნაწილად, ყოველ შემთხვევაში, პოეზიის ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე.

როგორც აჩვენა ერნესტ ფენოლოზამ, ჩინურ პოეზიაში სურათოვანი იდეოგრამა ქმნის პოემის სრული მნიშვნელობის ნაწილს. მაგრამ დასავლურ ტრადიციაშიც არსებობს გრაფიკული ლექსები: გავიხსენოთ „ბერძნული ანთოლოგია“, აგრეთვე – ჯორჯ ჰერბერტის „საკურთხეველი“ ან „ეკლესიის იატაკი“, აგრეთვე — ინგლისელი მეტაფიზიკოსი პოეტების სხვა ლექსები, რომელთა პარალელებად კონტინენტზე შეიძლება დავასახელოთ ესპანური გონგორიზმი, იტალიური მარინიზმი, გერმანული ბაროკოს პოეზია და სხვა. ამასვე შეიძლება დავამატოთ თანამედროვე პოეზია ამერიკაში (ე.ე. კამინგსი), გერმანიაში (არნო პოლცი), საფრანგეთში (მალარმე, აპოლინერი) და სხვაგან, სადაც მიმართავდნენ ისეთ გრაფიკულ ხერხებს, როგორებიცაა სტრიქონების სხვადასხვაგვარი განლაგება, ან თუნდაც გვერდის მხოლოდ ქვედა ნაწილის გამოყენება, სხვადასხვა ფერის შრიფტი და აშ.² ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სტერნმა თავის „ტრისტრამ შენდიში“ გამოიყენა ცარიელი გვერდები და მარმარისებრი შემონაჭერი. ყველა ასეთი ხერხი ნაწარმოადგენს ამ კონკრეტული ნაწარმოებების არსებით ნაწილს. მართალია, პოეზია იშვიათად მიმართავს ამგვარ ხერხებს, მაგრამ მათ უყურადღებოდ მაინც ვერ დავტოვებთ და არც უნდა დავტოვოთ.

ამას გარდა, შრიფტის როლი პოეზიაში ნამდვილად არ შემოიფარგლება იმ შედარებით იშვიათი შემთხვევებით, როდესაც ავტორი შეგნებულად იყენებს ზემოაღნერილ ხერხებს; ნაწარმოე-

ლიტერატურის თეორია

ბთა ორგანულ ელემენტებს მიეკუთვნება ლექსების ტაეპთა და-ბოლოებების გაფორმება, სტროფებად დაჯგუფება, პროზაული ტექსტების აპზაცები, ომონიმური რითმა, ანდა სიტყვათა თამაში და კალამბური, რომლის გაგება შეიძლება მხოლოდ მართლწერის გათვალისწინებით, და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი ხერხი. ყოველივე ეს ლიტერატურული ხელოვნების არსებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. მხოლოდ ზეპირსიტყვიერებაზე აგებული თეორია გამორიცხავს ნებისმიერ მინიშნებას ამგვარ ხერხებზე, მაგრამ მაშინ მათი უგულებელყოფა დაუშვებელია სამწერლო ხელოვნების ბევრი ნიმუშის ანალიზისას. ამგვარი ნაწარმოებების არსებობა ამტკიცებს, რომ დღესდღეობით პოეზიის პრაქტიკაში შრიფტი იქცა ძალზე მნიშვნელოვან ელემენტად, რადგან პოეზია იქმნება არა მხოლოდ ყურისთვის, არამედ — თვალისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკული ხერხების გამოყენება არ არის აუცილებელი, ისინი გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება ლიტერატურაში, ვიდრე მუსიკაში, სადაც დაბეჭდილი პარტიტურა ისეთივე როლს ასრულებს, რასაც — ნაბეჭდი გვერდი პოეზიაში. მუსიკაში იშვიათად გამოიყენება გრაფიკული ხერხები, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი საერთოდ არ გვხვდება. XVI საუკუნის იტალიური მადრიგალების პარტიტურებში ნახავთ ბევრ უცნაურ ოპტიკურ ხერხს (ფერები და სხვ.). „წმინდა“ და „სრულქმნილ“ კომპოზიტორის, ჰენდელის საგუნდო ნაწარმოებში სადაც გუნდი მღერის წითელი ზღვის ადიდებაზე, როდესაც „წყალი კედლისებრ ნაშიომართა“. პარტიტურის დაბეჭდილ გვერდზე გამოსახული ნოტები ქმნიან მტკიცე რიგს, სადაც თანაბარი დისტანციითაა ჩამნერივებული ნერტილები ფალანგას ან კედლს მოგვაგონებენ.³

ჩვენ დავიწყეთ იმ თეორიით, რომელსაც ახლა, ალბათ, ბევრი სერიოზული მიმდევარი როდი ჰყავს. მეორე პასუხი ჩვენს კითხვაზე გულისხმობს, რომ ლიტერატურული ნაწარმოები არის დეკლამატორის ან მკითხველის მიერ ნაწარმოთქმულ ბერძნობა თან-მიმდევრობა. ესაა ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია დეკლამატორთა შორის. მაგრამ ვერც ეს პასუხი იქნება დამაკმაყოფილებელი, რადგან ნებისმიერი ხმამაღლა ნაწარმოთქმული ლექსი ნაწარმოადგენს ამ ნაწარმოების შესრულებას და არა თვით ამ პოემას. ეს იგივეა, რაც მუსიკოსის მიერ მუსიკალური ნაწარმოების შესრულება. არსე-

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი ბობს დიდალი წერილობითი ლიტერატურა, რომელიც შეიძლება არასოდეს გაყდერდეს. ვერ დავეთანხმებით ბიჰევიორისტთა აბ-სურდულ თეორიას, რომლის მიხედვითაც, უხმოდ წაკითხვას მუდამ თან სდევს სახმო სიმების მოძრაობა. სინამდვილეში გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანს კითხვა ახალშესწავლილი აქვს ან კითხულობს უცხოენოვან ტექსტს, ან სულაც განზრას ცდილობს, რომ ბგერა ჩურჩულით წარმოსთქვას, კითხვის პირცესი ძირითადად „გლობალურია“, ანუ დაბეჭდილ სიტყვებს ერთიანად, მთლიანობაში აღვიქვამთ ისე, რომ არ ვცდილობთ, დავანაწეროთ ისინი ფონეტებად და ჩუმად მაინც წარმოვთქვათ. როდესაც სწრაფად ვკითხულობთ, იმისი დროც კი არა გვრჩება, რომ სახმო სიმებით გავახმიანოთ ბგერები. გარდა ამისა, თუ დავუშვებთ, რომ ლექსი არსებობს მხოლო მისი ხმამაღლა კითხვის დროს, ცოტა არ იყოს, უცნაურ დასკვნამდე მივალთ – თითქოს იმ მომენტში, როდესაც პოემა „არ გაისმის“, ის არც არსებობს და ყოველი წაკითხვის დროს ახლიდან იქმნება.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმოა ისაა, რომ ლექსის ყოველი წაკითხვა უფრო მეტია, ვიდრე თვით ლექსი: ყოველი შესრულება შეიცავს იმ ელემენტებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან ლექსს და, ასე ვთქვათ, ასახავენ ისეთ ინდივიდუალურ თავისებურებებს, როგორებიცაა გამოთქმა, ტონალობა, ტემპი და მახვილების განაწილება, ანუ ის ელემენტები, რომელთაც განსაზღვრავს ან დეკლამატორის პირვენება, ანდა ლექსის მისეული ინტერპრეტაციის სიმპტომები და საშუალებები. მეტიც: ლექსის წაკითხვას მასში შეაქვს არა მხოლოდ ინდივიდუალური ელემენტები, არამედ ყოველთვის განაპირობებს ტექსტის კომპონენტთა შერჩევას: ამაში შედის ხმის ტონი, ტემპი, მახვილების განაწილება და ინტენსიურობა; ყოველივე ეს შეიძლება იყოს მცდარი ან მართებული, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც სწორია, ესაა ლექსის წაკითხვის მხოლოდ ერთი ვერსია. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ლექსის წაკითხვის რამდენიმე შესაძლებლობა, რომლებიც შეიძლება მცდარად მივიჩნიოთ, თუ გვგონია, რომ ისინი არღვევს და ამახინჯებს ლექსის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ანდა მივიჩნიოთ, რომ ისინი სწორი და მისაღებია, მაგრამ იდეალური მაინც არა.

ლიტერატურის თეორია

ლექსის ხმამაღლა წაკითხვა არ წარმოადგენს თვით ლექსს, რადგანჩევენშინაგანად შეიძლება გაგვიჩნდეს მასში შესწორებების შეტანის სურვილი. მაშინაც კი, როდესაც ვისმენთ ისეთ დეკლამაციას, რომელსაც საუკეთესოდ მივიჩნევთ, მაინც ვერ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება სხვა ვინმე – თუნდაც იგივე დეკლამატორი, ოღონდ სხვა დროს – მოგვაწვდის სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რომელიც ასევე კარგად გამოაჩინს პოემის სხვა ელემენტებს. კვლავ გამოგვადგება ანალოგია მუსიკის შესრულებასთან: სიმფონია, თუნდაც მას ტოსკანინი ასრულებდეს, მაინც არ არის თვით სიმფონია, რადგან ინდივიდუალურ შემსრულებელს აუცილებლად შეაქვს ნანარმოებში საგანგებო ნიუანსები; აქ ვგულისხმობთ ტემპს, რუბატოს [რუბატო – ტემპის მონაცვლეობა მუსიკალურ ფრაზაში], რაც ჩვეულებრივ — კონტრასტს ქმნის აკომპანემენტის მყარ რიტმთან – მთარგმნ.], ტემპრს, და ა.შ., რაც შეიძლება შეიცვალოს მომდევნო შესრულებისას, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ იგივე ნანარმოები მეორედ შესრულდა. ამრიგად, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ლექსი შეიძლება არსებობდეს მისი შესრულებისან დამოუკიდებლად, გახმოვნებისას კი იძენს ბევრ ისეთ ელემენტს, რომლებიც, ჩვენი აზრით, არ არის ჩართული პოემაში.

და მაინც, ზოგიერთ ლიტერატურულ ნანარმოებში (ეს განსაკუთრებით ითქმის ლირიკულ პოეზიაზე) შეიძლება პოეზიის ხმოვანი ასპექტი ქმნიდეს საერთო სტრუქტურის მნიშვნელოვან ფაქტორს. მისკენ ყურადღების მიზიდვა შეიძლება ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა მეტრი, ხმოვანთა ან თანხმოვანთა თანამიმდევრობის წესი, ალიტერაცია, ასონანსი, რითმა და სხვ. ეს ფაქტი განმარტავს, ან უფრო სწორად, გვეხმარება ავხსნათ მიზეზი, თუ რატომ არ შეესატყვისება ორიგინალს ლირიკული პოეზიის თარგმანის უმეტესი ნაწილი, ანუ რატომ ვერ გადადის ბგერწერა სხვა ლინგვისტურ სისტემაში, თუმც კი დახელოვნებული მთარგმნელი მაინც მოახერხებს, შეინარჩუნოს ამ ბგერწერის საერთო ეფექტი თავისი მშობლიურ ენაში. ასეა თუ ისე, არსებობს დიდალი ლიტერატურა, რომლისთვისაც ბგერითი მხარე ნაკლებნიშვნელოვანია. ამას ადასტურებს ბევრი ისეთი ნანარმოების ისტორიული მნიშვნელობა, რომელთაც ვერაფერი დააკლო უხეირო თარგმანა. ბგერა შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ფაქტორს პოემის სტრუქტურაში, მაგრამ იმის თქმა, რომ ლექსი წარმოადგენს ბგერათა რიგს, ისევე არასწორია, როგორც შრიფტისადმი გადამწყვეტი როლის მინიჭება.

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ძალზე გავრცელებულია მესამე პასუხი, რომლის მიხედვით, ლექსი წარმოადგნას მკითხველის გამოცდილებას. ამტკიცებენ, რომ ლექსი ცალკე, მკითხველის სააზროვნო პროცესებისგან დამოკიდებლად, არც არსებობს. ამგვარად, ლექსი შეიძლება გავაიგივოთ იმ მენტალურ მდგომარეობასთან ან პროცესთან, რომელსაც განვიცდით პოეტური წანარმოების კითხვისას ან მოსმენისას. თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარი „ფსიქოლოგიური“ ახსნა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. რასაკვირველია, სწორია, რომ ლექსის წვდომა ხდება მხოლოდ პირადი განცდით, მაგრამ მას ვერ გავაიგივებთ ამ პროცესთან. ლექსის კითხვისას ყოველი ჩვენგანის ინდივიდუალური გამოცდილება შეიცავს რაღაც თავისებურს, პიროვნულს, რაშიც აისახება ჩვენი განწყობილება პოეზიის აღქმისას და ინდივიდუალური მზადყოფნა მისი კითხვისთვის. მკითხველის განათლება, მისი პიროვნული თავისებურებანი, ისევე, როგორც საერთო კულტურული კლიმატი, ყოველი მკითხველის რელიგიური, ფილოსოფიური, ან პროფესიული შეხედულებები და ჩვევები რაღაც ახალს შემატებს ლექსს ყოველი წაკითხვისას. ერთმა და იმავე მკითხველმა შეიძლება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად წაკითხოს ერთი და იგივე ტექსტი, რის მიზეზსაც შეიძლება წარმოადგენდეს მკითხველის სულიერი განვითარების დონის ზრდა ან, პირიქით მისი დაღლილობა, მშფოთვარება ანდა ყურადღების გაფანტვა. ამრიგად, ყოველ გამოცდილებას რაღაც შეაქეს ლექსში ან რაღაცისგან განძარცვას მას, რადგან ესაა ინდივიდუალური გამოცდილება. გამოცდილება ვერ ჩაითვლება პოემის ტოლფას მოვლენად: გამოცდილი მკითხველიც კი აღმოაჩენს ლექსებში ახალ დეტალებს, რომლებიც არ შეუმჩნევია წინა წაკითხვისას, ამიტომ, რა თქმა უნდა, წაკლებად გათვითცნობიერებული ან მთლად უნიგნური მკითხველი ტექსტს ზედაპირულად ან არასწორად წაიკითხავს.

აბსურდულ დასკვნამდე მიყყავართ იმ თვალსაზრისს, თითქოს მკითხველის სულიერი გამოცდილება უკვე თავისთავად არის ლექსი. გამოდის, რომ თუ ლექსი არ არის განცდილი, იგი არც არსებობს, ხოლო ყოველ განცდასთან ერთად თავიდან იქმნება. ამ ლოგიკით, ჩვენ გვექნებოდა არა ერთი „დოთაებრივი კომედია“, არამედ იმდენი, რამდენი მკითხველიც ჰყავდა მას აქამდე და შემდგომშიც ეყოლება.

ლიტერატურის თეორია

ასე მივალთ სრულ სკეპტიციზმამდე, ანარქიამდე და იძულებულნი ვიქენებით, დავთანახმოთ მავნე მაქსიმას – *de gustibus non est disputandum* (გემოვნებაზე არ დავობენ). თუ სერიოზულად მოვეკიდებით ამ თვალსაზრისს, მაშინ ვერ ავხსნით, რატომ უნდა მივიწიოთ, რომ ერთი მკითხველის გამოცდილება უკეთესია, ვიდრე ვინმე სხვა მკითხველისა და რატომ არის შესაძლებელი, რომ შევასწოროთ სხვა მკითხველის ინტერპრეტაცია. ასეთი რამ მოასწავებს, რომ ნამდვილად შეუძლებელი იქნება ლიტერატურის ყოველგვარი სწავლება ტექსტის გაგებისა და ალექსის გაღრმავების მიზნით. ა. რიჩარდსის თხზულებები, განსაკუთრებით კი მისი ნიგნი „პრაქტიკული კრიტიკის შესახებ“ იმაზე მეტყველებს, თუ რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს მკითხველთა ინდივიდუალური თავისებურებების ანალიზის მეშვეობით, და რას შეუძლია მიაღწიოს კარგმა მასწავლებელმა ნაწარმოებთა მცდარი გაგების კორექციისას. საინტერესოა, რომ რიჩარდსი, რომელიც მუდამ აკრიტიკებს თავისი მონაფეების — მკითხველების — გამოცდილებას, იხრება იმ უკიდურესი ფსიქოლოგიური თეორიისკენ, რომელიც მთლიანად უპირისამოდება მის ბრძნებულების კრიტიკულ პრაქტიკას. იმ აზრმა, რომ პოეზია, სავარაუდოდ, აწესრიგებს ჩვენს ჟესტით ისევე, როგორც სონატით.⁴ ამრიგად, სავარაუდო ჩვენს ცნობიერებაში მიმდინარე რეაქციები უშუალოდ არ უკავშირდება ლექსს, რომელიც მას იწვევს.

როგორი საინტერესო და პედაგოგიური მიზნებისათვის გამოსადეგიც უნდა იყოს მკითხველის ფსიქოლოგია, მისი სფერო მაინც ლიტერატურათმცოდნების, ანუ კონკრეტული ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის მიღმა ძევს და ვერ გამოდგება ხელოვნების ნაწარმოების სტრუქტურისა თუ ლირებულების განსაზღვრისთვის. ფსიქოლოგიური თეორიები განმარტავენ არა ლიტერატურას, არამედ — მის ზემოქმედებას ადამიანზე. უკიდურეს შემთხვევებში ისინი გვთავაზობენ პოეზიის ლირებულების ისეთ კრიტერიუმს, როგორიც ნარმოდგენილია ა.ე. პაუსტენის ლექციაში „პოეზიის არსი და ბუნება“ (1933). პაუსტენი ფარული ირონიით გვაკვალიანებს, კარგ პოეზიას ამოვიცნობთ შრულით, რომელსაც განვიცდით მისი მოსმენისასო. ამასვე ქადაგებდნენ XVIII საუკუნის თეორიები, რომელთა მიხედვით, ტრაგედიის ლირებულება განიზომება მაყურებლის მიერ დალვრილი ცრემლის რაოდენობით, თანამედროვე კინოში კი კომედიის ნაწარმატება

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი ხშირად განისაზღვრება იმით, თუ რამდენჯერ გაიცინა მაყურებელმა. ამრიგად, ყოველ ფსიქოლოგიურ თეორიას შედევგად მოსდევს ანარქია, სკეპტიციზმი და ლირუბულებათა სრული აღრევა, რადგან ის არ უკავშირდება არც პოემის სტრუქტურას და არც მის ხარისხს.

ი.ა. რიჩარდსმა მხოლოდ ოდნავ გააუმჯობესა ფსიქოლოგიური თეორია, როდესაც პოემა განსაზღვრა როგორც „ლირ-სეული მკითხველის გამოცდილება“.⁵ აშკარაა, რომ მთელმა პრობლემამ გადაინაცვლა ლირსეული მკითხველის კატეგორიაზე და ამ ზედასართავის მნიშვნელობაზე. მაგრამ კიდეც რომ ნარმოვიდგინოთ დახვენილი კულტურით აღჭურვილი და საუკეთესოდ მომზადებული იდეალური მკითხველი, ასეთი განსაზღვრა მაინც არ იქნება დამაკამყოფილებელი, რადგან მის მიმართ შეიძლება გამოითქვას იგივე კრიტიკული შენიშვნები, რაც — ფსიქოლოგიური მეთოდის მიმართ. საქმე ისაა, რომ ლექსის არსი აქ დაიყვანება გარკვეული მომენტით განპირობებულ განცდამდე, რომელსაც უცვლელად ვერ გაიმეორებს ნებისმიერი მკითხველი, რაგინდ ლირსეულიც არ უნდა იყოს ის. ის ყოველთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე პოემის სრული მნიშვნელობა ნებისმიერ მოცემულ მომენტში და ყოველ წაკითხვაში აუცილებლად შეაქვს პირადული ელემენტები.

მეოთხე პასუხის მეშვეობით ცდილობენ ზემოხსენებული სიძნელეების გადაალახვას. ამბობენ, რომ პოემა არის თვით ავტორის გამოცდილება. შეგნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაში ლექსი წყვეტს არსებობას მისი დაწერისთანავე. როდესაც ავტორი გადაიკითხავს თავის ქმნილებას, ეს უკვე აღარაა პოემა. ცხადია, რომ ავტორი გადაიქცევა თავის ნაწარმოების ჩვეულებრივ მკითხველად, რომელიც შეიძლება შეცდეს და სწორად ვერ ახსნას თავისივე ნაწერი, ისევე, როგორც ეს შეიძლება დაემართოს ნებისმიერ სხვა მკითხველს. მრავლადაა ცნობილი ასეთი აშკარა გაუგებრობის მაგალითები, როდესაც თავად ავტორს უჭირს საკუთარი ქმნილების განმარტება. მაგალითად, ძველი ანეკდოტის მიხედვით, ბრაუნინგმა განაცხადა, რომ თვითონაც არ ესმოდა საკუთარი ლექსები. ალბათ ყველას ემართება ასე: ან სწორად ვერ აღვიქვამთ ადრე დაწერილს, ან ის სრულად არ გვესმის. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით, „ავტორის გამოცდილება“

ლიტერატურის თეორია

შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც მისი გამოცდილება ნანარმოების წერის დროს. შემდგომ, „ავტორის გამოცდილებაში“ შეიძლება ორი განსხვავებული რაზ ვიგულისხმოთ: ერთი იქნება შეგნებული გამოცდილება, ჩანაფიქრი, რომლის ხორცესხმაც სურდა ავტორს, ხოლო მეორე – მთლიანად მისი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი გამოცდილებაშემოქმედებითი მუშაობის დროს. ფართოდაა გავრცელებული შეხედულება (თუმცა ამას ყოველთვის არ აცხადებენ), თითქოს პოემა შეიძლება განვმარტოთ ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე.⁶ ასე ამართლებენ ნანარმოების ისტორიული კომენტირების აუცილებლობას და ნანარმოების იზოლირებულად, ამავე ავტორის სხვა ნანარმოებთაგან დამოუკიდებლად კვლევის საჭიროებას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნანარმოებთა დიდი უმრავლესობის შემთხვევაში ჩანაფიქრის აღდგენა შეუძლებელია, რადგან ჩვენს ხელთ არაა არაფერი, დასრულებული ტექსტის გარდა. მაშინაც კი, როდესაც არსებობს ავტორის თანამედროვე ეპოქით დათარიღებული საბუთები, ასეოთა საბუთებმა მაინც არ უნდა შებოჭის თანამედროვე მევლევარი. ავტორის „ჩანაფიქრი“ მუდამ არის ნანარმოების საზრისის „რაციონალიზაცია“ და კომენტარი, რომელიც ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ და, ამავე დროს, კრიტიკულად გავაანალიზოთ დასრულებული მხატვრული ნანარმოებიდან გამომდინარე. საქმე ისაა, რომ ავტორის „ჩანაფიქრი“ შეიძლება გაცილებით უფრო ფართო იყოს, ვიდრე ამას გვაფიქრებინებს ხელოვნების დასრულებული ქმნილება ან შეიძლება, უძრალოდ, ასახავდეს მის გეგმას. რომ შეგვძლებოდა გასაუბრება შექსპირთან „ჰამლეტის“ დაწერასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებდა ჩანაფიქრის ავტორისეული ახსნა. და მართებული იქნებოდა ამ პიესაში ჩადებული იმ საზრისის ძიება (და არა მისი გამოგონება), რომელიც, შესაძლოა, შექსპირს გაცნობიერებული არც ჰქონდა.

როდესაც ხელოვანი ცდილობს გამოხატოს თავისი სურვილები, ის შეიძლება მისი თანამედროვე ლიტერატურული სიტუაციისა და ესთეტიკური ცნებების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდეს; მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ეს ესთეტიკური ცნებები, შესაძლოა, არ შეესატყვისებოდეს მის ჭეშმარიტი შემოქმედებითი მიღწევებს. ბაროკოს ხანა აშკარად ეპასუხება ამ საკითხს, რადგან ეს ახალი შემოქმედებითი მანერა სრულად არ გამოხატულა არც

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი ხელოვანთა განცხადებებში, არც — კრიტიკოსთა შენიშვნებში. ისეთი მოქანდაკე, როგორიც იყო ბერნინი, პარიზის აკადემიაში ლექციების კითხვისას აცხადებდა, რომ მისი პრაქტიკა საცხებით შეესატყვისება ანტიკურ ნიმუშებს, ხოლო დანიელ ადამ პეპველ-მანმა, რომელმაც ააგო ცვინგერი დრეზდენში — როკოკოს სტილის ნიმუში არქიტექტურაში — მთელი ბროშურა მიუძღვნა იმის დამტკიცებას, რომ მისი ქმნილება მთლიანდ აკმაყოფილებს ვიტ-რუვიუსის ყველაზე მეტაცრ პრინციპებს.⁷ პოეტი-მეტაფიზიკოსები იშვიათად მიმართავდნენ ესთეტიკურ ტერმინებს (მაგალითად, „ზუსტად გათვლილ სტრიქონებზე“ საუბრისას), მაგრამ ასეთი ტერმინილოგიის გამოყენებისას პრაქტიკულად ვერც კი გამოხატავდნენ მათი შემოქმედების არსებით სიახლეს; შუა საუკუნეებში შემოქმედებს ხშირად ეუფლებოდათ წმინდა რელიგიური ანდა დიდაქტიკური „განწყობები“, რომლებსაც არც კი „დასცალდათ“, გამოხატული ყოფილიყვნენ მათი პრაქტიკის შემოქმედებითს პრინციპებში. სხვაობა შეგნებულ გეგმა-განწყობასა და უშუალო შესრულებას შორის ჩვეულებრივი რამ არის მნერლობის ისტორიაში. ზოლას მართლაც სწამდა ექსპერიმენტული რომანის მეცნიერული თეორიისა, თავად კი, სინამდვილეში, შექმნა ძალზე მელოდრამატული და სიმბოლური რომანები. გოგოლს თავი სოციალურ რეფორმისტად, რუსეთის „აღმწერ-გეოგრაფიად“ მიაჩნდა, მაშინ, როდესაც მისი რომანები და მოთხოვნები სავსეა ნარმოსახული ფანტასტიკური და გროტესკული არსებებით. შეუძლებელია შემოვიწლუდოთ ავტორის ჩანაფიქრის კვლევით, ვინაიდან ეს, საუკეთესო შემთხვევაში, არის ნაწარმოების კომენტარი, ხშირად კი ასეთი კომენტარი საიმედო სულაც არაა. შეიძლება არც კი გვექონდეს რაიმე საჩინააღმდეგო ამგვარი „ჩანაფიქრის“ შესწავლის მიმართ, თუკი „ჩანაფიქრში“ ვიგულისხმებთ ნაწარმოების ერთ-ერთ კომპონენტს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მთლიანად ნაწარმოების საზრისის წვდომა.⁸ მაგრამ აქ ტერმინი „ჩანაფიქრი“ განსხვავებული მნიშვნელობისაა და, შესაძლოა, არცთუ ზუსტიც.

ასევე მიუღებელია ის ალტერნატიული ვარაუდი, რომლის თანახმად, ჭეშმარიტი ლექსი უნდა ვეძიოთ ავტორის გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ გამოცდილებაში ნაწარმოე-

ლიტერატურის თეორია

ბზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს დასკვნაც წარმოქმნის სიძნელეებს, ვინაიდან მას გადაჰყავს პრობლემა სავსებით მიუწვდომელი, წმინდა ჰიპოთეზური ხ-ის კატეგორია-ში, რომლის განსაზღვრა ან თუნდაც შესწავლა შეუძლებელია. საკითხის გადაწყვეტა აგრეთვე არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან შემოქმედება ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია სუბი-ექტური გამოცდილებისაგან, რომელიც, თავისთავად, წარსულის კუთვნილებაა. გამოცდილება, რომელიც ჰქონდა ავტორს შემო-ქმედების პროცესში, წარსულში გადაინაცვლებს ნაწარმოების დასრულებისთანავე. ეს წარმოდგენა სწორი რომ იყოს, მაშინ ვერასოდეს შევძლებდით უშუალო კონტაქტის დამყარებას თვით ხელოვნების ქმნილებასთან და მოგვინევდა თავის დამშვიდება იმ ვარაუდით, რომ ჩვენი განცდა პოემის წაკითხვისას იდენტურია იმისა, რაც დიდი ხნის წინათ თავად ავტორმა განიცადა. წიგნში „მილტონი“ ე.მ. ტილიარდი შენიშნავს, რომ „დაკარგული სამო-თხე“ ასახავს ავტორის მდგომარეობას ამ პოემის შექმნის მო-მენტში; კ.ს. ლუისთან ხანგრძლივი და უთავბოლო დავის დროს მან მაინც არ აღიარა, რომ „დაკარგული სამოთხე“, „უპირველეს ყოვლისა ეხება სატანას, ადამს და ევას, აგრეთვე ასობით და ათა-სობით სხვადასხვა იდეას, აზრსა და ცნებას, და არა მილტონის სულიერ განცდებს პოემის შექმნის პერიოდში.⁹ ის, რომ ოდესლაც პოემის შინაარსი განისაზღვრებოდა მილტონის გონებაში მიმდი-ნარე ცნობიერი და გაუცნობიერებელი პროცესებით, სავსებით სწორია, მაგრამ ამ პროცესების წვდომა ჩვენთვის შეუძლებე-ლია, მით უმეტეს, რომ შემოქმედებით მომენტებში მის გონებაში ხდებოდა გადამუშავება აურაცხელი გამოცდილებისა, რომელთა კვალს პოემაში ვერ მივაგნებთ. ეს იდეა მიგვიყვანს უმიზნო ვარაუდებამდე იმის თაობაზე ხელოვანის შემოქმედებითი მდ-გომარეობის ხანგრძლივობის შესახებ – შემოქმედების მომენტში მწერლის ემოციათა თაობაზე, რაც შეიძლება გულისხმობდეს იმ მომენტში განცდილ კბილის ტკივილსაც.¹⁰ საერთოდ, ფსიქოლო-გიური მიდგომა, რომლის ამოსავალი პუნქტია მკითხველისა თუ მსმენლის, მთხოვნილისა თუ ავტორის სულიერი მდგომარეო-ბა, წარმოქმნის გაცილებით უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე იმ საკითხთა რაოდენობა, რომელთა გადაწყვეტა მას ძალუძს.

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

აშკარად უკეთესი იქნება, თუ ხელოვნების ნიმუშს განვსაზღვრავთ სოციალური და კოლექტიური გამოცდილების კონტექსტით. არსებობს საკითხის გადაწყვეტის ორი შესაძლებლობა, თუმცა, არც ერთი მათგანი არ გამოგვადგება საიმისოდ, რომ პრობლემა დამაკამაყოფილებლად გადაიჭრას. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ნიმუში წარმოადგენს პოემის წარსულისა და შესაძლებელ გამოცდილებათა ჯამს. ასეთი ახსნა აურაცხელი პირადი უსარგებლო გამოცდილების, უხეირო, ყალბი წაკითხვისა და დამახინჯების ტოლფასი იქნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მხატვრული წანარმოები არის მკითხველის სულიერი მდგომარეობა, გამრავლებული უსასრულობაზე. მეორე პასუხის თანახმად, ჭეშმარიტი ლექსი არის პოემის ყველა მკითხველის გამოცდილება.¹¹ მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ პასუხს დაჰყავს მხატვრული წანარმოები საერთო მნიშვნელამდე. ეს კი იქნება ყველაზე დაბალი, ყველაზე უმნიშვნელო, ზედაპირული და ტრივიალური საერთო მნიშვნელი, რომელიც ხელმისანავდომია ნებისმიერი გამოცდილებისთვის. გარდა იმისა, რომ ამ საერთო მნიშვნელის გამოყოფა ძნელია, ამგვარი მიდგომა ძალზე აღარიბებს ხელოვნების ნიმუშის საზრისს.

ინდივიდუალური თუ სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდებით ვერ ვიპოვით პასუხს ჩვენს კითხვაზე. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ პოემა პიროვნულ გამოცდილებას ან ასეთ გამოცდილებათა ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ — გამოცდილებათა პოლენციურ წყაროს. განსაზღვრება, რომელიც ემყარება სულიერ მდგომარეობათა ანალიზს, დამაკმაყოფილებელი არაა, რადგან ის ვერ განმარტავს ჭეშმარიტი პოეზიის ნორმატიულ ხასიათს და იმ მარტივ ფაქტს, რომ მისი აღქმის გამოცდილება შეიძლება იყო მართებული ან მცდარი. ნებისმიერი პიროვნული განცდის შემთხვევაში ჭეშმარიტი პოეზიის შესატყვისად შეიძლება ჩაითვალოს ამ განცდის მხოლოდ გარკვეული ნაწილი. ამრიგად, ჭეშმარიტი პოეზია უნდა გავიაზროთ, როგორც იმ ნორმათა სტრუქტურა, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ რეალიზდება მის მრავალრიცხვან მკითხველთა გამოცდილებაში. ყოველი ცალკე აღებული გამოცდილება (კითხვა, დეკლამაცია და ა. შ.) არის მხოლოდ მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობა, ჩასწვდეს ნორმა-თა თუ კრიტერიუმთა ამ ერთობლიობას და გამოხატოს ის.

ლიტერატურის თეორია

აქ ნახსენები ტერმინი „ნორმა“, რასაკვირველია, არ უნდა ავურიოთ ეთიყურ თუ პოლიტიკურ, ანდა — კლასიცისტურ თუ რომანტიკული ხელოვნების ნორმებში. სიტყვა „ნორმა“ აქ გულისხმობს იმპლიციტურ ნორმებს, რომლებიც უნდა გამოიყოს ხელოვნების ნიმუშის აღქმის ყოველი ინდივიდუალური გამოცდილებიდან და რომელთა ერთობლიობაც ქმნის ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს. თუ ერთმანეთს შევადარებთ ხელოვნების ნიმუშებს, მაშინ გამოვლინდება როგორც მსგავსება ამ ნორმათა შორის, ისე — მათი სხვაობაც, და, მსგავსებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება ხელოვნების ნაწარმოებთა კლასიფიკაცია ნორმათა იმ ტიპის შესაბამისად, რომლებიც მათშია ხორცებს ხმული. ამ გზით შეიძლება უნიკალური თეორიის და, საბოლოო ანგარიშში, ლიტერატურის თეორიების შემუშავება. კრიტიკოსები უარყოფენ მსგავს შესაძლებლობას და, არცთუ უსაფუძვლოდ, აღნიშნავენ, რომ ხელოვნების ყოველი ნაწარმოები უნიკალური ბუნებისაა; მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეხედულება ინდივიდუალურობის შესახებ იმდენად დომინანტურია, რომ ნაწარმოები მთლიანად სწყდება ტრადიციას და, შედეგად, იქცევა მიუწვდომელ და გაუგებარ ფენომენად. თუკი დავუშვებთ, რომ უნდა დავიწყოთ ხელოვნების ცალკეული ნაწარმოების ანალიზით, მაშინაც კი ვერ უარყოფთ მასში გარკვეული მსგავსების, საერთო ელემენტების ან ფაქტორების არსებობას, რომლებიც აახლოებს მოცემულ ნაწარმოებს სხვა ქმნილებებთან. მაგრამ ეს საშუალებას მოგვცემს, ცალკეული ნაწარმოების ანალიზიდან გადავიდეთხელოვნების იმ ტიპის დახასიათებაზე, რომელიც ხორცებს ხმულია ბერძნულ ტრაგედიაში, შემდეგ — ზოგადად, ტრაგედიაზე, ლიტერატურაზე, და, პოლოს, იმ ყოვლისმომცველ სტრუქტურაზე, რომელიც საერთოა ხელოვნების ყველა დარგისათვის.

მაგრამ ესაა შორეული პერსპექტივის ამოცანა. ჩვენთვის კი აუცილებელია გავარკვიოთ ამ ნორმების არსი და მათ გამოვლინებათა ხასიათი. ნაწარმოებთა დეტალური ანალიზი გვარნებს, რომ არსებობს არა უბრალოდ ნორმათა ერთგვარი სისტემა, არამედ — რამდენიმე ქვედანაყოფიც ამ სისტემაში, ისე, რომ თითოეულ ქვედანაყოფს აქვს მისდამი დაქვემდებარებულ ელემენტთა ჯგუფი. პოლოვნებმა ფილოსოფოსმა რომან ინგარდენმა, ლიტერატურული ხელოვნების ნიმუშის ვირტუოზული

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი და მაღალპროფესიონალური ანალიზისას, ამ მიზნით გამოიყენა ჰუსერლის „ფენომენოლოგიის“ მეთოდი.¹² საჭირო არა მისი მსჯელობის დეტალურად გადმოცემა იმაში დასარწმუნებლად, რომ ინგარდენისეული მიდგომა გამართლებულია და გამოისადები: პირველ ყოვლისა, გამოიყოფა ბერებითი შრე, რომელიც, ცხადია, არ უნდა გავაიგივოთ თავისთავად სიტყვათა ქლერადობასთან, რაშიც ზემოთ. მხოლოდ ბერებითა ბაზაზე ვლინდება მეორე შრე — აზრობრივი ერთეულები. ყოველ ცალკეულ სიტყვას აქვს საკუთარი საზრისი და კონტექსტში, სხვა სიტყვებთან ერთად, ნარმოქმნის აზრობრივ ერთეულებს, სინტაგმებს და წინადადებებს. ამგვარი სინტაქსური სტრუქტურების საფუძველზე ჩნდება მესამე შრე — რეპრეზენტატიული პლანი, რომელიც მოიცავს მნერლის „სამყაროს“, მოქმედ პირებს, ფონსა და გარემოს. ამას ინგარდენი ამატებს კიდევ ორ სხვა შრეს, რომელთა გამოიყოფა, შესაძლოა, საჭირო არა. მნერლის „სამყარო“ მას დანახული აქვს განსაკუთრებული თვალსაზრისით, რომელიც ყოველთვის როდი გამოიხატება უშუალოდ, მაგრამ აუცილებლად შეიგრძნობა. მაგალითად, რაიმე მოვლენა (ვთქვათ, კარის მიჯახუნება) შეიძლება ლიტერატურაში აღნერილი იყოს, როგორც მავანი პირის მიერ „დანახული“ ანდა „გაგონილი“. პერსონაჟი შეიძლება ნარმოდგენილი იყოს მისი „შინაგანი“ ან „გარეგნული“ დამახასიათებელი ნიშნებით. და, ბოლოს, ინგარდენი ახსენებს „მეტაფიზიკური თვისებების“ (ამაღლებული, ტრაგიული, თავზარდამცემი, წმინდა) შრეს რომელიც აუცილებელი არა და ზოგიერთ ნაწარმოებში შეიძლება არც შეგვხდეს. ეს ორი უკანასკნელი შრე შეიძლება შევიყვანოთ „სამყაროს“ კატეგორიაში, ანუ ნარმოდგენილ საგანთა არეალში. მაგრამ, ისინი, ამავე დროს, გვიკარნახებენ, რომ არსებობს ლიტერატურულ ანალიზში ძალზე რეალური პრობლემები. „თვალსაზრისს“ ცნებამ, ყოველ შემთხვევაში, რომანთან დაკავშირებით, დიდი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ჰენრი ჯეიმსის მოღვანეობის დროიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც ლაპოემა ნარმოადგინა ლიტერატურის შესახებ ჯეიმსის შეხედულებებისა და მისი მხატვრული პრაქტიკის სისტემატიზებული ექსპოზიცია. ხსენებული „მეტაფიზიკური თვისებების“ შრე საშუალებას აძლევს ინგარდენს, დაუპრონდეს „ფილოსოფიური მნიშვნელობის“ საკითხებს ხელოვნების ნაწარმოებში, ისე, რომ თავი აარიდოს მეტად სარისკო და ხშირ ინტელექტუალურ შეცდომებს.

ლიტერატურის თეორია

კარგი იქნება, თუკი ამ აზრს დავასაბუთებთ პარალელით, რომელსაც ლინგვისტიკა გვაწვდის. ფერდინანდ დე სოსიურიც და პრალის ლინგვისტური წრის ნარმომადგენლებიც მკაფიოდ ასხავებდნენ ერთმანეთისგან *langue*-ს და *parole*-ს,¹³ ე.ი. ენის სისტემასა და ინდივიდუალური მეტყველების აქტს; ანალოგიური განსხვავება არსებობს თავად ლექსისა და მისი აღქმის ინდივიდუალურ გამოცდილებას შორის. ენის სისტემა (ანუ *langue*) ნარმოადგენს პირობითობებისა და ნორმების კრებულს, რომელთა ურთიერთმიმართებებსა და მოქმედებას ჩვენ ვხედავთ და აღვნერთ ამ სისტემის ერთიანობისა და სიმძყობრის დაურღვევლად, თუმცა ცალკეულ მოსაუბრეთა მეტყველებაში გვხვდება ძალზე სპეციფიკური, უხეირო და არასრული გამოთქმები. ყოველ შემთხვევში, ამ მხრივ მაინც, ლიტერატურული ხელოვნების საგანი ზუსტად იმავე მდგიმარეობაშია, როგორშიც — ენობრივი სისტემა. ჩვენ, როგორც ინდივიდები, ვერასოდეს შევძლებთ ამ სისტემის სრულად გამოხატვას, ისევე, როგორც ვერასოდეს შევძლებთ ჩვენივე ენის მთლიანად და სრულად გამოყენებას. ფაქტობრივად, ზუსტად იგივე სიტუაცია ნარმოგვიდგება შემეცნების ყოველ ცალკეულ აქტში. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიმეცნებთ საგანს მისი ყველა თვისებით და, ამის მიუხედავად, მაინც ვერ უარვყოფთ საგანთა იდენტურობას, თუნდაც მათ აღვიქვამდეთ სხვადასხვაგვარი კუთხით. ჩვენ მუდამ ვწვდებით საგნის „აუცილებელ სტრუქტურას“, რაც შემეცნების აქტს აქცევს იმ ნორმათა აღიარებად, სინამდვილემ თავს რომ მოგახვია, და არა — საეჭვო მოსაზრების ან კიდევ სუბიექტური თვისების გამოვლინებად. შესაბამისად, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურას აქვს თვისება, რომელიც შეიძლება ასე გამოიხატოს: „გასათვალისწინებელი მოვალეობა“. მე მას ყოველთვის არასრულად ნარმოვიდგენ, მაგრამ, ამ ნარმოდგენის შეფარდებითი არასისრულის მიუხედავად, მაინც რჩება ერთგვარი „აუცილებელი სტრუქტურა“, ისევე, როგორც შემეცნების ნებისმიერ სხვა საგანში თუ ობიექტში.¹⁴

თანამედროვე ლინგვისტები განიხილავენ პოტენციურ ბგერებს როგორც ფონემებს; მათ შეუძლიათ აგრეთვე გაანალიზონ მორფები და სინტაგმები. მაგალითად, ნინადადება შეიძლება აღვნეროთ არა უბრალოდ როგორც *ad hoc* გამოთქმა, არამედ როგორც სინტაქსური წყობა და მოდელი. თანამედრო-

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

ვე ფუნქციურმა ლინგვისტიკამ წარმატებებს მიაღწია მხოლოდ ფონემათა კვლევის მიმართულებით; მაგრამ რაოდენ რთულიც უნდა იყოს პრობლემები, მათი გადაწყვეტა მაინც შესაძლებელია. ამასთან, ესაა არა სრულიად ახალი პრობლემები, არამედ — ახლებური ფორმით ჩამოყალიბებული ის მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხები, რომლებიც განიხილებოდა ჯერ კიდევ გრამატიკის ძველ სახელმძღვანელოებში. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის დროს ვაწყდებით ანალოგიურ (აზრობრივი ერთეულებისა და მათი სპეციფიკური ორგანიზაციის) პრობლემებს, რომელთაც განაპირობებს ესთეტიკური დანიშნულება და ამოცანება. პოეტური სემანტიკის, სტილის და სახეობრიბის პრობლემები ახლებურად, უფრო ზუსტი ფორმით დაისმის. აზრობრივი ერთეულები, ნინადადებები და ნინადადებათა სტრუქტურები უკავშირდებიან საგნებს და ქმნიან ნაწმოსახვეთ რეალობებს, მაგალითად, პეიზაჟს, ინტერიერს, პერსონაჟებს, მოლენებს და იდეებს. შესაძლებელია ამ რეალობების განალიზება ისე, რომ არ მოხდეს მათი აღრევა ემპირიულ რეალობასთან, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლინგვისტურ სტრუქტურებში ისინი განუყოფელი არიან. რომანის გმირი იქმნება მხოლოდ აზრობრივი ერთეულების საფუძველზე და „იშლება“ პერსონაჟის მიერ წარმოთქმულ, ან მის შესახებ ნათქვამ ნინადადებებად. ბიოლოგიურ ინდივიდთან შედარებით, რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოხატული წარსული, პერსონაჟის სტრუქტურა განუსაზღვრელია.¹⁵ ნაწარმოების დაყოფას ერთიმეორის ქვეშ განლაგებულ შრეებად ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია შეენაცვლოს ტრადიციულ და მცდარ დაყოფას შინაარსად და ფორმად. შინაარსი მჭიდრო კონტაქტშია ლინგვისტურ ქვეშრესთან, რომელიც მას შეიცავს და რომელზეც არის დამოკიდებული.

მაგრამ ასეთი წარმოდგენა ლიტერატურულ წარმოებზე როგორც შრეებად დალაგებულ ნორმათა სისტემაზე მაინც ვერ განმარტავს თვით ამ სისტემის არსებობის წესსა და ფორმას. მართებული გადაწყვეტილების მოსახებნად შეიძლებოდა განგვეხილა ნომინალიზმისა და რეალიზმის, მენტალიზმისა და ბიპევიორიზმის პოლემიკა — ერთი სიტყვით, ეპისტემოლოგიის ძირითადი პრობლემები. ამასთან, ჩვენი მიზნებისათვის საკმარისაა, თავი ავარიდოთ ორ უკიდურესობას — უკიდურეს პლატონიზმს და უკიდურეს ნომინალიზმს. საჭირო არ არის ამ ნორმების მიჩნევა

ლიტერატურის თეორია

ობიექტურ რეალობად, მისი „მატერიალიზება“ და, შესაბამისად, ჩამოყალიბება ერთგვარი არქეტიპული ცნებისა, რომელიც გვეგულება არსთა ზედროული სამყაროს მიღმა. ლიტერატურული ნაწარმოების ონტოლოგიური არსი განსხვავდება სამკუთხედის ან რიცხვის ცნებისგან, ან ისეთი თვისებისგან, როგორიცაა თუნდაც „სინითლე“. ამგვარ „უცვლელ არსთაგან“ განსხვავებით, ლიტერატურული ნაწარმოები შექმნილია, პირველ ყოვლისა, დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო მეორე მხრივ, ის ექვემდებარება ცვლილებას, რაც შეიძლება დასრულდეს მისი სრული განადგურებით. ამ თვალსაზრისით, შეიმჩნევა გარკვეული მსგავსება ენის სისტემასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შექმნის ან გაქრობის ზუსტი მომენტის ამოცნობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მაშინ, როდესაც საქმე ეხება ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომელიც, როგორც წესი, ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია). ამავე დროს, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ უკიდურესი ნომინალიზმი, რომელიც უარყოფს „ენის სისტემის“ ცნებას (და აქედან გამომდინარე, მხატვრულ ნაწარმოებსაც, როგორც ჩვენ ის ნაწმოგვიდგენია) ანდა მიიჩნევს მას მხოლოდ გამოსადეგ ფიქციად და „მეცნიერული აღწერის“ ერთ-ერთ ხერხად, ასეთ შემთხვევაში უარს ამბობს ამ პრობლემის გადაწყვეტაზე-ყველაფერი, რაც არ შეესატყვისება ემპირიული რეალობის ძალზე შეზღუდულ ცნებას, ბიჰევიორიზმის ვიწრო ნაწმოდგენებით განისაზღვრება, როგორც „მისტიკური“ ანდა „მეტაფიზიკური“. და მანც, თუკი „ფონემას“ ფიქციად შეერაცხავთ, ხოლო ენის სისტემას – უბრალოდ, „სამეტყველო აქტის მეცნიერულ აღწერად“, ეს ნიშნავს ჭეშმარიტების პრობლემის უგულებელყოფას.¹⁶ ჩვენ ვალიარებთ როგორც ნორმებს, ისე — გადახრებს ამ ნორმებისა-გან, და არ ვიგონებთ რაღაც აღწერით და პირობით კატეგორიებს. ამ თვალსაზრისით, ბიჰევიორისტთა ხედვა მთლიანად ეფუძნება აბსტრაქტორების ცუდად გაგებულ თეორიას. იმისდა მიუხედავად, შევადგენთ რიცხვებსა და ნორმებს თუ არა, ისინი რჩებიან ნორმებად და რიცხვებად. რასაკვირველია, მე კიდეც ვთვლი და კიდეც ვკითხულობ, მაგრამ რიცხვის გამოვლენა ანდა ნორმის აღიარება სულაც არ არის იგივე, რაც — თავად რიცხვი თუ ნორმა. „ბ“ ბგერის ნაწმოთქმა არ არის „ბ“ ფონემა. ჩვენ ვავლენთ რეალობაში ნორმათა სტრუქტურას, მაგრამ არ ვიგონებთ ვერბალურ

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი
კონსტრუქციას. არგუმენტი, რომლის თანახმად, ამ ნორმებს ჩვენ
ვწვდებით მხოლოდ და მხოლოდ შემეცნების ინდივიდუალური
აქტის მეშვეობით და ვერ „გადავაბიჯებთ“ ამ აქტის საზღვრებს
– მხოლოდ ერთი შეხედვითაა შთამბეჭდავი. ეს არის სწორედ ის
არგუმენტი, რომელიც მიმართული იყო შემეცნების კანტისეული
კრიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ის შეიძლება უგულებელყოფილ
იქნას თვით კანტის არგუმენტებით.

ცხადია, ნორმების დადგენისას ჩვენ თვითონაც შეიძლება
შევცდეთ და რაიმე ვერ გავიგოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრი-
ტიკოსს განმკითხავის ზეადამიანური როლი ეკისრება, რათა, ასე
ვთქვათ, „გარედან“ გააკრიტიკოს ჩვენი შემეცნება, და არც იმას,
რომ ის განსაკუთრებული ინტუიციის მეოხებით სრულად შეიმეც-
ნებს ნორმათა მთელ სისტემას. უფრო მართებული იქნება, თუ ვი-
ტყვით, რომ ჩვენი ცოდნის ნაწილს ჩვენვე ვაკრიტიკებთ იმ უფრო
მაღალი სტანდარტის მიხედვით, რომელსაც მივაღწიეთ სხვა
სფეროში. თავი არ უნდა ჩავიყენოთ იმ კაცის მდგომარეობაში,
ვინც თავისი მხედველობის შესამონმებლად ცდილობს საკუთარ
თვალებში ჩაიხედოს; ჩვენ ვგავართ ისეთ კაცს, ვინც ერთმანეთს
ადარებს საგნებს, რომლებსაც ცხადად ხედავს, და იმათ, რომ-
ლებსაც ბუნდოვნად ხედავს. ამ ურთიერთშეჯერების საფუძველ-
ზე იგი ერთგვარად განაზოგადებს ნანახს, ყოფს საგნებს ორ ჯე-
ფად და სხვაობას სხნის ხედვის ერთგვარი თეორიით, რომელიც
ითვალისწინებს მანძილს, დროს და ა. შ.

ანალოგიურად, ჩვენ ადვილად გავარჩევთ პოემის სწორ
თუ მცდარ წაკითხვას, ნანარმოებში ხორციელებული ნორმების
მართებულ თუ არასწორ შემეცნებას; ამისთვის საჭიროა შევადა-
როთ და შევისწავლოთ სხვადასხვაგვარი მცდარი ან არასრული
„რეალიზაციები“ ან ინტერპრეტაციები. ამ ნორმების უშუალო
მოქმედება, ურთიერთმიმართებები და კომბინაციები შეგვიძლია
ისევე შევისწავლით, როგორც ეს ხდება ფონემის შესწავლის
დროს. ლიტერატურული ნანარმოები არ ნანარმოადგენს ემპირიულ
ფაქტს და ნებისმიერი პირის ან ინდივიდთა ჯგუფის სულიერ მდ-
გომარეობას; ის არც იდეალური და უცვლელი საგანია, სამკუთხე-
დის მსგავსად. მხატვრული ნანარმოები შეიძლება იქცეს გამოც-
დილების ობიექტად; უნდა ვალიაროთ, რომ თუმცა ნანარმოების
წვდომა შეიძლება მარტოოდენ ინდივიდუალური გამოცდილების

ლიტერატურის თეორია

მეშვეობით, მაგრამ მას მაინც ვერ გავაიგივებთ რამე გამოც-დილებასთან. ის განსხვავდება იდეალური ობიექტისაგან (მაგ-ალითად, რიცხვისგან) სწორედ მისი სტრუქტურის ემპირიული (ფიზიური, ან პოტენციურად ფიზიური) ასპექტის — ბერითი სისტემის — წყალობით, მაშინ, როდესაც შესაძლებელია სამ-კუთხედის ან რიცხვის უშუალო, ინტუიციური წვდომა. იდეალური ობიექტისგან მხატვრულ ნანარმოებს განასხვავებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მას აქვს რაღაც, რასაც შეიძლება „სი-ცოცხლე“ ვუწოდოთ. ნანარმოები იქმნება დროის გარკვეულ მო-მენტში, განიცდის ცვლილებებს თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში და შემდეგ შეიძლება გაქრეს. მხატვრული ნანარ-მოები „ზედროულია“ მხოლოდ იმ გაგებით, რომ მას აქვს უცვლე-ლი (მისი შექმნის მომენტიდან) სტრუქტურა; მაგრამ ნანარმოები „ისტორიულად ცვალებადიც“ არის. ის „გაივლის“ ერთგარ გან-ვითარების პროცესს, რომლის ახსნაც შეიძლება და აღწერაც. ეს განვითარება სხვა არაფერია, თუ ნანარმოების კონკრეტიზაცი-ათა რიგი ისტორიის მანძილზე; გარკვეულწილად, შესაძლებე-ლია ამ კონკრეტიზაციათა აღდგენა იმ ახსნა-განმარტებების მე-ოხებით, რომლებმიც აღწერილია კრიტიკოსთა და მკითხველთა მიერ ნანარმოების აღქმა და შეფასება, აგრეთვე — ნანარმოე-ბის ზეგავლენა სხვა მხატვრულ ქმნილებებზე. უფრო ადრეული კონკრეტიზაციების ცოდნა (ეს ეხება ნაკითხვასაც, კრიტიკასაც და მცდარ ინტერპრეტაციასაც), გავლენას იქონიებს ნანარმოე-ბის ჩვენებულ აღქმაზე: უფრო ადრეული ნაკითხვების მეშვეო-ბით შეიძლება გაცილებით ღრმად ჩავწვდეთ ნანარმოების არსს, თუმცა, ისინი ხშირად ინვევენ მძაფრ პროტესტს ამავე ქმნილების ძველი შეფასებების ნინააღმდეგ. ყოველივე ეს მეტყველებს კრი-ტიკის ისტორიის მნიშვნელობაზე და გვაიძულებს ჩავფიქრდეთ იმ რთულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ინდივიდუალობის ზღ-ვარსა და ბუნებას. როგორ ხდება, რომ მხატვრული ნანარმოები განიცდის ევოლუციას და მაინც შეულახავად ინარჩუნებს თავის არსებით სტრუქტურას? ხელოვნების ნიმუშის ისტორიული „სი-ცოცხლის“ შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმავე გაგებით, რომ-ლითაც გვიხდება საუბარი ცხოველზე ან აღამიანზე, რომელიც პიროვნულად იგივე დარჩა ცხოვრებისეული ცვლილებების მიუხედავად. „ილიადა“ ჯერაც არსებობს, ანუ მას კვლავ გააჩნია

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

ზემოქმედების უნარი, მაშინ, როდესაც ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიც ყოფილი პრძოლა ვატერლოსთან, აშკარად ნარსულის კუთვნილებაა, იმის მიუხედავად, რომ კვლავაც შეიძლება აღვადგინოთ ამ პრძოლის მიმდინარეობა და დავახასიათოთ მისი შედეგები. და მაინც, რა გაგებით შეიძლება ითქვას, რომ „ილიადა“, რომელსაც ჰომეროსის თანამედროვე ბერძნები კითხულობდნენ, იდენტურია „ილიადასი“, რომელსაც ჩვენ დღეს ვკითხულობთ? დავუშვათ, ტექსტიმა ჩვენამდე უცვლელი სახით მოაღწია; მისი ჩვენეული აღქმა მაინც განსხვავდება ჰომეროსის თანამედროვე ბერძნთა მიერ ან პოემის აღქმისგან. ჩვენ არ შეგვიძლია შევაჯეროთ ორიგინალის ენა ძველი საბერძნეთის ყოფით, სალაპარაკო ენასთან, და ამის გამო ვერც იმ გადახრებს შევიგრძნობთ, რაზეც დამოკიდებულია ჰომეროსის პოეტიკა. ჩვენ ვერ გავიგებთ ბევრ ბუნდოვან სიტყვიერ მინიშნებასაც, რომელიც ყოველთვის შეადგენს ნანარმოების მხატვრული მინიშნებულობის არსებით ნაწილს. ცხადია, მაინც საჭიროა დამატებითი მცდელობა, რათა ნარმოსახვის (რომელიც ყოვლისშემძლე სულაც არაა) მეშვეობით ნარმოვიდგინოთ თავი ანტიკურ ხანაში, როდესაც ბერძნებს სწამდათ თავიანთი ღმერთებისა და ჰქონდათ ზნეობრივი ღირებულებების საკუთარი სკალა და განზომილება. და მაინც, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ „ილიადამ“ მინიშნებულოვანნილად უცვლელად შეინარჩუნა „სტრუქტურის“ ძირითადი ელემენტები მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში. ამავე დროს, ეს „სტრუქტურა“ დინამიკურია: იგი იცვლება ისტორიის პროცესში, რადგან ახლებურად აღიქმება მის კითხველთა, კრიტიკოსთა და ხელოვანთა ახალი თაობების მიერ.¹⁷ ამრიგად, ნორმათა სისტემა იზრდება, იცვლება და, გარკვეული თვალსაზრისით, მისი სრულად წვდომა და გააზრება ყოველთვის შეუძლებელი იქნება. მაგრამ სტრუქტურის დინამიკურობა არ ამართლებს პრობლემის სუბიექტივისტურ და რელატივისტურ განმარტებებს. ცხადია, რომ ყველა ეს განსხვავებული ხედვა და თვალსაზრისი თანაბრად სწორი და მართებული როდია. ყოველთვის შეიძლება დავადგინოთ, რომელი თვალსაზრისი სწვდება საკითხს უფრო ღრმად. თვით ინტერპრეტაციის ადეკვატურობის მოთხოვნა გულისხმობს განმარტებათა გარკვეულ იერარქიას, სტიმულს აძლევს კრიტიკას, რომელიც მიმართულია ნანარმოებში ხორციელებული ნორმების მაქსიმალურ გამოვლენისკენ. ყველანაირ რელატივიზმს აბათილებს

ლიტერატურის თეორია

დებულება, რომლის თანახმად, „აპსოლუტური მდგომარეობს რელატიურში, თუმცა — არა მთლიანად და არა ბოლომდე.“¹⁸

ამგვარად, მხატვრული ნაწარმოები წარმოგვიდგება, როგორც ცოდნის ობიექტი სუი გენერის, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ონტოლოგიური სტატუსი. ის არც რეალურია (ანუ ფიზიკური, ქანდაკების დარად), არც მენტალური (ფსიქოლოგიური, მსგავსად სინათლის შეგრძნების ან ტკივილის განცდისა), და არც იდეალური (როგორც სამყუთხედი). მხატვრული ნაწარმოები არის ნორმათა სისტემა, რომელშიც აღბეჭდილია ინტერსუბიექტური ხასიათის მქონე იდეალური ცნებები⁹. ეს ცნებები, როგორც ჩანს, არსებობენ საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობაში და მასთან ერთად იცვლებიან; მათი წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური სულიერი გამოცდილების მეშვეობით და ემყარება იმ ლინგვისტური ერთეულების ბეგრით სტრუქტურას, რომელთაგანაც შედგება ტექსტი.

ჩვენ არ გვიმსჯელია მხატვრულ ღირებულებათა საკითხზე. თუმცა, ზემოთქმულიდან აშკარა უნდა იყოს, რომ ნორმათა და ლირებულებათა გარეშე არ არსებობს სტრუქტურა. ჩვენ ვერ შევძლებთ მხატვრული ნაწარმოების გააზრებასა და გაანალიზებას ამ ღირებულებათა გაუთვალისწინებლად.. თვით ის ფაქტი, რომ გარკვეულ სტრუქტურას „მხატვრულ ნაწარმოებად“ ვალიარებ, თავისთვად ღირებულებითი მსჯელობაა. წმინდა ფენომენოლოგიის მცდარი თვალსაზრისის მიხედვით, ღირებულებები გამიჯნულია სტრუქტურისგან, ანუ ღირებულებებს თავს ახვევენ სტრუქტურას, ამატებენ მას ანდა შეაქვთ მასში. ეს შეცდომა შეიმჩნევა რომან ინგარდენის შესანიშნავ ნაშრომში, რომელშიც მხატვრული ნაწარმოები ისეა გაანალიზებული, რომ ღირებულებები მოხსენიებულიც კი არაა. ამის მიზეზი, ცხადია, არის ფენომენოლოგების წარმოდგენა იმგვარ „არსთა“ მარადიული, ზედროული წყების შესახებ, რომელთა ინდივიდუალური (ემპირიული გამოცდილების საფუძველზე შექმნილი) ინტერპრეტაცია მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა. ღირებულებათა აბსოლუტური სკალის აღიარებით ჩვენ აუცილებლად ვკარგავთ კონტაქტს ინდივიდუალური განსჯასთან, რომელიც, თავისი არსით, შეფარდებითა. ერთ პოლუსზეა უმოძრაო აბსოლუტი, მეორეზე კი — ღირებულების არმქონე ინდივიდუალურ განსჯათა ნაკადი.

აბსოლუტიზაციის მცდარი თეზისი და რელატივიზმის ასე-

ლიტერატურული ხელოვნების ნიმუში და მისი არსებობის წესი

ვე მცდარი ანტითეზის საჭიროებენ შეცვლას და ჰარმონიზაციას ახლებურ სინთეზი, რომელიც დინამიკურს გახდის თავად ლი-რებულებათა სკალას, მაგრამ დინამიკის მიღმა ამჩნევს რაღაც მარადიულსაც. ამგვარ წარმოდგენას ჩვენ ვუწოდეთ „პერსპექტივის შეგრძება“;¹⁹ იგი არ მოასწავებს ლირებულებათა ანარქიის, ანდა ინდივიდუალური გემოვნების პრიორიტეტულობის აღიარებას; ესაა საგნის გაღრმავებული და მრავალმხრივი შემეცნების პროცესი, რომლის დაზუსტება და გაკრიტიკება შესაძლებელია. სტრუქტურა, ნიშანი და ლირებულება ქმნიან ერთი და იგივე პრობლემის სამ ასპექტს, და მათი ხელოვნური ურთიერთგამიჯვნა დაუშვებელია.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, აუცილებელია აღწერისა და ანალიზის იმ მეთოდების გაანალიზება, რომელთა მეშვეობითაც ავლენენ მხატვრული ნანარმოების სხვადასხვა შრეს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: (1) ბგერათა შრე, ევფონია, რიტმი და მეტრი; (2) ის აზრობრივი ერთეულები, რომლებიც განსაზღვრავენ ლიტერატურული ნანარმოების ფორმალურ ლინგვისტურ სტრუქტურასა და სტილს (ამ უკანასკნელს იკვლევს საგანგებო დისციპლინა — სტილისტიკა); (3) სახე და მეტაფორა, რომლებიც, არსებითად, ცენტრალური პოეტიკური ხერხებია და საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცნენ თუნდაც იმის გამო, რომ ისნი ერწყმიან პოეზიის სპეციფიკურ (4) „სამყაროს“ — იმ სიმბოლოებით და სიმბოლოთა სისტემებით, რასაც ჩვენ ვუწოდებთ პოეტურ „მითს“. თხრობითი ლიტერატურის განხილვისას ჩვენ წინაშე წამოიჭრება (5) თხრობის ხერხებისა და ტექნიკის განსაკუთრებული პრობლემა, რასაც ჩვენ ვუძღვნით საგანგებო თავს. მხატვრული ნანარმოებების ანალიზის მეთოდთა ანალიზის შემდგომ განვიხილავთ (6) ლიტერატურული უანრების არს და გავაშუქებთ კრიტიკის ცენტრალურ პრობლემას — (7) შეფასების საკითხს. დაბოლოს, კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ლიტერატურის ევოლუციის იდეას და ვიმსჯელებთ (8) მნერლობის ისტორიის ბუნებასა და იმ შესაძლებლობაზე, რომელიც გულისხმობს ლიტერატურის ისტორიის ევოლუციას და განვსაზღვრავთ ლიტერატურული ისტორიის როგორც საგანგებო დისციპლინის ხასიათს, და იმ შესაძლებლობას, რომ ლიტერატურის ისტორია განხილულ იქნეს როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის ისტორია.

თავი მეცაშეტე

ეცვლინია, რიტო და მეტრი

*

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ნარმოადგენს ბგერათა წყებას, რომელთაგან ყალიბდება მნიშვნელობა. ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში ბგერითი შრის მნიშვნელობა მინიმალურია და თთქმის არ შეიგრძნობა (მაგალითად, რომანთა უმრავლესობაში). მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი ფონეტიკური შრე ნარმოადგენს მნიშვნელობის აუცილებელ წინაპირობას. ამ მხრივ, განსხვავება დრაიზერის რომანსა და პოს ისეთ ლექსს შორის, როგორიცაა „ზარები“, მხოლოდ რაოდენობრივია და ამიტომ ვერ გამოდგება საიმისოდ, რომ შევაფასოთ მნერლობის ორი კონტრასტული ტიპი – პროზა და პოეზია. ხელოვნების ბევრ ნაწარმოებში, რომელთა შორის, რასაკვირველია, პროზაული ქმნილებებიც იგულისხმება, უურადღებას იქცევს ბგერითი შრე, რომელიც შეადგენს ესთეტიკური ზემოქმედების არსებით კომპონენტს. ეს მართებულია, უპირატესად, ორნამენტული პროზისა და ყველა პოეტური ნაწარმოების მიმართ, რომლებიც, თავისი არსით, სხვა არაფერია, თუ არა ენის ბგერითი სისტემის გარკვეული ორგანიზაცია.

ასეთი ბგერითი ეფექტების ანალიზის დროს უნდა გვახსოვდეს მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ხშირად მივიწყებული ორი პრინციპი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ სხვაობა ტექსტის ბგერითი ორგანიზების ფორმასა და მის ნაწარმოთქმას შორის. ხელოვნების ნაწარმოების ხმამაღლა ნაკითხვა არის შესრულება, ანუ რეალიზაცია ტექსტის ბგერითი ორგანიზაციისა, რომელიც მატებს მას რაღაც ინდივიდუალურსა და პიროვნულს, და, ამასთანავე, აქვს უნარი, დაამახონჯოს ანდა საერთოდ უგულებელყოს ეს ორგანიზაცია. შესაბამისად, რიტმიკისა და მეტრიკის ჭეშმარიტი კვლევა ვერ დაემყარება დეკლამაციის ცალკეულ მაგალითებს. მეორე, ასევე ხშირი და გავრცელებული, მაგრამ ყალბი ნარმოდგენის მიხედვით, ბგერა

უნდა გაანალიზდეს მნიშვნელობისგან მოწყვეტით. ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების მთლიანობის შესახებ ჩვენი კონცეფ-ციის შესაბამისად, ასეთი განცალკევება უმართებულოა; ამაში გვარნმუნებს ის ფაქტიც, რომ თავისთავად ბგერას არ ახდენს ესთეტიკურ ეფექტს, ან თუ ახდენს, ძალზე უმნიშვნელოს. არ მოიძებნება არანაირი „მუსიკალური“ ლექსი, რომელსაც არა აქვს გარკვეული ზოგადი საზრისი ან თუნდაც ემოციური ელფ-ერი. მაშინაც კი, როდესაც ვისმენთ მეტყველებას უცნობ ენაზე, „წმინდა ბგერები“ კი არ ჩაგვესმის, არამედ ვაკავშირებთ გაგონილს ჩვენს საკუთარ ფონეტიკურ ჩვევებთან და, რა თქმა უნდა, შევიგრძნობთ მოლაპარაკის აზრობრივ ინტონაციას. პოეზიაში წმინდა ბგერა ან ფიქციაა, ანდა ურთიერთმიმართებათა უაღრე-სად მარტივი და ელგმენტარული სერიები, ისეთები, რომელთაც შეისწავლის ბირკჰოფი თავის „ესთეტიკურ საზომში“;¹ ეს სისტემა ვერ ამონურავს მრავალფეროვნებასა და მნიშვნელობას ბგერითი შრისა, როდესაც მას განვიხილავთ ლექსის, როგორც მთლიანობის, შემადგენელ ნაწილად.

თავიდანვე უნდა გამოვყოთ პრობლემის ორი განსხვავე-ბული ასპექტი: ბგერის არსებითი და რელატიური თვისებები. პირველში ვგულისხმობთ იმ ინდივიდუალურს, რაც განასხვავებს ა-ს ო-სგან ან ლ-ს პ-სგან, რაოდენობრივი მახასიათებლების-გან დამოუკიდებლად (რადგან ა-ს ან პ-ს ვერ დავახასიათებთ მეტობით ან ნაკლებობით). ბგერების შინაგანი ხარისხობრივი განმასხვავებელი ნიშნებით წარმოადგენენ იმ ეფექტის საფუძვ-ელს, რომელსაც უნიდებენ „მუსიკალურობას“ ანდა „ევფონიას“. მეორე მხრივ, ბგერათა სხვაობა რელატიური თვისებების მიხედ-ვით შეიძლება იქცეს რიტმისა და მეტრის საფუძვლად: ეს არის ტონალობა, ბგერის ხანგრძლივობა, მახვილი, განმეორებათა სიხშირე და ყველა ის ელემენტი, რომელიც წარმოქმნის რაოდე-ნობრივ განსხვავებებს. ტონალობა შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, ხანგრძლივობა — მოკლე ან პირიქით, გრძელი, ხოლო განმეორების სიხშირე — მეტი ან ნაკლები. ეს მეტ-ნაკლებად მარტივი განმასხვავებელი ნიშანი მნიშვნელოვანია — ის გამო-ყოფს ლინგვისტური მოვლენების გარკვეულ ჯგუფს (რუსებმა მათ „ორკესტრირება“ (инструментовка) უწოდეს) და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბგერის ხარისხი აქ წარმოადგენს იმ

ლიტერატურის თეორია

ელემენტს, რომლითაც მანიპულირებს მწერალი.² რაც შეეხება ლექსს, აქ საერთოდ უნდა უგულებელყოთ ტერმინი „მუსიკა-ლურობა“ (ან „მელოდიურობა“), რადგან მან შეიძლება მცდარად ნარმართოს ჩვენი მსჯელობა. მოვლენა, რომლის ამოცნობასაც ვცდილობთ, სრულებითაც არ არის ერთგვარი პარალელი მუსიკალური „მელოდიისა“: აშკარაა, რომ მუსიკაში მელოდია განისაზღვრება ტონალობით და, აქედან გამომდინარე, ის ერთგვარი პარალელია იმ როლისა, რომელიც ენაში აკისრია ინტრინაციას. სინამდვილეში თვალსაჩინო სხვაობაა ნათქვამი წინადადების ინტონაციის ხაზსა (ტონის რხევითი და სწრაფად მონაცელე სიმაღლით) და მუსიკალურ მელოდიას შორის, რომელიც ხასიათდება ტონის მყარი სიმაღლით და განსაზღვრული ინტერვალებით.³ რაც შეეხება მეორე ტერმინს — „ევფონიას“ — არც ის არის საკმარისი, რადგან ბრაუნინგისა და ჰოპკინსის პოეზიის შესახებ საუბრისას სიტყვა „ორკესტრიობა“ „კაკოფონიის“ ტოლფასია, რადგან ეს პოეტები განზრას ლამობდნენ უხეში და ექსპრესიული ბგერითი ეფექტების მიღწევას.

„ორკესტრიობის“ სხვადასხვა ხერხს შორის ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ბგერითი ფიგურა, თვისებრივად იდენტურ ან მსგავს ბგერათა ჯგუფების განმეორებები და ექსპრესიული ბგერების ან ბგერათმიბაძების გამოყენება. განსაკუთრებული ნარმატებით შეისწავლეს ბგერითი ფიგურები რუსმა ფორმალისტებმა; რაც შეეხება ინგლისელ მეცნიერთა გამოკვლევებს, ვ.ჯ. ბეიტსმა გაანალიზა დახვენილი ბგერითი ხერხები კიტ-სის ლექსებში, მაშინ როდესაც თავად კიტსმა დაგვიტოვა საკმაოდ უცნაური შენიშვნები საკუთარი პრაქტიკის შესახებ.⁴ ოსიპ ბრიკმა⁵ მოახდინა ბგერითი ფიგურების შესაძლო ფორმების კლასიფიკაცია სარითმი ერთეულებში განმეორებულ ბგერათა რიცხვის, განმეორებათა რაოდენობის, ბგერათა ადგილის და განლაგების საფუძველზე. ეს უაღრესად სასარგებლო კლასიფიკაცია საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. განმეორებადი ბგერები შეიძლება განლაგებული იყოს: სტრიქონში, ერთმანეთთან ახლოს; ბგერათა ერთი ჯგუფის თავში და მეორე ჯგუფის ბოლოში; ერთი რომელიმე სტრიქონის ბოლოს და მომდევნო სტრიქონის დასაწყისში; სტრიქონების დასაწყისში; სტრიქონების ბოლოს, უკანასკნელ პოზიციაზე. ბოლოდან მეორე ჯგუფი ენათესავება ანაფორის

სტილისტურ მოვლენას. რაც შეეხება უკანასკნელს, ის მოიცავს ისეთ გავრცელებულ მოვლენას, როგორიცაა რითმა. ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, რითმა არის ბერის განმეორების მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც უნდა განვიხილოთ ისეთ მოვლენებთან კავშირში, როგორებიცაა ალიტერაცია და ასონანსი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვადასხვა ენაში ბერითი ფიგურები აუცილებლად სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება; ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ ენაში არის ფონემათა საკუთარი სისტემა და აქედან გამომდინარე, ხმოვანთა ოპოზიციებისა და პარალელების, აგრეთვე — თანხმოვანთა თვისებების სპეციფიკური სისტემა; ბოლოს, ძნელია გამოჰყო ასეთი ბერითი ეფექტები ლექსის ან სტრიქნის საერთო მნიშვნელობისგან და ტრნისგან. რომანტიკოსებისა და სიმბოლისტების ცდები, სიმღერასთან და მუსიკასთან გაერიგივებინათ პოეზია, თითქმის მეტაფორაა, რადგან პოეზია ვერ შეედრება მუსიკას წმინდა ბერების მრავალფეროვნების, სიცხადისა და ორგანიზების ფორმების მხრივ. იმისათვის, რომ ლინგვისტური ბერები გადაიქცეს ხელოვნების ფაქტად, საჭიროა მნიშვნელობა, კონტექსტი და „ტონი“.

ეს შეიძლება ნათლად წარმოვადგინოთ რითმის ანალიზის საფუძველზე. რითმა უაღრესად რთული ფენომენია. მას აქვს თავისი მარტივი ევფონიური ფუნქცია, რაც გამოიხატება ბერათა განმეორებით (ან მათი მსგავსებით). ჰენრი ლანცმა აჩვენა თავის ნაშრომში – „რითმის ფიზიკური საფუძველი“,⁶ — რომ ხმოვანთა გარითმვა განისაზღვრება მათი ობერტონების განმეორებით. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ბერითი ასპექტი, ალბათ, ძირითადია, აშკარაა, რომ ის რითმის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. ესთეტიკური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მისი მეტრული ფუნქცია: რითმა გვამცნობს ლექსის სტრიქონის დასრულების შესახებ, ანდა წარმოვიდგება როგორც სტროფის მაორგანიზებელი, ზოგჯერ — მისი ერთადერთი მაორგანიზებელი ფაქტორი. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო საკითხი ის არის, რომ რითმას აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, და ამის გამო იგი მნიშვნელოვანი ილად არის ჩართული მთლიანად პოეტური ნაწარმოების სტრუქტურაში. რითმა ანუვილებს სიტყვებს, აკავშირებს მათ — თუნდაც კონტრასტით. შეიძლება გამოვყოთ რითმის ასეთი სემანტიკური ფუნქციის რამდენიმე ასპექტი. შესაძლებელია ვიკითხოთ, რა სემანტიკური

ლიტერატურის თეორია

ფუნქცია აქვს იმ მარცვლებს, რომლებსაც რითმა აკავშირებს და აერთიანებს: სად შეიძლება ამოვიცნოთ რითმა – სუფიქსში (character - register), ფუძეში (drink - think), თუ ორივეში (passion-fashion). შეიძლება ვიკითხოთ, რომელ სემანტიკური სფეროდან არის შერჩეული სარითმო სიტყვები: დავუშვათ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ერთ ან რამდენიმე ლინგვისტურ კატეგორიას (ეს შეიძლება იყოს მეტყველების ნაწილი ან განსხვავებული ბრუნვები). შეიძლება დავინტერესდეთ იმით, თუ როგორია სემანტიკური ურთიერთობა სარითმო სიტყვებს შორის — განეკუთვნებიან ისინი იმავე სემანტიკურ კონტექსტს, რომელსაც ეკუთვნის ბევრი ჩვეულებრივი წყვილი (ვთქვათ, heart-part, fears-tears), თუ გვაოცებები სწორედ სრულიად განსხვავებული სემანტიკური სფეროების ასოციაციითა და შეფარდებით. თავის შესანიშნავ სტატიაში⁷ ვ.კ. უიმსეტი სწავლობს ასეთ ეფექტებს პოუპთან და ბაირონთან, რომლებიც მიზნად ისახავენ მკითხველზე გამაოგნებელი შთაბეჭდილების მოხდენას ისეთი სიტყვების კონტრასტული შეპირისპირებით, დაწყვილებით, როგორებიცაა Qeens – screens, elope – Pope, mahogany – philogeny. ბოლოს, შეიძლება დავადგინოთ ის ზღვარი, სადამდეც რითმას „უფლება ეძლევა“, თავისი როლი შეასრულოს ლექსის სრულ კონტექსტში. რამდენად გამართლებულია, რომ სარითმო სიტყვები აღვივათ, როგორც მარტოოდენ „ლექსის შემავსებელი ერთეული“, ანდა პირიქით: შეგვიძლია თუ არა დაგადგინოთ ლექსის ან სტროფის მნიშვნელობა მარტოოდენ მის სარითმო სიტყვებზე დაყრდნობით? რითმებმა შეიძლება შეადგინონ სტროფის ჩონჩხი ან ხერხემალი, ანდა მათი როლი შეიძლება იმდენად უმნიშვნელო იყოს, რომ მათი არსებობა ძნელად თუ შეიმჩნევა (მაგალითად, ბრაუნინგის „უკანასკნელ ჰერცოგინიაში“).

შესაძლებელია რითმის კვლევა და შესწავლა – ჰ.კ. უაილდის კვალობაზე⁸ – ენის ისტორიისა და გამოთქმის თვალსაზრისით (პოუპმა გარითმა join და shrine); რაც შეეხება ლიტერატურულ მიზნებსა და ამოცანებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „სიზუსტის“ სტანდარტები სხვადასხვაგვარია პოეტიკის სხვადასხვა სკოლაში, და ცხადია, სხვადასხვა ერში. რავი ინგლისურში ჭარბობს „ვაჟური“ რითმა, ამიტომ „ქალური“ ან სამმარცვლიანი რითმა ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ბურლესკში, ან კიდევ კომიკური ეფექტის მისაღწევად, მაშინ როდესაც შეა საუკუნეების ლათინურში, იტალიურში და პოლონურში „ქალური“ რითმები

აუცილებელია ყველაზე სერიოზულ კონტექსტში. ინგლისურ ენაში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ თავისებურებასთან: ეს არის „მხედველობითი რითმა“, სადაც კავშირი ემყარება არა ჟღერადობას, არამედ მართლწერაში თანხვედრას. აქ გვხვდება ომონიმური რითმა, როგორც კალამბურის ერთგვარი ფორმა, გამოიყენება სხვაობა ამა თუ იმ ეპოქისა და სხვადასხვა რეგიონის გამოთქმის ნორმებში, ცალკეული პოეტები მიმართავენ სპეციფიკურ სარით-მო მოდელებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა პრობლემა ჯერ არც გვიხსენებია. ინგლისურ ენაზე არ არსებობს არანაირი გამოკვლევა, რომელიც შეედრება ვიქტორ ჟირმუნსკის წიგნს რითმის შესახებ,⁹ რომელშიც რითმის ეფექტები გაცილებით უფრო დეტა-ლურად არის კლასიფიცირებული, ვიდრე წინამდებარე ნაშრომში და ასახულია რითმის ისტორია რუსეთისა და ევროპის მთავარი ქვეყნების პოეზიაში.

უნდა განვასხვავოთ ეს ბგერითი ფიგურები, რომლებშიც გადამწყვეტია ხმოვნის ან თანხმოვნის ხარისხი (როგორც ეს ხდება ალიტერაციაში) და, მეორე მხრივ, ბგერათმიბაძვა. ამ საკითხს დიდი ყურადღებით ეკიდებიან, რადგან სწორედ ასეთ იმიტაციას ემყარება ზოგიერთი ცნობილი ვირტუოზული პასაჟი პოეზიაში, მეორე მხრივ კი ეს ბგერათმიბაძვა მჭიდროდ უკავშირდება უფრო ადრინდელ მისტიკურ კონცეფციის, რომლის თანახმად ბგერა შეესატყვისება აღსანიშნ საგანს. საკმარისია გავიხსენოთ პოუპის ან საუთის რამდენიმე პასაჟი, ან კიდევ ის, თუ როგორ ცდილობდნენ მეტიღმეტე საუკუნეში, მართლაც განეხორციელებინათ სამყაროს მუსიკის ინტონირება (მაგ., ჰარმდერფერი გერმანიაში)¹⁰. საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ნარმოდგენა, რომ სიტყვას „სწორად“ შეუძლია გამოხატოს საგანი ან მოქმედება: თანამედროვე ლინგვისტიკა უფრო იხტება იმ პოზიციისკენ, რომ საგანგებო კლასად გამოჰყოს სიტყვათა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელსაც „ონომატოპოეტური“ ეწოდება. ეს ის სიტყვებია, რომლებიც, გარკვეულწილად, უნდა ვიგულისხმოთ ენის ჩვეული ბგერითი სისტემის მიღმა და რომლებიც აშეარად ცდილობენ გაგონილი ბგერების იმიტაციას (cuckoo, buzz, bang, miaow). ძნელი არ არის იმის ჩვენება, რომ სხვადასხვა ენაში იდენტურ ბგერათა კომბინაციას შეიძლება აღმოჩნდეს განსხვავებული მნიშვნელობა (მაგ. Rock გერმანულად „პიჯაკს“ ნიშნავს, ხოლო ინგლისურად

ლიტერატურის თეორია

– „დიდ ქვას“; ამავე დროს, იგივე სიტყვა რუსულად ის – „ბედს“ აღნიშნავს, ხოლო ჩესურად – „წელიწადს“); ზოგიერთი ბუნებრივი ბერა სხვადასხვაგვარად გამოიხატება სხვადასხვა ენაში (მაგ., ring, sonner, lauten, ვხონ). ჯონ კროუ რენსომმა გვაჩვენა, რომ ისეთი სტრიქონის ბერითი ეფექტი, როგორიც არის „murdering of innumerable bees“, მართლაც დამოკიდებულია მის მნიშვნელობაზე. საკმარისია, ოდნავი ცვლილება შევიტანოთ ამ სტრიქონში და ეს ფრაზა ვაქციოთ „murdering of innumerable beeses“-ად, რომ უმაღლესი იმიტაციის ეფექტი.¹¹

და მაინც, ისეთი შთაბეჭდილება ჩერება, რომ თანამედროვე ლინგვისტებმა ტყუილუბრალოდ დააკანიხეს ამ პრობლემის მნიშვნელობა; გარდა ამისა, ეს პრობლემა საერთოდ უგულებელყვეს ისეთმა კრიტიკოსებმა, როგორებიც არის რიჩარდსი და რენსომი. საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ სამი სხვადასხვა დონე. პირველი: არსებობს ფიზიკური ბერების ფაქტობრივი იმიტაცია, რომელიც ცხადია წარმატებულია („გუ-გუ“)-ს მსგავს მაგალითზე), თუმც კი აქ ბევრი რამაც დამოკიდებული ენის ლინგვისტურ სისტემაზე. გარდა ამისა, ასეთი ბერითი იმიტაცია აუცილებლად უნდა განვასხვავოთ რთული და დახვეწილი „ბერნერისგან“ — აქ ვგულისხმობთ ბუნებრივ ბერათა რეპროდუქციას სამეტყველო ბერებით ისეთ კონტექსტში, სადაც სიტყვები, რომლებსაც თავად არაფერი აქვთ საერთო ონომატოპოეტურ ეფექტთან, ჩართულები აღმოჩნდებიან ისეთ ბერით ფიგურებში, როგორიცაა „innumerable“ ტენისონის ციტატაში, ან ბევრი სიტყვა პომეროსიას და ვირგილიუსის პოემათა პასაჟებში. დაბოლოს, არსებობს კიდევ ბერითი სიმბოლიზმის ანდა ბერითი მეტაფორის დონე, რომელმაც ყოველ ენაში ჩამოაყალიბა ნორმები და მოთხივნები. გამოხატვის ექსპრესიულობის თვალსაზრისით, მორის გრამონმა უაღრესად სრულყოფილად და მახვილებრივულად გამოიკვლია ფრანგული ლექსი, მოახდინა ყველა ფრანგული თანხმოვნისა და ხმოვნის კლასიფიკაცია და შეისწავლა ამ ბერათა გამომსახველობითი ეფექტი სხვადასხვა პოეტთან.¹² მაგალითად, წმინდა ხმოვნებს ძალუძით გამოხატონ სიმცირე, სისწრაფე, გატაცებულობა, სიფაქიზე და მისთ.

გრამონის გამოკვლევას შეიძლება ბრალად დავდოთ სუბიექტურობა, მაგრამ ყოველი ენობრივი სისტემის შიგნით მაინც

არსებობს რაღაც, რაც შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც სიტყუათა „ფიზიოგნომიკა“, ანუ გაცილებით უფრო გავრცელებული ბეგრითი სიმბოლიზმი, ვიდრე უბრალო ონომატოპეა. ეჭვსარეშეა, რომ ყველა ენა გაჯერებულია სინესთეზიური, ანუ თანმდევი კომბინაციებით და ასოციაციებით. პოეტებმაც აქტიურად გამოიყენეს ასეთი შესატყვისობები, რაც მათი მხრივ სავსებით სწორი ნაბიჯი იყო. ისეთი ლექსში, როგორიცაა რემბოს ცნობილი „ხმოვნები“, ცალკეულ ხმოვანთა და ფერთა ურთიერთკავშირები, შეიძლება სულაც ახირებას ჰგავდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეფუძნებინან ფართოდ ცნობილ ტრადიციას.¹³ ამასთან, ფაქტია, რომ აკუსტიკული ექსპერიმენტებით დამტკიცდა მყარი ასოციაცია ნინა ხმოვნებსა (ე და ი) და წვრილ, თხელ, სწრაფ, ნათელ და მბზინავ საგნებს შორის, აგრეთვე, უკანა ხმოვნებსა (ო და უ) და ტლანქ, ნელ, ულიმლამო და მუქი ფერის საგნებს შორის.¹⁴ კარლ შტუმპფმა და ვოლფგანგ კელერმა, აგრეთვე, აჩვენეს, რომ თანხმოვნები შეიძლება დაიყოს მუქად (ლაბილურად და ველარულად, ანუ უკანასასისმიერად) და ნათლად (დენტალურად / გბილისმიერად და პალატალურად). მათ ვერ მივიჩნევთ ჩვეულებრივ მეტაფორებად, რადგან ესაა ასოციაციები, რომლებიც ეფუძნება ბეგრას და ფერს შორის აშკარა მსგავსებას, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა შესაბამისი სისტემების სტრუქტურებში.¹⁵ არსებობს „ბგერისა და მნიშვნელობის“ ზოგადი ენობრივი პრობლემა¹⁶ და, ცალკე, ლიტერატურულ ნაწარმოებში მათი ურთიერთმიმართებების გამოყენების პრობლემა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, შეიძლება ითქვას, რომ აქამდე მის შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

რიტმსა და მეტრთან დაკავშირებული პრობლემები განსხვავდება იმ საკითხებისგან, რომლებიც ვახსენეთ „ორკესტრირების“ შესახებ საუბრისას. ამ პრობლემებს მიეძღვნა უამრავი გამოკვლევა. ცხადა, რომ რიტმის პრობლემა არაა სპეციფიკური არც ლიტერატურისათვის, და არც, საერთოდ, ენისათვის. არსებობს ბუნებისა და შრომის რიტმი, სინათლის სიგნალების, მუსიკის რიტმი, და, გადატანითი მნიშვნელობით, პლასტიკური ხელოვნების რიტმიც. გარდა ამისა, რიტმი, აგრეთვე, ნარმოადგენს საერთოენობრივ ფენომენს. აქ არ შევჩერდებით იმ უამრავ თეორიაზე, რომლებიც მის რეალურ ბუნებას იკვლევს.¹⁷ რაც შეეხება ჩვენს უშუალო მიზნებს და საჭიროებებს, საკმა-

ლიტერატურის თეორია

რისია, თეორიები, რომელთა მიხედვით, „პერიოდულობა“ არის რიტმის სინე ქუა ნონ, განვასხვავოთ იმ თეორიებისგან, რომლებშიც რიტმის ცნებას უფრო ფართოდ განიხილავენ და მას არა-განმეორებად მოძრაობებსაც კი მიაკუთვნებენ. პირველი თვალ-საზრისის მიხედვით, რიტმი გაიგივებულია მეტრთან და ამიტომ უნდა უგულებელვყოთ „პროზის რიტმის“ ცნება, რომელიც უბრალო მეტაფორად წარმოგვიდგება.¹⁸ მეორე თვალსაზრი-სი უფრო ფართოა. მას აშკარად განამტკიცებს სივერსის მიერ ჩატარებული კვლევები ინდივიდუალური მეტყველების რიტმის სფეროში, აგრეთვე — მრავალრიცხვანი მუსიკალური მოვლე-ნები, მაგალითად, ხალხური სიმღერები და ეკზოტიკური მუსიკა, რომლებშიც არ შეინიშნება პერიოდულობა, მაინც რიტმულობა უეჭველად საგრძნობია. ამგვარად გააზრებული რიტმი საშუა-ლებას გვაძლევს, შევისწავლოთ ინდივიდუალური მეტყველების და, საერთოდ, პროზის რიტმი. ძნელა არ არის იმის დანახვა, რომ პროზას აქვს გარკვეული რიტმი, და შეიძლება ნებისმიერი პრო-ზაული წინადაღების სკანდირება, დანაწევრება, ანუ დაყოფა გრძელ და მოკლე, მახვილიან და უმახვილო მარცვლებად. ამ ხერხის შესაძლებლობები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გამოავლინა მწერალმა ჯოშუა სტილმა;¹⁹ ამჟამად კი არსებობს დიდაღილი ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება ვრცელი პროზაული ნაწყვეტების ანალიზს. რიტმი უშუალოდ უკავშირდება „მელო-დიას“, ინტონაციის იმ ხაზს, რომელსაც განსაზღვრავს და განა-პირობებს ტონების თანამიმდევრობა; ტერმინი „რიტმი“ იმდენად ფართოდ გამოიყენება, რომ მოიცავს რიტმსაც და მელოდიასაც. სახელგანთქმული გერმანელი ფილოლოგი ედუარდ სივერსი საუბრობდა ინდივიდუალურ მეტყველებაში რიტმისა და ინტონა-ციის განსხვავების შესაძლებლობის შესახებ; ოტმარ რუტცი აკავშირებდა მათ სუნთქვასთან და სხეულის პოზების სპეციფიკურ ფიზიოლოგიურ ტიპებთან.²⁰ იმის მიუხედავად, რომ ბევრმა სცადა გამოეყენებინა ეს კვლევები მხოლოდ ლიტერატურული მიზნებისათვის, რათა დაედგინა შესაბამისობები ლიტერატუ-რულ სტილთა და რუცის ტიპებს შორის,²¹ მაინც მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ლიტერატურათმცოდნების სფეროს არ განეკუთვნება.

ლიტერატურათმცოდნების სფეროს განეკუთვნება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა პროზის რიტმის ბუნება, რიტმული

პროზის თავისებურება და გამოყენება — მაგალითად, ზოგიერთი პასაჟისა ბიბლიის ინგლისურ თარგმანში, ან სერ ტომას ბრაუნის, რესკინისა და დე კვინსის ნაწერებისა, სადაც რიტმი და ზოგჯერ მელოდიაც „ძალით აგრძნობინებს თავს“ თუნდაც უყურადღებო მკითხველს. მხატვრული პროზის რიტმის კვლევა მნიშვნელოვან სიძნელებს უკავშირდება. თავის ცნობილ წიგნში „პროზის რიტმი“ ვ.მ. პატერსონი²² ცდილობს განმარტოს პროზის რიტმი, როგორც რთული სინკვირების სისტემა. ჯორჯ სენტსბერის ძალზე სოლიდურ „ინგლისური პროზის რიტმის ისტორიაში“²³ განუწყვეტლივ მეორდება აზრი, რომ პროზის რიტმი ეფუძნება „არჩევანს და სხვადასხვაობას“, მაგრამ განსაზღვრული არაა მისი ხასიათი და ბუნება. სენტსბერისეული „ახსნა-განმარტება“ რომ სწორი ყოფილიყო, მაშინ ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა საუბარი რაიმე რიტმზე. მაგრამ ფაქტია, რომ სენტსბერი ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ იმ საფრთხეზე, რომ პროზის რიტმი არ გაიგივებულიყო მეტრულ სქემებთან. ყოველ შემთხვევაში, დღეს დიკენსის ბევრი პასაჟი, რომლებიც დაწერილია რიტმული პროზით, ულაზათო და სენტიმენტალურ გადახრებად ნარმოგვიდგება.

პროზის რიტმის სხვა მკელევრები შეისწავლიან მხოლოდ ერთ საკმაოდ გამოკვეთილ ასპექტს „კადენციისა“, რომელიც წინადადებათა დაბოლოებების რიტმს აღნიშნავს; ესაა ტრადიციული ხერხი, რომელსაც სათავე დაედო ჯერ კიდევ რომაული ორატორული პროზის ტრადიციაში. რომაელებს ჰქონდათ საგანგებო რიტმები განსაკუთრებული შემთხვევებისთვის და საგანგებო სახელწოდებიც ამგვარი რიტმებისთვის. „კადენცია“, განსაკუთრებით კითხვითა და ძახილის წინადადებებში, ნაწილობრივ წარმოადგენს მელოდიის პრობლემასაც. თანამედროვე მკითხველს გაუძნელდება განსახვავოს ლათინური ცურსუს-ის დახვეწილი რიტმები, როდესაც ლათინურ წიმუშებს ბაძავენ ინგლისელი ავტორები — ინგლისურ ენაში მახვილთა განაზილება არ გამორჩევა ისეთი მკაცრი თანაზომერებით, რომელიც დამახასიათებელია გრძელი და მოკლე ხმოვნებისთვის ლათინურში. თუმცა, მრავლადაა იმის მაგალითებიც, რომ ინგლისელ ავტორებს არაერთხელ უცდიათ ლათინურის ანალოგიური ეფექტის მიღწევა და ეს მცდელობები ზოგჯერ წარმატებული იყო, განსაკუთრებით მეჩევიდმეტე საუკუნეში.²⁴

ლიტერატურის თეორია

საერთოდ, პროზის მხატვრული რიტმი ყველაზე უკეთ მაშინ განიხილება, თუ გვეხსომება, რომ ის აუცილებლად უნდა განვასხვავოთ საერთო რიტმისაგან, სულ ერთია, პროზის იქნება ის, თუ პოეზიის. პროზის მხატვრული რიტმი შეიძლება აღინეროს, როგორც ყოფითი სამეტყველო რიტმების ორგანიზაცია. ჩვეულებრივი პროზისაგან ის განსხვავდება მახვილის განაწილების უფრო მეტი რეგულარულობით, მაგრამ ამან არ უნდა მიაღწიოს აშკარა იზოქრონიზმს (ანუ დროის ინტერვალის რეგულარულობას რიტმულ აქცენტებს შორის). საერთოდ, ჩვეულებრივ წინადადებაში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სხვაობა ინტენსივობასა და ტონალობას შორის, მაშინ, როდესაც რიტმულ პროზაში შეიმჩნევა, რომ მოხდეს მახვილისა და ტონალობის სხვაობის გათანაბრების გამოკვეთილი ტენდენცია. ამ პრობლემათა ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა რუსმა მკვლევარმა, ბორის ტომაშევსკიმ, რომელმაც ეს საკითხები პუშკინის „პიკის ქალის“ მიხედვით გაანალიზა, სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე აჩვენა,²⁵ რომ წინადადებების თავსა და ბოლოს ატყვია რიტმული რეგულარულობის უფრო მეტი ტენდენცია, ვიდრე წინადადების შუა ნაწილს. რეგულარულობისა და პერიოდულობის საერთო შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს ფონეტიკური და სინტაქსური ხერხები, იქნება ეს ბგერითი ფიგურები, სინტაქსური პარალელიზმი თუ აზრობრივ ანტითეზათა გათანაბრება, სადაც შინაარსის მთელ სტრუქტურას განამტკიცებს რიტმულ საშუალებები. არსებობს ყველანაირი გრადაცია, დაწყებული თითქმის არარიტმული პროზით (ტექსტში გაბნეული წინადადებებით, რომლებშიც საგანგებოდაა გამოყოფილი მახვილიანი ელემენტები), და დამთავრებული რიტმული პროზით, რომელიც სალექსო მეტყველების რეგულარულობას აღნევს. ლექსისკენ გარდამავალ მთავარ ფორმას ფრანგები უწოდებენ ვერსეტ-ს. ის გვხვდება ინგლისურ ფსალმუნებში და ისეთ მწერლებთან, რომლებიც ისწრაფვოდნენ პიბლიური მხატვრული რემინისცენციებისკენ. ასეთები იყვნენ ოსიანი და კლოდელი. ვერსეტ-ის ყოველი მეორე აქცენტირებული მარცვალი უფრო მკვეთრად არის გამოყოფილი და, ამრიგად იქმნება ორმახვილიანი ჯვუფები დაპოდიური [პროსოდიული „ორი ნაბიჯის“ გამომხატველი ერთეული - მთარგმნ. შენიშვნა] ლექსის მსგავსად.

ზედმეტია ამ ხერხების უფრო დაწვრილებითი ანალიზი. მათ მართლაც აქვთ ხანგრძლივი ისტორია, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა ლათინურმა ორატორულმა პროზამ.²⁶ ინგლისურ ლიტერატურაში რიტმულმა პროზამ თავის მწვერვალს მიაღწია მეჩვიდმეტე საუკუნეში ისეთ მნერლებთან, როგორებიც არიან სერ ტომას ბრაუნი ან ჯერემი ტეილორი. ის გზას უხსნის უფრო მარტივ სასაუბრო სტილსა და დიქტიას მეთვრამეტე საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის დასასრულისთვის გაჩნდა ჯონსონის, გიბონის და ბიორკის ახალი „ამაღლებული სტილი“.²⁷ მეცხრამეტე საუკუნეში ის სხვადასხვანაირად „გააცოცხლეს“ დე კვინსიმ, რესეინმა, ემერსონმა და მელვილმა და შემდეგ ისევ – თუმც კი განსხვავებული პრიცეპიდან გამომდინარე – ჰერტრუდა სტაინმა და ჯეიმს ჯონისმა. საფრანგეთში ვხედავთ ბოსიუეს და შატობრიანის დიდებულ პროზას, გერმანიაში – ნიცხეს რიტმულ პროზას, რუსეთში ვხვდებით ცნობილ პასაჟებს გოგოლთან და ტურგენევთან, ხოლო მოგვიანებით — ანდრეი ბელის „ორნამენტულ“ პროზას.

რიტმული პროზის მხატვრული ღირებულების შესახებ დავა ახლაც გრძელდება, ეს თემა კვლავ მსჯელობის საგანია. თანამედროვე ტენდენციის შესაბამისად, რათა დაცული იყოს სინმინდე ხელოვნებასა და ჟანრებში. დღევანდელ მკითხველთა უმეტესობას ურჩევნია, რომ პოეზია პოეზიად დარჩეს, ხოლო პროზა პროზას ჰგავდეს. იგრძნობა, რომ რიტმული პროზა აღიქმება ნარევ ფორმად და არ მიიჩნევა არც პროზად, არც პოეზიად. მაგრამ, ეს ალბათ უფრო ჩვენი დროის კრიტიკული „ცრურნება“. უნდა ვიფიქროთ, რომ რიტმული პროზა ისევე იმსახურებს დაცვას, როგორც ლექსი. ჭეშმარიტად მაღალმხატვრული რიტმული პროზა გვეხმარება, უფრო სრულად აღვიძვათ ტექსტი: ის გამოყოფს გარკვეულ ელემენტებს და, ამასთან, აერთიანებს ტექსტს, გვაგრძნობინებს გრადაციებს, ავლენს პარალელიზმებს; ასრულებს მაორგანიზებელ ფუნქციას, ხოლო ორგანიზაცია — ხელოვნება.

პროსოდიის ანუ მეტრიკის კვლევა საუკუნეთა მანძილზე უდიდესი რუდუნებით მიმდინარეობდა. სადღეისოდ შეიძლება მოგვეჩენოს, რომ საჭიროა მხოლოდ ახალი მეტრიკული ნი-

ლიტერატურის თეორია

მუშების მიმოხილვა და რომ, საერთოდ, ისლა დაგვრჩენია, განვიხილოთ მეტრიკის პრობლემები მარტოოდენ უახლეს პოეზიასთან მიმართებაში, რომელიც გამოირჩევა ლექსის ნოვატორული ორგანიზაციით. სინამდვილეში კი ჯერაც დაუდგენელია თვით მეტრიკის პრინციპები და მთავარი კრიტერიუმები; გარდა ამისა, სანიმუშო ტრაქტატებშიც კი ჯერ კიდევ ვხვდებით ბუნდოვანი მოსაზრებებისა და მსჯელობის მაგალითებს და შემთხვევებს, როდესაც გამოყენებული ტერმინოლოგია მცდარი და არაზუსტია. სენტსბერის ნაშრომი „ინგლისური პროსოდიის ისტორია“, რომლის სადარი, არათუ უკეთესი, არასოდეს არაფერი შექმნილა არც დონით და არც დიაპაზონით, მთლიანად ემყარება ჩამოყალიბებელ და ბუნდოვან თეორიულ საფუძვლებს. სენტსბერი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უცნაური ემპირიზმი, კიდევ ამაყობს იმით, რომ არ სურს განსაზღვროს ან აღწეროს მაინც თავისივე ტერმინები. მაგალითად, იგი ახსენებს გრძლიობასა და სიმოკლეს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, რა სხვაობას გულისხმობს ეს მისი ტერმინი – ნარმოთქმის ხანგრძლივობას თუ მახვილს.²⁸ თავის „პოეზიის კვლევაში“ ბლის პერი ცოტა არ იყოს, არეულად და გაუგებრად წერს სიტყვათა „ნონის“ შესახებ, ახსენებს „შედარებით ხმამაღალ ულერადობას და ტრნალობას, რომლითაც გამოხატულია მათი აზრი და მნიშვნელობა“. ²⁹ მცდარი ნარმოდგენის და ბუნდოვანების მაგალითები ადვილად მოიძებნება ბევრ სხვა ფუნდამენტურ ნაშრომში. მაშინაც კი, როდესაც განმასხვავებელი ნიშნები სწორად არის ჩამოყალიბებული, ისინი შეიძლება ვერც კი გავიაზროთ ნინააღმდეგობრივი ტერმინოლოგიის გამო. ამიტომ მისასალმებელია ტ.ს. ომონდის დახვენილი ნაშრომი ინგლისური მეტრიკული თეორიების ისტორიაზე და პალისტერ ბარკასის სასარგებლო მიმოხილვა ბოლო ხანებში ჩამოყალიბებული თეორიების შესახებ,³⁰ რადგან ასეთი გამოკვლევები ნარმოადგენს ცდებს, განმარტონ გადაუწყვეტელი საკითხები, თუმცა კი, მეორე მხრივ, ძნელია სკეპტიკურად არ მოვეკიდოთ ავტორთა დასკვნებს. როდესაც საქმე ეხება ევროპის კონტინენტზე, განსაკუთრებით გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში შექმნილი თეორიების ვეება სპექტრს, მათი შეუსაბამობის შეგრძნება კიდევ უფრო გვიმძაფრდება.

ჩვენი მიზნებისათვის უკეთესი იქნება, განვიხილოთ მეტრიკის თეორიათა მხოლოდ ძირითადი ტიპები და დაწვრილებით აღარ განვიხილოთ მათსა და შერეულ თეორიას შორის არსებული სხვაობა. უძველეს თეორიას შეიძლება ვუწოდოთ „გრაფიკული“ პროსოდია, რომელიც წარმოიშვა რენესანსის ხანის სახელმძღვანელოებიდან. ეს თეორია ემყარება გრძელი და მოკლე გრაფიკული ნიშნების გამოყენებას, რომლებიც ინგლისურში, ჩვეულებრივ, გამოიყენება მახვილიანი და უმახვილო მარცვლების საჩვენებლად. გრაფიკული პროსოდიის მიმდევრები საერთოდ ცდილობენ, მოხაზონ მეტრული სქემები ან საზომები, რომლებსაც, სავარაუდოდ, ზუსტად მისდევს პოეტი. მათი ტერმინოლოგია ყველას გვისწავლია სკოლაში, გაგონილი გვაქვს იამბის, ტროქეს, ანაპესტის და სპონდეს შესახებ. ეს ტერმინები კვლავაც ფართოდაა ცნობილი და აღიარებული, და უაღრესად გამოსადეგია ჩვეულებრივი აღნერისა და მსჯელობისთვის, როდესაც საქმე ეხება მეტრულ სქემებს. და მაინც, ეს სისტემა, მთლიანად, საკმარისია არაა, რაც დღეს ფართოდ არის აღიარებული. ამ თეორიამ, ძირითადად, ფეხი მოიკიდა საკლასო ოთახებში და არ სცილდება დაწყებითი სწავლების სახელმძღვანელოებს. თუმცა, მას აქვს თავისი ღირსებებიც. ის ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ მეტრულ საზომებზე, მაგრამ არ ითვალისწინებს უმნიშვნელო გადახრებს და პოეტის პირად კაპრიზებს, ეს კი ის სიძნელეა, რომელსაც ვერ აარიდა თავი თანამედროვე სისტემათა უმტესობაში. გრაფიკული მეტრიკის მიმდევრებმა იციან, რომ მეტრიუბრალოდ ჟღერადობის საკითხი კი არ არის, არამედ, არსებობს მეტრული საზომი და მიიჩნევნ, რომ ის „ნაგულისხმევია“, ხორცესხმულია კონკრეტულ ლექსში.

მეორე ტიპს წარმოადგენს „მუსიკალური“ თეორია, რომელიც ეფუძნება იმ წარმოდგენას (თავისთვად, ის სწორია), რომ მეტრი პოეზიაში არის მუსიკალური რიტმის ანალოგი და ამიტომ მას ყველაზე უკეთ მუსიკალური ნოტებით გამოვხატავთ. ადრინდელი ინგლისური სანიმუშო სისტემა ჩამოყალიბებულია სიდნილენიერის წიგნში „სწავლება ინგლისური ლექსისა“ (1880); უფრო გვიანდელი პერიოდის მკვლევრებმა კიდევ უფრო დახვეწეს ეს თეორია და თანამედროვე ხედვას მიუსადაგეს.³¹ ამერიკაში მას განიხილავენ, როგორც აღიარებულ თეორიას, ყოველ შემთხვევა-

ლიტერატურის თეორია

ში, ამის თქმა შეიძლება ინგლისურის მასწავლებელთა პოზიციისა და დამოკიდებულების შესახებ. ამ სისტემის თანახმად, ყოველი მარცვალი განეკუთვნება ერთ მუსიკალურ ნოტს, რომლის სიმაღლე არ არის განსაზღვრული. ნოტის ხანგრძლივობის განსაზღვრა საკმაოდ საორგანუა: მოკლე მარცვალს მიაკუთვნებენ ნახევარნოტს, ხოლო ნახევრად მოკლე მარცვალს – მეოთხედ ნოტს; შესაბამისად, მოკლე მარცვალს შეესაბამება მერვედი ნოტი და ა.შ. საზომების დათვლა ხდება ერთი აქცენტირებული მარცვლიდან მეორეზე, ხოლო ნაკითხვის სიჩქარე საკმაოდ ბუნდოვნად არის გამოხატული, რადგან საზომად შერჩეულია 3/4 ან 3/8, ან კიდევ – უფრო იშვიათ შემთხვევაში – 3/2. ასეთი სისტემით შესაძლებელია ნებისმიერი ინგლისური ტექსტის ნარმოდებენა სანოტო ჩანაწერის სახით, მაგ., ჩვეულებრივი ინგლისური პენტამეტრის სტრიქონისა, როგორიც გვხვდება ხოლმე პოუპთან.

Lo, the poor Indian whose untutored mind

შეიძლება ამოვინწეროთ როგორც სამი მერვედი, და ამრიგად:



Lo, the poor In – di - an whose un – tu - tored mind

ამ თეორიის თანახმად, იამბისა და ტროქეს განმასხვავებელი ნიშნები სრულიად ახლებურად უნდა გავიაზროთ: იამბის დამახასიათებელ ნიშნად წარმოგვიდგება ანაერუზა, რომელიც აღიქმება როგორც არამეტრული ელემენტი, ან მას აერთიანებენ წინა სტრიქონთან. ყველაზე უფრო რთული მეტრიც კი შეიძლება გადმოიცეს ასეთი ნოტებით, პაუზების სათანადო განაწილებით და გრძელი და მოკლე მარცვლების გამოყენებით.³³

ამ თეორიას ის უპირატესობა აქვს, რომ ხაზს უსვამს ლექსის ტენდენციას იზოქრონიზმისადმი და იმ ხერხებს, რომლებსაც ვიყენებთ კითხვისას შენელების ან დაჩქარებისთვის, ინტერვალთა გაზრდის ან შემცირებისთვის. ნოტების გამოყენება ნარმატებული იქნება „სასიმღერო“ ლექსის შემთხვევაში, მაგრამ სასაუბრო

ან ორატორული ტიპის ლექსისთვის ის აშკარად შეუფერებელი იქნება; რაც შეეხება თავისუფალ ან არაიზოქრონულ ლექსს, აქ ნოტაცია საერთოდ არ გამოდგება. ამ თეორიის ზოგიერთი მხარდამჭერი უბრალოდ უარყოფს თავისუფალი ლექსის „ლექსობას“.³⁴ მუსიკის თეორეტიკოსები ახასიათებენ ბალადის მეტრს, როგორც „ორტერფიანს“ და წარმატებით აორმაგებენ რთულ საზომებას,³⁵ როდესაც გარკვეული მეტრული მოვლენის განმარტების მიზნით შემოაქვთ ტერმინი „სინკოპირება“. ბრაუნინგის ლექსში:

The gray sea and the long black land
And the yellow half-moon large and low

“sea” და “black” პირველ სტრიქონში, აგრეთვე — “half” მეორე სტრიქონში, სინკოპირებულია. აშკარაა მუსიკალური თეორიის უპირატესობა. მან დიდი როლი შეასრულა დოგმატიზმის დამარცხებაში, გაადვილა იმ საზომთა კვლევა და ჩანერა, რომლებიც სახელმძღვანელოებში მოცემული არ იყო. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე რთული საზომი სუინგერნთან, მერედიტან და ბრაუნინგთან. მაგრამ ამ თეორიას აქვს სერიოზული ხარვეზებიც: მასში ინდივიდუალური ინტერპრეტაცია და სადაც წაკითხვა აპსოლუტურად არ იზღუდება; გარდა ამისა, ეს თეორია მთლიანად სპობს განმასხვავებელ ნიშნებს პოეტებსა და პოეტურ სკოლებს შორის, რადგან დაჰყავს ყველა ლექსი მონოტონური ტაქტის რამდენიმე ტიპამდე. ეს თეორია ამართლებსა და ხელს უწყობს, ზოგადად, სრულიად სხვადასხვაგვარი ლექსების სასიმღერო ტიპის დეკლამაციას. ამ გზით მიღწეული იზოქრონიზმი ოდნავ ჭარბობს სუბიექტურობას. ამ სისტემაში ერთმანეთს ენაცვლებიან ბეჭერები და პაუზები, რომლებმაც ერთმანეთი უნდა გაანონასწორონ...

მეტრიკის მესამე სისტემა — აკუსტიკური მეტრიკა — სადღეისოდ ფართოდ არის აღიარებული. იგი ეფუძნება ობიექტურ კვლევას და ხშირად იყენებს ისეთ სამეცნიერო ინსტრუმენტს, როგორიც არის ოსცილოგრაფი, რომელიც რეალური ფაქტებისა და მოვლენების ჩანერისა და გადაღების საშუალებას იძლევა., მეტრიკის კვლევის მიზნით სივერსმა და სარანმა გერმანიაში, ფრანგმა ვერიემ (რომელიც, ძირითადად, ინგლისურ მასალას

ლიტერატურის თეორია

იყვლევდა) და ამერიკელმა ე.ვ. სკრიპჩერმა³⁶ გამოიყენეს ბგერის ანალიზის მეცნიერული ტექნიკა. ძირითადი შედეგები მოკლედ არის ჩამოყალიბებული უილბერ ლ. შრამის წიგნში „ინგლისური ლექსმცოდნების შესავალი“. ³⁷ აյუსტიკულმა მეტრიკამ მკაფიოდ განსაზღვრა სხვაობა მეტრის წარმომქმნელ ელემენტებს შორის. აქედან გამომდინარე, დღეს აღარ არსებობს მიზეზი, რათა არ შევაფასოთ ტონი, ხმის სიმაღლე, ტემბრი და წარმოთქმის დრო, რადგან ისინი განპირობებულია ისეთ ფიზიკური და გაზომვადი ფაქტორებით, როგორებიცაა სიხშირე, ამპლიტუდა, ფორმა და მოლაპარაკის მიერ წარმოთქმული ბეგერითი ტალღების სიხშირე, ამპლიტუდა, ფორმა და გრძლიობა. ჩვენ ისე მკაფიოდ შეგვიძლია გადავიღოთ ან გრაფიკულად გამოვსახოთ ფიზიკური ხელსაწყოებით აღმოჩენილი მომენტები, რომ სირთულეს არ წარმოადგენს ნებისმიერი დეკლამაციის უმცირესი დეტალის შესწავლაც კი. ოსცილოგრაფს შეუძლია გვიჩვენოს, რაოდენ ხმამაღლა წარმოსთქვა ამა თუ იმ მკითხველმა ესა თუ ის პოეტური სტრიქონი, რა დრო დასჭირდა საამისოდ და როგორ იცვლებოდა ტრიალობა დეკლამაციის პროცესში. „დაკარგული სამოთხის“ პირველი სტრიქონი იძლევა რხევების ისეთ სურათს, რომელიც წააგავს სეისმოგრაფის საშინელ ოსცილაციას მიწისძვრის დროს.³⁸ რასაკვირველია, ეს დიდი მიღწევაა, და ზუსტი მეცნიერული მეთოდების გამოყენების მრავალი მომხრე (რომელთა შორის, რასაკვირველია, არის ბევრი ამერიკელი) ასკვნის, რომ ეს სიზუსტე სწორუბოვარია. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ლაპორატორიული მეტრიკა არ ითვალისწინებს ტექსტის მნიშვნელობას (და კიდევ მოეთხოვება ასეთი დამოკიდებულების გამომჟღავნება): ის ასკვნის, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რასაც მარცვლად მოიხსენიებენ, ვინაიდან არსებობს ხმის კონტინუუმი; რომ არ არსებობს ცნება სიტყვისა, ვინაიდან ოსცილოგრაფი ვერ წარმოაჩენს მის ზღვარს; და რომ მელოდიაც არ არსებობს, ამ სიტყვის მკაფრი მნიშვნელობით, რადგან ტონს, რომლის „გახმოვანება“ მხოლოდ ხმოვნებს შეუძლიათ, მუდამ არღვევს სხვადასხვა კატეგორიის ხმაური. აკუსტიკური მეტრიკა, აგრეთვე, ყოველთვის აჩვენებს, რომ არ არსებობს მკვეთრი იზოქრონიზმი, ვინაიდან თვალსაჩინოა ზომათა პრაქტიკული ხანგრძლივობის ცვალებადობა. არ არსებობს არც დაფიქ-სირებული „გრძელი და მოკლე“ მარცვლები, ყოველ შემთხვევაში,

ინგლისურში მაინც, ვინაიდან ფიზიკურად „მოკლე“ მარცვალმა შეიძლება სიგრძით გადააჭარბოს „გრძელ“ მარცვალს.

აკუსტიკური მეტრიკის სარგებლიანობის აღიარებასთან ერთად, ამ „მეცნიერების“ უშუალო საფუძვლებთან დაპირის-პირება იმდენად ადვილია, რომ ეს მომენტი ძალზე აკნინებს მის ღირებულებას ლიტერატურათმცოდნეთა თვალში. მცდარია თვით ის ვარაუდი, რომ ოსცილოგრაფით დადგენილი აღმოჩენები უშუალოდ უკავშირდება მეტრიკის შესწავლას. ტაეპის ნარმო-თქმის დრო დრო ნარმოადგენს მოლოდინის დროს.³⁹ გარკვეული დროის მონაკვეთის შემდეგ, ჩვენ ველით რიტმულ სიგნალს, მა-გრამ ასეთი პერიოდულობა აუცილებლად როდი უნდა იყოს იმ-დენად ზუსტი, და არც სიგნალი უნდა იყოს იმდენად ძლიერი, როგორც მოველით. ეჭვსგარეშეა, რომ მუსიკალური მეტრიკაის თვალსაზრისი დროის, მახვილისა და ტონის განმასხვავებელ ნიშანთა შეფარდებითობისა და სუბიექტურობის თაობაზე სწო-რია და მართებული. მაგრამ საქმე ისაა, რომ აკუსტიკური და მუსიკალური მეტრიკა ხსაიათდება ერთი ზოგადი დეფექტით, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, „შეზღუდულობით“. როგორც წესი, ისინი ემყარებიან მხოლოდ უდერადობას, დეკლამატორის მიერ ტექსტის ერთჯერად ან მრავალჯერად წაჟითხვას. აკუსტიკური და მუსიკალური მეტრიკის შედეგები დამაჯერებელია მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული დეკლამაციის მიმართ. აქ გათ-ვალისწინებული არაა ის ფაქტი, რომ დეკლამატორმა შეიძლება ლექსი წაიკითხოს სწორად ან შეცდომით, შეუძლია დაამატოს გარკვეული ელემენტები, დაამახინჯოს, ანდა საერთოდ უგულე-ბელყოს საზომი.

ისეთი სტრიქონი, როგორიცაა

Silent upon a peak in Darien

შეიძლება ნავიკითხოთ მართებული მეტრული ფორმით:
Silent upon a peak in Dárien, ან როგორც პროზა: Silent upón a péak in Dárien, ან სულაც სხვანაირად, ისე, რომ ერთმანეთს შევუწყოთ მეტრული სქემა და პროზის რიტმი. სიტყვა silent -ის ნაცვლად silént-ის გაგონებაზე, ჩვენ როგორც ინგლისურად მოსაუბრენი, შევიგრძნობთ ბუნებრივი მეტყველების ნორმათა დარღვევას და ამას წინა სტრიქონების მეტრული სქემის ზემოქმედებით ავხსინით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესაა „მოძრავი მახვილი“ — კომპრო-

ლიტერატურის თეორია

მისული გადაწყვეტილება ორ უკიდურეს განმარტებას შორის; მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ტაქტის წაკითხვის, სპეციფიკური შესრულების საფუძველზე მაინც ვერ გავაანალიზებთ პროსოდიას, რომლის არს წარმოადგენს დაძაბულობა, „კონტრაპუნქტი“ მეტრულ სქემასა და პროზის რიტმს შორის.

მარტოოდენ აკუსტიკური თუ მუსიკალური მეთოდებით ლექსის მეტრული ორგანიზაციის შესწავლა შეუძლებელია. მაგალითად, „მუსიკალური“ მეტრიკის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის, ჯორჯ რ. სტიუარტის აზრით, „შეიძლება არსებობდეს ლექსი აზრის გარეშე“, და რაკი „მეტრი არსებითად დამოუკიდებელია აზრისაგან, ამიტომ მართებულია, ვცადოთ და წარმოვადგინოთ ნებისმიერი სტრიქონის მეტრული სტრუქტურა ამ სტრიქონის მნიშვნელობისგან იზოლირებულად“.⁴⁰ ვერიეს და სარანის შეხედულებით, უნდა დავემსგავსოთ უცხოელს, რომელიც ისე უსმენს ლექსს, რომ არ ესმის მისი ენა.⁴¹ ეს იდეა, რომელიც პრაქტიკულად სავსებით განუხორციელებელია და რომელსაც უგულებელყოფს თვით სტიუარტიც,⁴² საბედისწერო შედეგებს მოუტანდა მეტრიკის ლიტერატურულ კვლევას. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას მნიშვნელობას, მაშინ, ფაქტობრივად, უგულებელყოფთ სიტყვის და ფრაზის ცნებას და, შესაბამისად, ხელს ვიღებთ იმ სხვაობათა გაანალიზების შესაძლებლობაზე, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ავტორის ლექსებს შორის. ინგლისური ლექსი მნიშვნელოვანნილად განისაზღვრება სინტაქსური სტრუქტურის, რიტმული იმპულსისა და თვით მეტყველების რეალური რიტმის (რომელსაც განაპირობებს ფრაზებად დაყოფა) შეპირისპირებით. მეორე მხრივ, ეს ფრაზებად დაყოფა ხორციელდება მაშინ, როდესაც გავეცნობით ლექსის აზრსა და მნიშვნელობას.

ამიტომ რუსი ფორმალისტები⁴³ ცდილობდნენ მოეძებნათ სრულიად ახალი საფუძველი მეტრიკისთვის. მათ შეუსაბამოდ ჩათვალეს ტერმინი „ტერფი“, ვინაიდან არსებობს პევრი ლექსი, რომელთაც საერთოდ არა აქვს ასეთი „ტერფები“. თუმცა სუბიექტურად შესაძლებელია, რომ იზოქრონიზმი მივუსადაგოთ ბევრი ტიპის ლექსს, მაგრამ ის მაინც შეზღუდულია ლექსთნურის ცნობილი ტიპებით და არ ექვემდებარება ობიექტურ ანალიზს. რუს ფორმალისტებს მიაჩნიათ (და კიდეც დავობენ ამ თემაზე),

რომ ტერფის ცნებასა და იზოქრონულობის პრინციპზე დამყარებული თეორიები არასწორად განსაზღვრავს პოეტური რიტმის ფუნდამენტურ ერთეულს. თუ ლექსს განვსაზღვრავთ როგორც, უბრალოდ, რომელიმე მახვილიანი მარცვალის ირგვლივ (ან გრძელი მარცვალის გარშემო, კვანტიტატურ სისტემებში) დაჯგუფებულ სეგმენტებს, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ არსებობს იმავე ტიპის დაჯგუფებები (უფრო მეტიც, დაჯგუფებათა მიმდევრობები) ისეთი ტიპის ლინგვისტურ გამოთქმებში, რომლებიც არ მიეკუთვნება პოეზიას. ამრიგად, რიტმის ფუნდამენტურ ერთიანობას წარმოადგენს არა ტერფი, არამედ მთელი ტაეპი – ეს არის დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოიტანო რუსების მიერ ესოდენ ატაცებული და გაზიარებული Gestalt-ის საერთო თეორიიდან. „ტერფები“ არ არსებობს დამოუკიდებლად, მათი არსებობის შემჩნევა შეიძლება მხოლოდ მთელ ლექსთან მიმართებაში. ყოველ მახვილს აქვს საკუთარი თავისებურებები, რასაც განსაზღვრავს მისი მდგომარეობა და ადგილი ლექსში – იქნება ეს პირველი, მეორე თუ მესამე ტერფი, და ა.შ. ლექსის მაორგანიზებელი ერთეული სხვადასხვაა სხვადასხვა ენაში და მეტრულ სისტემებში. ეს შეიძლება იყოს „მელოდია“, ანუ ტონთა თანამიმდევრობა, რომელიც ზოგიერთ თავისუფალ ლექსში შეიძლება აღმოჩნდეს ის ერთადერთი ნიშანი, რომელიც მას პროზისაგან განასხვავებს.⁴⁴ თუ ვერ ვარკვევთ კონტექსტით ან ტაეპის გრაფიკული ფორმით (რაც თავისებური მიმანიშნებელი სიგნალის როლს ასრულებს), რომ თავისუფალი ლექსის პასაჟი სწორედ ლექსს წარმოადგენს, შეიძლება ის წავიკითხოთ, როგორც ჩვეულებრივი პროზა და ვერც გავარჩიოთ პროზისაგან. და მანც, შესაძლებელია მისი წაკითხვა როგორც ლექსისა, თუ მართლაც განსხვავებულად, განსხვავებული ინტონაციით წავიკითხავთ. რუსმა ფორმალისტებმა მრავალი მაგალითის განხილვის საფუძველზე დაასაბუთეს, რომ ეს ინტონაცია მუდამ ორნაწილიანია, ანუ დიპოდიური; და თუ უგულებელყოფთ ამ ინტონაციას, ლექსი აღარ იქნება ლექსი და მხოლოდ რიტმულ პროზად გადაიცევა.

ჩვეულებრივი მეტრული ლექსის შესწავლისას რუსი მკვლევრები ავლენენ მიმართებებს მეტრსა და მეტყველების რიტმს შორის სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით. ლექსი გააზრებულია როგორც რთული კონტრაპუნქტული ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს მეტყველების მაორ-

ლიტერატურის თეორია

განიზებელი მეტრი, მეორეს კი — მეტყველების ჩვეულებრივი რიტმი; ფორმალისტთა მოულოდნელი და შთაბეჭდავი განმარტების თანახმად, ლექსი წარმოადგენს „ორგანიზებულ ძალადობას“, რაც ხორციელდება ყოველდღიური სასაუბრო ენის მიმართ. მეტრული სქემისგან ისინი განასხვავებენ „რიტმულ იმპულს“. მეტრული სქემა სტატიკურია, გრაფიკული. „რიტმული იმპულსი“ დინამიკურია, განვითარებადი. ჩვენ წინასწარ მოველით სიგნალებს, რომლებიც აუცილებლად იჩინენ თავს. ხდება არა მარტო დროის, არამედ მხატვრული წარამოების სხვა ელემენტების ორგანიზებაც. ამგარად გააზრებული რიტმული იმპულსი ზემოქმედებს არა მხოლოდ სიტყვათა შერჩევაზე, არამედ სინტაქსურ სტრუქტურაზე, და აქედან გამომდინარე, ლექსის საერთო აზრსა და მნიშვნელობაზე.

ფორმალისტთა მიერ გამოყენებული სტატისტიკური მეთოდი ძალზე მარტივია. როდესაც ვაანალიზებთ ნებისმიერ ლექსს ან ლექსის ნაწილს, ხდება — ამა თუ იმ მარცვალთან მიმართებაში — იმ შემთხვევების პროცენტის დათვლა, სადაც მახვილი ეცემა ამ მარცვალს. თუ პენტამეტრის იამბურ ტაქში მეტრი აბსოლუტურად სწორია, მაშინ პირველ მარცვალთან დაკავშირებით, სტატისტიკა აჩვენებს ნულ პროცენტს, მეორე მარცვალზე — ას პროცენტს, მესამეზე — ნულს, მეოთხეზე — ასს, და ა.შ. ეს შეგვიძლია გრაფიკულად გამოვსახოთ, თუ პორიზონტალურ ხაზზე აღვინიშნავთ მარცვალთა რაოდენობას, ხოლო ვერტიკალურზე — მახვილიანობის პროცენტს. ცხადია, ასეთი რეგულარული ლექსი იშვიათია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ძალზე მონოტონური იქნება. ლექსთა უმრავლესობაში შეიმჩნევა საზომისა და მისი რეალური განხორციელების ურთიერთდაუმთხვევლობა; მაგ., თეორ ლექსში შეიძლება მრავლად შეგვხვდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც მახვილი ეცემა პირველ მარცვალს, და ეს ცნობილი მოვლენა მოიხსენიება როგორც „ტროქეული ტერფი“, ან „მოძრავი მახვილი“, ანდა „შენაცვლება“. გრაფიკზე ვერტიკალური ხაზები ერთმანეთს მნიშვნელოვნად დაუახლოვდება, მაგრამ თუ ეს მაინც პენტამეტრია, თუ პოეტს პენტამეტრით წერა სურდა, ამ გრაფიკში ვერტიკალური ხაზები უფრო მაღალი იქნება 2, 4, 6 და 8 მარცვლებზე. რასაკერძოელია, ამ სტატისტიკურ მეთოდს თავისთავადი ღირებულება არა აქვს, მაგრამ ის მოიცავს მთელ ლექსს და ავლენს იმ ტენდენციებს, რომლებიც საკმარისად

მეაფიოდ არაა გამოხატული ამა თუ იმ ფრაგმენტში. ამ მეთოდის მეორე უპირატესობა ისაა, რომ მისი მეშვეობით თვალსაჩინოდ იკვეთება განსხვავებები პოეტურ სკოლებსა და ცალკეულ პოეტებს შორის. ის განსაკუთრებით ნაყოფიერია რუსულ პოეზიასთან მიმართებაში, რადგან რუსულში ყოველ სიტყვას მხოლოდ ერთი მახვილი აქვს (დამატებითი ინტონაციური ნიუანსები მახვილები კი არაა, არამედ მხოლოდ სუნთქვის გზით წარმოქმნილი ერთგვარი აქცენტები). ინგლისურში ამგვარი სტატისტიკური გამოთვლების განხორციელება საკმაოდ რთული საქმეა, რადგან მასში მრავლადაა დამატებითი მახვილები, აგრეთვე — ენელიტიკები და პროკლიტიკები.

მეტრიკის რუსი სპეციალისტები საგანგებო ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს, რომ იდეალური მეტრული საზომები სხვადასხვაგვარადა ხორციელებული სხვადასხვა სკოლაში და სხვადასხვა ავტორთან; ამასთან, ყოველ სკოლას, ზოგჯერ კი ავტორს, აქვს საკუთარი მეტრული კანონი, და გამართლებული არ არის მსჯელობა მათ შესახებ ერთი კონკრეტული დოგმის საფუძველზე. ვერსიფიკაციის ისტორია წარმოგვიდგება, როგორც მარადიული კონფლიქტი სხვადასხვა ნორმას შორის და ერთი უკიდურესობას სწრაფად ენაცვლება მეორე. რუსი მკვლევრები ხაზგაშით აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება ვერსიფიკაციის იმ სისტემებს შორის, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ხალხის პოეზიაში. ლექსთნიკობის სისტემების ჩვეული კლასიფიცირება სილაბურ, ტონურ და კვანტიტატურ კატეგორიებად არა მარტო არ არის საკმარისი, არამედ არასწორიცა. მაგალითად, სერბულ-ხორვატულ და ფინურ ეპოსში თავს იჩენს სამივე პრინციპი: სილაბური, ტონური და კვანტიტატური. თანამედროვე კვლევებმა ცხადყო, რომ ლათინურმა პროსოდიამ, რომელიც წმინდა კვანტიტატურ პროსოდიად ითვლებოდა, სინამდვილეში მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განიცადა იმ ყურადღების ზეგავლენით, რომლითაც ეკიდებოდნენ მახვილს და სიტყვათა დაბოლოებებს.⁴⁵

ენები განსხვავდებიან იმ ელემენტების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ მათი რიტმის ბაზისს. აშკარაა, რომ ინგლისურ ენაში ასეთი ელემენტია მახვილი, კვანტიტატურობა კი ამ ენაში მახვილიანობას ექვემდებარება; მნიშვნელოვანი რიტმული ფუნქცია ეკისრება სიტყვათა დაბოლოებებსაც. გასაოცარია

ლიტერატურის თეორია

რიტმული სხვაობა იმ სტრიქონებს შორის, რომელთაგან ერთი შედგება მხოლოდ მონოსილაბური სიტყვებისაგან, მეორე კი მხოლოდ პოლისილაბური სიტყვებისაგან. ჩეხურ ენაში სიტყვათა დაბოლოებები წარმოადგენს რიტმის ბაზისს, რასაც ემატება აუცილებელი მახვილი; კვანტიტატურობა აქ, უბრალოდ, მრავალფეროვნების შემომტანი ერთ-ერთი ელემენტია. ჩინურში რიტმის ბაზისი არის ტონალობა, ძველ ბერძნულში კი კვანტიტატურობა, ხოლო ტონი და სიტყვათა დაბოლოებები ძველი ბერძნებისთვის მხოლოდ მრავალფეროვნების განმაპირობებელ ელემენტებს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოეზიის ისტორიაში ვერსიფიკაციის გარკვეული სისტემებს ენაცვლებოდა სხვა სისტემები, არ შეიძლება ვიმსჯელოთ „პროგრესზე“ ან დაუგმოთ ძველი სისტემები, როგორც უფრო გვიანდელი სისტემების უბრალო წინარესაფეხური. დიდი ხნის მანძილზე რუსულში გაბატონებული იყო სილაბიზმი, ხოლო ჩეხურში – კვანტიტატური პროსოდია. სავსებით შესაძლებელი იყო სრული რევოლუცია მოეხდინათ ინგლისური ლექსთნებობის ისტორიის (ჩოსერიდან სერეიმდე) კვლევაში, თუ გაიაზრებდნენ, რომ ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ ლიდგენიტი, ჰოუსი და სკელტონი, უვარგის ლექსებს კი არ წერდნენ, არამედ საკუთარ მეტრულ ნორმებს იყენებდნენ. 46 შესაძლებელია აგრეთვე რეაბილიტაცია გამოჩენილი პოეტების — სიდნის, ჰენსერისა და გებრიელ ჰარვის მრავალგზის გაკრიტიკებული მცდელობებისა, ინგლისურში შემოეტანათ კვანტიტატური საზომები. ეს მოძრაობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვანი გამოდგა. მისი მეშვეობით მოხერხდა სილაბიკის იმ გაქავებული ნორმების დამსხვრევა, რომლებიც გაბატონებული იყო უფრო ადრეულ ინგლისურ პოეზიაში.

შესაძლებელია მეტრიკას შედარებითი ისტორიაც. ცნობილმა ფრანგმა ლინგვისტმა, ანტუან მეიემ თავის წიგნში: „Les Origines indo-europeenes des metres grecs“, შეადარა ძველი ბერძნული და ვედური მეტრები იმისათვის, რომ მოეხდინა ინდოევროპული მეტრიკის სისტემის რეკონსტრუქცია;⁴⁷ რომან იაკობსონმა აჩვენა, რომ იუგოსლავური ეპიკური ლექსი ძალიან ახლოსაა ამ უძველეს მეტრთან, რომელიც ითაგსებს სილაბურ სტრიქონსაც და მკაცრად კვანტიტატურ კლაუზულასაც.⁴⁸ შესაძლებელია დავაკირდეთ ფოლკლორული ლექსის სხვადასხვა ტიპების ის-

ტორიას და მათ განსხვავებებსაც. საჭიროა მკვეთრად განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეპიკური რეჩიტატივი და „მელოდიური“ ლექსი, რომელსაც იყენებენ ლირიკაში. ყოველ ენაში ეპიკური ლექსი უფრო კონსერვატიული ჩანს, ვიდრე სასიმღერო ლექსი; ეს უკანასკნელი მტკიდროდ უკავშირდება ენის ფონეტიკურ თავისებურებებს და გაცილებით მეტად გამოირჩევა ნაციონალური სპეციფიკით, ვიდრე ეპოსი. მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე პოეზიას, უნდა გვახსოვდეს სხვაობა ორატორულ, სასაუბრო და „მელოდიურ“ ლექსს შორის, ის სხვაობა, რომელსაც უგულებელყოფს მეტრიკის ინგლისელ მკვლევართა უმეტესი ნაწილი, რადგან მუსიკალური თეორიის გავლენით, მთლიანად არიან დაკავებული სასიმღერო ლექსის კვლევით და პრობლემით.⁴⁹

ძალზე მნიშვნელოვან ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ლირიკას,⁵⁰ ბორის ეიხენბაუმმა სცადა გაერანალიზებინა ლექსს ინტონაციის როლი „მელოდიურ“, „სასიმღერო“ ლექსში. მან უაღრესად დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ რუსულმა რომანტიკულმა ლირიკამ გამოიყენა ტრიბოდიული საზომი, აგრეთვე — ისეთი ინტონაციური სქემები, როგორებიცაა ძახილის და კითხვითი წინადადებები და ისეთი სინტაქსური თარგები, როგორიც არის პარალელიზმი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მან ვერ დაასაბუთა თავისი ცენტრალური თეზისი „სასიმღერო“ ლექსში ინტონაციის მაფორმირებელი როლის თაობაზე.⁵¹

შეიძლება ეჭვით შევხედოთ რუსული თეორიების ბევრ ელემენტს, მაგრამ ვერ უარვყოფთ იმას, რომ ერთი მხრივ, მათ შეძლეს თავი დაეღნიათ ლექსთმცოდნეობაში შექმნილი ჩიხისგან, ხოლო მეორე მხრივ — გათავისუფლებულიყვნენ მუსიკალური მეტრის „მიმდევრების“ სუბიექტივიზმისაგან. ბევრი რამ ახლაც ბუნდოვანია და წინააღმდეგობრივი, მაგრამ სადღეისოდ მეტრიკამ აღიდგინა აუცილებელი კონტაქტი ლინგვისტიკასთან და ლიტერატურის სემანტიკასთან. აშკარაა, რომ ბევრი და მეტრი მხატვრული ნაწარმოების როგორც მთლიანობის ელემენტებია. შესაბამისად, დაუშვებელია მათი შესწავლა ნაწარმოების მნიშვნელობისაგან იზოლირებულად.

თავი მეოთოთხმეტე

სტილი და სტილისტიკა

*

ენა მართლაც წარმოადგენს ლიტერატურის მასალას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები უძრავი „ამონაკრები“ გარკვეული ენიდან. დაახლოებით ასევე აღნერენ სკულპტურას: „მარმარილოს ბლოკი, რომელსაც ჩამოთლილი აქვს რამდენიმე ნატეხი“. წიგნში „ინგლისური პოეზია და ინგლისური ენა“, ფ.ვ. ბერტსონი აცხადებდა, რომ ლიტერატურა, ზოგადად, არის ენის ისტორიის ნაწილი და მთლიანად მასზეა დამოკიდებული: „ჩემი თეზისის არსი ისაა, რომ ეპოქის ზემოქმედება ნაწარმოებზე უნდა განისაზღვროს ამ ნაწარმოების ენიდან, და არა პოეტის პიროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, პოეზიის ჭეშმარიტი ისტორია წარმოადგენს იმ ენობრივი შრის ცვლილებათა ისტორიას, რომელსაც განეკუთვნება დროითი თანმიმდევრობით დაწერილი ნაწარმოები. და სწორედ ეს ენობრივი ცვლილებები განიცდიან სოციალური და ინტელექტუალური ტენდენციების წერებს.“¹

ბერტსონი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ პოეზიის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ენის ისტორიას. ეჭვსგარეშეა, რომ ინგლისური პოეზიის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე მასში აისახა ელისაბედის ხანის მეტყველების თავისუფალი სიხალისეც, მეთვრამეტე საუკუნის „მონესრიგბულობა და გამჭვირვალებაც“, და სიტყვის მნიშვნელობის ბუნდოვანებაც, რომელიც ვიქტორიანული ხანის ინგლისურისთვის იყო დამახასიათებელი. პოეზიის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტური თეორიები, მაგ., ჰობსის რაციონალიზმი, მისთვის ჩვეული მახვილით დენოტაციაზე, აზრისა და სტილის გამჭვირვალებაზე და მეცნიერულ სიზუსტეზე – ყველაფერმა ამან ძლიერი გავლენა იქონია ინგლისურ პოეზიაზე, თუმცა ეს გავლენა ხშირად არაპირდაპირი გზით ხორციელდებოდა.

ამიტომ უნდა დავეთანხმოთ კარლ ფოსლერს იმაში, რომ „ზოგიერთი პერიოდის მწერლობის განხილვა უფრო ნაყოფიერად განხორციელდება, თუ გავაანალიზებთ შესაბამის ენობრივ გარე-მოსაც, რაც, ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეპოქის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ტენდენ-ციების, ან კიდევ — ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის ანალიზი“².

პოეტის ენობრივი ჩვევები, დამოკიდებულებები და მიდ-რეკილებები შეიძლება ფასობდეს არა მხოლოდ ენობრივი სის-ტემის განვითარების თვალსაზრისით, არამედ თავად მისივე ხე-ლოვნების შეცნობისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პერიო-დებსა და ქვეყნებს, სადაც უპირატესობისათვის იბრძვის რამდე-ნიმე ლინგვისტური ნორმა. იტალიაში ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები არ დაუშვებენ „ენის საკითხის“ უგულებელყოფას. ლიტერატურის სფეროში ფოსლერის გამოკვლევა Frankreichs Kultur im Spiegel seiner Sprachentwicklung-ში, იქცა უწყვეტი ინტერესის და გამოყენების საგნად. რუსეთში ვიქტორ ვინოგრადოვმა სა-გულდაგულოდ გააანალიზა რუსული ენის სხვადასხვა ელემენტი, რომელებსაც იყენებდა პუშკინი — საეკლესიო სლავური, სალა-პარაკო ენა, აგრეთვე გალიციზმები და ტევტონიზმები.³

და მაინც, ცხადია, რომ ბეიტსონის დასკვნა გაზვიადებუ-ლია; ვერ ვიტყვით, რომ ენობრივ ცვლილებებს პოეზია პასიუ-რად აირეკლავს. არ უნდა დავივინყოთ, რომ ენასა და ლიტერატუ-რას შორის დაალექტიკური დამოკიდებულებაა: ლიტერატურამ ძალზე დიდი გავლენა იქონია ენის განვითარებაზე. ვერც თა-ნამედროვე ფრანგული და ვერც თანამედროვე ინგლისური ვერ გადაიქცეოდა იმ ენად, როგორიც დღესაა, რომ არა ნეოკლასი-კური ლიტერატურა; თანამედროვე გერმანულიც სხვაგვარი იქ-ნებოდა, რარ შეიძლება ლიტერატურაზე ინტელექტუალური ან სოციალური ტენდენციების ზეგავლენის უგულებელყოფაც. ბე-იტსონის აზრით, მეთვრამეტე საუკუნის პოეზია გამჭვირვალე და ნათელი იყო, რადგან თვით ენა იყო გამჭვირვალე და ნათელი. ასე რომ, პოეტი ვალდებულია გამოიყენოს მზა მასალა და არა აქვს მნიშვნელობა, რაციონალისტია ის თუ არა. მაგრამ ბლეიკის და კრისტოფერ სმარტის მაგალითები ააშკარავებს, რომ ირაციონა-ლური ან ანტირაციონალური მსოფლალქმისკენ მიდრეკილი პო-

ლიტერატურის თეორია

ეტები გარდასახავდენ მათ თანამედროვე პოეტურ ენას ან ალად-გენდნენ მის ადრეულ ფორმებს.

თვით ის ჩვეულებრივი ფაქტი, რომ შეიძლება დავწეროთ ისტორია, არა მხოლოდ იდეათა, არამედ უანრების ისტორიაც, მეტრული საზომებისა და თემების ისტორია, რომელიც მოიცავს მწერლობას სხვადასხვა ენაზე შექმნილ ლიტერატურას, ცხად-ყოფს, რომ ლიტერატურა ვერ იქნება მთლიანად დამოკიდებული ენაზე. აშკარაა, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯონთ, ერთი მხრივ, პოეზია, ხოლო მეორე მხრივ – დრამა და რომანი. ბეიტ-სონი, პირველ ყოვლისა, ემყარება პოეზიას; და მართლაც, ძნელია იმის უარყოფა, რომ პოეზია, როდესაც ის საგანგებოდ არის ორგა-ნიზებული, ძალზე მჭიდროდ უკავშირდება ენას — მის ჟღერადო-ბას და მნიშვნელობას.

მიზეზები მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა. მეტრი განა-ხორციელებს ენის ბეჭერითი შედგენილობის ორგანიზაციას. ის არეგულირებს პროზის რიტმს, აახლოებს მას იზოქრონიზ-თან და ამრიგად ამარტივებს ურთიერთმიმართებებს სილაბურ ერთეულებს შორის. იმისათვის, რომ წარმოაჩინოს ხმოვნების ობერტონები ან ემოციური შეფერილობა (ტემბრი), ის ანელებს ტემპს და „აგრძელებს“ ხმოვნებს; ამარტივებს და არეგულირებს ინტონაციას — მეტყველების მელოდიას.⁴ მაშასადამე, მეტრის დანიშნულება ყოფილა სიტყვათა აქტუალიზაცია, მითითება მათ-ზე და ყურადღების მიპყრობა ტექსტის ბეგრით ასპექტზე. ჭეშ-მარიტ პოეზიაში სიტყვათა ურთიერთმიმართებები მკვეთრადაა ხაზგასმული.

პოეზიაში მნიშვნელობა კონტექსტით განისაზღვრება; ჩვენ ალვიქვამთ არა მარტო სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელო-ბას, არამედ — მის სინონიმთა და ომონიმთა ერთგვარ აურასაც. სიტყვებს არა მარტო საკუთარი მნიშვნელობები აქვთ, არამედ — მათ თან სდევს სხვა სიტყვათა მნიშვნელობებიც, რომელთაც ისინი უკავშირდებიან ფონეტიკურად, აზრობრივად ან ეტიმოლო-გიურად; მეტიც, ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებიან თვით ისეთი სიტყვებიც, რომლებიც, თავიანთი მნიშვნელობით, უპი-რისპირდებიან ან საერთოდ გამორიცხავენ მოცემული სიტყვით გამოხატულ მნიშვნელობას.

ამრიგად, პოეზიის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვ-

ნელობა აქვს ენის შესწავლას. რასაკვირველია, ენის შესწავლაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ საკითხებს, რომელსაც პროფესიონალი ენათმეცნიერები, ჩვეულებრივ, ან აკნინებენ, ანდა საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც მეტრის და რითმის მკვლევარს სჭირდება გარკვეული ლინგვისტური მონაცემების შესწავლა, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ისტორიული მორფოლოგია ან ფონოლოგია, ან თუნდაც ექსპერიმენტული ფონეტიკა. მაგრამ მას აუცილებლად დასჭირდება სპეციფიკური ტიპის ლინგვისტიკა, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკოლოგია, რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას და მის ცვლილებებს. ძველი ინგლისური პოეზის მკვლევარს, რომელსაც სურს სწორად ჩასწოდეს ბევრი ძველი სიტყვის მნიშვნელობას, აუცილებლად დასჭირდება ინგლისური ენის ლექსიკონი. მას ეტიმოლოგიაც კი დაეხმარება, რათა გაიგოს მილტონისეული ლექსიკონის ლათინიზებული სიტყვები, ან კიდევ სიტყვათნარმოება პოპკინსისა, რომელიც გერმანული ნიმუშებით სარგებლობდა.

ლინგვისტური კვლევის მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ შემოიფარგლება ცალკეული სიტყვების ან ფრაზების მნიშვნელობათა დადაგენით. ლიტერატურა უკავშირდება ენის კველა ასპექტს. ხელოვნების ნაწარმოები, უნინარესად, ბგერათა სისტემაა და, ესე იგი, შენარჩევიც მოცემული ენის ბგერათა სისტემიდან. ჩვენმა მსჯელობამ ევფონიაზე, რიტმზე და მეტრზე გამოავლინა, რაოდენ დოდი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ ვარაუდებს ბევრი ასეთი პრობლემისათვის. მაგალითად, ფონეტიკურ ანალიზს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება შედარებითი მეტრიკის სფეროსათვის და საზომთა მართებული განსაზღვრისთვის.

რასაკვირველია, ლიტერატურათმცოდნეს უფლება არა აქვს, გამიჯნოს ფონეტიკური დონე აზრობრივსგან. მაგრამ მეორე მხრივ, აზრობრივი დონეც ექვემდებარება ლინგვისტურ ანალიზს. შეიძლება აღვნეროთ ლიტერატურული ნაწარმოების, ან თუნდაც ნაწარმოებთა ნებისმიერი ჯგუფის გრამატიკა, დავიწყოთ ფონოლოგიით და მორფოლოგიით, შემდეგ გადავიდეთ ლექსიკაზე (ბარბარიზმები, პროვინციალიზმები, არქაიზმები და ნეოლოგიზმები), ბოლოს კი მივადგეთ სინტაქსს (მაგ., ინვერსია, ანტითეზა და პარალელიზმი).

ლიტერატურის თეორია

არსებობს ორი თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მივუდეთ სამწერლო ენის შესწავლას. ლინგვისტიკის ისტორიის კვლევისას ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ როგორც დოკუმენტი. მაგალითად, „ბუ და ბულბული“ ან „სერ გავეინი და მწვანე რაინდი“ გამოდგება საიმისოდ, რათა გამოვავლინოთ შუა საუკუნეების ინგლისურის ზოგიერთი დაილექტის თავისებურებანი. სკელტონის, ნეშის და ბენ ჯონსონის ტიპის მწერლების შემოქმედება შეიცავს მდიდარ მასალას ინგლისური ენის ისტორიისთვის; ბოლო ხანებში შვედმა მკვლევარმა ა.ჰ. კინგმა გააანალიზა ბენ ჯონსონის „Poetaster“-ი იმ პერიოდის ინგლისური ენის სოციალური და კლასობრივი დიალექტების გამოსავლენად. ფრანცმა შექმნა ძალზე სკრუპულობური „შექსპირისეული გრამატიკა“. ლაზარ სენეანმა ორი ტომი მიუძღვნა რაბლეს ენას.⁵ ამისდა მიუხედავად, ხსნებულ გამოკვლევებში ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენს წყაროს ლინგვისტურ პრობლემების გადასაწყვეტად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლინგვისტურ კვლევა მხოლოდ მაშინ იქცევა ლიტერატურულ ანალიზად, როდესაც ის ექვემდებარება ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს ენის ესთეტიკური ეფექტის კვლევას – ერთი სიტყვით, როდესაც ის სტილისტიკად იქცევა (ყოველ შემთხვევაში, ამ ტერმინის ერთი გარკვეული მნიშვნელობით).⁶

ცხადია, სტილისტიკის კვლევა წარმატებული ვერ იქნება, თუ ვრცელი საბაზო ცოდნით არ იქნება უზრუნველყოფილი ზოგადი ლინგვისტიკის დარგში, რადგან მისი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა ეხება კონტრასტს ლიტერატურული ნაწარმოების ენასა და შესაბამისი ეპოქის ყოფით ენას შორის. თუ არ გვეცოდინება, რას წარმოადგენს სასაუბრო მეტყველება, თუნდაც არალიტერატურული მეტყველება და იმ პერიოდის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ენა, მაშინ სტილისტიკა, ალბათ, იმპრესიონისტული ხასიათისა იქნება. სამწუხაროდ, საერთოდ არ გაამართლა ვარაუდმა, თითქოს ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ (ეს განსაკუთრებით ბოლო ხანებს ეხება) ჩვეულებრივ ყოფით მეტყველებასა და მხატვრულ სტილს წარსულ ეპოქათა ლიტერატურაში. სანამ შევუდგებით რომელიმე ავტორის, ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის ან სტილის შესახებ მსჯე-

სტილი და სტილისტიკა
ლობას, ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ ძველი დროის მრავალ-
შრეობრივი მეტყველება.

სინამდვილეში, ჩვენ, უპრალოდ, ინსტინქტურად ვიყენებთ
იმ სტანდარტებს, რომლებიც გვიყალიბდება საკუთარი ყოველ-
დღიური მეტყველების საფუძველზე, მაგრამ ასეთი სტანდარტე-
ბი შეიძლება ძალზე მცდარი გამოდგეს. დროდადრო, როდესაც
ვკითხულობთ ძველ პოეზიას, საჭირო ხდება ჩვენი თანამედროვე
ლინგვისტური ცნობიერების სრული უგულებელყოფა. ამგვარად
უნდა მოვიქცეთ ისეთი სტრიქონების კითხვისას, როგორიცაა
თვით ტენისონის:

And this is well
To have a dame indoors, who trims us up
And keeps us tight.⁷

მაგრამ თუკი ვალიარებთ საზრისის ისტორიული რეკონ-
სტრუქციის აუცილებლობას ასეთ აშკარა შემთხვევებში, მაშინ
რატომ არ შეგვიძლია ყველა შემთხვევაში უზრუნველვყოთ მისი
შესაძლებლობა? განა ოდესმე შევძლებთ, ისე კარგად ვისწავლოთ
ანგლოსაქსური ან საშუალოინგლისური (რომ აღარაფერი ვთქვათ
ძველ ბერძნულზე) იმდენად კარგად, რომ დაგვაცინებდეს დღევან-
დელი საკუთარი ენა? და თუნდაც შევძლოთ, განა ეს აუცილე-
ბლად იმას ნიშავს, რომ უკეთესი კრიტიკოსები ვართ მხოლოდ
იმის გამო, რომ, ლინგვისტური თვალსაზრისით, აეტორის „თა-
ნამედროვებად“ ვიქეცით? ნუთუ არ შეიძლება ისეთ ლექსების
კითხვისას, როგორიცაა მარველის

My vegetable love would grow
Vaster than empires and more slow⁸

შევინარჩუნოთ თანამედროვე ასოციაციები, როგორც ლექ-
სის მნიშვნელობის გამამდიდრებელი ელემენტი? ლუი ტიტერის
შენიშვნით, ის გროტესკული წარმოდგენა, რომ ხანგრძლივობისა
და საჭიროების ასპექტში „ეროტიკული კომბოსტო“ პირამიდებს
„გადაწონის“ და გადააჭარბებს, ეტყობა, გაცნობიერებული, ოს-
ტატური ხერხია. მიუხედავად ამისა, უნდა გვჯეროდეს, რომ თა-

ლიტერატურის თეორია

ვად მარველი არ მიისწრაფვოდა ზუსტად ასეთი ეფექტისკენ. მეშვიდე საუკუნეში *vegetable* ანუ ბოსტნეული, ნიშნავდა *vegetatives*, ანუ ვეგეტაციურს, და პოეტმა, როგორც ჩანს, გამოიყენა ეს სიტყვა ცხოველმყოფელის მნიშვნელობით; ყოველ შემთხვევაში, ბოსტნეულის დღევანდელი კონტაცია მაინც არ ექნებოდა ნაგულისხმევი.⁹

ამიტომ შეიძლება შხარი ავუბათ ტიტერს და ვიკითხოთ: ხომ არ არის სასურველი, უგულებელყოფით დღევანდელი კონოტაცია და, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ეს თუნდაც ამგვარ უკიდურეს შემთხვევებში? აქ კვლავ ვუბრუნდებით ისტორიული „რეკონსტრუირების“ საკითხს, მის შესაძლებლობებს და საჭიროებას.

შარლ ბალის ძალისხმევის¹⁰ მსგავსად, იყო რამდენიმე ცდა, გადაექციათ სტილისტიკა ენათმეცნიერების დამხმარე დისციპლინად, მაგრამ საქმე ისაა, რომ სტილისტიკას აქვს საკუთარი, სრულიად განსაზღვრული პრობლემები, იმისდა მიუხედავად, განვიხილავთ მას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას თუ არა. შეიძლება ისე გამოჩნდეს, რომ ზოგიერთი ამ პრობლემათაგანი საერთოდ ახასიათებს, ან პრაქტიკულად მთლიანად ახასიათებს ადამიანის მეტყველებას. ასეთნაირად ფართოდ გაგებული სტილისტიკა სწავლობს ყველა იმ საშუალებას და ხერხს, რომლებიც მიმართულია რაიმე სპეციფიკური ექსპრესიული მიზნისკენ, და ამიტომ სტილდება ლიტერატურის ან თუნდაც რიტორიკის საზღვრებს. ყველა ხერხი, რომლებიც გამოიყენება ემფატიკისთვის ან სიმკვეთრისათვის, შეიძლება სტილისტიკად იყოს კლასიფიცირებული. მათ რიცხვშია მეტაფორები, რომლებითაც გაჯერებულია ყველა ენა, თუნდაც ძალზე პრიმიტიული; ყველა რიტორიკული ხერხი და სინტაქსური ფიგურა. თითქმის ყოველი ენობრივი გამოთქმა შეიძლება შევისწავლით მისი ექსპრესიული ღირებულების თვალსაზრისით. შეუძლებელია ამ პრობლემის უგულებელყოფა, როგორც ამას ძალზე შეგნებულად აკეთებს „ბიპევიორისტული“ სკოლა ამერიკაში.

ტრადიციული სტილისტიკა ამ პრობლემებს არათანმიმდევრულად და თვითნებურად წყვეტს. გამოყოფილია ხერხების ორი (ინტენსიფიკაციის ან მინიმიზების) კატეგორია: ინტენსიფიკაციის გამომხატველი სახეები — გამეორება, აკუმულაცია, ჰიპერ-

ბოლა და კულმინაცია — ასოცირებულია „ამაღლებულ“ სტილთან, რაც საკმაოდ დეტალურადაა აღნერილი ცნობილ „Peri hipsoys“-ში, რომლის ავტორობას მიაწერენ ლონგინუსს. მსჯელობას „დიდებული სტილის“ შესახებ ჰომეროსთან, შექსპირთან, მილტონთან, დანტესთან მიმართებაში ვხვდებით მეტიუ არნოლდთან და სენტს-ბერისთან, რომლებიც ძალზე მოხდენილად ურვენ ერთმანეთში ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების საკითხებს.¹¹

ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, მაინც შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ სპეციფიკურ სახეებსა და ხერხებს, ყველა შემთხვევაში, აუცილებლად უკავშირდება სპეციფიკური ეფექტი ან „ექსპრესიული ლირებულება“. წინადადებათა კოორდინირებული კონსტრუქციები („და.. და.. და..“) ბიბლიასა და მატიანეებში საჭიროა იმისთვის, რათა თხრობას სიღინჯე მიენიჭოს; ამავე დროს, რომანტიკულ პოემაში ამგვარი „და“ კავშირები შეიძლება აღნიშნავდეს შეკითხვების სერიას, რომლებიც სუნთქვაშეკრულ-მა ადამიანმა შეიძლება ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახოს. ჰიპერბოლა შეიძლება იყოს ტრაგიკული ან პათეტიკური, მაგრამ იყოს გროტესკულიც და კომიკურიც. გარდა ამისა, ზოგიერთი ხერხი ან სინტაქსური ფიგურა ისე ხშირად და იმდენად განსხვავებულ კონტექსტში მეორდება, რომ შეუძლებელია მათ რაიმე სპეციფიკური ექსპრესიული მნიშვნელობა მივანიჭოთ. ჩვენ ვამჩნევთ, რომ ციცერონი რამდენიმე გვერდზე რამდენჯერმე ხმარობს ლიტოტესს ან გაზიადებას; ასევე, ჯონსონის „Ramblers“-ში შეიძლება აღმოგაჩინოთ გამანონასნორებელი კონსტრუქციების რამდენიმე ასეული მაგალითი. ორივე შემთხვევაში ჩვენ წინაშეა სიტყვათა თამაში, მათი მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად.¹²

თუმცა ჩვენ უარყოფთ ატომისტურ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ხერხს უშუალოდ შეესაბამება სპეციფიკური ექსპრესიული ამოცანა, მაგრამ მაინც დასაშვებია გარკვეული კავშირის არსებობა სტილის თავისებურებებსა და ნაწარმოების შინაარსობრივ ამოცანებს შორის. ამ კავშირს ადასტურებს ისიც, რომ აშკარად გამოხატული შინაარსობრივი ტონალობის (ამაღლებული, კომიკური, დახვეწილი ან ნაივური) მქონე ნაწარმოებში გამუდმებით მეორდება გარკვეული ხერხები, თანაც, მათ, როგორც წესი, თან ახლავს ერთი და იგივე კონ-

ლიტერატურის თეორია

სტრუქციები. ვ.კ. უიმსეტის კვალობაზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რაიმე ხერხის გამეორება აზრს არ ართმევს ამ ხერხს: „სინტაქსური კონსტრუქციები მეორდება, ბრუნვებსა და უღლების მსგავსად, მაგრამ ისინი მაინც ექსპრესიული ფორმებია“.¹³ არ შეიძლება, ანტიკური ეპოქის ესთეტიკოსთა მსგავსად, დავკმაყოფილდეთ სტილთა ისეთი კლასიფიკაციით, როგორებიცაა მაღალი და დაბალი, აზიური და ატიკური და მისთ. აუცილებელია გავიაზროთ ისეთი რთული სქემები, როგორსაც გვთავაზობს ვილპელმ შნაიდერი თავის “Ausdruckswerte der deutschen Sprache”-ში (1931). ობიექტის მიმართ სიტყვის მიმართებიდან გამომდინარე, სტილი შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ტიპად, რომელთა შორის იქნება ცნებითი და მგრძნობელობითი, უშუალო და აღწერითი, დამაკნინებელი ან გამაზვიადებელი, მკაფიო და ბუნდოვანი, წყნარი და აღგზნებული, დაბალი და მაღალი, მარტივი და ხატოვანი; სიტყვათა შორის მიმართებათა შესაბამისად, სტილი შეიძლება იყოს დაძაბული და დუნე, პლასტიკური და მუსიკალური, დახვეწილი და უხეში, ერთფეროვანი და ხატოვანი; თუ დავეყყრდნობით სიტყვისა და ავტორის ურთიერთმიმართებათა პრინციპს, მაშინ სტილი შეიძლება იყოს ობიექტური და სუბიექტური.¹⁴ ასეთი კლასიფიკაცია პრაქტიკულად შეიძლება მიუუსადგორ ყველა ენობრივ ფენომენს, მაგრამ ჩვენი მაგალითების უმრავლესობა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან არის აღებული და გამოყენებულია ლიტერატურული სტილის ანალიზისათვის. თუ ამგვარად ჩამოვაყალიბებთ სტილისტიკის საკვლევ პრინციპებს, ის, აღბათ, თავს აარიდებს ხარვეზებს რიტორიკის ცნებებზე დამყარებული მიდგომისა, რომელიც ცალ-ცალკე აანალიზებდა სხვადასხვა ხერხს, მეორე მხრივ კი — მოცურმული ეპოქის სტილის (გოტიკა, ბაროკო და ა.შ.) თეორიებს, რომლებიც მასშტაბური იყო, მაგრამ კონკრეტულობით არ გამოირჩეოდა.

სამწუხაროდ, ამგვარ ნაშრომთა დიდი ნაწილი შთაგონებული იყო ვიწრო აღწერითი მიზნებით, — ასეთ შემთხვევებში სტილისტიკა ემგვანება ერთგვარ რეკომენდაციას „საშუალო“ სტილისთვის, რომლის იდეალია სიზუსტე და გამჭვირვალობა; ესაა „სანიმუშო“ სტილი, რომელსაც შეისწავლიან უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, სტილისტიკა გამოიყენება რომელიმე ენის განდიდების მიზნით. რაც შეეხება მთავარ ევროპულ ენებს

შორის არსებულ სხვაობათა უცნაურ და ახირებულ გაზვიადებას, ამაში განსაკუთრებით გერმანელები სცოდავენ. ისეთი გამოჩენილი მეცნიერებიც კი, როგორიც არიან ვექსლერი, ფოსლერი და დოიჩბაინი,¹⁵ ისეთ დასკვნებს აკეთებენ, რომელთა დადასტურება სინამდვილეში შეუძლებელია და ენობრივ განსხვავებებს ხალხების ეროვნულ ფსიქოლოგიას უკავშირებენ. ჩვენ არ უარყოფთ პრობლემის არსებობას: თუ იმ ენას, რომელსაც არა აქვს ჩამოყალიბებული ლიტერატურა, შევადარებთ ამა თუ იმ ძირითად ევროპულ ენას, მაშინ აშკარა წარმოჩნდება აბსურდულობა, „ბიჟევიორისტული“ თვალსაზრის იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა ენა თანაბარია. ნებისმიერმა მთარგმნელმა იცის, რომ ძირითადი ევროპული ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინტაქსური კონსტრუქციებით, „იდიომებით“ და სხვა პირობითობით. ზოგჯერ ინგლისური, ფრანგული ან გერმანული შეიძლება ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდეს, ვიდრე მცირედ განვითარებული ენები. ეჭვსგარეშეა, რომ ეს განსხვავება გამოწვეულია სოციალური, ისტორიული და ლიტერატურული მიზეზებით, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი აღნერა შეიძლება, ჯერ მაინც არ ყოფილა სრულად აღნერილი იმდენად, რომ გაამართლონ საკითხის დაყვანა ეროვნულ ფსიქოლოგიამდე. „შედარებითი“ სტილისტიკა წარმოგვიდგება როგორც შორეული მომავლის მეცნიერება.

წმინდა ლიტერატურული და ესთეტიკური მიდგომა ზღუდავს სტილისტიკას და უტოვებს მხოლოდ ხელოვნების რაიმე ნაწარმოების, ან ნაწარმოებთა ჯგუფის შესწავლის ფუნქციას, რომელთა აღნერა საჭიროა მათი ესთეტიკური ფუნქციისა და მნიშვნელობის კონტაქტში. მხოლოდ მაშინ იქცევა სტილისტიკა ლიტერატურის აკადემიური ცოდნის ნაწილად, თუ საკითხის ცენტრში იქნება ეს ესთეტიკური ინტერესი, ამასთანავე, ეს იქნება ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინაიდან მხოლოდ სტილისტური მეთოდის მეშვეობითაა შესაძლებელი ლიტერატურული ნაწარმოების სპეციფიკურ თავისებურებათა განსაზღვრა. ამ ტიპის სტილისტური ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ორი ხერხით: პირველი გვიკარნახებს, რომ თანმიმდევრულად გავაანალიზოთ ნაწარმოების ლინგვისტური სისტემა და ავხსნათ მისი ელემენტები ნაწარმოების ესთეტიკური მიზანმიმართულების, ანუ

ლიტერატურის თეორია

„მთლიანი მნიშვნელობის“ საფუძველზე. სტილი ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც ნანარმოების ან ნანარმოებთა ჯგუფის ინდივიდუალური ლინგვისტური სისტემა. მეორე მიდგომა, რომელიც არ უპირისპირდება პირველს, გულისხმობს იმ ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლას, რომლებითაც ეს სისტემა განსხვავდება სხვა შესადარებელი სისტემებისაგან. ხსენებული მეთოდი კონტრასტს ეფუძნება: ჩვენ განვიხილავთ ნორმალური სიტყვათხმარების დარღვევის ან მისგან გადახრების შემთხვევებს და ვცდილობთ ავხსნათ მათი ესთეტიკური დანიშნულება. ჩვეულებრივ, საკომუნიკაციო მეტყველებაში ყურადღება არ ექცევა არც სიტყვათა უღერადობას და არც მათ წყობას (რაც, ყოველ შემთხვევაში, ინგლისურ ენაში, გულისხმობს მოქმედისაგან მოქმედებაზე გადასვლას), ან წინადადების სტრუქტურას (რაც ჩამოთვლითი და კოორდინირებული უნდა იყოს). სტილისტური ანალიზის პირველ ნაბიჯად მივიჩნევთ ისეთი გადახრების მიმოხილვას, როგორებიცაა ბეგერათა გამეორება, ინვერსა, რთული თანწყობილი და რთული ქეენწყობილი წინადადებების გამოყენება აზრობრივი იერარქიის პრინციპით; ყველაფერი ეს უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ ესთეტიკურ ფუნქციას — ხაზგასმას და გამოყოფას, ანდა, პირიქით, ესთეტიკურად გამართლებულ ბუნდოვანებას ან გაურკვევლობას.

ასეთი ამოცანა შედარებით მარტივია ზოგიერთი ნაწარმოებისა და ზოგი ავტორის შემთხვევაში. შეუცდომლად შეიძლება ამოვიცნოთ ბეგერითი სქემები და შედარებები, რომლებიც გვხვდება ლილის „ეუფეუსის“ ბესტიარიუმებში.¹⁶ სპენსერი, რომელსაც, ჯონსონის თქმით, „ენა არ ჰქონდა“, იყენებს გარკვეული სახის არქაზმებს, ნეოლოგიზმებს და პროვინციალიზმებს,¹⁷ რომელთა ანალიზი ძალზე ადგილია. მილტონი არა მხოლოდ იყენებს ლათინიზებულ ლექსიკონს, რომელშიც ინგლისურ სიტყვებს მათივე არქეტიპების მნიშვნელობა აქვთ, არამედ ქმნის წინადადებების თავისებურ სტრუქტურებს. ჯერარდ მენლი ჰოპკინსის სტილისთვის დამახასიათებელია საქსონური სიტყვები, აგრეთვე დიალექტური ლექსიკა, ის შეგნებულად უვლის გვერდს ლათინურიდან ომდინარე ლექსიკას, რასაც განაპირობებს იმ ლინგვისტებისთვის დამახასიათებელი რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ გერმანული ენის ნორმებს, მისთვის დამახასიათებელი სიტყვათნარმოებითა

სტილი და სტილისტიკა

და შედგენილი სიტყვებით.¹⁸ ძნელი არ არის ისეთი მკვეთრი „მანერის“ მქონე ავტორთა სტილის ანალიზი, როგორებიც არიან კარლაილი, მერედიტი, პეიტერი ან ჰენრი ჯეიმსი; იგივე ითქმის იმ მეორეხარისხოვან მნერლებზე, რომლებიც დაესესხნენ ზემოხ-სენებულ ავტორებს მათ სტილისტურ თავისებურებებს.

ამის მიუხედავად, ბევრ სხვა შემთხვევაში გაცილებით უფრო ძნელი იქნება, გამოვყოთ და განვისაზღვროთ ავტორისეული სტილისტური მახასიათებლები. იმისათვის, რომ ამოვიცნოთ განმეორებადი ნიშან-თვისებები, საჭიროა დახვეწილი სმენა და დაკვირვების უნარი; ეს განსაკუთრებით იმ მნერლებს ეხება, რომლებიც ელისაბედის ხანის დრამატურგების, ანდა მეთვრამეტე საუკუნის ესეისტების მსგავსად, ერთგვაროვან სტილს იყენებდენ. ძნელია გავიზიაროთ ჯ.მ. რობერტსონის შეხედულება იმის თაობაზე, რომ გარკვეული სიტყვები ან „იდიომები“ გვაუჩეუბენ მხოლოდ ისეთი პიროვნებების „ხელნერას“, როგორებიც არიან პილი, გრინი, მარლო და კიდი.¹⁹ ბევრ ასეთ გამოკვლევაში სტილისტური ანალიზი მჭიდროდ უკავშირდება შინაგანი შინაარსობრივი სტრუქტურის შესწავლას, აგრეთვე — წყაროებისა და სხვა ელემენტების კვლევას, როგორიც არის განმეორებული ალუზიები. ამგვარ შემთხვევებში სტილისტიკა გვეხმარება მხოლოდ როგორც განსხვავებული მიზნებისათვის გამოსაყენებელი იარაღი: ასეთია ავტორის იდენტიფიკაცია, ავთენტურობის დადგენა, ანუ ისეთი შრომა, რომელიც გარკვეულწილად დედუქციას ემყარება და მოიცავს ერთგვარ მოსამზადებელ შრომას ლიტერატურული კვლევისათვის.

რთულ პრაქტიკულ პრობლემებს ვაწყდებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც განვიხილავთ ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ გაბატონებულ სტილს, ცალკეული მნერლების მიერ ლიტერატურული მოდის შექმნას და მიმბაძველთა გამოჩენას. უნინ სტილისტურ ტრადიციაზე დიდი გავლენა ჰქონდა ჟანრის იდეას. მაგალითად, ჩისერთან („კენტერბერიული მოთხოვნების“ ცალკეულ ნოველებში) გვხვდება სხვადასხვაგვარი სტილების ფართო სპექტრი და დიფერენციაცია. ზოგადად, ეს მიესადაგება მის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილ და სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებს. მეთვრამეტე საუკუნეში, პინდარე-სეულ ოდას, სატირას და ბალადას ჰქონდა საკუთარი ლექსიკა

ლიტერატურის თეორია

და სტილი. „პოეტური სტილი“ დაცვანილი იყო სპეციფიკურ ჟანრებამდე, მაშინ, როდესაც დაბალი ჟანრისთვის არათუ დაშვებულად, არამედ აუცილებლადაც კი ითვლებოდა „ყოფითი ლექსიკა“. თვით ვორდსვორტიც, მიუხედავად იმისა რომ, „შერისხა“ საგანგებო პოეტური სტილის იდეა, მაინც სხვადასხვაგვარად წერდა, როდესაც ქმნიდა ოდას, „ტინტერნის სააბატოს“ მსგავს აღნერით და მედიტაციურ ლექსებს, მილტონის სტილის სონეტს, ანდა „ლირიკულ ბალადას“. თუ ჩვენ უგულებელყოფთ ასეთ თვისებებს, მაშინ აზრი არ ექნება იმ ავტორთა სტილის დახასიათებას, რომლებმაც დახვეწეს მრავალი ჟანრი და განიცადეს ხანგრძლივი მხატვრული ევოლუცია. ალბათ, სჯობს, ვილაპარაკოთ გოეთეს „სტილებზე“, ვინაიდან სხვაგვარად ვერ განვმარტავთ იმ უზარმაზარ სხვაობას, რომელიც არსებობს ადრინდელი, კლასიკური პერიოდის „Sturm und drang“-ის სტილსა და მოგვიანებით დაწერილი „Elective Affinities“-ის პომპეზურ და რთულ მანერას შორის.

სტილისტური ანალიზის ამ მეთოდს, რომელიც კონცენტრირებულია სტილის თავისებურებებზე, იმ თვისებებზე, რომლებიც მას განასხვებენ ირგვლივ არსებულ ლინგვისტური სისტემებისაგან, აშკარა ხარვეზები აქვს. სავსებით შესაძლებელია, დავაგროვოთ „იზოლირებული“ დაკვირვებები, ჩვენ მიერ შენიშნული ნიშან-თვისებების ნიმუშები, და დავივინყოთ, რომ ხელოვნების ნაწარმოები მთლიანობას წარმოადგენს. შეიძლება, აგრეთვე, აქცენტი გავაკეთოთ „ორიგინალურობაზე“, ინდივიდუალურობაზე, იმაზე, რაც სუპიექტური მიღრეკალებებით აიხსნება. უმჯობესია მეორე მიდგომა — სტილის განხილვა მთლიანობაში, სისტემურად, ლინგვისტური პრინციპების შესაბამისად. რუსეთში ვიქტორ ვინოგრადოვმა დეტალურად გამოიკვლია პუშკინისა და ტოლსტიოს ენა. სისტემურმა სტილისტიკამ ბევრი ნიჭიერი პრაქტიკოსის ყურადღება მიიქცია პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში; ესპანეთში დამასო ალონსომ სათავე დაუდო გონგორას პოეზიის სისტემურ ანალიზს, ხოლო ამადო ალონსომ ღრმად გააანალიზა პაბლო ნერუდას პოეზია.²⁰ მაგრამ ამ მეთოდს ავნებს „მეცნიერული“ სისრულის იდეალი. ანალიტიკოსს შეიძლება გამორჩეს მხედველობიდან, რომ მხატვრული ეფექტის განმარტება შეუძლებელია რაიმე ხერხის ჩვეულებრივი სიხშირის გამოთვლის მეშვეობით. მაგალითად, ჯოზეფინ მაილსი შეცდომა-

ში შეიყვანა სტატისტიკურმა მონაცემებმა, რის გამოც გამოიტანა მცდარი დასკვნა პრერაფაელიზმთან ჰომეინსის პოეტური სტილის სიახლოვის შესახებ.²¹

ლიტერატურული კვლევისათვის სტილისტური ანალიზი ყველაზე უფრო ნაყოფიერი იქნება მაშინ, როდესაც მისი მეშვეობით დავადგენთ გამაერთიანებელ პრინციპს, ზოგად ესთეტიკურ მიზანს, რომელსაც ექვემდებარება ნაწარმოების ყველა ელემენტი. მაგალითად, თუ განვიხილავთ მეთვრამეტე საუკუნის „აღნერითი“ პოეზიის წარმომადგენლის, ჯეიმს ტომსონის შემოქმედებას, შევძლებთ იმის ჩვენებას, რომ მნერლის სტილისტური ნიშან-თვისებებიგარკვეულ მთლიანობას წარმოქმნის. მილტონისეული თეთრი ლექსი წინასწარ განსაზღვრავს შერჩევას ლექსიკური საშუალებებისა, რომელთაგან ზოგიერთი აუცილებელია, სხვები კი — დაუშვებელი. ლექსიკური საშუალებები მოითხოვს პერიფრაზს, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს საგანგებო ურთიერთმიმართებას სიტყვასა და საგანს შორის: ანუ საგანი არ არის დასახელებული, მაგრამ მისი თვისებები კი მითითებულია. ალსანიშნი საგნის თვისებებისა და მათი ჩამოთვლის აქცენტირება თავისთავად განაპირობებს აღნერას; რაც შეეხება მეთვრამეტე საუკუნეში გავრცელებულ ბუნების აღნერის განსაკუთრებულ ტიპს, ის გულისხმობდა თავისებურ ფილოსოფიას: კონსტრუქცია ბადებს აზრს. პოეპზე დაწერილ წიგნში და სტატიებში მეთვრამეტე საუკუნის პოეტური სტილის შესახებ ჯეფრი ტილოტსონს მოჰყავს ამ ტიპის ბევრი საინტერესო მაგალითი, ესე იგი, პოეტური სტილის თავისებური, იდეოლოგიური ხასიათის დამადასტურებელი ნიმუშები — მისივე თქმით, სტილის „ფიზიკურ-თეოლოგიური ნომენკლატურა“. მაგრამ, ამასთანავე, მან ვერ შეძლო მათი ინტეგრირება სტილის მთლიან ანალიზთან.²² ასეთი პროცედურა, რომელიც, მეტრიკით დაწყებული, გადადის შინაარსის პრობლემებზე და ფილოსოფიასაც კი ეხება, არ უნდა მივიჩნიოთ ისეთ პროცესად, რომელიც პრიორიტეტს — ლოგიკური იქნება ის თუ ქრონოლოგიური — მიანიჭებს რომელიმე ამ ზემოაღნიშნულ ელემენტს. იდეალური იქნება ისეთი ანალიზი, როდესაც დავიწყებთ ნებისმიერი შერჩეული ელემენტით და მივალთ იმავე დასკვნამდე.

ლიტერატურის თეორია

სტილისტურ ანალიზს სწრაფად მივყავართ შინაარსის პრობლემასთან. დიდი ხანია, რაც კრიტიკოსები ინტუიციურად, უსისტემოდ განიხილავენ სტილს, როგორც გარკვეული ფილო-სოფიური თვალსაზრისის გამოხატულებას. წიგნში „გოეთე“ გუნდოლფი ძალზე ფაქიზად აანალიზებს ადრეულ ლექსებს და აჩვენებს, რა გზით აირეკლავს პოეტის დინამიკური მეტყველება მისსავე სწრაფვას ბუნების დინამიკური შემცნებისადმი.²³ ჰერ-მან ნოლმა სცადა დაესაბუთებინა, რომ სტილისტური ნიშან-თვისებები შეიძლება მიემართებოდეს ფილოსოფიის იმ სამ ტიპს, რომლებიც დილთამ წარმოაჩინა.²⁴

გერმანელმა სნავლულებმა, აგრეთვე, ჩამოაყალიბეს უფრო სისტემური მიდგომა — ე.ნ. Motiv und Wort, რომელიც ეფუძნება წარმოდგენას ლინგვისტურ ნიშან-თვისებებისა და შინაარსის ელემენტების ურთიერთშესაბამისობის შესახებ. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც გამოყენებულ იქნა ამგვარი მიდ-გომა, იყო ლეო შპიტცერის გამოკვლევა ანრი ბარბიუსის შემოქ-მედებაში სისხლისა და ჭრილობის მოტივთა განმეორებადობის შესახებ. იმზევ კიორნერმა ყოველმხრივ შეისწავლა ასეთი მო-ტივები არტურ შნიცლერის შემოქმედებაში.²⁵ უფრო გვიან, შპიტ-ცერმა სცადა, დაედგინა კავშირი განმეორებად სტილისტურ ხერხებსა და ავტორის ფილოსოფიას შორის; მისი აზრით, გან-მეორებები შარლ პეგის პოეზიაში უკავშირდება პოეტის გატაცე-ბას ბერგსონიზმით, ხოლო უიულ რომენის სტილი — მის უნანი-მიზმას. კრისტიან მორგენშტერნის (წონსენსური ლექსების აეტო-რი, რომელიც, გარკვეულწილად, მოგვაგონებს ლუის კეროლის ლექსებს) სიტყვა-მითების ანალიზი ავლენს, რომ მას ნაკითხული უნდა ჰქონდეს მაუტნერის ნომინაციისტური „Kritik der Schprache“, რომელსაც ის დაესესხა ძირითად აზრს: პოეტის ენა კიდევ უფრო შეუცნობელს ხდის ჩვენთვის ისედაც მიუწვდომელ სამყაროს.²⁶

ლეო შპიტცერს ზოგიერთ სტატიაში გამოაქვს ზომაგადა-სული დასკვნები, როდესაც მწერლის სტილისტურ ნიშან-თვისე-ბათა განხილვის საფუძველზე ადგენს ავტორის ფსიქოლოგიურ თვისებებს. ასე ახასიათებს შპიტცერი პრუსტს; შარლ ლუი ფი-ლიპთან გვხდება ხშირად განმეორებული კონსტრუქცია ა cause de. მას ენოდება pseudo-objektive Motivierung, რაც გულისხმობს მელანქოლიას, ერთგვარ ფატალიზმს; რაბლეს შემოქმედებაში

შპიტცერი აანალიზებს სიტყვათნარმოებას ისეთი ცნობილი ძირიდან, როგორიცაა შორბონნე. რაბლე ქმნის მის მრავალნაირ კომბინაციებს სავსებით შეუსაბამო სუფიქსებით, რათა შეიქმნას მრავალგვარი უსიამოვნო მეტსახელი (მაგ.: Sorbonnagre = Sorbonne + onagre, ანუ „გადარეული ვირი“). შპიტცერის აზრით, რაბლესთან შეიმჩნევა კონფლიქტი რეალურსა და არარეალურს, კომიზმა და შიშა, უტოპიასა და ნაცურალიზმს შორის.²⁷ შპიტცერის თქმით, „ის მენტალური აღგზება, რომელიც წარმოადგენს გადახრას ჩვენი ნორმალური გონებრივი მდგომარეობიდან, უნდა წარმოშობდეს შესაბამის ენობრივ გადახრას ნორმალური მეტყველებიდან“.²⁸

მოგვიანებით თვით შპიტცერმა აღარა, რომ ფსიქოლოგიური სტილისტიკის მეთოდი მიესადაგება „მხოლოდ იმ მნერლებს, რომელთა აზრით, ისინი „ინდივიდუალური გენიოსებია“, მათი სტილი კი — ინდივიდუალური. ასეთებია მეთვრამეტე საუკუნის და უფრო გვიანდელ ხანის მნერლები; წინა პერიოდებში მნერლები (დანტეც კი) ცდილობდნენ ობიექტური სტილით აესახათ ობიექტური საგნები. სწორედ იმის გაცნობიერებამ, რომ „ფსიქოლოგიური სტილისტიკა“ არ გამოდგება უფრო ადრეული პერიოდების მნერლათა შემოქმედების განსახილველად (ერთადერთი თვალსაჩინო გამონაკლისია მონტენი), ხელი შეუწყო კიდევ ერთი ტენდენციის განვითარებას, რომელიც თავიდანვე წარმოდგენილი იყო ჩემს ნაშრომებში — ესაა ლიტერატურის ანალიზისას სტრუქტურული მეთოდი გამოყენება, რაც ავლენს განსხვავებულ მწერალთა მიზნების ერთიანობას, ისე, რომ უგულებელყოფს რომელიმე მათგანის პიროვნებას.²⁹

და მართლაც, როგორი გონივრულიც უნდა იყოს ფსიქოლოგიური სტილისტიკის ზოგიერთი ვარაუდი, მას შეიძლება დავუპირისპიროთ ორი კონტრარგუმენტი. ჯერ ერთი, ამ გზით დადგენილი სტილისტური თავისებურებები, არსებითად, ემყარება არა დაკვირვებებს ენობრივ მსალაზე, არამედ — უფრო ფსიქოლოგიურსა და იდეოლოგიურ ანალიზს, რომლის დასკვნებმა უნდა გაამყაროს ენის ანალიზი. ეს არ ჩაითვლებოდა გამონაკლისად, რომ არა პრაქტიკა, რომელშიც ლინგვისტური დადასტურება თავისთავად ხშირად ნაძალადვეია ანდა ეფუძნება ძალზე არა-მყარ საბუთებს. ამ ტიპის ნაშრომებში ხშირად ივარაუდება, რომ ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, Erlebnis-ს, ხოლო ეს ტერმინი გულისხმობს ბიოგრაფიული თეორიის ოდნავ შესწორებულ ვერსიას. გარდა ამისა, მცდარია წარმოდგენაც, რომლის თანახმად, ზოგიერთ სტილისტური ხერხი აუცილებლად შეესაბამება გარკვეულ გონებრივ მდგომარეობას.

ლიტერატურის თეორია

მაგალითად, ბაროკოს პრობლემებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში გერმანულ მკვლევართა უმრავლესობა აღიარებდა „უცილებელ შესაბამისობას, ერთი მხრივ, უდიმდამო, ბუნდოვან და „ლვლარჭნილ“ ენასა და მეორეს მხრივ – შემოქმედის მგზნებარე, გაორებულ და გატანჯულ სულს შორის.³⁰ მაგრამ საქმე ისაა, რომ ბუნდოვანი და „ლვლარჭნილი“ სტილი შეიძლება განპირობებული იყოს ნინასნარ გათვლილი მიზნით და გარკვეული ტექნიკით. საერთოდ კი, ფსიქესა და სიტყვის ურთიერთმიმართება გაცილებით უფრო რთულია და გაცილებით ნაკლებად ექვემდებარება რაიმე წესებს, ვიდრე ეს, ჩვეულებრივ, ჰგონიათ.

ამრიგად, ფსიქოლოგიური Stilforschung-ის გერმანულ სკოლას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ხშირად მის ნარმომად-გენელთა შრომები შეიძლება გვეჩვენოს ერთგვარად კამუფლი-რებულ გენეტიკურ ფსიქოლოგიად, და თუმცა მის ფილოსოფიურ საფუძვლად ითვლება კროჩეს ესთეტიკა, მაგრამ ამ სკოლის პრინ-ციპები, არსებითად, სხვაგვარია. კროჩეს სისტემა, რომელიც, მთლიანობაში, მონისტურია, არ იძლევა საშუალებას, გავავლოთ მიჯნა გონების მდგომარეობასა და მის ენობრივ გამოხატულებას შორის. კროჩე გამუდმებით უარყოფს ყველა სტილისტური და რიტორიკული კატეგორიის ლირებულებას, სხვაობას სტილსა და ფორმას, ფორმასა და შინაარსს, გამოხატულებასა და ინტიუ-ციას შორის. ამ ტიპის იდენტიფიკაციათა სერას მივყავართ თეო-რიული ანალიზის შეუძლებლობამდე: სწორი ამოსავალი აზრი პოეტური შემოქმედების შემადგენელ ელემენტთა ერთიანობის შესახებ იმ ზღვრამდე მიყვანილი, რომ უკვე შეუძლებელია ამ ელემენტთა გამონაწევრება. ცხადია, რომ საჭიროა ერთმანეთის-გან გამოყოფა შემოქმედებითი პროცესი და ნანარმოები, ფორმა და შინაარსი, აზრის გამოხატვა და სტილი; ჩვენ ერთმანეთისგან გამოვყოფა ამ ელემენტებს მხოლოდ მათი ანალიზის მიზნით, ისე, რომ არ ვივინებთ მათი განუყოფლობისა და საბოლოო ერ-თიანობის შესახებ; მაგრამ ელემენტთა ამ გამოყოფის გარეშე ვერ განხორციელდება შემოქმედებითი პროცესის რაციონალიზაცია, რაც შეადგენს კრიტიკის არსს.

თუ შეგვიძლია აღვნეროთ ნანარმოების ან ავტორის სტილი, მაშინ ნამდვილად შევძლებთ ნანარმოებთა ჯგუფის ან რომე-ლიმე ჟანრის აღწერასაც. ეს ეხება ისეთ ჟანრებს, როგორები-ცაა: გოთური რომანი, ელისაბედის ხანის დრამა, მეტაფიზი-კური პოეზია; ჩვენ შევძლებთ გავანალიზოთ ისეთი სტილის-

სტილი და სტილისტიკა

ტური ტიპებიც, როგორიცაა, მაგალითად, მეჩვიდმეტე საუკუნის ბაროკოს სტილი.³¹ ჩვენი განზოგადება შეიძლება კიდევ უფრო განვავრცოთ და აღვწეროთ პერიოდისათვის ან მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი სტილი. სინამდვილეში ამის შესრულება ემპირიული სიზუსტით ძალზე ძნელია. ისეთ წიგნებში, როგორებიცაა ე. ბარას *Le Style poetique et la revolution romantique*, ანდა ლუიზ ტონის *Die Sprache des deutschen Impressionismus*, მიკვლეულია ბევრი სტილისტური ხერხი, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურება, რომლებიც დამახასიათებელია მთელი სკოლისა თუ მიმდინარეობისთვის. ბევრი რამ არის გაკეთებული ძველი ტეკტონური პოეზიის სტილის აღნერისთვის. მაგრამ ამ ნაშრომებში გაანალიზებულია ის სტილები, რომლებიც საერთოა სკოლის ყველა (სტილის თვალსაზრისით, მეტწილად ერთგვაროვანი) ნარმომადგენლისთვის — ისინი შეიძლება განვიხილოთ ისევე, როგორც განვიხილავთ ცალკეული მწერლების სტილებს. მთელი ლიტერატურული ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების — კლასიციზმის, რომანტიზმის — აღნერა, თითქმის დაუძლეველი წინააღმდეგობებს წანწყდება, რადგან აუცილებელია ჩამოვაყალიბოთ უაღრესად განსხვავებული მწერლების (რომლებიც ხშირად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან) სტილთა ერთიანი მოდელი.

ვინადან ხელოვნებათმცოდნეობამ შეიმუშავა სტილთა (მაგ., ანტიკურის, გოთურის, რენესანსულის და ბაროკოს) მონაცვლეობის ფართოდ აღიარებული კონცეფცია, ძალზე მიმზიდველია ლიტერატურის ისტორიაზე მისი გადატანის იდეა. მაგრამ აქ ჩვენ კვლავ ვუძრუნდებით იმ პრობლემას, რომელსაც ენოდება პარალელიზმი ხელოვნებათა დარგებში და, აგრეთვე, ურთიერთ-მიმართება ხელოვნებასა და ლიტერატურას, უფრო ფართოდ კი, ჩვენი ცივილიზაციის დიად პერიოდებს შორის.

თავი მეოთხოვები

სახე, მეტაფორა, სიმპოზიუმი

*

მას შემდეგ, რაც განვახორციელეთ პოეტური ნაწარმოებების კლასიფიკაცია შინაარსისა და თემების მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ტიპის დისკურსს განეკუთვნება პოეზია); მას შემდეგ, რაც დავუშვით, რომ პოეტური ქმნილების საზრისი არ გადმოიცემა მისი პროზაული პარაფრაზით, არამედ გამოიხატება მის სტრუქტურათა ერთიან კომპლექსში, განვიხილავთ — ძირითადი პოეტური სტრუქტურის სახით — ოთხ კატეგორიას, რომლებიც სათაურშია დასახელებული.

ჩვენს ერთ-ერთ თანამედროვეს უთქვამს, რომ პოეზიის ორი მთავარი მაორგანიზებელი პრინციპი არის მეტრი და მეტაფორა; მეტიც, განაგრძობს ის, „მეტრი და მეტაფორა „წყვილური ცნებებია“, ხოლო პოეზიის ჩვენებული განსაზღვრა საკმარისად ზოგადი უნდა იყოს, რათა მოიცვას ორივე ცნება და განმარტოს მათი ურთიერთკავშირი“.! პოეზიის ზოგადი თეორია, რომელიც ამ მოთხოვნაშია ნაგულისხმევი, ბრნყინვალედ ჩამოაყალიბა კოლრიჯმა თავის “Biographia Literaria”-ში.

მაგრამ აქეს თუ არა ამ ოთხ ცნებას საერთო აღსანიშნი ობიექტი? ეს ტერმინები სემანტიკურად ნანილობრივ გადაფარავს ერთიმეორეს და მათი მოქმედების სფეროც ერთი და იგივეა. ალბათ, ტერმინთა ამ ჩვენი თანამიმდევრობის შესახებ — სახე, მეტაფორა, სიმბოლო და მითი — შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიმართულებით ხდება პოეზიის იმ ორი ასპექტის შერწყმა, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ლიტერატურის თეორიისთვის. პირველი ასპექტში პოეზია წარმოგვიდგება, როგორც გრძნობადინდივიდუალურის გამოხატულება, გრძნობადი და ესთეტიკური მოცემულობა, რომელიც პოეზიას აკავშირებს მუსიკასთან, ფერწერასთან, მაგრამ მიჯნავს ფილოსოფიისგან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან; რაც შეეხება მეორე ასპექტს — ეს არის „ფიგურაცია“ ან „ტროპოლოგია“, ანუ „არაპირდაპირი,

ირიბი“ დისკურსი, რომელიც მიმართავს მეტონიმიებს და მეტა-ფორებს, და ნაწილობრივ ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა სა-მყაროს, აზუსტებს თავის საგანს სხვა სისტემათა ენებზე თარგმ-ნის საშუალებით.² განსხვავებით მეცნიერული დისკურსისაგან, ეს ორივე შემთხვევა ასახავს სწორედ ლიტერატურის differentiae-ს, მის დამახასიათებელ ნიშნებს. ნაცვლად იმისა, რომ შექმნას აბ-სტრაქციათა სისტემა, რაც მუდამ გამოიხატება ერთმნიშვნელო-ვან სიტყვიერ შესაბამისობათა თანმიმდევრული სისტემით, პოე-ზია აგებს იმგვარ სიტყვათა ერთადერთ განუმეორებელ წყობას, რომლებიც ერთდროულად საგნებიცაა და ნიშნებიც, ისე, რომ შეუძლებელია აზრის გამოტანა ნებისმიერი სისტემიდან, მოცე-მული ნაწარმოების მხატვრული სისტემის გარდა.³

საკითხის სემანტიკური სიძნელეები მართლაც დამა-ფიქრებელია, და არანაირი მზა „შვება-ნამალი“ არ ჩანს, გარდა იმისა, რომ მუდამ ყურადღებით მოვეკიდოთ ტერმინთა კონტექს-ტუალურ გამოყენებას, განსაკუთრებით კი მათი პოლარული და-პირისპირების შემთხვევებში.

სახიერება არის თემა, რომელიც თანაბრად მიემართება რო-გორც ფსიქოლოგიას, ისე ლიტერატურათმცოდნეობას. ფსიქო-ლოგიაში სიტყვა „სახე“ გულისხმობს შეგრძნებებში ან ალქმაში აღბეჭდილი (არააუცილებლად ვიზუალური) გამოცდილების მენტალურ რეპროდუქციას. ფრენსის გალტონის (1880) პირველი კვლევები მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ რამდენად შეს-წევს ადამიანს უნარი, ვიზუალურად ალიდგინოს წარსული. მან ამ კვლევებით დაადგინა, რაოდენ დიდად განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან ადამიანები თავიანთი წარმოსახვის უნარით. მაგრამ სახიერება არ არის მხოლოდ ვიზუალური ხასიათისა. ფსიქოლო-გებმა და ესთეტიკის დარგში მომუშავე მკვლევრებმა შეიმუშავეს სახეთა მრავალგვარი ტიპის კლასიფიკაცია. სახეები არსებობს არა მარტო „გემოს“ და „ყნოსვის“ სფეროში, არამედ თერმულიც, პროპრიოცეპტულიც („ეინესთეტური“, „ჰაპტიკური“, „ემფატი-კური“). სტატიკურსა და კინეტიკურ (ან „დინამიკურ“) სახიერებას შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა. ფერითი სახიერება შეიძლება გამოიყენებოდეს ტრადიციული ანდა ინდივიდუალურ სიმბოლიკით, თუმცა შეიძლება არც ჰქონდეს ამგვარი დატვირთ-ვა. კინესთეტური სახეები (განურჩევლად იმისა, გამოწვეულია

ლიტერატურის თეორია

თუ არა ის პოეტის არანორმალური ფიზიკური კონსტიტუციით, თუ ლიტერატურულ პირობითობას წარმოადგენს) ხასიათდებიან უნარით, გადაერთვნენ გრძნობათა ერთი სფეროდან მეორეში, მაგ., ბეგერითიდან ფერითში. ბოლოს, პოეზიის მოყვარულისთვის სასარგებლობა იცოდეს, რომ არსებობს სხვაობა „ბმულ“ და „თავი-სუფალ“ სახიერებას შორის. პირველი არის სმენითი და კუნთოვანი სახიერება (რაც აუცილებლად ამოქმედდება, თუნდაც ადამიანი თავისთვის კითხულობდეს, ე.ი. არ ახმოვანებდეს წაკითხულს); ამგვარი სახეები ერთნაირია ყველა მკითხველთან. მეორე ეხება ვიზუალურ და სხვაგვარ სახეებს, რომლებიც სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ადამიანთან.⁴

ჯერ კიდევ აქტუალურია ა.ა. რიჩარდსის დებულებები, რომ-ლებიც ჩამოყალიბებულია 1924 წელს გამოცემულ „პრინციპებში: „ყოველთვის ზომაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახეთა გრძნობად ასევეტს. სახის ქმედითობა მის სიცხოველეს კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ უფრო მის უნარს, იყოს ცნობიერების ფაქტი, რაც სპეციფიკურად უკავშირდება გრძნობად აღქმას“. სახის ქმედითობას განაპირობებს მისი „რელიქტურობა“ და, აგრეთვე, ის, რომ სახე გრძნობადი გამოცდილების რეპროდუქ-ციას ახორციელებს.⁵

ბუნებრივია, რომ სახიდან, როგორც შეგრძნების რეპ-როდუქციიდან, უნდა გადავიდეთპოეზიის მეორე ასპექტზე, რო-მელიც წარმოადგენს კვლევის ჩვენთვის საინტერესო სფეროს, ანუ ანალოგიის და შედარების თემას. ალნერით პირზიაშიც კი არ არსებობს მხოლოდ ვიზუალური სახეები; იმ ავტორთა შორის, ვინც სცა-და შეექმნა „იმაჟინისტური“ თუ „ფიზიკური“ პოეზია, საბოლოოდ მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა შემოიფარგლულიყო მხოლოდ და მხოლოდ გარე სამყაროს სურათების ასახვით. არსებითად, ისინი ამისკენ არც კი ისწრაფვოდნენ. ეზრა პაუნდმა, რამდენიმე პოე-ტური მიმდინარეობის თეორეტიკოსმა, „სახე“ განსაზღვრა არა როგორც ხატოვანი რეპრტიცენტია, არამედ როგორც „ინტელექ-ტუალურ და ემოციური კომპლექსის ასახვა დროის გარკვეულ მომენტში“, როგორც „შეუსაბამო იდეების გაერთიანება“. იმაჟი-ნისტების კრედოში ნათქვამია: „ჩვენ გვჯერა, რომ პირზიამ დე-ტალები ზუსტად უნდა ასახოს და თავი აარიდოს ზოგადს და ბუნ-დღვანს, რაგინდ ტკბილხმოვანიც უნდა იყოს ის“. მაშინ, როდესაც

ელიოტი ადიდებს დანტეს და თავს ესხმის მილტონს, იგი უფრო დოგმატური ჩანს თავისი აქცენტით Bildlichkeit-ზე. მისი სიტყვებით, „დანტესული წარმოსახვა ვიზუალურია“. ის ალეგორისტია, „ხოლო გათვითცნობიერებული პოეტისათვის ალეგორია ნიშნავს „ვიზუალურ სახეს“. მეორე მხრივ, სამწუხაროდ, მილტონისული „წარმოსახვა სმენითა“ ვიზუალური სახეები “L'Allegro”-ში და “Il Penseroso”-ში „მთლიანად ზოგადია.. მილტონი ვერ ხდავს კონკრეტულ მხვნელს, მერძევე ქალს ან მწყემსს. ამ ლექსების გრძნობადი ეფექტი მთლიანად ყურზე და სმენაზეა გათვლილი და შესაბამება ზოგად წარმოდგენას მხვნელის, მერძევე ქალის და მწყემსის შესახებ.”⁶

ყველა ამ გამოთქმაში აქცენტი კეთდება უფრო particularity-ზე, „განსაკუთრებულზე“, და „სამყაროთა კავშირზე“ (ამაშია ანალოგის, მაგ., ალეგორიის არსი: „შეუსაბამო იდეების გაერთიანება“), ვიდრე გრძნობად ელემენტზე. ვიზუალური სახე წარმოადგენს შეგრძნებას ან აღქმას, მაგრამ ამასთანავე ის, ასე ვთქვათ, „წარმოგვიდგენს“ და მიმართავს რაღაც უხილავს და „შინაგანს“. ის შეიძლება იყოს ერთ-დროულად პრეზენტაციაც და რეპრეზენტაციაც (“the black bat night has flown”.. “Yonder all before us lie Deserts of vast eternity”). სახე შეიძლება იყოს „აღნერითი“ (ასეა ჩვენს მაგალითებშიც), ან წარმოადგენდეს მეტაფორას. მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ სახე, რომელიც არ იყო ჩაფიქრებული როგორც მეტაფორა, ანუ არ იყო დანახული „გონების თვალით“, იქცეს სიმბოლოდ? განა ყოველგვარი აღქმა შერჩევითი არ არის?⁷

ასე, მიდლტონ მერი მიაკუთვნებს „სიმბოლოს“ და „მეტაფორას“ რიტორიკის „ფორმალურ კლასიფიკაციას“ და გვთავაზობს, რომ „სახე“ გამოვიყენოთ როგორც ორივე მათგანის მომცველი ტერმინი. ამასთან ერთად, ის გვაფრთხილებს: „პატეგორიულად უნდა უგულებელყოთ ის ვარაუდი, რომ სახე აუცილებლად (ან უმეტესნილად) ვიზუალური უნდა იყოს“. სახე „შეიძლება იყოს ვიზუალური, სმენითიც, ანდა მთლიანად ფსიქოლოგიური“.⁸ ისე-თი განსხვავებული მწერლების შემოქმედებაში, როგორებიც არიან შექსპირი, ემილი ბრონტე და პო, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ფონი („მონაცემთა“ სისტემა) ხშირად მეტაფორაა ანდა სიმბოლო: აბობოქრებული ზღვა, ქარიშხალი, ველური ტრამალი, ნესტში, მთის მრუმე ტბასთან მდგომი, ნანგრევებად ქცეული ციხე-დარბაზი.

ლიტერატურის თეორია

ისევე როგორც „სახემ“, „სიმბოლომაც“ მისცა თავისი სახე-ლი ცნობილ ლიტერატურულ მიმდინარეობას.⁹ „სახის“ მსგავსად, „სიმბოლო“ კვლავ ჩნდება სრულიად განსხვავებულ კონტექსტში და სხვადასხვაგარი მიზნით. მას, როგორც ტერმინს, იყენებენ ლოგიკაში, მათემატიკაში, სემანტიკაში, სემიოტიკასა და ეპისტემოლოგიაში; მას აქვს, აგრეთვე, ხანგრძლივი ისტორია ისეთ სფეროებში, როგორიც არის თეოლოგია („სიმბოლო“ წარმოადგენს „სარწმუნოების“ ერთ-ერთ სინონიმს), ლიტურგია, სახვითი ხელოვნება და პოეზია. სიტყვის ყველა ამ თანამედროვე მნიშვნელობისთვის საერთოა მათი თვისება, აღნიშნონ რაღაც უფრო მეტი, მიანიშნონ რაღაცის უთქმელობაზე. მაგრამ ბერძნული სიტყვა, რაც ნიშნავს გაერთიანებას, შედარებას, გვკარნახობს, რომ ანალოგია ნიშანსა და აღსანიშნს შორის იმთავითვე არსებობდა. ის ჯერაც არის ნაწილობრივ შემორჩენილი ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობაში. „სიმბოლო“ ალგებრასა და ლოგიკაში პირობითი, შეთანხმების შედეგად შერჩეული ნიშანია; რაც შეეხება რელიგიურ სიმბოლოებს, ისინი ეფუძნებან რაღაც შინაგან კავშირს „ნიშანსა“ და „აღსანიშნს“, მეტონიმიასა თუ მეტაფორას შორის: ჯვარი, ქრავი და მწყემსი კეთილი. სასურველია, რომ სიტყვა „სიმბოლო“ ამავე მნიშვნელობით იქნას გამოყენებული ლიტერატურის თეორიაში: როგორც ობიექტი, რომელიც გამოხატავს სრულიად სხვა რაიმეს, მაგრამ, ამასთან, თავისთავადაც იძყრობს ყურადღებას, რადგან ახდენს, აგრეთვე, საკუთარი მნიშვნელობის პრეზენტაციას.¹⁰

არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, „ნიმინდა სიმბოლიზმი“ რელიგიასა და პოეზიაში დაიყვანება გარკვეული წესების მიხედვით გაფორმებულ გრძნობად სახეებამდე, ანდა უნაცვლებს „ნიშნების“ ან „სახეების“ მოცემულ სისტემას მორალური ან ფილოსოფიური ტრანსცენდენტული რეალობით, რაც მათ მიღმა არსებობს. მეორე თვალსაზრისით, სიმბოლიზმი, არის იდეების მიზანმიმართული ხორციელება თვალსაჩინო, კონკრეტულ-გრძნობად ცნებებში, რომელთაც შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, კოლრივი შეხედულებით, „ალეგორია წარმოადგენს „აბსტრაქტული ცნებების უბრალო თარგმანს თვალსაჩინოდ წარმოდგენილი სურათების ენაზე, იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი თვითონაც წარმოადგენს გრძნობებით აღქმული საგნების

სახე, მეტაფორა, სიმბოლო, მითი

აბსტრაქციას“; „სიმბოლო კი ყოველთვის განისაზღვრება ზოგად-გვარეობრივის გამოვლენით კერძოობითში, ან საყოველთაოსი — ცალკეულში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელი ხდება მარადისობის („სინათლის“) განჭვრეტა დროის მიღმა.“¹¹

რა განასხვავებს „სიმბოლოს“ „სახისგან“ და „მეტა-ფორისგან“? ჩვენი აზრით, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის „სიმბოლოს“ განმეორებადობა და მდგრადობა. „სახე“ შეიძლება ერთხელ იყოს გამოყენებული როგორც მეტაფორა, მაგრამ თუ კვლავაც მეორდება, როგორც პრეზენტაცია და რეპრეზენტაცია, იგი სიმბოლოდ იქცევა და შეიძლება სიმბოლური (ან მითური) სისტემის ნაწილადაც იქცეს. ბლეიკის „უბინების“ და „განცდის საგალობლებზე“, ჯ.ჰ. უიკსტიდი წერს: „სიმბოლიზმი წმინდა სახით აქ შედარებით ნაკლებადაა, მაგრამ სიმბოლური მეტაფორური ჭარბად გვხვდება“ თავის ადრეულ ესეში — „ნარმმართველი სიმბოლოების შესახებ“ — რომელიც შელის პოეზიას ეხება, იეიტსი აღნიშნავს: „გარდა უამრავი სახისა, რომელთათვისაც არ არის ნიშანდობლივი სიმბოლოსათვის დამახასიათებელი განსაზღვრულობა [ფიქსირებულობა?], მის პოეზიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ბევრი სახე, რომლებიც ნამდვილად სიმბოლოებს წარმოადგენენ, და რამდენიმე წლის შემდევ იგი ამ სიმბოლოებს სულ უფრო მეტად იყენებდა საგანგებო სიმბოლური მნიშვნელობით“, — მაგალითად, მღვიმეებისა და კონკების სახეებს.¹²

ეს ხშირი მოვლენაა: მწერლის ადრეულ შემოქმედებაში აღნერილი „გარემო“ გვიანდელი პერიოდის ნანარმოებებში ტრანსფორმაციას განიცდის და „სიმბოლოდ“ გადაიქცევა. თავის ადრეულ რომანებში პენრი ჯეიმსი სკრუპულოზურად წარმოაჩენს პიროვნებებსა და მათ გარემოს, მაშინ როდესაც გვიანდელი პერიოდის რომანებში ყველა სახე მეტაფორად და სიმბოლოდ გვევლინება.

როდესაც ვმსჯელობთ პოეტური სიმბოლიზმის შესახებ, თანამედროვე პოეტის „ინდივიდუალური სიმბოლიზმი“ უნდა განვასხვავოთ წარსული ხანის პოეტების სავსებით გასაგები სიმბოლიზმის-გან. ეს თვალსაზრისი თავიდან, სულ ცოტა, ბრალდებად უდერდა; მაგრამ ამჟამად ჩვენი დამოკიდებულება პოეტური სიმბოლიზმისადმი კვლავ უაღრესად წინააღმდეგობრივია. „ინდივიდუალურის“ ალტერნატივის ფორმულირება ძნელია: თუ „ჩვეულებრივსა“ და

ლიტერატურის თეორია

„ტრადიციულს“ გამოვიყენებთ, მაშინ დავუპირისპირდებით ჩვენ-სავე სურვილს, რომ პოეზია ახალი უნდა იყოს, უნდა განვითაროს. „ინდივიდუალური სიმბოლიზმი“ გულისხმობს სისტემას, და გულისყვარიანი მკვლევარი შეძლებს იგი ისე განმარტოს, როგორც ამას ახერხებს კრიპტოგრაფი უცხო ტექსტის გაშიფრვისას. მრავალი ინდივიდუალური სისტემა (მაგ., თუნდაც ბლეიკისა და იეიქსის) მნიშვნელოვანნილად მოიცავს ტრადიციულ სიმბოლობს, თუმცა თავს არიდებს მის ყველაზე „პოპულარულ“ ფორმებს.¹³

„ინდივიდუალური“ და „ტრადიციული“ სიმბოლიზმის განხილვის შემდეგ საპირისპირო პოლუსზე აღმოვაჩენთ ერთგვარ ხალხურ „ბუნებრივ“ სიმბოლიზმს, რომელიც ასევე რთული მოვლენაა. ფრონტის ზოგიერთ საუკეთესო პოემაში გამოყენებულია ბუნებრივი სიმბოლოები, რომელთა მნიშვნელობის დადგენა ძნელია: „გზა, რომელსაც არ დავადექი“, „კედლები“, „მთა“. პოემაში „შევჩერდი ტყის პირას“ სიტყვები — „დაძინებამდე შორი გზაა გასავლელი“ — ჩვენი აზრით, მგზავრისთვის ბუნებრივი ფრაზაა; მაგრამ ბუნებრივი სიმბოლიზმის ეზაზე „ძილი“ ხომ „კვდომას“ ნიშნავს; დავაწყვილოთ კონტრასტის საფუძველზე, „ტყე მშვენიერი, ბწელი, ულრანი“ (სამივე ზედსართავი დადებითი მნიშვნელობისაა) ზნეობრივ-საზოგადოებრივი დატვირთვის მქონე სიტყვებთან: „ერთგული ვიყო დანაპირების“. აუცილებლად შევიგრძნობთ, რომ გარკვეულ მომენტში ესთეტიკური ჭვრეტა იწვევს შინაგანი თავისუფლების შეგრძნებას. ალბათ, არ არსებობს პოეზიის მოყვარული ადამიანი, რომელსაც არ მიიზიდავს ფრონტი; მაგრამ, ნაწილობრივ თავისი ბუნებრივი სიმბოლიზმის გამო, ფრონტმა მიიპყრო მკითხველთა ძალზე ფართო წრების ყურადღება. ბევრმა მკითხველმა, რაკი ერთხელ უკვე გაიაზრა სიმბოლოთა შესაძლებლობები, შეიძლება გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭოს მათ (სულ ერთია, ეს „ბუნებრივი“ სიმბოლოებია, თუ მათი თანმდევი სიმბოლოები) და ფრონტის პოლისემანტიკურ გამოთქმებს მიაწეროს ისეთი განსაზღვრულობა და სიცხადე, რაც უცხოა პოეტური ენის ბუნებისათვის, განსაკუთრებით — თანამედროვე პოეტური ენისთვის.¹⁴

ჩვენი მეოთხე ტერმინია „მითი“, რომელიც არისტოტელეს „პოეტიკაში“ აღნიშნავს სიუჟეტს, ნარატიულ სტრუქტურას და „ფაზულას“. მისი ანტონიმი და საპირისპირო ცნება „ლოგოსია“. „მითი“ არის ნარატივი, ამბავი, თხრობა — დიალექტიკური დისკურსის საპირისპიროდ. „მითი“ ირაციონალურია, ინტუიცი-

ური, და ამით განსხვავდება ფილოსოფიური სისტემურობისგან: შეიძლება ითქვას, რომ ის არის სოკრატეს დიალექტიკასთან დაპირისპირებული ესქილეს ტრაგედია.¹⁵

„მითი“ გამორჩეული ტერმინია თანამედროვე კრიტიკაში. იგი დომინირებს შემეცნების მნიშვნელოვან სფეროში, რომელიც მოიცავს რელიგიას, ფოლკლორს, სოციოლოგიას, ფსიქოანალიზს და სახვით ხელოვნებას. მისი ოპონენტებია „ისტორია“, „მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „აღლებორია“, „ჭეშმარიტება“.¹⁶

მეჩვიდეტემეტვრამეტე საუკუნეებში, განმანათლებლობის ხანაში, ამ ტერმინს ჩვეულებრივ ჰქონდა დამაკინებელი კონტაცია: მითი იყო გამონაგონი, „ფიქცია“, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი მეცნიერული თუ ისტორიული საფუძველი. მაგრამ უკვე ვიკოს „Scienza nuova“-ში აქცენტი გადატანილია იმაზე, რაც გერმანელი რომანტიკოსებიდან, აგრეთვე — კოლრიჯიდან, ემერსონიდან და ნიცშედან მოყოლებული, თანდათანობით წამყვან ელემენტად გადაიქცა: ეს იყო „მითოსის“ ცნება, რომელიც, პოეზიის მსგავსად, აღიქმებოდა როგორც ჭეშმარიტების კატეგორია ან მისი ეკვივალენტი, რაც არ უპირისპირდება ისტორიულ და მეცნიერულ ჭეშმარიტებას და მის დანამატს წარმოადგენს.¹⁷

ისტორიულად მითს წინ უსწრებს რიტუალი, რომელსაც ის შეესაბამება; მითი არის „რიტუალის სიტყვიერი ნაწილი, ამბავი, რომელიც გათამაშებულია რიტუალში“. რიტუალი სრულდება ქურუმის მიერ მიერ, რათა თავიდან იშოროს უბედურება ან მოიზიდოს იღბალი; რიტუალი ისეთსავე აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც მოსავალი და ადამიანის ნაყოფიერება, როგორც ინიციაცია ახალგაზრდისა თავისი საზოგადოების კულტურაში და, სამომავლოდ, მიცვალებულთა სათანადო უზრუნველყოფა. მითი, უფრო ფართო მნიშვნელობით, ნიშნავს ნებისმიერ ანონიმურად შეთხულ ამბავს, რომელიც მოგვითხრობს წარმოშობასა და ბედზე: საზოგადოება განუმარტავს ახალგაზრდებს, როგორ წარმოშვა სამყარო და რატომ ვიქცევით ჩვენ ისე, როგორც ვიქცევით. და ამ განმარტებებში აისახება ბუნებისა და ადამიანის ბედის შთამბეჭდავი სახეები.¹⁸

როგორც ჩანს, ლიტერატურის თეორიისათვის მნიშვნელოვან მოტივებს წარმოადგენს სახე (ან სურათი), სოციალური, ზებუნებრივი (არაბუნებრივი, ირაციონალური), ნარატივი (ამბავი),

ლიტერატურის თეორია

არქეტიპული (უნივერსალური), მარადიული იდეალების სიმბოლური ასახვა კონკრეტული დროით განპირობებული მოვლენების მეშვეობით, საპროგრამო (ან ესქატოლოგიური), და, ბოლოს, მისტიკური. თანამედროვე აზროვნება, მითოლოგიზმისადმი სწრაფვისას, შეიძლება დაეფუძნოს ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ მოტივს, შემდეგ კი სხვებსაც. ამასთან დაკავშირებით, სორელი აცხადებს, რომ მთელი მსოფლიოს მუშათა „საერთო გაფიცვა“ არის „მითი“; ასეთი იდეალი არასოდეს იქცევა ისტორიულ ფაქტად, მაგრამ ის წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც სამომავლო მოვლენა; მხოლოდ ამ გზით ჰპოვებენ მუშები აუცილებელ ძალებსა და რწმენას; მითი არის პროგრამა. ქრისტიანულ ესქატოლოგიაზე საუბრისას, ნიბური მას მითურს უწოდებს: მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე მომავლის სახეებში წარმოგვიდგენს იმ ზენობრივ, სულიერ შეფასებებს, რომლებიც არსებობს ამჟამად (და ყოველთვის).¹⁹ თუ მითს უპირისპირდება მეცნიერება ან ფილოსოფია, ასეთ შემთხვევაში წარმოსახულ, ინტუიციურად შემეცნებულ კონკრეტულობას უპირისპირდება განყენებული რაციონალური ცნება. საერთოდ, ლიტერატურის თეორეტიკოსებისა და აპოლოგეტების წინაშე მითი ავლენს თავის ბუნებას: მითი არის სოციალური, ანონიმური და საზოგადოებრივი მოვლენა. ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ, ვინაა თანამედროვე მითების ავტორი ან ავტორები. მაგრამ ასეთ ქმნილებას მაინც შეიძლება ჰქონდეს მითის თვისებრივი სტატუსი – თუნდაც დავიწყებული იყოს მისი ავტორი, ან ის საერთოდ არ იყოს ცნობილი. მთავარია, რომ მითი აღიარებული იყოს კოლექტივის მიერ, შეესატყვისებოდეს მის მოთხოვნებს.

ამ ტერმინის საზღვრების დადგენა ადვილი არ არის; თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ის მიისნება საზღვრების „შემეცნების სფეროსკენ“. ჩვენ გვსმენია მხატვრებზე და პოეტებზე, რომლებიც გატაცებული არიან მითოლოგიის ძიებით; გაგებული გვაქვს „მითები“ პროგრესსა და დემოკრატიაზე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ „მითი დაბრუნდა მსოფლიო მწერლობაში“. ამასთანავე, ისიც გვსმენია, რომ ერთი ვინმე მითს ვერ შექმნის, ვერც გადაწყვეტს, რომ ირნმუნოს ის, და ვერც აქცევს მას რეალობად თავისი ნებით: მითი წიგნმა შეცვალა, ისევე, როგორც კოსმოპოლიტურმა ქალაქმა შეცვალა ქალაქ-სახელმწიფოს ჰომოგენური საზოგადოება.²⁰

სჭირდება თუ არა თანამედროვე ადამიანს მითი, ან საერთოდ, მითოლოგია, ურთიერთდაკავშირებული მითების სისტემა? ნიცშეს თვალსაზრისის თანახმად, სოკრატემ და სოფისტებმა, ანუ „ინტელექტუალებმა“ ძირი გამოუთხარეს ბერძენთა „კულტურას“. შესაბამისად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განმანათლებლობამ დაანგრია ქრისტიანული „მითოლოგია“, ანდა შეუდგა მის დანგრევას. მაგრამ სხვა მნერლების აზრით, თანამედროვე ადამიანს აქვს ზერელე, არაადეკვატური და იქნებ, სულაც „ყალბი“ მითები: ასეთია მითი „პროგრესზე“ და „თანასწორობაზე“, ან კიდევ საყოველთაო განათლებაზე, ან იმ ჰიგიენურ და მოდურ კეთილდღეობაზე, რომელსაც ასე გვანიხებს რეკლამა. ალბათ, ამ ორი თვალსაზრისის შერიგება შესაძლებელია მხოლოდ იმის აღიარებით, რომ როდესაც „თანამედროვეობა“ თუ „მოდერნიზმი“ არღვეს ძველ, ჩვეულ ცხოვრებისეულ წესებს (რიტუალებს, მათი თანმხლები მითებითურთ), მაშინ ადამიანთა უმრავლესობა (ან საერთოდ, ყველა) სულიერ სიცარიელეს განიცდის — მათ არ აქმაყოფილებს აბსტრაქციები და ამიტომ ცდილობენ შეავსონ სიცარიელე უმწიფარი, სახელდახელოდ შეთხზული, ფრაგმენტული მითებით (იმ სურათებით, რაც შეიძლება მომხდარიყო, ანდა რაც მათთვის სასურველია). საუბარი მითის საჭიროებაზე, როცა საქმე ეხება ფანტაზიისა და ნარმოსახვის მქონე მწერალს, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის მიისწრაფვის საზოგადოებისკენ, სურს, დაიმსახუროს საზოგადოებაში აღიარებული სტატუსი ხელოვანისა. ფრანგმა სიმბოლისტებმა მიაღწიეს ნებაყოფლობით იზოლაციას საზოგადოებისგან. ამ „ჰერმეტულ“ პოეტებს მიაჩნდათ, რომ მათ წინაშე იყო არჩევანი: ერთი მხრივ, ხელოვნების კომერციული პროსტიტუირება, მეორე მხრივ კი, წმინდა ხელოვნების მსახურება. მაგრამ იეიტსი, მიუხედავად იმისა, რომ აღმერთებდა მალარმეს, მაინც გრძნობდა საჭიროებას, კავშირი ჰქონდა ირლანდიასთან. ამიტომ ტრადიციული კელტური მითოლოგია მან განაახლა თანამედროვე ირლანდიის საკუთარი მითოლოგიზებული ვერსიით, რომელშიც შესაძლებელია ანგლო-ირლანდიური ნეკლასიცისტების (ე.ნ. ავგუსტინელების — სვიფტის, ბერკლის და ბიორკის) ისეთივე თავისუფალი ინტერპრეტაცია, როგორც ვეიჩელ ლინდზის ამერიკელი გმირებისა.²¹

ლიტერატურის თეორია

ბევრ მწერალს მითი წარმოუდგენია პოეზიისა და რელიგიის საერთო მნიშვნელად. რასაკვირველია, არსებობს თანამედროვე ხედვაც — მეტიუ არნოლდი და ა.ა. რიჩარდსი (ადრეულ ნაშრომებში) აცხადებდნენ, რომ პოეზია სულ უფრო აქტიურად იკავებს რელიგიის ადგილს, რომლისაც ალარ სჯერათ თანამედროვე ინტელექტუალებს. მაგრამ გაცილებით უფრო დამაფიქრებელია ის წარმოდგენა, რომ რელიგიის ადგილს პოეზია ხანგრძლივად ვერ დაისაკუთრებს, ვინაიდან მისი არსებობა დიდად ვერ გადაამეტებს რელიგიისას. რელიგია უნდა ვაღიაროთ უფრო მაღალი რანგის მისტერიად, პოეზია კი — ნაკლებისა. რელიგიური მითი წარმოადგენს ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილ პოეტურ მეტაფორას. ასე, მაგალითად, ფილიპ უილრაიტი, რომელიც გამოხატავს პროტესტს იმის მიმართ, რომ პოზიტივისტთა „რელიგიური ჭეშმარიტება და პოეტური ჭეშმარიტება უარყოფილია როგორც ფიქცია“, ამავე დროს აღიარებს „მითურ-რელიგიური პერსპექტივის“ აუცილებლობას. ამ თვალსაზრისის უფრო ადრინდელი ინგლისელი მომხრე და წარმომადგენელი არის ჯონ დენისი, ხოლო შედარებით გვიანდელი ხანისა — არტურ მეიჩენი.²²

ძველი ლიტერატურული გამოკვლევები ზერელედ, გარეგნული მონაცემების მიხედვით მსჯელობენ სახის, მეტაფორის, სიმბოლოსა და მითის შესახებ; მეტწილად განიხილავდნენ მათ, როგორც სამშვენისებს, რიტორიკულ ორნამენტებს და ამიტომ შეისწავლიდნენ, როგორც წანარმოებების იზოლირებულ ელემენტებს. ჩვენი აზრით, ლიტერატურის მნიშვნელობა და ფუნქცია ძირითადად წარმოჩენილი არის მეტაფორასა და მითოლოგიური აზროვნება, აზროვნება მეტაფორული და მითოლოგიური აზროვნება, აზროვნება მეტაფორების საშუალებით, აზროვნება პოეტური წარატივის ან ხედვის საშუალებით. ყველა ეს ტერმინი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ლიტერატურული წანარმოების მი ასპექტებს, სადაც ძველი ანტაგონისტები — „ფორმა“ და „შინაარსა“ — განუყოფელ მთლიანობას წარმოქმნის. ეს ტერმინები ორ ურთიერთსაპირისპირო ტენდენციას ასახავს: ერთი მხრივ, ისინი გამოხატავენ პოეზიის სწრაფვას „სურათისა“ და „სამყაროსკენ“, ხოლო მეორე მხრივ — რელიგიისა და Weltanschauung-ისკენ. თუ თვალს გადავავლებთ მათ შემსწავლელ თანამედროვე მეთოდებს, კიდეც ვიგრძნობთ ამ სწრაფვას. მაშინ,

როდესაც ძველი მეთოდოლოგია განიხილავდა მათ, როგორც მხატვრულ (თუმც კი, უპრალლოდ, დეკორატიული დანიშნულების ქქონე) ხერხებს, ამჟამად ჭარბი ყურადღება ეთმობა (რაც ასევე არასასურველია) Weltanschauung-ს. ბუნებრივია, რომ ნეოკლასიკური პერიოდის დასასრულს შოტლანდიელი რიტორის აზრით, საჭიროა სიმბოლოებისა და მეტაფორების ზუსტად გათვლილი შერჩევა; ფრონიდის თანამედროვე მიმდევრები, პირიქით, ფიქრობენ, რომ ყველა სახე ქვეცნობიერის გამოვლინებას წარმოადგენს. საჭიროა დავიცვათ ჰარმონიული წინასწორობა რიტორიკასა და ფსიქოლოგიურ ბიოგრაფიზმს შორის, რომელიც გარდუვალად უკავშირდება „იდეურ შინაარსს“.

უკანასკნელი ოცდაშუთი წლის მანძილზე განუხრელად ვითარდებოდა როგორც ლიტერატურის თეორია, ისე პრაქტიკა. ხორციელდებოდა მხატვრული გაფორმების და, კერძოდ, პოეტიკის ტიპოლოგიის განსაზღვრის მცდელობები. არსებობს მონიგრაფიები და ესეები, რომლებიც ეძღვნება სახიერების პრობლემას კონკრეტული პოეტების შემოქმედებაში, კონკრეტულ ნაწარმოებებში (პირველ რიგში, შექსპირთან). „პრაქტიკული კრიტიკის“ განსაკუთრებული სიცხოვლის ფონზე, ჩვენს ხელთაა რამდენიმე შესანიშნავი ნაშრომი, რომლებიც გამოირჩევა მაღალი თეორიული და მეთოდოლოგიური დონით. მათში ძალზე კრიტიკულად განიხილება პრაქტიკოსთა ზერელე ვარაუდებიც.

მრავალჯერ სცადეს, ორ ან სამ კატეგორიად დაეყოთ მრავალრიცხოვანი რიტორიკული ფიგურები, რომელთა საერთო რაოდენობა ორას ორმოცდაათს აღნევს. „სქემები“ და „ტროპები“ თავისთავად მათ რიცხვში შედის, და დაყოფა ხდება „ბგერით“ და „აზრობრივ ფიგურებად“. კიდევ ერთი მცდელობაა „მეტყველების ფიგურების“ ან „ვერბალური ფიგურების“ გამოყოფა „აზრის ფიგურებისაგან“. მიუხედავად ამისა, ორივე დიქოტომიას აქვს თავისი ნაკლი იმის გამო, რომ გვთავაზობს გარეშე სტრუქტურას, რომელსაც არა აქვს ექსპრესიული ფუნქცია. მართლაც, ნებისმიერი ტრადიციული სისტემიდან გამომდინარე, რითმაც და ალიტერაციაც წარმოადგენს ფონეტიკურ „სქემას“ და აკუსტიკურ ორნამენტს. მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ როგორც საწყის რითმას, ასევე ბოლორითმას შეუძლიათ შეასრულონ შემაკავშირებელი აზრობრივი კომპონენტის როლი, როგორც სემანტი-

ლიტერატურის თეორია

კურ წყვილს. მეცხრამეტე საუკუნეში კალამბურს მიიჩნევდნენ „სიტყვათა თამაშად“, „მახვილგონიერების უდაბლეს ფორმად“; მეთვრამეტე საუკუნეში ადისონმა კალამბურს „ყალბი მახვილგონიერება“ უწოდა. მაგრამ ბაროკოს ხანაში, ისევე როგორც თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში, კალამბური ფართოდ გავრცელდა: „ომოფონის“ ან „ომონიმის“ საშუალებით იდეები ერთვარი „ორაზროვნებით“ აღიჭურვებოდა.²³

აღარ გავაგრძელებთ სიტყვას სქემებზე. სავსებით რელევანტურია შეგვიძლია პოეტური ტროპების დაყოფა მომიჯნავეობის ფიგურებად და მსგავსების ფიგურებად.

მომიჯნავეობის ტრადიციულ ფიგურებად ითვლება მეტონიმია და სინეკდოქე. შესაძლებელია მათში გამოხატული ურთიერთმიმართებების ლოგიკური და რაოდენობრივი გაანალიზება: მიზეზი ენაცვლება შედეგს (ანდა პირიქით); ჭურჭელი ენაცვლება შიგთავსს; მსაზღვრული ენაცვლება თავის საზღვრულს („სოფლის სიმწვანე“, „ზღვის მლაშე სილრმე“). ითვლება, რომ სინეკდოქეში მიმართება ფიგურებსა და რეფერენტს შორის შინაგანი ხასიათისაა: ესაა რაღაც უფრო დიდის წარმომადგენელი — ნაწილი მთელის ნაცვლად, როგორც გვარის წარმომადგენელი, შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს ფორმასაც და ფუნქციასაც.

შირლის ცნობილ სტრიქონებში, სადაც მეტონიმია ტრადიციული ფორმით გამოიყენება, სოციალურ კლასებს განასახიერებს ჩვეულებრივი პირადი აღჭურვილობა, ინსტრუმენტი ან იარაღი:

Sceptre and crown must tumble down
And in the dust be equal made
With the poor crooked scythe and spade.

უფრო შთამბეჭდავია მეტონიმიური „გადანაცვლებული ზედ-სართავი“ — სტილისტური ნიშანი, რომელიც დამასასიათებელია ისეთი პოეტებისთვის, როგორებიც იყვნენ ვერგილიუსი, სპენსერი, მილტონი და გრეი; „სენფონის უსულო, მკვდარი მზითევი“: აქ ეპითეტი მფლობელისგან გადადის საგანზე, რომელსაც ფლობენ. გრეის „მთვლემარე წეარუნში“ და მილტონის „ხალისიან ზარებში“, ეპითეტები შესაბამისად მიეკუთვნება მფლობელ-მატარებელს და მნათეს. როდე-

სახე, მეტაფორა, სიმბოლო, მითი

საც მიღწონისეული რუხი მწერი „ჩაბერავს თავის მხურვალე საყვირს“, ეს ეპითეტი გვახსენებს ცხელ ზაფხულის საღამოს, რომელიც ასოციაციით უკავშირდება ამ მწერის ბზუილს. ყველა ეს შემთხვევა, უკონტექსტოდ ციტირებული, შეიძლება ნავიკითხოთ განსხვავებული, ანიმისტური გაგებით. მთავარია, გადავწყვიტოთ, ოპერატიული ასოციაციური ლოგიკაა ეს, თუ ნაცვლად ამისა, ის მკვეთრად არის პერსონალიზებული მყარი გაპიროვნება.

რელიგიური პოეზია, იქნება ეს კათოლიკური თუ ევანგელისტური, თითქოს აუცილებლად მეტაფორული უნდა იყოს, და ძირათადად, ეს მართლაც ასეა. მაგრამ დოქტორი უატსი, ნეოკლასიკური პიმნების ავტორი, მეტონიმის წყალობით აღნევს შთამბეჭდავ, გულშიჩამნვდომ და ამავე დროს, დიდებულ ეფექტს:

When I survey the wondrous cross
On which the Prince of Glory died,
My richest gain I count but loss
And pour contempt on all my pride.

See, from his head, his hands, his side
Sorrow and lowve frow mingled down;
Did e'er such love and sorrow meet
Or thorns compose so rich a crown?

სხვა ეპოქის სტილს ნაჩვევი მკითხველი ამ პიმნის მოსმენი-სას ვერ ჩასწვდება იმას, რომ „სევდა“ და „სიყვარული“ უთანაბრდება, „წყალს“ და „სისხლს“. ის სიყვარულს შეენირა: სიყვარული მიზეზია, ხოლო სისხლი — ეფექტი, შედეგი. მეჩვიდმეტე საუკუნის პოეტის, ფრენსის ქვორელზის პოეზიაში „ზიზლის ღვრა“ სახიერი მეტაფორაა, მისი ახსაც შეიძლება — სიამაყის ცეცხლი, რომელსაც ზიზლით სავსე კასრი გადაესხმება და ჩააქრობს; მაგრამ „სხმა“ თუ „ღვრა“ აქ სემანტიკურად შემჭიდროებულია: რაოდენ ძლიერ მეზიზლება მედიდურობა.

საბოლოო ანგარიშით, ეს მაგალითები ნარმოადგენენ სიტყვის ვინრო მნიშვნელობით ხმარებას. ბოლო დროს შემოთავაზებული იყო რამდენიმე გაბედული კონცეფცია მეტონიმის როგორც ლიტერატურული მოდის შესახებ. ისიც კი დაუშვეს,

ლიტერატურის თეორია

რომ მეტონიმია და მეტაფორა შეიძლება იყოს ორი პოეტური ტიპის დამახასიათებელი სტრუქტურები; პირველი მათგანია პოეზია, რომელიც იწვევს ასოციაციებს მომიჯნავეობის მიხედვით, მოძრაობას თხრობის ჩაკეტილ სამყაროში; მეორე ტიპის პოეზია ემყარება ასოციაციას მსგავსების მიხედვით, მოიცავს მრავალი სამყაროს და, ბიულერის მახვილებრივი გამოთქმით, „სფეროთა კოქტეილს“ თქვეფს.²⁴

შესანიშნავ ნაშრომში უიტმენის შესახებ დ.ს. მირსკი აცხადებს: „ცულის სიმღერის“ მრავლობითი სახეები არის მეტონიმიური სახეების დაუსრულებელი ნაკადი, მაგალითები და ეგზემპლარები, რომელთაც ემყარება დემოკრატიული კონსტრუქციულობა“.²⁵

უიტმენის ჩვეულებრივი პოეტური მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც განსაზღვრული მსხვილი პარალელური კატეგორიების ანალიტიკური, საგნოპრივ-სახელდებითი გაშლა. სიმღერებში, რომლებიც აგებულია პარალელიზმის პრინციპით („სიმღერა ჩემზე“), პოეტი გატაცებით ახვავებს დეტალებს და ინდივიდუალობებს, როგორც მთლიანობის ნაწილებს. იმის მიუხედავად, რომ ძალიან უყვარს ჩამონათვალი, უიტმენი არც პლურალისტია და არც პერსონალისტი: ის პათეტიკური მონისტია და მისი „კატალოგების“ შედეგია არა სირთულე, არამედ სიმარტივეთავიდან ის ჯერ გაშლის თავის კატეგორიებს, ხოლო შემდეგ კი მიმართავს მათ ილუსტრირებას მაგალითებით.

მეტაფორა პოეტიკების ავტორებისა და რიტორების ყურადღებას იპყრობდა არისტოტელეს (რომელსაც მიემართება ეს ორივე განსაზღვრება) დროიდან მოყოლებული. უკანასკნელი წლების მანძილზე მან უკვე ლინგვისტების ყურადღებაც მიიქცია. რიჩარდსი გადაჭრით გმობდა მეტაფორის მოწყვეტას ნორმალური ლინგვისტური პრაქტიკიდან, ვინაიდნ მეტაფორა ნარმოადგენს დახასიათების შეუცვლელ წყაროს. სკამის „ფეხი“, მთის „ძირი“ და ბოთლის „ყელი“ ანალოგიის საფუძველზე აკავშირებს სხეულის ნაწილებს უსულო საგნების ნაწილებთან. მაგრამ ამ ტიპის კავშირები იმდენად არის ასიმილირებული ენაში, რომ მათ მეტაფორულად აღარ აღიქვამენ თვით ყველაზე მგრძნობიარე ლიტერატურათმცოდნები და ლინგვისტები. ესაა „გახუნებული“, „გაცვეთილი“ ან „მკვდარი“ მეტაფორები.²⁶

ჩვენ ვალდებული ვართ, სპეციფიკური პოეტური მეტაფორისაგან განვასხვავოთ ის მეტაფორა, რომელიც, რიჩარდ-სის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ენის მარად არსებულ პრინციპს“ განასახიერებს. პირველს ჯორჯ კემპბელი „რიტორიკულს“ მიაკუთვნებს, ხოლო მეორეს – „გრამატიკულს“. გრამატიკოსი სიტყვებს განიხილავს მათი ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, ხოლო რიტორი სიტყვებს უდგება იმ კუთხით, ახდენენ თუ არა ისინი „მსმენელზე მეტაფორის ეფექტს“. ვუნდტი, ალბათ, მეტაფორებად არ მიიჩნევდა ისეთ ლინგვისტურ „მოღალატეებს“, როგორებიცაა მაგიდის „ფეხი“ და მთის „ძირი“, ვინაიდან ჭეშმარიტი მეტაფორიზმის კრიტერიუმად აღიარებდა ემოციური ეფექტის მოხდენის გააზრებულ და შეგნებულ სურვილს. ჰ. კონრადი „ლინგვისტურ“ მეტაფორას უპირისპირებს „ესთეტიკურს“ და მიუთითებს, რომ პირველი (მაგ., მაგიდის „ფეხი“) გამოყოფს საგნის წარმმართველ ნიშანს, მაშინ, როდესაც მეორის მიზანია, შექმნას ახალი წარმოდგენა საგანზე, „ახალ წყალში ამოავლოს ის“.²⁷

იმ შემთხვევებიდან, რომელთა კლასიფიკაციაც ძნელია, ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რომელიმე ლიტერატურული სკოლის ან თაობისთვის დამახასიათებელი „საზიარო“ პოეტური მეტაფორები. მაგალითებად გამოდგება „bone-house“, „swan-road“, „word-hoard“ და ძველი ინგლისელი პოეტების სხვა სახე-მეტაფორები; ჰომეროსისული „ფიქსირებული მეტაფორები“, მაგალითად, „გარდისფერთითება რიფრაუ“ (რაც „ილიადას“ პირველ წიგნში ოცდაშვიდჯერ არის გამეორებული); ელისაბედის ხანის „მარგალიტის კბილები“, „ლალისფერი ბაგენი“, „სპილოს ძვლის ფერი კისერი“, და „ოქროს სიმის დარი თმა“; ან კიდევ ინგლისური წეოკლასიციზმის ხანაში გავრცელებული: „წყლის ველი“, „ვერცხლად დალვრილი ნაკადულები“, „მინანქრის მინდვრები“.²⁸ თანამედროვე მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით ის მაგალითები, რომლებიც ანგლოსაქსონურიდან არის აღებული) გაბედულია და „პოეტური“, მაშინ, როდესაც დანარჩენ მაგალითთა უმრავლესობა „გახუნებულია“ და უცნაური. უნდა გვახსოვდეს, რომ უმეცრებას ძალუძს დაუმსახურებლად მიიჩნიოს ორიგინალურ სახედ გაუგებარი წარმოშობის პირველივე მაგალითი. და მართ-

ლიტერატურის თეორია

ლაც, ეტიმოლოგიური მეტაფორები, რომელთა „რეალიზაცია“ ხდება არა იმ პირთა მიერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია, არა-მედ უცხოელების მიერ (აქ ვგულისხმობთ მათ „ანალიტიკურ მგრძნობელობას), რომლებიც ამ მაგალითებს ინდივიდუალურ პოეტურ მიღწევად მიიჩნევენ.²⁹ მეორე მხრივ, მართლაც კარგად უნდა ვიცნობდეთ ენასაც და ლიტერატურულ პირობითობასაც, რათა სათანადოდ შევაფასოთ კონკრეტული პოეტის მეტა-ფორისტული განწყობა-სურვილები. ძველი ინგლისური პოეზიის „bone-house“ და „სნან-როად“ ცხადია, ეხმიანება პომერო-სისეული „ფრთიანი სიტყვების“ ტიპსა და კატეგორიას. ისინი წარმოადგენდენ პოეტთა ოსტატობა-განსწავლულობის წანილს და სიამოვნებას ანიჭებენ მსმენლებს თავისი ტრადიციულობით, იმით, რომ განეკუთვნებიან პოეზიის პროფესიულ, რიტუალურ ენას. მეტაფორული ელემენტი მათში არ არის მთლიანად რეალიზებული, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის მთლიანად „აორთქლებულია“: საეკლესიო სიმბოლიზმის უდიდესი წანილის მსგავსად, მათზეც შეიძლება ითქვას, რომ ისინი რიტუალური ტიპისანი არიან.³⁰

ბუნებრივია, რომ ჩვენს ხანაში, როდესაც ყველაფერი გენეტიკის თვალსაზრისით განიხილება, დიდი ყურადღება დაეთმო მეტაფორათა წარმოშობას, და ამაში იგულისხმება სინამდვილის აღქმისა და გააზრების როგორც ლინგვისტური პრინციპი, ისე ლიტერატურული ხერხი. „ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს“, და პრიქით: ჩვენ გვჯერა, რომ თუ ანალიტიკურად დავაკვირდებით პრიმიტიულ საზოგადოებებსა და ბავშვებს, შევძლებთ პრეისტორიული კულტურის ისტორიის რეკონსტრუქციას. ჰაინც ვერნერის თვალსაზრისით, მეტაფორა აქტიურია მხოლოდ ისეთ პრიმიტიულ ხალხებში, რომლებსაც აქვთ ტაბუ, ანუ საგნები, რომელთა ნამდვილი სახელის ხსენება დაუშვებელია.³¹ უმაღვე გვახსენდება ებრაელთა მიდრეკილება მეტაფორიზაციისადმი, რის გამოც მათ უშუალოდ არასოდეს დაუსახელებიათ „იეღოვა“, რომელსაც ისინი მეტაფორულად უწოდებდნენ კლდეს, მზეს, ლომს, და ა.შ.; შემდევ კი გაგვახსენდება ევფემიზმები ჩვენს საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ეტყობა, განწყობას მარტო შიშის მომგვრული აუცილებლობა არ აჩენს. ჩვენ მეტაფორას ვიყენებთ იმის მიმართ, რაც გვიყვარს, რასაც ჩვენი აზრი და ფიქრი სიამოვნებით დას-

სახე, მეტაფორა, სიმბოლო, მითი

ტრიალებს, რათა ყოველი კუთხიდან დავათვალიეროთ ნებისმიერ „შუქსა და ნათელში“, როდესაც ის აირეკლება საგანგებო ფოკუსში ყველანაირი მსგავსი საგნების დახმარებით.

თუკი ენობრივი და რიტუალური მეტაფორიდან გადავერთვებით პოეტური მეტაფორის ტელეოლოგიაზე, მაშინ მოგვიხდება გაცილებით უფრო მსხვილი სიდიდეების ჩართვა, ანუ მოგვიწევს სრულად გავითვალისწინოთ მხატვრული ლიტერატურის ფუნქცია. მეტაფორის ჩვენეული კონცეფციის თახი საბაზო ელემენტი შეიძლება აღმოჩნდეს ანალოგია, ორმაგი ხედვა, გრძნობადი სახე, რასაც ძალუძს წიაღსვლა შეუცნობელში, და მეოთხე – ანიმისტური პროექცია. ეს თახი ელემენტი თანაბრად არასოდეს არ არის ნარმოდგენილი, და დამოკიდებულება იცვლება ყოველი ერისა და ესთეტიკური სიტუაციის შესაბამისად. ერთ-ერთი თეორეტიკოსის თვალსაზრისით, ბერძნულ-რომაული მეტაფორა თითქმის ანალოგიის კატეგორიამდეა შეზღუდული (ე.ნ. ყალბი პარალელიზმი), მაშინ როდესაც das Bild (სახე-სიმბოლო) აშკარად გერმანულ (ტევტონურ) სახეს ნარმოადგენს.³² მაგრამ ამგვარი კულტურული კონტრასტი თითქმის არ ითვალისწინებს იტალიურ და ფრანგულ პოეზიას, განსაკუთრებით — იმ მონაკვეთს, რომელიც არსებობს ბოლოერიდან და რემბოდან მოყოლებული, პოლვალერიმდე. როგორც ჩანს, უფრო სასარგებლო იქნება იმ პერიოდების, იდეური კომპლექსების შეპირისპირება, რომლებსაც აერთიანებს სიცოცხლის ფილოსოფიის ცნება.

ყოველი პერიოდის სტილი ხასიათდება აქვს მისთვის ნიშანდობლივი ფიგურებით, რომლებიც გამოხატავენ სწორედ მის Weltanschauung-ს; იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ისეთ საყრდენ ფიგურას, როგორიცაა მეტაფორა, ყოველ პერიოდს აქვს მისთვის დამახასიათებელი ტიპის მეტაფორიზმი. მაგალითად, ნეოკლასიკური პოეზიისთვის დამახასიათებელია სიმბოლო, პერიფრაზი, ორნამენტული ეპითეტი, ეპიგრამა, ფორმის ერთიანობა და ანტითეზა. შესაძლებელი ინტელექტუალური პოზიციების რაოდენობა ორი-სამით განისაზღვრება, პლურალიზმი არ შეინიშნება. ხშირად ხდება, რომ მესამე პოზიცია ნარმოადგენს ცენტრალურ, მედიატორულ პოზიციას პოლარულად დაპირისპირებულ ერესებს შორის:

ლიტერატურის თეორია

Some foreign writers, some our own despise,
The ancients only, or the modern prize.

ბაროკოს პერიოდში დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს წარმოადგენს პარადოქსი, ოქსიმორონი და კატაქრეზა. ესენი განასახიერებენ ქრისტიანულ — მისტიკურ და პლურალისტურ ნიშნებს. ჭეშმარიტება რთულია. ცოდნის ფორმა-საძუალება ბევრია, და ყოველ მათგანს აქვს საკუთარი უფლებამოსილება. ჭეშმარიტების ზოგიერთი ტიპი უნდა გაცხადდეს ან მისი უარყოფით, ანდა მისი შეგნებული დამახინჯებით. ღმერთზე შეიძლება ვიმსჯელოთ ანთროპომორფული კატეგორიებით, რადგან ადამიანი მან შექმნა საკუთარი სახის შესაბამისად; მაგრამ, ამავე დროს, ის წარმოადგენს ტრანსცენდენტალურ სხვას. აქედან გამომდინარე, ბაროკოს მანერით წარმოადგენილ რელიგიურ თემებში ჭეშმარიტება ლერთის შესახებ შეიძლება გამოიხატოს ანალოგიებით (კრავი, ანდა ნეფე), აგრეთვე — ურთიერთსაწანინააღმდეგო წყვილებით, ვოენის მსგავსად : „ბნელი უკუნი, ამავე დროს თვალისმომჭრელი“. წეოკლასიკოსთა გონიერას მოსწონს აშკარა განმასხვავებული ნიშნები და რაციონალური პროგრესია: მეტონიმიური მოძრაობა გვარიდან სახემდე, ანდა კონკრეტულიდან — სახემდე. ბაროკოს ეპოქაში ადამიანის ცნობიერება წარმოსახავს სამყაროს როგორც სამყაროთა სიმრავლეს და ერთობლიობას, და თანაც ყველა ეს სამყარო ისეა ერთმანეთთან შეკავშირებული, რომ შეუძლებელია წინასწარ განვჭრიტოთ მათი ურთიერთმიმართებების ლოგიკა.

წეოკლასიკური პოეტიკის თვალსაზრისით, ბაროკოს დამახასიათებელი ნიშნები, რასაკვირველია, უგემოვნებოდ უნდა შევრაცხოთ, „ყალბ განსჯად“ აღვიქვათ. იგულისხმება, რომ ესაა ბუნებრივისა და რაციონალურის შეგნებული დამახინჯება, ყალბი აკრობატიკა, მაშინ, როდესაც ისტორიულად ისინი წარმოადგენენ პლურალისტური ეპისტემოლოგიის და ზებუნებრივის ონტოლოგიის რიტორიკულ და პოეტურ გამოხატულებას.

კარგ მაგალითად გამოდგება კატაქრეზა. 1599 წელს, ჯონ ჰოსკინსმა დაამკვიდრა ეს ტერმინი ინგლისურ ენაში და განმარტა, როგორც „დაკნინება, ბოროტად გამოყენება“, თან სინანული გამოთქვა, რომ ასეთი რამ „ამჟამად სულ უფრო და უფრო ვრცელდება“. მან განიხილა კატაქრეზა, როგორც დაძაბული გამოთქმა,

„უფრო უიმედო, ვიდრე მეტაფორა“ და გაიხსენა „ხმა საამო მისი ყურისთვის“ სიდნის „არკადიიდან“, როგორც მაგალითი ვიზუალური ტერმინისა, რომელიც შეცდომით „მიუყენეს და მიუსადაგეს“ სმენას. 1728 წელს, თავის „ჩაძირვის ხელოვნებაში“, პოუპმა კატაქრეზის მაგალითად მოიტანა ორი გამოთქმა: „წვერი გათიბა“ და „ბალახი გაპარსა“. 1776 წელს, ჯორჯ კემპბელის მიერ დაწერილ „რიტორიკის ფილოსოფიაში“, კატაქრეზულ წყვილებად არის მოხსენიებული „ლამაზი ხმა“ და „ტკბილი სურათი“; თუმცა, ის აგრეთვე აღიარებს, რომ „ტკბილი, რაც თავიდან გემოს შეგრძნებას უკავშირდებოდა, ახლა შეიძლება ახასიათებდეს სურნელს, მელოდიას და პეიზაჟს“. ემპბელს სჯერა, რომ ჭეშმარიტი მეტაფორა „შეგრძნებათა სახეებს“ იყენებს „წმინდა ინტელექტის სახეების“ დასახასიათებლად. ამიტომ ის კიცხავს ანალოგიებს თვით შეგრძნებათა სახეებს შორის. მეორე მხრივ, ბაროკო-რომანტიკული ორიენტაციის ერთმა კათოლიკე რიტორმა ბოლო ხანებში განსაზღვრა კატაქრეზა როგორც მეტაფორა, რომლის საფუძველია ორი მატერიალური მოვლენის მსგავსება. ის დაბეჯითებით მოითხოვს ტროპის უპირატესობების შესწავლას და ამ მოთხოვნას ასაბუთებს ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებიდან მოყვანილი მაგალითებით : „les perles de la rosee“-სა და „il neige des feuilles“-ში.³³

მეორე ტიპის მეტაფორას, რომელსაც ბაროკოს მგრძნობელობა მისაღებად მიიჩნევს, ხოლო ნეოკლასიკური – უგემოვნოდ, შეიძლება ვუნიდოთ შემამცირებელი, ანდა გამაშინაურებელი მეტაფორა. ბაროკოს პოეზიას ყველაზე მეტად სჩვევია გარკვეული „სფეროების“ – ბუნების სამყაროსა და ადამიანის სამყაროს (თავისი ხელობა-ოსტატობით და ცოდნა-ხელოვნებით) აღრევა. მაგრამ კლასიცისტები – რაკი კარგად მოეხსენებათ, რომ ხელოვნება წარმოადგენს ბუნების იმიტაციას – თვლიან, რომ ბუნების ასიმილირება ხელოვნებასთან პათოლოგიურია და ავადმყოფური. ასე მაგალითად, 1776 წელს თომას გიბონსი ილაშქრებდა ერთგვარი აფექტირებული და „ფანტასტიკური“ ტროპების წინააღმდეგ: „აი სამყაროს რამდენიმე აღნერა – ტვიფრული მთები, თხელწყალა ზღვების მინანქარი, უკიდეგანო ოკეანის მაქმანი და ნაკვეთი კლდეთა ჩუქურთმები“³⁴ რასაკვირველია, ნეოკლასიკურ პოეზიაშიც გვხვდება

ლიტერატურის თეორია

ზოგიერთი მეტაფორა, რომლებიც მიმართულია ბუნებიდან ხელოვნებისკენ, მაგრამ ისინი დაყვანილია დამატებითი დაზუსტების ფუნქციამდე. მაგალითებს ვნახავთ პოეპის „პასტორალებში“ და „უინძორის ტყეში“: „მორცხვად შევარდისფერებული ლიონი აფერადებს წყლის სარკეს“; „მინის მინანქარს წითლად დაეცა ფლორას ალმური“. მაგრამ ზოგადი ტენდენცია მუდამ ნათელი იყო; ამიტომ დრაიდებს უფლება ჰქონდა, ელიარებინა 1681 წელს, რომ ბალდობისას მისი ფიქრები ბავშვური იყო: „მახსოვს, თვით შეუდარებელ სპენსერსაც კი მივიჩნევდი უხეირო პოეტად, რომლის ლექსებზე მეტად სილვესტერის მიერ თარგმნილი დიუ ბარტასის ქმნილებები მომწონდა. ექსტაზში მოვყავდი ასეთ სტრიქონებს:

Now when the winter-s keen breath began
To chrystallize the Baltic ocean,
To glaze the lakes, to bridle up the Floods,
And periwig with snow the baldpate woods.³⁵

ახალგაზრდა მილტონმა, დიუ ბარტასის კიდევ ერთმა მკითხველმა, თავისი „დაბადების ოდა“ ასეთივე გაშლილი მეტაფორით დაასრულა. ელიოტი კვლავ უბრუნდება ამ ტრადიციას თავისი „პრუფროკის“ ცნობილ შესავალში:

When the evening is spread out against the sky
Like a patient etherized upon a table...

ბაროკოს პოეზია, პირველ რიგში, ხასიათდება კლასიციზმის კანონთა უგულებელყოფის ტენდენციით — ხელოვნების შინაარსობრივი გამდიდრების მიზნით ისინი ცდილობდნენ აღმოეჩინათ სიმძიდრე და მრავალხმიანობა იქ, სადაც კლასიციზმი იცავდა პურისტულ ერთმნიშვნელოვნებასა და ერთხმიანობას. უფრო სპეციფიკური მოტივებია: მიდრეკილება გამაონებელი ეფექტებისადმი; ქრისტიანული ინკარნაციონიზმი; უცხოს, შორეულის პედაგოგიური გათავისება მახლობელი, „ყოფითი“ ანალოგიების გზით.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ფიგურაციის ბუნება და საგანგებო ყურადღება დავუთმეთ მეტაფორასა და მეტონიმიას.

ვივააუდეთ, რომ ასეთ მეტყველების ფიგურებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული დროითი და სტილისტური მახასიათებლები. ახლა კი გადავალო მეტაფორული სახიერების კვლევაზე, რასაც უფრო მეტი რამ აკავშირებს ლიტერატურულ კრიტიკასთან, ვი-დრე ლიტერატურის ისტორიასთან.

საგანგებოდ უნდა გამოყენოთ მეტაფორული სახიერების ორი ძირითადი გამოკვლევა: ერთია – ამერიკული, ხოლო მეორე – გერმანული.

1924 წელს ჰენრი უელსმა გამოსცა შრომა „პოეტური სახიერება“, რომელშიც სცადა ჩამოეყალიბებინა ამ მოვლენის ტიპოლოგია, ხოლო შესაბამისი ტიპების ილუსტრირებისთვის გამოიყენა, ძირითადად, ელისაბედის ხანის მწერლობა. მართალია, ამ წიგნში იგრძნობა საკითხის ღრმა წვდომა და შემოთავაზებულია საინტერესო განზოგადებები, მაგრამ, სისტემური კონსტრუქციის თვალსაზრისით, ის ნაკლებად წარმატებულია. უელსის აზრით, მისი სქემა აქრონისტულია და ამიტომ მიესადაგება არა მხოლოდ ელისაბედის ხანას, არამედ – ლიტერატურის განვითარების ყველა პერიოდს. უელსის აგრეთვე მიაჩნია, რომ ეს ნაშრომი აღნიერითია, და არა შემფასებლური. მისი კვლევა-ძიების საფუძვლად ითვლება მეტყველების ფიგურათა ჯგუფების კლასიფიკაცია, „როგორც ისინი წარმოგვიდგებიან აღმავალ სკალაზე – დაწყებული ყველაზე დაბალი, ანუ თითქმის „სიტყვასიტყვითა“ ტიპით, დასრულებული ყველაზე უფრო წარმოსახვითი, ანუ იმპრესიონისტული ტიპით“. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სკალა, რომელიც თითქოსდა განასახიერებს „წარმოსახვითი აქტიურობის ხასიათსა და ხარისხს“, სინამდვილეში ვერ ასახავს მათთან რაიმე პირდაპირ კავშირს ან მათ შეფასებას. უელსმა დაასახელა სახიერების შეიდი ტიპი, რომელიც თვითონვე ასე განალაგა: დეკორატიული, სილ-რმისეული, დამთრგუნველი (ან მაღალფარდოვანი), ფესვური, შემჭიდროებული, განვრცობითი და ცხოველმყოფელი. თავად უელსს მიაჩნია, რომ ეს ტიპები შეიძლება კიდევ უფრო მეტი წარმატებით გადალაგდეს ან გადაეწყოს იმ ისტორიული და შეფასებითი მითითებების საფუძველზე, რომელთაც იგი თვითონვე გვთავაზობს.

ესთეტიკური თვალსაზრისით, ყველაზე ტლანქი ფორმებია დამთრგუნველი და დეკორატიული, ანუ „მასათა მეტაფორა“

ლიტერატურის თეორია

და ოსტატობის მეტაფორა. დეკორაციული სახე, რომელიც ასე ჭარბადა წარმოდგენილი სიდინის „არკადია“ -ში, განიხილება როგორც „ელისაბედის ხანისათვის ტიპური“. კიდისა და სხვა ელისაბედის ხანის ადრინდელი ავტორების მასალით წარმოდგენილი დამთრგუნველი სახიერება ახასიათებს კულტურის ადრეულ პერიოდს, მაგრამ ვინაიდან მოსახლეობის უმეტესობა რჩება სუბლიტერატურულ დონეზე, ამიტომ ის მიემართება „ნებისმიერ პერიოდს“. სოციოლოგიის თვალსაზრისით, „მაღალფარდოვანი ქმნის მეტაფორის დიდ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან კატეგორიას“. ამ ორივე ტიპის შეფასება ააშკარავებს, რომ მათ „აკლია საჭირო სუბიექტური ელემენტი“ და ისინი უფრო ხშირად, ვიდრე ეს გამართლებულია, აკავშირებენ ერთ ფიზიკურ სახეს მეორესთან (როგორც ეს ხდება კატაქრეზაში), იმის ნაცვლად, რომ „ბუნების გარე სამყარო დაუკავშირონ ადამიანის შინაგან სამყაროს“. და კვლავ, როგორც დეკორაციულ, ისე დამთრგუნველ მეტაფორებში, ურთიერთკავშირის პირობები დაშოროშორებული, ცალკე ფიქსირებული რჩება, ეს გამორიცხავს მათ „ექსპანსიას ერთურთის მიმართ“. რაც შეეხება მეტაფორის უმაღლეს ფორმას, უელს მიაჩნია, რომ ყოველი ელემენტი მოქმედებს მეორეზე, ცვლის მას ისე, რომ ამ ურთიერთობით იქმნება მესამე წევრი და ახალი გააზრება.

ავყვეთ სკალას, სადაც შემდეგია ცხოველმყოფელი და შემჭიდროებული სახეები: პირველი წარმოადგენს დამთრგუნველის სრულყოფილ ვერსიას, ხოლო მეორე — დეკორაციულის სრულყოფილ ვერსიას. ჩვენ გამოვტოვეთ დემონსტრაციის აშკარა ფორმები, ეს ეხება ენერგიას და ოსტატობას. რაც შეეხება ცხოველმყოფელის სახიერებას, ისტორიულად ჩვენ ვვდებით მარლოსთან, რომელიც პირველია ელისაბედის ხანის ავტორთა შორის, აგრეთვე — ბერნსსა და სმარტს, პრერომანტიკოსებს; უელსის თქმით, „ეს სახე განსაკუთრებით გამოიკვეთება ადრინდელი ხანის პოეზიის უდიდეს ნაწილში“. აქ ერთმანეთთან შეჯერებულია „ორ ფართო და, წარმოსახვის თვალსაზრისით, ღირებული ცნება“, მყარდება უშუალო კონტაქტი გლუვ ზედაპირებს შორის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს კატეგორია მოიცავს თავისუფალ შედარებებს და ურთიერთობებს, რომლებიც ეფუძნება ღირებულების მარტივ კატეგორიებს. ბერნსი წერს:

სახე, მეტაფორა, სიმბოლო, მითი
ვარდს წითელ-წითელს ჰგავს ჩემი სატრაფო. . .

ტრაფობა ჩემი ჰანგად ჩამესმის
ტკბილ მელოდიად.

საერთო, რაც აკავშირებს მშვენიერ ქალს, ცოცხალ წითელ ვარდს და ტკბილად აუღერებულ მელოდიას – ეს არის მათი სილამაზე და სასურველობა; ისინი ყველანაირად სწორუპოვარნი არიან. ქალი ვარდს თავისი ვარდისფერი ღანვებით, ან მელოდიას თავისი ტკბილი ხმით როდი ჰგავს (ასეთი ანალოგია დეკორაციულ სახეს შექმნიდა); ქალის მსგავსება ვარდთან ფერით, ფაქტურით ან სტრუქტურით კი არ არის გამოწვეული, არამედ ფასეულობით.³⁶

უელსისეული შემჭიდროებული სახე არის ძალზე ადვილად წამოსადგენი სახე ისეთი ტიპისა, რომელიც ასოცირდება შუა საუკუნეების მოხატულ მანუსკრიპტებთან და საკარნავალო მსვლელობებთან. პოეზიაში ესაა დანტეს სახიერება, ინგლისურ პოეზიაში კი — სპენსერისა. სახე აქ არა მხოლოდ მკვეთრი და ნათელია (შესაძლებელია, ეს ამის შედეგიც კი იყოს) — ის აგრეთვე შემცირებულ მასშტაბში და სქემატურად წარმოგვიდგენს მოვლენას მთლიანად: ესაა დანტეს და არა მილტონის ჯოვონეთი. „ასეთი მეტაფორები სხვებზე უფრო ხშირადაა მოხსენიებული როგორც ემბლემა ან სიმბოლო“. შემჭიდროებულ სახეებად უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე სამასკარადო ფიურები დამახასიათებელი ბენზიანი მოსასახამით და ისლის „თავსაბურავით“ კამოენსის „ლუსიდასში“, ისევე როგორც წმინდა პეტრე თავისი მიტრით და ორი გასაღებით. ისინი განასახიერებენ „გილდიის“ სახეს: მილტონის დროს ორივეს — „პასტორალსაც“ და „ელეგიასაც“ თან სდევდა მოტივებისა და სახეების მთელი ნუსხა. შეიძლება არსებობდეს მთელი წყება სახეებისა, ისევე როგორც „პოეტური კანონის“ ჩამონათვალი და მარაგი. ამ მომენტის ტრადიციულმა და ინსტიტუციონალურმა თვისებებმა, მათ სიახლოვემ სახით ხელოვნებასთან, აიძულა უელსი, რომელიც აზროვნებდა კულტურის ისტორიის კატეგორიებით, რომ შემჭიდროებული სახე „მიეკუთვნებინა“ კონსერვატიული რელიგიისთვის, შუასაუკუნოვანი, კათოლიკური, საკულტო კატეგორიისათვის.

ფესვური, სიღრმისეული და განვრცობითი წარმოადგენს

ლიტერატურის თეორია

სამ უმაღლეს კატეგორიას (შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჩამონათვალი აღმავალი რიგით არის წარმოდგენილი). მოკლედ რომ დაფახასიათოთ, სიღრმისეული ეკუთვნის კლასიკური პოეზიის სახეს, ფესვური – მეტაფიზიკოს პოეტებს, ძირითადად, დონს, ხოლო განვრცობითი, უმეტესწილად, მიესადაგება შექსპირს, ისევე, როგორც ბეკონს, ბრაუნს და ბერკს. ამ სამი სახელის საერთო მსაზღვრელს, მათი საერთო მაღალი დონის ნიშნებს წარმოადგენს, ჯერ ერთი, მათი სპეციფიკური ლიტერატურული ხასიათი (სურათოვანი აღქმის უგულებელყოფა), მათი მიმართულობა შინაგანისკენ (მეტაფორულ აზროვნების უნარი), და, ბოლოს, (ცნებათა ურთიერთშეღწევადობა (ნაყოფიერი „შეწყვილება“).

„სიღრმისეული“ სახე, რაც უნდა აგვერიოს გახუნებულთან ან ბანალურთან, „მუდამ ხილვადობის დონეზე დაბლაა“. ის იმგვარად მიგვანიშნებს გრძნობად-კონკრეტულზე, რომ არ ახდენს მის მკეთრ პროცესის და წარმოჩენას. ამ სახისთვის დამახასიათებელი ობერტონების ნაკლებობა ესადაგება ისეთი ტიპის მწერლობას, სადაც წინ არის წამოწეული განსჯა: ელისაბედის ხანის წარმომადგენლად გამოდგება სემიუელ დენიელი, რომლის ლექსებიც მოსწონდათ უორდსვორტს და თოროს:

თუკი ვერ შეძლებს თავის თავს ზემოთ წამოიმართოს,
ფუჭი ყოფილა კაცის სახელი!

ხოლო შექსპირი ამის ოსტატად გვევლინება. „მეფე ლირში“ ედგარი ამბობს:

Men must endure
Their going hence, even as their coming hither;
Ripeness is all.

„Ripeness“ („სიმნივე“) არის „სიღრმისეული“ სახე, რომელიც, ალბათ, ბალებით და ველებით არის ნაკარნახევი. ანალოგია გატარებულია ვეგეტაციის ბუნებრივ ციკლებსა და ადამიანის სიცოცხლის ციკლებს შორის. კლასიცისტების თაობას შეეძლო, შექსპირის ზოგიერთი სიღრმისეული სახე ჩაეთვალა „ნარევ“ სახედ:

O, how can summer's honey breath hold out
Against the wretched siege of battering days.

ეს წინადადება მოითხოვს დახვეწილ ანალიტიკურ განმარტებას, რადგან ის გაჯერებულია სახეებით: „დღეები“ დროის მეტონიმიური ფიგურაა, რაც შემდეგ მეტაფორიზებულია, როგორც ალყაშემორტყმული ქალაქი, რომლის გარშემო აღუმართავთ გალავნის სანგრევი დანადგარები. რას უპირისპირებს ეს „ვითომ ქალაქი“ ან მისი მმართველი ამგვარ შეტევებს? ეს ხომ სინორჩეა, რომელიც მეტაფორიზებულია ზაფხულად, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზაფხულის ტკბილ სურნელად: ზაფხულის ყვავილთა სურნელი დედამინისთვის და სურნელოვანი სუნთქვა ადამიანისთვის წარმოადგენს მოელისა და ნაწილის მიმართებას. თუ ვინმე ეცდება, შეაერთოს დამანგრეველი ალყა და სურნელოვანი სუნთქვა, აუცილებლად ჩიხში აღმოჩნდება. მოძრაობა ფიგურაში ძალზე სწრაფია და აქედან გამომდინარე — ელიფსური.³⁷

ფესვური სახის სახელწოდება, ალბათ, განპირობებულია იმით, რომ მას საქმე აქვს მოვლენათა სათავეებთან, უხილავ ლოგიკურ საფუძველთან. მისი მოქმედება შეიძლება შევადაროთ უფრო მოვლენათა ფარული პირველმიზეზის მოქმედებას, ვიდრე ღია სიბრტყების შეჯერებას. შეიძლება მოვეჩვენოს, რომ ფესვური სახის მეორე წევრი „არაპოეტურია“; ეს აიხსნება ან იმით, რომ ეს ცნება ზედმეტად ჩვეულია და ყოფითი, ანდა იმით, რომ ის ზედმეტად ტექნიკურია, მეცნიერული და „ათვისებული“. მაშასადამე, ფესვური სახის მეტაფორულობა ემყარება იმას, რასაც არა აქვს აშკარა ემოციური ასოციაციები, და რაც მიეკუთვნება პროზაულ დისკურსს — ან აპსტრაქტულს, ან პრაქტიკულს. თავის რელიგიურ პოეზიაში დონი მრავლად იყენებს ფიგურებს „აალებული გეომეტრიდან“. და კვლავ, თავის „პირველ წლისთავში“ ის იყენებს ფსევდოსამედიცინო ფიგურას მისი პირდაპირი მნიშვნელობით, რის შედეგადაც მეტაფორ სრულიად მოულოდნელი, საპირისპირო მნიშვნელობით აღიჭურვება:

but as some serpents' poison hurteth not
Except it be from the live serpent shot,
So doth her virtue need her here , to fit

ლიტერატურის თეორია

That unto us; she working ore than it.

როგორც ჩანს, ესაა ფესვური სახის დამახასიათებელი ტიპი: ამაზე უფრო მარტივ, ნაკლებად პერვერსიულ მაგალითად გამოდება კომპასის სახე ჯონ დონის ლექსში „სევდის ამერიკალავი განშორება“. მეორე მხრივ, უელსის ღრმააზროვანი შენიშვნის მიხედვით, ფესვური სახეების წყაროდ შეიძლება გახდეს ისეთი — რომანტიკული სახეებით მდიდარი — სფეროც, როგორიცაა მთები, მდინარეები და ზღვები, — რა თქმა უნდა, „ანალიტიკური მიდგომის“ პირობით.³⁸

დაბოლოს, არსებობს კიდევ განვრცობითი სახე, რომელიც, სახელწოდებაში ასახული კონტრასტის შესაბამისად, უკავშირდება შემჭიდროებულს. თუ შემჭიდროებულის წარმოშობა განაპირობაში სუუ საუუნებმა, კულტმა, განვრცობითი განეკუთვნება ნინასწარმეტყველურ და მონინავე აზროვნებას. ის გულისხმობს „ძლიერ ვნებას და ორიგინალურ მედიტაციას“, რომლის უმაღლესი გამოხატულებაა ბერკლის, ბეკონის, ბრაუნის და, რა თქმა უნდა, შექსპირის მრავალგანზომილებიანი ფილოსოფიური და რელიგიური მეტაფორიზმი. განსაზღვრის შესაბამისად განვრცობითი სახე გზას უხსნის წარმოსახვას, და მისი ყოველი ელემენტი მკვეთრად ზემოქმედებს მეორეზე; თანამედროვე პოეტიკის თეორიის თანახმად, „ურთიერთზემოქმედება“ და „ურთიერთგამსჭვალვა“ წარმოადგენს პოეტური მოქმედების ცენტრალურ ფორმებს, რომლებიც ყველაზე უფრო ჭარბად გვხდება განვრცობით მეტაფორაში. აი მაგალითები, „რომეო და ჯულიეტადან“

Yet, wert thou as far
As that vast shore washt with the farthest sea,
I should adventure for such merchandise.

და, აგრეთვე, „მაკბეტიდან“:

Light thickens, and the crow
Makes wing to the rooky wood:
Good things of day begin to droop and drowse.
ამ უკანასკნელ სტრიქონებში, შექსპირი გვაძლევს „დანა-

შაულის მეტაფორულ ფონს, ვითარებას“, რომელიც გადაიქცევა განვრცობით მეტაფორად, სადაც პარალელია გავლებული ლამეს, დემონურ ბოროტებას და, მეორე მხრივ, ნათელსა და სიკეთეს შორის; მაგრამ ეს მოწოდებულია არა აშკარა ან ალეგორიული ფორმით, არამედ შთამბეჭდავი დეტალურობით და გრძნობიერი კონკრეტულობით: „ნათელი მძიმდება“, საგნები „მოეშვნენ, თვლემენ“. ქვემდებარე და შემასმენებლი ურთიერთმოქმედებებს: ვიწყებთ რა ზმით, ვკითხულობთ, რა საგნებია, რომლებიც მოეშვნენ და თვლემენ – ფრინველები, ცხოველები, ადამიანები, ყვავილები? საგნის განყენებული დასახელება გვაფიქრებინებს, რომ ზმნები არის მეტაფორული აღნიშვნა ისეთი მდგომარეობებისა, როგორებიცაა „სიფხიზლის დაკარგვა“ და „შიში ბოროტი ძალის წინაშე“.³⁹

კვინტილიანეს მსგავსი რიტორები ყურადღებას ამახვილებენ სხვაობაზე იმგვარ მეტაფორებს შორის, რომელთაგან ერთი ნარმოაჩენს უსულოს როგორც სულიერს, ხოლო მეორე — სულიერს როგორც უსულოს. მაგრამ ორივე შემთხვევაში, სხვაობა ამ მეტაფორებს შორის მიეწერებოდა სხვაობას რიტორიკულ ხერხებს შორის. ამ ორი პოლარული მოვლენის მკვეთრი გამიჯვნა განახორციელა ჩვენმა მეორე მკვლევარმა ტიპოლოგიის სფეროში — პონგსმა: ერთი მხრივ, ეს არის მითური ნარმოსახვა, რომელიც ახდენს პიროვნების პროცესირებას საგანთა სამყაროზე, — ამ დროს ხორციელება ბუნების გასულიერება, ანიმიზაცია, და, მეორე მხრივ — ნარმოსახვის საპირისპირო ტიპი, რომელიც გარედან შიგნითაა მიმართული და პიროვნული საწყისის დეანიმიზაციას, ობიექტივირებას ახდენს. ეს ორი ელემენტი — სუბიექტური და ობიექტური პოლუსები — ამონურავენ ხატოვანი ექსპრესიის ყველა შესაძლებელ საშუალებას.⁴⁰

ამ პირველ ფორმას რესკინმა უწოდა „ბუნების გასულიერება“. თუ მას ისე გავიაზრებთ, თითქოს შეიძლება შევუსაბამოთ მაღლა — ღმერთს, დაბლა — ხეს, ანდა ქვას, მაშინ ასეთ ნარმოსახვას უნდა დავარქვათ ანთროპომორფული.⁴¹ მისტიკური სიმბოლიზმის შემსწავლელი მეცნიერი შეამჩნევს, რომ არსებობს სამი საერთო ტიპის მიწიერი კავშირი, რომელიც გამოდგება უმაღლესი მისტიკური გამოცდილების სიმბოლური გამოხატვისთვის:

1. კავშირი უსულო საგნებს შორის (ფიზიკური ნარევები და ქი-

ლიტერატურის თეორია

მიური შენაერთები); სული, როგორც ღვთიური ცეცხლის ნაპერ-წერალი, როგორც ხე, ცვილი და რკინა; ღმერთი, როგორც წყალი სულის ნიადაგისთვის, ან როგორც ოკეანე, რომელშიც ჩაედინება სულის მდინარე); 2. იმ საშუალებათა შესაბამისად ნარმოდგენილი კავშირები, რომლებითაც სხეული ითვისებს თავის სიცოცხლის არსებით ელემენტებს: საღვთო წერილში ღმერთი წარმოჩენილია ისეთი კონკრეტული საგნების საშუალებით, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლისთვის. ეს არის შუქი და ჰაერი, ყოველი ჭუჭრუტანიდან რომ შემოდის, და წყალი, რომელსაც ყოველდღე რაღაც ფორმით ვიღებთ“.⁴²

ასე რომ, ღმერთი მთელი მსოფლიოს მისტიკოსებისათვის წარმოადგენს სულის საკვებს და სასმელს, მის პურს, თევზს, წყალს, რძეს და ღვინოს; 3. ადამიანთა ურთიერთკავშირი – მამა-შვილისა იქნება ის, თუ ცოლ-ქმრისა.

თავად პონგი ამათგან პირველ ორს მიაკუთვნებს მეტა-ფორული ინტუიციის მეორე უმაღლეს ტიპს, ანუ Einfühlung-ს, რაც თავის მხრივ, დაყოფილია „მისტიკურ“ და „მაგიურ“ სახე-ობებად. მისტიკური მეტაფორის საილუსტრაციოდ მისტიკოსები უფრო გამოგვადგა, ვიდრე პოეტები. არაორგანული ელემენტები სიმბოლურად განიხილება არა როგორც უბრალო ცნებები ან აბსტრაქტული ანალოგიები, არამედ როგორც მოვლენისა და გამოვლენის განუყოფელი კავშირი.

რაც შეეხება მაგიურ მეტაფორას, ის, ხელოვნების ისტორიკოსის, უორინგერის მეთოდოლოგიის თანახმად არის ბუნების სამყაროსგან აბსტრაქტირების შედეგი. უორინგერს შესწავლილი აქვს ეგვიპტის, ბიზანტიის და სპარსეთის ხელოვნება, რომელიც „ორგანულ ბუნებას, ადამიანის ჩათვლით, ხაზობრივ-გეომეტრული ფორმით გამოსახავს, და ხშირად საერთოდ უგულებელყოფს ორგანულ სიცოცხლეს იმ სამყაროსთვის, რომელიც წმინდა ხაზების, წმინდა ფორმების და ფერების სამფლობელოა.. ორნამენტი ახლა გამოიყოფა.. როგორც რაღაც, რაც ცხოვრების ნაკადს კი არ მიჰყვება, არამედ მედგრად უპირისპირდება მას.. პირფერობის ნაცვლად, ამჯერად ის მაგიას მიმართავს... ორნამენტი... არის ის, რაც ამოგლიჯეს დროიდან; ის განვრცობითობის წმინდა ფორმაა, მყარი და უცვლელი.“⁴³

პრიმიტიულ კულტურებში ანთროპოლოგები ხედავენ როგორც ანიმიზმს, ისე მაგიას. პირველის მიზანია კავშირის დამყარება პერსონალიზებულ სულებთან — მკვდრებთან და ღმერთებთან, მათი დაშოშმინება, მათი კეთილგანწყობის მოპოვება. რაც შეეხება მეორეს — მაგიას, რომელიც წინ უსწრებს მეცნიერებას, ის სწავლობს ფარული ძალების მოქმედების კანონზომიერებებს. მისი ატრიბუტებია — შელოცვები, ამულეტები, ჯოხები და კვერთხები, ხატები, წმინდა ნანილები. არსებობს თეთრი მაგია, რომელსაც მისდევდენ ქრისტიანი კაბალისტები, მაგალითად, კორნელიუს აგრიპა და პარაცელსუსი. არსებობს აგრეთვე ბოროტი, ავი ადამიანების შავი მაგია. მაგრამ ამ ორივე მაგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ფარული ძალების რჩმენა. მაგიას ხელოვნებასთან ანათესავებს ხატოვანება. დასავლური ტრადიცია მხატვარსა და მოქანდაკეს აკავშირებს ხელოსნის ოსტატობასთან, ჰეფესტოსთან და დედალოსთან, პიგმალიონთან, რომელსაც ძალუძს, სიცოცხლე შთაბეროს სახეს. ფოლკლორის ესთეტიკაში სახეთა შემქმნელი ჯადოქარია ან გრძნეული, მაშინ, როდესაც პოეტი არის შეპყრობილი, შთაგონებული, შლეგი შემოქმედი.⁴⁴ და როგორც პირველყოფილი პოეტი მიმართავდა ჩხიბვას და შელცვას, ასევე თანამედროვე პოეტი, იეიტსის მსგავსად, მაგიურად იყენებს სახეებს — „ზუსტ“ სახეებს — სახეობრიობის მაგიურისიმბოლური სისტემის შესაქმნელად.⁴⁵ მისტიციზმი საწინააღმდეგო ხაზს მისდევს: აქ სახე წარმოადგენს სიმბოლოს, რომელსაც წარმოშობს გარკვეული სულიერი მდგომარეობა; ესაა არა კაუზალური, არამედ ექსპრესიული სახე, და მოცემული მდგომარეობისათვის ის ერთადერთი შესაძლებელი როდია: იგივე სულიერი მდგომარეობა შეიძლება გამოიხატოს სხვა სიმბოლოებით.⁴⁶

ორივე — როგორც მისტიკური მეტაფორა, ისე მაგია — ემყარება დეანიმიზაციას; ისინი უპირისისპირდებიან ადამიანის სურვილს, მოახდინოს საკუთარი თავის პროეცირება გარესამყაროზე; ისინი „იძახებენ“ იმ „სხვას“ — იმპერსონალური საგნების სამყაროს, მონუმენტურ ხელოვნებას და ფიზიკურ კანონებს. ბლეიკის „ვეფხვი“ მისტიკური მეტაფორაა; ვეფხვი არის ღმერთი, ან ღმერთის ერთ-ერთი გამოვლინება (ადამიანზე ნაკლები, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანზე მეტიც); თავის მხრივ, ვეფხვიც (ხოლო ამ ვეფხვის საშუალებით მისი შემოქმედიც) დახასიათებულია ლითონის დნობის

ლიტერატურის თეორია

ტერმინებით. ვეფხვი არ არის ცოცხალი ნადირი ზოოპარკიდან, ის ვეფხვი, რომელიც ბლეიკმა დაინახა ლონდონის ტაუერში. არა, ესაა გონებაჭვრეტითი არსება, და იმდენადვე სიმბოლოა, რამდენადაც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელი.

მაგიურ მეტაფორას აკლია ეს გამჭვირვალობა. ის წააგავს მედუზას ნიღაბს, რომელიც ქვად აქცევს ცოცხალ არსებებს. ნიმუშად მაგიური მეტაფორიზმისა, რომელსაც სურს, ქვად აქციოს ყველაფერი ცოცხალი, პონგსი მიიჩნევს სტეფან გეორგეს: „ფორმათნარმომქმნელი სპირიტუალიზაციისკენ მიდრეკილების კარნახით, სტეფან გეორგე ითვალისწინებს არა ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას, საკუთარი თავის პროეცირება მოახდინოს გარესამყაროზე, არამედ ბიოლოგიური სიცოცხლის განადგურების სურვილს, შეგნებულ „გაუცხოებას“ („ალიენაციას“), როგორც შიდა, მაგიური სამყაროს აგების საფუძველს.⁴⁷

ინგლისურ პოეზიაში დიკინსონი და იეიტსი სხვადასხვანაირად აღნევენ ასეთ დეანიმიზაციურ, ანტიმისტიკურ მეტაფორას: როდესაც ემილი დიკინსონს სურს, სიკვდილის შეგრძნებასთან ერთად, გადმოსცეს გაცოცხლების, აღორძინების განცდაც, ის ხშირად იშველიებს კვდომის, გახევების და გაქვავების შეგრძნებას. „ეს არ ყოფილა სიკვდილი“, მაგრამ

As if my life were shaven
And fitted to a frame,
And could not breath without a key...

How many times these low feet staggered,
Only the soldered mouth can tell;
Try! can you stir the awful rivet?
Try! can you lift the haps of steel!⁴⁸

პოეზიის მაგიად წარმოჩენის იდეალს იეიტსი ყველაზე უფრო მიუახლოვდა თავის „ბიზანტიუმში“ (1930). 1927 წელს, პოემაში „ზღვით ბიზანტიუმისკენ“, მან უკვე ჩამოაყალიბა ბიოლოგიური სიცოცხლის სამყაროში არსებული წინააღმდეგობა: „ერთურთის მკლავზე მისვენებული ყრმები... ზღვა, გავსებული სკუმბრიის გუნდით“, და ბიზანტიური ხელოვნების სამყარო, სადაც ყველაფერი დაფიქსირებულია — გახევებული და არაბუნებ-

რივი, „ოქროს მოზაიკის“ და „ოქროს მინანქრის“ სამყარო. ბიოლოგიური ასპექტით, ადამიანი „მოკვდავი ცხოველია“, და იმედი გადარჩენისა იმას ეფუძნება, რომ „ელის ეზიაროს ნახელავს მარადიულობისას“ არა კვლავ იმ გზით, რომ ისევ „არგუნონ სხეულის ფორმა სხვა რამ ბუნებრივ საგნით ნაბოძები“, არამედ იმით, რომ გადაიქცეს ხელოვნების ნიმუშად, ოქროს ბუჩქებები შემომჯდარ ოქროს ჩიტად. ერთი მხრივ, „ბიზანტიუმი“ წარმოგვიდგება როგორც იეიტსის „სისტემის“ საგულდაგულოდ დანერილი ილუსტრაცია, თეოლოგიური პოემა, მაგრამ ამავე დროს, თუ სხვა კუთხით, სპეციფიკური ლიტერატურული თვალსაზრისით განვსჯით, ის წარმოგვიდგება როგორც ურთიერთმოპასუხე ხელოვნური სახეებისაგან შედგენილი სტრუქტურა, ხოლო მთლიანობაში იქმნება რაღაც, რაც წააგავს დანიშნული ლიტურგიის რიტუალს.⁴⁹

პონგსის იმ კატეგორიებს, რომლებიც ჩვენ საკმაოდ თავისუფლად ვახსენეთ, ახასიათებს ერთგვარი თავისებურება, რომ პოეტური სტილი დაუკავშირონ ცხოვრების შეფასებას და ხედვას.⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პერიოდისათვის დამახასიათებელი სტილი ისეა დანახული, როგორც საკუთარი განსხვავებული ხედვა-ვერსიების მატარებელი, არსებითად, ისინი დროის მიღმაა გააზრებული და წარმოჩენილია, როგორც ცხოვრების ხედვის და პასუხის გაცემის ალტერნატიული გზები. ამავე დროს, ეს სამივე კატეგორია განეკუთვნება იმ გენერალურ ხაზს, რომელსაც ხშირად ახასიათებენ, როგორც თანამედროვე აზროვნებას, ე.ი. რაციონალიზმს, ნატურალიზმს, ნაზიტივიზმს და მეცნიერებას. მეტაფორათა ასეთი კლასიფიკაცია იმას გვიკარნახებს, რომ პოეზია მეცნიერებამდელი აზროვნების სტილის ერთგული რჩება. პოეტი ინარჩუნებს ბავშვის და პრიმიტიული ადამიანის, ბავშვის არქეტიპის ანიმისტურ ხედვას.⁵¹

უკანასკნელ წლებში ბევრი კვლევა ჩატარდა ცალკეული პოეტების შემოქმედების და გარკვეული პოემებისა თუ პიესების სიმბოლური სახიერების კუთხით და თვალსაზრისით. ასეთ „პრაქტიკულ კრიტიკაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიტიკოსის ვარაუდს. რას ეძებს ის? ვის, ან რას აანალიზებს – თვით პოეტს თუ მხოლოდ პოემას?

ის სფეროები, საიდანაც აღებულია სახეები (მაგნისის სიტყვებით, ეს „უფრო ეხება ნანარმოების შინაარსის შესწავლას“)⁵² უნდა

ლიტერატურის თეორია

განვასხვავოთ იმ კვლევისაგან, რომელიც შეისწავლის, „თუ რა გზე-ბითა და ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს სახეები“ და რა ხასიათის ურთიერთობა ჩამოყალიბდა „შინაარსსა“ და „ფორმას“ (მეტაფორას) შორის. იმ მონოგრაფიათა უმეტესობა, რომლებიც ეძღვნება ამა თუ იმ პოეტს (მაგ., რუგოფის ნამრობი „სახიერება ჯონ დონთან“), მიეკუთვნება პირველ კატეგორიას. ასეთ მონოგრაფიებში მოხაზული და აწონ-დაწონილია პოეტის ინტერესები. ამისათვის თავმოყრილი და კლასიფიცირებულია მეტაფორები, რომლებიც მოიცავენ ბუნებას, ხელოვნებას, ინდუსტრიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ჰუმანიტარულ დარგებს, ქალაქს და სოფელს. მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია იმ თემების თუ საგნების კლასიფიკაცია, რომლებიც უბიძგებენ პოეტს მეტაფორისკენ, მაგ., ქალები, რელიგია, სიკვდილი, თვითმფრინავები. ამასთან ერთად, კლასიფიკაციაზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ფართო მასშტაბის ეკვივალენტების და ფსიქიური კორელატების აღმოჩენას. ორი სფერო — პოეზია და ცხოვრება — გამუდმებით ურთიერთობოქმედებს, ამიტომ შესაძლებელია წარმოგაჩინოთ პოეტის ფსიქიკური მათი ჭეშმარიტი ურთიერთშედნენითობის ხარისხი: ასე, მაგალითად, დონის „სიმღერებსა და სონეტებში“ მიწიერი სიყვარულის განცდა გადმოცემულია იმგვარი მეტაფორიკით, რომელიც გამოიყენება კათოლიკურ ლიტერატურაში წმინდა სიყვარულის დახასიათებისას. ხორციელი სიყვარულის მიმართ პოეტი იყენებს ექსტაზის, კანონიზაციის, მარტვილობისა და წმინდა ნაწილების ცნებებს, მაშინ, როდესაც ზოგიერთ „წმინდა სონეტში“ ის ღმერთს მიმართავს ეროტიკული ვნების გამომხატველი მეტაფორული გამოთქმებით:

Yet dearly I love you, and would be loved fain
But am betrothed unto your enemy.
Divorce me, untie, or break that knot again,
Take me to you, imprison me, for I
Except you enthrall me, never shall be free,
Nor even chaste, except you ravish me.

ხორციელი სიყვარულისა და რელიგიის სფეროთა ურთიერთშენაცვლება მონმობს, რომ სიყვარული იგივე რელიგიაა, ხოლო რელიგია — სიყვარული.

გარევეული ტიპის გამოკვლევებში აქცენტი გაეცემობა თვითგამოხატვაზე, როდესაც პოეტის სულიერი მდგომარეობა წარმოჩნდილია მისი სახიერების ანალიზის მეშვეობით. ამ თვალ-საზრისის თანახმად, პოეტის სახეები შეიძლება მივამსგავსოთ ზმანებისეულ სახეებს, რომელებიც არაა კონტროლირებული სირცხვილის ან ზნებრიობის განცდებით; ეს სახეები არაა გაცნობიერებული, მაგრამ, როგორც ითვლება, მათში ვლინდება ავტორის ჭეშმარიტი განწყობილებები. თუმცა, მაინც საკითხავია, ყოველთვის ესოდენ არაკრიტიკულია თუ არა პოეტი თავის სახე-თა მიმართ.⁵³

მეორე, უკვე აშკარად მცდარი ვარაუდი ის არის, რომ პოეტმა, ცხოვრებაში განიცადა ყველაფერი ის, რაც ასახა თავის ქმნილებებში (ამის საფუძველზე გლედის ო. უეიდმა განახორციელა ტრაქერნის ცხოვრების აღრინდელი ეტაპის რეკონსტრუქცია).⁵⁴ დოქტორ ჯონსონს მიეკუთვნება მოთხოვნა ტომსონის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი ქალის შესახებ, რომელსაც ეგონა, რომ ტომსონის ნანარმოებთა საფუძველზე შეძლებდა ემსჯელა მის გემოვნებაზე: „ნანერების მიხედვით ქალმა დაადგინა მისი ხასიათის სამი თვისება, კერძოდ, ის, რომ იგი დიდებული მიჯნური, დიდებული მოცურავე და ძალზე თავშეეავებული ადამიანი იყო, მაგრამ, (მისი ახლობლის) სევიჯის სიტყვებით, სიყვარული მას მხოლოდ სექსი ეგონა, ცურვითაც, იქნებ, საერთოდ არ უგემია ცივ წყალში ცურვა, და, ბოლოს, არანაირ ფუფუნებაზე არ იტყოდა უარს, თუ ამის შესაძლებლობა მიეცვოდა“.

გლედის ო. უეიდს მეტად მცდარი წარმოდგენა აქვს პოეტის პირად ჩვევებსა და თვისებებზე. ალბათ, მეტაფორულ სახეთა არარსებობაც არ ნიშნავს, რომ პოეტს არ ჰქონდა შესაბამისი ინტერესები. მაგალითად, უოლტონისეულ წიგნში ჯონ დონის შესახებ იქ მოყვანილ თერთმეტ ფიგურას შორის ვერ ვნახავთ თევზის გამოსახულებას, ხოლო მეთოთხმეტე საუკუნის კომპოზიტორ მაშოსთან ვერ შევხვდებით შუსიკიდან აღებულ სახეებს.⁵⁵

თავის მხრივ, ვარაუდს, რომ პოეტის სახიერი სამყარო არ-ის მისი არაცნობიერის გამოხატულება და რომ, შესაბამისად, ესაა „ხმა კაცისა“ და არა ხელოვანის ხმა – მივყავართ საეჭვო და არათანმიმდევრულ წარმოდგენასთან პოეზიაში „გულწრ-ფელობის“ ამოცნობის შესაძლებლობის შესახებ. გავრცელე-

ლიტერატურის თეორია

ბული თვალსაზრისის თანახმად, შთამბეჭდავი სახის შექმნა მოითხოვს გარკვეულ ჩვევებს, ოსტატობას და ამიტომ ამგვარი სახე გულწრფელი ვერ იქნება: უშუალო განცდის გადმოცემისას ადამიანი მარტივად საუბრობს და არანაირ სახეებს არ იყენებს. ან მიმართავს ძალზე გაცვეთილ მეტაფორებს. ამავე დროს, არსებობს სანინააღმდეგო აზრიც: ბანალურ სახეს, რომელიც ახდენს ჩვეულ შთაბეჭდილებას, არ ძალუს განცდის გულწრფელად გადმოცემა — ის ვერ აღძრავს ჩვენში გარკვეულ გრძნობას მთელი თავისი სირთულით, არამედ — მხოლოდ მის უხეშ ანარეკლს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთში გვერევა, უბრალოდ, ადამიანი და, მეორე მხრივ, ლიტერატორი — ანუ ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივად მეტყველებს და, მეორე მხრივ, მწერალი, რომელსაც მხატვრული მეტყველების უნარი აქვს. ჩვეულებრივი პიროვნული გულახდილობა და ტრივიალური სახიერება მშვენივრად ესადაგება ერთმანეთს. რაც შეეხება ლექსის „გულწრფელობას“, ეს ტერმინი თითქმის უაზროა. რის გულწრფელ გამოხატვაზეა საუბარი? იმ სავარაუდო ემოციურ მდგომარეობაზე, რამაც ის წარმოშვა? თუ იმ მდგომარეობაზე, რომლის განცდისას დაინერა პოემა? ან იქნებ პოემის გულწრფელი გამოსახვაა ნაცულისხმევი, ანუ ის ენობრივი კონსტრუქცია, რომელიც ავტორის გონებაში ყალიბდება წერის პროცესში? ეჭვი არ არის, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ვარაუდია სწორი, რადგან ლექსი, დიახაც, გულწრფელი გამოხატულებაა თვით ლექსისა.

პოეტის სახიერება საკუთრივ მას, მის „მე“-ს წარმოაჩენს. როგორ შეიძლება განვსაზღვროთ ეს „მისი „მე“? მარიო პრაცის და ლილიან ჰ. პორნსტაინის აზრით, საკმაოდ კომიკურია შექსპირის როგორც „XX საუკუნის უნივერსალური ინგლისელის“ ინტერპრეტაცია, რომელიც ქეროლაინ სპერჯენმა ჩამოაყალიბა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდი პოეტი ნაზიარები იყო ჩვეულ „ზოგადსაკაცობრიო თვისებებს“. ⁵⁶ ამის გასაგებად არ გვჭირდება შექსპირის ქმნილებების ფარული საზრისის ძიება. მაგრამ თუ ნანარმოების სახეობრივი სტრუქტურის შესწავლის დანიშნულებაა რაღაც განსაკუთრებულის ამოცნობა, მაშინ ასეთი რამ შეგვაძლებინებს ამოვიკითხოთ მწერლის პირადი „ხელწერა“ და ჩავიხედოთ შექსპირის გულში.

იმის ნაცვლად, რომ შექსპირის სახიერებაში აღმოვაჩინოთ ზოგადსაკაცობრივი ნიშნები, ჩვენ შეიძლება დავინახოთ რაღაც იეროგლიფებით ჩანწერილი ერთგვარი ანგარიში, რომელიც მეტყველებს ავტორის ფსიქიკურ მდგომარეობაზე იმ მომენტში, როდესაც ის ქმნიდა ამა თუ იმ კონკრეტულ პიესას. ასე მაგალითად, „ტროილუსსა და კრესიდასთან“, აგრეთვე, „ჰამლეტთან“ დაკავშირებით, ქეროლაინ სპერჯვენი წერს: „რომ არ გვცოდნოდა სხვა მიზეზები, ისედაც დავრწმუნდებოდით იმ ორი პიესის სიმბოლიზმის მსგავსებიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რომ ისინი დაწერილია დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში და ამ დროს ავტორი განიცდიდა იმდენად მძაფრ განხიბლვას, ზიზღს და შეშფოთებას, რომ მსგავსს ვერაფერს ნახავთ მის სხვა პიესებში“.

ამ ბასაუიდან გამომდინარე, ქეროლაინ სპერჯვენის ვარაუდი იმას კი არ ეხება, რომ დადგინდეს შექსპირის განხიბლვის სპეციფიკური მიზეზი, არამედ იმას, რომ „ჰამლეტი“ განხიბლვას გამოხატავს და რომ ეს გრძნობა საკუთრივ შექსპირმა განიცადა.⁵⁷ ასეთ დიდებულ პიესას შექსპირი ვერ დაწერდა, გულწრფელი რომ არ ყოფილიყო; მაშასადამე, ის საკუთარ განწყობას გამოხატავდა. ასეთი დოქტრინა უპირისპირდება იმ თვალსაზრისს შექსპირზე, რომელსაც ე.ე. სტოლი და სხვები იზიარებენ, აკეთებენ რა აქცენტს მის ხელოვნებაზე, დრამატურგიაზე, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების სწრაფ განვთარებაზე – თანაც წინა ნაწარმოებთა წარმატებების გაზრდული განვითარების გზით: მაგ., „ჰამლეტი“ მოჰყვა „ესპანურ ტრაგედიას“, ხოლო „ზამთრის ზღაპარი“ და „ქარიშხალი“ ბომონტისა და ფლეტჩერის ნაწარმოებებს მეტოქეობას უწევდნენ.

მიუხედავად ამისა, პოეტური სახიერების ყველა კვლევა როდი წარმოადგენს მცდელობას, მაშინ გახსნას პოეტის სახე, როდესაც ის „მობილიზებული“ არ არის, ან კიდევ დააკვირდეს პოეტის ბიოგრაფიას. ისინი უფრო იმისკენ იხრებიან, რომ ფოკუსირება მოახდინონ პიესის შინაარსობრივად წამყვან ელემენტზე, ანუ იმაზე, რასაც ელიოტი უწოდებს „სიუჟეტისა და ხასიათის დონის ქვეშ არსებულ მონახაზს“.⁵⁸ თავის ესეში „შექსპირის ტრაგედიების წამყვანი მოტივები“, რომელიც ქეროლაინ სპერჯვენმა 1930 წელს გამოაქვეყნა, ის უპირატესად დაინტერესებულია იმ სახის თუ სახეთა ჯგუფის დადგენით, რომელიც დომინირებს

ლიტერატურის თეორია

კონკრეტულ პიესაში და განსაზღვრავს მის ტონალობას. მისი ანალიზის მაგალითად უნდა მოვიხსენიოთ სწორულებათა — წყლულის და კიბოს სახეები „ჰამლეტში“; „ტროილუსსა და კრესიდაში“ — საკვები და საჭმლის მომნელებელი აპარატი, „ოტელოში“ — „ერთიმეორის მდევნი ნადირი“. ქეროლაინ სპერჯვენი საქმაოდ ეცადა ეჩვენებინა, როგორ ზემოქმედებს პიესის შინაარსზე ეს ხსენებული სუბსტრუქტურა; ის შენიშნავს, რომ ავადმყოფობის მოტივი „ჰამლეტში“ იმას მიგვანიშნებს, რომ პრინცი უდანაშაულია, რადგან მთლიანად დანია, სახელმწიფო არის სწორული. სპერჯვენის ნაშრომს ის დადებითი მხარე აქვს, რომ იგი ცდილობს მიაგნოს ნანარმოების შინაარსის უფრო უფრო ფაქტი გამოვლინებებს, ვიდრე იდეოლოგიური განზოგადება და სიუჟეტის აშკარა სტრუქტურას.

გამოკვლევები, რომლებსაც ნანარმოების სახეობრივი სტრუქტურის უფრო ღრმა ანალიზის პრეტენზია აქვთ (მათ რიცხვს მიეკუთვნება უილსონ ნაიტის ნაშრომები), უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა მიღლტონ მერის მშვენიერ ნაშრომს, რომელიც მან მიუძღვნა შექსპირის სახიერების საკითხს („სტილის პრობლემა“, 1922). ნაიტის ადრეული გამოკვლევები (მაგ., „მითი და საოცრება“. 1929, და „ცეცხლის ბორბალი“, 1930) მხოლოდ შექსპირს ეხება; მაგრამ მოგვიანებით მან თავისი მეთოდი გამოიყენა სხვა პოეტების — მილტონის, პოუპის, ბაირონისა და უორდს-გორთის მიმართ.⁵⁹ მისი ადრინდელი ნაშრომი, რომელიც აშკარად ყველაზე უკეთესია, იფარგლება ცალკეული პიესების შესწავლით, ამასთან, თითოეული ნანარმოები განიხილება მისივე სიმბოლური სახიერების კონტექსტში და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ სახეობრივ დაპირისპირებებს, როგორიცაა, მაგალითად, „ქარიშხალი“ და „მუსიკა“; გამოვლენილია ძალზე ფაქიზი სტილისტური სხვაობები პიესებს შორის და თვით პიესების ფარგლებში. უფრო გვიანდელ წიგნებში შეინიშნება მიდრეკილება უკიდურესობებისადმი. როდესაც ნაიტი განმარტავს პოუპის ესეებს „კრიტიკის შესახებ“ და „ადამიანის შესახებ“, ის უგულებელყოფს კითხვას, თუ რას ნიშნავდა, ისტორიული თვალსაზრისით, იმ პოემებში გამოთქმული „იდეები“ პოუპისთვის და მისი თანამედროვეებისათვის. გარდა იმისა, რომ ნაიტი ვერ დაიკვეხნის ისტორიული პერსპექტივის შეგრძნებით, ის ამასთანავე ზედ-

მეტად იჭრება „ფილოსოფიური მსჯელობის“ სფეროში. მაგრამ „ფილოსოფია“, რომელსაც ის პოულობს შექსპირთან ან სხვა პოეტთან, არც ორიგინალურია, არც ნათელი და არც რთული; საბოლოო ანგარიშით, ის იფარგლება იმ მიზნით, რომ „შეარიგოს“ ერთმანეთთან ეროსი და აგაპე, წყობა-ნესრიგი და ენერგია, იძლევა კიდევ სხვა მსგავს შეპირისპირებულ წყვილთა მაგალითებს. ვინაიდან ყველა ჭეშმარიტი პოეტი, არსებითად, ერთსა და იმავეს ქადაგებს, მეოთხველს, მას შემდეგ, რაც ის მოახერხებს პოეტის „დეკოდირებას“, უჩნდება ამაო მოლოდინის და განპილების შეგრძნება. პოეზია მართლაც განასახიერებს „აღმოჩენას“, მაგრამ რა არის ის, რასაც პოეზია აღმოჩენებს?

არანაკლებ ღრმაა და ამასთანავე გაცილებით მრავლისმთქმელია ვოლგანგ კლემენტის ნაშრომი Shakespeares Bilder⁶⁰, რომელიც ამართლებს მის ქვესათაურს. მასში შესწავლილია სახისმეტყველების განვითარების ძირითადი პრინციპები და მისი ფუნქციები. ლირიკისა თუ ეპიკის სახისმეტყველების შედარებისას, ის ხაზს უსგამს შექსპირის პიესების დრამატულ ბუნებას: თავის ადრეულ ნამუშევარში ის აღნიშნავს რომ შექსპირი როგორც „ადამიანი“ კი არ მიმართავდა „დამყაყებული საჭმლის“ მეტაფორებს და სახეებს არამედ ტროილუსი. პიესაში თითოეული სახე, მეტაფორა თითოეულ ადამიანს გამოხატავს. კლემენტა ზუსტად იცის როგორ დასვას მეთოდოლოგიური შეკითხვა. ტიტუს ანდრონიკუსის ანალიზისას ის სვამს კითხვას „რა შემთხვევაში მიმართავს შექსპირი სახეებს/მეტაფორებს?“ არსებობს თუ არა კავშირი სახეობრივი სტრუქტურასა და გარემოებას შორის? და რა ფუნქცია ეკისრება მეტაფორებს/სახეებს რაზედაც მას მხოლოდ უარყოფითი ჰასუხი აქვს. „ტიტუსის“ ანალიზში სახისმეტყველება სპაზმური და ორნამენტულია, მაგრამ შექსპირისეული მეტაფორების განვითარებას ჩვენ შეიძლება ნავანყდეთ.... (გერმანული ტექსტი). ის შესანიშნავ კომენტარებს აკეთებს შექსპირის შუა პერიოდზე. (უელს სანენისა თანახმად, სახისმეტყველების რადიკალური და ექსპანსიური ტიპები). მაგრამ კონკრეტული მწერლის მომოგრაფაში ის წარმოგვიდგენს საკუთარ ტიპს, მხოლოდ მაშინ როდესაც შექსპირის „განვითარებისას“ ეს კონკრეტული ტიპი წარმოჩინდება. მიუხედავად იმისა რომ მისი მონოგრაფია სახისმეტყველების განვითარებას შეისწოლის, და ასევე შეისწავ-

ლიტერატურის თეორია

ლის შექსპირის შემოქმედების პერიოდებს, კლემენს ახსოვს რომ ის ასევე სწავლობს პოეზიის პერიოდიკას, და არა მაინცდამინც ავტორის მიერ განვლილ ჰიპოთეზურ სიცოცხლეს.

როგორც ზომა ლექსთანყობაში, ასევე სახეობრივი სტრუქტურა პოემაში, მისი ერთ-ერთი კომპონენტია. ჩვენი სქემის თანახმად ეს არის სინტაქსის, სტილისტიკისა და სტრატეგიკისა (დონის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც უნდა შეისწავლონ არა როგორც ცალკე აღებული და გამიჯნული კონკრეტული ჯგუფიდან, არამედ როგორც ლიტერატული ნაწარმოებისა როგორც ერთიანი, მთლიანის შემადგენელი კომპონენტი.

თავი მეთექვსემეტე

ნარატიული ლიტერატურის პუნება და მოდუსები

*

ლიტერატურის თეორია და რომანის კრიტიკა პოეზიის თეორიასა და კრიტიკას რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც ბევრად ჩამორჩება. ამის მიზეზად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია ის, რომ პოეზია უძველეს ხანაში ჩაისახა, ხოლო რომანი შედარებით ახალ დროს განეკუთვნება. მაგრამ ამგვარი განმარტება დამაჯერებელი არაა. რომანი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი ფორმა არის ის, რასაც გერმანელები უწოდებენ Dichtung-ს; ის ეპოსისა და დრამის, ამ ორი დიდებული ფორმის ერთადერთი თანამედროვე მემკვიდრეა. სავარაუდოდ, ეს მიზეზი მდგომარეობს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებაში, რომლის თანახმად რომანს უკავშირებენ უფრო გართობას, თავშექცევას, ვიდრე — სერიოზულ ხელოვნებას, ვერ ასხვავებენ ერთმანეთისგან საუკეთესო რომანებსა და იმ მდარე ნაცოდვილარს, რომელიც ბაზრის ვიწრო მიზნებს ემსახურება. ამერიკაში კარგა ხნის წინათ დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, რომელსაც პედაგოგები ქადაგებენ, არამხატვრული პროზის კითხვა ჭკუის სასანავლებლად გამოიდგება და მოსაწონია, ხოლო ბელეტრისტიკა — ზიანის მომტანი, ან უკეთეს შემთხვევაში, არასერიოზული საქმიანობაა. რომანის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების მხარდაჭერა იგრძნობა ისეთ თვალსაჩინო კრიტიკოსებთან, როგორებიც არიან ლოუელი და არწოლდი.

არსებობს საპირისპირო ხასიათის საშიშროებაც. რომანი შეიძლება მცდარად იქნეს გაგებული, როგორც დოკუმენტი ან ნაღდი ისტორია, რადგანაც დამაჯერებლობის ილუზიის შექმნის მიზნით, ზოგჯერ რომანი მოჩვენებითად წარმოგვიდგება, როგორც ალსარება, ნამდვილი ამბავი, გმირის ცხოვრება და მისი დროის ისტორია. ლიტერატურა ყოველთვის უნდა იყოს საინტერესო; მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს სტრუქტურა და ესთეტიკური მიზანი;

ლიტერატურის თეორია

უნდა იყოს ლოგიკურად შეკრული და შთამბეჭდავი. ცხადია, ის აშკარად უნდა უკავშირდებოდეს ცხოვრებას, მაგრამ კავშირებიც დიდად განსხვავებულია: ცხოვრება შეიძლება იყოს გადმოცემული ამაღლებულად, კომიკურად, ანტითეზურად; ყოველგვარ ვითარებაში არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, რა განსაკუთრებული ცხოვრებისეული მოვლენის გადმოცემა განზრახული. უნდა გვქონდეს არალიტერატურული ცოდნა, რათა დავადგინოთ, რა კავშირი აქვს ამა თუ იმ ნაწარმოებს „ცხოვრებასთან“.

არისტოტელეს განმარტებით, პოეზია (იგულისხმება ეპოსი და დრამა) უფრო უახლოვდება ფილოსოფიას, ვიდრე ისტორიას. ეს შეხედულება, როგორც ჩანს, დღესაც სამართლიანია. არსებობს დროითა და ადგილით შემოსაზღვრული ფაქტობრივი სინამდვილე — ეს არის ისტორიული სინამდვილე ვიწრო გაგებით. არსებობს ფილოსოფიური სინამდვილეც — კონცეპტუალური, თეორიული, განზოგადებული. „ისტორიისა“ და ფილოსოფიის ამგვარი გაგების ფონზე, წარმოსახვითი ლიტერატურა არის „ფიქცია“, სიცრუუსიტყვაში, „ფიქცია“ კვლავ შემორჩენილია ლიტერატურის წინააღმდეგ მიმართული პლატონისეული ძველი გაგება, რაზეც ფილიპ სინდი და დოქტორ ჯონსონი პასუხობდნენ, რომ ლიტერატურა არასოდეს თვალთმაქცობდა, თითქოს ამგვარი გაგებით იყო რეალისტური¹. და მაინც, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სიცრუუს ძველთაძველი გაგება, მისი გადმონაშთები; ეს, ალბათ, ახლაც გააღიზიანებს ნებისმიერ გულწრფელ რომანისტს, რომელსაც კარგად ესმის, რომ ფიქცია გაცილებით უფრო ჩვეულია ჩვენთვის და უფრო აზრიანია, ვიდრე სინამდვილე.

მართებულია უილსონ ფოლიტის შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ აღნერს დეფო მისის ვილსა და მისის ბარგრეივს: „თხრობა დამაჯერებელია, მთლიანად მოთხრობას თუ არ ჩაეთვლით. ზოგადად, ნაწარმოების საზრისასაც ვერაფერს დაუწეუნებ. ამბავს ჰყვება მესამე ქალი, მისის ბარგრეივის განუყრელი მეგობარი, რომელიც ზუსტად ისეთივეა, როგორც დანარჩენი ორი პერსონაჟი...“²

მერიენ მური ამბობს, რომ პოეზია ნიშნავს იმის გადმოცემას, „რაც შესაცნობია. წარმოსახვით ბაღნარებში იქ ნამდვილი გომბეშოებიც არსებობენ.“

ბელეტრისტული ნაწარმოების რეალობა, ე. ი. რეალო-

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

ბის ილუზია, მკითხველის რწმენა, რომ იგი ეცნობა ჭეშმარიტ ცხოვრებას, როდი ნიშნავს, რომ ნანარმოებში უსათუოდ გად-მოცემული უნდა იყოს, პირველ ყოველისა, რეალური გარემო, ან დეტალები, ანდა ჩვეულებრივი რუტინა. ყველა ამგვარი სტანდარ-ტის მიხედვით, ჰოუელსისა და გოტფრიდ კელერისნაირ მწერლებს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ „ოიდიპოს მეფის“, „პამლეტის“ ან „მობი დიკის“ ავტორთა წინაშე. დეტალის დამაჯერებლობა ემ-სახურება ილუზიის შექმნას, რასაც ხშირად იყენებენ დაუშვებელ და დაუჯერებელ სიტუაციაში მკითხველის შესატყუებლად ისე, როგორც „გულივერის მოგზაურობაშია“, სადაც ცხოვრებისეულ გარემოებებთან შედარებით, უფრო ღრმადაა გადმოცემული „რე-ალობის ჭეშმარიტება“.

რეალიზმი და ნატურალიზმი დრამასა თუ რომანში არის ლიტერატურული ან ლიტერატურულ-ფილოსოფიური მიმდი-ნარება, კონვენცია, სტილი, ისევე, როგორც რომანტიზმი და სიურეალიზმი. განსხვავება არსებობს არა რეალობასა და ნარმო-სახვას შორის, არამედ რეალობის კონცეფციებსა და ანუ ილუზი-ის შექმნის მეთოდთა შორის.³

რა კავშირშია ცხოვრებასთან ნარატიული ლიტერატურა? კლასიკოსებისა და კლასიცისტების პასუხი იქნებოდაა ის, რომ მხატვრულ პროზაში გადმოცემულია ტიპობრივი, უნივერსალური ხასიათები — ძუნი (მოლიერთან, ბალზაკთან), მამის მოღალატე ქალიშვილები („მეცე ლირი“, „მამა გორიო“). მაგრამ ამგვარი კლასიბრივი კონცეფცია სოციოლოგიას ხომ არ განეკუთვნება? ან იქნებ ხელოვნების მიზანია ცხოვრების გაკეთილშობილება, მისი ამაღლებულად ნარმოჩენა, გაიდეალება? ცხადია, არსე-ბობს ხელოვნების ამგვარი მიმართულებაც, მაგრამ ეს მხოლოდ მიმართულებაა და არა ხელოვნების არსი. ეჭვგარეშეა, რომ ყოველგვარი ხელოვნება გამოხატვითა და მეტყველებით ქმნის ესთეტიკურ დისტანციას, აღგვიძრავს ფიქრებს, განგვანყობს განსჯისთვის; თუმცა, მხატვრულ ნანარმოებში ასახული აბები, რომლებიც სიამოვნებას გვანიჭებს, ალბათ, ტკივილს მოგვა-ყენებდა, პირადად რომ გამოგვეცადა, ან თუნდაც ცხოვრებაში მისი მოწმენი გავმხდარიყავით. ისევ უნდა ითქვას, რომ პროზა-ული ნანარმოები გვთავაზობს „შემთხვევით ამბავს“ ზოგადი მო-დელისა თუ სინდრომის ან მაგალითის საილუსტრაციოდ. ამგვარ

ლიტერატურის თეორია

„შემთხვევით ამბავს“ უახლოვდება ზოგი ცალკეული მომენტი კეთერის მოთხოვნებში „პოლის საქმე“ ან „მოქანდაკის სიკედილი“. მაგრამ რომანისტი ნაკლებად აღწერს შემთხვევას, შემთხვევით ხასიათსა და მოვლენას, იგი წარმოგვიდგენს მთელ სამყაროს. ყველა დიდი რომანისტი ქმნის იმგვარ სამყაროს, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ემპირიულს, მაგრამ გამოირჩევა თვითკმარობით და განუმეორებლობით. ზოგჯერ შეიძლება გლობუსზე, ამ სამყაროს გეგმაც კი მოვხაზოთ, მაგალითად, თროლობის საგრაფოები და ქალაქები საკათედრო ტაძრებით, პარდის უესექსი; მაგრამ ზოგჯერ, როგორც პოს შემთხვევაში, ეს შეუძლებელია: პოს შიშისმომგვრელი სასახლეები გერმანიასა და ვირჯინიაში კი არ არის აგებული, არამედ ავტორის სულში. დიკენსის სამყარო შეიძლება გავაიგივოთ ლონდონთან, კაფეკასი — ძველ პრაღასთან: მაგრამ ორივე სამყარო იმდენად თვითმყოფი და ორიგინალურია, რომ ისინი გადადიან ემპირიულ სამყაროში, როგორც „დიკენსის გმირები“ და კაფეკას სიტუაციები“. ასე რომ, მათი შეფარდება სინამდვილესთან აზრის კარგავს.

ესმონდ მაკართი ამბობს, რომ მერედითმა, კონრადმა, ჰენრი ჯეიმზმა და პარდიმ „დიდი, კარგად გააზრებული ბუჭტები გაუშვეს, მათში ის ადამიანური არსებანი მოათავსეს, რომლებსაც ისინი აღწერენ, თუმცა, ცხადია, რეალურ ადამიანებს შესამჩნევად კი ჰყვანან, ოღონდ მხოლოდ იმ სამყაროში შეუძლიათ არსებობა“.

ნარმოიდგინეთ, ამბობს მაკართი, რომ „გმირი გადაყენილია ერთი წარმოსახვითი სამყაროდან მეორეში. პექსინიფი რომ გადაინერგოს „ოქროს თასში“, ის გაქრება... რომანისტის უპატიებელ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ზოგადი ატმოსფეროს შენარჩუნების უუნარობა“.

რომანისტის სამყარო, ანუ კოსმოსი არის მოდელი, ანუ სტრუქტურა, ორგანიზმი, რომელიც შეიცავს სიუჟეტს, ხასიათებს, გარემოცვას, მსოფლმხედველობას, „საერთო ატმოსფეროს“ — ყველაფერი ეს წარმოადგენს იმას, რაც კრიტიკულად და დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ, როცა ვცდილობთ რომანი შევადაროთ ცხოვრებას ან რომანისტის ქმნილება შევაფასოთ ეთიკური ან სოციალური თვალსაზრისით. ამა თუ იმ დეტალის ფაქტობრივი სიზუსტის მიხედვით ძნელი დასადგენია, ასახავს თუ

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

არა რომანი ცხოვრებისეულ სიმართლეს, ანუ „რეალობას“, ისევე, როგორც ძნელია, ბოსტონელ ცენზორთა მსგავსად, მორალურობის დადგენა იმის მიხედვით, გვხვდება თუ არა რომანში გინება ან ღვთის გმობა. საღი კრიტიკა მოწოდებულია შეუფარდოს ნაწარმოების ნარმოსახევით სამყარო ჩვენს საკუთარ რეალურ ან ნარმოსახულ სამყაროს, რომელიც, ბუნებრივია, ნაკლებად მწყობრი და ერთიანია, ვიდრე რომანისტის სამყარო. ჩვენ სიამოვნებით ვუწოდებთ რომანისტს დიდს, როცა მის სამყაროში, რომელიც არ არის ისე აგებული როგორც ჩვენი, მაგრამ შეიცავს ყველა ელემენტს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს უფრო ფართო თვალსაზრისით განვიხილოთ სამყარო; ან, თუ მნერლის თვალსაზრისი შედარებით ვიწროა, ნარმოდგენილ სურათი უნდა შეიცავდეს რაღაც მნიშვნელოვანს, პრინციპულს, ხოლო ღირებულებათა სკალა, იერარქია ღრმად უნდა იყოს გააზრებული.

ტერმინი „სამყარო“ სიგრცის გამომხატველი ცნებაა. მაგრამ ნარატიულ მხატვრულ პროზაში უმჯობესია ვიხმაროთ „ამბის“ მსგავსი ტერმინი, რადგანაც „ამბავში“ ჩვენს ყურადღებას იქცევს დრო და თანმიმდევრობა დროში. „ამბავი“ მომდინარეობს „ისტორიიდან“: ამის ნიმუშია ენტონი თოროლობის „პარსეტშირის ქრონიკები“. ლიტერატურა დროითი ხელოვნებაა (მხატვრობისა და ქანდაკებისგან, ანუ სიგრცობრივი ხელოვნებისგან განსხვავებით); თუმცა, თანამედროვე პოეზია (არათხრობითი პოეზია) ცდილობს თავი აარიდოს ამას — მიეცეს ჭვრეტას, იქცეს „თვით-არეკვლის“ მოდელად; და, როგორც დამაჯერებლად გვიჩვენა ჯოზეფ ფრანკმა, თანამედროვე რომანებში („ულისე“, „ტყე დამით“, „მისის დალოუეი“) შეიმჩნევა პოეტურად ორგანიზების, „თვითარეკვლის“ ტენდენცია.⁵ ეს ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ მნიშვნელოვან კულტურულ ფენომენს: ძველად თხრობა ან ამბავი (ეპოსსა თუ რომანში) მიმდინარეობდა დროში — ტრადიციულად დროის ხანგრძლივობა ეპოსში ერთ წელს შეადგენდა. ბევრ დიდ რომანში ადამიანები იბადებიან, ბერდებიან და კვდებიან; ხასიათები ვითარდება, იცვლება; ზოგჯერ შეიძლება დავინახოთ, რომ მთელი საზოგადოება იცვლება („ფორსაიტების საგა“, „ომი და მშვიდობა“) ან ოჯახის აღმავლობა და დაკინებაა ნარმოჩენილი („ბუდენბროკები“). რომანი, ტრადიციულად, სერიოზულად ეკიდება დროის პრობლემას.

ლიტერატურის თეორია

პიკარესკულ რომანში ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ყველგან ასეთია: ახლა ეს მოხდება და მერე ის. თავგადასავლებს, ყოველ ინციდენტს, რომელიც შეიძლებოდა დამოუკიდებელი ამბავიც ყოფილიყო, ერთმანეთთან აკავშირებს გმირის ფიგურა. უფრო ფილოსოფიურ რომანში ქრონოლოგიას ემატება მიზეზობრიობის სტრუქტურა. გარკვეულ მიზეზთა ზეგავლენით და დროის გარკვეულ მინაკვეთში გმირის ცხოვრება ან უმჯობესდება, ან უარესდება. გულდასმით მოფიქრებულ სიუჟეტში დრო ცვლილებებს განაპირობებს: რომანის ბოლოს ასახული სიტუაცია მკვეთრად განსხვავდება საწყისის სიტუაციიგან.

თხრობისას საჭიროა გავითვალისწინოთ ამბის განვითარება და არა მხოლოდ მისი დასასრული. ყოველთვის იყო და ახლაც არის მკითხველი, რომელიც ლამობს წინასწარ გაიღოს, რით „დასრულდა“ ამბავი; იმას, ვინც კითხულობს მეცხრამეტე საუკუნის რომანის მხოლოდ „დასკვნით თავს“, არ აინტერესებს სიუჟეტი, მისი განვითარება დროში, ხოლო ის, რომ ყველაფერი რაღაცით მთავრდება, ისედაც ვიცით. ალბათ, არსებობენ ემერსონის მსგავსი ფილოსოფოსები და მორალისტები, რომლებიც, ძირითადად, რომანს სერიოზულად ვერ აღიქვამენ, რადგანაც მოქმედება, ანუ მოქმედება დროში, მათ არარეალურად მიაჩნიათ. მათი აზრით, ისტორიას აზრი არა აქვა: ისტორია მეორდება, არაფერი ახალი არ ხდება, ხოლო რომანი იგივე ისტორიაა, ოღონდ - გამოგონილი.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ტერმინზე „ნარატიული ლიტერატურა“, რომელსაც უპირისისირებენ დრამატულ პროზას, ე. ი. დრამას. ამბავი, იგავი შეიძლება გადმოცემული იყოს პანტომიმის მეშვეობით, ან მთხრობლის მიერ, რომელიც ეპიკური მთქმელის ან ახალი დროის მწერლის სახით გვევლინება. ეპიკური პოეტი თხრობისას პირველ პირს იყენებს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს ნიღაბიც, ლირიკული გმირის პირველი პირი, მილტონის მსგავსად. მეცხრამეტე საუკუნის რომანისტი პირველ პირში არ წერდა, მაგრამ იყენებდა ეპოსის უპირატესობას — კომენტირებასა და განზოგადებას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „ესეისტური“ (ლირიკულისგან განსხვავებით) პირველი პირი. ამიტომ ნარატიული ლიტერატურის მთავარი ნიშანია მოცულობითობა: დიალოგებს (რომელთა სცენაზე დადგმაც შეიძლება) ენაცვლება კომენტარები, რომლებშიც შევამებულია ასახული მოვლენები⁶.

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

ნარატიული მხატვრული პროზის ორ მთავარ სახეობას ინ-
გლისში ენოდა „romance“ (რომანტიკული რომანი) და „novel“
(ყოფითი, რეალისტური რომანი). 1785 წელს კლარა რივი მათ შემ-
დევნაირად ასხვავებდა: „რომანი“ ნარმოადგენს თანამედროვე
ცხოვრებისა და ადათ-წესების რეალურ სურათს. „რეალისტურ
რომანში“ მაღალფარდოვანი და დახვენილი ენით აღწეროლია ის,
რაც არ მომხდარა და, სავარაუდოა, არც მოხდება“⁷.

რომანი რეალისტურია, რომანტიკული რომანი — პოეტუ-
რი ან ეპიკური: დღეს მას, ალბათ, „მითურს“ ვუწოდებდით. ენ
რედკლიფი, სერ უოლტერ სკოტი, ჰოთონი „რომანტიკული რო-
მანების“ ავტორები არიან, ფანი ბერნეი, ჯეინ ოსტინი, ენთონი
თროლოპი, ჯორჯ გისინგი — რეალისტური რომანების ავტორები.
ეს ორი პოლარული ტიპი ნარმოადგენს ნარატიული პროზის გან-
ვითარების ორ გზას. რომანი განვითარდა არამხატვრული პრო-
ზიდან (წერილი, დღიური, მეტუარები ან ბიოგრაფია, მატანე ან
ისტორია), ანუ დოკუმენტებიდან. სტილისტურად მასში ძირითა-
დია ე.წ. დამახსიათებელი დეტალი — „მიმეზისი“, ვიწრო გა-
გებით. და, პირიქით, რომანტიკულმა რომანმა, რომელიც ეპოსისა
და შუა საუკუნეების რაინდულა საგმირო ეპოსის, განმგრობია,
შეიძლება უგულებელყოს დეტალის დამაჯერებლობა (მაგა-
ლითად, ინდივიდუალიზებული მეტყველების რეპროდუქცია
დიალოგში); ის მისნერაფესის უფრო ამაღლებული რეალობისკენ,
უფრო ღრმა ფსიქოლოგიისკენ. „როდესაც მწერალი თავის თხ-
ზულებას „რომანტიკულ რომანს“ უწიდებს, — წერს ჰოთონი,
— ის უფლებას იტოვებს, თავისუფლად მოეპყრას ნაწარმოების
ფორმასა და მასალას“... თუ ამგვარ ნაწარმოებში მოქმედება
ნარსულ დროში მიმდინარეობს, რომანტიკული რომანი მიზნად
არ ისახავს, ზედმინევნით ზუსტად ნარმოადგინოს ეს ნარსული
დრო. მან უნდა შექმნას, — როგორც ჰოთონი სხვა ნაშრომში
აცხადებს, — ერთგვარი „პოეტური ტერიტორია, სადაც რეალური
სინამდვილის...ასახვა აუცილებელი არაა“...⁸

ანალიზური კვლევისას რომანში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ
სამ შემადგენელ ნაწილს: სიუჟეტს, ხასიათების გამოხატვას და
გარემოს. ეს უკანასკნელი, ასე აშკარად მრავალმნიშვნელოვა-
ნი, ზოგ თანამედროვე თეორიაში გადაიქცა „ატმოსფეროდ“ ან
„საერთო ტონად“. ცხადია, თითოეული ელემენტი დანარჩენის

ლიტერატურის თეორია

განმსაზღვრელია. პენრი ჯეიმზი თავის ესეში „პროზის ხელოვნება“ სვამს კითხვას, „რა არის ხასიათი, თუ არა მოქმედების განსაზღვრა? რა არის მოქმედება, თუ არა ხასიათის ილუსტრაცია?“ (იხ. „ესეები. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბ. „მერანი“, 1989. გვ. 279. რედაქტორის შენიშვნა).

პიესის, მოთხრობის ან რომანის ნარატიულ, ანუ თხრობით სტრუქტურას ტრადიციულად ეწოდება „სიუჟეტი“ და ალბათ, ეს ტერმინი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ ის საკმაოდ ფართოდ უნდა გავიაზროთ, ვინაიდან სიუჟეტურია ჩეხოვის, ფლობერის, პენრი ჯეიმზის ქმნილებები, ისევე, როგორც ჰარდის, უილკი კოლინზის და პოს ნანარმოები: სიუჟეტი არ უნდა დავიყვანოთ ჩახლართულ ინტრიგამდე, გოდვინის „კალებ უილიამსის“ მსგავსად⁹. უნდა განვასხვავოთ სიუჟეტთა ტიპები, შედარებით მარტივი და უფრო რთული, „რომანტიკული“ და „რეალისტური“ სიუჟეტები. ლიტერატურული გარდაქმნების დროს რომანისტი იძულებული ხდება, გაითვალისწინოს სიუჟეტის ორი სახეობა, რომელთაგან ერთ-ერთი უამგადასულ ფორმას მიეკუთვნება. „ძონისფერი ასომთავრულის“ შემდეგ პოთორნის რომანებში შემოთავაზებულია ძველებური ყაიდის იდუმალი სიუჟეტები, თუმცა სინამდვილეში მათი სიუჟეტები სხვაგვარია, თავისუფალი, შედარებით „რეალისტური“. თავის გვიანდელი პერიოდის რომანებში დიკენსი დიდ გამომგონებლურ უნარს იჩენს საიდუმლოებით მოცული სიუჟეტების თხზვაში, რომლებიც ხან შეიძლება შეესატყვისება რომანის მნიშვნელობის რეალურ ცენტრს, ხან — არა. „შეკლებრი ფინის“ ბოლო მესამედი აშკარად ჩამოუვარდება დანარჩენს; ეს, ალბათ, ნაკარნახევი იყო მოვალეობის მცდარი გაგებით, რომელიც აიძულებდა ავტორს უსათუოდ შეექმნა რაღაც „სიუჟეტი“, თუმცა, ჭეშმარიტი სიუჟეტი უკვე წარმატებით იყო ჩამოყალიბებული — ეს გახლავთ მითური სიუჟეტი: სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩვეულებრივი საზოგადოებიდან განდევნილი ოთხი ადამიანი ერთმანეთს ხვდება და ტივით მიცურავს დიდ მდინარეზე დინების მიმართულებით. ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე უნივერსალურ სიუჟეტად ითვლება მოგზაურობა წყალსა და ხმელეთზე: „პეკლერი ფინი“, „მობი დიკი“, „პილიგრიმის გზა“, „დონ კიხოტი“, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „მრისხანების მტევნები“. ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ყველა სიუჟეტი შეიცავს კონფლიქტს (ადამიანები ბუნების წინააღმდეგ,

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

ადამიანები სხვა ადამიანების წინააღმდევ ან საკუთარი თავთან მებრძოლი ადამიანი). ასეთ შემთხვევაში „კონფლიქტი“, ისევე, როგორც „სიუჟეტი“, უფრო ფართოდ უნდა გავიაზროთ. კონფლიქტი „დრამატულია“, გულისხმობს დაახლოებით თანაბარ ძალთა შეტაკებას, ვარაუდობს მოქმედებასა და წინააღმდევობის გაწევას. და მაინც, არსებობს ხაზოვანი „სიუჟეტები“, დადევნება, გაკიდება: „კალებ უილიამსი“, „ძოწისფერი ასომთავრული“, „დანაშაული და სასჯელი“, კაფეას „პროცესი“.

სიუჟეტი (ან თხრობითი სტრუქტურა) თავისთავად შედგება უფრო მცირე თხრობითი სტრუქტურებისაგან (ეპიზოდებისაგან, შემთხვევებისაგან). შედარებით ფართო და მოცულობითი ლიტერატურული სტრუქტურები (ტრაგედია, ეპოსი, რომანი) განვითარდა ისტორიულად უფრო ადრეული რუდიმენტული ფორმებისაგან, როგორებიცაა სახუმარო ამბავი, ანდაზური თქმა, ანეგდოტი, ნერილი. ამგვარად, პიესისა თუ რომანის სიუჟეტი სტრუქტურის სტრუქტურაა. რუსი ფორმალისტები და ფორმალური ანალიზის მომხრები (მაგალითად, დიბელიუსი — Dibelius), გვთავაზობენ ტერმინს „მოტივი“ (ფრანგ., motif, გერმ., motiv) სიუჟეტის ძირითადი ელემენტების გადმოსაცემად¹⁰. „მოტივი“, რომელსაც ამგვარად იყენებენ ლიტერატურის ისტორიკოსები, ნასესხებია ფინელი ფოლკლორისტებისაგან, რომლებიც თავიანთ შრომებში იკვლევენ ზღაპრებსა და ხალხურ თქმულებებს¹¹. დამწერლობითი ლიტერატურაში ამის აშკარა ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითი გაიგივება („შემეცნებათა კომედია“), ახალგაზრდისა და ხანდაზმულის დაქორნინება („იანვარი და მაისი“), მამის უმადური შვილი („მეფე ლირი“, „მამა გორიო“), ვაჟიშვილის მიერ მამის ძებნა („ულისე“ და „ოდისეა“)¹².

იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ რომანის „კომპოზიციას“, გერმანელები და რუსები უწოდებენ რომანის „მოტივირებას“. ეს ტერმინი შეიძლება წარმატებით ისესხოს ინგლისურმაც, რადგანაც შესანიშნავი სიზუსტით გამოხატავს იმ ორი მხარის მნიშვნელობას, რომელთაგან ერთია სტრუქტურა ანუ თხრობის კომპოზიცია, მეორე — ქცევის ფსიქოლოგიური, სოციალური, ფილოსოფიური თეორიის შინაგანი სტრუქტურა — საბოლოო ანგარიშით, კაუზალობის ზოგიერთი თეორია, რომელიც ნათელყოფს, რატომ იქცევიან ადამიანები ისე, როგორც იქცევიან. სერ უოლტერ სკოტი

ლიტერატურის თეორია

წერდა: „ყველაზე მკვეთრი სხვაობა რეალურსა და გამოგონილ მონათხრობს შორის ისაა, რომ რეალურ ცხოვრებაში მოვლენების შორეული მიზეზები ბუნდოვანია... ხოლო მეორე შემთხვევაში... ავტორის მოვალეობაა, ასენას ყველაფერი“.¹³

კომპოზიცია ანუ მოტივირება (ფართო გაგებით) მოიცავს თხრობის მეთოდს: „მოზომილობას“, „ნაბიჯებს“ ესე იგი, სცენებისა (დრამატული მდგომარეობების) და და ასახვის (უშუალო თხრობის) ურთიერთმიმართებას (რომელიც გარკვეული ხერხებით რეგულირდება) და, შემდგომ, ამ როტული მთლიანობის მიმართებას ნარატიული რეზიუმესადმი, დასკვნისადმი.

მოტივებსა და ხერხებს პერიოდული ხასიათი აქვს. გოტიკურ რომანს — თავისი, რეალისტურ რომანს — თავისი. დიბელიუსი ხშირად იმეორებს, რომ დიკენსის „რეალიზმი“ არაა ნატურალისტური რომანის რეალიზმი — ესაა „ზღაპრული“ რეალიზმი, რომელიც იყენებს მელოდრამატული მოტივირებების ხერხებს: კაცი მკვდარი რომ ეგონათ, ცოცხალი აღმოჩნდება; დგინდება, ვინ არიან ბავშვის ნამდვილი მშობლები; აღმოჩნდება, რომ იდუმალი ქველმოქმედი კატორლელია¹⁴.

ლიტერატურულ ნაწარმოებში „მოტივირებაში“ უნდა გაამძაფროს „რეალობის ილუზია“: ეს არის მისი ესთეტიკური ფუნქცია. „რეალისტური“ მოტივირება ხელოვნების ხერხია. ხელოვნებაში მოჩვენებითი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალური.

რუსი ფორმალისტები განასხვავებენ „ფაბულას“ (ესე იგი, დროით-მიზეზობრივ კავშირს, რომელიც არის „ისტორია“ ან რეალური მასალა) „სიუჟეტისაგან“ (ანუ თხრობის სტრუქტურისგან). „ფაბულა“ არის ყველა მოტივის ჯამი, ხოლო „სიუჟეტი“ ნარმოადგენს მოტივთა მხატვრულად მოწესრიგებულ თანმიმდევრობას (რომელიც შეიძლება ნებისმიერი იყოს). დროის გადანაცვლების მაგალითებია: გაკვანძვა ინ მედიას რეს („ოდისეა“, „ბარნები რაჯი“); ამბის უკუსვლასა და წინსვლა (ფოლკნერის „აბესალომ, აბესალომ!“). ფოლკნერის „მომაკვდავი რომ ვესვენე“-ს სიუჟეტი შედგება ამბისგან, რომელსაც რიგრიგობით ყვებიან ოჯახის წევრები, როდესაც დედის ცხედარს მიასვენებენ შორს, სასაფლაოზე. „სიუჟეტი“ არის შინაარსი, რომლის „თხრობის ფოკუსთან“ შუამაცლობს „თვალსაზრისი“. თუ „ფაბულა“, ასე ვთქვათ, არის შერჩეული ნედლი მასალა (ავტორის გამოც-

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები დილების, კითხვის შედეგად მოპოვებული და ა. შ.), „სიუჟეტი“ ასცრაპირდება ფაბულისგან და უფრო მკვეთრად ავლენს ნარატიულ პოზიციას¹⁵.

ფაბულის დრო არის მთელი პერიოდი, რომელიც მოიცავს ამბავს, მაგრამ „ნარატიული“ („თხრობითი“) დრო შეესაბამება „სიუჟეტს“; ეს არის წაკითხვის დრო, ანუ „გამოცდილების“ დრო; ცხადია, ის კონტროლირებულია ავტორის მიერ, რომელმაც შეიძლება რამდენიმე წინადაღება დაუთმოს წლების განმავლობაში მიმდინარე მოვლენების აღნერას, მაგრამ ცეკვისა თუ ჩაის სმის აღნერას ორი გრძელი თავი მოუძღვნას¹⁶.

დახასიათების ყველაზე მარტივი ფორმაა სახელდება. ყოველგვარი სახელდების საშუალებით ხორციელდება პერსონაჟის გაცოცხლება, ინდივიდუალზება. ალეგორიული ან კვაზიალეგორიული სახელი გაჩნდა მეთვრამეტე საუკუნის კომედიაში: ფილდინგის ოლუორთი და თვეეუმი, უიტვუდი, მისის მალაპროპი, სერ ბენჯამინ ბეკბაიტი. ისინი გვაგონებენ ჯონსონის, ბენიანის, სპენსერის და „ევრიმენის“ გმირებს. კიდევ უფრო დახვენილ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხმაბაძვითი, ანუ ონომატოპეური სახელები, რომლებსაც თანაბარი ოსტატობით იგონებდნენ ისეთი განსხვავებული რომანისტები, როგორებიც იყვნენ დიკენსი და ჰენრი ჯეიმზი, ბალზაკი და გოგოლი: პექსნიფი, პამბლჩუკი, როზა დარტლი (dart; startle), მისტერ და მის მერდსტოუნები (murder + stony heart). მელვილის „აქაბი“ და „ისმაილი“ მოწმობს, რომ ლიტერატურული (ამ შემთხვევაში, ბიბლიური) ალუზია შეიძლება გამოყენებულ იქნეს დახასიათების ეკონომიური ფორმის ფუნქციით¹⁷.

დახასიათების ბევრნაირი მეთოდი არსებობს, ძველი რომანისტები (მაგალითად, სკოტი) ერთ აბზაცში დეტალურად აღნერდნენ მთავარ გმირების გარეგნობას, მეორეში კი — ხასიათს. მაგრამ სრული დახასიათების ეს ფორმა შეიძლება დაყვანილ ერთგვარ იარლიყადე, რომელიც წინ უძღვის გმირის გამოჩენას ნაწარმოებში. ამგვარ იარლიყს ხშირად წარმოადგენს რაიმე მიმოკური ან პლასტიკური გამოხატულება — სახის მანქვა, ჟესტი ან გამოთქმა, რომლებიც — მაგალითად, დიკენსთან — მეორდება გმირის ყოველი გამოჩენისას. ესაა გმირის თანმხლები ემბლემა. მისის გამიჯი განუწყვეტლივ ფიქრობს თავისი „მოხუცი ქმრის“

ლიტერატურის თეორია

შესახებ, იურაია ჰიპს იმეორებს სიტყვას "umble" ("მოკრძალება") და ისრესს ხელებს. ჰოთორნი ზოგჯერ ზუსტი ემბლემის მეშვეობით ახასიათებს ზინოუბიას წითელი ყვავილით, უესტერველტს — კბილის შესანიშნავი პროტეზით. ჯეიმზის შემოქმედების ბოლო პერიოდის ნაწარმოებში „ოქროს თასში“ გმირები ერთმანეთს სიმბოლურად აღიქვამენ.

არსებობს სტატიკური და დინამიკური (ანუ განვითარებადი) დახასიათებები. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი ვრცელი რომანებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, „ომი და მშვიდობა“, ხოლო დრამაში, რომელშიც მხატვრული დრო შეზღუდულია, განვითარებადი დახასიათებების მეთოდი ნაკლებად გამოიყენება. დრამა (მაგალითად იბსენთან) გვიჩვენებს გმირის თანდათანობითი შეცვლის პროცესს. რომანებში აღწერილია თვით ცვლილების პროცესი. „ბრტყელი“ დახასიათებით, რაც, ჩვეულებრივ, „სტატიკურს“ ემთხვევა, ნარმოდებენილია მარტოოდენ ერთი თვისება, როგორც ძირითადი ანუ სოციალურად ყველაზე ნათლად გამოკვეთილი თვისება. შეიძლება ეს იყოს კარიკატურა ან აბსტრაქტული იდეალიზაცია. კლასიცისტური დრამა (მაგალითად, რასინი) მიმართავს ამ ხერხს მთავარი გმირების დახასიათებლად. „მოცულობითი“ დახასიათება, ისევე, როგორც „დინამიკური“, მოითხოვს სივრცესა და აქცენტს; „მოცულობითი“ დახასიათება ნამდვილად საჭიროა თვალსაზრისისა და მისწრაფების გამომხატველი ძირითადი გმირების ასახვისას. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ, ისინი შეთავსებული არიან ფონურ, მეორეხარისხოვან ფიგურებთან — „ქოროსთან“¹⁸.

აშკარად არსებობს ერთგვარი კავშირი დახასიათებასა (ლიტერატურული მეთოდი) და ქარაქტეროლოგიას (ხასიათის თეორია, პერსონალური ტიპები) შორის. არსებობენ ტიპური ხასიათები, რაც ნაწილობრივ მომდინარეობს ლიტერატურული ტრადიციიდან, ნაწილობრივ — ხალხური გამოცდილებიდან, მათ იყენებენ რომანისტები. მცხრამეტე საუკუნის ინგლისურ და ამერიკულ პროზაში გვხვდებიან შავგვრემანი მამაკაცებიცა და ქალებიც (ჰითკლიფი, მისტერ როჩესტერი, ბეკი შარპი, მეგი ტალივერი, ზინოუბია, მირიემი, ლიგეა) და ქერათმიანები (მაგალითად, ქალები — ამელია სედლი, ლიუსი დინი, ჰილდა, პრისილა, ფიბი ჰოთორნ-

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

თან, ლედი როუენა — სკოტთან. ქერათმიანი ქალი მეოჯახეა, თავშეკავებული, პატიოსანი და სათნო. შავგვრემანი — ვნებიანი, მძვინვარე, საიდუმლოებით მოცული, მაცდური და დაუნდობელი. ასეთი იყო „ანგლოსაქსური“ თვალსაზრისი აღმოსავლეთის, ებრაელთა, ესპანელთა და იტალიელთა შესახებ¹⁹.

რომანში, ისევე, როგორც დრამაში, მოცემულია რეპერტუარული ანსამბლის მსგავსი რამ: გმირი მამაკაცი, გმირი ქალი, ბოროტმოქედი, „სახასიათო მსახიობები“ (ანუ „კომიკური პერსონაჟები“, რომლებიც განმუხტავენ სიტუაციას). გვხვდებიან მოზარდები, ინუენიუები (მიამიტები) და ხანდაზმული ადამიანები (დედა, მამა, გაუთხოვარი მამიდა ან დეიდა, დუენია ანუ კომპანიონი ქალი, ძიძა). ლათინური ტრადიციის (იგულიხმება პლავტე, ტერენციუსი, *commedia dell'arte*, ჯონსონი, მოლიერი) დრამატულ ხელოვნებაში გავრცელებულია განსაკუთრებით ნიშანდობლივი და ტრადიციული ტიპები, მაგალითად, ტრაპაზა მეომარი — *miles gloriosus*, ძუნინი მამა, გაიძვერა მოსამსახურე. ისეთი დიდი მწერალიც კი, როგორიც იყო დიკენსი, ხშირად იყენებდა მეთვრამეტე საუკუნის დრამატულ და რომანულ ტიპებს და თავისებურად ცვლიდა მათ; დიკენსმა „გამოიგონა“ მხოლოდ ორი ახალი ტიპი — უმწეო მოხუცი და ახალგაზრდა, აგრეთვე — ოცნებით შეპყრობილი ან ფანტაზიორი (მაგალითად, ტომ პინჩი „მარტინ ჩეზლუიტიდან“)²⁰.

რაოდენ ღრმადაც არ უნდა ჰქონდეს ფესვები გამჯდარი სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში ლიტერატურულ ტიპებს — მაგალითად, ქერათმიან ან შავგვრემან ქალს — თვით ლიტერატურა „ბადებს“ ემოციურ ტიპებს, რომელთაც შეიძლება მოექცენოს ისტორიულ-ლიტერატურული ნინაპრები; სწორად ამ ასპექტშია განხილული საბედისნერო ქალი (*femme fatale*) და ბნელი სატანური გმირი მარიო პრაცის ნიგბში „The Romantic Agony“ („რომანტიკული აგონია“).²¹

ერთი შეხედვით, გარემო (აღნერა და არა თხრობა) არის ის, რაც განასხვავებს „მხატვრულ პროზას“ დრამისაგან. სინამდვილეში გარემო ლიტერატურული პერიოდის კატეგორიაა. მისი დეტალური სურათი დრამასა და რომანში არაა „გარემო, ზოგადად“, არამედ — რომანტიკული ან რეალისტური გარემო (მაგ., მეცხრამეტე საუკუნეში). დრამაში გარემო შეიძლება მონიშ-

ლიტერატურის თეორია

ნული იყოს პირის ტექსტში (როგორც შექსპირთან), ან სპექტაკ-ლის რეჟისორის მითითებებში, რომლებიც დეკორატორისა და ბუტაფორისთვისაა განკუთვნილი. ზოგი „სცენა“ შექსპირთან სულაც არაა მინიშნებული, ლოკალიზებული²². მაგრამ გარემოს აღწერა რომანებშიც მნიშვნელოვანილად სხვადასხვაგვარია. ჯეინ ოსტინი, ფილდინგივისა და სმოლეტივის მსგავსად, იშ-ვიათად აღწერს ინტერიერსა და ექსტერიერს. ჯეიმზის ადრეულ რომანებში, რომლებშიც ბალზაკის გავლენა შეინიშნება, დეტა-ლურადა აღწერილი სახლიც და ლანდშაფტიც. გვიანდელი პე-რიოდის რომანებში გარემოს აღწერას ენაცვლება ზოგადი ატ-მოსფეროს სიმბოლური ასახვა.

რომანტიკული აღწერა მიზნად ისახავს, შექმნას გარკვეული განწყობილება: ასეთ შემთხვევებში ატმოსფერო და ყოველგვარი ეფექტები იქვემდებარებენ სიუჟეტსა და ხასიათებს — ამის მაგალითებია ენ რედკლიფი და პო. ნატურალისტური აღწერა გამოირჩევა დოკუმენტური სიზუსტით და ნარმოქმნის ობიექტუ-რი თხრობის ილუზიას (დეფო, სვიფტი, ზოლა).

გარემო იგივე გარემოცვა; და გარემოცვა, განსაკუთ-რებით, ოჯახის ინტერიერი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც გმირის ხასიათის მეტონიმიური ან მეტაფორული გამოხატულება. ადამიანის სახლი მისივე ანარეკლია. თუ აღწერთ სახლს, თქვენ აღწერთ თვით ამ ადამიანს. გულმოდგინება, რომლითაც ბალზაკი აღწერს ძუნნი გრანდეს სახლს თუ ვოკეს პანსიონს, შეუსაბამო სრულიადაც არაც²³. ეს სახლები გამოხატავენ მათი მეპატრონეე-ბის ხასიათს; ამ სახლების ატმოსფერო ზემოქმედებას ახდენს მათზეც, ვინც იძულებულია არიან მათში იცხოვროს. ამაზრზენი წვრილდურუჟაზიული პანსიონი იმთავითვე იწვევს რასატინაკის, ისევე როგორც ვოტრენის გარკვეულ რეაქციას; პანსიონი თვალ-საჩინოდ გვიჩვენებს გორიოს დაცემის მიზეზებს და გამუდმებით უპირისპირდება ფუფუნებას, რომელიც ასევე ასახულია ბალზა-კის ნანარმოებში.

გარემო შეიძლება ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატულება იყოს. თუ გარემო — ბუნებაა, მასში აისახება ადა-მიანის განწყობილება. ლანდშაფტი სულიერი განწყობაა, ამბობ-და ამიელი, რომელიც კარგად იცნობდა ადამიანის შინაგან სამ-ყაროს. ადამიანი და ბუნება აშკარად ურთიერთდაკავშირებულია,

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები ყველაზე მძაფრად ამას გრძნობდნენ რომანტიკოსები (არა მხოლოდ და არა განსაკუთრებით რომანტიკოსები). ბობოქარი, შემაგი გმირი ისწრაფვის ქარიშხლისკენ. უშვილობელ გმირს მზის შუქი ხიბლავს.

და კიდევ, გარემო შეიძლება დეტერმინანტი იყოს — როდე-საც გარემოცვა გაგებულია, როგორც ფიზიკური ან სოციალური მიზეზობრიობა, რასაც ინდივიდი ვერ აკონტროლებს. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს იგდონ ჰითი ტომას პარდისთან ან ზენიტი სინკლერ ლუისთან. რეალურად, ამგვარი გარემო ყველაზე უფრო დამახასიათებელია დიდი ქალაქებისთვის (პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი), რომლებიც აღწერილია ბევრ თანამედროვე რომანში.

ამბავი შეიძლება გადმოცემული იყოს წერილების ან დღიურის სახით, ან ემყარებოდეს ანეკდოტს. მოთხრობა-ჩარჩო ისტორიულად წარმოადგენს ხიდს ანეკდოტსა და რომანს მორის. „დეკამერონში“ ნოველები თემატურადაა დაჯგუფებული. „კენტერბიულ მოთხრობებში“ თემების (მაგალითად, ქორნინება) ამგვარ დაჯგუფებას ემატება დახასიათება თხრობის მეშვეობით, რაც ყოველთვის შეესაბამება მთხრობლის ხასიათს, აგრეთვე — მოგზაურთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ კონტაქტებს. ისეთ მხატვრულ ფორმას, როგორიცაა „მოთხრობა მოთხრობაში“, იყენებდნენ რომანტიკოსებიც: ირვინგის „მოგზაურის ნაამბობი“ და ჰოფმანის „სერაპიონის ძმები“. გოტიკური რომანი „მოხეტიალე მელმოთი“ წარმოადგენს უცნაურ, მაგრამ უეჭველად შთამბეჭდავ, დამოუკიდებელი ამბებისაგან შემდგარ კრებულს, რომელშიც თავისუფლად შეკავშირებულ ამბებს მხოლოდ შიშის ატმოსფერო აერთიანებს.

კიდევ ერთი ხერხი, რომელიც ამჟამად იშვიათად გამოიყენება, არის ნოველის ჩართვა რომანში (მაგალითად, „ტომ ჯონს-ში“ — „კაცი ზღაპრის გორაკზე“, „ლამაზი სულის აღსარება“ — „ვილჰელმ მაისტერში“). როგორც ჩანს, ეს ხერხი გამოიყენებოდა ნანარმოების ჩარჩოების გაფართოებისა და თხრობისთვის მეტი მრავალფეროვნების მინიჭების მიზნით. მასშტაბურობისა და მრავალფეროვნების გადმოცემა ყველაზე უკეთ ხელეწიფებოდათ ვიქტორიანული ეპოქის ტრილოგიებს, რომლებშიც მონაცვლეობით ვითარდებოდა ერთდროულად ორი-სამი სიუჟეტური ხაზი (მბრუნავი სცენის პრინციპით),

ლიტერატურის თეორია

საბოლოოდ კი ისინი ერთ ხაზად ერთიანდებოდა; ერთსა და იმავე ნაწარმოებში სხვადასხვა სიუჟეტური ხაზის შერწყმა ადრე უკვე გამოიყენებოდა ელისაბედის დროინდელ მწერლობაში და ხშირად ბრწყინვალედაც ხორციელდებოდა. სიუჟეტური ხაზები ვითარდებოდა პარალელურად (მაგ., „ლირში“) ან ერთი მათგანი ემსახურებოდა მეორის „კომიკურ ხაზებასმას“, ან კიდევ — პაროდირებას.

ამბის თხრობა პირველ პირში (Ich Erzählung) ისეთი შეთოდია, რომელიც საგანგებოდ უნდა განვიხილოთ. ცხადია, ამგვარი მთხრობელი არ უნდა აგვერიოს ავტორში. ამგვარ თხრობის მიზანი და ეფექტი სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ ეს კეთდებოდა იმისთვის, რათა მთხრობელი, სხვა პერსონაჟებთან შედარებით, ნაკლებად გამოყოფილი ყოფილიყო („დევიდ კოპერფილდი“). მეორე მხრივ, მოლ ფლენდერსს და ჰერ ფინს ცენტრალური ადგილი უკავათ თავიანთ „მონათხრობებში“. „აშერების სახლის დაცუმაში“, პირველ პირში თხრობისას, პო მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, გააიგივოს საკუთარი თავი აშერის მეგობართან (რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს აშერის ბედ-ილბალთან) და მასთან ერთად განერიდოს კატასტროფულ ფინალს. „ლიგეიას“, „ბერენაისის“, „მამხილებელი გულის“ ნერვული და ფსიქიკურად აშლილი ცენტრალური პერსონაჟები კი თავად მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავლებს. ჩვენ ვერ გავაიგივებთ საკუთარ თავს იმ მთხრობელთან, რომლის აღსარებასაც ვეცნობით; ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რას ჰყვება და როგორც ჰყვება ის.

საინტერესოა, რა საშუალებებით იცავს ამბავი თავისი „მყოფობის“ უფლებას. ზოგ ნაწარმოებს თავიდანვე ეფექტურად გვაცნობენ („ოტრანტოს ციხე-სიმაგრე“, „ხრახნის მოტრიალება“, „ძონისფერი ასომთავრული“). ავტორი და მკითხველი თითქოს არ მონაწილეობენ ამბავში: უბრალოდ, მავანმა ა-მ მოუთხრო ის ბ-ს, ან ა-მ გადასცა ბ-ს მინდობილი ხელნაწერი, სადაც აღწერილია გ-ს ტრაგიკული ცხოვრება. პოსთან, ზოგჯერ, პირველ პირშია წარმოდგენილი დრამატული მონოლოგი („ამონტილიადო“), ზოგჯერ კი — აღსარება, რომელიც დაწერა პიროვნებამ იმ მტანჯველი ფიქრების მოსაშორებლად, მძიმე ტვირთად რომ დასწოლი მის აფორიაქებულ სულს („მამხილებელი გული“). ხშირად (მაგალითად, „ლიგეიაში“) ავტორის მიზანი გაურკვეველია: იქნებ მთხრობელი თავის თავს ესაუბრება? შესაძლოა, იმის გამო ჰყვება ხელმეორედ თავის ამბავს, რომ ხელახლა განიცადოს შიში?

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

ნარატიული მეთოდის ცენტრალური პრობლემაა მწერლის დამოკიდებულება საკუთარ ნაწარმოებისადმი. პიესაში ავტორი არ ჩანს, ის პიესის მიღმაა მიმალული, მაგრამ ეპოსში პოეტი ჰყვება ამბავს, როგორც პროფესიონალი მთხრობელი. ნაწარმოების ტექსტში გვხვდება მისი ახსნა-განმარტებები და საკუთრივ თხრობით ნაწილში (ე.ო. დიალოგებს გარდა, ყველგან) იცავს თავის ინდივიდუალურ სტილს.

რომანისტის შეუძლია, ასევე, მოგვიყვეს ამბავი; უფლება აქვს განაცხადოს, რასაც გიამბობთ, იმის არც მოწმე ვყოფილვარ და არც მონაწილეო. მას შეუძლია წეროს მესამე პირში, როგორც „ყოვლისმცოდნე ავტორმა“. ეს, უეჭველად, თხრობის ტრადიციული და „ბუნებრივი“ წესია. ნაწარმოების გვერდით ავტორი არ-სებობს ისე, როგორც ლექტორი, რომელიც კომენტარს ურთავს დიაპოზიტივების ჩერენბას ან დოკუმენტურ ფილმს.

ეპიკური თხრობის ამგვარი შერეული მეთოდიდან გადახვევა ორი მიმართულებით ნარიმართება ხოლმე: პირველ მათგანს შეიძლება ენოდოს რომანტიკულ-ირონიული; მასში განზრაბ არის გაზვადებული მთხრობლის როლი, საგანგებოდ განიდევნება ყოველგვარი ილუზია იმისა, რომ ჩვენ წინაშეა „ცხოვრება“ და არა „ხელოვნება“; ხაზგასმულია ნაწარმოების ლიტერატურული ხასიათი. ამ მიმართულების ფუძემდებელია სტერნი, განსაკუთრებით — „ტრისტრამ შენდიში“, მისი მიმდევარია უან-პოლ რიხტერი და ტიკი გერმანიაში, ველტმანი და გოგოლი რუსეთში. „ტრისტრამს“ შეიძლება ენოდოს რომანი რომანის დაწერის შესახებ, ისევე როგორც უიდის „ყალბი ფულის მჭრელებსა“ და მის მემკვიდრეს, ჰაქსლის „კონტრაპუნქტს“. თეკერეიმ მრავალჯერ შეამონმა და შეასწორა „ამაოების ბაზარი“, მუდამ იმეორებდა, ეს ხასიათები ჩემ მიერ შექმნილი თოჯინებიაო. ეს სიტყვები, უეჭველად, ლიტერატურული ირონიის თავისებური გამოხატულებაა: ლიტერატურა გამუდმებით შეახსენებს საკითარ თავს, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურაა.

რომანის მეორე, საპირისპირო მიზანია „ობიექტური“, ანუ „დრამატული“ მეთოდი, რომელიც დასაბუთებული და ხორცებესხმულია ოტო ლუდვიგის მიერ გერმანიაში, ფლობერისა და მოპასანის მიერ საფრანგეთში, ჰენრი ჯეიმზის მიერ ინგლისში²⁴. ამ მეთოდის მიმდევრები — კრიტიკოსები, მწერლები — ამტკიცებდნენ, რომ ესაა

ლიტერატურის თეორია

ერთადერთი მხატვრული მეთოდი (რაც ჭეშმარიტებას არ შეესაბა-
მება). პერსი ლაბოკმა „მხატვრული პროზის ოსტატობაში“ ჩინებულად
განიხილა რომანის პოეტიკა ჯეომზის მხატვრული შემოქმედებისა და
თეორიული შრომების საფუძველზე.

უმჯობესია, ამ მიმართულებას ვუწოდოთ „ობიექტური“,
რადგანაც „დრამატული“ შეიძლება ნიშნავდეს „დიალოგს“ ან
„მოქმედებას, საქციილს“ (აზრებისა და გრძნობების შინაგანი სამ-
ყაროსგან განსხვავებით), მაგრამ საესტებით ნათელია, რომ სწორედ
დრამამ, თეატრმა მისცეს ბიძგი ამ მიმდინარეობის განვითარებას.
ოტო ლუდვიგმა თავისი თეორიები, უმეტესად, დიკენსის შემოქ-
მედების საფუძველზე ჩამოაყალიბა. პანტომიმისა და მეტყველე-
ბითი დახასიათების ხერხები დიკენსმა ისესხსა ძველი, მეთვრამეტე
საუკუნის კომედიდან და მელოდრამიდან. თხრობის ნაცვლად
დიკენსის მიისწრაფვის ყოველთვის დიალოგისა და პანტომიმის
საშუალებით ნარმოადგინოს. ის კი არ გვიამბობს რაიმეს, არამედ
გვიჩვენებს. მოგვიანებით რომანშა ბევრი რამ გადმოიღო უფრო
დახვეწილი თეატრალური ფორმებისგან (მაგალითად, ჯეომზმა —
იბსენისაგან)²⁵.

ობიექტური მეთოდი არ დაიყვანება დიალოგზე და ქცევის აღ-
ნერაზე (ჯეომზის „გარდატეხის ასაკი“, ჰემინგუეის „მკვლელები“).
ეს უთუოდ გამოიწვევდა კონკურენციას პროზასა და თეატრს შო-
რის, და ასეთ შემთხვევაში თეატრი უფრო მომგებიან პოზიციაში
აღმოჩნდება. ობიექტური მეთოდის წარმატება აიხსნება სულიერი
ცხოვრების ასახვით, რისი შესაძლებლობაც თეატრს არა აქვს. ობიექ-
ტური მეთოდის აუცილებელი პირობაა რომანიდან „ყოვლისმცოდნე
ავტორის“ გაქრობა, ანუ დაუსწრებლობა და სანაცვლოდ, „თვალ-
საზრისის“ თანმიმდევრულად გამოყენება. ჯეომზის და ლაბოკის
შეხედულებით, რომანში ურთიერთს ენაცვლება „სურათი“ და „დრა-
მა“: იგულისხმება სულიერი და ფიზიკური ცხოვრების სურათები,
რომლებიც განშუალებულია ამა თუ იმ პერსონაჟის ცნობიერებით,
მაგრამ ეს არა „სცენა“, თუმცა თხრობას შეიძლება შეენაცვლოს
დიალოგი, ხოლო მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა თუ შეხვედრების
აღწერისას შეიძლება მითითებულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი დე-
ტალი²⁶. „სურათი“ ისეთივე „ობიექტურია“, როგორც „დრამა“,
ოღონდ „სურათში“ ობიექტურადა გადმოცემული სპეციფიკური
სუბიექტურობა, ხასიათები (მაღამ ბოვარი ან სტრეთერი), მაშინ,

ნარატიული ლიტერატურის ბუნება და მოდუსები

როდესაც „დრამა“ ობიექტურად გადმოგვცემს საუბარსა და ქცევას. ამ თეორიის თანახმად, დასაშვებია „თვალსაზრისის“ შენაცვლება (მაგალითად, „ოქროს თასის“ მეორე ნაწილში პრინცის თვალსაზრისს ენაცვლება პრინცესას თვალსაზრისი) იმ პირობით, თუ სისტემატურობა იქნება უზრუნველყოფილი. ობიექტური მეთოდისათვის დასაშვებია, აგრეთვე, რომანში ავტორის მიერ ისეთი პერსონაჟის გამოყენება, რომელიც ჰგავს ავტორს — ის მეგობრებს უყვება ამ-ბავს (მარლიუ კონრადის „იუნგაში“) ან ყველაფერი ნარმოჩნილია მისი ცნობიერების მეშვეობით (სტრეთერი „ელჩებში“); ორივე შემთხვევაში ხაზგასმულია ის, რომ რომანი იცნობიერებს თავის აბიექტურობას. თუ ავტორი არაა „განზავებული“ ტექსტში, მაშინ ის ან მისი შემცვლელი პერსონაჟი მონანილეობენ ნაწარმოებში მისი მდგომარეობითა და სტატუსით, როგორც — სხვა პერსონაჟები²⁷.

ობიექტური მეთოდი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს გადმოცემის დროს: მკითხველი და პერსონაჟები ერთიან დროში ცოცხლობენ. „სურათსა“ და „დრამას“ გარკვეულწილად ყოველთვის უნდა ერთვოდეს „რეზოუმე“ (პიესაში ის შეიძლება ამგვარად გამოიყერებოდეს: „პირველ და მეორე მოქმედებას შორის ხუთი დღე გავიდა“), მაგრამ რეზოუმეთა რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს. ვიქტორიანული პერიოდის რომანები, ჩვეულებრივ, მთავრდებოდა თავით, რომელშიც მოკლედ გვამცნობდა მნიშვნელოვან პერსონაჟთა შემდგომი ცხოვრების, ქორნინებებისა თუ სიკვდილს შესახებ; ჯეიმზმა, ჰოულსმა და მათმა თანამედროვეებმა ბოლო მოუღეს ამ ტრადიციას, რომელსაც, მხატვრული თვალსაზრისით, არასრულფასოვნად თვლიდნენ. ობიექტივისტური თეორიის თანახმად, მნერალმა ნინასნარ როდი უნდა გვამცნოს, რა მოხდება მომავალში; მან თანდათანობით უნდა გამალოს თავისი დახვეული ეტრატი, ისე, რომ მხოლოდ თითო-თითო სტრიქონი ვიხილოთ და ამგვარად ნავიკოთხოთ ტექსტი. რამონ ფერნანდეზი განასხვავებს თხრობის ორ სახეობას — ერთია *recit*, ანუ თხრობა იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა და რის შესახებაც ახლა ჰყებიან ექსპოზიციისა და აღნერის კანონთა შესაბამისად; მეორეა საკუთრივ რომანი (ნოველ), ანუ თხრობა იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ ხდება დროში²⁸.

ობიექტური რომანის ტექნიკური ხერხია ის, რასაც გერმანელები უწოდებენ “erlebte Rede”, ფრანგები — "le style indirect libre" (ტიბოდე) ან "la monologue interieur" (დიუჟარდენი). მას ძა-

ლიტერატურის თეორია

ლზე მიახლოებით შეესაბამება ინგლისური ტერმინი „ცნობიერების ნაკადი“, რომელიც უილიამ ჯეიმზიდან მომდინარეობს²⁹. დიუ-ჟარდენის განსაზღვრით, „შინაგანი მონოლოგი“ მიზნად ისახავს, მეთოდულს უშუალოდ გააცნოს პერსონაჟის შინაგანი ცხოვრება ავტორის ახსნა-განმარტებებისა და ყოველგვარი კომენტარის გარეშე“. და „არის ყველაზე უფრო ინტიმური ფიქრების გამოვლენა, ფიქრებისა — თითქმის არაცნობიერის დონეზე“... „ელჩებში“, ამ-ბობს ლაბოკი, ჯეიმზი „არ მოგვითხრობს სტრეთერის სულიერი განწყობის შესახებ; მწერალი თავად სულიერ განწყობილებას აამბობინებს საკუთარი თავის შესახებ, ამით ჯეიმზი აღნევს მის დრამატიზებას“³⁰. ამ ხერხთა ისტორიისა და მთელს თანამედროვე ლიტერატურაში მათი მნიშვნელობის შესწავლა მხოლოდ ახლახან დაინტერესობა ისინი მომდინარეობს შეესპირის მონოლოგებიდან; სტერ-ნისგან, რომელმაც გამოიყენა იდეათა ლოკისეული თავისუფალი ასოციაცია და „სიღრმისეული ანალიზიდან“, ე. ი. ავტორის მიერ გმირის შინაგანი სამყაროს გადმოცემა — მესამე³¹.

ჩვენი მესამე დებულება ეხებოდა მხატვრული პროზის „სამყაროს“ (სიუჟეტი, ხასიათები, გარემო) და უმეტესად ილუს-ტრირებული იყო რომანების მაგალითზე. მაგრამ აშკარაა, რომ ის გამოდგება აგრეთვე დრამისთვისაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ დრამაც ლიტერატურული ნაწარმოებია. მეოთხე და ბოლო დე-ბულება „მეტაფიზიკური თავისებურებების“ შესახებ განხილული იყო მჭიდრო კავშირში „სამყაროსთან“, როგორც „ცხოვრებასთან მიმართების ან დამოკიდებულების“, ანდა სამყაროს „ატმოსფე-როს“ ეკვივალენტი; მაგრამ ამ თვისებებს დაუუბრუნდებით და დე-ტალურად განვიხილავთ იმ თავში, რომელიც შეფასებას ეძღვნება.

თავი მეჩვიდმეტე

ლიტერატურული ჟანრები

*

რა არის ლიტერატურა? პოემების, პიესების და რომანების ერთობლიობა, რომლებსაც საერთო სახელი აერთიანებს? ასეთი ნომინალისატური პასუხი გასცა ამ კითხვას ჩვენს დროში, კერძოდ, კროჩემ.¹ ეს თვალსაზრისი, ერთი მხრივ, რეაქციაა კლასიკური ავტორიტარიზმის უკიდურესობებზე; მეორე მხრივ, ის ჯეროვნად ვერ აფასებს ლიტერატურის ისტორიის ფაქტებს.

ლიტერატურული ჟანრი არაა, უბრალოდ, ფიქცია, რადგან ესთეტიკური პირობითობა, რომელიც ხორცშეხმულია ნაწარმოებში, აყალიბებს მის ჟანრს. ლიტერატურული ჟანრები შეიძლება „განვითილოთ როგორც ინსტიტუციონალური იმპერატივი, რომელიც განსაზღვრავს მწერლის მანერას და თვითონაც განისაზღვრება ამ მანერით“.² მილტონი, რომელიც ესოდენ პროგრესული იყო პოლიტიკისა და რწმენის საკითხებში, პოეზიაში ტრადიციონალისტი გახლდათ, და, ვ.პ. კერის მოხდენილი გამოთქმით, „ვერ უღალატა ეპოსის ჟანრს“; მან თავადაც იცოდა, „რომელია ჭეშმარიტად ეპიკური პოემის კანონები, რომელი — დრამატული პოემისა, და რომელი — ლირიკულის“.³ მაგრამ, ამასთანავე, ისიც იცოდა, როგორ უნდა შეირჩეს, განივრცოს, ანდა გადაკეთდეს კლასიკური ფორმა; იცოდა, რა გზით შეიძლებოდა „ენეიდას“ „გაქრისტიანება“ ანდა „მილტონიზება“, ხოლო საკუთარი ცხოვრების შესახებ თხრობისას შეძლო ჩამოყალიბებინა ებრაული ლეგენდა სამსონის შესახებ ბერძნული ტრაგედიის ფორმით.

ლიტერატურული ჟანრი — ესაა ინსტიტუტი, ისევე, როგორც ინსტიტუტებია ეკლესია, უნივერსიტეტი ანდა სახელმწიფო. ჟანრი არსებობს, მაგრამ არა ისე, როგორც არსებობს ცხოველი, სამლოცველო, ბიბლიოთეკა ან კაბიტოლიუმი, არამედ — როგორც დაწესებულება. ადამიანს შეუძლია იმოქმედოს, საკუთარი თავი გამოხატოს არსებული ინსტიტუტების მეშვეობით, ახლებიც შექმნას, ანდა მაქსიმალურ წარმატებას ისე მიაღწიოს, რომ არ

ლიტერატურის თეორია

გაიზიაროს ინსტიტუტის პოლიტიკა ან რიტუალები; ამას გარდა, პიროვნებას კიდევ შეუძლია ჯერ ჩაებას ასეთი ინსტიტუტების საქმიანობაში, შემდეგ კი გარდაქმნას ისანი.⁴

უანრების თეორია არის გარკვეული მოწესრიგებულობა. მისი მეშვეობით შესაძლებელია ლიტერატურისა და ლიტერატურის ისტორიის კლასიფიცირება არა დროისა და ადგილის (პერიოდის ან ეროვნული ენის) მიხედვით, არამედ სპეციფიკური ლიტერატურული ტიპების ორგანიზაციისა თუ სტრუქტურის შესაბამისად.⁵ ნებისმიერი კრიტიკული ანდა შეფასებითი კვლევა (ისტორიულისან განსხვავებით), გარკვეულნილად, ოპერირებს ამგვარი სტრუქტურებით. მაგალითად, ლექსის ანალიზი დამოკიდებულია გამოცდილებაზე, სულ ერთია, იქნება ეს აღნერითი თუ ნორმატიული გამოცდილება (თუმცა, რასაკვირველია, პიროვნების ნარმოდენა პოეზიის შესახებ გამუდმებით იცვლება, და ეს ხდება მისი იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ემყარება მის შეხედულებებს ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების შესახებ).

ხომ არ უნდა ვიგარაუდოთ, რომ ყოველი ნაწარმოები რომელიმე განსაზღვრულ უანრს ეკუთვნის? რამდენადაც ვიცით, ეს პრობლემა არ ნამოჭრილა არც ერთ დისკუსიაში. ჩვენ რომ გვევალებოდეს პასუხის გაცემა ბუნებრივი სამყაროს წეს-კანონთა ანალოგიურად, ცხადია, დადებით პასუხს გავცემდით, რადგან ადგილი ყველას მოეძებნება — გრძნ ვეშაპი იყოს და გინდ — ღამურა; ამავე დროს, ჩვენ ვაღარებთ იმ არსებათა რეალობას, რომლებიც ჩაითვლებიან ერთი სამყაროდან მეორეში გარდამავალ ელემენტებად. ამიტომ საკითხი სხვაგვარად უნდა დავსვათ, ანუ კიდევ უფრო უნდა დავაკონკრეტოთ ჩვენი კითხვა: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყოველი ნაწარმოები საქმაოდ ახლო ლიტერატურულ კავშირშია სხვა ნაწარმოებთან, იმდენად ახლოს, რომ მის შესწავლას ეხმარება სხვა ნაწარმოებთა კვლევა? და თუ ასეა, როგორ განსაზღვრავს „ჩანაფიქრი“ უანრს? მიეკუთვნება თუ არა ინიციატივა ნოვატორებს? ან, იქნებ, ის ვეტერანთა მხრივ მომდინარეობს?

განსაზღვრულია თუ არა უანრები ერთხელ და სამუდამოდ? ვფიქრობთ, რომ არა. ახალი ნაწარმოებები აფართოებენ უანრის საზღვრებს. აბა, დავაკვირდეთ „ტრისტრამ შენდის“ და „ულისეს“ ზემოქმედებას რომანის თეორიაზე. როდესაც მილტონი წერდა „დაკარგულ სამოთხეს“, მისი ნარმოდგენით, ეს პოემა უანრული

ნიშან-თვისებების მხრივ ემთხვეოდა „ილიადასა“ და „ენეიდას“; მაგრამ ჩვენ უმაღ განვასხვავებთ ზეპირსიტყვიერ ეპოსს ლიტერატურულისაგან და არა აქვს მნიშვნელობა, მივიჩნევთ „ილიადას“ ზეპირ ეპოსად თუ არა. უნდა ვიფიქროთ, რომ მიღწეული არ ეცდებოდა იმის მტკიცებას, რომ „ფერიათა დედოფალი“ ეპოსი იყო, თუმც კი დანერილი იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ აცალევებენ ერთმანეთისაგან ეპოსსა და სატრფიალო romance-ს, ხოლო ეპოსის ალეგორიულ პერსონაჟს დომინანტური როლი ეკისრებოდა; ამის მიუხედავად, სპენსერს, ცხადია, მაინც მიაჩნდა, რომ პოემას ჰიმეროსის სტილით წერდა.

უეჭველია, რომ ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის შედეგია ახალი გვარეობრივი რგოლის, ახალი ჟანრული მოდელის აღმოჩენა: ასე მაგალითად, ემპსონი პასტორალებად მიიჩნევს შემდეგ ნაწარმოებებს: „როგორ მოგენონებათ“, „სამგროშიანი ოპერა“ და „ალისა საოცრებათა ქეყანაში“, ხოლო „ძმები კარამაზოვები“ გატოლებულია დეტექტიურ ნაწარმოებებთან.

არისტოტელემ და ჰიორაციუსმა საფუძველი ჩაუყარეს ჟანრის თეორიას. სწორედ მათ დავვესესხეთ გვარებად (ტრაგედია და ეპოსი) დაყოფას. მაგრამ, არისტოტელემ განახორციელა ლიტერატურის უფრო ფუნდამენტური დაყოფაც — დრამად, ეპოსად და ლირიკად. თანამედროვე ლიტერატურული თეორიების უმეტესობა უფრო საიმისოდ არის მომართული, რომ გააქარწყლოს პროზა-პოეზიის სხვაობა, ბელეტრისტიკა (Dichtung) ნარმოადგინოს პროზის (რომანი, მოთხრობა, ეპოსი), დრამის (პროზად ან ლექსად ნაწერად) და პოეზიის (აქცენტი კეთდება ისეთ ტიპზე, რომელიც შეესატყვისება ანტიკური „ლირიკული პოეზიის“ ცნებას) სახით.

ვიტორი სამართლიანად გვთავაზობს, ტერმინი „ჟანრი“ არ გამოიყენოთ ამ სამი მეტ-ნაკლებად ძირითადი კატეგორიისა და ისტორიულად განვითარებული სახეობების (ტრაგედია ან კომედია) მიმართ;⁷ ამ უკანასკნელთა მიმართ, ანუ ისტორიულად განვითარებული სახეობების შემთხვევაში, მისი აზრი მისაღებია. რაც შეეხება ძირითად კატეგორიებს, მათი აღსანიშნავი ტერმინის განსაზღვრა რთულია და, ალბათ, არც არის საჭირო.⁸ პლატონმა და არისტოტელემ უკვე გამოყვეს ეს სამი მთავარი კატეგორია „ბაძვის სახეობის“ (ანუ რეპრეზენტაციის მანერის) შესაბამისად: ლირიკული პოეზია — ესაა თვით პოეტის „ხმა“;

ლიტერატურის თეორია

ეპიკურ პოეზიაში (ანდა რომანში) ავტორი ნაწილობრივ მეტყველებს თვითონ, როგორც მთხოვნელი, ნაწილობრივ კი უშუალოდ ალაპარაკებს საკუთარ პერსონაჟებს (ესაა შერეული ნარატივი): რაც შეეხება დრამას, აქ პოეტი იმალება მოქმედ პირთა მიღმა.⁹

არაერთხელ უცდიათ, ეჩვენებინათ ამ სამი გვარეობრივი კატეგორიის ფუნდამენტური ბუნება, გამოევლინათ, როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან პროზა, დრამა და პოეზია დროის თვალსაზრისით, ლინგვისტური მორფოლოგიის თვალსაზრისით. მსგავსი დებულებები ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ პობსმა თავის წერილში დავენანტისადმი; მან სამყარო დაყო სამეფო კარად, ქალაქიდ, სოფლად და, შესაბამისად აღმოაჩინა პოეზიის შესატყვისი სამი ძირითადი ტიპი: საგმირო (ეპოსი და ტრაგედია), სქომატური (სატირა და კომედია), და პასტორალური.¹⁰ ნიჭიერი ინგლისელი კრიტიკოსი, ე.ს. დალასი, რომელიც იცნობდა შლეგელის და კოლრიჯის¹¹ კრიტიკულ ნაშრომებს, ასახელებს პოეზიის სამ ძირითად ტიპს: „ესენია „პიესა, ზღაპარი, სიმღერა“ და ვეთავაზობს უფრო გერმანული, ვიდრე ინგლისური ტრადიციების თანახმად შემუშავებულ სქემათა სერიებს. დალასის აზრით, დრამა მეორე პირია, ანტყო დრო; ეპოსი მესამე პირია, ნამყო; ხოლო ლირიკული პოეზია მხოლობითი რიცხვის პირველი პირია, მომავალი. აღსანიშნავია, რომ ჯონ ერსკინმა, რომელმაც 1912 წელს გამოაქვეყნა პოეტური „ტემპერამენტის“ ძირითადი ლიტერატურული ტიპების ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილი ნაშრომი, დასკვნა, რომ ლირიკა ანტყოს გამოხატავს, მაგრამ ტრაგედიაში ნარმოჩნდება ადამიანის (რომლის ბედი მისი ხასიათიდან გამომდინარეობს) მიერ წარსულში ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვა, ხოლო ეპოსი — ესაა ერების თუ რასების ხევდრი. მცდარია ერსკინის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ დრამა გამოხატავს წარსულს, ხოლო ეპოსი — მომავალს.¹²

თავისი ფორმით და შინაარსით, ერსკინის ეთიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია რამდენადმე წააგავს რესი ფორმალისტების ცდებს, რომლებსაც – როგორც ამას აკეთებდა რომან იაკოპსონი — სურთ აჩვენონ შესაბამისობა ენის დაფიქსირებულ გრამატიკულ სტრუქტურასა, და ლიტერატურულ სახეობებს შორის. იაკოპსონი აცხადებს, რომ ლირიკული პოეზია „არის მხოლობითი რიცხვის პირველი პირი, ანტყო დრო, მაშინ როდესაც

ეპოსი – წარსული დროის მესამე პირია“ (ეპიკური მთხრობლის „მე“ მოცემულ შემთხვევაში შეესაბამება მესამე პირს — “dieses objektivierte Ich”)¹³.

ძირითადი ლიტერატურული კატეგორიების ამგვარი კვლევები, რომლებიც, ერთი მხრივ, აკავშირებენ მათ ლინგვისტურ მორფოლოგიასთან, ხოლო მეორე მხრივ – მსოფლმხედველობრივ სფეროებთან, მიუხედავად მათი მიმზიდველობისა, იშვიათად განაპირობებს ობიექტურ შედეგებს. კვლავინდებურად გაურკვეველია, მართლაც ფუნდამენტურია თუ არა ეს სამი კატეგორია, თუნდაც შემადგენელი ნაწილების სხვაგვარი კომბინირების შემთხვევაში.

ერთ-ერთი სირთულე უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ამჟამად დრამა სხვა მდგომარეობაშია, ვიდრე ეპოსი (რომანი) და ლირიკა. არისტოტელესთვის და ბერძნებისათვის საზოგადოებრივი, ან თუნდაც ზეპირი შესრულება უკვე ნიშნავდა ეპოსს: ჰომეროსის პოეზიას წარმოსთვამდა რათხოდი, მაგალითად, იონი. ელეგიურ და იამბიკურ პოეზიას აკომპანერენტს ფლეიტა უწევდა, ხოლო მელიკურ პოეზიას – ქნარი. დღესდღეობით, უმეტეს შემთხვევაში, მკითხველი თვალით კითხულობს პოეზიას და რომანებს.¹⁴ მაგრამ დრამა ახლაც, ისევე, როგორც ეს იყო ბერძენთა ეპოქაში, წარმოადგენს შერეულ ხელოვნებას, რომლის საფუძველს რასაკვირველია, მაინც ლიტერატურა წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს, ის მოცავს, აგრეთვე, „სპექტაკლს“, რადგან იყენებს მსახიობთა ოსტატობას, პიესის რეჟისორის უნარს, კოსტიუმერის და ელექტრიკოსის ხელობას.¹⁵

თუკი ასეთი სირთულის თავიდან ასაცილებლად სამივე ძირითად კატეგორიას დავიყვანთ ჩვეულებრივ ლიტერატურულობამდე, მაშინ როგორ უნდა განვასხვავოთ ერთ-მანეთისგან პიესა და მოთხრობა? ბოლო ხანებში ამერიკული მოთხრობა (მაგ. ჰემინგუეის „მკვლელები“) ცდილობს იყოს ობიექტური და, როგორც პიესა-მოთხრობა – თითქმის მთლიანად დიალოგიზებული. მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს ტრადიციულ რომანთან, მასში, ეპოსის მსგავსად, თხრობის გარდა, შერეულია კიდევ დიალოგი ანდა უშუალო პრეზენტაცია; ჟანრის პრობლემის სხვა მკვლევრებთან ერთად, სკალიგერმა უმაღლეს ჟანრად აღიარა ეპოსი, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ის ყველა დანარ-

ლიტერატურის თეორია

ჩენს მოიცავს. ვინაიდან ეპოსი და რომანი წარმოადგენენ რთულ ფორმებს, ამიტომ პირველადი სახეობების დასადგენად უნდა „გავათავისუფლოთ“ მათი შემადგენელი ნაწილები და დავარქვათ მათ „პირდაპირი თხრობა“ და „დიალოგით მოწოდებული თხრობა“ (ანუ საკითხავად განკუთვნილი დრამა); ამ შემთხვევაში, ჩვენი სამი ძირითადი ელემენტი იქნება თხრობა, დიალოგი და სიმღერა. შესაძლოა, ამგვარად განწმენდილი, გამარტივებული სახით, ისინი უფრო „პირველადია“, ვიდრე, მაგალითად, „აღწერა, ექსპოზიცია და თხრობა“?¹⁶

განვიხილეთ რა „პირველადი“ ფორმები, ანუ პოეზია, რომანი და დრამა, მიუვადრუნდეთ მათ ამოსავალ სახეობებს: მეთვრამეტე საუკუნის კრიტიკოსი თომას პენკინსი წერს, რომ ონგლისური დრამის წაირსახეობები იყო „მისტერია, მორალიტე, ტრაგედია და კომედია“. მეთვრამეტე საუკუნეში პროზა წარმოდგენილი იყო რომანით და romance-ით (სატრიფიალო რომანი). ჩვენი აზრით, მეორე კატეგორიის ჯგუფების სწორედ ასეთ წაირსახეობებს უნდა უვწოდოთ ჟანრები.

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეები ის ხანაა, როდესაც ჟანრებს სერიოზულად განიხილავდნენ; კრიტიკოსებს ეჭვი არ შეაქვთ ჟანრის ცნებაში, მათვეთის ჟანრი — რეალობაა.¹⁷ ის, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი ჟანრები და არ შეიძლება მათი აღრევა, კლასიცისტური წმენის დოგმატი გახლავთ. მაგრამ თუ გადავხედავთ კლასიცისტურ კრიტიკას, რათა გავერკვეთ, როგორ განსაზღვრავენ ჟანრს ამ კატეგორიის კრიტიკოსები, რა მეთოდით ხელმძღვანელობენ, როცა უნდათ განასხვავონ ჟანრები ერთმეორისაგან, დავრნმუნდებით, რომ ძალზე ცოტა რამ არის მათ მსჯელობაში თანმიმდევრული და საერთოდ, რაციონალური განსაზღვრის საჭიროებაც კი ცუდად აქვთ გააზრებული. მაგალითად, ბუალოს კანონი მოიცავს პასტორალს, ელეგიას, ოდას, ეპიგრამას, სატირას, ტრაგედიას, კომედიას და ეპოსს; მაგრამ ბუალო არ განსაზღვრავს ამ ტიპოლოგიის საფუძველს (იქნებ იმიტომ, რომ, მისი აზრით, ესაა ისტორიული ტიპოლოგია და არა რაციონალისტური კონსტრუქცია). რით განსხვავდებიან ეს ჟანრები — შინაარსით, სტრუქტურით, სალექსო საზომით, სიდიდით, ემოციური ტონით, Weltanschauung-ით, თუ აუდიტორიით? ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუმცა, ბევრი კლასი-

ლიტერატურული ჟანრები

ცისტისთვის ჟანრების მთელი ცნება, თავისთავად, იმდენად აშკარაა, რომ გამორიცხავს რაიმე პრობლემის არსებობას. ჰიუ ბლერი („რიტორიკა და ბელეტრისტიკა“, 1793) რამდენიმე თავს უძღვნის ძირითად ჟანრებს, მაგრამ მათში არ მოიძებნა ადგილი, ზოგადად, ჟანრთა თეორის, არაა განსაზღვრული ლიტერატურული კლასიფიკაციის პრინციპები. ჟანრების შერჩევაც არაა დასაბუთებული მეთოდოლოგიური ან სხვა რომელიმე თვალსაზრისით. მათი უმეტესობა კვლავ ბერძნებს უკავშირდება, თუმცა, ეს ყველაზე არ ითქმის: ავტორი მსჯელობს „აღწერით პოეზიაზე“, რომელშიც „შეიძლება წარმოჩნდეს გენის უკიდურესი დინამიკურობა“; აյ ის არ გულისხმობს „რაიმე კონკრეტულ კატეგორიას ანდა კომპოზიციის ფორმას“, თუმცა, არსებობდა „დიდაქტიკური პოემის“ ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა *“De rerum natura”* ანდა „ესაე ადამიანზე“. „აღწერითი პოეზიდან“ ბლერი გადადის „ეპრაულ პოეზიაზე“, რომელიც, მისი აზრით, წარმოაჩენს „გარდასულ დროთა და პირისაგან მინისა აღვეილი ხალხის გემოვნებას“; ამასთან, ბლერი თითქოს ვერც ამჩნევს იმას, რომ ესაა აღმოსავლური პოეზიის ნიმუში, იმ პოეზიისა, სრულიად რომ არ ჰგავს გაბატონებულ ბერძნულ-რომაულ-ფრანგულ ტრადიციას. შემდგომ ბლერი ინყებს მსჯელობას იმაზე, რასაც ის სავსებით ორთოდოქსულად უწოდებს „ეპიკური და დრამატული პოეზიის უმაღლეს სახეობებს“; თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა, ამ უკანასკნელისთვის „ტრაგედა“ ენოდებინა.

კლასიცისტური თეორია არ განმარტებას, არ ავითარებს და არც იცავს ჟანრების დოქტრინას, ასეთივე მისი დამოკიდებულება ლიტერატურის დიფერენციაციის საფუძვლის მიმართ. მისი ყურადღების ცენტრშია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ჟანრის სინმინდე, მისი არსებობის ხანგრძლივობა და ახალი ჟანრების გამოვლენა.

ვინაიდან ისტორიული თვალსაზრისით, კლასიციზმი იყო ავტორიტარიზმისა და რაციონალიზმის ნარევი, ის კონსერვატიულობას იჩენდა ლიტერატურული კლასიფიკაციის საკითხების განხილვისას. კლასიცისტური შეხედულებები უმეტესწილად ემყარებოდა ანტიკურ ესთეტიკას და, ძირითადად, ეხებოდა პოეტური ჟანრების კლასიფიკაციას. მაგრამ უკვე ბუალო აღიარებს სონეტს და მადრიგალს, ხოლო ჯონსონი ხოტბას ასხამს დენპემს, რომელმაც თავის ნაწარმოებში - „კუპერის მთა“, შემოიტანა „პოე-

ლიტერატურის თეორია

ზის ახალი სისტემა“, „პოეზია, რომელსაც შეიძლება ენოდოს რეგიონალური“; მას, აგრეთვე, მიაჩნია, რომ ტომსონის „წელიწადის დრონი“ არის „ახალი ტიპის პოეზია“ და რომ აქ „მსჯელობისა და აზრების გამოხატვის მანერა ორიგინალურობით გამოიირჩევა“.

კლასიკური ფრანგული ტრაგედიის მომხრეები ქადაგებდნენ ჟანრის სინმინდეს და უპირისპირებდნენ მას ელისაბედის ხანის ტრაგედიებს, სადაც დაშვებული იყო კომიკური სცენები (მესაფლავენი „ჰამლეტში“, მთვრალი მსახური „მაკბეტში“). ესაა პორაციუსისეული თვალსაზრისის „მიმდევარი“ თეორია, თუ ის დოგმატურია, ხოლო როდესაც მასში გაისმის მოწოდება გამოცდილებისა და განათლებული ჰედონიზმისაკენ, მაშინ ის არის ტოტელესეული შეხედულების დამადასტურებელ დოქტრინას წარმოადგენს. არსიტოტელეს სიტყვებით, „ტრაგედიამ უნდა გამოიწვიოს არა შემთხვევითი სიამოვნება, არამედ სიამოვნება, რომელიც შეესაბამება მას.“¹⁸

ჟანრების იერარქია ნაწილობრივ განისაზღვრება ჰედონისტური თვალსაზრისით: მავრამ კლასიკურ ნიმუშებში ნაწარმოებით გამოწვეული სიამოვნება არ უნდა გავიაზროთ რაოდენობრივად, ანუ ემოციის ინტენსივობის მხრივ ან მკითხველთა თუ მსმენელთა რაოდენობის თვალსაზრისით; იერარქიული სტრუქტურის პრინციპი ერთდროულად განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით. ესენია: სოციალური, მორალური, ესთეტიკური, ჰედონისტური და ტრადიციული ფაქტორები. გასათვალისწინებელია ლიტერატურული ნაწარმოების ზომაც: მცირე ჟანრები, მაგალითად, სონეტი ან ოდა, ვერ გაუტოლდება ეპოსს ანდა ტრაგედიას. მილტონის „მცირე ზომის“ ლექსები განეკუთვნება დაბალ ჟანრებს (სონეტი, კანცონა თუ მასკა); მისი „უმთავრესი“ ნაწარმოებებიდან ერთი „ჭეშმარიტი“ ტრაგედია, ორი კი — ეპიკური პოემები. რაოდენობრივი თვალსაზრისით, ამ ორი „მაღალი“ ჟანრიდან „უმაღლესია“ ეპოსი. ამასთან, ყოყმანის შემდეგ და საკუთარი შეხედულებების საპირისპიროდ, არისტოტელემ პირველი ადგილი მიაკუთვნა ტრაგედიას. აღმოჩინების ხანის კრიტიკოსებმა მეტი თანმიმდევრულობა გამოიჩინეს, და უპირატესობა ეპოსს მიანიჭეს. კლასიციზმის ეპოქაში ეს საკითხი კვლავ საკამათოდ რჩებოდა, თუმცა, პოპსი, დრაიდენი და ბლერი აღიარებდნენ, რომ ეპოსიც და ტრაგედიაც უმაღლეს ჟანრებად უნდა ჩაითვალოს.

ახლა განვიხილოთ სხვა ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან მხოლოდ სტროფული ფორმით და სალექსო საზომით. როგორ უნდა მოვახერხოთ სონეტის, რონდოს ან ბალადის კლასიფიკაცია? რას წარმოადგენენ ისინი – ჟანრებს, თუ ქვეჯანრებს? უკანასკნელ ხანებში ფრანგი და გერმანელი მწერლები მათ „ფიქსირებულ ფორმებად“ მოიხსენიებენ და არ მიაკუთვნებენ ჟანრებს. ამის მიუხედავად, ვიეტორი უშვებს გამონაკლისს, ყოველ შემთხვევაში, სონეტისთვის მაინც; ჩვენი აზრით, გამართლებული იქნებოდა მეტი გამონაკლისს დაშვება. მაგრამ აქ უკვე ტერმინოლოგიდან გადავდივართ კრიტერიუმის დეფინიციაზე: არსებობს თუ არა, საერთოდ, ისეთი ჟანრი, რომელსაც უწოდებენ „ოქტოსილაბურ ლექსს“, ანდა „დიპოდიურ ლექსს“? ჩვენ მზად ვართ, დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვას, და აი, რატომ: თუ მეთვრამეტე საუკუნის ინგლისურ პოეზიაში გვხვდება „ოქტავები“, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში — „დიპოდიები“ და, ამასთან, ეს ორივე საზომი დაახასიათებელი არაა ინგლისური პოეზიისთვის მისი იამბური პენტამეტრით, ეს ნიშნავს, რომ ოქტავებით და დიპოდიებით დაწერილი ლექსების შემთხვევაში, მათი ინტონაციითა და ეთოსით¹⁹ საქმე არა გვაქვს უბრალოდ კლასიფიკაციასთან მეტრის საფუძველზე არამედ გაცილებით უფრო მრავალმნიშვნელოვან ფაქტთან, რომელსაც აქვს როგორც „შინაგანი“, ასევე „გარეგნული“ ფორმა.

ამიტომ ჟანრად უნდა მივიჩნიოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჯგუფი, რომლებშიც თეორიულად ვლინდება როგორც გარეგნული (სპეციფიკური მეტრი ან სტრუქტურა), ასევე - შინაგანი (განწყობილება, ტონი, ჩანაფიქრი - ანუ თემა და აუდიტორია) ფორმა. საკმარის საფუძვლად შეიძლება გამოდგეს ერთიც და მეორეც (შინაგანი ფორმისთვის - პასტორალი და სატირა, ხოლო გარეგნული ფორმისთვის - დიპოდიური ლექსი ანდა პინდარული ოდა); მაგრამ ასეთ შემთხვევაში კრიტიკის ამოცანად უნდა მივიჩნიოთ სხვა განზომილების მოძებნა და სქემისთვის მეტი დასრულებულობის მინიჭება.

ზოგჯერ გარეგნული ან შინაგანი ცვლილებები განაპირობებს ახალი ჟანრული კატეგორიების წარმოშობას: ინგლისურ (ისევე როგორც ბერძნულ ან რომაულ) პოეზიაში, „ელეგია“ ინერებოდა

ლიტერატურის თეორია

ელეგიური სტროფით ან დისტიქით; ამის მიუხედავად, ანტიური ეპოქის მწერლები თავს არ იზღუდნენ მიცვალებულთა დატირებით, ასე არ იქცეოდნენ არც გრეიის წინამორბედები – ჰამონდი და შეკსტოუნი. მაგრამ გრეიმ დაწერა თავისი „ელეგია“ საგმირო კატერნით, და არა კუპლეტებით, რის შემდეგაც ინგლისურ მწერლობაში ელეგია აღარ წარმოადგენს ინტიმურ ჟანრს, დაწერილს შინაარსობრივად დასრულებული კუპლეტებით.

ჩვეულებრივ, უკანასკნელი ეპოქა, რომელსაც უკავშირებენ უანრთა ისტორიას, ესაა მეთვრამეტე საუკუნე, რადგან მომდევნო პერიოდებში უანრული კატეგორიები აღარ გამოიჩინა მკაფიო სტრუქტურით, უანრული მოდელები უმეტესნილად იშლება. ამგვარი თვალსაზრისი გამოთქმულია ფრანგულ და გერმანულ ენებზე შექმნილ გამოკვლევებში, რომლებიც ეძღვნება უანრის პრობლემებს. მათში მითითებულია ისიც, რომ 1840-1940 წლები, ლიტერატურული თვალსაზრისით, ანომალიას წარმოადგენს და რომ მომავალში უეჭველად უნდა დავუბრუნდეთ ისეთ მწერლობას, რომელიც უანრული ხასიათისა იქნება.

ამის მიუხედავად, მართებული იქნება განვაცხადოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში უანრების კონცეფციამ განიცადა ერთგვარი ცვლილებები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ცნება საერთოდ ქრება (ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულად უანრები ვერაფრით გაქრებოდა). აუდიტორიის შესამჩნევ ზრდასთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნეში უანრების რიცხვმაც იმატა, ხოლო გაიაფებულ ბეჭდებს ის მოჰყენა, რომ ეს უანრები ხანძოელე აღმოჩნდა ან უფრო სწრაფად იცვლებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში და ჩვენს დროშიც „უანრის“ მდგომარეობა ისევე გართულდა, როგორც ეს დაემართა „პერიოდის“ ცნებას. ჩვენ მოწმენი ვართ, რა სწრაფად იცვლება ლიტერატურული მოდა; ძველი ნახევარსაუკუნოვანი რიტმის ნაცვლად, დღესდღეობით ლიტერატურული თაობები ათ წელიწადში ერთხელ იცვლება, რის მაგალითადაც გამოდგება ამერიკული პოეზია, ვერლიპტის ხანა, ელიოტის ხანა, ოდენის ხანა. ამასთან, შესაძლებელია, რომ მომავალი კრიტიკოსების აზრით, სხვადასხვაგვარი თანამედროვე მიმდინარეობები საერთო მიმართულებისა და თვისებების მქონე აღმოჩნდეს (ისევე, როგორც ახლა ინგლისელ რომანტიკოსებად მივიჩნევთ ყველას ერთად – ბაირონს, უორდს-გორთს და შელის).²⁰

ჟანრის რა მაგალითებს იძლევა მეცხრამეტე საუკუნე? ვან ტიგემი და მასთან ერთად სხვები, მუდამ ახსენებენ ისტორიულ რომანს.²¹ მაშინ რა შეიძლება ითქვას „პოლიტიკურ რომანზე“ (რაც მ.ე. სპირის მონოგრაფიის თემაა)? და თუ არსებობს პოლიტიკური რომანი, მაშინ ხომ უნდა ვაღიაროთ არსებობაც სასულიერო რომანისა, რომელიც მოიცავს კომიტონ მაკენზის „რობერტ ელსზმირს“ და „საკურთხევლის საფეხურებს“, „ბარჩესტერის კოშკთან“ და „სეილემის სამლოცველოსთან“ ერთად? მაგრამ პოლიტიკურ და სასულიერო რომანს აერთიანებს მხოლოდ შინაარსი, რაც წმინდა სოციოლოგიურ კლასიფიკაციაზე მეტყველებს. ამ ხაზს ჩვენ შეგვიძლია გაუთავებლად მივსდით: გავიხსენოთ რომანი ოქსფორდის მოძრაობის შესახებ, მასწავლებელთა აღწერა მეცხრამეტე საუკუნის რომანში, მეზღვაურები მეცხრამეტე საუკუნის რომანში და რომანები ზღვის შესახებ. რით გამოირჩევა ისტორიული რომანი? არა მარტო იმით, რომ მისი თემა ნაკლებად არის შეზღუდული (ანუ განხილვის საგანი შეიძლება იყოს მთლიანად წარსული და არა მხოლოდ მისი რაღაც ნაწილი), არამედ იმითაც, რომ ისტორიული რომანი განუყოფლად უკავშირდება რომანტიზმს და ნაციონალიზმს — წარსული მასში აისახება ახლებური დამოკიდებულების საფუძველზე. ჟანრის კიდევ უფრო თვალსაჩინო ნიმუშია გოტიკური რომანი, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნეში საფუძველი დაუდო „ოტრანტოს სასახლემ“ და რომელიც დღემდე ცოცხლობს. ეს არის პროზაული თხრობის ჟანრი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ის მოიცავს ნანარმობებს, რომლებსაც აერთიანებს არა მარტო განსაზღვრული შინაარსი თუ თემატიკა, არამედ — ფორმალური ხერხების და საშუალებების მთელი წყებაც (აღნერითი აქსესუარული და ნარატიული, მაგ., დანგრეული ციხედარბაზები, შეუ საუკუნეების კათოლიკური ტრადიციის საშინელებები, იდუმალი პორტრეტები, საიდუმლო ტალანები, სადაც შეიძლება შეაღნიო კარის მოძრავი პანელების გავლით, მოტაცებები, მსხვერპლის ჩაკირვა კედელში, დევნა უდაბურ ტყეში). ამას გარდა, არსებობს კიდევ Kunstuollen, ესთეტიკური მიზანსწრაფვა, რომ მკითხველს გაუჩინდეს სიამოგნების მომგვრელი შიში და (გოტიკური რომანების ავტორები, აღბათ, იტყოდნენ, „თანაგრძნობა და შიშიო“).²²

ლიტერატურის თეორია

საერთოდ, ჩვენი წარმოდგენა უანრის შესახებ გაცილებით მეტადაა განსაზღვრული გარეგნული ფორმით, ვიდრე — შინაგანით. ამიტომ უანრად ჩაითვლება უფრო ოქტავით დაწერილი „ჰუდინის“ და სონეტი, ვიდრე პოლიტიკური რომანი ან რომანი მუშების შესახებ: აქ ვგულისხმობთ „ლიტერატურულ“ უანრებს და არა კლასიფიკაციას შინაარსის მიხედვით, რომელიც შეიძლება მიესადაგოს არამხატვრულ პროზასაც. არის ტოტელეს „პოეტიკა“, სადაც პოეზიის ძირითად გვარებად ეპოსი, დრამა და ლირიკული (მელიკური) პოეზია მოიხსენიება, ითვალისწინებს, აგრეთვე, გამოხატვის საშუალებათა ოპტიმალურ შესაბამისობას თითოეული მათგანისადმი: დრამა იმიტომ იქმნება იამბური ლექსით, რომ ის ყველაზე უფრო ახლოსაა სასაუბრო მეტყველებასთან, ხოლო ეპოსი მოითხოვს დაქტილურ ჰეგზამეტრს, რომელიც სრულიად არ წააგავს ამგვარ მეტყველებას: „თუ ვინმე გადაწყვეტს დაწეროს ეპიკური პოემა რაიმე სხვა საზომით, ანდა რამდენიმე საზომით, ეს შეუსაბამო იქნება, რადგან საგმირო მეტრი ყველაზე უფრო დიდებული და მაღალთარდოვნია, ამიტომ ის ყველაზე უფრო ადვილად ითვისებს ნასესხებ სიტყვებს, მეტაფორებს თუ ორნამენტებს..“²³

„ფორმის“ მომდევნოდონე — „მეტრისა“ და „სტროფის“ შემდგომ, „კომპოზიცია“ უნდა იყოს (მაგ., სიუჟეტის ორგანიზაციის განსაკუთრებული ტიპი): სხვადასხვაგვარი კომპოზიციური ხერხების გამოყენებით ტრადიციულად (იგულისხმება ძველი ბერძნული ტრაგედია) განისაზღვრება განსხვავება ეპოსსა და ტრაგედიას შორის (დაწყებული in medias res-ით, ტრაგედიის „პერიპეტიით“ და ერთობების პრინციპით). მაგრამ „კლასიკურ ხერხთაგან“ ყველა როდია სტრუქტურული: საბრძოლო სცენები და საიკიოში ჩასვლა ახასიათებს ნანარმოებს მისი შინაარსის ან თემის თვალსაზრისით. მეთვრამეტე საუკუნის შემდგომ მწერლობაში ძნელია ამ დონის ლოკალიზაცია, „კარგად გაკეთებული პიესების“ და დეტექტიური რომანის გარდა (მკვლელობის საიდუმლოთი), სადაც კომპოზიციური ხერხი თვით სიუჟეტის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ მოთხოვთ ჩეხოვისეულ ტრადიციაშიც არსებობს ორგანიზაცია, სტრუქტურა, თუმცა ის უფრო „თავისუფალია“, ვიდრე პოს ან ოპერის ნანარმოებებში.²⁴

უანრის თეორიით დაინტერესებულმა მეცნიერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ „კლასიკისტური“ მიდგომა განსხვავდება

თანამედროვე მიდგომისგან. კლასიცისტური თეორია მარეგულირებელი და დირექტიულია, მაგრამ მისი „წესები“ არ უნდა ჩავთვალოთ უაზრო ავტორიტარიზმად, რასაც მას ჯერ კიდევ მიაწერენ. კლასიცისტური თეორია აღიარებს, რომ ჟანრები ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავიანთი ბუნებით, ისე ასახვის საგნის მიხედვით; ამასთან, დაუშვებელია ჟანრების აღრევა. ეს არის „ჟანრის სინმინდის“ ანუ „genre tranche“-ის ცნობილი დოქტრინა.²⁵ მიუხედავად იმისა, რომ არ განხორციელებულა ამ დოქტრინის თანამიმდევრული გააზრება, მან მაინც წამოყალიბების გარკვეული ესთეტიკური პრინციპი (ისე, რომ არ შემოიფარგლა მხოლოდ კასტური განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფით): ეს იყო მონოდება, რომ მკაცრად ყოფილიყო დაცული ინტონაცია, სტილის სინმინდე და „სისადავე“, ერთიანი ემოციური წყობა (მაგალითად, საშინელი და სასაცილო), სიუჟეტური და თემატური ერთიანობა. ეს დოქტრინა ითვალისწინებდა აგრეთვე ჟანრული საშუალებების შეუთავსებლობას — ხელოვნების ყოველ სახეობას აქეს თავისი შესაძლებლობანი და საკუთარი საშუალებები: რატომ უნდა ესწრაფვოდეს პოეზია „ფერწერულობას“ ან „მუსიკალობას“, ანდა რატომ უნდა მოვთხოვოთ მუსიკას, რომ აღნერითი ან სცენური იყოს? „ესთეტიკური სინმინდის“ პრინციპის გათვალისწინებით, სიმფონია უფრო „წმინდა“ აღმოჩნდება, ვიდრე ოპერა ან ორატორია (რომლებშიც გამოიყენება გუნდიც იყოს და ორკესტრიც), სიმებიანი კვარტეტი კი — კიდევ უფრო წმინდა (ვინაიდნ ის იფარგლება მხოლოდ ერთ საორკესტრო ანსამბლით და არ იყენებს ხის ინსტრუმენტებს, სპილენძის სასულე ინსტრუმენტებს და დასარტყამ ინსტრუმენტებს).

კლასიციზმის თეორიას ჰქონდა აგრეთვე თავისი ჟანრების სოციალური დიფერენციაცია. ეპოსი და ტრაგედია ასახავდა მეფისა და თავადაზნაურობის ცხოვრებას, კომედია — საშუალო კლასის (ქალაქელების, ბურჟუაზიის) ყოფას, ხოლო სატირისა და ფარსის პერსონაჟები იყვნენ მდაბიონი. მოქმედ პირებს შორის ასეთი მკვეთრი სხვაობა შეესატყვისება ყოველ ტიპს. აქედან გამომდინარეობს მოქმედ პირთა განაწილება დრამაში მათი რანგის მიხედვით, რაც „დეკორუმის“ დოქტრინით იყო წაკარნახევი, აგრეთვე — მეტყველებითი დახასიათების სტილისტური სახე-სხვაობები: სტილი და მეტყველება იყოფა მაღალ, შუალედურ

ლიტერატურის თეორია

და დაბალ დონეებად.²⁶ მას აგრეთვე ჰქონდა საკუთარი კატეგორიების იერარქია, რომლის ელემენტებს წარმოადგენდა არა უბრალოდ მოქმედ პირთა რანგი და ნაწარმოების სტილი, არამედ — ნაწარმოების ზომა ან მოცულობა (ჩანაფიქრის უფრო სრულად განხორციელების უნარი), აგრეთვე — გადასაწყვეტი პრობლემების მნიშვნელობა.

„გენეალოგიის“ (ასე უწოდებს ვან ტიგემი ჩვენს კვლევას)²⁷ თანამედროვე მომხრე ნამდვილად მოინდომებს, რომ შეისწავლოს ჟანრების კლასიციისტური დოქტრინა, შემდეგ კი იგრძნობს მის გარკვეულ არათანმიმდევრულობას (ესთეტიკის თვალსაზრისით). ამ არათანმიმდევრულობის მიზეზები ჩვენ ნანილობრივ განვმარტეთ ჟანრების „სინმინდის“ შესახებ საუბრისას. მაგრამ „გენეალოგიის“ პრინციპი არ დაიყვანება ერთ რომელიმე ტრადიციაზე ან დოქტრინაზე. კლასიციზმისთვის მიუღებელი იყო სხვა ესთეტიკური სისტემები, ჟანრები და ფორმები. ნაცვლად იმისა, რომ ელიარებინა გოტიკური კათედრალ როგორც ბერძნულ ტაძართან შედარებით უფრო რთული „ფორმა“, იგი მასში მხოლოდ უფორმობას ხედავდა. იგივე ვრცელდებაუნდა ითქვას ჟანრების შესახებ. ყოველ „კულტურას“ აქვს თავისი ჟანრები, იქნება ეს ჩინური, არაბული თუ ირლანდიური კულტურები; არსებობს პრიმიტიული ზეპირსიტყვიერი „ჟანრები“. შეუა საუკუნეების მწერლობამ წარმოშვა უამრავი ჟანრი.²⁸ ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ მართებულია მხოლოდ ბერძნულ-რომაული კლასიფიკაცია. არც იმის საჭიროებაა, რომ დავიცვათ — თავისი ბერძნულ-რომაული ფორმით — ჟანრის სინმინდის დოქტრინა, რომელიც მიესადაგება ესთეტიკური ხედვის მხოლოდ ერთ ტიპს.

ჟანრის თანამედროვე თეორია აშეკარად აღწერითია. ის არ ზღუდავს შესაძლებელი კატეგორიების რაოდენობას, და არც წესებს კარნახობს ავტორებს. ეს თეორია აღიარებს, რომ დასაშვებია ტრადიციული ჟანრების „შერევა“ და ახალი ტიპის (ტრაგიკომედიის მსგავსად) შექმნა, აგრეთვე — ჟანრების აგება ისეთ საფუძველზე, რომელიც მოიცავს როგორც „ურთიერთგამდიდრებას“, ისე „სინმინდეს“ (ჟანრი იწარმოება არა მარტო დანანევრებით, არამედ — შეერთებითაც). ნაცვლად იმისა, რომ აქცენტი გაკეთდეს ჟანრებს შორის განსხვავებაზე და მათი საერთო მნიშვნელის ძიებით (რომანტიკოსთა იმ განცხადების საპირისპიროდ, რომლის

ლიტერატურული ჟანრები

თანახმად, ყოველი „ორიგინალური გენიოსი“ და შემოქმედების ყოველი პროდუქტი უნიკალურია).

სიამოვნება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს ლიტერატურული ნაწარმოები, განპირობებულია სიახლით და, იმავდროულად, ნაცნობი ელემენტების ამოცნობით. მუსიკაში სონატის ფორმა და ფუგა წარმოადგენენ აშკარად ამოსაცნობ ფორმებს; დეტექტიური ფაბულის მქონე ნაწარმოებში ინტრიგა თანდათანობით იძაბება, სამხილები ერთ წერტილში იკვრება (როგორც ეს ხდება „ოიდიპოსში“). მთლიანად ნაცნობი და განმეორებადი სახე მოსაბეზრებელია; სრულიად ახალი რომანის ფორმა იქნება გაუგებარი და წარმოუდგენელიც კი. შეიძლება ითქვას, რომ ჟანრი წარმოადგენს ესთეტიკურ ხერხთა ჯამს, რომლებიც ხელმისაწვდომია მწერლისთვის და ცნობილია მკითხველისთვის. კარგი მწერალი ითვალისწინებს ჟანრის მოთხოვნებს, თან ნაწილობრივ აფართოებს ჟანრის საზღვრებს. საბოლოო ანგარიშით, დიდი მწერლები (შექსპირი და რასინი, მოლიერი და ჯონსონი, დიკენსი და დოსტოევსკი) არ ქმნიან ახალ ჟანრებს: ისინი იყენებდნენ სხვათა შექმნილ ფორმებს.

ჟანრების შესწავლა ლირებულია თუნდაც იმიტომ, რომ ყურადღებას ამახვილებს ლიტერატურის შინაგან განვითარებაზე, რასაც პენრი უელსმა „ლიტერატურული გენეტიკა“ უწოდა („ახალი და ძველი პოეტები“, 1940). რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს გარეშე გარემოებათა ზემოქმედება ლიტერატურაზე, ნიგნები განიცდიან, პირველ ყოვლისა, სხვა ნიგნების გავლენას; ნიგნებში ხდება სხვა ნიგნების იმიტაცია, პაროდია და ტრანსფორმირება და ეს არაა განპირობებული, უბრალოდ, ქრონოლოგიური სიახლოვით. თანამედროვე ჟანრების განსაზღვრისთვის სჯობს განვიხილოთ ყველაზე გავლენიანი ავტორები და ნიგნები: ელიოტი და ოდენი, პრუსტი და კაფკა.

ჟანრის თეორიასთან დაკავშირებით, გვინდა შევეხოთ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გადაჭრილი. ასეთია ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის პრიმიტიული ჟანრების (ანუ ფოლკლორის) მიმართება მწიგნობრული ლიტერატურის ჟანრებთან. ერთ-ერთი რუსი ფორმალისტი, შელოვსკი, მიიჩნევს, რომ ხელოვნების ახალი ფორმები სხვა არაფერია, თუ არა „დაბალი (ანუ სუბლიტერატურული) ჟანრების

ლიტერატურის თეორია

უბრალო კანონიზაცია“. დოსტოევსკის ნაწარმოებები წარმოადგენ განდიდებულ დეტექტიურ რომანებს, რომანს ა sensation, „პუშკინის ლირიკული ლექსები მომდინარეობს საალბომო ლექსებიდან, ბლოკისა – ბოშათა სიმღერებიდან, ხოლო მაიკოვსკისა – საგაზეთო-კარიკატურული პოეზიიდან“.²⁹ ბერტოლდ ბრეჭტი, ასევე ოდენი – შესაბამისად, გერმანულად და ინგლისურად – საგანგებოდ ცდილობდნენ, გადაექციათ პომულარული პოეზია სერიოზულ ლიტერატურად. გარკვეულ თვალსაზრისად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ლიტერატურას აუცილებლად სჭირდება მუდმივი თვითგანახლება მისი ერთგვარი „რებარბარიზაციის“ მეშვეობით.³⁰ ანდრე ჟოლის თვალსაზრისით, რთული ლიტერატურული ფორმები ვითარდება უფრო მარტივი ფორმებიდან. ჟოლეს მიაჩნია, რომ ლეგენდა, საგა, მითი, ანდაზა, შემთხვევა, ზღაპარი, ხუმრობა წარმოადგენენ იმ პრიმიტიულ ელემენტარულ უანრებს, რომლებიც ყველა რთული ჟანრის საფუძველი ძევს.³¹ რომანის ისტორია ამგვარი განვითარების მაგალითია: „პამელას“, „ტომ ჯონსის“ და „ტრისატრამ შენდის“ „მომწიფებული“ ფორმები ემყარება „einfache Formen“-ს: წერილებს, დღიურს, მოგზაურობის აღწერას (ანდა „წარმოსახულ მოგზაურობას“), მემუარებს, მეჩვიდმეტე საუკუნის „დახასიათებებს“, აგრეთვე — სასცენო კომედიას, ეპოსს და სათავგადასავლო რომანს.

მეორე საკითხია უანრული განვითარების უწყვეტობა. ცნობილია, რომ ბრუნეტიერმა დათვეური სამსახური გაუწია „გენეალოგიას“ თავისი კვაზიბიოლოგიური „ევოლუციური“ თეორიით. მან გამოიტანა მეტად მოულოდნელი დასკვნა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ორატორულმა ხელოვნებამ უშუალო ზეგავლენა მოახდინა (ქრონოლოგიური სიშორის მიუხედავად) მეცხრამეტე საუკუნის ლირიკულ პოეზიაზე.³² ეს დასკვნა (პარალელად გამოდგება ის კავშირი, რომელიც, ვან ტიგემის შეხედულებით, არსებობს ჰომეროსის ეპოსსა და უოლტერ სკოტის „უევერლის“ შორის, შუა საუკუნების გალექსილ რომანსა და თანამედროვე ფსიქოლოგიურ რომანს შორის, დროსა და სივრცეში დაშორებულ ნაწარმოებებს შორის) ეფუძნება ანალოგიას ავტორისა და მკითხველის მდგომარეობასთან – რომლებიც ყოველთვის როდი არიან თანამედროვენი („quelques tendances premordiales“). მაგრამ ვან ტიგემი აღნიშნავს ამგვარი ანალოგიების შეუძლებლობის შესახებ, რადგან, მისი აზრით, შედარება

არ ხორციელდება „ლიტერატურული ჟანრების ჩარჩოებში, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით“ - „les genres litteraires – proprement dits“.³³ ცხადია, ჟანრული განვითარების თანმიმდევრულობის გამოვლენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ყოველ ეტაპზე დასაბუთებული იქნება ჟანრისადმი „ერთგულება“. წარმოადგენს თუ არა ტრაგედია ერთ ჟანრს? ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტრაგედიას აქვს პერიოდები და ეროვნული ფორმები: ბერძნული ტრაგედია, ელისაბედის ხანის, კლასიკური ფრანგული და მეცხრამეტე საუკუნის გერმანული ტრაგედია. როგორ აღვიქვათ ისინი? როგორც მრავალი ცალკეული ჟანრი თუ, როგორც ერთი ჟანრის ტიპები და ნაირსახეობები? როგორც ჩანს, პასუხი, ნაწილობრივ მაინც, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას შევარჩევთ ამოსავალ პრიციპიად — კლასიკური ელინური ხანის ფორმალურ მემკვიდრეობითობას თუ შინაარსის იდეურ თავისებურებას. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის განხილვისას კიდევ უფრო ძნელია პასუხის გაცემა ამ კითხვაზე: რა შეიძლება ვთქვათ ჩეხოვის „ალუბლის ბალზე“ და „თოლიაზე“, ანდა იბსენის „მოჩევნებებზე“, „როსმერსპოლმზე“, „მშენებელ სოლნესზე“? უნდა მივიჩნიოთ თუ არა ისინი ტრაგედიებად? გამოხატვის საშუალება შეიცვალა და ლექსიდან პროზაზე გადაინაცვლა; ასევე შეიცვალა „ტრაგიკული გმირის“ ცნება.

ამ კითხვებს მივყავართ იმ საკითხთან, რომელიც ეხება ჟანრის ისტორიის ხასიათს. ერთი მხრივ, დავობენ იმაზე, რომ შეუძლებელია კრიტიკული ისტორიის შექმნა (რადგან შექსპირის ტრაგედიების ნორმად აღიარება იმას ნიშნავს, რომ სათანადოდ ვერ შევაფასებთ ძველბერძნულ და ფრანგულ ტრაგედიებს), ხოლო, მეორე მხრივ, ისტორია, რომელსაც არა აქვს ისტორიის ფილოსოფია, უბრალო ქრონიკად დარჩება.³⁴ ორივე პოზიცია თავისებურად სამართლიანია. პასუხად ის გვეგულება, რომ ელისაბედის ხანის ტრაგედიის ისტორია უნდა იწერებოდეს როგორც შექსპირისკენ მიმართული განვითარება და მისგან დაწყებული დაღმასვლა; მაგრამ ტრაგედიის ისტორია ვალდებულია გამოიყენოს ორმაგი მეთოდი: შეიმუშავოს ტრაგედიის ზოგადი განსაზღვრა (საერთო მნიშვნელის ძიების მეთოდი) და, მეორე მხრივ, გამოავლინოს ქრონოლოგიური კავშირები ტრაგედიული ჟანრის ერთ სკოლასა და მოგვიანებით ჩამოყალიბებულ მეორე სკოლას შორის ერთი ქვეყნისა და ერთი ლიტერატურული მიმარ-

ლიტერატურის თეორია

თულების ფარგლებში; ამგვარად წარმოდგენილი ჟანრის ისტორია წარმოადგენს აგრეთვე ლიტერატურული პროცესის პერიოდიზაციის კრიტიკულ გადააზრებას (მაგ., ფრანგული ტრაგედია უოდელიდან რასინამდე და რასინიდან ვოლტერამდე).

აშკარაა, რომ ჟანრის თემა წინ სწევს ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და მათი ურთიერთკავშირების ცენტრალურ საკითხებს. იგი განსაკუთრებულ ლიტერატურულ კონტექსტში სვამს იმ ფილოსოფიურ საკითხებს, როგორებიცაა ზოგადისა და ინდივიდუალურის, ერთეულისა და მრავლობითის ურთიერთმიმართება, უნივერსალიების არსი.

თავი მეოთვრამეტე

შეცასება

*

მიზანშენონილია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ტერმინები „დაფასება“ და „შეფასება“. ისტორიის მთელ მანძილზე კაცობრიობამ იცოდა ზეპირსიტყვიერი და მწიგნობრული ლიტერატურის ფასი, დიდად იყო მისით დაწერესებული და დადებითად მოიხსენიებდა. მაგრამ კრიტიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, რომლებსაც მართებთ, „შეაფასონ“ ლიტერატურა ან კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები, შეიძლება უარყოფითი ვერდიქტი გამოიტანონ. ნებისმიერ შემთხვევაში, ინტერესის განცდიდან გადავდივართ განსჯის აქტზე. ნორმასთან მიმართების დადგენის, კრიტერიუმის გამოყენების და სხვა საგნებთან ან ინტერესებთან ნაწარმოების შედარების გზით ჩვენ განვსაზღვრავთ ამ მხატვრული ობიექტის ან ინტერესის რანგს.

თუ მოვინდომებთ დაწერილებით აღვწერით ადამიანის დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, გაგვიჭირდება ამ უკანასკნელის დეფინიცია. ის, რაც ამჟამად მოიხსენიება როგორც ლიტერატურა, ეტაპობრივად აღმოცენდა სინკრეტული ქმედებიდან, რომელიც მოიცავდა სიმღერას, ცეკვას და რელიგიურ რიტუალს. ხოლო თუ ვაპირებთ განვმარტოთ კაცობრიობის სიყვარული ლიტერატურისადმი, მაშინ დეტალურად უნდა გავერკვეთ ამ მოვლენის არსში. რა არის ის, რისთვისაც ხალხი აფასებს ლიტერატურას? რა ღირებულებები აქვს ისეთი, რაც ინვენის ინტერესს? უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ ბევრია: ჰორაციუსის რეზიუმე „dulce et utile“ შეგვიძლა ვთარგმნოთ, როგორც „გართობა“ და „განსწავლა“, ანდა „თამაში“ და „შრომა“, ან „საბოლოო ღირებულება“ და „ქმედითი ღირებულება“, ანდა „ხელოვნება“ და „პროპაგანდა“, ან ხელოვნება, როგორც თვით-მიზანი და ხელოვნება, როგორც საზოგადოების რიტუალური და კულტურული გამაერთიანებელი ძალა.

ლიტერატურის თეორია

განვიხილოთ ნორმის საკითხი. როგორ უნდა დავაფასოთ და შევაფასოთ ლიტერატურა? – ლიტერატურა უნდა დავაფასოთ იმიტომ, რომ ის ლიტერატურაა და არა სხვა რამ; ის უნდა შევაფასოთ ლიტერატურული ღირებულების ცნებებისა და სკალის შესაბამისად.¹ ლიტერატურის ბუნება, ფუნქცია და შეფასება ურთიერთკორელაციურია. საგნის გამოყენება – ვგულისხმობთ მის ჩვეულებრივ, ან პროფესიულ ან კიდევ — ერთადერთ შესაძლებელ გამოყენებას – განპირობებულია მისი ბუნებით (ან მისი სტრუქტურით). ის, რაც პოტენციაში არის საგნის ბუნება, საგნის გამოყენებისას წარმოადგენს მის ფუნქციას. საგანი შეიძლება გამოვიყენოთ და უნდა გამოვიყენოთ ისე, როგორც ამას გვეარნახობს მისი ბუნება. საგნის დაფასება შეგვიძლია იმის გამო, რასაც ის წარმოადგენს და რისი შესრულებაც მას ძალუძს, ხოლო მისი შეფასება უნდა მოხდეს სხვა საგნებთან შედარებით, რომლებსაც მსგავსი ხასიათი და ფუნქცია აქვთ.

ლიტერატურა უნდა შევაფასოთ მისივე ბუნებით განსაზღვრული ტერმინებით და კატეგორიებით. რა არის ლიტერატურის ბუნება? რას წარმოადგენს ლიტერატურა, როგორც ასეთი? რა არის „წმინდა ლიტერატურა“? ამგვარად ჩამოყალიბებული კითხვა გულისხმობს გარკვეულ ანალიტიკურ და რედუქციულ პროცესებს; პასუხი მასზე, ალბათ, მიგვიყანს „წმინდა პოეზიის“ კონცეფციასთან — იმაჟიზმთან და ექოლალიასთან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვეცდებით, რომ ამ გზაზე „სიწმინდეს“ მივაღწიოთ, მაშინ უნდა დავარღვიოთ პლასტიკური სახეობრიობისა და ევფონიის ერთიანობა და დავუტოვოთ ისინი, შესაბამისად, ფერწერას და მუსიკას; მაგრამ ამას მოჰყვება პოეზიის გაქრობა.

„სიწმინდის“ ამგვარი გააზრება კრიტიკული ანალიზის მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია. სჯობს, დავიწყოთ ლიტერატურის ორგანიზაციით და ფუნქციით. ეკუთვნის თუ არა ლიტერატურას მოცემული ნაწარმოები, ამას გადაწყვეტს არა ელემენტთა რაობა, არამედ მათი ურთიერთგანლაგება და დანიშნულება.² „წმინდა ლიტერატურის“ ზოგიერთი ძეველი დამცველი, რეფორმატორული საქმიანობის პროცესში, მზადაა „დიდაქტიკურ ერესთან“ გააიგივოს ეთიკური ან სოციალური იდეების უბრალო არსებობაც კი რომანში თუ პოემაში. მაგრამ ლიტერატურას ზიანს ვერ მივაყენებთ მხატვრულ სისტემაში გარკვეული იდეების ჩართვით,

რადგან ესაა ერთგვარი ლიტერატურული მასალა, ხასიათების ან გარემოცვის მსგავსად. თანამედროვე წარმოდგენების მიხედვით, ლიტერატურას არ უნდა ჰქონდეს პრაქტიკული დანიშნულება (პროპაგანდა, მითითება უშუალო და დაუყოვნებლივ მოქმედებაზე) და მეცნიერული დანიშნულება (ინფორმაციის მონოდება, ფაქტები, „დამატებითი ცოდნა“). ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ რომანში ან ლექსში არ მოიპოვება პრაქტიკული ან მეცნიერული ცოდნის „ელემენტები“, რომლებსაც გარკვეული ლირებულება აქვთ ნანარმოების კონტექსტისგან დამოუკიდებლად. ვიმეორებთ: სავარაუდოდ, თვით „წმინდა“ რომანში ან ლექსშიც კი ამოვიყითხავთ პრაქტიკული ან მეცნიერული ლირებულების მქონე აზრებს. საზოგადოდ, შესაძლებელია, ნებისმიერი საგანი აღვიქვათ არასწორად, ესე იფი, იმ ფუნქციების საპირისპიროდ, რომლებიც გამომდინარეობს მისი ბუნებიდან:

ზოგ ვინმეს მსგავსად, ვინც ეკლესიას გაემართება
არა დოქტრინის, არამედ მუსიკის იქ მოსასმენად.

თავის დროზე, ალბათ სწორად არ იყო გაგებული და წაკითხული გოგოლის „შინელი“ და „მკვდარი სულები“; ეს შენიშვნა გონიერ კრიტიკოსებსაც ეხება. შეხედულება ამ ნანარმოებების თითქოსდა პროპაგანდისტული დანიშნულების შესახებ ეფუძნებოდა ტექსტიდან ამოგლევილ ნაწყვეტებს, რომლებიც სულაც არ მოითხოვს ასეთ დახვეწილ ლიტერატურულ ორგანიზაციისა ან ირნიის, პაროდიის, სიტყვათა თამაშის, მიმიკრიისა და ბურლესკის ესოდენ რთულ მექანიზმს.

შეიძლება თუ არა რაიმეს გადაწყვეტა ლიტერატურის ამგვარი დეფინიციით? გარკვეული გაგებით, ესთეტიკური მოქცეულია „ესთეტიკურ გამოცდილებასა“ (ხელოვნების ავტონომიურ სფეროს) და ხელოვნებას, როგორც მხოლოდ მეცნიერული და საზოგადოებრივი იდეების გამოხატულებას მორის. ეს გამორიცხავს ისეთ tertium quid-ს, როგორიცაა „ესთეტიკური ლირებულება“, შუალედური რამ „ცოდნასა“ და „მოქმედებას“ შორის, ანუ, ერთი მხრივ, მეცნიერებასა და ფილოსოფიას, ხოლო მეორე მხრივ – ეთიკასა და პალიტიკას შორის.³ ცხადია, როდესაც ვამბობთ, რომ ხელოვნებას არა აქვს მისგან განუყოფელი, პირვე-

ლიტერატურის თეორია

ლადი „ესთეტიკური ღირებულება“, არ შეიძლება უარვყოთ, რომ მას, საზოგადოდ აქვს გარკვეული ლირებულება. ხელოვნების ნაწარმოების და, საერთოდ, ხელოვნების ღირებულების შესახებ თითოეული ადამიანი მსჯელობს ფასეულობათა „რეალური“, „საბოლოო“ სისტემების შესახებ საკუთარი წარმოდგენიდან გამომდინარე. ზოგიერთი ფილოსოფოსის მსგავსად, ხელოვნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოდნის პრიმიტიული ან დამოკიდებული ფორმა, ანდა, ზოგიერთი რეფორმატორის შეხედულებისამებრ, შევაფასოთ იგი მისი სავარაუდო ეფექტურობის კუთხით (თუ რამდენად შესწევს მას უნარი, გამოიწვიოს გარკვეული მოქმედება). ხელოვნების (განსაკუთრებით, მწერლობის) ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი შემცველობითობა, ეს კი გამორიცხავს გარკვეულ სპეციალიზაციას რაიმე პრინციპით. მწერლები და კრიტიკოსები ამით გაცილებით უფრო ამაყობენ, ვიდრე მწერლის ან მისი ინტერპრეტატორის მაღალი პროფესიონალიზმით. „ლიტერატურულ აზროვნებას“ ასეთ შემთხვევაში მიენიჭება „ნინასნარმეტყველების“ უფლებები, განსაკუთრებული „ჭეშმარიტების“ კიდევ უფრო ფართოდ და ღრმად წვდომის უნარი, ვიდრე ეს ძალუძს მეცნიერებასა და ფილოსოფიას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ გრანდიოზული პრეტენზიების დაცვა ძალზე ძნელია სწორედ მათი გრანდიოზულობის გამო. ისინი მართლზომიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ღირებულების ყოველი სფერო, იქნება ეს რელიგია, ფილოსოფია, ეკონომიკა თუ ხელოვნება, შეძლებს დაასაბუთოს თავისი უზომო პრეტენზიები და შეითავსებს სხვათა ყველა საუკეთესო და ჭეშმარიტ ელემენტს თუ თვისებას.⁴ ზოგიერთის აზრით, ლიტერატურის მიჩნევა ნატიფი ხელოვნების ერთ-ერთ ფორმად, უფრო ღალატს ჰგავს. ლიტერატურა მიისწრაფვის, იყოს ცოდნის აღმატებული ფორმა, და აგრეთვე, ზნეობრივი და საზოგადოებრივი მოქმედების ფორმა: შესაბამისად, ამ პოზიციიდან უკან დახევა ხომ არ ნიშნავს, რომ ის უგულებელყოფს საკუთარ დანიშნულებას და, აქედან გამომდინარე, სტატუსს? განა ყოველ სფეროს (ისევე როგორც ყოველ მზარდ ერსა და პატივმოყვარე, თავდაჯერებულ პიროვნებას) არ მართებს, რომ უფრო მეტისკენ მიისწრაფვოდეს, ვიდრე ის იმსახურებს, მეზობლის ან მოშურნის აზრით?

შეფასება

ამიტომ ლიტერატურის ზოგი აპოლოგეტი მიიჩნევს, რომ, ესთეტიკური თვალსაზრისით, ლიტერატურა არ არის „ნატიფი ხელოვნება“. სხვების მტკიცებით, „ესთეტიკური ფასეულობა“ და „ესთეტიკური გამოცდილება“ არ წარმოადგენს ძირეულ, პირველად ცნებებს. არსებობს თუ არა განსაზღვრული ავტონომიური სფერო, „ესთეტიკური გამოცდილებისა“ ან ესთეტიკური ობიექტის თვისებებისა, რომელებსაც თავისი ბუნებით ძალუძა გამოამჟღავნონ ასეთი განცდა?

კანტის შემდეგ, ფილოსოფოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა უმეტესობა აღიარებს, რომ ნატიფ ხელოვნებას, და, მასთან ერთად, ლიტერატურას, განუმეორებელი თვისებები და ღირებულება აქვთ. ასე მაგალითად, თეოდორ გრინი აცხადებდა, რომ არ შეიძლება „მხატვრულობა დაყვანილ იქნას სხვა უფრო პრიმიტიულ თვისებებამდე“. იგი ნერდა: „ხელოვნების ნანარმოების განუმეორებლობას შეიძლება მხოლოდ ინტუიციით ჩავწვდეთ; ის შეიძლება აღვნიშნოთ და ნარმოვადგინოთ, მაგრამ შეუძლებელია მისი განსაზღვრა, და მთ უმეტეს – აღწერა.⁵

ფილოსოფოსები თითქმის ერთხმად აღიარებენ ესთეტიკური განცდის განუმეორებლობას. „წმინდა გონების კრიტიკაში“ კანტი ხაზს უსვამს ხელოვნების „უმიზნო მიზანდასახულებას“ (როდესაც მიზანი არ არის მიმართული მოქმედებისკენ), „წმინდა“ სილამაზის უპირატესობას გამოყენებით სილამაზესთან შედარებით, აგრეთვე — ინტერესის უქონლობას ესთეტიკური აღქმის ობიექტში (არა აქტიური, არამედ პასიური აღქმა). თანამედროვე თეორეტიკოსები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ესთეტიკური გამოცდილება ნიშნავს ისეთ აღქმას, რომელიც შინაგანად სასიამოვნოა და საინტერესო; ის მოიცავს გარკვეულ ფასეულობას, იძლევა ნიმუშს, აღვიძრავს სხვა ფასეულობათა მოლოდინს. ესთეტიკური გამოცდილება უკავშირდება გრძნობებს (ტკივილის, სიამოვნების, სრულფასოვანი არსებობის შეგრძნებას) და ცნობიერებას; ამასთან, ის ასაგნებს და აყალიბებს გრძნობებს, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებში პოულობენ „ობიექტურ კორელაცის“, გრძნობები, როდესაც ისინი გვევლინებიან მხატვრული გამონაგონის ფორმით, თითქოს კარგავენ სიმძაფრეს. ესთეტიკური ობიექტი არის ისეთი ობიექტი, რომელიც იწვევს ჩემს ინტერესს თავისთავად, მე კი არ შემიძლია

ლიტერატურის თეორია

მისი გარდაქმნა ან გათავისება. ესთეტიკური გამოცდილება არის ერთგვარი ჭვრეტა, მძაფრი ინტერესი დამახასიათებელი-სადმი. მას არ სჩვევია და ვნებს კიდევ უტილიტარულობა, ხოლო მთავარი მტერია ჩვევა, რომელიც წარმოადგენს გამყარებული პრაქტიკიზმის შედეგს.

ლიტერატურული ნაწარმოები არის ესთეტიკური ობიექტი, რომელსაც ძალუქს, გააქტიუროს ესთეტიკური გამოცდილება. რამდენად არის შესაძლებელი, რომ ლიტერატურული ნაწარ-მოების შეფასებაში მთლიანად ესთეტიკური კრიტერიუმით ვი-ხელმძღვანელოთ? თ. ს. ელიოტის ვარაუდის შესაბამისად, ხომ არ გვმართებს, რომ მწერლობის ლიტერატურულობა განვსაჯოთ ესთეტიკური კრიტერიუმით, ხოლო ლიტერატურის რანგი და სიდიადე – არაესთეტიკური კრიტერიუმით?⁶ ელიოტის პირვე-ლი თვალსაზრისი ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პირველ რიგში, ლიტერატურად (მოთხოვობად, ლექსად, პიესად) უნდა მიგინიოთ სპეციფიკური ვერბალური კონსტრუქციები, და ამის შემდეგ უკვე ვსგამთ კითხვას, ჩაითვლება თუ არა ის „კარგ“, ე. ი. იმ რან-გის ლიტერატურად, რომელიც პასუხობს ესთეტიკური გამოც-დილების მქონე მკითხველის მოთხოვნებს. რაც შეეხება „დიად“ ლიტერატურას, აქ უკვე საჭიროა სტანდარტები და ნორმები. თანამედროვე კრიტიკოსები იფარგლებიან ისეთი ესთეტიკური კრიტიკით, რომლებსაც, საერთოდ, „ფორმალისტურს“ უწოდებენ (ზოგჯერ თვითონ, ზოგჯერ კი — კრიტიკულად — სხვები). ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „ფორმა“ ორაზროვანია. აქ მასში ვგულისხ-მობთ ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკურ სტრუქტურას, ანუ იმსას, რაც მას აქცევს ლიტერატურად.⁷ ფორმისა და შინაარსის შეპირისპირების ნაცვლად, ჩვენ პირველ ადგილას ვაყენებთ ასახ-ვის საგანს და მხოლოდ შემდეგ „ფორმას“, რომელიც თავის მასა-ლას უზრუნველყოფს ესთეტიკური ორგანიზაციით. ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებში, ხდება მასალის სრული ასიმილირება ფორმაში: ის რაც იყო „სამყარო“, გადაიქცა „ენად“:⁸ ლიტერატუ-რული ხელოვნების ნაწარმოების „მასალა“ ერთ დონეზე სიტყვიერ მასალას წარმოადგენს, მეორე დონეზე — ადამიანური ქცევის გა-მოცდილებას, ხოლო კიდევ სხვა დონეზე — მსოფლმხედველობას. ყველა ისინი, ენის ჩათვლით, არსებობენ ხელოვნების ნაწარმოე-ბის სამყაროს მიღმა, სხვა ფორმით, ხოლო ლექსში ან რომანში, თუ

შეფასება

ესაა ხელოვნების მაღალმხატვრული ნაწარმოებები, ესთეტიკური მიზანი აერთიანებს მათ პოლიფონიური მთლიანობის სახით.

შესაძლებელია თუ არა, რომ ლიტერატურა შევაფასოთ წმინდა ფორმალისტური კრიტერიუმით? შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ პასუხი ამ კითხვაზე.

რუსი ფორმალისტების მიერ შექმნილი შეფასებითი კრიტერიუმი, იმავდროულად, ესთეტიკური კრიტერიუმიცაა – ეს არის სიახლე, მოულოდნელობა. ჩვეული ლინგვისტური სიტყვათშე-თანხმებებს ან „კლიშებს“ უშუალოდ ვერ აღვიქვამთ: სიტყვები არ გაიაზრება როგორც სიტყვები, ხოლო სიტყვათშეთანხმებების მნიშვნელობა მიახლოებითია. ჩვენი რეაქცია ბანალურ, გაცვეთილ გამოთქმებზე ასევე ბანალურია; ნაცნობი, მოძებრებული მოწყე-ნა ხომ მხოლოდ მოწყენას იჩვევს. სიტყვების „რეალიზება“, მათი სიმბოლიკას წვდომა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ახლე-ბურად და მოულოდნებულად არიან შეთანხმებული. ენის აღსაქმე-ლად აუცილებელია მისი „დეფორმაცია“, ანუ სტილიზებული არ-ქაიზაციის ან ბარბარიზაციის მიმართულებით. ვიქტორ შკლოვს-კის აზრით, პოეზიის დანიშნულებაა „განახლება“, „გაუცნაუ-რება“. მაგრამ სიახლის ასეთი კრიტერიუმი უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, ყოველ შემთხვევაში რომანტიკოსთა შემდეგ – უოტს-დალტონი მას „გაოცების აღორძინებას“ უწოდებდა.

უორდსვორთი და კოლრივი სხვადასხვანაირად და ურ-თიერთკორელაციურად იღვნოდნენ, რათა „უცნაურად წარ-მოედგინათ“ სათქმელი, ოლონდ პირველი მათგანი ცდილობდა ერვენებინა ჩვეული მოვლენა როგორ უცნაური, ხოლო მეორე, პირიქით, წარმოგვიდგნდა უცნაურს, როგორც ჩვეულს. უფრო გვიანდელი „მოძრაობები“ პოეზიაში ცდილობდნენ გადაწყვი-ტათ ერთი და იგივე ამოცანა: თავი აერიდებინათ მყითხველი-სეული რეაქციის ავტომატიზმისთვის, რამაც ხელი შეუწყო ენის განახლებას (სიტყვის რევოლუციას) და გაემძაფრებინათ პოე-ტური ხედვა. რომანტიზმმა თავის პრინციპად აღიარა უშუალო ბავშვური აღქმა. მატისმა დიდი შრომა გასწია, რათა დაენახა სამ-ყარო „ხუთი წლის ბავშვის თვალით“. პეიტერი ირწმუნებოდა, რომ ესთეტიკური დისციპლინა გამორიცხავს ჩვევას, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უშლის აღქმას. კრიტერიუმად სიახლეა გა-მოცხადებული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ესაა აღქმის სიახ-ლე, რომელიც განურჩეველია შინაარსის მიმართ.⁹

ლიტერატურის თეორია

რამდენად შორს წაგვიყვანს ეს კრიტერიუმი? იმ ფორმით, როგორც ის რუსებმა გამოიყენეს, ეს კრიტერიუმი რელატივისტურად არის აღიარებული. მუკარუოვსკი წერს, რომ ესთეტიკური ნორმის არ არსებობს, რადგან სწორედ ესთეტიკური ნორმის არსია დასამსხვევი.¹⁰ არანაირი პოეტური სტილი არ არის მუდამ „უცნაური“. ამიტომ, – აცხადებს მუკარუოვსკი, – ნანარმოებმა შეიძლება დაკარგოს თავისი ესთეტიკური ფუნქცია, ხოლო შემდეგ, მოვგაიანებით, კვლავ დაიბრუნოს ის, მას მერე, რაც კარგად ნაცნობი მოვლენა კვლავ უცნობად წარმოგვიდგება. ხდება ისე, რომ კარგად ნაცნობი ლექსს ახლებურად გადავაიზრებთ ხოლმე, ზოგჯერ კი ხანგრძლივი დროით გადავდებთ მის კითხვას, რადგან გვგონია, რომ მასში ვერ ვიპოვთ ვერაფერს ახალს. ასეთია ლიტერატურის მთელი ისტორია: ზოგიერთი დავონებული პოეტი კვლავ იწვევს ჩვენს განცვიფრებას, სხვებს კი ვერწევით და ისინი არავითარ გავლენას აღარ ახდენენ ჩვენს ნარმოსახვაზე.¹¹

როდესაც ვლაპარაკობთ ნანარმოებთან პირადი დამოკიდებულების შესახებ, ჩვენ უკვე ვიყენებთ სხვა კრიტერიუმს. როდესაც ისევ და ისევ ვუბრუნდებით ნანარმოებს და მასში „ყოველ ჯერზე მასში ახალ-ახალ თვისებებს ვამჩნევთ“, აյ არ ხდება ჩვენი ცოდნის გაზრდა ანალოგიური ცნობების ხარჯზე — ჩვენ, უბრალოდ, ვწვდებით საზრისის ახალ დონეებს, ახალ ასოციაციურ კავშირებს; რომანსა თუ პოემაში ვხედავთ მრავალშრეობრივ სტრუქტურას. მაგალითად, ჰომეროსისა და შექსპირის ნანარმოები კვლავაც იწვევს აღტაცებას, და, მაშასადამე, მათ ახასიათებს ის თვისება, რომელსაც ჟორუ ბოესის კვალობაზე, „პოლივალენტურობას“ ვუწოდებთ: მათი ესთეტიკური ღირებულება იმდენად დიდია, რომ ყოველი ახალი თაობის აღტაცებას იწვევს ამ ქმნილებათა ახალაღმოჩენილი მშვენიერება.¹² ამასთან, ასეთი ნანარმოებების ამოუნტურავი მრავალფეროვნების წვდომა მისი ავტორის სიცოცხლეშიც კი, არ შეუძლია ერთ ადამიანს, ეს ხელენიფერა მხოლოდ კოლექტივს, საზოგადოებას. შექსპირის პიესის ყურებისას ყველაზე უბრალო მსმენელი აღიქვამს ფაბულას, უფრო გონიერი – ხასიათებს და კონფლიქტებს, უფრო განათლებული – ცალკეულ სიტყვებს და ფრაზებს, მუსიკისადმი მგრძნობიარე — რიტმს, ხოლო საზრისს თანდათანობით სწვდება მხოლოდ მართლაც მოაზროვნე და მგრძნობიარე ადამიანი.¹³

ჩვენი კრიტერიუმი შინაარსობრივი ხასიათისაა: „სახე-ობრივი ინტეგრაცია“ და მასალის „მოცულობა (და მრავალ-ფეროვნება)“.¹⁴ ფორმალისტები თვლიდნენ, რომ რაც უფრო „რთულია“ ლექსი, რაც უფრო მეტია მისი ღირებულება და აანა-ლიზებდნენ ძალზე რთული სტრუქტურის ნაწარმოებებს, რომლე-ბიც გაშიფრას საჭიროებდნენ. რთული შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დონე. ჰოპკინსის „სირთულე“ — ესაა მისი პოეტური მანერაც, სინტაქსიც და პროსოდიაც. ნაწარმოების „სირთულე“ შეიძლება გამოვლინდეს სახეობრობის, თემატიკის, ტონის ანდა სიუჟეტის დონეზე — ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები რთულია სწორედ ამ „მაღალი“ სტრუქტურების დონეზე.

„მასალათა მრავალფეროვნებაში“ იგულისხმება კონკრე-ტული იდეები, ხასიათები და საზოგადოებრივი და ფსიქოლოგი-ური გამოცდილების ტიპები. ამ მხრივ რელევანტურია ელიოტის მიერ „მეტაფიზიკოს პოეტთა“ თაობაზე გამოთქმული მოსაზრება. აჩვენებს რა, რომ პოეტის გონება „განუწყვეტლივ აერთიანებს განსხვავებულ გამოცდილებას“, ელიოტი, მაგალითის სახით, აგებს ნაწარმოებს, რომელიც მოიცავს პოეტის სიყვარულს, სპინოზას კითხვას, საბეჭდი მანქანის კაკუნს და შემზადებული საჭმლის არმატს. დოქტორი ჯონსონი ამგვარ ნაზავს *discordia concors*-ს („გრძნობათა დისპარმონიას“) უწოდებდა, მეტად უნდობლად ეკიდებოდა პოეტური ნარმოსახვის ამ თვისებას და აღნიშნავდა, რომ ამ დროს „ყველაზე უფრო შეუსაბამო აზრები ძალით არის შეკვეშირებული“. უფრო გვიანდელი ავტორი, ჯორჯ უილიამსონი, რომელიც ასევე აანალიზებდა „მეტაფიზიკოსებს“, დადებითად აფასებს განსხვავებული მასალის შეთანხმებას. ჩვე-ნი თვალსაზრისით, რომ თუკი ნამდვილად ხდება „გაერთიანე-ბა“, მაშინ პოემის ღირებულება იზრდება მისი მასალის მრავალ-ფეროვნების პირდაპირპროპორციულად.

„სამ ლექციაში ესთეტიკის საკითხებზე“ ბოსანკე გა-ნასხვავებს „მარტივ მშვენიერებას“, „ძნელი მშვენიერებისგან“, მთელი მისი სირთულით, შინაგანი დაძაბულობით და მასშტაბუ-რობით. ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ სხვაობა მათ შორის მასალათა განსხვავებულობით: მარტივი მშვენიერება მიიღწვა მარტივი სა-შუალებებით (კეთილხმოვანება, სასიამოვნო ვიზუალური ხატე-ბი, „პოეტური სიუჟეტი“); „ძნელი მშვენიერება“ თითქმის უნდა

ლიტერატურის თეორია

„გამოიწუროს“ ურჩი მასალიდან და ამგვარი ურჩი მასალაა: მტან-ჯველი, მახინჯი, დიდაქტიკური, პრაქტიკული. ამ განსხვავებას უკვე მეთვრამეტე საუკუნე მოასწავებდა თავისი კონტრასტით „მშვენიერსა“ და „ამაღლებულს“ („ძნელ მშვენიერებას“) შორის. „ამაღლებულისა“ და „დამახასიათებლის“ მეშვეობით ხორციელდება „არაესთეტიკურის“ ესთეტიზება. მაგალითად, ტრაგედია მხატვრულად გარდასახავს ტკივილს, ტანჯვას; კომედიაც შესაბამისად მოქმედებს „სიმახინჯვეზე“. საშუალებები, რომლებითაც მიიღევა მარტივი მშვენიერება, თვით წარმოადგენენ მშვენიერების პირველად „ფორმებს“; „ძნელი მშვენიერება“, პირიქით, ყოველთვის წარმოადგენს ფორმას, მხატვრულ გამოხატულებას.

ძნელი მშვენიერება უფრო მეტად შეესაბამება მაღალმხატვრულობას, ვიდრე ხელოვნების „სრულყოფილი“ წარმომები და „დიადი ქმნილება“. რასაკირველია, მოცულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არა თავისთავად, არამედ იმის გამო, რომ იგი შესაძლებელს ხდის წარმომების სირთულის, შინაგანი დაძაბულობისა და დიაპაზონის გაზრდას. „მსხვილი“ წარმომები და „მსხვილი“ ჟანრი მოცულობას უკავშირდება. თუ ამ საკითხში არ ვეთანხმებით კლასიციზმის თეორეტიკოსებს, მისი უგულებელყოფა მაინც არ შეგვიძლია: შეგვიძლია მხოლოდ მოვითხოვოთ, რომ მოცულობა გამართლებული უნდა იყოს, და რომ დღესდღეობით პოემას სიგრძისთვის გაცილებით მეტი მოეთხოვება ვიდრე ადრე.

ზოგიერთი ესთეტიკოსისთვის „სიდიადე“ არაესთეტიკური კატეგორიაა.¹⁵ ასე, მაგალითად, ლ.ა. რიდის თვალსაზრისით, ხელოვნების სიდიადე მომდინარეობს შინაარსობრივი ასპექტიდან, და ის დიადა იმდენად, რამდენადაც გამოხატავს სიცოცხლის „დიად“ ლირებულებებს. ტ.მ. გრინი კი გვთავაზობს, რომ „სიმართლე“ და „სიდიადე“ განიხილებოდეს, როგორც ხელოვნების სტანდარტი, თუმცადა არაესთეტიკური, მაგრამ აუცილებელი. სინამდვილეში გრინი, და განსაკუთრებით, რიდი, ვერც კი სცილდებიან რთული მშვენიერების ბოსანესეულ კრიტერიუმს. მაგალითად, „დიდი პოეტების დიდი წარმომებები – სოფოკლეს, დანტეს, მილტონის, შექსპირის მემკვიდრეობა – წარმოადგენს ადამიანის გამოცდილების დიდი სპექტრის ორგანიზებულ ხორცშესხმას“. თეორიასა ან პრაქტიკაში ნებისმიერ სფეროში, „დიადის“ ნიშან-თვისებებს, კრიტერიუმს წარმოადგენს: „რთულის წვდომის უნა-

რი მისი საზრისისა და დანიშნულების მიხედვით“; მაგრამ როდე-
საც საუბარია დიადი ხელოვნების შესახებ, მაშინ ამ მოთხოვნებს
უნდა დაემატოს „ფასეულობითი სიტუაციის ხორცებსამა“, „ისე-
თი ფასეულობის ხორცებსამა, რომელიც სიამოვნებას, ნეტარე-
ბას გვანიჭებს“. რიდი არ კითხულობს, დიდი პოეტის ნაწარმოებია
დიადი პოემა, თუ ეს პოემა დიადია თავისთავად. ამის ნაცვლად ის
ცდილობს შეათანხმოს პასუხები, რომელიც შეიძლება გაიცეს
ამ კითხვაზე. რიდი აღიარებს, რომ ნაწარმოებს „სიდიადეს“ ანი-
ჭებს მასშტაბური ფორმა და ღრმააზროვანი მსჯელობა, მაგრამ
ამ კრიტიკულმა უფარდებს არა რაღაც ჰიპოთეზურ Erlebnis-ს“,¹⁶
არამედ მხოლოდ მხატვრულად სრულყოფილ პოეზიას.

დანტეს „ლვითაებრივი კომედია“ და მილტონის „დაკარგული
სამოთხე“ ფორმალისტური კრიტიკის მუდმივი ობიექტებია. მაგა-
ლითად, კროჩე წინააღმდეგი იყო განეხილა „კომედია“ როგორც
პოემა, — ესაა ლირიკული ნაწყვეტების სერიები, რომელთაც
დროდადრო ენაცვლება ფსევდომეცნიერული მსჯელობები. მისთ-
ვის „გრძელი პოემაც“ და „ფილიოსოფიური პოემაც“ ლოგიკური
შეუსაბამობაა. წინანდელი ესთეტიზმი და მისი წარმომადგენელი
ლოგენ პერსელ სმიტი „დაკარგულ სამოთხეს“ მიიჩნევს არქაული
თეოლოგიის დებულებათა ჰამოყალიბებულ ერ-
თობლიობად: იგულისხმება „საორლანო ჰარმონია“, — ერთა-
დერთი ნაწარმოები, რომელსაც მილტონს უწონებენ.¹⁷ შინაარსს
ყურადღება არ ექცევა, ფორმა კი თავისუფლად არსებობს.

ჩვენი აზრით, ფორმალური ანალიზის ამგარი დასკვნები
დამაჯერებელი არაა. ხელოვნების ნაწარმოების მიმართ მათი
მიდგომა ატომისტურია, რადგან, მთელი ნაწარმოების მხატვრუ-
ლობის ნაცვლად, ისინი განიხილავნენ მისი ზოგიერთი ელემენტის
შეფარდებით მხატვრულობას, მაშინ, როდესაც სწორედ მთელი
ნაწარმოების მხატვრულობის საშუალებით შეიძლება გავიაზ-
როთ ყოველივე, რაც კონტექსტის გარეშე უსაგნო დისკურსად
ნაწარმოგვიდგება. როგორც დანტე, ისე მილტონი, პოემებთან ერ-
თად, ტრაქტატებსაც წერდნენ და ერთმანეთში არ შეურევიათ
ეს ორი ფორმა. მილტონმა დანტერა ინდეპენდენტური დისერ-
ტაცია „De Doctrina Christian“ დაახლოებით იმ დროს, როდესაც
„დაკარგულ სამოთხეზე“ მუშაობდა. როგორც არ უნდა განვსაზ-
ღვროთ მისი პოემის ჟანრი (ეპიკური, ქრისტიანულ-ეპიკური თუ

ლიტერატურის თეორია

ფილოსოფიურ-ეპიკური პოემა) და მთლიანად ვენდობით რა ავტორის განზრახვას, „განმარტოს ღვთის ნება-სურვილი“, მაინც ვაღიარებთ, რომ პოემისა და ტრაქტატის მიზნები განსხვავდება ერთმანეთისგან: პოემის ბუნება განისაზღვრება ლიტერატურული ტრადიციებით, რომელთაც ის „ექვემდებარება“, და, აგრეთვე, მისი კავშირით თვით მილტონის ადრეულ პოეზიასთან.

მილტონის თეოლოგია „დაკარგულ სამოთხეში“ ორთოდოქსულ-პროტესტანტულია, ყოველ შემთხვევაში, ის ასე გამოიყურება. მაგრამ თუ მკითხველი ვერ გაიზიარებს პოემაში ხორციელს მუსულ თეოლოგიას, ეს არ დააკანინებს ამ ნაწარმოების ლირსებებს. ადრე, ჯერ კიდევ ბლეიკის პერიოდში, ითვლებოდა, რომ პოემის გმირი სატანა იყო, რომ ასეთი იყო მილტონის გაუცნობიერებული „ჩანაფიქრი“; ასე რომ, ბაირონმა და შელიმ შექმნეს „დაკარგული სამოთხის“ რომანტიკული ვარიანტი, სადაც სატანა პრომეთეოსს უტოლდებოდა, ხოლო მილტონისეული ედემის „პრომიტივიზმი“ კეთილგანწყობით განიხილებოდა, კოლანზის მსჯელობის ანალოგიურად.¹⁸ რასაკირველია, კიდევ არსებობს მილტონის პოემის „ჰუმანისტური“ ნაკითხვაც, რომელიც სორამ წარმოადგინა. ის, რომ მკითხველი არ იზიარებს პოემის თეოლოგიას ან ისტორიას, ვერ დააკანინებს ნაწარმოების დიდებულ პანორამას, პირქუშ და გრანდიოზულ სცენებს და პეიზაჟებს.

ამავე დროს, ძალზე საეჭვოა, რომ სწორედ „დაკარგული სამოთხის“ სტილი აქცევს ამ ნაწარმოებს დიად პოემად, იმის მიუხედავად, რომ მისი დოქტრინა მიძველებული და უვარებისია. ეს თვალსაზრისი კიდევ ერთხელ ამტკიცებს მხატვრული ნაწარმოების „ფორმად“ და „შინაარსად“ დაყოფის აბსურდულობას. ფორმა აქ სტილად გვევლინება, ხოლო იდეოლოგია – საზრისად. გარდა ამისა, ასეთი დაყოფა არ ითვალისწინებს მთლიანად ნაწარმოებს, ის უგულებელყოფს ყველაფერს, რაც მეტრიკის, პოეტური მანერის საზღვრებს სცილდება. რაც შექება „საზრისს“, ლ.ა. რიდი მას უწოდებს „მეორად შინაარსს“ (ვინაიდნ შინაარსი, თვით სინამდვილე, ხელოვნების ნაწარმოების მიღმა მყოფობს). ის არ ითვალისწინებს სიუჟეტს (თხრობას), ხასიათებს (უფრო ზუსტად, „დახასიათებას“), ესე იგი, იმ მხატვრულ სამყაროს, რომელიც წარმოიქმნება სიუჟეტის, ატმოსფეროს და ხასიათების ერთიანობით: სამყარო, რომელიც წარმოადგენს „მეტაფიზიკურ ფენომენს“

(ესაა ხატი იმ სამყაროსი, რომელიც წარმოგვიდგება წარმოებში ავტორის ჩანაფიქრისგან დამოუკიდებლად).

განსაკუთრებით მიუღებელია ის წარმოდგენა, რომ „საორ-დანო ჰარმონია“ შეიძლება გამოიყოს პოემიდან. ვინორ მნიშ-ვნელობით, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც „ფორმალური სილამაზის“, ანუ ფონეტიკური რეზონანსის მქონე. მაგრამ მწერ-ლობაში, პოეზიის ჩათვლით, ფორმალური სილამაზე თითქმის ყოველთვის ემსახურება გამოხატვას. ამიტომ კითხვა სხვა-გვარად უნდა დაგვსათ: რამდენად შეესატყვისება „საორლანო ჰარმონია“ სიუჟეტს, ხასიათებსა და თემას. მილტონისეული სტილი სასაცილოდ გამოიყურება, როდესაც მას იყენებენ მეორეხარისხოვანი პოეტები ტრივიალურ თემებზე შექმნილ წარმოებებში.

ფორმალისტური კრიტიკის თვალსაზრისით, აუცილე-ბელი არაა ავტირისა და მეტიხელის პრინციპთა თანხვედრა. უფრო მეტიც, ეს საჭირო არაა, რადგან მაშინ უნდა მოგვწონდეს მხოლოდ ის წარმოებები, რომელთა ავტორების წარმოდგენა ცხოვრებაზე ჩვენთვის მისაღებია. განა რაიმე მნიშვნელობა აქვს Weltanschauung-ს ესთეტიკური განსჯისათვის? ელიოტს მიაჩნია, რომ ლექსში ასახული მსოფლმხედველობა უნდა იყოს „თანმიმ-დევრული, მომწიფებული და რეალურ გამოცდილებაზე დამყარე-ბული“.¹⁹ ელიოტსი ეს განცხადება ისეა ჩამოყალიბებული, რომ სცილდება ნებისმიერი ფორმალიზმის ფარგლებს: ფაქტია, რომ თანმიმდევრულობა, ოფიციურ კრიტერიუმთან ერთად, ესთეტი-კურ კრიტერიუმსაც განასახიერებს; რაც შეეხება „სიმწიფეს“, ეს უკევ ფისიკოლოგიური კრიტერიუმია, ხოლო „რეალური გამოც-დილება“ — ესაა ერთგვარი მონოდება, შევადაროთ ხელოვნება და სინამდვილე. იმას, რასაც ელიოტი ხელოვნების წარმოე-ბის სიმზიფეს უწოდებს, ჩვენ ვუწოდებთ ერთობლიობას, რო-მელიც იცნობიერებს საკუთარ თავს შინაგანი ძალების სირ-თულედ, დააბულობად და ჭიდოლად; შესაბამისობას რომანსა და ცხოვრებისეულ სინამდვილეს შორის ვერ გავარკვევთ ელემენ-ტების უბრალო დაწყვილებით და გადარჩევით: გამართლებულია მხოლოდ დიკენსის, კაფკას, ბალზაკის ან ტოლსტოის ერთიანი სამყაროს შეჯერება ჩვენს საერთო გამოცდილებასთან, ანუ ჩვენი აზრებისა და გრძნობების „სამყაროსთან“. ჩვენ ვმსჯელობთ ამ

ლიტერატურის თეორია

შესაბამისობის შესახებ ისეთი ესთეტიკური კატეგორიების მეშვეობით, როგორებიცაა სიცხოლე, ინტენსივობა, გააზრებული კონტრასტულობა, ჩანაფიქრის სიღრმე და დიაპაზონი, სტატიკურობა, დინამიკა. „ცხოვრებისეული“ იგივეა, რაც „ხელოვნების მსგავსი“, და ანალოგია ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის არსად არაა ისეთი თვალსაჩინო, როგორც სტილიზებულ ხელოვნებაში: დიკენსს, კაფუას და პრუსტს ნამდვილად შეაქვთ თავიანთი კორექტივები ჩვენს ნარმოდგენებში ცხოვრების შესახებ.²⁰

მეცხრამეტე საუკუნემდე შეფასებითი კრიტერიუმი მეტნაკლებად იერარქიული იყო — არსებობდა კლასიკოსი ავტორების იერარქია, რომლებიც „ყოველთვის მოსწონდათ და ყოველთვის მოეწონებათ“. ბუნებრივია, რომ მთავარი მაგალითები იყვნენ ბერძენი და რომაული ავტორები, რომელთა ავტორიტეტი განმტკიცდა რენესანსის ეპოქაში. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში ცნობილი გახდა შუა საუკუნების, კელტური, სკანდინავიური, ინდური და ჩინური მწერლობა, ამიტომ „კლასიკური“ პრინციპი უკვე მოძველდა. ჩევნ უკვე ვიციო, რომ ზოგიერთი ნაწარმოები ქრება თვალთახედვიდან და შემდეგ კვლავ ჩინდებიან თვალსაწირში, სხვა ნაწარმოებები დროებით კარგავენ ესთეტიკური ზემოქმედების უნარს, მაგრამ შემდეგ კვლავ იბრუნებენ: ასეთები იყვნენ დონი, ლენგლენდი, პოუპი, მორის სევი და გრიფიუსი. რეაქცია ავტორიტარიზმზე და სახელთა კანონიკურ ნუსხაზე ამჟამად ვლინდება მიდრეკილებაში ჭარბი, ზედმეტი რელატივიზმისაკენ და მეტყველებს „გემოვნებათა ორომტრიალის“ შესახებ, აյენ გაუბრედავად აცხადებდნენ კიდეც გარდასული ხანის სკეპტიკოსები: *De gustibus non est disputandum.*

საქმე გაცილებით უფრო რთულადაა, ვიდრე ეს ჰუმანისტებს ან სკეპტიკოსებს ნარმოუდგენიათ.

სურვილი, რომ გარკვეული ფორმით დასაბუთდეს ლიტერატურული ლირებულებების ობიექტურობა, არ ითხოვს რაიმე სტატიკურ კანონს, რომელსაც არ დაემატება არავითარი ახალი სახელი და რომლის შიგნით არ ხდება რაიმე გადანაცვლება. ალენ ტეიტი სამართლიანად უწოდებს „ილუზორულს“ ნარმოდგენას, რომ „ნებისმიერი მწერლის რეპუტაცია ერთხელ და სამუდამოდაა დაფიქსირებული“; ის ედავება აგრეთვე „უცნაურ აზრს“ იმის შესახებ, რომ „კრიტიკის მთავარი ფუნქციაა ავტორთა რანგის,

და არა მათი მნიშვნელობის განსაზღვრა“.²¹ ელიოტის მსგავსად (ტეიტი იხსენებს მის აფოროზმს: „აწმყო ცვლის წარსულს“) ტეიტიც შემოქმედებითად აზროვნებს და გრძნობს, რომ მართებს ისევე სჯეროდეს ინგლისური პოეზიის აწმყოსი და მომავლის, როგორც მისი წარსულისა. ადგილი „რიგში“ ყოველთვის პირობითია და საკამათო. როდესაც გაიღება კარი „ახლისთვის“, ყოველთვის იქნება შესაძლებლობა, გამოჩნდეს „უკეთესი“ და ეს, თუდაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დაჩრდილავს სხვა წაწარმოებთა დიდებას. უელრემა და დენპერმა ერთდროულად გაითქვეს სახელი და დავინუქებას მიეცნენ, როდესაც პოუპმა განიმტკიცა თავისი პოზიცია ლიტერატურაში: მათ ერგოთ წინამორბედთა არასახარბიელო როლი — ამ პოეტებმა გზა გაუკვალეს პოუპს და მანვე გააუქმა ისინი.

ანტიაკადემისტები — უნივერსიტეტებში და უნივერსიტეტების გარეთ — პირიქით, ცდილობენ განამტკიცონ მუდმივი ცვლილების ტირანია.²² არის შემთხვევები — ეს ითქმის, მაგალითად, კაულიზე — როდესაც მთელი თაობების გემოვნებას არ აღიარებდნენ შემდგომი თაობები, თუმცა, ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირია. ოცდაათი წლის წინ, კაული შეიძლება გაეთანაბრებინათ სკელტონთან, მაგრამ ამჟამად მას „ბრწყინვალეს“, „გულწრფელს“ და „თანამედროვეს“ უწოდებენ. მაგრამ უდიდესი რეპუტაცია ძლევს გემოვნების სტადიალურობას: ჩიხერი, სპენსერი, შექსპირი, მილტონი, თუნდაც დრაიდენი და პოუპი, ვორსდფორტი და ტენისონი — მათ ყველას აქვს მუდმივი, თუმცალა არა „ურყევი“ მდგომარეობა.

მათი პოეტიკის ესთეტიკური სტრუქტურა ისეთი რთული და მდიდარია, რომ ძალუქს დააკამაყოფილოს მომდევნო საუკუნეების გემოვნება: ადისონს (თავის „Spectator“-ის ესეებში) და პოუპს მოსწონთ კლასიცისტური მილტონი, მაგრამ არსებობს კიდევ რომანტიკოსთა მილტონი, იქნება სულაც „მილტონები“, რომლებიც მოსწონდათ ბაირონს, უორდსვორთს, კიტსს, შელის. იყო აგრეთვე კოლრიჯისეული შექსპირი, ახლა კი ჩვენ გვყავს უილსონ ნაიტის შექსპირი. ყოველი თაობა ამჩნევს ხელოვნების დიდ წაწარმოებში შეუსაბამო ელემენტებს, არასაკმარისად „ლამაზ“ ან სულაც უგვან დონეს ან შრეებს (ასე აღიქვამდნენ კლასი-

ლიტერატურის თეორია

ცისტები შექსპირის კალამბურებს), მაგრამ მაინც მიიჩნევს მას, მთლიანობაში, ესთეტიკურად დამაკამაყოფილებელ ქმნილებად.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ ეტაპზე მივადექით ისეთი ტიპის სტადიალურობის ცნებას, რომელიც გამორიცხავს ინდივიდუალური გემოვნების რელატივიზმს. ლიტერატურის ისტორიაში ის ხედავს მეტ-ნაკლებად ურთიერთსაპირისპირო ეს-თეტიკურ კრიტერიუმთა მონაცვლეობას (ასე უპირისპირებდა ველფლინი რენესანსსა და ბაროკოს); „სტადიალურობა“ არ გულისხმობს არავითარ საერთო პრინციპებს — არც ამ მონაცვლეობის საფუძვლიის, არც მისი შედეგის სახით. ჩვენ მივადექით აგრეთვე, „პოლივალენტურობის“,²³ ცნებას. ხელოვნების ნაწარმოები, რომლებმაც გაუძლეს დროს, სხვადასხვა მიზეზთა გამო მაინც მოსწონს სხვადახვა თაობას, ანდა, რომ გავაერთოანოთ ეს ორი დასკვნა, მთაგარი ნაწარმოებები, ანუ „კლასიკა“ ინარჩუნებს თავის ადგილს, მაგრამ ამ ადგილს ის ინარჩუნებს იმიტომ, რომ ეპასუხება ცვალებად მოთხოვნებს ან „მიზეზებს“. თუმცა, როგორც განუმეორებელი ქმნილებები (მაგ., დონის პოზია), ასევე მეორეხარისხოვანი ნაწარმოებები (მაგალითად, თავისი დროისთვის დამახასიათებელი, თუმცა არა უმეტეს ამისა, — პრაიორი ან ჩერჩილი) მაღალ შეფასებას იღებენ, როდესაც თანამედროვე მწერლობას გარკვეულწილად ეხმიანება მათი მოღვაწეობის ხანას ლიტერატურის ხანის მიმართ, და პირიქით, კარგავენ ამ რეპუტაციას, როდესაც ვითარება ხელს არ უწყობს ასეთ დამოკიდებულებას.²⁴

აშეარაა, რომ ჩიხში შევედით, მაგრამ ამ ჩიხიდან თავის დალწევა შესაძლებელია. დავიწყოთ იმით, რომ აუცილებელი არაა დავიყვანოთ კლასიკოსთა (ჰომეროსის, ვირგილიუსის, მილტონის და სხვათა) მაღალი შეფასება თანამედროვე კრიტიკოსების შეფასებებზე. შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ადრეული ხანის კრიტიკას არ შესწევდა უნარი, სათანადოდ განესაჯა თანადროული შემოქმედებითი ნაწარმოები, ანდა სულაც საკუთარი ეს-თეტიკური გამოცდილება.²⁵ შეიძლება ისიც დავადასტუროთ, რომ ჭეშმარიტად ადეკვატურ ლიტერატურის თეორიას შეუძლია თავი აარიდოს „კატეგორიულ“ ან სტადიალურ მიდგომას: ხომ ფაქტია, რომ ჯორჯ უილიამსონს²⁶ მეტაფიზიკოსთა ლექსები უბრალოდ,

კარგ პოეზიად მიაჩინა. საჭირო არ არის, მოვიწონოთ, ან პირიქით, შევრისხოთ მეტაფიზიკოსთა ყველა ლექსი, და ფაქტია, რომ ამ სკოლის საუკეთესო ლექსები არ არის „ყველაზე უფრო მეტაფიზიკური“. მაგალითად, ამჟამად პოუპი – ნაწილობრივ მაინც – ალიარებულია როგორც „მეტაფიზიკოსი პოეტი“, ესე იგი, ნამდვილი, კარგი პოეტი, და არა, უბრალოდ, „პროზის ხანაში მოღვაწე პოეტი“.²⁷ ცხადია, რომ ისეთი თეორეტიკოსები, როგორებიც არიან რიჩარდსი (თავის „პრაქტიკულ კრიტიკაში“), აგრეთვე — ბრუქსი და უორენი („პოეზის გაგება“), ეძიებენ პოეზიის ერთიან კრიტერიუმს და მიაჩინათ, რომ საჭიროა, თავდაპირველად განვსაჯოთ და შევაფასხოთ ლექსი და მხოლოდ შემდეგ განვსაზღვროთ მისი „ადგილი“ პოეტის შემოქმედებაში, ეპოქის ლიტერატურულ სიტუაციაში; მივაკუთვნოთ ის გარკვეულ „სკოლას“. ამგარი ანთოლოგიური ტიპის მიდგომა, ალბათ, მოგვცემს მსგავს კრიტერიუმს (დაახლოებით, ელიოტისეულს) რომელიც მიუღებელი იქნება ბევრი მკითხველისთვის. და მაინც, ამ კრიტერიუმების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პოეზიის მრავალი მოვლენის სათანადოდ შეფასება: რომანტიკოსთა მიმართ ძალზე უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მათი საშუალებით „გადარჩნენ“ ბლეიკიც და კიტსიც.

ჩვენი აზრით, არც ერთი ლიტერატურული კრიტიკოსი არ მიემხრობა უყოფანოდ სტადიალურ მიდგომას, რომელიც უარყოფს ესთეტიკური ნორმის არსებობას, და არც მწირ სქოლასტიკურ აბსოლუტიზმს, რომელიც ალიარებს მწერალთა რანჟირების პრინციპს. ზოგჯერ ესა თუ ის კრიტიკოსი იზიარებს სტადიალურ მიდგმას პროტესტის გრძნობის ზეგავლენით, ან იმის გამო, რომ სურს ჩასწედეს ნარსული ხანის ავტორს რომელიმე თანამედროვე ავტორთან ანალოგით. მისი სურვილია დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის ფასეულობა მართლაც არსებობს (ან პოტენციურად არსებობს) მხატვრულ ობიექტში, რომ ის გარედან არაა შეტანილი ან ასოციაციურად დაკავშირებული მასთან, არამედ აღმოჩენილია მხოლოდ და მხოლოდ აზრის მაძიებლური ძალისხმევის წყალობით.

კრიტიკოსი იკითხავს, სადაა ლოკალიზებული ესთეტიკური ფასეულობაო. ლექსში თუ ლექსის მკითხველში, თუ ამ ორის ურთიერთშიმართებაში? მეორე პასუხი სუბიექტივისტურია: ვიღაცამ

ლიტერატურის თეორია

უნდა დააფასოს ღირებული, მაგრამ ამ პასუხში არა ჩანს ურთიერთკავშირი აღქმის ბუნებასა და აღქმის ობიექტს შორისესაა ფსიქოლოგიური მიდგომა, იმ თავალსაზრისით, რომ ყურადღება გადააქვს აღქმისა და ტებობის ობიექტიდან განზოგადებულად განხილული ინდივიდის რეაქციებზე, ემოციურ განცდებზე. პირველი ან მესამე თვალსაზრისის შერჩევა ინტერპრეტაციის საკითხს უკავშირდება. პროფესიონალი ფილოსოფოსების თვალით, პირველი პასუხი აუცილებლად გულისხმობს პლატონიზმს, ანდა აბსოლუტური სიდიდეების ნებისმიერ სხვა სისტემას, რომელიც არსებობს ადამიანის მოთხოვნილებებისგან და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. თუ ამ დროს მტკიცდება — და ამას ხშირად სჩადიან ლიტერატურის კრიტიკოსები — ლიტერატურული სტრუქტურის ობიექტური ხასიათი, დაწყებული მხატვრული ხერხებით და დამთავრებული „შინაარსით“, მაშინ პასუხის გაცემა პირველ კითხვაზე კიდევ უფრო ძნელდება. ასეთ შემთხვევაში მხატვრული ფასეულობები წარმოგვიდგება, როგორც ყველასთვის განკუთვნილი ფასეულობები, ისეთივე საყოველთაო მნიშვნელობის მქონე თვისებები, როგორებიცაა სინითლე ან სიცივე. სინამდვილეში არც ერთი კრიტიკოსი არ დაეთანხმება ამგვარ არაკვალიფიცირებულ „ობიექტურობას“; ლონგინე და სხვა „კლასიცისტები“ მიმართავდენ რა ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ადამიანებს, მალულად დაჰყავდათ „ყველა“ — „ყველა კომეტეტურ განმსჯელზე“.

ფორმალისტები ამტკიცებენ, რომ ლექსი არის არა მარტო მკითხველის „პოეტური გამოცდილების“ მიზეზი ან პოტენციური მიზეზი, არამედ ამ გამოცდილების სპეციფიკური მაღალორგანიზებული კონტროლიც, ანუ ეს გამოცდილება ყველაზე სრულად განისაზღვრება, როგორც „ლექსის გამოცდილება“. ლექსის შეფასება ნიშნავს განიცადო და ხორცი შეასხა იმ ესთეტიკურად ღირებულ თვისებებსა და კავშირებს, რომლებიც ნებისმიერი წიგნირი მკითხველისათვის წარმოდგენილია ლექსში, როგორც მისი სტრუქტურა. „ობიექტური რელატივიზმის“ ან „პერსპექტიული რეალიზმის“ კონცეფციის ჩამოყალიბებისას ელიზე ვივასი ამგვარად განსაზღვრავს მშვენიერების არსა: „...ესაა ზოგიერთი მოვლენის თვისება, ის დამახასიათებელია მათვის, მაგრამ

მუდავნდება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვისაც აქვს შესაბამისი უნარი და ჩვევები".²⁸

ლიტერატურულ სტრუქტურებს აქვს პოტენციური ფასულობა, რომლებიც რეალიზდება მკითხველის მიერ გარკვეულ პირობებში. რასაკვირველია, არსებობს ტენდენცია, რომ უარყოფილიქნას (დემოკრატიის ან მეცნიერების სახელით) ობიექტურობა ან „ფასეულობა“, რომელიც საყოველთაოდ მისაწვდომი არაა. მაგრამ ძნელად წარმოსადგენია ისეთი „ფასეულობების“ არსებობა, რომლებიც უპირობოდ ხელმისაწვდომია ყველასთვის.

ძველი ლიტერატურული სახელმძღვანელოები, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირებენ „მიუკერძოებელ კრიტიკას“ და „იმპრესიონისტულ კრიტიკას“, მაგრამ ეს არასწორი დეფინიციებია, მათ მხოლოდ შეცდომაში შევყავართ. მართლაც, „მიუკერძოებელი კრიტიკა“ ემყარებოდა თითქოსდა ობიექტურად არსებულ წესებსა და პრინციპებს; „იმპრესიონისტული კრიტიკა“, პირიქით, აღიარებდა წმინდა სუბიექტივიზმს. სინამდვილეში „იმპრესიონისტული კრიტიკა“ არის იმ სპეციალისტის შენიდბული ავტორიტეტული მსჯელობა, რომლის გემოვნება წარმოადგენს ნორმას ბუნდოვანი საკითხების განხილვისას. მეორე მხრივ, არაერთი კრიტიკის მიიზიდა მაცდუნებელმა რჩევამ რემი დე გურმონისა, რომლის აზრით, წებისმიერი გულწრფელი ადამიანის უდიდესი დამსახურებაა „საკუთარი შთაბეჭდილებების დაკანონება“.²⁹ დღესდღობით „კრიტიკად“ წოდებული ბევრ ესეში განმარტებულია წანარმოებისა და შემოქმედებითი პიროვნების ცალკეული მხარეები, მაგრამ არა წარმოდგენილი საერთო შეფასება. ბევრი ეწინააღმდეგება იმას, რომ ამგვარი ესეები აყვანილ იქნას „კრიტიკის“ (რაც ბერძნულად „განსჯას“ ნიშნავდა) რანგში. ზოგჯერ განასხვავებენ კრიტიკის „განმმარტავსა“ და „განმსჯელ“ ალტერნატიულ ტიპებს.³⁰ მაგრამ, როგორც წესი, შეიძლება განვაცალევოთ შინაარსის განმარტება (Deutung) და ღირსებათა განსჯა (Wertung) ლიტერატურულ კრიტიკაში ერთმანეთისგან არაა გამიჯნული და ეს, ალბათ, შეუძლებელიცაა. ჩვეულებრივ, „მიუკერძოებელი“ კვლევის შედეგია ავტორებისა და პოემების ტლანქი კლასიფიკაცია, რასაც თან ერთვის ავტორიტეტთა ციტირება ანდა ლიტერატურული თეორიის ზოგიერთი დოგმის მოხსენიება. შემდგომი კვლევა საჭიროებს ანალიზს და ანალიტიკურ შედარებას. მეორე

ლიტერატურის თეორია

მხრივ, „განმარტების“ ჟანრში დაწერილი ესე აუცილებლად შეიცავს (თუნდაც მინიმალური დოზით) შემფასებლურ მსჯელობებს: თუ, მაგალითად, განიმარტება ლექსი, ეს უნდა იყოს ესთეტიკური ხასიათის მსჯელობა და არა ისტორიული, ბიოგრაფიული ან ფილოსოფიური საკითხების განხილვა. საერთოდ, პოეტისა ან პოემისთვის დროის და ყურადღების დათმობა, თავისთავად, უკვე ნიშნავს ღირებულების განსჯას. მაგრამ ძალზე იშვიათია შემთხვევები, როდესაც განმარტებითი ესეს ავტორი, უკვე საგნის შერჩევის გამო, საჭიროდ მიიჩნევს გამოთქვას ლოგიკურად დასაბუთებული აზრი. „პოეზიის გაგება“ ძალზე ადვილად იქცევა „პოეზიის განსჯად“, რომელიც დეტალურიცაა და თანმიმდევრულიც, მაგრამ მასში ვერ ნახავთ დასკვნას, მსჯელობის შედეგს. თავის დროზე ელიოტის ესეების სიახლეს წარმოადგენდა სწორედ ის, რომ მათში არ იყო მოცემული შემაჯამებელი დასკვნა ან საერთო იდეა. ამ ესეებში გარკვეული თვისების საფუძველზე შედარებული ან შეპირისპირებული იყო ორი განსხვავებული პოეტი, რასაც დროდადრო სადევდა ფრთხილი განზოგადებები.

როგორც ჩანს, უნდა განვასხვავოთ ლია და, მეორე მხრივ, იმპლიციტურად გამოხატული მსჯელობები და არ გავუტოლოთ ისინი ცნობიერსა და არაცნობიერს მსჯელობებს. არსებობს გრძნობებზე დამყარებული განსჯა და, აგრეთვე, დასაბუთებული, ლოგიკური განსჯა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი აუცილებლად ურთიერთსაპირისპირო ხასიათისაა: „გრძნობები“ არ იქცევა კრიტიკულ აზრად ისე, რომ არ დამყაროს საკმარისად ორგანიზებულ თეორიული საფუძველს, ხოლო ლოგიკური განსჯა ლიტერატურის სფეროში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას მხოლოდ რაიმე გრძნობის საფუძველზე, რომელიც დამოუკიდებლად წარმოიშობა ან მსჯელობის მთელი მსვლელობითაა გამოწვეული.

თავი მეცხრამეტე

ლიტერატურის ისტორია

*

შეიძლება თუ არა ლიტერატურის ისტორიის დაწერა იმგვარად, რომ ის ერთდღოულად იყოს ლიტერატურაც და ისტორიაც? უნდა ვაღიაროთ, რომ ლიტერატურის ისტორიები მეტნილად არის ან საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, ან საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია — მეტ-ნაკლებად ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგებული განსაკუთრებული ნაწარმოებებისგან მიღებული შთაბეჭდილებები ან მათი შეფასებები. ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ისტორიოგრაფიაზე ერთი თვალის გადავლებითაც კი დასტურდება ეს შეხედულება. ტომას უორტონი, ინგლისური პოეზიის პირველი „ოფიციალური“ ისტორიკოსი, ძველი ლიტერატურის შესწავლას იმით ასაბუთებს, რომ მასში „სწორადაა გადმოცემული დროთა თავისებურებანი, ასახულია ზნე-ჩვეულებათა ყველაზე უფრო ლამაზი, ხატოვანი და შთამბეჭდავი მხარეები“ და „მომავალ თაობებს გადასცემს ცხოვრების ჭეშმარიტ სურათს“¹. ჰენრი მორლის ლიტერატურა ესმის, როგორც „ნაციონალური ბიოგრაფია“, ან „ინგლისური სულისკვეთების ისტორია“². ლესლი სტივენი ლიტერატურას თვლის „მთელი სოციალური ორგანიზმის განსაკუთრებულ ფუნქციად“, სოციალური ცვალებადობის „ერთგვარ თანაპროდუქტად“³. უ. ჯ. კორტპოუპი, საკუთრივ ინგლისური პოეზიის ისტორიის ავტორი, ეყრდნობოდა პოეზიის განვითარების ერთიან კონცეფციას. მისი განსაზღვრით, „ინგლისური „პოეზიის შესწავლა, ფაქტობრივად, ნიშნავს, ლიტერატურაში არეკლილი ჩვენი ეროვნული ინსტიტუტების განუწყვეტილი აღმავლობის შესწავლას“. ამიტომ კორტპოუპი ხედავს თავისი საგნის ერთიანობას, „ზუსტად იქ, სადაც პოლიტიკის ისტორიკოსი ცდილობს მოათავსოს თავისი საგანი, სახელდობრ, ერის ცხოვრებაში, მის მთლიანობაში“⁴.

ზემოჩამოთვლილი (და კიდევ მრავალი სხვა) ისტორიკონები ლიტერატურას განიხილავენ, როგორც ეროვნული ან სო-

ლიტერატურის თეორია

ციილური ისტორიის საილუსტრაციო უბრალო დოკუმენტს; ამ მიმართულების მოწინააღმდეგებს მიაჩინათ, რომ ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, ხელოვნებაა, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, არ ხელვნიფებათ ისტორიის დაწერა — ისინი გვთავაზობენ ესე-ების დაუსრულებულ სერიებს ცალკეულ ავტორთა შესახებ, მაგრამ არ აქვთ რეალური ისტორიული ევოლუციის კონცეფცია. „თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის მოკლე ისტორიის“ (1897) შესავალში ედმუნდ გროსემ განაცხადა, რომ გვიჩვენებდა „ძვრებს ინგლისურ ლიტერატურაში“, შეგვიქმნიდა „ინგლისური ლიტერატურის ევოლუციის განცდას“⁵. მაგრამ, სინამდვილეში, ეს იყო მხოლოდ უახლესი ფრანგული მიმდინარეობებისგან ნასესხები ფრაზეოლოგია. პრაქტიკულად, გროსეს წიგნები წარმოადგენს ქრონოლოგიურად დალაგებულ კრიტიკულ შენიშვნებს მწერლებსა და მათს ნაწარმოებებზე. შემდგომში გროსემ დაკარგა ინტერესი ტენისადმი და აღიარა, რომ დიდად იყო დავალებული ბიოგრაფიული პორტრეტის დიდოსტატის, სენტ-ბევის მოძღვრებისგან.⁶ უტატის მუტანდის, რაც სამართლიანია ჯორჯ სენტსპერის მიმართ, რომლის კრიტიკის კონცეფცია ყველაზე მეტად უახლოვდება პეტერის „დირსეული შეფასების“ თეორიასა და პრაქტიკას,⁷ აგრეთვე — ოლივერ ელტონის „ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვის“ ექვსტრომეულს, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ინგლისში უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ლიტერატურის ისტორიებს შორის. ოლივერ ელტონი გულწრფელად აღიარებს, რომ ეს არის „ნამდვილი მიმოხილვა, უშუალოდ კრიტიკა“ და არა ისტორია⁸. ეს სია შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს. ფრანგული და გერმანული ლიტერატურათა ისტორიები, ზოგიერთის გამოკლებით, მიგვიყვანს თითქმის იდენტურ დასკვნამდე. ასე, მაგალითად, ტენს, პირველ რიგში, აინტერესებდა თავისი თეორიია ეროვნული ხასიათის შესახებ და „გარემოსა“ („მილიენ“) და რასის მისეული ფილოსოფია; ჟიუსერანი იკვლევდა, თუ როგორ აირეკლა ინგლისურ ლიტერატურაში ადათ-წესების ისტორია, ხოლო კაზა-მიანმა გამოიგონა მთელი თეორია „ინგლისურ ეროვნულ სულში მორალური რიტმის ცვალებადობის შესახებ“⁹. ყველაზე წამყვანი, მნიშვნელოვანი ლიტერატურის ისტორიები არის ან ცივილიზაციის ისტორიები ან კრიტიკული ესეების კრებულები. მათგან პირველი არ წარმოადგენენ ხელოვნების ისტორიას, მეორენი კი — ხელოვნების ისტორიას.

რატომ არავინ სცადა, შეესწავლა ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის ევოლუცია? ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმოებთა წინასწარი ანალიზი არ განხორციელებულა თანამიმდევრულად და სისტემატურად. ჩვენ ვკმაყოფილ-დებით ძველი რიტორიკული კრიტერიუმებით, რომელებიც საკმა-ოდ ზედაპირულია, ან ვცდილობთ მაღალფარდოვანი ფრაზებით აღვნეროთ, თუ რა გავლენას ახდენს მკითხველზე ხელოვნების ნაწარმოები, თანაც ჩვენს მოსაზრებებს გამოვხატავთ იმ ცნებე-ბით, რომელებიც არ შეესაბამება თვით ხელოვნების ნაწარმოებებს.

მეორე სიძნელე წარმოშვა მცდარმა მოსაზრებამ, რომლის თანახმად, ლიტერატურის ისტორიის შექმნა შეუძლებელია, და მი-სი ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მოღვაწეობის თვალ-საზრისით. მესამე სიძნელე უნდა ვეძიოთ სიტყვაკაზმული ხელოვ-ნების განვითარების საერთო კონცეფციაში. მხატვრობისა და მუსიკის შინაგანი, ორგანული ისტორიის შექმნის შესაძლებლობა-ში ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი. თუ გავივლით რომელიმე სამ-ხატვრო გალერეაში, რომელშიც ექსპონატები განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ან „სკოლების“ მიხედვით, დავინახავთ, რომ აქ ფერწერის ხელოვნების ისტორია სრულიად განსხვავდება მხატვრების ისტორიისაგან, ან ცალკეული სურათის შეფასებისა და მასზე მსჯელობისაგან. საქმარისია მოვისმინოთ კონცერტი, რომელზეც ნაწარმოებები ქრონოლოგიულად იქნება დალაგებული, რომ დავრწმუნდეთ: არსებობს მუსიკის ისტორია, რომელსაც საერთო თითქმის არაფერი აქვს კომპოზიტორთა პიო-გრაფიებთან, იმ სოციალურ ვითარებასთან, რომლის დროსაც ეს ნაწარმოებები შეიქმნა და არც ინდივიდუალურ ქმნილებათა შე-ფასებასთან. ფერწერისა და ქანდაკების ისტორიათა შექმნას შეე-ცადნენ მას შემდეგ, რაც ჩ. ბერნიმ ყურადღება გადაიტანა მუსი-კალური ფორმების ისტორიაზე.

ლიტერატურის ისტორიის წინაშე დგას ანალოგიური პრობ-ლემა, კერძოდ, ლიტერატურის ისტორია უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გამოეყოს სოციალურ ისტორიას, მწერალთა ბიოგრაფიებსა და ცალკეულ ნაწარმოებთა შეფასებას. ცხა-დია, ლიტერატურის ისტორიის შექმნა (ამგვარი შეზღუდული გაგებით) თავისებურ დაბრკოლებებს წააწყდება. ფერწერასთან შედარებით, რომლის დანახვა თვალის ერთი გადავლებითაც

ლიტერატურის თეორია

შეიძლება, ლიტერატურული ნაწარმოების, როგორც ხელოვნების ქმნილების ათვისება მხოლოდ გარკვეული დროის გავლის შემდეგ ხერხდება და ამიტომაც უფრო ძნელდება მისი შინაგანი წყობის მთლიანობაში შეცნობა, მაგრამ მუსიკალურ ფორმასთან ანალოგია გვიჩვენებს, რომ გარკვეული მოდელი შესაძლებელია, და რომ ლიტერატურული ნაწარმოებია დროითი აღქმა ჩიხში ჯერ კიდევ არ გვაქცევს. არსებობს სხვა სპეციალური პრობლემებიც. ლიტერატურაში არსებობს გარდამავალი ფორმები მარტივი გამონათქვამებიდან ხელოვნების მაღალორგანიზებულ ნაწარმოებებამდე, რადგანაც ლიტერატურის მედიუმი არის ენა, რომელიც, ამავე დროს, ყოველდღიური ურთიერთობის საშუალებაცაა და განსაკუთრებით, მეცნიერების ენაც. ამიტომაც გაცილებით უფრო ძნელია ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური სტრუქტურის გამოყოფა. თუმცა, ილუსტრაცია სამედიცინო სახელმძღვანელოებში და სამხედრო მარში მონმობს, რომ სხვა ხელოვნებებსაც აქვთ გარდამავალი ფორმები. შესაბამისად, ზღვრის გავლება ხელოვნებასა და არახელოვნებას შორის სიტყვიერ გამონათქვამში უფრო რთული ამოცანაა, მაგრამ, პრინციპულად, შესაძლებელი.

მიუხედავად ამისა, არსებობენ ისეთი თეორეტიკოსებიც, რომლებიც, უბრალოდ, მარტივად აცხადებენ, ლიტერატურას ისტორია არა აქვსო. უ. პ. კერი, მაგალითად, ირნმუნება, რომ ლიტერატურის ისტორია არ გვჭირდება, რადგანაც მისი ობიექტები ყოველთვის არსებობენ, „მარადიული“ არიან და, ამდენად, არავითარი განსაკუთრებული ისტორია არა აქვთ¹⁰. თ. ს. ელიოტი, აგრეთვე, უარყოფდა, რომ ხელოვნების ნაწარმოები ნარსულს განეკუთვნება. „ჰომეროსით დაწყებული, მთელი ევროპის ლიტერატურა, — ამბობს ელიოტი, — ერთდროულად არსებობს და ქმნის ერთდროულ მიმდევრობას“¹¹. შეიძლება, დავეთანხმოთ შოპენ-ჰაუერის მოსაზრებას, რომ ხელოვნება ყოველთვის აღწევს თავის მიზანს. არასოდეს შეიძლება მისი გაუმჯობესება, შენაცვლება ან განმეორება. ხელოვნებაში არ უნდა ვეძიოთ, „როგორ იტყვიან“ — „wie es eigentlich gewesen“, თუმცა სწორედ ამას მიიჩნევდა რანკე ისტორიოგრაფიის მიზნად. ამიტომ, ლიტერატურის ისტორია არ არის ისტორია, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, რადგანაც ის წარმოადგენს აწმყოს ცოდნას, საერთოდ აწმყოს, მარადიული

ანშების ცოდნას. ცხადია, ვერავინ უარყოფს, რომ ნამდვილად არ-სებობს სხვაობა პოლიტიკის ისტორიასა და ხელოვნების ისტო-რიას შორის. ისტორიული წარსული განსხვავდება ისტორიისგან, რომელიც ანშების ცოცხალ შინაარსს წარმოადგენს.

როგორც ადრე მოგახსენეთ, ხელოვნების ცალკეული ნაწარ-მოები დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის. რა თქმა უნდა, სტრუქტურა, გარკვეულწილად, უცვლელი რჩება საუკუ-ნეთა განმავლობაში. მაგრამ ეს სტრუქტურა დინამიკურია და იცვ-ლება ისტორიის პროცესთან ერთად, რადგანაც ის განშუალებუ-ლია მკითხველის, კრიტიკოსების, ხელოვნების მუშაკთა აღქმით. ინტერპრეტაციის პროცესი, კრიტიკა და შეფასება არასდროს შეწყვეტილა და ჩანს, დაუსრულებლივ გაგრძელდება, ან ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ არ შეწყვდება თვით კულტურული ტრადიცია. ლიტერატურის ისტორიის დანიშნულებაა, აღნეროს ეს პროცესი, აჩვენოს მცირე ან შედარებით მოზრდილ ჯგუფებში გაერთიანებულ ხელოვნების იმ ნაწარმოებთა განვითარება, რომ-ლებიც შერჩეულ იქნა საერთო წყაროს, ჟანრის, სტილისტური ტიპის, ანდა ლინგვისტური ტრადიციის მიხედვით და, ზოგადად, ლიტერატურის სქემის ფარგლებში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ხელოვნების ქმნილებათა ჯგუფის განვითარების კონცეფცია არაჩვეულებრივად რთულია. ყოველი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა, ერთი შეხედვით, თითქოს არ უკავშირდება ხელოვნების მეზობელ ან მომიჯნავე ნაწარმოებებს. შეიძლება, დაინტენ მტკიცება, რომ არ არსებობს განვითარება ერთი ინიდივიდუალურობიდან მეორის მიმართულებით. ისეთი შეხედულე-ბაც გვხვდება, რომელიც ლიტერატურის ისტორიასაც კი უარყოფს და თვლის, რომ ის მნერალთა ისტორიაა¹². იმავე არგუმენტის თანახ-მად, ჩვენ უარი უნდა განვაცხადოთ ენის ისტორიის დაწერაზე, ვინაი-დან მხოლოდ ადამიანები წარმოთქვამებ სიტყვებს, ისევე, როგორც შეუძლებელია ფილოსოფიის ისტორიის შექმნა, რადგან მხოლოდ ადამიანები აზროვნებენ. ამგვარი უკიდურესი „პერსონალიზმი“ მიგ-ვიყვანს იმ შეხედულებამდე, რომ ხელოვნების ყოველი ინდივიდუა-ლური ნაწარმოები სავსებით იზოლირებულად არსებობს, რაც პრაქ-ტიკულად ნიშნავს, მისი საზრისის მიუწვდომლობას და გაუგებრობას. ლიტერატურა უფრო უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ნაწარმოებთა მთლიანი სისტემა, რომელიც მდიდრდება ახალი ნიმუშებით, გამუდ-

ლიტერატურის თეორია

მებით ცვლის ურთიერთობებს მათ შორის, როგორც მზარდი ცვალებადი მთლიანობა.

მაგრამ ლიტერატურული სიტუაციის ცვლილებები ერთი ათწლეულის თუ ერთი საუკუნის განმავლობაში ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს მოქმედი ლიტერატურული ევოლუციის პროცესს — ბუნებრივ მოვლენათა მთელი სამყაროც ხომ იცვლება. ეს შეიძლება იყოს ყოველ ჯერზე ახალი გადაადგილება, რომელიც განძარცულია აზრისა და კავშირებისგან. ასე, ფ. ჯ. ტეგარტის მიერ „ისტორიის თეორიაში“¹³ რეკომენდებული შესწავლა ცვალებადობისა, უბრალოდ, ისტორიულ და ბუნებრივ პროცესებს შორის არსებულ ყველა სხვაობათა გაუქმებას გულისხმობს. ისტორიკოსებს კი ტეგარტი ურჩევს, ისლა დაგრჩენიათ, სახელმძღვანელოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები გამოიყენოთ. თუ ამგარი ცვლილებები აბსოლუტურად რეგულარულად მეორდება, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს ვანონის იმგვარივე კონცეფცია, რომელსაც მიმართავენ ფიზიკოსები. და მაინც, შპენგლერისა და ტონბის ბრწყინვალე ჰიპოთეზების მიხედვით, ამგვარი პროგნოზირებადი ცვლილებები არასოდეს აღმოუჩენიათ არც ერთ ისტორიულ პროცესში.

განვითარება ნიშნავს რაღაცა სხვასა და უფრო მეტსაც, ვიდრე ცვლილებაა, თუნდაც რეგულარული და ნინასწარ ნაგულისხმევი ცვლილება. ასკარაა, რომ ტერმინი „განვითარება“ იმ აზრით უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც ბიოლოგიაშია მიღებული. თუ კარგად დავაკვირდებით, ბიოლოგიაში ევოლუციის ორი სრულიად განსხვავებული კონცეფცია არსებობს: პირველ შემთხვევაში ნიმუშად მოყვანილია კვერცხის განვითარება ფრინველში, ხოლო მეორე შემთხვევაში ევოლუციის ნიმუშად ითვლება ცვალებადობა თევზის ტვინიდან ადამიანის ტვინამდე. აქ არაა განვითარება ტვინიდან ტვინამდე, ნარმოდგენილია მხოლოდ კონცეფციური აბსტრაქცია — „ტვინი“, რომელიც განსაზღვრულია მისი ფუნქციის თვალსაზრისით. განვითარების ინდივიდუალური ფაზები გააზრებულია, როგორც თანდათანობითი მიახლოება იდეალთან, რომელშიც „ადამიანის ტვინი“ იგულისხმება.

შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ ერთ-ერთი ზემოხსენებული თვალსაზრისი ლიტერატურის ევოლუციის მიმართ? ფერდინანდ

ბრიუნეტიერი და ჯონ ადინგტონ საიმონდისი ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელია ორივე მათგანის გამოყენება. ისინი თვლიდნენ, რომ ლიტერატურული ჟანრები ბიოლოგიურ სახეობათა ანალოგიურია¹⁴. როდესაც ლიტერატურული ჟანრები აღწევენ სრულ-ყოფილების გარკვეულ დონეს, ისინი სუსტდებიან, ჭენებიან და, ბოლოს, ქრებიან, — გვასწავლის ბრიუნეტიერი. უფრო მეტიც, ჟანრები გარდაიქმნება უფრო მაღალ და განსხვავებულ სახეცვლილ ჟანრებად, ზუსტად ისე, როგორც, დარვინის ევოლუციის კონცეფციის თანახმად, ხდება სახეობათა ტრანსფორმირება. პირველ შემთხვევაში ტერმინი „ევოლუცია“, რა თქმა უნდა, მხოლოდ მახვილგონივრული მეტაფორაა. მაგალითად, ბრიუნეტიერის მიხედვით, ფრანგული ტრაგედია წარმოშვა, გაიზარდა, დაკნინდა და მოკვდა. მაგრამ ტრაგედიის წარმოშობისთვის *teutium comparationis* უბრალოდ გახლავთ ის ფაქტი, რომ ფრანგულ ენაზე ტრაგედიები ყოდელამდე არ დაწერილა. ტრაგედია მოკვდა იმ აზრით, რომ არავითარი მნიშვნელოვანი ტრაგედია, რომელიც ბრიუნეტიერის იდეალს შეესაბამებოდა, ვოლტერის შემდეგ არ დაწერილა. მაგრამ ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მომავალში ბრწყინვალე ტრაგედია დაიწერება სწორედ ფრანგულად. ბრიუნეტიერის თანახმად, რასინის „ფედრა“ ქრონოლოგიურად ტრაგედიის დაცემის დასაწყისს ემთხვევა; ეს, შეიძლება ითქვას, ჟანრის სიბერეა. მაგრამ ეს ტრაგედია გვაოცებს თავისი სინორჩით, რენესანსის ღრმაზროვანი ტრაგედიებთან შედარებით, რომლებიც, ამ თეორიის თანახმად, წარმოადგენს ფრანგული ტრაგედიის „ახალგაზრდობას“. კიდევ უფრო საკამათოა ჟანრების სხვა ჟანრებად გარდაქმნის იდეა: მაგალითად, ბრიუნეტიერის მიხედვით, კლასიცისტური ეპოქის მჭევრმეტყველება გადაიზარდა ფრანგული რომანტიზმის ლირიკაში. და მაინც, არავითარი რეალური „გარდაქმნა“ არ მომხდარა. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე ემოციები იყო გადმოცემული თავდაპირველად რიტორიკაში, შემდეგ კი — ლირიკულ პოეზიაში; დასაშვებია ისიც, რომ ორივე მათგანი ემსახურებოდა ერთსა და იმავე, ან მსგავს სოციალურ მიზნებს.

ამგვარად, უნდა უარვყოთ ანალოგია ლიტერატურის განვითარებასა და ჩაკეტილ ბიოლოგიურ პროცესს — დაბადებიდან სიკვდილამდე — შორის (ეს იდეა ჯერ კიდევ ცოცხალია და

ლიტერატურის თეორია

ახლახან აღადგინეს შპენგლერმა და ტოინბიმ). ამასთან, განვითარების მეორე კონცეფცია, როგორც ჩანს, უფრო უახლოვდება ჭეშმარიტად ისტორიული განვითარების კონცეფციას. აյ მთავარი პრინციპია არა ცვლილებათა თანმიმდევრულობა, არამედ მისი მიზანი. ამ რიგის ცალკეული შემადგენლები პროცესის დასრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სპეციალური მიზნისკენ (ჩვენს შემთხვევაში ესაა „ადამიანის ტვინი“) მიმართული ევოლუციის კონცეფციას შეაქვს ცვალებადობათა რიგში ურთიერთკავშირი, დასაწყისი და დასასრული. და მაინც, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა ბიოლოგიურ ევოლუციასა (მეორე გაგებით) და „ისტორიულ ევოლუციას“ შორის. იმისთვის, რათა ჩავწვდეთ ბიოლოგიურისგან განსხვავებული ისტორიული ევოლუციის არსს, უნდა გავიაზროთ ცალკეული ისტორიული მოვლენები და, ამასთან ერთად, არ დავიყვანოთ ისტორიული პროცესი თანამიმდევრულ, მაგრამ ურთიერთდაუკავშირებულ მოვლენათა კრებულამდე.

საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა განვიხილოთ ისტორიული პროცესი შეფასების ანუ ნორმის თვალსაზრისით. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მოვლენათა გარეგნულად უაზრო რიგის დანანევრება არსებით და არარსებით ელემენტებად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ, ვილაპარაკოთ ისტორიულ ევოლუციაზე, რომელიც ინარჩუნებს ცალკეული მოვლენის ინდივიდუალობას. ინდივიდუალური რეალობისა და საერთო შეფასების ურთიერთმიმრთების დადგენისას ჩვენ არ დაგვყავს ინდივიდუალური ზოგადი კონცეფციის უპიროვნო გამოვლინებამდე, — პირიქით, ინდივიდუალურს ვანიჭებთ მნიშვნელობას, საზრისს. ისტორია, ზოგადად, მთავარ მნიშვნელობების უბრალოდ ინდივიდუალიზაციას არ ახდენს (ცხადია, ეს არ არის არც წყვეტილი უაზრო ნაკადი): ისტორიული პროცესი მუდამ ნარმოშობს შეფასების ახალ, უცნობ ფორმებს, რომელთა ნინასწარმეტყველება შეუძლებელია. ხელოვნების ინდივიდუალური ნაწარმოების ამგვარი შეფარდება ფასეულობათა სკალასთან სხვა არაფერია, თუ არა მისი ინდივიდუალობის აუცილებელი კორელატი. განვითარების ეტაპები განისაზღვრება ფასეულობათა, ანუ ნორმათა სქემების მიხედვით, მაგრამ ეს ფასეულობები თავისთავად ვლინდება მხოლოდ ამ პროცესის განხილვის შედეგად. სიმართლე

რომ ვთქვათ, ესაა ლოგიკური წრე: იმისთვის, რათა ვიმსჯელოთ ისტორიული პროცესის შესახებ, უნდა გვქონდეს გარკვეული შეფასებები; ამასთან ერთად, შეფასებათა სკალის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ ისტორიიდან გამომდინარე¹⁵ როგორც ჩანს, ეს გარდაუვალია. სხვა შემთხვევაში მოგვიხდება იმის აღიარება, რომ ისტორიული პროცესი წარმოადგენს ცვალებადობის უაზრო ნაკადს, ან უნდა გამოვიყენოთ რაიმე არალიტერატურული სტანდარტები — ვალიაროთ გარკვეული აბსოლუტი, რომელიც ლიტერატურული პროცესის მიმართ გარეშე ფენომენია.

ლიტერატურის ევოლუციის პრობლემის ჩვენეული განხილვა განხვენებული ხასიათისაა. შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ლიტერატურის ევოლუცია განსხვავდება ბიოლოგიურისაგან და რომ მას არაფერი აქვს საერთო ზოგად წარმოდგენასთან ერთიანი ზედროული მოდელისკენ სწრაფვის შესახებ. ისტორია შეიძლება დაინეროს მხოლოდ მაშინ, თუ გათვალისწინებული იქნება ფასეულობათა ცვალებადი სკალები, რომლებიც აბსტრაქტორებულია თვით ისტორიიდან. ამ იდეის საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ ზოგ ისეთ პრობლემას, რომლებიც წამოიჭრება ლიტერატურის ისტორიის წინაშე.

აშკარა კავშირი ხელოვნების ნაწარმოებთა შორის — მათი წყაროები და გავლენები — ყველაზე უფრო ხშირად განიხილება და შეადგენს ტრადიციული კვლევის თემას. მწერალთა შორის ლიტერატურული კავშირების დადგენა ჯერ კიდევ არაა ლიტერატურის ისტორია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპია მის დასაწერად. ასე, მაგალითად, თუ გვინდა დავწეროთ მეთვრამეტე საუკუნის ინგლისური პოეზიის ისტორია, ამისთვის ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა კავშირი აქვთ მეთვრამეტე საუკუნის პოეტებს სპეციალურობაზე, მილტონთან და დრაიდენთან. ამგვარი წიგნია რეიმონდ ჰეივენის „მილტონის გავლენა ინგლისურ პოეზიაზე“¹⁶, წმინდა ლიტერატურული გამოკვლევა, რომელშიც თავმოყრილია ფრიად შთამბეჭდავი დამადასტურებელი მასალა მილტონის გავლენის შესახებ, გარდა ამისა, შეკრებილია არა მარტო მეთვრამეტე საუკუნის პოეტთა შეხედულებანი მილტონის შესახებ, არამედ შესწავლილია ტექსტები და მოცემულია მსგავსებათა და პარალელთა ანალიზიც. ამ ბოლო დროს პარალელების ძიება დიდი ნდობით აღარ სარგებლობს, ხოლო გამოუცდელი მკვ-

ლიტერატურის თეორია

ლევრისთვის ის სახიფათოცაა. პირველ ყოვლისა, პარალელები უნდა იყოს ნამდვილი პარალელები და არა ბუნდოვანი მსგავსებანი, რომლებიც, უბრალოდ, სიმრავლის გამო შეიძლება აღიარებულ იქნან პარალელებად. ორმოცჯერ განმეორებული სისულე-ლე სისულელედ რჩება. შემდგომ, ისინი ნამდვილად უნდა იყოს პარალელები, ესე იგი, სავსებით დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ საერთო წყაროს არსებობა აქ გამორიცხულია. მკვლევარი მოიძიებს ჭეშმარიტ პარალელს, თუ ის აღჭურვილია ლიტერატურის ფართო ცოდნით და თუ პარალელი საკმარისად რთული ხა-სიათისაა (ანუ თუ საუბარი არაა ცალკეული მოტივის ან სიტყვის შესახებ). ამ ელემენტარული პირობების დარღვევის შემთხვევები მართლაც ძალზე ხშირია. ზოგჯერ ეს ნაკლი ახასიათებთ გამოჩე-ნილ მეცნიერებსაც, რომლებიც, რა თქმა უნდა, კარგად უნდა იც-ნობდნენ ეპოქის ენას — კლიშებს, სტერეოტიპურ შეტაფორებს, ერთი და იმავე თემის მსგავსი ხორცშესხმის მაგალითებს.¹⁷

როგორც უნდა გავკიცხოთ ეს მეთოდი, ის მაინც ლეგი-ტიმური მეთოდია და მისი *in toto* უარყოფა შეუძლებელია. წყაროე-ბის კრიტიკული შესწავლის მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ლიტერატურული ურთიერთეკავშირები. მათ შორის ნაკლებად საინ-ტერესოა ციტირება, პლაგიატი, მიბაძვები. უკეთეს შემთხვევაში, ისინი ამტკიცებენ ურთიერთობის ჩვეულებრივ ფაქტს, თუმცა, არ-სებობენ სტერნისა და ბერტონის მსგავსი მწერლები, რომლებიც ციტატებს თავიანთი მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებდნენ. მაგრამ ლიტერატურულ კავშირთა საკითხების უმ-რავლესობა ნამდვილად ბევრად უფრო რთულია და მათ გადასაწ-ყვეტად კრიტიკული ანალიზია საჭირო — ამისთვის პარალელების თავმოყრა უბრალოდ არ კმარა. მრავალი ამგვარი გამოკვლევის ნაკლი აიხსნება სწორედ იმით, რომ უგულებელყოფილია მნიშ-ვნელოვანი რამ: ერთი ცალკეული შტრიხის გამოყოფისას ლი-ტერატურულ ნაწარმოებს აქუცმაცებენ პატარ-პატარა მოზაი-კურ ნაწილებად. ლიტერატურის ორი ან მეტი ნაწარმოების ურთ-იერთმიმართების შესახებ ნაყოფიერი მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიტერატურის განვითარების სისტემა-ში მათ სათანადო ადგილი უკავიათ. ლიტერატურულ ნაწარმოებთა ურთიერთეკავშირი წარმოადგენს იმ ორი მთლიანობის, ორი კონ-ფიგურაციის შედარების საგანს, რომელთა დანაწევრება ცალკეულ კომპონენტებად დასაშვებია მხოლოდ კვლევის საწყის ეტაპებზე.

როდესაც ყურადღების ცენტრში მოქმედება ორი დასრულებული სისტემა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტურ პრობლემას, ორიგინალურობის პრობლემას ვიკვლევთ. ჩვენს დროში, ჩვეულებრივ, არასწორად ესმით, რას ნიშნავს ორიგინალური. მიაჩინათ, რომ ორიგინალური ნიშნავს, უპრალოდ, ტრადიციის დარღვევას, ან მას ეძიებენ ხელოვნების ნაწარმოების მასალაში, ან მის გარეგნულ წყობაში (ტრადიციული სიუჟეტი, ტრადიციული კონსტრუქცია). ადრეულ პერიოდებში ლიტერატურული შემოქმედების თავისებურების საღი, ჯანსაღი შეფასება იყო მიღებული. ორიგინალურ შინაარსს ან სიუჟეტს დიდად როდი აფასებდნენ. რენესანსის და კლასიციზმის ეპოქაში, სრულიად მართებულად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ თარგმანს, განსაკუთრებით პოეზიის თარგმანს და „მიბაძვას“, იმ აზრით, როგორც ჰოუპი ბაძვადა ჰორაციუსის სატირებს, ან დოქტორ ჯონსონი — იუვენალს¹⁸. ერნესტ რობერტ კურციუსი თავის „ევროპის ლიტერატურასა და ლათინურ შუა საუკუნეებში“ (1948) დამაჯერებლად გვიჩვენებს ლიტერატურის ისტორიაში ბანალურობის (topoi) უზარმაზარ როლს, თემებისა თუ სახეების განმეორებას, იმას, რომ ისინი ანტიკური ხანიდან შთამომავლობით მიიღო ლათინიზებულმა შუა საუკუნეებმა და, შემდეგ, თანამედროვე ლიტერატურამ. არც ერთი მნერალი არ თაკილობდა და თავის თავს არ თვლიდა არაორიგინალურ მნერლად „იმის გამო, რომ იყენებდა, ითვისებდა და თავისებურად ცვლიდა თემებსა და სახეებს, რომლებიც ტრადიციულად მემკვიდრეობით გადმოიღოდა და ანტიკური ლიტერატურის ავტორიტეტით იყო სანქციონირებული. ამგვარი ხასიათის ბევრი ნაწარმოების შეფასებას საფუძვლად დაედო მხატვრული პროცესის მცდარი გაგება. ასეთია, მაგალითად, სერ სიდნი ლის ნაშრომები ელისაბედის დროინდელი სონეტების შესახებ, რომლებიც ფორმის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ტრადიციულია, მაგრამ (სიდნი ლის თვალსაზრისის საპირისპიროდ) ეს არ ნიშნავს, რომ მათში არაა ასახული გულწრფელი გრძნობები, და რომ ისინი მდარე ნაწარმოებებია¹⁹. გარკვეული ტრადიციისადმი ერთგულება და მისი ნიმუშების მიბაძვა არ გამორიცხავს სულიერი განწყობილების გამოხატვას და ნაწარმოების მხატვრულ ლირებულებას. ამგვარი შესწავლის დროს კრიტიკული პრობლემები წამოიჭრება მაშინ, როდესაც ვიწყებთ შედარებას და შეფასებას

ლიტერატურის თეორია

იმის გამოსავლენად, თუ როგორ იყენებს ერთი ხელოვანი მეორე ხელოვანის მიღწევებს, — როდესაც წარმოგვიდგება გარდამქმნელი შემოქმედებითი ძალისხმევა. ლიტერატურის ისტორიის პირველი ამოცანაა, ზუსტად დაადგინოს ყოველი წანარმოების ადგილი ამა თუ იმ ტრადიციაში.

ხელოვნების ორი ან მეტი წანარმოების ურთიერთკავშირის შესწავლას მივყავართ ლიტერატურის ისტორიის შემდგომ პრობლემებამდე. ხელოვნების წანარმოებთა პირველ და ყველაზე უფრო თვალსაჩინო რიგს მიეკუთვნება ის ქმნილებები, რომლებიც დაწერილია ერთი ავტორის მიერ. აქ არც ისე ძნელია ფასეულობათა სკალის დადგენა: ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ერთი ან რამდენიმე წანარმოები, რომლებიც მნერლის საუკეთესო, სრულყოფილი ქმნილებებია და ამ ტიპის წანარმოებებთან სიახლოვის თვალსაზრისით გავაანალიზოთ მისი დანარჩენი წანარმოები. ბევრი მონოგრაფიის ავტორები ისახავდნენ ამგვარ მიზანს, თუმცა მკაფიოდ ვერ იცნობიერებდნენ წანარმოშობილ რთულ პრობლემებს და უფრო უშედეგოდ ცდილობდნენ მნერლის პირადი ცხოვრების პრობლემებში გარკვევას.

ევოლუციური რიგის მეორე ტიპი შეიძლება შემდეგნაირი იყოს: ხელოვნების წანარმოებიდან გამოყოფენ გარკვეულ თვისებას და აკვირდებიან იდეალისაკენ მის განვითარებას იდეალისკენ (თუმცა იდეალი აქ პირობითი, დროებითი ცნებაა). ეს შესაძლებელია განხორციელდეს ერთი მნერლის წანარმოებთა შესწავლისას ისე, როგორც მაგალითად, კლემენტ²⁰ გამოიკვლია ტროპები შექსპირთან; ან შეიძლება ჩატარდეს ერთ პერიოდის, ან სულაც მთელი ეროვნული ლიტერატურის ფარგლებში. მაგალითად, ინგლისური პროსოდიისა და პროზის რიტმის²¹ შესახებ ჯორჯ სენტსაბერის წამრომებში გამოყოფილია სტრუქტურის გარკვეული ელემენტი და მისი ისტორიის გეზი, თუმცა სენტსაბერის პრეტენზიული წიგნების წაკლოვანება ისაა, რომ მათ საფუძვლად უდევთ ლექსის ზომისა და რიტმის შესახებ ბუნდოვანი და დრომოჭმული კონცეფციები, რაც ცხადყოფს, რომ ჟეშმარიტი ისტორიის დაწერა შეუძლებელია ადეკვატური მეცნიერული შრომების გამოყენებისა და მითითების გარეშე. ამავე ხასიათის პრობლემები წამოიჭრება ინგლისური პოეტური ენის ისტორიასთან დაკავშირებით, რომელსაც მიეძღვნა მხოლოდ ჯოზეფინა

მაილზის სტატისტიკური გამოკვლევა, რაც შეეხება ინგლისური პოეზიის მხატვრულ სახეთა ისტორიას, ჯერ მისი შესწავლა არავის უცდია.

შესაძლებელია ჰამლეტთან, დონ უუანთან ან აგასფერთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მოტივებისა და თემებისად-მი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ისტორიული მიმოხილვების ამგვარი სისტემატიზება. სინამდვილეში ეს სრულიად განსხვავებული პრობლემებია. სიუჟეტის სხვადასხვაგვარი ვარიანტები არ გულისხმობს ისეთივე ურთიერთკავშირს და უწყვეტობას, როგორიც ახასიათებს საზომისა და პოეტური ენის ისტორიას. მარიამ სტიუარტის შესახებ არსებული ყველა ლიტერატურული სიუჟეტის განხილვა, ალბათ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესო იქნება და, ალბათ, გამოვლენს გემოვნების ცვალებადობას სხვადასხვა ეპოქაში, ტრაგედიის სხვადასხვაგვარ კონცეფციებს. მაგრამ აქ არაა შინაგანი კავშირი და დიალექტიკა. არ ნამოიჭრება არც ერთი პრობლემა და, მით უმეტეს, ლიტერატურული კრიტიკის პრობლემა²². Stoffgeschichte (აქ: ლეგენდა) ყველაზე ნაკლებადაა ლიტერატურის ისტორია.

ლიტერატურული უანრებისა და ტიპების ისტორია პრობლემათა სხვა ჯგუფს გვთავაზობს, მაგრამ ეს პრობლემები არ არის გადაუჭრელი; მიუხედავად იმისა, რომ კროჩე შეეცადა, მთელი კონცეფციის დისკრედიტირება მოეხდინა, არსებობს ბევრი გამოკვლევა, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი კონცეფციის შექმნის მოსამზადებელ ეტაპად და რომლებიც თავისთავად თეორიულად საკმარისად საფუძვლიანია იმისთვის, რათა ზუსტად მოინიშნოს ისტორიული პერსპექტივა. უანრის ისტორიაში არსებობს იგივე დილემა, რაც ლიტერატურის ისტორიაში: იმისთვის, რათა მივაგნოთ მეცნიერულად დამუშავებულ მითითებას (ამ შემთხვევაში უანრის შესახებ), საჭიროა ისტორიის შესწავლა, მაგრამ ისტორიას ვერ შევისწავლით, თუ გონებაში არ გვექნება ჩამოყალიბებული შერჩევის სქემა. მიუხედავად ამისა, არსებობს გამოსავალი ამ დახშული წრიდან. ზოგ შემთხვევაში აუცილებელ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს კლასიფიკაციის გარეგნული მყარი სქემა (მაგალითად, გარკვეული წესის მიხედვით გარითმული თოთხმეტი სტრიქონი სონეტში). საპირისპირო შემთხვევაა

ლიტერატურის თეორია

ეფექტურია ან ოდა, როდესაც შეიძლება დავეჭვდეთ, შეინარჩუნა თუ არა ოდამ, სახელწოდების გარდა, რაიმე ნიშან თვისება, რომელიც თანაპრად ახასიათებს ყველა ოდას. ბენ ჯონსონის „ოდა საკუთარი თავისადმი“, კოლინზის „ოდა საღამოსადმი“ და უორდს-ვორთის „უკვდავების ნინათგრძნობა“ თითქოს ნაკლებად ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მახვილი თვალი იმთავითვე დაადგენს ჰორაციუსის და პინდარეს ოდებთან მათ მსგავსებას, შენიშნავს თითქოსდა განსხვავებული ტრადიციებისა და საუკუნეების უწყვეტ ერთობას. ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად უანრების ისტორია, უდავოდ, ყველაზე მრავლისაღმთქმელი სფეროა.

შეიძლება და სავალდებულოცაა „მორფოლოგიური“ მიღებობა ფართოდ გამოვიყენოთ ფოლკლორის მიმართ, რადგან ფოლკლორში უანრები ხშირად უფრო მკაფიოდაა გაფორმებული, ვიდრე — მოგვიანებით ჩამოყალიბებულ სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში. ფოლკლორისადმი ამგვარი მიღებობა, ბოლოს და ბოლოს, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც „მოტივებისა“ და სიუჟეტების მიგრაციათა შესწავლა. საფუძველი ჩაეყარა კარგ წამოწყებებს, განსაკუთრებით — რუსეთში²³. თუ არ შეგვიძლია როგორც კლასიკური, ასევე ახალი (შუა საუკუნეებში ნარმოშობილი) უანრების ცოცხალი აღქმა, ვერ ჩაწერდებით თანამედროვე ლიტერატურას — ყოველ შემთხვევაში, იმ ლიტერატურას, რომელიც წინ უძლოდა რომანტიკულ ამბოხს. მათი ბრძოლა შეადგენს ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს 1500-1800 წლებს შორის. და მართლაც, როგორც უნდა გაებუნდოვნებინა რომანტიკულ საუკუნეს სხვაობა უანრებს შორის და როგორი შერეული ფორმებიც უნდა შემოეტანა, დიდი შეცდომა იქნებოდა, სათანადო არ დაგვეფასებინა უანრების კონცეფციის ავტორიტეტი და ძალა თუნდაც უახლეს ლიტერატურაში. უანრების პირველი ისტორიების (რომლებიც შექმნეს ბრიუნეტიერმა და საიმონმა) ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ბიოლოგიურ პარალელებზე მეტის-მეტი დაყრდნობა. მაგრამ ამ ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა ისეთი გამოკვლევები, რომლებიც მეტი გულისყურითაა დამუშავებული. თუმცა, მათ ემუქრება ტიპების აღწერით შემოფარგვლისა და შემთხვევით დისკუსიებში დახარჯვის საშიშროება, როგორც ეს მოუვიდა მრავალ ნაშრომს, რომლებსაც დრამის ან რომანის ისტორიებად მიიჩნევენ. მაგრამ არსებობს წიგნები, რომლებშიც

დასმული და გამოკვლეულია ტიპების განვითარების პრობლემა. შექსპირიამდელი ინგლისური დრამის ისტორიის დაწერის დროს დაუშვებელია იმის უგულებელყოფა, რომ მისტერიებისა და მორალიტების მემკვიდრეობისა და თანადროული აღმავალი დრამის გასაოცრად შერეული ფორმა შეინიშნება, ვთქვათ, ბეილის „მეფე ჯონში“. ჟანრის კარგი ისტორიის ნიმუშია უ. უ. გრეგოს წიგნი „პასტორალური პოეზია და პასტორალური დრამა“, თუმცა ავტორი მასში სხვა მიზანს ისახავდა;²⁴ მოგვიანებით კ. ს. ლუ-ისმა „სიყვარულის ალეგორიაში“²⁵ ჩამოაყალიბა განვითარების მკაფიოდ და კარგად გააზრებული სქემა. გერმანიაში, სხვა რომ არა იყოს რა, ორი კარგი წიგნი არსებობს: კარლ ვიეტორის „გერმანული ოდის ისტორია“ და გიუნთერ მიულერის „გერმანული სიმღერის ისტორია“²⁶. ორივე ავტორი მწვავედ აყენებს იმ პრობლემებს, რომლებსაც წააწყდნენ²⁷. ვიეტორი გარკვევით აღიარებს დახმული წრის არსებობას, მაგრამ მაინც არ ეპუება მას: ვიეტორის შეხედულებით, ისტორიკოსი ინტუიციით, მაგრამ მაინც უნდა მიხვდეს, რა არის არსებითი იმ ჟანრისათვის, რომელსაც იკვლევს და მერე გამოიყენოს ამ ჟანრის ნიმუშები თავისი პიპოთეზების დასასაბუთებლად ან შესასწორებლად. თუმცა ჟანრი ისტორიაში ვლინდება ცალკეულ ნაწარმოებთა სახით, მაგრამ არ შეიძლება მისი აღწერა ამ ნაწარმოებთა ყველა ნიშნის მიხედვით. ჩვენ გავიაზრებთ ჟანრს, როგორც „მარეგულიორებელ“ პრინციპს, როგორც ფუძემდებლურ მოდელს; პირობითობას, რომელიც რეალურია, ე. ი. ქმედითა, რადგანაც განაპირობებს კონკრეტული ნაწარმოების შექმნას. ისტორიას არ ესაჭიროება მიღწევა სპეციალური მიზნისა, რომელიც ზღვარს უდებს ჟანრის შემდგომ გაგრძელებას ან დიფერენციაციას; მაგრამ თუ მიზნად დავისახავთ, დავწეროთ ჭეშმარიტი ისტორია, მაშინ უნდა ვეყრდნობოდეთ გარკვეულ დროით მიზანს ან ტიპს.

სრულად ანალოგიური პრობლემები წამოიქრება პერიოდი-სა და მიმდინარეობის ისტორიასთან დაკავშირებით. განვითარების შესახებ დისკუსიამ ცხადყო, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ორ უკიდურეს შეხედულებას: ერთია მეტაფიზიკური შეხედულება, რომლის მიხედვითაც, პერიოდი არის გარკვეული არსი და მის ბუნებას ინტუიციით უნდა ჩავწერდეთ; მეორე — უკიდურესად ნომინალისტური — შეხედულებით კი, პერიოდი ყოველ დროში,

ლიტერატურის თეორია

დროის ყოველ მონაკვეთში, უბრალოდ, აღწერის მიზნით გათვალისწინებული ლინგვისტური, სტილისტური თავისებურებაა. უკიდურესი ნომინალიზმის მიხედვით, პერიოდში იგულისხმება თვითნებური ძალატანება მასალაზე, რომელიც სინამდვილეში, მიმართულების გარეშე, უწყვეტ დინებად იქცევა და ამგვარად, გვრჩება, ერთი მხრივ, კონკრეტურ მოვლენათა ქაოსი და მეორე მხრივ, წმინდა სუბიექტური იარღიყები. თუ დავემყარებით ამ შეხედულებას, მაშინ აშკარად არ ექნება მნიშვნელობა, თუ სად გავატარებთ გამყოფ ხაზს არსებითად ერთიან, მაგრამ მრავალფეროვან რეალობაში. ამიტომაც მნიშვნელობა არა აქვს, პერიოდის რომელ სქემას მივიღებთ — ხელოვნურ პირობითსა თუ მექანიკურს. შეიძლება ისტორიოგრაფიული წესით დავწეროთ ლიტერატურის ისტორია საუკუნეების, ათწლეულების ან წლების მიხედვით. შეიძლება მივიღოთ ისეთი კრიტერიუმი, როგორიც გამოიყენა ართურ სამონძასმა თავის წიგნში „რომანტიკული მიმართულება ინგლისურ პოეზიაში“.²⁸ იგი განიხილავს მხოლოდ იმ ავტორებს, რომლებიც 1800 წლამდე დაიბადნენ და 1800 წლის მერე გარდაიცვალენ. გამოდის, რომ პერიოდი, უბრალოდ, ხელსაყრელი სიტყვას სავალდებულო წიგნის ან შერჩეული თემის დასაყოფად. თუმცა, ხშირად ეს შეხედულება გაუცნობიერებლად შთააგონებს ნაშრომებს, რომლებიც მონიშვნებით ეკიდებიან საუკუნეთა მიჯნებს ან თავს ახვევენ საგანს ზუსტ დროით (მაგალითად, 1700-50 წლები), რაც ვერაფრით აიხსნება, გარდა იმისა, რომ ერთგვარი შემოსაზღვრა პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია. კალენდარული თარიღებისადმი ასეთი პატივისცემა, რასაკვირველია, კანონიერია ბიბლიოგრაფიული წუსხების შედეგნისას; აქ ის გვეხმარება ორიენტაციაში, ისევე, როგორც დიუსის მიერ ბიბლიოთეკებისათვის შეთავაზებული დეციმალური სისტემა; ამგვარ პერიოდიზაციას საერთო არაფერი აქვს ლიტერატურის ისტორიასთან.

მიუხედავად ამისა, ლიტერატურის ისტორიების უმეტესობა პერიოდებად არის დაყოფილი პოლიტიკურ ცვლილებათა შესაბამისად. ამგვარად, მიწნეულია, რომ ლიტერატურა მთლიანად დეტერმინირებულია პოლიტიკური თუ სოციალური რევოლუციებით, ხოლო დეტერმინირებული პერიოდების პრობლემას წყვეტენ ისტორიკოსები. ინგლისური ლიტერატურის შედარებით

ძველ ისტორიებს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ისინი დაწერილია ან კალენდარული პრინციპით ან ერთი მარტივი პოლიტიკური კრიტერიუმის მიხედვით, ინგლისის მონარქთა მეფობის დროის შესაბამისად. სულაც არაა საჭირო იმის ჩვენება, თუ რა აღრევას გამოიწვევდა, ბოლო დროის ინგლისური ლიტერატურის ისტორია რომ დაგვეყყო მონარქების გარდაცვალების თარიღების შესაბამისად. სერიოზულად არავის მოსვლია აზრად, ადრეული მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა განესხვავებინა ერთიმეორისგან გეორგ მესამის, გეორგ მეოთხის ან უილიამ მეოთხის მეფობის დროთა მიხედვით; ზოგან ჯერ კიდევ შემორჩენილია ლიტერატურის ასეთი ხელოვნური დაყოფა ელისაბედის, ჯემზ პირველისა და ჩარლზ პირველის მეფობათა დროების შესაბამისად.

ინგლისური ლიტერატურის უახლეს ისტორიებში საუკუნეების კალენდრის თუ მეფეთა მმართველობის შესაბამისი დაყოფა თითქმის მთლიანად მოისპონ და შეიცვალა ახლებური პერიოდიზაციით, რომლის სახელწოდებები ემყარება სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოვლენებს. თუმცა, ჩვენ კვლავ ვხმარობთ ტერმინებს „ელისაბედის დროინდელი“ და „ვიქტორიანული“, მათ მეფობათა დროს შექმნილი ეს განმასხვავებელი ტერმინები კი შემოგვრჩა, მაგრამ მათ ახალი მნიშვნელობა შეიძინეს ინტელექტუალური ისტორიის სისტემის ფარგლებში. ჩვენ ისინი შევინარჩუნეთ, რადგან ვგრძნობთ, რომ ეს ორი დედოფლალი, როგორც ჩანს, თავიანთი დროის სიმბოლოები იყვნენ. ჩვენ კატეგორიულად აღარ მოვითხოვთ, რომ დროის მონაკვეთი რომელიმე მონარქის ტახტზე ასვლიდან მის სიკვდილამდე განსაზღვრავდეს ლიტერატურული პერიოდის ქრონოლოგიური მიჯნებს. როდესაც ვიყენებთ ტერმინს „ელისაბედის დროინდელი“, ვგულისხმობთ მნერლებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ თეატრების დახურვამდე (1642), იმ დროისთვის კი თითქმის ორმოცმა წელმა განვლო დედოფლის გარდაცვალებიდან. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ იშვიათად ვუწოდებთ ოსკარ უაილდს „ვიქტორიანელს“, თუმცა მისი სიცოცხლის წლები ზუსტად ემთხვევა ვიქტორიას მეფობის ქრონოლოგიურ საზღვრებს. პოლიტიკური წარმომავლობის ტერმინებმა ინტელექტისა და ლიტერატურის ისტორიაშიც კი მიიღეს განსაზღვრული მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ახ-

ლიტერატურის თეორია

ლანდელი დასახელებები მათი შექმნის სიჭრელის გამო, ცოტა არ იყოს დამაბნეველია. „რეფორმაცია“ მომდინარეობს საეკლესიო ისტორიიდან, „ჰუმანიზმი“, უმთავრესად, — ინტელექტუალური მოძრაობის ისტორიიდან, „რესპუბლიკის ლიტერატურა“ და „რესტავრაციის ლიტერატურა“ — გარკვეული პოლიტიკური მოვლენებიდან. ტერმინი „მეთვრამეტე საუკუნე“ ძელი ქრონოლოგიური ტერმინია, რომელიც დაზუსტებულ იქნა ლიტერატურული მოვლენების თვალსაზრისით: „ავგუსტინებულის ლიტერატურა“ და „კლასიციზმის ლიტერატურა“, „პრერომანტიზმი“ და „რომანტიზმი“ იმთავითვე ლიტერატურული ტერმინებია, მაშინ, როდესაც „ვიქტორიანული“, „ედვარდიანული“ და „გეორგიანული“ მომდინარეობს მონარქთა მეფობიდან. იგივე განსაცვიფრებელი სურათი ხშირად გვხვდება სხვა ქვეყნების ლიტერატურაში: მაგლითად, „კოლონიური პერიოდი“ ამერიკულ ლიტერატურაში პოლიტიკური ტერმინია, ხოლო „რომანტიზმი“ და „რეალიზმი“ ლიტერატურული ტერმინებია.

ტერმინთა ამგვარი აღრევის გასამართლებლად უნდა აღნიშნოთ, რომ ამის მიზეზი თავად ისტორია გახლავთ. როგორც ლიტერატურის ისტორიკოსებმა, ჩვენ, პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ თვით მნერლების მოსაზრებები და კონცეფციები, პროგრამები და პერსონალები, ესე იგი, უნდა გავიზიაროთ საკუთრივ მათი შეხედულება პერიოდიზაციის შესახებ. რა თქმა უნდა, ლიტერატურის ისტორიაში არ შეიძლება გონივრულად ჩამოყალიბებული პროგრამების, მანიფესტების, შემოქმედებითი თვითანალიზის მნიშვნელობის უგულებელყოფა. და საფიქრებელია, რომ მოღვაწეობას, რომელიც ესოდენ კარგად იცნობიერებს საკუთარ საზრისსა და დანიშნულებას, კველაზე უკეთ შეესაბამება ტერმინი „მიმდინარეობა“ („movement“); მისი დახასიათება ანალოგიური იქნება ამა თუ იმ მოვლენისა და დეკრეტების დახასიათებისა. რაც შეეხება ლიტერატურულ პერიოდს, მის მიმართ ეს პროგრამები — მხოლოდ მასალაა, ისევე, როგორც კრიტიკის ისტორია არის მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის თანმხლები კომენტარი. ეპოქის ლიტერატურულ დოკუმენტებს ჩვენთვის დამხმარე მნიშვნელობა აქვთ, მათ ვერ ვაღიარებთ ლიტერატურის პერიოდიზაციის პრინციპებად. ეს იმიტომ კი არ

ხდება, რომ ჩვენთვის დამახასიათებელია უფრო ღრმა შეხედულება მოვლენების თაობაზე: უბრალოდ, ჩვენ უპირატესობა გვაქვს — წარსულს ანტყოფიდან განვიხილავთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სხვადასხვა წარმომავლობის ტერმინები თავის დროზე არ გამოიყენებოდა. ტერმინი „ჰუ-მანიზმი“ პირველად გამოჩნდა 1832 წელს, „რენესანსი“ — 1840 წელს, „ელისაბედის ეპოქა“ — 1817 წელს, „ავგუსტუსის ხანა“ — 1819 წელს, ხოლო „რომანტიზმი“ — 1844 წელს. ეს მონაცემები მოყვანილია „ოქსფორდის ლექსიკონში“ და, ალბათ, სანდო არაა, რადგანაც ტერმინი „ავგუსტუსის ხანა“ სპორადულად ჩნდება უკვე 1690 წელს, კარლაილი კი ტერმინ „რომანტიზმს“ იყენებს 1831 წელს²⁹. ყოველივე ეს მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ლიტერატურული პერიოდი და მისი სახელწოდება სინქრონულად როდი წარმოიშობა. ცნობილია, რომ რომანტიკოსები თავიანთ თავს არ უნდებდნენ რომანტიკოსებს, ყოველ შემთხვევაში, ინგლისში. როგორც ჩანს, მხოლოდ დაახლოებით 1849 წელს დაუკავშირეს კოლრიჯი და უორდსვორთი რომანტიკულ მიმდინარეობებსა და შელის, კითხისა და ბაირონის ჯგუფს³⁰. მისის ოლიფანტი თავის „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში“ (1882 წ.) არსად ხმარობს ამ ტერმინს და ერთსა და იმავე მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს „ტბის“ პოეტებს, „კონის“ სკოლასა და „სატანურ“ ბაირონს. ამგვარად, ინგლისური ლიტერატურის ამჟამად არსებული პერიოდიზაცია არაა ისტორიულად დასაბუთებული. აშკარაა, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური, ლიტერატურული და მხატვრული იარლიყების თვითნებურად შერჩეული ერთობლიობა.

კიდეც რომ გვეონდეს ადამიანთა კულტურის ისტორიის — პოლიტიკის, ფილოსოფიის, სხვა ხელოვნებათა სრულყოფილი პერიოდიზაცია, ლიტერატურის ისტორია მაინც ვერ შეძლებდა ისეთი სქემის გამოყენებას, რომელიც შემუშავებულია, რომელიც სხვა მასალაზე მუშაობის მეშვეობით, სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტის პროცესში. ლიტერატურა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კაცობრიობის პოლიტიკური, სოციალური ან თუნდაც ინტელექტუალური განვითარების პასიური ანარეკლი ან ასლი. ამდენად, ლიტერატურული პერიოდი უნდა დადგინდეს წმინდა ლიტერატურული კრიტერიუმის დახმარებით.

ლიტერატურის თეორია

თუ ჩვენი შედეგები დაემთხვევა პოლიტიკის, საზოგადოების, ხელოვნებისა და აზროვნების ისტორიებს, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნება. მაგრამ ჩვენი ამოსავალი წერტილი იქნება ლიტერატურა, როგორც ლიტერატურის განვითარება. მაშასადამე, პერიოდი არის საყოველთაო ეფოლუციის ქვედანაყოფი. მისი ისტორია შეიძლება დაიწეროს მხოლოდ ფასეულობათა ცვალებად სკალის გათვალისწინებით, ხოლო ეს სკალა შემუშავებულ უნდა იქნეს თავად ისტორიული პროცესის გააზრების საფუძველზე. ამგვარად, პერიოდი არის დროის მონაკვეთი, რომელშიც დომინირებს ლიტერატურული ნორმები, სტანდარტები და პირობითობები, რომელთა შემოტანა, გავრცელება, დანაწევრება, ინტეგრაცია და გაქრობა შეიძლება დავინახოთ, თვალი მივადევნოთ.

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად უნდა მივიღოთ ესა თუ ის ნორმატიული სისტემა. ისტორიიდან ის უნდა გამოვიყვანოთ ისტორიიდან, აღმოვაჩინოთ ისტორიაში, როგორც რეალობა. მაგალითად, „რომანტიზმი“ არ არის ერთიანი თვისება, რომელიც ვრცელება გადამდები სენიორით ან ჭირივით, და ის არც უბრალო სიტყვიერი იარლიყია. ეს ისტორიული კატეგორია, ან, კანტის ტერმინოლოგიით, „მარეგულირებელი იდეა“ (უფრო ზუსტად კი, იდეათა მთელი სისტემა) გვეხმარება მოვახდინოთ ისტორიული პროცესის ინტერპრეტაციი. მაგრამ იდეების კომპლექსი ჩვენ თვით პროცესში აღმოვაჩინეთ. ტერმინ „პერიოდის“ ამგვარი კონცეფცია განსხვავდება მისი საყოველთაოდ აღიარებული გაგებისგან, რომელშიც ცნება გადატანილია ფსიქოლოგიურ პლანში და განძარცულია ისტორიული კონტექსტისგან. როდესაც ამგვარი ფსიქოლოგიური ან მხატვრული ტიპების სახელწოდებათა შემოლება ხდება ისტორიულად დამკვიდრებული ტერმინოლოგიის ზეგავლენით, ეს არაა საბაბი მათი უპირობო დაგმობისთვის; ამასთან, კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ ლიტერატურის ასეთი ტიპოლოგია ძალზე შორსაა ჩვენი განხილვის საგნისგან — ის არ მიეკუთვნება ლიტერატურის ისტორიას, ვინრო გაგებით.

ამგვარად, პერიოდი არის არა ტიპი ან კლასი, არამედ — დროის მონაკვეთი განსაზღვრული ნორმათა სისტემით, რომელშიც განუყოფელია ისტორიული პროცესისგან. რომანტიზმის

განმარტების უშედეგო მცდელობები მოწმობს, რომ „პერიოდის“ ცნებაა არ არ წააგავს ლოგიკაში მიღებულ „კლასის“ ცნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა წანარმოების ინდივიდუალობის წაშლა, მისი შთანთქმა კატეგორიის მიერ. მაგრამ ეს აშკარად შეუძლებელია. ხელოვნების ინდივიდუალური ქმნილება კლასის წარმომადგენელი როდია; ესაა ნანილია, რომელიც ყველა სხვა წანარმოებთან ერთად წარმოქმნის პერიოდის ცნებას. ამგვარად, ის თავისთავად განსაზღვრავს მთლიანის კონცეფციას. „რომანტიზმის“³¹ უამრავი სხვადასხვაგვარი განმარტება თეორიული თვალსაზრისით, როგორც ჩანს, მცდარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათში მაინც ვლინდება იმ სქემის სირთულე, რომელსაც შეესაბამება თითოეული ამგვარი დეფინიცია. კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ პერიოდი არ არის იდეალური ტიპი, აბსტრაქტული მოდელი ან ცნებითი კლასიფიკაცია; ესაა დროის მონაკვეთია ნორმების ერთიანი სისტემით, რომელიც ხელოვნების არც ერთ წანარმოებში არ არის მთლიანად რეალიზებული. პერიოდის ისტორია მდგომარეობს იმაში, რომ დააფიქსიროს ნორმათა ერთი სისტემას შეცვლა მეორით. ამგვარად, პერიოდი არის დროის მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება გარკვეული ერთიანობით; აშკარაა, რომ ეს ერთიანობა მხოლოდ შეფარდებითი ხასიათისაა. ეს ნიშნავს, უბრალოდ, იმას, რომ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნორმების ესა თუ ის სქემა მთელი სისრულით იქნა რეალიზებული. ერთი რომელიმე პერიოდის ერთიანობა აბსოლუტური რომ იყოს, მაშინ პერიოდები ქვის ბლოკებივით ერთიმეორის გვერდით დალაგდება ყოველგვარი მემკვიდრეობის გარეშე. ამიტომ ყოველ პერიოდში აუცილებლად მონაწილეობენ ნორმათა წინამორბედი სისტემას გადმონაშთები და მომავალი სქემის ჩანასახები³².

პერიოდის ისტორიის დაწერის პრობლემა, პირველ ყოვლისა, არის აღნერის პრობლემა: საჭიროა ამოვიცნოთ პირობითობა-თა ერთი სისტემის დაცემა და მეორის ჩასახვა. რატომ ხდება მიმდინარეობათა ასეთი შეცვლა გარკვეულ მომენტში? — ეს არის ისტორიული პრობლემა, რომელიც, ზოგადად, გადაუჭრელია. გამოითქვა ვარაუდი, რომ ლიტერატურის განვითარება გამოფიტვის საფეხურს აღწევს და მოითხოვს ახალი კანონების შემოღებას. რუსი ფორმალისტები ამ პროცესს აღწერენ როგორც „ავტომატიზაციის“ პროცესს, ე. ი. პოეტური ოსტატობის ბევრი

ლიტერატურის თეორია

